ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

I
ტომი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

UDC(უაკ)908(479.22)
ა-659

იუნესკოს მსოფლიო დესპანი / მსოფლიოს სპორტსმენი / გაეროს ბუნების დაცვის ელჩი / გინესის მრავალგზის რეკორდსმენი / მსოფლიო ველომოგზაური / მოგზაური დიპლომატი / სახელმწიფო პრემიის ლაურეატი / ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი / მსოფლიო 2009 წლის ადამიანი / საქართველოს 2002 წლის ადამიანი / სპორტის დამსახურებული მუშაკი / მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე / ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი / ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი / ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე / 5 აკადემიის აკადემიკოსი / შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში / ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი — მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

ასეთი პოპულარული პიროვნების სახელობის აკადემიის შექმნა, დასაფიქრებელია და საპასუხისმგებლოც. ჟურნალმა „ათინათმა" მკითხველის ყურადღება მიიქცია და დღითიდღე საინტერესო ხდება.რაც შეეხება ანთოლოგიის გამოშვებას ასეთი დატვირთვა აქვს: მასში მოთავსებულია აკადემიის წევრების მასალების ხვადასხვა თემებზე, მნიშვნელოვანი კი იმითაა, რომ ანთოლოგიის პირველ ტომში მთლიანად მოთავსებულია პროფესორ ლუარა სორდიას მიერ დამუშავებული ჯუმბერ ლეჟავას დღიურების ნაწილი მეცნიერული თვალთახედვით.

რედაქტორი: **გულნაზ ხარაიშვილი**

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია,2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-883-2

ნუგზარ ნადარაია — ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

გულმხურვალედ და გულწრფელად მოგესალმებით, ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დამფუძნებლებს, პედაგოგებს, მეცნიერებს, ისტორიკოსებს. მიმაჩნია, რომ კიდევ ერთი ეროვნული საქმე იმარჯვებს, რამეთუ ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილი (აკადემიის პრეზიდენტი) კარგად არის ცნობილი, როგორც განათლების დარგის უნიჭიერესი ორგანიზატორი, პედაგოგი, პოეტი...მას მხარს უმშვენებს თანამედროვეების უთვალსაჩინოესი კაცი – ლეგენდა, ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, მსოფლიოს მოქალაქე, მსოფლიოს სპორტსმენი, მსოფლიო რეკორდების გინესის წიგნში მრავალგზის შეტანილი. მან ბიბლიით, „ვეფხისტყაოსნითა" და ქართული დროშით მსოფლიოს ველოსიპედით შემოუარა, პროპაგანდა გაუწია საქართველოს, ქართველ ერს და დედა ეკლესიას – მთელს მსოფლიოში.

ბატონი ჯუმბერი ჭეშმარიტი ცოტნეიდელია — „აღმსარებელი მცნებისა უფლისა და დამდებელი სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის", ამიტომაცაა, რომ ის საპატრიარქოს ხშირი სტუმარია. მან ფაზისის აკადემიის ეგიდით მონაწილეობა მიიღო ცოტნე აღმსარებლის კანონიკური ხატის სამების დიდებულ ტაძარში დაბრძანების ისტორიულ მოვლენაში. ცოტნე დადიანის ხატი აკურთხა და დალოცა ილია II აღმაშენებელმა ქადაგებაში. მოიწონა ფაზისელების აქტიური საქმიანობა ქვეყნის საერო და საეკლესიო ცხოვრებაში.

1977 წელს, როცა ილია II აღმაშენებელმა ქართული ეკლესია ჩაიბარა, მხოლოდ 52 ტაძარი და მონასტერი იყო მოქმედი. ამჟამად 1000–მდე მეტი ფუნქციონირებს და მიმდინარეობს კვლავ მშენებლობა, ამიტომაცაა, რომ ერმაც და ბერმაც სიცოცხლეშივე შეამკეს დამსახურებული ეპითეტით – ილია II აღმაშენებელი.

ფაზისის საერო აკადემია ახლად დაფუძნებულ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიას საჩუქრად გადასცემს ჟურნალ „ცოტნეიდელის" სრულ კრებულს.

უსასყიდლოდ დაეხმარება თეოლოგიის საფუძვლების მხატვრული კითხვის უფლებაში.

მაშ, ავანთოთ სიბრძნის კიდევ ერთი სანთელი, გავერთიანდეთ სულიერად და დავიბრუნოთ დროებით წართმეული ტერიტორიები. ჩვენი ერთობა ხომ „მტრისთვის სახრჩობელაა" და მოკეთისთვის, ღვთის მადლით, მაცოცხლებელი ჟანგბადი. გფარავდეთ ღმერთი, უფალი იესო ქრისტე, ამინ!

მე ამოვლივარ

მე ნავი ვარ, წყის შრიალით სახეს გიგრილებთ,
რომ არ დაგხუთოთ სიმხურვალემ, დავქრიალავ ახლოს. . .
გაზაფხული ვარ, ფეხქვეშ გიფენთ ლამაზ გვირილებს,
სიყვარული ვარ, სიფაქიზით თქვენს სულში ვსახლობ.
მე სიყეთე ვარ, რასაც თქვენთვის უხვად ვარიგებ,
ანგელოზი ვარ, თქვენ ვერ მხედავთ. . . დაგყვებით ლანდად.
დაჭრილებს ვყურნავ. . . მეძახიან ანრითა გამრიგეს,
თქვენი მეუკლე ვარ, გაგახსენებთ ძველის-ძველ ადათს.
მძლავრი მუხა ვარ, ჩემს ჩრდილის ქვეშ მსურს დაგასვენოთ,
თბილი წალა ვარ. . . მოლივლივე ლაღი რიონი,
და თუ ლრუბლებმა ოფხაზეთში ყვლავ დაგასველოთ,
მე ამოვლივარ და გაგათბობთ მზის ორიონი.

გულნაზ ხარაიშვილი

პოეზია

მთავარეპისკოპოსი თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

* * *

მადლით აღვსილო გომბორის მთებო,
„ფარვანასავით გული დაიწვა"
ჩემი მამულის ცაო და მიწაც,
თქვენი დიდება როგორ ითქმება
უალერსოდ და უსიყვარულოდ?
ოდეს დღეები უსიხარულო
სულს - ცოდვით აღვსილს - მოეძალება
მომენატრება სიწმიდე თქვენი,
სივრცეთა შორის ეგ მოკრძლება.

უკეთურნი ვართ უფალო

ტანჯვაა ჩვენი ცხოვრება,
მძიმე და მოსაწყენია,
რაოდენს გული ვატკინე,
რამდენჯერ გული მტკენია...
უკეთურნი ვართ უფალო,
ვით ნაბრძანები შენია,
ბოროტისაგან კეთილი
მიტომვერ გაგვირჩევია.
თავი მართალი გვგონია,
ყველაზე მძიმე რაც არი,
დაგვიწყებია, რომა ვართ
მხოლოდ მიწა და ნაცარი,

მით სასოება ცხოვნების ჩვენში
არის და არც არი,
რადგან ეკლებმა შეაშთვეს
რწმენის ციური მარცვალი.
ღმერთო მაღალო მოგვხედე,
გული აგვივსე ნათლითა,
შენ გაგვიშუქე სამყარო
შენი ბრწყინვალე მადლითა,
რომ არ გვეწიოს წარწყმედა
სიბნელითა და ავდრითა,
ვახაროთ სიყვარულის ხე,
ვიდოდეთ მზითა და დღითა.

* * *

ჟამსა ლოცვისასა მოგხედე შენ და ჟამსა შეწყნარებისასა შეგიწყნარე შენ...

დაღლილს, დაქანცულს ჩამეძინება
და განმაღვიძებს შენი დიდება,
სად შენს წინაშე ჩემი არსება
შეძრწუნდება და გაირინდება.
მაშინ გაცხადდეს ზრახვა ყოველი,
სიტყვა და საქმე დაჩნდეს კადრებად,

ძრწოდეს და კრთოდეს სული ცხოველი...
ო, ხილვა შენი ვით იკადრება?...
სად სერაფიმნი - პირველ საყდარნი,
კრძალვით ჰგალობენ ცეცხლისფრთიანნი,
სად ნათელია თვალშეუდგამი,
ვით ჩნდეს ცოდვილი ადამიანი?

* * *

უკეთუ საკუთარ თავს მოერიე,
მაშინ ხარ ყველაზე ძლიერი,
ჟამმან-მრავლის მქმნელ გარდამქმნელმან
შენ ვერ შეგიცვალოს იერი.
მთავარი სიმტკიცეა სულისა,
კლდე რაა, ნაჭედი რვალისა?
არცა გეშინოდეს სიკვდილისა,
არც მისი მსახვრალი ხმალისა.
მშვიდად ხარ აღმასრულებელი
ამა საწუთროის ვალისა...
იმედი, რწმენა და სიყარული
ისე გადაგაქცევს ხალისად,-
არცა შიში გქონდეს, არცა დარდი
მიმგებელობისა ხვალისა.

ო, დიდება შემოქმედო

ანარეკლი ბრწყინავს ჭავლი,
ნატამალი ციურ წყალთა...
მე მივტირი დღეებს ჩავლილს,
როს მფარავდა მშობლის კალთა
და უმანკოს შუქად მადგა
ნათლის სახე წინაპართა.
ანგელოზებს უცინისო -
პატარაზე იტყოდიან...
მერე სულში დაიზამთრა,
გაზაფხული იყო გვიან...
ნეტარების ყვავილები
ჟამთა ქროლვას დაუჭკვნია.
თითქოს ხედვა დაბარბაცდა,
დანისლული სევდის ჩრდილით,
რა შორს დარჩა იგი განცდა -
ბავშვობისა, ესდენ ტკბილი,
ცისკრის სახედ აღბეჭდილი.
უხილავი კვლავ ჩამძახის,
ესე ნატვრად დავიგულე:
თუ გსურს სდევდე ისევ პეპლებს,
ჰკრავდე დღეთა თაიგულებს,-
ყველას ყველა მიუტევე,
ბავშვის გული დაიბრუნე.
გალაღდი და გახალისდი
ლოცვის მადლის დაგებითა,
გავცოცხლდი აღმსუბუქდი
სულის განსპეტაკებითა,
აღფრინდი და აიქროლე,
ოქროვან ფრთებნაქებითა.
მადლი შენდა შემოქმედო,
სახიერო ბუნებითა;
შიშით ასამაღლებელო,
კრძალვით და რუდუნებითა,
უცვლელო და მოუკლებო -
დროის ეტლთა ბრუნებითა;
განწირულთა, მცოდველ შვილთა,
უნებლიედ თუ ნებისად,
სულგრძელებით მიმტევებო
ყველა ჩვენი ცდუნებისა,
სიკვდილის გზის გადამკეტო
მზისკენ შემობრუნებითა.

1980 წ.

ჩაგონება

ყოველთვის ვანთებ მე შენთვის სანთელს,
სიცოცხლეს შენსას ვავედრებ მშველელს,
სიწმიდედ ენთო, შენც, ვით კაცს, გმართებს,
შენს მიწას, შენს ცას, შენს რწმენას, შენს ერს.
აზრი ყოფნისა ამგვარად ესმის,
სხვაგვარი ყოფნა ვის უღირს ჩალად...
ღმერთო მომმადლე მართალი ლექსი,
კეთილი საქმის მომეცი ძალა.

ზაზა აქიმიშვილი

ქალბატონ ნინოს

თქვენ ეგვიპტეში უნდა გეცხოვრათ
ფარაონებს განმკარგულებლად,
სიცოცხლით სავეს შავი თვალებით
რომ იყურებით განმნადგურებლად...
ეს რა ძალა გაქვს, მგრზნებარე, ნაზი,
ჩვენთვის თვითრწმენის დასაბრუნებლად,
და სიყვარული მაგ ლამაზ ხმაში
სადიდებელი ასე ულევლად...

ხალხმა რჩეულად თქვენ აგირჩიათ
სულის საამოდ და საყურებლად,
თქვენი სახელი მუდამ იღვაწებს
ქართველთა ნიჭის საგუგუნებლად.
მილიონობით თაყვანისმცემი
სულ გეყოლებათ გამოულევლად,
სცენიდან რწმენით მადლობას ველით
ჩვენი გულების განსაკურნებლად.
ქვენ ეგვიპტეში უნდა გეცხოვრათ
ფარაონების განმკარგულებლად,
მაგ დახატული შავი თვალებით
რომ იყურები განმნადგურებლად...

სიყვარულს

სიყვარულია სიცოცხლის აზრი,
სიყვარულისთვის გულები ფეთქავს,
და სიყვარული რომ არა მწვავდეს
მას ვერ ვიტყოდი რაც უნდა მეთქვა.
სიყვარულია იმედი, რწმენა,
თავაზიანი ძალაუფლება,
სიყვარულია ბრძოლის მიზანი
მოპოვებელი თავისუფლება.
ღმერთის სიმდიდრეც სიყვარულია,
მისი მოძღვრება სულის მშვენება,
და სიყვარული რადგან არსებობს
არ გვიწერია გადაშენება.

დედას

უფრო ანგელოზს შეგადარებდი
ვიდრე დედოფალს ან მეფის შვილებს,
შენ რომ არ მყავდე დედა ძვირფასო
ამ ჩემს ტკივილებს სხვა ვინ იტირებს.
ვინ გაიხარებს ჩემით გულწრფელად
ან ჩემზე დარდით ვინ დაიძინებს,
ვინ იამაყებს ჩემი ღირსებით
ან თვალზე ცრემლით ვინ გამაცილებს...
მიყვარხარ ძლიერ უძვირფასესო
და სხვას ვერ ვხედავ რომ შეგადარო,
შენ ცალკე დგახარ და სიყვარულით
ვერ გადაგწონის მთელი სამყარო.

ისე არ წავალ

ისე არ წავალ ჩემი კვალი
არ დავარჩინო,
მინდა აზრები დღეს საჭირო
გადავარჩინო.
კეთილს სიკეთე დაუფასო
გამოვაჩინო,
და ბოროტებას ბოროტება
არ შევარჩინო.

საოცრებას

ჩემი გრძნობის საოცრებავ
გულს უყვარხარ ისე ძლიერ,
რომ ათასჯერ მოვკვდებოდი,
ათასჯერვე შენ მაგიერ.
ისე ბრწყინავს ეგ თვალები,
ისე ბრწყინავს შენი ფერი,
რომ ვერავინ შეგედრება,
ვერც ნესტანი და ვერც მერი.
შენ ბუნებამ განძად შეგქმნა
ვერ ატარებ ყელსაბამებს,
რადგან შენი გაღიმება
ყველა მათგანს აფერმკრთალებს.
და ბუნებრივს ბუნებაში
ველარ გწყდება ჩემი თვალი
შენზე ვფიქრობ, შენით წყდება
აწმყოცა და მომავალიც. . .
ჩემი გრძნობის საოცრებავ
გულს უყვარხარ, ისე ძლიერ,
რომ ათასჯერ მოვკვდებოდი,
ათასჯერვე შენს მაგიერ.

იდუმალ ძალას

მე უმუსიკოდ შემიძლია შენთან ვიცეკვო,
შენი გრძნობების გარეშეც კი შემიძლია, რომ შენ მიყვარდე,
ჩემთვის მთავარი არის გრძნობა ყოვლად ძვირფასი,
იმის გარეშეც სანატრელო ვის დაებადე.
ვინც ჩემი გულის საიდუმლოს იგრძნობს, შეიტყობს,
ვიცი და ყველა უსათუოდ მომეფერება,
დამამშვიდებენ, თანაგრძნობით შეწუხებულნი
და სიყვარული შენგან ჩემი დამეჯერება.
ლურჯი ოცნებით მოხიბლული ვივლი მანამდის,
ვიდრე შევიტყობ, რომ ლამაზო სხვაზე გათხოვდი.
მერე შევიცნობ ამ ცხოვრების იდუმალ ძალას
ღვინის გარეშე სილამაზით როგორ მათრობდი.

მზე გაბრწყინდება

მზე გაბრწყინდა. . . აღსდგა, დადგა,
საქართველოს გაზაფხული,
სულიერი აფეთქება,
ავი თვალით არნახული.
ბევრჯერ ვიყავთ წამებული,
სახვაგან გადაბარგებული,
შავად დაღამებული და
არა გადაგვარებული.
დიდება, იმ წმინდა გმირებს,
ვინც წაგვიძღვა, ვინც ეცადა,
ვინც დაეცა, მაგრამ შესძლო,
სასწაული განგვეცადა.
გვსურდა წინაპართა ვალი,
ღირსეულად მოგვეხადა,
აგვისრულდა, საქართველოს,
სახელმწიფო დაიბადა.

მაყვალა გონაშვილი – მწერალთა კავშირის თავჯდომარე

ხმა მესმა

ამოახველებს ზეცა ქარ-წვიმას,
ღრუბლის ფილტვები კვამლით აევსო,
გზა ამერია, გამჭვარტლულ ცაზე
როგორ გიპოვო, უზენაესო?
სიტყვებს წაერთვა ძალა ღვთიური,
ხმას ვეღარ გაწვდენ, ვხავი ამაოდ,
გაუდაბურდა სამოთხის ბაღიც,
მე სად გიპოვი, დიდო მამაო?
დაწყევლილ წრეში ვბრუნავ, დავყვები
ერთფეროვანი დღეების ქოროს,
ხმა მესმა: — „თუ გსურს მართლა მიპოვო,
საკუთარ გულში მეძებე მხოლოდ“.

დემო(ნ)კრატია

***„სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია
არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას.“***

თვალი სარკეა გულისაო, მეც სარკე გულის
საგულდაგულოდ გადავრაზე მწვანე ლინზებით,
გაოცებული საუკუნე გაოც-და-ერთდა,
გაუფასურდა ანდაზები, აფორიზმები,
ლექსი მავანთვის გახდა ტექსტი —
სიტყვანაკლული,
ვით ბალღი დედას, წარსულ დღეებს
გავეტირები
და მმოძღვრავს ცისფერ ეკრანიდან,
თავად ცისფერი,
ყოველდღიური უზნეობის გაკვეთილებით.
აცახცახდება ვარსკვლავების
ხომლი ცარგვალზე
თრთიან, შფოთავენ წინაპართა
წმინდა სულები
და დასცინიან მამა-პაპის გაკვალულ
გზაწვრილს
ცოდვის მორევში მცურავნი თუ
ფონს გასულები.
აღარც მე ვგავარ რწმენით, ჟინით,
ამაყ წინაპარს,
როგორც არა ჰგავს შოთას შაირს
ჩვენი ქართული
და დააბიჯებს ჩემს ქუჩებში მშვიდად, ამაყად,
დემოკრატია — სიძულვილი ნებადართული.

ღირსახსოვარი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

თვალებში სხივი, გულში რწმენა, ბეჭედზე
ჯვარი,
ვარ ბედნიერი და ურიცხვი განძის მფლობელი,
რადგანაც თითზე მზითნაფერი ბრწყინავს
ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ვეღარ ვგრძნობ მიწას, ბიწი სულის ჩამოვიბანე,
როგორ მინავლდა ატეხილი გულში ომები,
მექცა ნუგეშად და მფარველად ჯვარი ბეჭედზე,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
სამაგიეროს ვუხდი როცა გულღრძოს, ავყიას,
როდესაც სული ამევსება ლიქნით, ჭორებით,
ვგრძნობ თითზე როგორ მიმძიმდება ერთი
ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ოდეს ჩემი მზეც დასალიერს ჩაიწვერება,
და გულწრფელ ცრემლებს დამაყრიან როცა
სწორები,
ბევრს არასა გთხოვთ, ჩამატანეთ მხოლოდ
ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
ეს იმას ნიშნავს, არ წაიჩოქო,
როცა სიცოცხლე გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი,
კაცის და მიწის მძlმე უღელში.
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვიღაც ქარივით გაგაქილიკებს,
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,
ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე, სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.
იყო ერთგული დედა და ცოლი,
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.
და სხვა კეკლუცი ქალების დარად
არ შეგისრულდეს ნატვრა აროდეს,
არ იყოს ვინმე სიმარტოვიდან,
შენს დასახსნელად მოუხაროდეს.
ეს იმას ნიშნავს, არ წაიჩოქო,
როცა სიცოცხლე გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი,
კაცის და მიწის მძlმე უღელში.
არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.

ხიდი

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია უფლის რწმენა,
მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.
მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალებს ვერ ვუსწორებ,
ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
მიწიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?
თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ არ დამევსეთ,
რა ძალა გქონიათ, თვალებო,
მოძმესთან მოშუღლენო, ოქროსთან
მოშურნენო,
მტერთან მიმნდობნო და მხდალებო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის???
სანამდის ძმანო და მამანო,
ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
ჩემო დარღვეულო სამანო.
ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ.
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო
ჩემო დაფლეთილო ალამო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის დანო და დედანო,
არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
მხოლოდ სატირალში სხედანო!
სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
მტრის კარზე ვარდი და პირიმზე?
რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალით შევხედო?
ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?
უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!

ნუნუკა გურალია

შენ ჩვენი სისხლის ბორგვა ხარ

შენ ჩვენი სისხლის ბორგვა ხარ,
რთველში სიმღერა ვაზის.
გაზაფხულების სიშლეგე,
ლამაზი ნატვრისთვალი.
სულმოუთქმელი ლოცვა ხარ
ხატებთან ჩუმად თქმული,

აზვირთებული ლექსების
ფეთქვა ამაყი გულის.
სიცოცხლის აფერადება,
რთველში სიმღერა ვაზის,
სიყვარული ხარ უძირო
და წმინდა საფიცარი.

შესდექი გვედრი

თვალებს ნუ მოგჭრის სხვის
ქვეყანაში
ოქრო და ვერცხლი,
შ ე ს დ ე ქ ი გ ვ ე დ რ ი!
აქ, შენს ტაძარში ილოცე
ჩუმად,
რომ იგრძნო შენი ფესვების
სუნთქვა.

წამი წამს მისდევს

წამი წამს მისდევს, წამი
დაღლილი
და სტრიქონებში სევდა
ჩაღვრილი,
დაცარიელდა თითქოს
სამყარო
და იცრემლება ჩუმად
აპრილი.

სიჩუმე და...

გარინდება მოვა,
დაიწყება თოვა,
ისევ სიჩუმე და
სიყვარულზე გლოვა.

გათოშილი ფიფქი
და ეული მთვარე
ფიქრებს გავურბივარ
ღმერთო დამიფარე.

ლამაზ წარსულზე ვნაღვლობ

ლარნაკში დაჭკნენ თეთრი
ვარდები ,
შენ რომ მომართვი კრძალვით
და თითქოს ოდნავ ამისათუთე
გადაღალული წამი.
ჩამოიღვენთნენ სანთლებიც
ფრთხილად,
შენ რომ დაანთე ჩუმად
და ვავედრებდით ჩვენს დიდ
სიყვარულს
ორთავე ერთად უფალს.
გარდასულ დღეთა თბილი ნიავი
მოუსვენრობს და ანცობს,
მოგიგონე და თვალცრემლიანი
ლამაზ წარსულზე ვნაღვლობ.

უმალ შემაშრა

აყვავებულა ჩემს ბაღში
ჩუმად,
იასამანი თოვლივით
თეთრი
და მისი მზერით თვალებში
თითქოს
უმალ შემაშრა ობოლი
ცრემლი.

ისევ ზამთარი

თავი დახარეს ჩუმად იფნებმა,
ამაყებმა და ოდნავ ფიცხებმა.
სიცივისაგან მოთენთილებმა
და მონატრებით გადაღლილებმა,
ისევ ზამთარი, ხოდაბუნებში
ხმაჩახლეჩილი ცელქი ჩიტები,
ზეცაში მთვარის გაფაციცება
და უნიათო ღამის სიზმრები.

მანანა დანგაძე

დავიბადე ქართლის ერთ ლამაზ პროვინციაში. არ მახსოვს როდის შევიმეცნე სიტყვა სამშობლო, მაგრამ ის კი მახსოვს სულ პირველი ლექსი 12 წლის ასაკში დავწერე: "უმღერე ქვეყნად გაზაფხულს, წვიმას, ვარდობის თვეს და ლამაზ ყვავილებს, და ეს სიმღერა წაგართმევს იმას, რაც შენ გტანჯავდა.... და დაგავიწყებს. უმღერე ქვეყნად დედის სიყვარულს და შენი სულის სულ პირველ მერცხალს, შენს ტკბილ სამშობლოს, შენ ხალხს უმღერე, თუ გინდა კაცი კაცური გერქვას". ასე რომ 12 წლის ასაკში ჩემთვის სამშობლო უკვე ტკბილი ყოფილა. იქიდან მოყოლებული დღემდე ვუმღერი და ველექსები ჩემს ქვეყანას, რომელიც ჩემი პატარა ქალაქიდან იწყება და ვრცელდება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გულისტკივილით ვეფერები ჩემი ქვეყნის ჩამოგლეჯილ ტერიტორიებს, უსაყვარლესი მშობლების და წინაპრების ნათელ ხსოვნას, იმედით მავსებს შვილისა და შვილიშვილების არსებობა და მომავალი. ასეთ ყოფაში გაილია ათეული წლები. პროფესიით მუსიკოსს სულ თან დამყვებოდა ლექსის სიყვარული, რამაც მწერალთა კავშირის კარამდეც მიმიყვანა, ასევე ვარ ფაზისის აკადემიის და ჯუმბერ ლეჟავას სახ. აკადემიის წევრი.

მადლობა უფალს ყველაფრისთვის.

ოღონდაც....

არ მინდა ბრენდი, ვისკი, ჯინ-ტონიკი,
ვერც რომი და ტეკილა გავიტოლე –
ვენახი მანავით და ოჯალეშით,
უფალო, გევედრები – დამიტოვე!
არ მინდა ფურშეტი და პიკნიკ-ფართი,
ვერც შოუ, შოუმენი გავიტოლე,
თამადა მჭერმეტყველი ქრისტეს სისხლით,
უფალი, არ მომაკლო – დამიტოვე!
არ მინდა ჯიშად გადაგვარებული,
სხვის ბაგას შეფარებულს ვერ ვიტომებ,
უფალო, დამილოცე ბიბლია და
მაცხოვრის სახარება დამიტოვე!
არ მინდა ურჯულოთა კანონები,
იუდა ქრისტეს მოსვლით გამიოცე,
მამაო, გამიხარე სიცოცხლის ხე,
ლაზარეს ამაღლება დამილოცე....
მავანი ეკლესიას მედავება,
მავანი მიწის გოჯსაც არ მიტოვებს,
უფალო, ყველა ცოდვას ვაღიარებ,
ოღონდაც საქართველო დამიტოვე!

მძულხარ!

მძულხარ, როდესაც კვირტი იშლება,
ყვავილებს პენტავს ფიფქებად ქარი,
წვიმის ნაჟურით დაორსულებულ
მიწას რომ სტკივა ნამამრის კვალი.
მძულხარ, როდესაც ყველა ნაკვალევს
ზეცის ცრემლები გადარეცხს, წაშლის,
მძულხარ, როდესაც ისევ და ისევ
შეიფერება სისხლისფრად ვაშლი.
მძულხარ, როდესაც თეთრი ფიფქები
სუდარასავით მეხვევა ტანზე,
მძულხარ, როდესაც მოგონებების
კარავს გაიშლის ფიქრები ბანზე.
მძულხარ ზამთარში, მძულხარ ზაფხულში,
მძულხარ დარში და მძულხარ ავდარში,
მძულხარ, როდესაც ლექსთან ვჭიდილობ,
სტრიქონს ვატარებ ცეცხლის ღადარში.
მძულხარ უჩუმრად, მძულხარ უსიტყვოდ,
მძულხარ, როდესაც სარეცელს ვკეცავ
და სულ ერთია მზე გამიცინებს,
თუ ცრემლებს იწმენდს ღრუბლებით ზეცა....
უფალს ავხედე, ცა მოწმენდილა,
გული საგულეს კვლავ შენით ფეთქავს,
იქ, სადაც სიტყვა "მძულხარ" წამომცდა –
ყველგან "მიყვარხარ" მინდოდა მეთქვა.

როცა

როცა მაწვიმს და თოვლიც ითოვლებს,
როცა მიწყრება თავად ელია,
როცა ავბედი გაგვითითოებს,
როცა აღარსად აღარ მელიან,
როცა უკუნში ლამფა იბოლებს,
და, თუ რითმებიც შემომელია,
სისხლის წვეთებით დავწერ სტრიქონებს,
ფურცელი ჩემი ბრძოლის ველია.
როცა გაქრება ლურჯი ზღაპარია
როცა ტკივილი მზეზე მწველია,
უნდა ეძებო თავშესაფარი,
მწირის ბუნაგი, შენი კელია....
როცა გულიდან ნათქვამ სიტყვაზე
გეუბნებიან – უკვე ძველია,
როცა პასუხი არ გაქვს კითხვაზე:
ადამიანი მართლაც ჭრელია?!
როცა ლექსები გვანან სატირებს,
დღის შეფასებაც ისევ ნულია....
დამისხით, ამის დედაც ვატირე, -
გათელეს ის, რაც ფასეულია!...
მოსწორებულა ტვინში ბორცვები,
ნაოჭის ნაცვლად გლუვი ველია,
ვის უნდა შენი წმინდა ლოცვები,
ცხოვრება თურმე, ბასრი ცელია....
როცა ყოველდღე რაღაცას კარგავ,
და ვერ ფხიზლდები, როცა რთველია,
როცა წყალს აღარ დაასხამ ნარგავს,
როცა ბალიში ისევ სველია,
როცა გართმევენ მას, რაც შენია,
აღარ გაღელვებს შუქი მთვარისა,
ვერ ხვდები უკვე, რა დაგრჩენია,
და დარდმა როგორ მიგითავისა.
როცა სული გაქვს ძალზე მშიერი
და ვეღარ არჩევ მტყუანს და მართალს,
როცა გეცვლება სახე, იერი,
თითქოს შორიდან ვიღაცა გმართავს,
როცა არ ესმის შენი ახლობელს,
თვალს ვერ გისწორებს შემონაფეთებს,
როცა ჭინკები აქვე სახლობენ,
და ფილტვი ისვრის სისხლის ნაფლეთებს....
ფეხზე ჰკიდიათ შენი ტკივილი,
უგზო-უკვალოდ დაეხეტები,
ზეცას ასკდება სული კივილით,
თანაგრძნობად კი – წვიმის წვეთები.
დამისხით ღვინო, დღეს ვარ შეშლილი,
რადგან არავინ არ მყავს თავდები....
ელვა-ქუხილით გადათქეშილი,
საკუთარ სხეულს დავუზავდები....

ძველი თბილისის გახსენება

დაწაწლაობს
 მტკვრის ნაპირთან თბილისი
და გვირისტი გაატარა ღამემ,
რა საარი შემოისმა დილის ხმის,
“ტურფავ, ტურფავ” —
 მიმღერეო რამე.
სატივეზე მოხსნეს ტივებს საბელი
და არღანმა გააყრუა არე,
ფიროსმანმა მიმოხატა რა ფერით
ორთაჭალის-
 ძველი უბნის მხარე.
შეუკაზმავთ ფაეტონში ცხენები,
გლეხი ყიდის
 მის მარჩენალ ხარებს,
დუღს თბილისი
 ციებით და ცხელებით,
კინტოები თავს უკრავენ ქალებს.
ყვავილების მიწას ყიდის ვიღაცა,
იეთიმ გურჯი
 ჩამორითმავს პწკარებს,
აქ სიმღერა დაუწყია თიხასაც,
მეთარენი აკვნესებენ თარებს....
ისმის ზარი,
 ზარი ცისკრის ლოცვებად,
გალობის ხმა ეკლესიას ავსებს,
მაცხოვარი ისევ დაილოცება
და მირონი ჩაეღვრება თასებს....
გულს მაწვება დარდებად და იარად,
ისევ ისე
 იმ ძველ თბილისს ვნატრობ,
როცა
 მთლიან საქართველოს კი არა,
ყვავილების მიწას ჰყიდდნენ მარტო!



ვაჟა ეგრისელი

ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის
პრემიის ლაურიატი,
პოეტი აკადემიკოსი

მაშინ თბილისში...

მინდა ვიხილო შემოდგომა —
ჩემი სიცოცხლის, —
ჩამოხუნძლული
იმედების მწიფე ნაყოფით.
და თუ... შუა გზაზე დამეწია
ღამე ტიალი,
მაშინ თბილისში,
ჩემს მაგივრად,
ჩემი არყოფნა
და ჩემი ლანდი იხეტიალებს.

ჩემი სურვილი

მე ისევ ვდარდობ დედამიწას —
მოქსოვილს გზებით,
და ისეც ისე,
სიმაღლის და სიცოცხლის
მჯერა.
ჩემი სურვილი
კვლავ ზის რწმენის
ლამაზ ბუდეში,
იბუმბლება და ეზრდება ფრთები
და შორს გასაფრენ სივრცეებს
ზვერავს.

შენით ვიწვები

მკერდზე დავინთო შენი ზაფხული,
ვითა მზისგულზე
მდგარმა მოცხარმა,
რადგან შენი ვარ...
შემნში ვცხოვრობ...
შენით ვიწყები.
მეც, ცოტნესავით, სანამ ცოცხალ ვარ,
მამულო ჩემო!
შენს სიყვარულს
მივეფიცხები...

* * *

არავინ არ ჩანს...
დგას წუხილად
ოდა მეგრული,
მოხუც დედასაც დაწევია ღამე ტიალი.
და ეს დღეები მწუხრისკარში
ისევ გადიან...
მიტოვებულ ჩვენს ეზო-კარს რომ
დასტრიალებს
შავი ღრუბელი
მამავ,
ვიცი,
შენი დარდია.

* * *

ვის წაუღია...
მე იმ ქვეყნად
რამე წავიღო,
ვითარც მოვედი,
წავალ შიშველი.
მომენატრება შენი ერთი თვალის შევლება
და მოკვდავს,
მიქელ გაბრიელი
ვიცი მიშველის,
მაგრამ სამშობლოვ!
მითხარ უკვდავს,
რა გეშველება.

უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ

ერთხელ კი არა,
ჩვენ გვინდა ორჯერ
ყოფნა...
ქვეყნად და მივტირით.
უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ
და, მითუმეტეს სიკვდილი.
კვერს დაგიკრავენ მაღალი მთები,
ჰკითხეთ მტკვარსა და
ფაზისს,
— სამშობლოსათვის როდესაც კვდები,
სიკვდილს მაშინ აქვს ფასი.

* * *

მზე გლეხკაცივით დამშვრალი
დასასვენებლად მიწვა,
ფიქრებმა იწყეს ცრა...
ჩემი ხორცია მიწა,
ჩემი სულია ცა.

* * *

იყო დრო როს,
სიყვარული,
იმედით სხივშემოსხმული,
არ ისმოდა ხმა გამჩენის.
ახლა სხვაა, —
ცა გვფარაველობს,
ალალბედად გადარჩენილს.

სიმონ ზაქარაია

ქართველი მუდამ იყო უდრეკი

მალე განკითხვის ჟამი ეწევათ,
ჩვენი სამშობლოს მტრებს და ორგულებს...
ქართველს ხომ მუდამ ხმალი ეკავა,
ნერგს გვიკაფავდნენ ახალ დარგულებს.

ვაშა გალაქტიონს

დიდება შენ ლეგენდარულს,
აღმაფრენის ფიონს,,
“ვაშა ახალ საქართველოს”.
ვაშა გალაქტიონს.
ერთი სიმით უმღეროდი,
ალაზანს და რიონს,
ვაშა მამულს, დედაენას,
ვაშა გაქაკტიონს,
ჩვენ გიმღერით ლექსთა მეფეს,
მუზის ბაგრატიონს,
ქართულ ღვინოს მოტრფიალეს,
ბატონ გალაქტიონს.
სიდიადე მუდამ ახლავს
სვეტიცხოველს, სიონს,
მჯერა მამულს ისევ მოგვრის
ახალ გალაქტიონს...

ციხე-ტაძრები

საუკუნეებს ისევ შენათის,
ჟამთა ზარდახში გადანახული,
ალავერდი და გრემი, გელათი,
ჯვარი, ბაგრატი, ტაო, ხახული.

“ნანას” რომ მღერის დედა მტკვარია,
ქართლის აკვანი მან დაარწია,
და ცერზე დამდაგარ მთებს უხარიათ,
რომ დრო ვერაფერს აკლებს ვარძიას.

ვიცი, არასდროს გაკლდა დარბევა,
დაგიქცევია სისხლი მპყრობელთა,
მთიდან მუქარით მოქრის არაგვი,
მაგრამ მუხლს იყრის სვეტიცხოველთან.

მგზავრი დაღლილი

მზემ შემოქარგა ცის თაღზე რკალი,
და დასალიერს ჩაეშვა მკრთალი,
ღამემ იმძლავრა შთანთქა ყოველი,
გარემოს იკლებს მძვინვარე ქარი.

სოფლიდან ისმის ძაღლების ყეფა,
და ჯოხს მომწყდარი ხარის ბღავილი,
გზააბნეული ვიღაც ჩურჩულებს,
ღმერთზე ლოცულობს, მგზავრი დაღლილი.

უცებ ცის ტოტზე გამოჩნდა მთვარე,
მზის გზით მავალი მაცნე ნამდვილი,
მთის მწვერვალებზე თვალმა იხილა,
თეთრად ელვარე თოვლის მანდილი.

მინელდა ქარი, არ ჩანს ღრუბელი,
მთვარის ბრდღვიალა შუქი გამეფდა,
ყველა წარღვნა და ყველა სტიქია,
ბუნებისეულ წესრიგს დანებდა.

დრო და სიყვარული

სულისკვეთება სიყვარულისა
კი შემრჩენია უწინდელივით,
თუმცა კენტად ვარ ჩაფიქრებული
ისევ ფიქრთან ვარ განუყოფელი,
ჩემი სიმღერის, დიდი სათავე
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია,
აქაობაში სულის სავანეს
ჩასაფრებულა წუთისოფელი.

ღმერთის განგებით ხდება ყოველი

უკვდავებიდან – უკვდავებამდე,
ჟამთა სრბოლაში მიჰქრის ცხოვრება.
კაცობრიობა მუდამ ბობოქრობს,
და ვულკანივით ფეთქავს გონება.
ამ დიდ სამყაროს ყველა კიდური,
სულის გარშემო ტრიალებს მარად.
ცეცხლი, სინათლე, ჰაერი წყალი,
განგებამ ტკბილად მეც შემაყვარა.
ახლა მოვედით, ისევ მივდივართ,
აბა მუდმივად არის რომელი?
ასე იყო და ასე იქნება
ღმერთის განგებით ხდება ყოველი.

ქართველი მუდამ იყო უდრეკი

მალე განკითხვის ჟამი ეწევათ,
ჩვენი სამშობლოს მტრებს და ორგულებს...
ქართველს ხომ მუდამ ხმალი ეკავა,
ნერგს გვიკაფავდნენ ახალ დარგულებს.

მაშ გაუმარჯოს

მხოლოდ ერთობის ბურჯი გაკვალავს,
ამ წუთისოფლის გაუვალ წყვდიადს,
და გაუმარჯოს ყოფას მეგობრულს,
სამყაროსავით ნათელს და დიადს.

ამ დიდ სიკეთეს სულთა ერთობას,
მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სიბრძნე ახლავს.
ჩვენს მეგობრობას, ლამპარს ანთებულს,
ჩვენს ბედში მყოფი მდევარი ნახავს.

უზენაესი გრძნობის მორევში,
მიცურავს ჩვენი გემი ერთობის...
ის სხვა ქარავანს არ ჩამორჩება,
კურთხევა ახლავს მარადისობის.

მაშ, გაუმარჯოს უკვდავ სიმბოლოს,
სამშობლოს ორგულთ გულს რომ უბზარავს,
გრძნობის ჰანგებით ანთებულ სულებს,
რომ დაამშვენებს ოქროს მუზარადს.

***

არც ცამ გვშვა და არც მიწამ
სულ სხვამ ბრძანა გაჩენა,
ვინც განაგებს სამყაროს
მან ქვეყანა გვაჩვენა.

ჩვენ აქ მოსვლას ვინ გკითხავს,
ან მუდმივად დარჩენას.
ვეღარასდროს იხილავ,
შენს გამჩენს და მარჩენალს.

არასოდეს ყოფილა,
წაქცეული დახსნილი...
და არც ვინმეს სმენია
აუხსნელი ახსნილი.

მოსვლა - წასვლა ამ ქვეყნად
არის გაუგებარი,
ვიბადებით უფლისგან,
ვკვდებით ნაამაგარი.

სულის ოცნება

მე იქვე ვდგავარ სადაც გამიცან,
და მანდ მიპოვი თვალებცრემლიანს.
დავმსგავსებულვარ შიშნარევ ბალახს,
რომ ელოდება მთიბავს ცელიანს.
იმედით ვუმზერ ხვალინდელ ამინდს,
ჟუჟუნა წვიმას ჩუმს და ნამიანს,
თუმცა არ მოჩანს ღრუბელი ცაზე,
ვინ მეტყვის ნუგეშს, სიტყვას ჯანიანს.
ვის ველოდები? არვის გავუმხელ
და არც მომავალს მივანდობ იმას,
ისევ და ისევ ვდგავარ და ვფიქრობ,
ველოდო იმედს, ჟუჟუნა წვიმას!
მეც მიკვირს, იმედს არასდროს ვკარგავ,
მზერას არ ვაკლებ ციმციმა ვარსკვლავს,
ხომ უნდა დადგეს იგი დღე ჩემთვის,
ჟუჟუნა წვიმის ვეფერო ნაწნავს.
წლები გარბიან, ჟამიც იცვლება,
მშრალი ქარები ფოთლებს მაცლიან,
იმედი თუმცა წამით არ მტოვებს,
ჰოდა იმედის ქურქი მაცვია.

ზაურ ნოზაძე

ჩემი ღმერთი პოეზიაა...

ჩემში ღმერთის და პოეზიის ღმერთის ჭიდილია... არა ჩემია ეს კაცი და არა ჩემიაო, არცერთს არ ეთმობა ჩემი თავი, ძლიერია ღმერთი, მაგრამ არანალკებ ძლიერია პოეზიის ღმერთი, მე პოეზიის ღმერთის მხარის დამჭერი ვარ. ამიტომ ღმერთი გზა-კვალს მიბნევს... დამათრევს ქვეყნიდან ქვეყანაში, ხან ძმარს მადენს ცხვირიდან და ხან სისხლს... მემუქრება: - ცოცხალს არ დაგარჩენო...

პოეზიის ღმერთის იმედი მაქვს... ათასნაირი ხერხებით ცდილობს ჩემს გადარჩენას... მუდამ ჩემთან არის... სურათებს მაჩვენებს: - აბა ამოირჩიე, რომელი მოგწონსო, არჩევანში შევყავარ... სახეები, შედარებები, და ვინ იცის რამდენი რამ გამოფენილი აქვს ჩემს თვალწინ... ღმერთი ედავება: - ნუ ათამამებ, მაგას ის ურჩევნია დღე და ღამ ილოცოს, ეკლესიაში იაროს და სანთლები აანთოსო...

- ამ კაცის ლექსები და პოემები ლოცვაც არის და ანთებული სანთლებიცო - ჩაუღიმილებს ხოლმე პოეზიის ღმერთი...

... ვნახოთო... ვნახოთო... ბუბუნებს ღმერთი და კიდევ უფრო უარეს განსაცდელს მიმზადებს...

... არ ვიცი, როგორი რკინისაგან ვარ ნაჭედი...

გავუძლებ კი? . .

სულის ჭიქა

მართალი რომ ვთქვა ზეპირად მახსოვს,
დღემდე რაც ლექსი მიღიღინია,
რადგან ყოველი რითმა და ასო,
სულის ჭიქიდან გადმოღვრილია,
თუ მესტუმრება ხანდახან იჭვად,
შევძლებ? ვერ შევძლებ? ვაითუ იქნებ?
აქარიშხლდება აზრი და სიტყვა,
და შორს განდევნის ამნაირ კითხვებს,
ბედნიერი ვარ, მზეს ვუმზერ მცხუნვარს,
და მიწას ვკოცნი ცხელი ტუჩებით,
ცოცხალი თუ ვარ და კაცი თუ ვარ,
ხან სიდინჯით და ხან გაურჩებით,
ეკალ-ბარდნიანს მოვყვები შარას,
უვარსკლავოს და რიყის ქვებიანს,
ბევრჯერ ეგ შენი უკმეხი არა,
ხმაურში „ხოთაც" მომჩვენებია.
ვშრომობ, ხარაჩო მართმევს საათებს,
მაინც არ იტეხს ლექსი იხტიბარს,
შენთან პირნათლად მამასლაათებს
შრომით და ლექსით წვეთ-წვეთ ვიხდი ვალს.

ლოდი

ჰპ, რა ხმა ისმის, ცარგვალი გრგვინავს
ათასნაირი ფერი ფერფურობს,
მსურს დავამსხვრიო დუმილის მინა
და ცაზე ერთ წუთს მეც ვიმეფურო.
ტორტმანებს მიწა, მშობელი მიწა
დააბოტებენ შავი ლანდები,
ძალამ, რომელიც სხეულში იწვა
ააგრიგალა გულში ნადები.
ცად აზიდული მთებიც მიხმობენ
თმადათოვლილი მწვერვალებისკენ,
გრძნობებს მიშლიან კი არ მიხშობენ
მომიწოდებენ მღელვარებისკენ.
ახალი ფიქრი გახედავს სივრცეს,
სივრცე სივრცეში შეიტბორება,
რწმენა იმედებს სიმხნევეს მისცემს
გაშლიან აფრებს ნიამორები.
ქარი, რომელიც აქამდე ქროდა
სულ გაგიჟდა და უმატებს ქროლვას,
დაიწყებს გზნება სხეულში ბორგვას
შავი ფერიდან მზის ფერად ბროლვას.
შიშნეულ ღელვის გამქრალა ბზარი.
დარის ფოთლები მღერიან თრთოლვით,
შორს გათენების დარეკეს ზარი
და ხმა მოიჭრა სიამის ქროლვით.
გზაჯვარედინთან არა დგას მწყემსი,
რომ გაარკვიოს საით წავიდეს,
ფიქრი ცაზეა ამონაკემსი
და ნაფიქრალი ეტრფის ხვალის დღეს.
გადაღება ზეცის კარიბჭე
და ჩამოკიდეს ციური კიბე,
იქნება დღესვე ცაში აიჭრა
და ვარსკვლავები გუნდ-გუნდად კრიფო.
აღარ მივკვნესი გარდასულ დროჟამს
და მომავალით თავს გავიმხნევებ,
მეც იქ გავჩნდები, მგოსნები როცა
სუფრას გაშლიან და მოილხენენ.
მზეს ხელში აღარ შევაჩერდები,
აღარ დავუწყებ იმედებს ლოდინს,
გამათვოვს სული ნახავერდები
უკვე გამტყდარა ფარსაგი ლოდი.

ხვანი

ვუძღვნი ბეჟან ხარაიშვილის ნათელ ხსოვნას

უახლოვდება ნათელი კორტოხს,
ეს იმერული პეიზაჟია,
მიჰყვება თვალი ხევსა და ორწოხს,
როგორც სიცოცხლის შავი არშია...
ზეცაში უცებ ფითრდება სხვენი,
შეეპარება სევდა ბორიულს,
და გადმოხედავს მღვიძარე ხვანი
გზას სამარქაფოს, გზას ისტორიულს...
თუმცა გამოდგა ბედი გულცივი,
თვალზე ცრემლები ჯერ არ შემშრალა,
ძირულის პირთან მხარზე ხურჯინით
წელში გამართულს ვხედავ ბეჟანას...
მარტო ძირულით კი არა ხვანო,
ტკბილი ხმა ახლაც რომ მეყურება,
კაი პოეტის სიცოცხლით ვხარობ,
მისი საფლავი აქ მეგულება.

ქეთევან ნათელაძე



ნუ გაგიტკბება!..

მე ჯერჯერობით უშენობას არ გავუტყდები,
და მე ხომ ვიცი,უშენობაც არ გამიტყდება,
კვლავ აიშალნენ ვარსკვლავები-ზეცის ფუტკრები,
ჩემი ლოდინი ხანმოკლეა,ნუ გაგიტკბება!..
მზე ზედ აეკრო დედამიწას ცხელი თითებით,
ცა ავჭერი და დავარიგე სიზმრის კარტებად,
და ბრჭყვიალებდნენ ძველ ფურცლებზე ჩემი რითმები,
ელვანამკრთალებ და მზეჩაღვრილ ბრილიანტებად.

ღრუბლის იალქნებს ნაპირებთან ქარი არწევდა,
და მოხუცივით მარტოსული იდგა ჩინარი,
შემოვარღვიე გაზაფხული ხეებს ტანზე და,
მე გაზაფხული ვითავისე ნაქორწილარი.
სული ისეთი ამაყია,აღარ ევნება,
თუმცა ნაკვერჩხლად ელავდა და ფერფლად
დანაცრეს,
მზე დავაწურე დედამიწას ოქროს მტევნებად,
და დაბნეულმა პლანეტებმა წაიბარბაცეს.
გამოვითხოვე პატიება ჩავლილ დღეებთან,
ვიმარტოვე და მოვიმტკივნე წასვლა მთვარეთი,
ცა დავადაბლე ჩემი სულის სიმაღლეებთან,
მზე გავახუნე ჩემი ლექსის სიმხურვალეთი.
და მივითვისე მდუმარება სილუეტების,
სული ტყდებოდა ციხეებად და გისოსებად,
და მიცურავდნენ ჰორიზონტზე თეთრი
გედები,
გამხდარ თითებში გაელვებულ პაპიროსებად.
მე ჯერჯერობით უშენობას არ გავუტყდები,
და მე ხომ ვიცი, უშენობაც არ გამიტყდება,
კვლავ აიშალნენ ვარსკვლავები- ზეცის
ფუტკრები,
ჩემი ლოდინი ხანმოკლეა,ნუ გაგიტკბება!..

კაფე-'' მარკო პოლო''

ჩვენი ჩრდილები გუშინ და წინათ,
ვიდოდნენ ერთად ქარებზეც ჩქარე,
და რუსთაველზე უკრავდა წვიმა,
ფოთლების ტაშით ცეცხლჩამდგარ ქარებს.
ქაშუეთიდან რეკავდა ზარი,
მე ტანზე შენი თვალები მეცვა,
და მთვარე,როგორც წასული ქმარი,
ამოირეცხა გულიდან ზეცამ.
მთვრალი ქუჩები ყვინთავდნენ მტკვარში,
ჩვენ გვსურდა ზეცა, ჩვენ მეტი გვსურდა,
და მათხოვრობდა სიყვარულს ბავშვი,
გამვლელები კი უყრიდნენ ხურდას.
ეს იყო წინათ,ეს იყო გუშინ,
შეხვედრის,ანდაც გაჩენის დღიდან,
იდგა აპრილი ღმერთსავსე სულში,
და რუსთაველზე ივლისი იდგა.
გდარდობ და გფიქრობ, გფიქრობ და დარდობ,
ხომ არ იყავი ჩვენება დილის,
ხომ ვუკითხავდით მირზას და ლადოს,
მზისფერ სტროფებით სისხლგამთბარ
თბილისს.
ყელზე წვიმები შემაბი მძივად,
და სადღაც გაქრა, ვით ლექსი ბოლო,
ის '' მარკო პოლო'', ზაფხული, წვიმა,
წვიმა,ზაფხული და ''მარკო პოლო''.
გავლენ, ჰო, გავლენ უკვალ-უქაროდ,
დღეები,ვითარც წკრიალი ბროლის,
ჩვენ როგორ შევხვდით ასე უბრალოდ,
ამდენ ბატონს და ქალბატონს შორის!
ეს იყო წინათ, ეს იყო გუშინ,
შეხვედრის, ანდაც გაჩენის დღიდან,
იდგა აპრილი ღმერთსავსე სულში,
და რუსთაველზე ივლისი იდგა.

ფიქრის გოგო
(დედას)

დე,რაღაც წერა ამიჩემდა დაუფარავად,
ვიღებ კალამს და წერას ისევ ხელი მივყავი,
წავალ დე წავალ, გასაკვირი სულაც არაა,
მუდამ ასეთი ცის და ფიქრის გოგო ვიყავი.
მთვარის ელვაში დაკრძალავენ ცრემლებს
თვალები,
სული უცაბედ გზის სიშორით ვიცი შეცბება,
წავალ დე, წავალ, ცის სიწმინდეს ნაზიარები,
და როგორც გსურდა, თოვლის თეთრი კაბა
მეცმევა.
მტვრიან წიგნებში შემორჩება ჩემი ლექსები,
დამთავრდება და დაიწყება რაღაც ახლიდან,
წავალ დე და ხვალ მზის სხივებთან
ნაალერსები,
ჩემი ბავშვობა ფეხს აიდგამს ჩვენი სახლიდან.
წავალ დე,რაღაც ამინდებიც ისე ირევა,
ვეღარ გაუძლებს ვიცი გული ამ მოლოდინებს,
და ერთადერთი თუკი ვინმეს აეტირება,
აგეტირებათ დე შენ და ჩემს ლამაზ
თოჯინებს.
წავალ დე, წავალ, თუმცა ჩემს წინ ბევრი
ვერსია,
წავალ და ვიცი, შენი ცრემლიც ვეღარ
დამიშლის,
წავალ და ვიცი დაიდარდებ,როგორც წესია,
შენს ნაფერებ და ხელისგულზე გაზრდილ
ქალიშვილს.
წავალ დე,წავალ,ყველა მიდის, ნუ გწყინს, კაი რა,
გამყვება ხიდან მოწყვეტილი ფოთლის
ფიქრები,
წავალ დე, წავალ და ვიცი, რომ ხვალ
შენნაირად,
მეც ჩემნაირი ფიქრის გოგოს დედა ვიქნები.

ისევ გადმოვხედოთ თბილისს მთაწმინდიდან...

ქარი გვირილების კაბად ვაუთოვოთ,
ჩვენი ოცნებების ვჩანდეთ მეცხრე ციდან,
ყველა ათასწლეულს ფიქრად დავუტოვოთ,
ჩვენი სიყვარული – თეთრი სერაფიტა.
დარდი დავაღამოთ,დღე რომ ნისლიანობს,
მზეც ხომ ამოზრდილა ღრუბლის ფესვებიდან,
ქრისტეს ნაჯვარცმალი სული ვიზიაროთ,
ცაში შევაღწიოთ მწუხარ ფრესკებიდან.
ლოცვა ღვთისმშობელის აგვყვეს თვალებიდან,
გავცდეთ ჰორიზონტებს მიტრალ ნოტებივით,
სულაც მტვერი ვიყოთ წიგნზე გრანელის და,
სულაც დავიკარგოთ ანას ფოთლებივით.
სიტყვა ''მიყვარხარ''-ში სული ჩავატიოთ,
ისე გავიწვიმოთ, როგორც გაგვიწვიმდა,
მთვარე მივუტანოთ ლექსად გალაკტიონს,
ისევ გადმოვხედოთ თბილისს მთაწმინდიდან.

2012 – წ.

ლიანა ოსიაშვილი-ჟელიქიძე

დედას

(ვარა მამამთავრიშვილ-ოსიაშვილს)

შენ შენს დიდ გზაზე წახველი დედა,
გზას გინათებდა წმინდა სანთელი,
მას შემდეგ ვის არ მივენდე ბედად,
ვერვინ გამიგო შენებრ სათქმელი.
რა აღარ მოხდა მას შემდეგ დედა,
მართლაც, რა უღვთოდ, მეფობენ დრონი,
რამ გაგაცია, რამ დაგადუმა,
მასეთი თბილი გულის პატრონი.
ახლაც თავზარს მცემს, თუნდაც ხან, წამით,
როცა ფიქრებში კითხვები ჩნდება:
იქნებ, მეშველა რამე, სხვა წამლით,
და ვერ მიგიხვდი, ძვირფასო დედა.
მე ახლა გიგებ, იმ ძლიერ ტკივილს,
რასაც ის შენი მზერა ამხელდა,
როცა შენც, მაშინ, იყავ ჩემს დღეში,
გენატრებოდა შენ შენი დედა.
შენ თავს მახსენებს, ვესალბუნები,
შენს ხელშენავლებ, ნივთიერ რამეს,
ბედნიერია ჩემთვის ის დილა,
სიზმარში განახავ, როცა იმ ღამეს.
ფეხი რამეზე რომ წამომეკრა,
მახსოვს, თვალებში, რომ გედგა ელდა,
ერთ დროს, უშენოდ ვერ ვიძინებდი,
ახლა სად გძინავს, ძვირფასო დედა
არ ბეზრდებოდი, ჩემს უმწეობით,
ჩემი ალერსით, ზრუნვით და მოვლით,
ზედ გულზე მაწევს, მაგ შენს საფლავზე,
ჩამოწოლილი, წვიმა და თოვლი.
ალბათ ღელავდი, პირველ ნაბიჯზე,
წასაქცევად რომ გადავიხარე,
ხომ არ მემდური, დედა, ძვირფასო,
ამაგი რომ ვერ გადაგიხადე.
დედაშვილური ასე უმწიკვლო,
ამხელა სითბო როგორ გაიღე,
წუთისოფლიდან, თუნდ ბოლო წამის,
ტკივილის გარდა სხვა რა წაიღე.
სიცილის უკან დამიმალია
რამდენი ტანჯვა, რამდენი ელდა,
რად გამიციე საფლავთან ერთად
შენი იმედი ძვირფასო დედა.
და ახლა, როცა უღვთო სამყარო,
სამარადჟამოდ ჩვენს შუა დგება,
ტკივილი როგორც წამომაჩოქებს,
კვლავ შენ მოგიხმობ: - მიშველე დედა.
მე ახლა უკვე შენი ხნისა ვარ,
მტანჯველი განცდა გულში თუ მწვდება,
როცა ცრემლები მახრჩობენ მწარე,
შენებრ ვერავინ ვერ მშველის დედა.
ნაფრთიანები როდესაც გყავდი,
რად არ ვფიქრობდი ამ დღეზე ნეტა,
ოდესღაც, რომ არ მეყოლებოდი,
რად არ მჯეროდა იმხანად დედა.
მოგფერებოდი, დაგშურებოდი,
დღეს სინანული ეკლად რომ მხვდება,
დაგეძებ ფიქრში, მაგრამ ამაოდ,
შენს ნაცვლად შენი სამარე მხვდება.
როგორ ძლიერი ვიყავი მაშინ,
იმედი შენი აჩრდილად მედგა,

ის შენი თავზე ხელის გადასმა,
მთლად ამ სამყაროდ მიღირდა დედა.
მიყვარდი, ღვთიურ მშვენიერებით,
გაციკროვნებდა სამოსთა ფერი,
შენსავით არვინ არ მეფერება,
ახლა სუყველას მე ვეფერები.
მიტომ არა ვთვლი კადნიერებად,
ასეთ ფიქრს, რასაც ჯიქურად ვბედავ,
რომ ვგმობ ბუნების ამ შემცდარ კანონს –
შენი თავი რომ მომიკლა დედა.
მონატრებაში, ფუჭ ოცნებებში,
დღენი რამდენი უხმოდ ბინდდება,
და ვეხეთქები ჩიტივით კედლებს,
შენთან ჭუკჭუკი რომ მომინდება.
შენ, შენს დიდ გზაზე წახველი დედა,
აღარ ჩაგესმის ჩემი კივილი,
მას შემდეგ ვის არ მივენდე ბედად,
ვერვინ გამიგო შენებრ ტკივილი.
ამიტომაც მაქვს სულ განსაცდელი,
როცა წინ შენი სახე მიდგება,
და ვერ გივიწყებ, ფიქრში ტრიალებ,
მიწადქცეულო, ძვირფასო დედა!...

ჩიტის ბდღვნასა ჰგავს...

უამრავ კითხვებს ჰბადებს ბუნება
სასწაულია ათასი რამე,
როდიდან იშვა კაცის გზა ნეტავ,
დღისით შეიქმნა თუ იგი ღამე,
დოგმის გარეშეც წუთისოფელი
უსვამს წერტილებს დიდს, ხან პატარებს,
ჩიტის ბდღვნასა ჰგავს კაცის სიცოცხლე,
ისეც ნახევრს ძილში ატარებს,
ხან დაყვავება, გრძნობების ჩენა,
თავზარდამცემი წუთებიც დგება,
ნეტავი ღირდა კაცის გაჩნა –
რადგან იცის, რომ ბოლოსა კვდება?

იდუმალება

საუკუნეს ბევრი უთქვამს,
ბევრზე ბევრი – ზოგჯერ ერთ წამს,
იმ ქვეყნისა როგორ მწამდეს,
ამ ქვეყნისა ზოგჯერ არ მწამს.
ჰოდა, მიკვირს, უძლურებით
როს კაცი თავს სიკვდილს უთმობს,
მისიანებს ბოლო წუთზე
იმ ქვეყნიდან, როგორ უხმობს?!...

წვლილი

მთელი ცხოვრება ნეტავ რა დათვლის
გული ბოღმისგან რამდენჯერ კრთება,
სულ ერთადერთხელ ადამიანი,
სულ ერთადერთხელ, ბოლოსა კვდება.
შეიცხადებენ მოკვდავნი თითქოს,
გულგამგმირავად ლამის წივიან;
მიცვალებულის მიცვალებაში
ვინ დათვლის, იქ მყოფთ, ვის რა წვლილი აქვს...

ოდესმე კაცთა

საღამო იყო მეწამულ ფერში
გულანთებული იდგა ტაძარი,
მუხლზე მოვექეცი, ვემთხვიე მიწას
და სათხოვარი ფიქრში დავძარი.
ღია სარკმლიდან ქვებიდან ქვებზე
მკრთალი სხივები გაკრთოდა ხევში,
ხოლო შანდლები, სამრეკლოს ხმებზე,
კედლებს ეკვროდნენ სანთლებით ხელში.
ცეცხლი მცირედი, ბჭობდა თვის ვარამს
ხსნად მოვლენოდა ღვთიური კალთა,
თვალწინ გავივლე შესაწირავად
რაც კი აენთოთ ოდესმე კაცთა.
კედლებზე ხატებს გაეხსნათ შუბლი
და თანაგრძნობით უმზერდნენ სანთლებს,
ჟამგადახდილნი ჩვეულ სიდინჯით,
გულს იმარხავდნენ ყოველგვარ სათქმელს.
სანთლები ცეცხლის უხმო მუდარით
იდუმალ სთხოვდნენ გულებჩამწვარი,
თითქმის ბორგავდა ცისკენ მზირალი
ქრისტიანული წმინდა ტაძარი.
ღმერთი ერთია, ხოლო სანთლები
შესაწირავი, ფიფქივით თოვდა,
მე შევავედრე შევრდომა მისი:
ვინც ქართულ მოდგმის ზეობას სთხოვდა.



ელგუჯა სხირტლაძე

პროფესიით იურისტი.
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის
მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის წევრი.

* * *

მებრძოლე,
სადამდეც გინდა,
მებრძოლე!...
მესროლე,
რამდენიც გინდა მესროლე!....
დაჯიჯგნე,
ეს ჩემი გული დაჯიჯგნე!...
ვერ ხვდები?!
მე, სული უფალს დაუნთე.
არ წარვიკვეთავ სასოს ჯინაზე,
მთლად, რომ სამყარო დასცე ყირაზე.
რით ვერ გაიგე,
ბედო უმოწყალოვ!...
მე, კაცად მოველ დედამიწაზე!

* * *

რა უღიმღამოდ გარბიან წლები,
დადუმებულა ცხოვრება თითქოს,
სულში ზამთარი დაბუდებულა,
და, გაზაფხულის შველას მოითხოვს.
როგორც გასხლილი ვაზის ლერწმიდან,
სისხლის ცრემლები, იარებს მილბობს,
და, ზამთრისაგან ხავს მოდებული,
ჩემსავე თვალწინ, მოვხუცდი თითქოს.

* * *

თუ მესვრი, პირდაპირ გულში მიმიზნე,
მუხანათურად, რად დამზდევ უკან,
თავადაც იცი, ყველა, ღმერთს მივანდე,
დე, ისე იყოს, მას როგორც უნდა.
ვერას დამაკლებ, ბედო უმოწყალოვ,
მზად ვარ ვიცოდე, გებრძოლო მუდამ,
დამიხვდე, ყველა დროის გზაჯვარედინზე,
ნაბიჯითაც, კი ვერ დამხევ უკან.
ვერას წამართმევ, მივეცი უკვე,
გული სიყვარულს, სული კი უფალს,
ვერ დამიმონებ, მთელი სამყარო,
შავი ბარხატით შემოსო თუნდაც.
ჩემი ტკივილით, თავად შენ დაგღლი,
მე, შევეჩვიე, მარტოობის ნაცნობ ტკივილსაც,
ეს, ადრე იყო, ზეცას რო სძრავდა,
კვნესა, გოდება, ჩემი სულისა.
შენს წასაღებად, არას ვიტოვებ,
მე, გაურიგდი უფალს, მერმისად,
მთელ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს ვუთმობ,
ჩემს სიყვარულთან, ღამის ჯერისად.

* * *

ნეტავ სადა ხარ ბედნიერო,
ჩემო ორეულო,
ოდესღაც ძლიერო,კადნიერო,
ცოდვას მორეულო,
ღვთის მოშიშო,სიმართლისთვის,
მახვილ მოღებულო,
ჩემსგან განსხვავებით,სიკეთეში,
გზა-კვალ არეულო,
კეთილშობილების,უანგარო,
ტკბილო მზარეულო,
როგორ მომენატრე,ჩემი ცოდვით,
ფუჭად გაბნეულო,
ჩემო ორეულო,მაგრამ ჩემგან,
უკვე შორეულო.

* * *

სიტყვით მნათეო,გამანათე,
მე უღირსს,გაბრიელობა დამანათლე,
ძალაც მომეცი,რომ გავუმკლავდე,
ცოდვებს,რომელიც ამდენი ვნახე.
მომეცი,განცდა სინანულისა,
ამ გრძნობით ვივლი საიქიომდე,
იქნებ,როგორმე მდუღარე ცრემლით,
გზა გავიკვლიო გოლგოთს ბოლომდე.
იქნებ მეც გავხდე,ღირსი სინათლის,
მცირედით მაინც, შორიდან გნახო,
შენს ხელს,თუ არა,შენს კალთას მაინც,
მოკრძალებულმა,ხელი შევახო...

დედას

როგორ მენატრები,ეს ღმერთმა იცის,
როგორ მენატრება,შენს მკერდზე ტირილი,
ნატრული გავხდი,შენი ჩახუტების,
წყეული ცხოვრება,ყოფილა ირიბი.
წასულა ბავშვობა,მისდევენ დღეები,
ვინ მოსთვლის,რამდენჯერ აყვავდნენ ხეები,
დავღალე ეგ გული,ლოდინით დავღალე,
დავაჭკნე,ესოდენ ლამაზი ხელები.
გასცქერი სარკმლიდან,დაღალულ თვალებით,
ლოცულობ ყოველ დღე,ანთებულ სანთელით,
რომ შვილთან შეხვედრას დაადგეს საშველი,
და მოსულ გაზაფხულს გაჰყურებ ნაღველით.

* * *

მერამდენედ გაზაფხულდა უშენოდ,
მერამდენედ აყვავილდა ნუში.
დრო,კი ისე შეუმჩნევლად გაქრა,
თითქოს გუშინ,ჩაგიკარი მკერდში,
თითქოს იყო ყველაფერი გუშინ.
თითქოს გუშინ,საწადელი ახდა,
და,დღევანდელ ყვავილების ეშხში,
გუშინდელი მოგონება ჩარჩა...

მე მაპატიე...

მე მაპატიე, ეს თავბრუს ხვევა,
და გულს ტკივილი,რაც მოგაყენე,
მე მაპატიე, ეს სიყვარული.
გაზაფხულივით კარს მოგაყენე.
მე მაპატიე, არ მაქვს უფლება,
არც სიყვარულის, არც შენთან ყოფნის,
და, რომ არც ახსნის უფლება არ მაქვს.
და, რომ არც ახსნის სიმხნევე მყოფნის.
გაფრენილ ტყვიას ვერ დააბრუნებ,
არვის ადარდებს სიზმარი ჩემი,
ალბათ ტყუილად მივენდე უფალს,
მონატრებული,გადანაჩვევი.
და ეს ფიქრები,ღამე ნათევი,
თვით წამებაზეც კიდევ მეტია,
უშენოდ ჩემში მოკვდება რწმენა,
შენი თვალები,ჩემთვის ღმერთია.
უშენოდ ყველა გამვლელი ქრება,
და სულში ისევ, მხოლოდ ლოდია,
მე მაპატიე დუღილი სისხლის,
და სიყვარულის ეს მელოდია.

დავით ტიგინაშვილი

***

დოლი დაჰკარით, დუდუკების ჰანგით დამატკბეთ....
რამეს დავიკლებ? არც იფიქროთ, ეგღა მაკლია,
მოდი, სიცოცხლევ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ,
ამ ცხოვრებაში უკეთესი, აბა რა ყრია....
მოდი, მეარღნევ, ააკვნესე ტკბილი ჰანგები,
ვინ რას გაგვატანს, ყველაფერი ბოლოს ფუჭია,
გულს ნუ აბღავლებთ, ძმაკაცებო, ფული დახარჯეთ....
ძმობას ვფიცავარ, ფული? ფული ხელის ჭუჭყია.
ფულიანებო, პურ-მარილის მადლით იცხოვრეთ,
დიდმა სიმდიდრემ იცის ძმებო, გულის დახანჯვლა,
ფული მხარჯველებს უნდა გვქონედს, ძუნწ კაცს რად უნდა,
როგორ გვიხდება პურ-მარილში ფულის დახარჯვა.
ერთიც დაასხით, დუდუკები სანამ ტირიან:
ღმერთო მაღალო, გულისსწორი, სატრფო მიცოცხლე
გავიყიდები, სიყვარულო, შენი გულისთვის,
ოღონდ ცოტა ხანს გაგახარო, ჩემო სიცოცხლევ.
ღვინო დამისხით, დუდუკების ჰანგით დამათვრეთ,
ქართული სუფრის სურნელებით გადამარჩინეთ.
ღმერთი არა ხარ?! ეს ოხერი ფული, მაცდური....
მაშოვნინე და სიყვარულში დამახარჯვინე.

არაგვის პირზე ფშაველო

არაგვის პირზე ფშაველო,
დამაკრეფინა მოცხარი,
ნეტავი დღესაც მგოსანო,
შენ ყოფილიყავ ცოცხალი.
წუხელის ლომო სიზმარში
ბალახ-ბულახი გეყარა,
ვაიმე, როგორ სჭირდები
ამ გზააბნეულ ქვეყანას.
არაგვის პირზე ფშაველო,
ბადეს ამოჰყვა ცოცხალი,
დაქცეულიყო ქვეყანა,
შენ ყოფილიყავ ცოცხალი.

ღვინოზე უარს ვინ ამბობს

ღვინოზე უარს ვინ ამბობს,
ვინ დარჩა დაუთრობელი,
მითხარით როგორ მოირგეთ
ძმებო, ეს წუთისოფელი.
დაასხით.... ზოგი ისეთი
წავიდა, მართლა მთა იყო,
დაასხით.... ვინც ამ ქვეყნიდან
ერთი შაური წაიღოს!....
დაასხით, სანამ ეშხზე ვარ
ერთმანეთს კვლავ გავუღიმოთ,
დაასხით.... ამ ქვეყნისაც და
იმ სამოთხისაც, უღვინოდ!

საით მიდიხარ ქვეყანავ

საით მიდიხარ ქვეყანავ,
ნეტავი საით სწრაფობ.
დროზე დადუღდი კახურო,
რომ ბოღმით დაგეწაფო....
ცრემლებს მოაფრქვევს არაგვი,
გულს ყვავ-ყორანი მკაწრის.
ბერმუხავ, მტერი ფესვს გიღრღნის
და მწვანე ფოთლებს გაცლის.
წუხელის გათენებამდე
წმინდა სანთელი გენთო,
რა ცოდო მადლი ტრიალებს
საქართველოში ღმერთო.
რა ვუთხართ შთამომავლობას,
დაიგუგუნეთ მთებო.
გამოდით ძილბურანიდან,
გამოიღვიძეთ ძმებო!...
პაატასავით მოგბღავი
ჩამოგლეჯილო მიწავ.
ხომ არ შეგცივდათ ცხინვალო,
ჩემო ლამაზო რიწავ.

გაუძელ დედავ ტყვეობას,
არ გაიტეხო გული,
ღმერთმა დასწყევლოს შენს ველზე
მტრისგან ნათესი პური!..
წამოვაყენოთ მამული,
როგორც წიქარა ხარი,
მტერს ერთხელ კიდევ ვაგემოთ
დაჟანგებული ხმალი....
ქრისტეს სისხლიდან მოვდივართ
და დღესაც ვანთებთ სანთელს,
საქართველოში ვერავინ
ვერ ამოძირკვავს ქართველს.
ნუ ახარხარებთ სატანას,
აქ უნდა დავიმარხოთ,
პატივი ეცით უფალს და
დედაღვისმშობელს ხალხო.
აღსდექით ღმერთმა შეგვინდო,
ჩემო ლომთმოდგმავ ერთო,
შენ დაგვიფარე უფალო,
გაგვაძლიერე ღმერთო!...

როცა დუდუკი ტირის

როცა დუდუკი ტირის
და ამ ღვთიურ
გალობას ვუსმენ
ასე მგონია, სამშობლოდან
ტყვედაყრილი, მონობაში
გადასახვეწად მიმავალ ჩემი
დიდ წინაპრის ჩარდახიან
ურემს ბედად,
შემთხვევით ჩამოვვარდი,
რათა ობლობაში გაზრდილს
და შენზე მონატრებულს
უფრო მადლიანად მემღერა,
ჩემო საქართველო!....

ქარი ქრის, ჩემსკენ გადმოაქვს

შენი ტუჩების ნამქერი,
შენა ხარ ჩემი ცხოვრების
ბედნიერების ჩანჩქერი.....
რქაწითლის ნისლში დავცურავ,
კოცნა სცოდნიათ მთვრალებსაც,
მე შენში დალისაც ვხედავ....
და მზე თამარის თვალებსაც....
ცეცხლის მახვილით განვგმირავ,
შენს სუნთქვას ვინმემ გამყაროს,
ღმერთო, არ გადააშენო,
ო, სიყვარულის სამყარო!!!

***

ღმერთმა ყველას გაუმარჯოს,
ვინც რა წაიჩალიჩა,
მე კალამი მერგო წილად
და მფრინავი ხალიჩა.

***

დედას გიტირებ ცხოვრებავ,
ბანი მომეცით მთა-გორო,
კამათელი ხომ არა ვარ
დუ-შაშზე გადამაგორო!

ვაჟა ყოჩიაშვილი

პირველ სიყვარულს

ქარია გარეთ. ვგრძნობ რომ ისევ უნდა მოთოვოს,
ეს ხომ ჩვეული მონატრების არის საწყისი.
ვცდილობ თვალებმა ერთი ფიფქიც არ გამოტოვოს,
და არ დაგკარგო როგორც კოლხმა ოქროს საწმისი.
რომ არ მომტაცონ შენი თავი როგორც მედეა,
როგორც ასული, მოპარული საქართველოდან.
ეს თოვლიც თითქოს მაშინდელი ჩვენი ბედია,
რომელიც ალბათ ისევ იქ დგას, სადაც გველოდა.
როცა პირველად გავიპარეთ სკოლიდან ერთად,
და თავს მივეცით პირობა და ტრფობის უფლება.
როცა ვუსმენდით ერთმანეთის გულების ფეთქვას
და ყველა გრძნობას მივანიჭეთ თავისუფლება.
რადგან ბავშვურად ამ სიყვარულს ერქვა ოცნება,
და შენც ბავშვური მომეტებით გწყინდა, ბრაზობდი.
როცა სიწითლე აჩნდებოდა ლოყებს კოცნებად,
როცა ვცელქობდი ყმაწვილური ოინბაზობით.
მახსოვს თვალებში გეტეოდა მთელი სამყარო,
როცა გავიგეთ ბედისწერას როგორ ენება,
რომ ეს ოცნება ყოფილიყო მხოლოდ საპყარი
და ჩვენ ერთმანეთს შევრჩენოდით
მოგონებებად.
ასეა, ალბათ მორიგ ზამთარს შევხვდები მარტო,
ბედმა ინება, ან ინება თვითონ განგებამ.
ძველი ოცნება მონატრებულ ფიფქებად მათოვს
და ცხელ ტუჩებზე შენეული გრძნობით მადნება.

პოეტურად

წვიმს და პოეტური გრძნობით ვიმოსები,
მერე ლექსით მთვრალი ქუჩებს მოვედები.
წვიმას იფერებენ მორცხვი მიმოზები
როგორც ლექსის წვეთებს ნაღდი პოეტები.
წვიმს და გეფერები რაღაც გამწარებით,
მინდა შევჩერდე და არ ღირს შეჩერება.
რადგან ერთადერთო შენი წამწამები,
ვიცი სხვისია და მაინც მეჩემება.
ვიცი გაზაფხულიც შენით იზამბახებს,
შენი ხატებაც ხომ მუდამ თან დამყვება.
ვიცი ჩავუყვებით მე და ის ამ ბაღებს,
მერე შენზე ფიქრიც გალექსქანდაკდება.
ახლა შენზე დარდი ისე გამიხარდა,
გრძნობას მოვაბეზრე თითქოს გამოცდები.
ვიცი მიყვარხარ და ვიცი ჩემში ხარ და
ვიცი ერთი ხარ და კოცნით გაოცდები.
მე კი ძველებურად ფიქრში გეფერები,
ფიქრში გიმღერი და ფიქრში გილექსდები.
ახლა ჩვენ ერთმანეთს ისე ვეფერებით,
როგორც სიმღერა და ცეკვის ილეთები.
როცა პოეტურად ლექსით დავთვრები და,
როცა ლექსით მთვრალი ქუჩებს მოვედები.
ვიცი ვერ ამოგშლი გულის დავთრებიდან,
ვიცი ერთხელ კიდევ გაგიპოეტდები.

* * *

(შენ თვალებიდან გაზაფხულს აფრქვევ)

შენ თვალებიდან გაზაფხულს აფრქვევ,
და გაზაფხული გაფრქვევს თვალებით.
ჩვენ ერთმანეთით დავთვრებით აქვე,
უკვე ისედაც ლექსით მთვრალები.
შენ ენძელებმა მოგცეს სურნელი,
და გვირილებმა ფერი გაჩუქეს.
სენი ხარ, სენი განუკურნელი,
ქრონიკულად რომ სდევს სიჭაბუკეს.
წმინდა ხარ ჩემთვის როგორც ზედაშე,
ფიქრსაც მაკითხებ ცრემლის ტიტრებით.
და სიყვარულში კარგო მე და შენ,
ღამით ვარსკვლავებს გავეჯიბრებით.
და ერთადერთო გეტყვი მეტადრე,
რომ მაყრებივით დგანან გორები.
მე ცხადში კოცნას როგორ შეგკადრებ,
მხოლოდ სიზმარში გეამბორები.
შენ თვალებიდან გაზაფხულს აფრქვევ,
და გაზაფხული გაფრქვევს თვალებით.
ჩვენ ერთმანეთით დავთვერით აქვე,
უკვე ისედაც ლექსით მთვრალები.

ლევან ალავერდაშვილს

პოეტის გზაა საბედისწერო,
გოლგოთის გზაზეც უარესია.
/თ. წიკლაური/

გრძნობით გაჟღენთილ, მაგრამ ალბათ ცოტა უხეში
ლექსის წვეთები აღვიძებენ ბანგნასვამ მუზას,
მერე კი იქვე --პოეზიის წყალმარჩხ ყურეში
ჩემი კატარღაც მოკრძალებით ჩაუშვებს ღუზას.

ჰორიზონტზე კი, ვით ტაბიძის მოლურჯო რაში,
ლევანის გემი ერკინება ,,სივრცეს და დრო-ჟამს"
მუზებგაშლილი დანავარდობს რითმების ზღვაში,
კვლავაც ამაყად აფრიალებს პოეტის დროშას.

არგონავტივით ეუფლება აზრების სიღრმეს,
სადაც არ ძალუძთ იდრეიფონ სუსტმა გემებმა.
ლექსთან ჭიდილში ნაადრევად გარდასულ სიყრმეს,
გვირგვინში დაფნა ჩაუნაცვლეს ქრიზანთემებმა.

ამოაზვირთებს ნიჭგადამცდარ მუზების ხველა,
გრძნობაგამჯდარ და დამანგრეველ ლექსების ცუნამს,
რითმების ტალღა განურჩევლად წალეკავს ყველა
გამეკობრებულ, თვითმარქვია პოეტის ცრუ ნავს.

ღმერთმა ინება, პოეზიამ გიშვილა ლევან!
ლექსმა ძუძუმტედ გაგირითმა ბავშვი პატარა.
ძნელია ალბათ პოეტობა (სულ ვნებათღელვა)
შეგაძლებინოს გოლგოთამდე ჯვარის ატანა.

ლამზირა შეყილაძე

***

სიცოცხლემ უთხრა სიკვდილს,
თითქოს ყველა შენში კვდება...
მე კი დღემდე ძლიერ მიკვირს,
რომ შენში მაქვს უკვდავება.

ჯვარცმის მიზეზი

შენ სიყვარულად მოხვედი ქვეყნად,
ბევრი გაგიჩნდა ამის მოდავე.
ტანჯვით, წამებით, სისხლის დანთხევით,
უკვდავებაში აიზეცავე.
ხალხის გულისთვის გაიღე მსხვერპლი,
ჩვენ კი გაგყიდეთ ოცდაათ ვერცხლად.
ლოცვით შესთხოვდი ზეციურ მამას,
ჩვენი სულების გადასარჩენად.
ჯვარზე გაკრული გაწამეს ძლიერ,
ვერ შევეგუეთ სიტყვის სიმართლეს.
მიზეზი ჩვენში ვეძებოთ მხოლოდ.
უსამართლობის ტკივილებს სძლიე,
შენ კი ცოდვილებს გზა-კვალს გვინათებ.
თავად ხალხი ვართ ჯვარცმის მიზეზი,
ვერ შეგიცანით უფალი წმინდა...
თავისუფლება ბარაბას ვარგეთ,
შენი წამება თუმც ტკივილს გვგვრიდა.
არის განსჯა და აზრთა ჭიდილი,
ახლა სიმართლეს დავეძებთ ზემოთ,
ტკივილისაგან რომ ვითანგებით.

ამოსუნთქვაა გარდაცვალება

ვიცი ოდესმე, რომ უნდა მოვკვდე,
სიკვდილი მომკლავს? არა მგონია...
როცა მოვკვდები, სიცოცხლე მომკლავს
და ამ ცხოვრების მელანქოლია.
თუმცა...რამდენჯერ მოვკვდი, ვინ იცის,
სევდის ცრემლები ღვარა თვალებმა.
სიკვდილი არის ტკივილი თორემ,
ამოსუნთქვაა გარდაცვალება.

სამყაროს დედა

ეს იყო მაშინ, როს გახდი დედა,
სიცოცხლისათვის გაწირე თავი...
იმ დღეს ისეთი ლამაზი იყავ,
რომ შეყვარებულ გაზაფხულს ჰგავდი...
როცა სიცოცხლე გაჩნდა ამ ქვეყნად.
სიკვდილს მოსტაცე სიცოცხლის წამი.
მინდა მჯეროდეს, მაუწყე ზეცავ,
სამყაროს დედა... ხომ არის ქალი?..

დროში გვაქვს ბოლო

ყოველთვის ვფიქრობ, საიდან მოდის,
ან სად იწყება, ან სად აქვს ბოლო.
მოვუსვენრობ და ვეფლობი დროში,
წუთისოფელიც დრო არის მხოლოდ.
ყველას ჩვენ-ჩვენი წარსული მოგვაქვს,
ო, რა მძიმეა ტვირთი აღმართში.
ცხოვრება უფრო სატანჯველს მოჰგავს,
როცა ვეშვები ცრუ თავდაღმართში.
ამბობენ ასე ვარსებობთ ქვეყნად,
მე კი მგონია დროში ვართ მხოლოდ.
გრძნობებით, ხილვით ვიღვრებით ცრემლად,
დროს შევყურებთ და დროში გვაქვს ბოლო.

აღარ გელოდი

ღამე ივსება მთვარის ნათებით,
მეღიმილება ლურჯი ზეცა მე,
მოხვედი ჩუმი გამონათებით
და უფსკრულეთი გამიზეცავე...
მეწვიე ისე, აღარ გელოდი,
სასურვილეთი გამინეტარე.
თურმე ჩემს გულში ჩუმად მზეობდი,
სულში ვარდები გამინექტარე.
მე ახლა ვხვდები ჩემი სიცოცხლე,
შენში მქონია შემონახული.
მოგელტვი ფიქრით, ნატვრით, ოცნებით
და სიყვარულით ჯერ არ ნახულით.

მოვა ამიტომ

ვერ შემაშინებს მტერთა სიმრავლე
და ამ ცხოვრების ორომტრიალი.
ვერ დამიმონებს ცრუთა სიმხდალე,
უამინდობა ქარიშხლიანი.
მხოლოდ სიცოცხლე მათრთოლებს ისევ,
რომლის მშვენებაც წლებმა წაიღო,
რომ გაზაფხული მოვიდეს ისე,
მე მისი მოსვლა ვეღარ გავიგო.
ვერ შევამჩნიო რილო-ჭრელიდან,
მორცხვად მზირალი ლურჯი იები,
რომ ვერ ვიხილო მერცხლების მოსვლას,
რა-რიგ ელიან მაგნოლიები.
რომ გაზაფხული მოვიდეს ჩუმად,
უნდა ვიფხიზლო რა დამაძინებს,
რომ ვერ მომისწროს? გავთავდე სრულად,
ამაზე ფიქრი მართლაც მაშინებს.
მე მაინც გელი, ჩემო იმედო,
ლურჯო ზეცავ და თბილო ამინდო.
ვიცი იმედი, რომ ბოლოს კვდება
და გაზაფხულიც მოვა ამიტომ...

სიცოცხლეს ვეძებთ

წუთისოფელში დავალთ
და უსიცოცხლოდ ვერ ვძლებთ,
სიკვდილს თვალებში ვუმზერთ,
მასში სიცოცხლეს ვეძებთ.
ზოგი სიცოცხლით ტკბება,
ზოგი სიკვდილსაც ნატრობს,
ზოგი ცხოვრებით თვრება,
ზოგს ერთი წვეთიც ათრობს...
ბევრს აქეთ რჩება თვალი,
ამ წუთისოფელს ვერ თმობს,
ზოგი აქვეა მკვდარი,
ზოგიც სიკვდილში ცოცხლობს...

ტარიელ ხარხელაური

* * *

ჯიხვი ვარ და გადავწექი კლდეზე,
დილით ნისლის მსიამოვნებს ლოკვა,
მონადირევ, რა გინდა, რომ მეძებ,
ღირს კი ბიჭო?! — ახლა ჩემი მოკვლა...

* * *

დახურეთ ზეცა!
ვარსკვლავებთან
საუბარს ვიწყებ....
მოსწიეთ მთვარე –
მოსაყრელად დამიდგით
მუხლის
და თქვენ, ქარებო,
ჩამომბერტყეთ სიმძიმე
მიწის,
რომ ჩემმა გმინვამ
გაამღვრიოს სამყაროს
მწუხრი.
სულნო ბნელეთის,
ყველა სკნელის კარნი
განახვნეთ
რომ ჩემი მოსვლა
ყველა ნერვით
იგრძნოს სამყარომ,
გადამიტანეთ, მზის
მხურვალე
მტვერში დამმარხეთ,
რომ დედამიწას
სიყვარულად
გადმომაყაროს.

არაგველებო!
სამშობლო გეძებთ!

გეძებთ და შუბლი ფიქრმა შეთრთვილა,
რად სდუმან მთები – მამულის მკერდზე
უფლის ცრემლებად ჩამოკრეფილან.
არაგველებო!
მამული მტკივა –
წამლად დამადეთ მამულის წყლულებს,
მძიმე სენი სჭირს სამყაროს მთლიანს
და ვერ ისვენებს მსოფლიო სული.
არაგველებო!
რად გვინდა სისხლი –
თუ არ ბორგავს და შიშმა დანისლა,
თუ არ იქნება სამშობლო ღირსი
რომ საქართველოდ იქცეს კრწანისთან.
არაგველებო!
მოვკივი ქარებს და მყუდროებას ვურღვევ სასულეთს,
არაგველებო!
გაშალეთ მთვარე და ჩემს სამშობლოს მხრებზე
დაჰხურეთ.
არაგველებო!
სამშობლო მტკივა – სამშობლო – უფლის მუხლთა
სასვენი,
არაგველებო!
ამინთეთ დილა
და ჩემი ქვეყნის ზეცა გახსენით.
არაგველებო!
მწუხრი წევს მყინვარს,
გონებავ ერის – სიფრთხილე გმართებს,
არაგველებო!
სამშობლოს სტკივა,
სამშობლოს სტკივა – ღვთისმშობლის სანთელს.

* * *

მანძილი შენამდე დიდია,
შენიდან ჩემამდე – არც ისე,
ამინდი საგრძნობლად მშვიდია,
მანცვიფრებ....
ჯერ კიდევ ჰყვავიან ატმები,
ქარია – მომიტანს რამე ჭორს,
მე ვამბობ, არ მომენატრები,
შენ სდუმხარ, ილიმი საეჭვოდ.
ღამდება,
ვარსკვლავნი აენთნენ,
რომ ვხედავ შორი-შორს საკმაოდ,
მე ახლა გიჟი ვარ საერთოდ –
ჩემს ჭკვაზე გადმომყავს სამყაროც.
მუდმივად რაღაცა მანამებს
და ჩემშიც მუდმივად ბინდია,
და მაინც მიზიდავს წამწამებს
მთვარე რომ ნისლივით ჰკიდია.
შორს სადღაც ჰყვავიან ატმები,
ქარია – მომიტანს რამე ჭორს,
მე ვამბობ, არ მომენატრები,
შენ სდუმხარ, იცინი საეჭვოდ.

აღსარება მეუღლეს

მარინა!
ბორგვა და შფოთვა მოაქვთ ქარებს,
მთებში არწივების ყივილია,
ცისფერი სიკვდილი მოამთქნარებს –
ცისფერი სიკვდილი – სულში ტკივილია.
ჩემო წუხილო და სალოცავო,
ჭერი ვერ დაგხურე ვარსკვლავების,
მუხაზე მიამბობდი – ჩამოწვაო,
ჩემი საწამებლით გაწამებდი.
ვწუხვარ – ტკივილისთვის გაგიმეტე,
დიდი, უსაშველო ტკივილისთვის,
იქნებ დავიხარჯე უფრო მეტად
ობლად ამოზრდილი გვირილისთვის.
მარინა!
საწუთრო როგორ მეიოლა,
ახლა ნისლებს ვუფენ ამ იარებს,
ბევრჯერ დავმარცხდი და დავთმე ბრძოლა,
ბევრჯერ ხანჯლის პირზე გავიარე....
დავთმე, რაც არ იყო დასათმობი,
ბევრჯერ სამშობლოსაც ვუღალატე,
ახლა ჯავრი მშლის და ჯავრი მამტვრევს,
ვერ შევძელ დამხობა დასამხობის.
მარინა!
დაღლილი და დაშაშრული
ისევ შენს ჩეროს შემაფარე,
ისევ მომანატრე გაზაფხული –
სიცოცხლე ისევ შემაყვარე,
თორემ ძაანა ვარ დაბინდული,
მზე ჩემს ბნელ სხეულს ვეღარ ანთებს,
მე ვარ მამულივით გაყიდული
და ჩამოღვენთილს ვგავარ სანთელს.
მარინა!
ბორგვა და შფოთვა მოაქვთ ქარებს,
მთებში არწივების ყივილია,
ცისფერი სიკვდილი მოამთქნარებს,
ცისფერი სიკვდილი – სულში ტკივილია.



ბეჭან ხარაიშვილი

* * *

ყაყაჩოს წითელ და თხელ ფარფლებზე
შავად ნაფერი შავი წყვეტილი,
არა არის რა, თუ არა ტყვიით
ქართველი კაცის სისხლში დასმული
მისი სიცოცხლის მრავალწერტილი!

* * *

მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში –
ვარძიაში და შემაჩერეს უცბად აწყურთან,
და თითქოს ურო დამარტყეს თავში,
და თითქოს იქვე ადგილზე გავშრი, —
ჯარისკაცებმა მომთხოვეს საშვი...
ბებერი მტკვარი გაეკრა მიწას
და სირცხვილისგან იწითლა ცამან,
რად არ მოსთხოვა ხანძთელს საგზური
უკაცრიელმან ადგილმან ამან...
და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,
მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე,
ჯიშიან ძვლებზე მკბენდეს სიცივე...
და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს
ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო,
გადამავიწყე დიდი თურქობა,
გადმიშვი მთაო!

* * *

გულთან არ დამადო ხელი...
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
მთვარის ეკრანზე მე გხედავ მუდამ...
რა ხელმა უნდა აიღოს ნეტავ,
რომ ვერ დასძალავს
ისეთი გუნდა?!
ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო
და
შენს ფანჯარას
გარშემო უვლის, —
— ყველაზე დიდი სასაფლაოა
გული!

* * *

ფულისთვის კი არა...
განძივით კი არა...
ხარკისთვის კი არა...
ხათრისთვის კი არა...
ალაჰს ემსახურა ძამა ქართველი
სად არ იარა, —
სად არ იარა, —
სად არ აწვიმდა, —
სად არ ათოვდა, —
არ იკარებდა ქართველი სათოფედ!
ენატრებოდა მცხეთა და მარტყოფი,
გულმა ვერ გაუძლო მარტოყოფნას,
თმათა სითეთრე თმის წვერით ივარცხნა
და მამულს შესწირა საკლავი კი არა, —
სხვა მკლავი კი არა, —
პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე.

მრავალჟამიერ ჩემო ბეჟანა

არ დაგკლებია გაჩენის დღიდან
სულის სიმძიმე, ხორცის ჟეჟვა და
მაინც იცანი ვინ რა ფერია —
მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!
მთელი ქვეყანა რომ ანაცვალე
იმათ გაგცვალეს...
(შენი კვნესა მე)
და იმ საყდარში, შენ რომ აღმერთე,
გაგინებენ და დანებს ლესავენ,
ვისთვის კვდებოდი,
ვისთვის ქრებოდი,
თაფლიც ო, თაფლიც, ხედავ? გემწარის,
ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი,
ისე დათოვა შენი მწვერვალი.
როგორც მწევარი ირმის ნაკვალევს,
ისე მისდევდი სატრფოს ხმას შორით,
დაეწიე და ნეტავ არ გეგრძნო
ვარდის სუნი და...
ვარდს შიგნით — შმორის.
და მაინც გასწი, ნუ დაიდარდებ,
გზად თუ არასდროს გამოგიდარა,
ხომ გაიცანი ვინ რა ფერია?!
— მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!

ხვედრი პოეტთა

მტრედებმა ჩამიქროლეს თოვლის გუნდებივით
ბალახები ჟანგისფერ სევდით ხუნდებიან
— მირზა წავიდაო, —
ეს რა გამაგონეს,
— არ დაბრუნდებაო, —
თქვეს და ტყუვდებიან;
პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიან და
პოეტები ბრძოლიდან გვიან ბრუნდებიან.
ტყვიებს უკორტნიათ ყორანივით,
კბილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე-მძიმე
ბოლი ამოსვლია,
დაუწერელი ლექსების ბოლი.
წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი,
მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა,
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ.

მეგობრისადმი

წამოდი, იცი, სად?
კაფეში კი არა, —
წყალი ვსვათ ხეკორძულის...
ჩავუდარაჯდეთ, იცი, ვის?
    გოგონებს კი არა,
წითელ მიმინოებს ჩვენი რჯულის
და მერე იქნებ ვინმე მადლიანმა
მოგვთხოვოს სული იაკობივით...
და მოგვჭრას მარჯვენა
გაღმა-გამოღმა ნაშენები კედლებისათვის.

გერგეთის ტაძართან

მთელ ღამეს გდარაჯობდი გერგეტის ტაძართან,
ვიცი, არ გეძინა არც შენ და არც მე,
ყაზბეგის ასულო, —
    მყინვარო!
და შენი გულის კენტი სიმღერა
ჩემთან ჩამოჰქონდა ცივ წყაროს.
გაგითამამდი და ნება-ნება შემოვყევ მაღლა
აჰა, შენთან ვარ,
    დაუდუღარ ლექსების მაჭრით,
ო, ეს ნისლები, თორემ ამაღამ
    თეთრ ბილიკებზე
გაგიტაცებდი ბეთლემის ჯაჭვით
ყაზბეგის ასულო, იმერეთში.

გულნაზი ხარაიშვილი

სიკეთეს დავეწიე

ძალზე ვდარდობ, სიძულვილიც მცოდნებია,
ბოღმით სისხლი შადრევანად აღმომსკდება.
ბაცი ფერი ტანს მანტიად მომდებია,
ზამთარია... და დღეებიც დამოკლდება,
ვიბრძვი, მაგრამ იმედები მშორდებიან.
დარდისაგან უკუნეთი სულ გაშავდა,
ჩემს წინ ქვები თავდაყირა გორდებიან,
ნაკუწ-ნაკუწ დავშლი სალ კლდეს თუ აშარდა.
ეს ზამთარიც მომერევა, ალბათ მავნებს,
ძალით მივწვდი და იმედი დავიწიე.
სარეველას გამოვაცლი თოხით ყანებს,
ვირბინე და... კვლავ სიკეთეს დავეწიე.

ჩემო მამულო

ზოგჯერ ცხოვრება თითქოს ვაკეა,
ხან ციცაბოა, ხან დაღმართია.
თუმცა მიწები ბევრი მაკლია,
ის ჩემია და არა მათია.
სამაჩაბლოში ჯერ აღმართია,
აფხაზეთი კი მტრის სამართია.
ის, რაც წამართვეს, ჩემი ხატია,
ჩემო მამულო, რა დაგმართნია!
ომგადახდილო, მიწავ ნატრულო,
ზღვას შევებმევი, უნდა გავცურო,
წართმეულ მიწებს სიზმრად ვნახულობ,
თუმცა დაგჯიჯგნეს, მაინც არ გწუნობ.

ჩემო მამულო, ამას ჩაგძახი!
როს დავიბადე სულში ჩასახლდი.
შორს წასულ შვილებს მუდამ გავძახი,
წასასვლელებს კი ვეტყვი: რას ჩადით?
ამერიკა და ინგლისი დიდი,
რატომ ეტრფიან, რატომ აქვთ რიდი.
მიწაც წამართვეს და დავრჩი მწირი,
მოკლეს გმირები და მწარედ ვტირი.
მე იარები მიტომ მატყვია,
იქ ზაფხულია, აქ კი მარტია.
შვილიშვილები სხვაგან დახტიან,
ჩემებია და არა მათია.

მცხეთა, თბილისო

მცხეთა თბილისო, დაგყურებს ჯვარი,
მზე ცის თაღიდან გელიცლიცება.
ალიონზე რომ ბრწყინდება ცვარი,
შენს სიყვარულში ის მეცილება.
ერთგულებაში შევეჯიბრები
მტკვარს მოდუდუნეს, არაგვს ღრიალას...
ბრძოლით ქუჩებში დავაბიჯებდი,
კალმით გირჩენდი ბევრჯერ იარას.
ეს დღე ნაღველით მიზოზიალობს,
შავი კუპრივით ჩაბნელდა ღამე.

იქნებ ტკივილი გაგიზიარო...
მე ძლივსღა ვითვლი სიცოცხლის წამებს.
მადლის გულისთვის ხელი მომკვეთეს,
ცა მოწმენდილზე უცებ გაწვიმდა...
ო, უბედობავ შემომეფეთე,
და გეკითხები, ჩემთან რა გინდა.
შენ ამიყვავდი, მცხეთა- თბილისო,
ისევ მე დამრჩეს ძველი იარა...
თუმცა ვეცდები მტერი მოვთოკო,
და ვაღიარო, მოვკლა კიარა.

თუკი მომიხმობს

თუკი მიმიხმობს ფშავ-ხევსურეთი,
მგზავრად გავყვები ქიქინა ნიავს...
მტკვარო, არაგვი იმიტომ გერთვის,
ცრემლით ნაგროვი დარდი, რომ მიგაქვს.
მე კი სანაცვლოდ ვაჟას ჩარგალში,
მივაყურადებ მთებს, ვითარც სულდგმულს!
წყალსაც ჩავასხამ ნაპრალს ხახაში,
და გავამხნევებ, ნაღვლიან ბულბულს.
თუ სადმე შემხვდა ობოლი ნუკრი,
დავარწმუნებ რომ ნახავს დედიკოს.
ჩუ, საყვარელო, ყვავილობს ნუში,
იქნებ ირემი მის ჩრდილში იყოს.
ძირს დაგდებული ია თუ ვნახე,
მას სიფაქიზით ჩავდებ ჭიქაში,
წყლით დავუბრუნებ სიცოცხლის სახეს,
მერე?... გადავრგავ ისევ მიწაში.
ყველას ვუშველი ტირიფის გარდა,
მას სულ ახურავს მწუხრის ზეწარი,
წარსულის დარდი მეც ჩამისახლდა,
თაფლი სხვას შეხვდა, მე კი ნესტარი.

იმერეთი

იმერეთო, მე შენ მუდამ მახსოვხარ,
ჩემი გულის სუნთქვა შენთან დავტოვე.
ვეფერები შენს მთებს, დიდს და ახოვანს,
თუმცა ბედო, იქაც ბევრჯერ დამთოვე.
ყველა ფიქრი ისევ შენთან ჩერდება,
ლამაზ სხივებს, ტანს მანტიად მაფენდი.
ცისკრის დილავ... შენთან ვგზავნი ვედრებას,
შორს ნუ წახვალ... ისევ ჩემში გათენდი.
კვლავ მიყვარხარ... ვფიცავ წმინდა სალოცავს,
ორგულობას გთხოვ ნურასდროს დამწამებ...
თუ კი ერთხელ ვინმეს ცუდი წამოცდა,
ცრემლის ბურთებს ვკიდებ ამ ჩემს წამწამებს.
ყველა ფიქრი ისევ შენთან ჩერდება,
წარსული და აწმყოც მარტო შენია...
მონატრება აღარაფრით ბერდება,
იმერეთო... გული მანდ დამრჩენია.

მამული, ენა, სარწმუნოება

მამულს ვუყურებ, ო, ძლიერ დაღლილს,
ის მილამაზებს ფიქრს და ოცნებას,
მას ვუძღვნი ლექსებს და ცრემლებს ვაღვრი,
ვით სილამაზეს და საოცრებას.
ქართული სიტყვის ანდამატები,
მახვილზე მჭრელი, ხანაც თილისმა.
მადლით მოსილი უფლის ხატები,
გულში ჩაიკრა დედა თბილისმა.
ენა რად მინდა მიწის გარეშე,
ჩემი მამული მტერს რად აოცებს?
წელში გაგვწყვიტა უცხომ თარეშით,
ჰქმენ ისევ მადლი... ღმერთო დაგვლოცე.
მე ჩემი რჯული უნდა ვიწამო,
რომელსაც ჩემი ფიქრი მიჰკივის...
სიყვარულისთვის აღარ მაწამოთ,
ნურც ცეცხლში დამწვავთ შუშანიკივით.

ქარი ძველებურად მემტერება

ნაღველი აქვს ამ ჩემს გულში გრძნობის რტოებს,
მხოლოდ ძველი მოგონება შემრჩენია.
თეთრმა თმებმაც ფანტელებად დამათოვეს,
ჩემთან ყოფნას თავისთავად შეჩვევიან.
თითქოს დათბა, სიო მაწვდის ლამაზ ბგერებს,
ჩემს კარებთან დავინახე მერცხლის გუნდი,
ლამაზ ჭიკჭიკს ჩიტი ისევ მიმეორებს,
და მის ხმაზე მახსენდება ,,ეტიუდი".
ღამე ისევ დამკაშკაშებს თავზე მთვარე...
წამწამები რტოებივით მეფერება,
ხან ასე ვგრძნობ, ეს ცხოვრება დავამთავრე.
რადგან ქარი ძველებურად მემტერება.

ციური ხეთერელი

ნატვრა
(გალაკტიონ ტაბიძეს)

ვიღაცას რომ მოესროლა
ის წუთები კარში,
ვიღაცა რომ შეხვედროდა
„გამზადებულს “ გზაში,
ალბათ აღარ შედგებოდა
ის გაფრენა ცაში,
ალბათ არ გადატყდებოდა
ის ლერწამი ქარში.

ყოველ გაზაფხულს
წმინდა ნინოს

ყოველ გაზახფულს თავფარავანთან
რა გულისძგერით გელი !
ჰოი, როგორ მტკივა მაყვლით
შენი გაკაწრული ხელი.
როგორ დაგვიწერე, ალვისტანავ !
ის სასწაული პოემა,
რა ძალა გქონდა უმწეოს, ასეთი,
ვეფხვს რომ შეგადარა პოეტმა !
მაგრამ, ეს რა ვსთქვი, წმიდაო !
უმწეოვ, მხოლოდ წამით,
რამდენი მწვერვალი დაიპყარ,
შენი თმებით შეკრულ ჯვარით !

ამ ჯვარზე ვართავთ რახანია,
მწარე ფიქრების გორგალს,
ის ხმაც ორლესული ხმალია,
შენ რომ დაუწმინდე გოგლას.
რახანია მკვიდრად თავს ვაფარებთ
შენგან დალოცვილ კარავს,
გვაჟრჟოლებს, ნინო, სტრიქონები,
შენ რომ დაუმშვენე ანას.
ამ გაზაფხულზეც თავფარავანთან
რა გულისძგერით გელით !
გვტკივა, დღესაც გვტკივა მაყვლით
შენი გაკაწრული ხელი.

სარგის! ეგარსლან! ავაგ!

"... შეკრბეს ყოველნი მთავარნი, იმერნი და ამერნი. . . დაამტკიცეს ომი და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა. . . "
ჟამთააღმწერელი
"ქართლის ცხოვრება"

1. კოხტას თავს წამომართულნო,
ლამის ზეცამდე აწვდილნო,
რაინდთა უცხო აჩრდილნო,
მძიმე ფიქრებში გართულნო. . .
ამ მთვარის შუქზე რა ახლოს,
თქვენს გამჭოლ მზერას ვხედავ:
- ეგარსლან!
- ვარამ!
- ყუარყუარე!
- სარგის თმოგველო!
- ცოტნევ!
გხედავთ, უებრო მხედართ,
დიდი გმირობის მცოდნეთ!

2. ო, თქვენი გამონაშუქით
რა სიამაყით ვივსები. . .
თითქოს მნათობიც იზრდება
ემაგ ნათლით და ღირსებით!

3. კოხტას თავს წამომართულნო,
ლამის ზეცამდე აწვდილნო,
რაინდთა უცხო აჩრდილნო!
მძიმე ფიქრებით გართულნო:
- სარგის!
- ეგარსლან!
- ავაგ!
თქვენი სულმნათი სახება
ფიქრებს სალბუნად ადევს.
გული აღარ ძგერს ავად.

4. თქვენზე ფერადი სიზმრებით
ღამეს სიმშვიდით ვათევ,
ო, ათაბაგო ავაგ!
ჩემი ფიქრების მნათევ!

5. გმადლობთ, ამ მხნეობისათვის
უღრმეს მადლობას გწირავთ,
რაინდთა უცხო აჩრდილნო,
შობილნო გმირთა-გმირად!
ფიცხელ ომების მადიდნო!
გაწბილებულნო ძვირად.
მამშვიდებს თქვენზე ოცნება,
გული აღარ ძგერს ავად:
- ვარამ!
- ეგარსლან!
- ყუარყუარევ!
- სარგის თმოგველო!
- ავაგ!

თ ე თ რ ი ლ ი ტ ა ნ ი ა

წარწერა გრიგოლ დიასამიძის ფანტაზიაზე
"პირველი ლოცვა"
" საფლავის წინ მუხლ-მოდრეკილი, ხელაპყრობილი იდგა თმაგაშლილი ქალწული, ჩემთვის დაესწრო, ისიც უკვდავ მგოსნის თაყვანსაცემად ამოსულიყო. . . "
გრიგოლ დიასამიძე

მამადავითზე ბესიკის აღმართით ამოვალ,
როგორც თეთრი ლიტანია. . .
მე მოვალ, როგორც არაწარმართი,
შენზედ რომ ვლოცულობ ამდენი ხანია.

გამხდარი ხელებით გამიღე კარები,
წმიდაო დედაო, მზეს რომ ედარები.
მე მოვალ მწუხარე და კრძალვით გემთხვევი,
შემინდე, რამეთუ საზარელ შემთხვევით,
მე მოვალ ცრემლები, ნისლიან თვალებით,
სული დალეწილი, მოვალ აგონია. . .
ჰოი, შემშლელ ტკივილს
სად დავემალები, ვით გადავურჩები. . .
არცა თუ მგონია. . .

მამადავითზე ბესიკის აღმართით
ამოვალ, როგორც თეთრი ლიტანია. . .
შემინდე, შემინდე,
თუ გეტყვი სადარდელს,
რადგან ეს დუმილი
ვერ ამიტანია.

თინათინ ხაბურზანია

პოეზიის საკურთხეველთან

გაურანდავი ლექსით მივბედე,
მე პოეზიის საკურთხეველთან.
რაც დარდი მქონდა მოვიგდე მხრებზე
და დავიჩოქე წმინდა ხატებთან.
კოლხეთის ზვრების ნოტიო მიწამ,
სული დამილბო დაუდეგარი,
მაგრამ ეს გული ვით კვიცი მინდვრად
ფიცხია კვლავ და გაუხედნავი.

ცისფერთვალება ზეცამ კოლხეთის
მე ოცნებები მასწავლა ლექსად
თან მომაძახა: სუფთა ხელებით
და წრფელი გულით იცხოვრე ქვეყნად.
მე არ მასვენებს ლადოს სიმღერა,
ის, კაცის გულში დაუტეველი.
გალაქტიონის ფიქრს რას მისწვდება,
ჩემი ფიქრი თვალაუხელელი.
მინდა ისეთი მელექსე მერქვას,
ლექსს სიყვარულის ჰქონდეს სურნელი.
თავნება ნიავს დაჰქონდეს ქვეყნად
ეს სურნელება, რამ სასურველი.

გაუხედნავი ვით მინდვრის კვიცი,
ჯერ ჩემი გული ისევ ფიცხია,
მაგრამ დააგდამს უნაგირს ვიცი,
მუზა – მხედარი გრძნეულ სიტყვისა.
რომ მივდიდოდი საკურთხეველთან,
შიშის ზარები რეკდნენ ფიქრებში.
როგორ მივიდე წმინდა ხატებთან,
მხოლოდ დარდის და რწმენის იმედით.
მაინც გავბედე მე პოეზიის,
წმინდა ხატებთან ამ ტვირთით მოსვლა
და გულით დამაქვს იმედი იმის,
რომ გზებს გამიკვლელვს მე მათი ლოცვა.

წიგნი

უხსოვარ ხნიდან დღემდე არსებობს,
ორ ყდას შუა დევს დადუმებული.
დაუტევია მთელი სამზეოს,
ამბავი ვრცელი და უჩვეულო.
როცა გადაშლი, მისი ფურცლიდან,
გადმოვა გმირი უსაყვარლესი.
გაგიყოფს სითბოს თავის უბისას,
შემოგიტყუებს გულში ალერსით.
ყველა ოცნება, რაც კი კაცშია,
არის საპოხი წიგნის ფრთებისა.
სისხლი ნაჟური გულის ძარღვიდან,
საზრდო, ულუფა მის გმირებისა.

ბევრჯერ მოთოკა თავის ფურცლებზე,
მრუდედ წასული კაცის ოცნებაც.
გადაატარა გულის უბეზე,
კაცობრიობის მოთქმა – გოდება.
და ვით სასწორზე წუთისოფლისა,
ტყუილ - მართალიც ზედ იწონება.
ალბათ ამიტომ ერთად მოდიან,
დღემდე წიგნი და კაცის ცხოვრება.
ორ ყდას შუა დევს დადუმებული
და ვინც გადაშლის მას ელოდება,
სამყარო ლამაზ ნატვრად ქცეული,
ამბად, რომელსაც წიგნი მიჰყვება.

ჩემი ოცნების ქალაქი

მე დღესაც ჩემი ოცნებით ნაგებ ქალაქში ვცხოვრობ.
სიყვარულია საზომი, მისი სიმკვიდრის მხოლოდ.
მოჩუქურთმებულ სახლებში ისევ ბავშვობა ანცობს,
დედის იავნანასა და მის მოფერებას ნატრობს.
ქუჩებში დადის თამამად, ვინც ალალია გულით,
ვინც მეგობრობის სიწმინდეს, ისევ სათუთად უვლის.
ამ ქალაქისთვის უცხოა მტრობა, ღალატი, შური,
განდევნილია სუყველა, ბოროტი და ღვთის ურჩი.
აქ მდიდარია მცხოვრები არა ოქრო და ვერცხლით,
ყოფნით ჭირში და ლხინშიაც სულ ერთმანეთის გვერდით.
სიმდიდრე არ იწონება ამ ჩემს ქალაქში ფულით,
საწონია სინდისი და სიმტკიცე კაცთა სულის.
აქ ამისრულდა ოცნება, ყველა რაც მქონდა გულში,
რაც კი მეგონა აქამდე, აუხდენელი, ფუჭი.
მაგრამ ცხოვრებამ უეცრად მათრახი დამკრა ზურგში,
სირბილით გამომაქცია ამ ქალაქიდან წუთში.
გამასამართლა იმისთვის, რომ არ ვცნობ იმის კანონს,
სიცრუეცა და სიმართლეც, მასში, რომ ერთად სახლობს.
და ახლა ვზივარ ციხეში, ბორკილი მადევს ხელზე.
თვალთმაქცობას და სიხარბეს, რადგანაც ველარ ვეძმე.
ცარიელდება ქალაქიც ჩემი ოცნების უკვე,
რადგან მტერი – სინამდვილე, ყოველი მხრიდან უტევს.

გაზაფხულდაო..

გათენდა. თვალი მოვკარი სხივმა,
ჩემს ოთახში, რომ გაინავარდა.
შენც შეხედეო, თითქოსდა მითხრა,
ამ გაზაფხულის ნაიალაღარს.
გავხსენი კარი, ჩემს აივანზე,
მერცხლები ურცხვად იწყობდნენ ბუდეს.
მერე ჭიკჭიკით ასე მიამბეს,
გაზაფხულდაო ძვირფასო უკვე.
ისე ბიბინებს მინდორი მწვანედ,
როგორ მეხათრა მის მკერდზე გავლა.
თითქოს ამომწვდა ბალახი მხარზე,
ტანხატულ ხეებს ტევრში, რომ კარგავს.
ეხეთქებიან ერთურთს ტოტებით,
კვირტის სურნელით მთვრალი ხეები.
და ამ სურნელით განაოგნები
მეც ბილიკ – ბილიკ დავეხეტები.
.

ღობეებს გასწვრივ გუნდი იების,
ნაპერწკლებს ყრიან თვალთაგან ლურჯად...
მახარობლები ფართო პირველნი,
შემომღიმილეს თითქოსდა ჩუმად.
ფეხი აიდგეს გოლიათებად,
ბაღის კიდეში ცაცხვის ხეებმა.
მის ჩრდილქვეშ როგორ მოინაზება,
გვირილა თეთრი მწვანე ფეხება.
მეზობლის ატამს ბაღში თამამდ,
გადმოუყვია ურჩი ტოტები.
ალუბლის ხემ, კი, როგორც დალანდა,
ჭორი მოუყვა მიეთ – მოეთის.
ქარდაქარ დაჰქრის ლურჯი აპრილი
და სიხარულის ცრემლებს მადინებს
ამ სიყვარულით ვარ მე დასჯილი,
ცოდვისთვის რაც კი წლებმა ამკიდეს

თამარ ჯაჭვაძე

და გაშინებდეს საქართველოს გადაშენება

დაკარგულია ენა, რწმენა და აფხაზეთი,
რამდენ მეგობარს ერის სული გაუროზგია...
სხვას კი არაფერს იტაცებდნენ შაჰ-აბასები,
სხვას კი არაფერს გიშავებდა დედა როსია!

წიგნში ია და წიქარები ვეღარ ხარობენ,
"აზბუკაზე" თუ "ჰედვეიზე" ვცვლით
"დედა ენას",
სხვას კი არაფერს გიძარცვავდნენ
ჩინგიზ-ხანები,
სხვას კი არაფერს გიკრძალავდა
მაჰმადის რწმენა.
სამყაროს ფარად, საქართველო
უფალს ენება,
სამოთხის ნაკრძალს შეატოვა
ჯიში ენდემად,
თუ ქართულ ენას უწერია გადაშენება,
დედამიწაზე სიყვარული გადაშენდება!
ხელს ვინც ახლებდა, ოდითგანვე,
წმინდა სამანებს,
ნადგურდებოდა, კვლავ ვისი მზე ჩაესვენება?
გიჟო მსოფლიო, შეინახე უფლის სავანე
და გაშინებდეს საქართველოს გადაშენება!

უსაქართველო

რად გინდა გული თუ არ დაიწვა,
თუ არ იქცევა ცრემლი ნუგეშად,
რაა პოეტი თუ არ ეწამა,
გაფრენილ რითმას ვინ დაუგეშავს.
  როგორ იცოცხლო, თუ შენი ვაზი
გადაეხვია ვიღაცის ჭიგოს,
თუ გადამთიელს უნდა ეღრიჯო,
რომ სამაჩაბლოს კარი გაგიღოს.
  შერცხვეს აფხაზო შენი კაცობა,
თუ დედის ტანჯვას გინდა უყურო,
თუ ნაზიბროლას შენივე ნებით
გაათელინებ ვიღაც ურჯულოს.
  ადე, ზამთარმა გადაიარა,
შენს საგოდებელს სხვა ვინ მიხედავს,
მარტო ძმას, მამას და შვილს კი არა,
გიკლავენ ჯიშს და გიკლავენ რწმენას.
  ფეხადგმულ ხეებს ფესვი უხმებათ,
რამდენი მხარე უნდა გათელო?!
არ მიყვარს მთები უნისლებო და
ქართველი კაცი — უსაქართველო!

რამდენი ნაბდის გაშლა დარჩა

მოგივლენ ნაჩეხი მამულიშვილები
და ვერ გაგიმხელენ მთავარს...
რამდენი ნაბდის გაშლა დარჩა
შენი საქართველო თამარ!
იცი, ერმა "თავი ისახელა"
ძმათა სისხლისღვრით და დავით.
რამდენი ჩოხის სიგრძე დარჩა
შენი საქართველო დავით?!
სხვათა სამშობლოში გახვეწილი
გული უმამულოდ შფოთავს,
რამდენი კალმის მოსმა დარჩა
შენი ვეფხისტყავი შოთა?!

ქართულ მიწაშიაც ვერ ისვენებ,
ისევ ქართულ მიწას ნატრობ,
რამდენი ფლოქვის დაკვრა დარჩა
საბარათიანო, ტატო?!
ლაშარის გორიდან მეც გადმომახედე
ლუხუმ... შეისმინე აჯა...
რამდენი ლოდის გაკვრა დარჩა
შენი მთა და ბარი ვაჟა?!
რაიც დაგვიტოვე, სულ გავანიავეთ
ჩვენი უმწიფარი თავით,
ორიოდე ნაბდის გაშლა დარჩა
დიდი საქართველო, დავით!

მინდა ცუდად ვიყო

ისე მენატრებიიი,
როგორ შეიძლება შემხვდე სადმე!
ისე ლამაზად წვიიიმს,
ახლა როგორ უნდა გადაიღოს!
ისე შეგიყვარე,
მინდა აგიყვანო მეცხრე ცამდე,
მომაკვდავ სამშობლოში
როგორ შეიძლება პოეტი კარგად იყოს?!

სულ მენატრებოდეს შენზე
მინდა ჩუმი ჩაფიქრება,
მინდა მოდიოდეს
მუდამ ასე ნაზი წვიმა,
მინდა სულ მიყვარდეს,
ოღონდ სულერთია ვინ იქნება,
მინდა ცუდად ვიყო,
როცა საქართველოს ეტირება.

პოემა

კახა ბაციკაძე *სერგი ლომაძე*

ირეალური მეფე

(პოეზიის მეფის გაუჩინარება)

პ ო ე მ ა

— „ცაა სამყაროს მოლურჯო სისხლი,
დღე, — ღამის ფიქრი და სიზმარია,
ნელა შემოდის მზის თბილი ნისლი
და თვით სიჩუმის მძიმე ქარია.
ფრინველნი სვამენ შინდისფერ ღვინოს,
მერე კი ფრენენ, ცაში, მთვრალები,
ცისარტყელაა ცის პიანინო,
გადაჭიმული ფერთა გამებით.
შეგრძნება, როგორც მოლურჯო ია,
ოცნების მწვანე მინდორზე მოდის...
სიცოცხლე ცოცხლობს, ვით ფანტაზია,
რომელიც ალბათ ახდება ოდეს...
ახდება ოდეს...
ახდება ოდეს...“ —
და ექოებად გაიშალა
წყალზე სიტყვები.
ბგერები,
თვითონ სიჩუმემ რომ თქვა,
პოეტმა იგრძნო და გაიგო.
და გაიარა წყალზე ლექსმა.

მერე კი ნისლმა,
მზით გამთბარმა ნათელმა ნისლმა,
შთანთქა ლექსი,
პეიზაჟის მიერ შექმნილი.
პეიზაჟი კი
იგი ზღვაცაა,
გორაკიდან კარგად რომ
მოჩანს (ლექსიდან — არა).
ზღვაზე ნისლია,
რძისფერი ნისლი,
ალაგ-ალაგ შეწითლებული (მოშინდისფრო).
მზე იმალება, ალბათ,
ამ ნისლში.
მის სხივთაგან თუ
გაერია სითეთრეს ღვინო,
წითელი, როგორც
იესოს სისხლი;
და სვამენ ამ ნისლს
ფრინველები,
ამოფანტულნი ზღვისა გულიდან,
სვამენ, თვრებიან,
რაცრაცებენ ცაში მთვრალები...
და ირხევა ნისლთა ფარდები
ნელი ქარისგან,
მძიმედ დადის ფარდებში ქარი,
არაძლიერი,
ნელი და ჩუმი,
სიჩუმის შვილივით...
ფარტაზი ცხოვრობს
ერთ გორაზე,
ქალაქის ბოლოს აღმართულზე.
იქით — მთებია,
აქეთ — ქალაქი.
პატარაა ლურჯი ქალაქი,
ქალაქი ზღვისა, —
იმის მერე ხომ
ზღვა არის და,
ფარტაზი ხედავს
ქალაქსა და ზღვას
და ნისლს,
რომელიც ნელ-ნელა ქრება...
— „სიცოცხლე ცოცხლობს,
ვით ფანტაზია“, —
ფიქრობს ფარტაზი, —
,,ვით ფანტაზია... სხვა არაფერი...
მაგრამ მე ხომ
ფანტაზია მირჩევნია
ნამდვილს, უეჭველს...
თანაც ისეთი ფანტაზია,
რომელიც, ალბათ,
ახდება ოდესმე.
ხოლო გაცხადება,
აცხადება ამა სიზმრისა,
უფრო ლამაზი სიზმარი თუ
იქნება ალბათ“...
მან მიატოვა
ლურჯი ქოხი,
გორის თავზე წამომართული...
— „ლურჯია ფერი პოეზიის, —
ლურჯი, და მისი
ყველა ტონი“, —
ამბობდა ფარტაზ...
ლურჯი ოთახი დარჩა მარტო,
როგორც ფარტაზის მარტოობა
(როგორც პოეტის მარტოობა),
და მოიწყინა
მომწვანო და მოლურჯო
ფარდებმა,
ასეთივე ფერის კედლებმა...
მზე გაძლიერდა, შეთეთრდა უფრო,
მიელაციცა მოლურჯო ოთახს, —
ობოლი ქოხის
ერთადერთ ოთახს.
ცისფერი შუქით აივსო
სახლი.
ოთახში ჩადგა
სინათლის წყალი.
მაშინ გამკვეთრდა ნახატები,
ლურჯ კედლებზე ამოკაწრულნი
ფარტაზის მიერ.
ესენი იყო
დიად პოეტთა სურათები,
შუმერთა დღიდან მოყოლებული
ფარტაზის დღემდე:
შუმერები და ეგვიპტელები,
ინდუსები და ჩინელები,
იაპონელი ოსტატნი სიტყვის,
რაღა თქმა უნდა —
ძველბერძენი გენიოსებიც,
რომის დიადი ოსტატებიც —
ვერგილიუს და ოვიდიუსი
(ჰომეროსის მეტოქეები),
და სხვებიც, სხვებიც...
ქართველ რუსთაველს,
იტალიელ დანტეს ასევე,
ყველაზე დიდი ადგილი ჰქონდათ
ამ ლურჯ სივრცეზე
დათმობილი

(ალბათ, ეს ორი ადამიანი-პოეზია,
გამორჩევით უყვარდა ფარტაზს)...
აღიარებულ ოსტატთა გვერდით
სრულიად უცნობ პოეტებსაც
წააწყდებოდით, —
ფარტაზ სწავლობდა
სიტყვის დიადი ხელოვნების
მთელს ისტორიას
ძალიან ღრმად და
საფუძვლიანად, და
ამიტომაც იცოდა მან
ჩვენთვის უცნობი
შესანიშნავი ზოგი ოსტატიც...
კედლებზე იყო
სტრიქონებიც ამოკაწრული, —
მთელი მსოფლიოს მონაპოვარი;
ჩვენი პლანეტის
პოეტური კულტურა დუღდა
ამ სილურჯეში...
სხვა პროფესიის ხალხიც იყო
ამა კედლებზე აღბეჭდილი,
ვთქვათ, —
მხატვარი, მუსიკოსი, ფილოსოფოსი...
ოღონდაც ყველა —
განსაკუთრებით პოეტურნი,
რამეთუ ყველას,
ვინც ლექსსა წერს,
ფარტაზი პოეტს არ უწოდებდა,
ხოლო ზოგიერთს,
ვინც ლექსს არა წერს,
იგი ეძახდა პოეტს ჭეშმარიტს...
თვითონ ფარტაზ კი
ბევრს კითხულობდა
და ბევრს წერდა.
მთელი ცხოვრება ასე იყო:
ის, ბავშვობიდან უცნაური,
შეეპყრო სევდის
ულურჯეს ყორანს;
სევდა მის გულში ძლიერდებოდა
ჟამთსვლასთან ერთად,
ეს იყო დარდი უსაფუძვლო,
ეს იყო დარდი საფუძვლიანი
(ნუ ჩავსდევთ, ახლა,
მის საფუძვლებს),
ფარტაზის დიდი განცდანი კი
უბიძგებდა ამ კაცს წერისკენ,
და პოეზია
აიყვანა იმ სიმაღლეზე,
როგორც ის მთები, ცად რომ აწვდილან,
აგერა, ახლა,
გამძლავრებული მზე მნათ ხელებს —
სხივებს რომ ახებს...
„მთები აივსო სინათლის ტბებით,
ზეციდან მოდის სხივთა ჩანჩქერი“...
ნისლი კი გაქრა,
და ზღვა
მთელის ძალით გამოჩნდა.
ზღვა — ოკეანე,
დამანგრეველ ენერგიის მეუფე,
ტალღებს ნელა აგორავებდა,
პატარა ტალღებს.
ის თავს ზოგავდა,
რათა დიდ ბრაზში
მთელი პლანეტა არ შთაენთქა...
ეგებ... ეგებ სრული სამყაროც!..
ფარტაზს იცნობდა
მთელი ქალაქი.
ქალაქს იქითაც შორს განეთქვა
თვისი სახელი,
როგორც მეფეს ხელოვნებისას.
გამოიწვევდა იგი, ხშირად,
დიდად პოეტურ პაექრობაში,
ადგილობრივ თუ უცხოელ
პოეტთ
(ზღვისპირ ქალაქში
უცხოელებს რა გამოლევდა;
სტუმართა შორის
პოეტებიც საკმაოდ იყვნენ),
და უყურებდა ხალხი ამბავს —
ფარტაზის სრული გამარჯვებისას.
(თორმეტ ენაზე ჰქონდა ფარტაზს
გადათარგმნილი თავისივ ლექსნი,
რომ უცხოელთაც გაეგოთ და
დამტკბარიყვნენ
პოეტური ძალის მშვენებით)...
ფარტაზი იყო ფანატიკოსი,
და რელიგია, მისი,
გახლდათ პოეზია, —
ღმერთი მისი,
ტაძარი მისი,
ხატი მისი,
სანთელი მისი...
ის, ძილშიაც კი,
ხშირად ბოდავდა რაღაც სტრიქონებს,
ხოლო ფხიზელი, —
ლოცულობდა ყოველ ცისმარე,
რომ უფალს, მისთვის,
უფალს (პოეზიას),

პოეტური ძალმოსილება
არა დაეკლო...
და ნელ-ნელა თითქოსდა რომ
შეირყა კაცი,
ისშთანთქა მისმა პროფესიამ,
რელიგიად გადაქცეულმა.
ხალხს სულ დაშორდა.
სულ განმარტოვდა.
სულ ჩაიკეტა თავის თავში.
პარადოქსი იყო ნამდვილი, —
მთელი ქალაქი
ამაყობდა ამ კაცით და,
თან, იგი, ყველას
უსაზომოდ ებრალებოდა,
უდიდესად ებრალებოდა.
ბოლოს, ქუჩებში,
იშვიათად ჩნდებოდა იგი,
ხოლო როცა გამოჩნდებოდა,
როგორც აჩრდილი,
მარტოობის ღმერთისგან ქმნილი,
ეხეტებოდა განმარტოებით.
აი, თუ ვინმე შემხვედრთაგანი ესალმებოდა,
მიმსალმებელს
აკვირდებოდა ანთებულ მზერით
გასაოცრად ამაყი კაცი,
მერე მდაბლად თავს დაუკრავდა,
და ეტყოდა:
— „მეც გესალმები მთელის გულით.
ახლა კი უნდა მაპატიო...
მაპატიე, —
კვლავ რომ ვარსებობ...“
— „რას ამბობ, ფარტაზ!“ —
ხანდახან ცრემლს ვერ იკავებდა
მისი მნახველი.
— „ნუ გწყდება გული, მეგობარო;
შეშლილად ნუ მთვლი;
მაინც ვინ იცის,
შეშლილსა და გენიოსს შორის
სად გადის ზღვარი?..
მთავარი სხვაა, —
პირველად იყო პოეზია, —
აი, ესაა უდიდესი ჭეშმარიტება...“ —
ეტყოდა, ამას, ფარტაზი და,
გაეცლებოდა
ოკეანეთის გაოგნებულ მოქალაქეს...
სულ ბოლოს
აზრმა აიტანა შესაზარელმა:
მან გადაწყვიტა,
უძლეველმა ადამიანმა,
რომ პოეტურ პაექრობაში
თვით ოკეანე გამოეწვია,
ოკეანე — როგორც სამყარო!
იმას უნდოდა,
რომ ერთი კაცი ყოფილიყო,
როგორც ჯებირი,
და მთელს სტიქიას
მარტოდმარტო შერკინებოდა.
ის არ მალავდა
თავის ბოლო ახირებას და
ლაპარაკობდა, —
ოკეანეც დაიჩოქებსო
ჩემს ლექსთა ფერხთით...
ამის გამგონე ხალხისგან
ზოგი იცინოდა,
ზოგი ტიროდა...
ზოგიც ამბობდა, —
ხუმრობს ფარტაზი,
ოკეანესთან გაჯიბრებას
რა აზრი აქვსო!..
მაგრამ იმ დილით,
როს დაჩეხა ნისლი სხივებმა,
მზე, ცეცხლისფერი,
დააჩერდა, როცა, პლანეტას,
ზღვის ფრინველთა ფარდების
ფონზე,
ფარტაზ დაუყვა გორაკის ბილიკს,
მერე ქალაქის ქუჩებს გაჰყვა,
პოეტური ქალაქის ქუჩებს;
მას ეცვა თეთრი ტანსაცმელი,
თეთრი, ქათქათა;
თავზე ეხურა
გვირგვინი დაფნის;
და დანტესავით
ამაყი და უტეხი სახით,
პირდაპირ ზღვისკენ მიდიოდა,
აჩქარებულ, მტკიცე ნაბიჯით.
ხალხი მისდევდა მას
გუნდ-გუნდად
მთელს ქალაქიდან.
პატარა ქალაქს რაღაც ეგრძნო,
რაღაც ეგუმნა,
დ ხალხი სწრაფად,
შეთქმულნივით შეკრებილიყო.
— „სულ შეიშალა უბედური...
აი, მიდის ზღვასთან საომრად...“ —
ჩურჩულებდნენ გაოგნებულნი.
დღე ფანტაზიას ჰგავდა მართლაც,
იმ ფანტაზიას,

რომელიც, ალბათ, ახდება ოდეს.
კიდეც ხომ ახდა:
ასრულებული სიზმარი იყო, —
ღმერთთან მეომარი ამირანივით
მთელს სამყაროსთან
მებრძოლი კაცი
რომ იყო მათ წინ!
ამ პოეზიას ჰიპნოზივით ემოქმედა
ხალხზე, — ყველაზე,
და მიჰყვებოდნენ, მიჰყვებოდნენ
თეთრად მოსილ კაცს, —
შეშლილს, რომელიც
მეფე იყო ირეალური.
თუმც, სინამდვილე და არანამდვილი
ახლა ისე არეულიყო,
რომ მათ შორის
ხაზის გავლება
ძალიან ჭირდა...
და აი, ფარტაზ ნაპირზეა.
ნახა ადგილი,
ცოტაოდენ შემაღლებული,
მერე იქიდან
გახედა ზღვას და
ამირანი მოაგონდა, —
თუ — პრომეთე მოაგონდა, —
ტიტანი მისტიური, ღმერთთან მებრძოლი;
ხოლო თვითონ ზღვა
მართლაც იყო
უძლიერესი და უსაზღვრო,
როგორც ზეცა,
როგორც ღმერთი,
როგორც რუსთველის პოეზია...
ის ნელა-ნელა ტორტმანებდა, —
ზღვა, ოკეანე,
ის ლურჯი სივრცის ბარხატოვნებას
განიცდიდა,
ლურჯ სამყაროში განისვენებდა...
— მე დაგამარცხებ! —
ეტყვის ფარტაზი ოკეანეს,
და ეჩვენება,
რომ ცა იხსნება,
და იყრება ციდან მუსიკა
(როგორც ფიფქები)
პირდაპირ წყალში,
მერე ნაპირზეც, —
ფარტაზზე, ხალხზეც, იქ შეკრებილზე...
და იწყებს ფარტაზ
ლექსის თქმასა...
ეს იყო ლექსი,
ააღელვა, რომელმაც, ხალხი.
ზოგი ბავშვივით აატირა,
ზოგიც სრულიად გააოგნა
და გააფითრა...
და აღელდა ზღვაც.
ის აბორგდა, იგი აზვირთდა,
დიადმა ლურჯმა ფენომენმა
აჩვენა ძალა,
იგი მიაწყდა ნაპირს,
და ერთ კაცს
გადაუარა უზარმაზარ,
ძალუმი ტალღით!
წარმოიდგინეთ, — სხვები დაინდო,
ის დაეძგერა მხოლოდ ფარტაზს!
თითქოს გაცოცხლდა,
ზღვა გაცოცხლდა,
თითქოსდა მართლა მიხვდა იგი,
რომ ეს კაცი-პოეზია
მას დამარცხებას უპირებდა!..
წავიდა ტალღა.
ფარტაზი კი იდგა ნაპირზე.
გვირგვინი, უკვე,
აღარ ეხურა.
ერთიანად გალუმპულიყო.
სველ ტანსაცმელზე დაისვა ხელი,
გაიღიმა და
ოკეანეს კვლავაც გახედა, —
(წელში გამართვა კვლავ მოახერხა),
და ლურჯი მზერა,
ამრეკლავი ოკეანისა,
ამაყი მზერა შეაგება
დიად სტიქიას.
ეხვეწებოდა ფარტაზს ხალხი,
რომ ის, — პოეტი, ნაპირს გასცლოდა,
ვერკი ბედავდა ვერავინა
ამ მისტიკურ ბრძოლაში ჩაბმას,
ამ ბრძოლის ჩაშლას,
თითქოს გრძნობდნენო,
რომ ორი ზღვა
როცა ბობოქრობს,
სხვათა ჩარევა
მომაკვდავი ცოდვაა იქა...
იმ დღეს ფარტაზმა წაიკითხა
თერთმეტი ლექსი.
თერთმეტი ტალღა
შეასკდა მას, —
პოეზიისგან
სალ კლდედ ქცეულ კაცს,
ოსტატს (დიდოსტატს),

ვინც გადალახა
ზებუნებრივი მეათე ხაზი, —
მეათე დონე პოეზიისა.
პოეტის ცოდნა მოიცავდა
სრულყოფილ სივრცეს,
სულიერება-ფიზიკურობის ჰარმონიას...
მაგრამკი გული,
გული მისი,
მარტოობის საფლავი იყო:
იქა ეძინა ფიქრს — მარტოობას.
ხოლო ფარტაზი,
მარტოობით ნაავადარი,
ვერა იყო ზღვისა მომრევი;
პოეზიისგან
აგერ ახლა ღმერთკაცად ქმნილი,
მაინც უნდა წაქცეულიყო
ადრე თუ გვიან...
სულ ბოლოს
ლექსი წაიკითხა, იმან,
ერთ ბავშვზე (ავადმყოფ ბავშვზე),
რომელიც კვდება,
სიკვდილის წინ კი
იგონებს თამაშს, —
ლექსის დაწერას.
და წერს რაღაცას,
თან ფიქრობს, რომ
თუ დაასრულებს იგი
ამ ნაწერს,
გადარჩება;
ხოლო თუ ლექსი
სადმე შეწყდა,
ვერ მოერია თუკი სტრიქონებს,
მაშინ შეწყდება გულის ფეთქვაც...
ვერ დაასრულა თვით ფარტაზმა
თავისი ლექსი,
პოეტ ბავშვზე რომ
სურდა ეთქვა, —
გაწყდა სტრიქონი,
გადატეხა იგი ზღვის ტალღამ.
ეს მეთორმეტე ტალღა იყო, —
მეთორმეტე ლურჯი ლექსი,
ზღვისგან შექმნილი.
და თუ სტრიქონი შეწყდებოდა,
შემწყდარიყო უნდა სიცოცხლეც.
მოკვდა სტრიქონი ფარტაზისა.
გაქრა ფარტაზი, —
წაიღო ტალღამ,
გადაკარგა,
აღარავის, იმას მერე,
აღარ უნახავს...
ხალხს, განცვიფრებულს,
ის ვერაფრით ავიწყდებოდა.
და კამათობდნენ:
— „შეშლილი იყო უბედური“, —
ამბობდა ზოგი, —
„მართლა სჯეროდა
იმ მარტოსულს,
რომ სტიქიას დაამარცხებდა,
ჩვენსა დიდ ზღვას,
ჩვენს ოკეანეს დაამარცხებდა?!“..
— „შეშლილი? არა,
გენიოსი იყოო იგი“, —
ამბობდნენ სხვები, —
„ჯერ გაიხსენეთ,
როგორ ლექსებს წერდაო ფარტაზ!
მერე — წერილი... ის წერილი“...
ხო, წერილი მართლა იპოვეს
ფარტაზის სახლში,
მის დაღუპვიდან
ცოტა ხნის მერე:
„მე, ამ დღეებში,
მინდა სტიქიონს შევებრძოლო, —
უსასრულო მოლურჯო სივრცეს.
ვიცი, — დამღუპავს ოკეანე.
მე გადარჩენა არ მიწერია...
და მაინც, მაინც,
მე, ამ დღეებში,
უსასრულობას მსურს შევებრძოლო!..
უნდა წავიდე...“
სხვას აღარაფერს გვაცნობებდა
ანბანის ენა,
სხვაზე სდუმდა
თეთრი ფურცელი,
მაგრამ
დაღუპვა რომ იცოდა,
თვისი, ფარტაზმა,
უეჭველი და გარდაუვალი,
ეს კი მაინც
ნათელი იყო.
დანამდვილებით ვერავინ თქვა,
რად აირჩია ამ პოეტმა
ეს დასასრული,
რისი თქმა სურდა ამით
ფარტაზს,
ან რა იდეას მსახურობდა,
ან რა იდეას აყალიბებდა
სიცოცხლესა და სიკვდილს შორის
მდგარი, იმ ზღვარზე...

ჭეშმარიტება დაიკარგა...
დრო...
დრო გავიდა...
მარადისობას ახლაც ითვლის
ღმერთის საათი.
კოსმოსი ახლაც
ინტერესით დაჰყურებს მიწას.
ადამიანნი
მიმოდიან, ბჭობენ, იბრძვიან...
ზოგი მათგანი აღწევს მიზანს,
ზოგი კი — ვერა.
იქნებ...
იქნება ვერვინ აღწევს
მიზანს უმთავრესს,
რამეთუ მისი არსებობაც
არღა იციან...
იფშვნება წლები...
მოჰგავს, ცხოვრება,
ავადმყოფი პოეტის სიზმარს...
სიცოცხლე ცოცხლობს,
ვით ფანტაზია,
რომელიც ალბათ ახდება ოდეს...

მხატვრული განყოფილება

რევაზ მიშველაძე

ცხოვრება უერთმანეთოდ

უძლიერესმა დარტყმამ სავარძელს ქამრიანად ამგლიჯა და მაღლა ამაგდო.

კივილ-გნიასმა ერთბაშად გამომაღვიძა.

თვითმფრინავი წყალზე შხუილით მიჰქროდა.

ილუმინატორში ფრთის ქიმზე წითელი ნათურა ციცინათელასავით კრთოდა.

პირველი, რისი გახსენებაც მოვასწარი, ის იყო, რომ თვითმფრინავში შემოსვლისას სათადარიგო გასასვლელს მოვკარი თვალი და გავიფიქრე, რა კარგია, სწორედ გასასვლელთან ვზივარ მეთქი.

სხვა დროს არასოდეს მიმიქცევია ყურადღება ამ "წვრილმანისთვის".

ზონარი ჩამოვქაჩე, სახელური ღონივრად გადავწიე, ჩემს გვერდით მჯდომ ქალს ხელი ვტაცე და გადავხტი.

ვინანე, ხომ არ ვიჩქარე მეთქი.

გარემოებამ წუთის მეათედში დამარწმუნა, რომ სწორად მოვიქეცი.

თვითმფრინავი ჩვენგან შორს, ჰორიზონტზე აფეთქდა.

ამ საშინელმა აფეთქებამ მე და ჩემს თანამგზავრს ის სამსახური გაგვიწია, რომ წყვდიადი ელვასავით გაანათა და მარჯვენა მხარეს მთის წვერი გამოაჩინა.

წყალი ცოტა ხანს იწვოდა, მერე ისევ სიბნელემ და სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ.

გვერდით წყლის ჩქაფანი და კვნესა მესმის.

- ცურვა ხომ იცით, ქალბატონო?

- კი.

- ხომ არ დაშავდით?

- არა. გადმოხტომის დროს რაღაცას თავი მივარტყი.

- დაინახეთ თვითმფრინავი როგორ აფეთქდა?

- დავინახე. ღმერთო, რა საშინელებაა. თქვენ როგორ ფიქრობთ,

გადავრჩებით?

- ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ.

- ნეტავ, ნაპირი შორსაა? – ახალგაზრდული ხმაა.

ოჰო, სამნი ვყოფილვართ.

შევჩერდი და უცნობ ხმას მივაყურადე. წყლის შრიალი სულ ახლოს გაისმა.

- თქვენ? აქ როგორ აღმოჩნდით?

- თქვენ გამოგყევით, თქვენს უკან ვიჯექი, განაპირას.

- ყოჩაღი ქალი ყოფილხართ.

- თუ შეიძლება თქვენთან ვიქნები, გეხვეწებით, არ დამტოვოთ. არ მინდა

სიკვდილი.

ქალის ხმაში სასოწარკვეთა იგრძნობა.

- მაგას რა ლაპარაკი უნდა. სხვათაშორის სიკვდილი არც ჩვენ გვინდა.

ოცდაერთი აგვისტოა.

წყალი თბილია, ოკეანე თითქმის არ იძვრის.

საათს დავხედე, ღამის ორი საათია.

ხუთ საათზე სეიშელის კუნძულებზე უნდა დავშვებულიყავით. ასე რომ ჩემი გამოანგარიშებით, სადღაც აფრიკის კონტინენტის სიახლოვეს ვართ ოკეანის სანაპიროსთან, მაგრამ სად?

და რაც მთავარია, სწორად მივცურავთ ნაპირისაკენ?

ერთ საათში სამივენი გვარიანად დავიღალეთ.

- მობილურების საქმე როგორ გვაქვს? მე თვითმფრინავში დამრჩა.

- მეც. შემეპასუხა ის ქალბატონი, ვინც პირველმა გაიზიარა ჩემი ბედი.

- მე საერთოდ არ ვატარებ მობილურს. – ხმას თუ ვენდობით, ჩვენი ახალი თანამგზავრი ოცდახუთ წლამდე ასაკის უნდა იყოს.

- ეს ცუდია... ახლა კარგად მომისმინეთ, ორივემ: რაკი ნაპირი არ ჩანს და მთვარეს მივყვებით, ზედმეტი ბარგისაგან უნდა გავთავისუფლდეთ. ტანზე გავიხადოთ სამივემ, თორემ ცურვის გაგრძელებას ვეღარ შევძლებთ.

ხუთიოდე წუთში თითქმის დედიშობილა მივცურავდით.

ორივეს ვასწავლე პირაღმა ცურვა და წყალზე დასვენება.

“თავს ძალა არ დაატანოთ. წყალთან ჭიდაობა არ შეიძლება. მშვიდად, თანმიმდევრულად, ღრმად ისუნთქეთ. რაც მთავარია, მე თქვენთან ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ შიშის არავითარი საბაბი არა გაქვთ. ზღვა წყნარია, ჩვენ გვეხმარება...”

ამას რომ ვამბობდი, ვგრძნობდი, რა თანაგრძნობით და იმედით მისმენდნენ.

როგორც იქნა ინათა.

ჯერ ნაცრისფერი დაედო წყალს, მერე ვერცხლისფერი ზოლები დააჩნდა. ნაპირი, სანუკვარი ნაპირი არსად ჩანს.

ცოტა არ იყოს, მეც შევშინდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. საკმარისია ქალებმა შიში შემატყონ, რომ სასოწარკვეთა სამივეს დაგვღუპავს.

- რაც მთავარია, გათენდა. სინათლე მხარში ამოგვიდგება. აწი აღარაფერი გვიჭირს, გოგონებო! ისე, რომ იცოდეთ, სწორად მივცურავთ.

- რაზე ატყობთ? – ამოიკვნესა ახალგაზრდა ქალმა.

- შეხედეთ, თოლიები დასავლეთისკენ მიფრინავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაპირი იქეთ მხარესაა.

- რა იცით, რომელია დასავლეთი?

- რა ძნელი გამოსაცნობია, გაიხედეთ უკან, ხომ ხედავთ, ცას სიწითლე ეპარება.

კიდევ ერთი საათი ცურვა და ჯერ მთის მწვერვალები გამოჩნდა, მერე მაღალი, ლურჯ-მწვანედ ახუჭუჭებული ტყე და ბოლოს კლდოვანი ნაპირი.

ნაპირის ხილვამ ძალა შეგვმატა. უკანასკნელი ღონე მოვიკრიბეთ და კლდეთა შუა, თეთრქვიშიან ნაპირზე მანამდე ვეგდეთ სამივენი თავდაღმა, სანამ მცხუნვარე მზემ ბეჭები არ აგვიწვა.

წამოვჯექი.

აი ისინიც. რა ლამაზად წვანან. მართალია, საცურაო კოსტუმი არ ამშვენებთ, მაგრამ მშვენიერი ადგილები ისე საყვარლად აუშვერიათ მაღლა და ისე უხდებათ საგარეო თეთრი ბიკინები, რომ წუხანდელი ტანჯვა-წამება კინაღამ გადამავიწყდა.

როდის, როდის წამოვჯექით.

მზე ყავისფერ კლდეებს შვეულად ადგას.

- დროა გავიცნოთ ერთმანეთი, - დავიწყე მე. – ჩიკაგოში ვცხოვრობ. დიდი ვინმე არ გეგონოთ, “სეკნდ გრუპის” ბუღალტერ-მენეჯერი ვარ. სეიშელის კუნძულებზე პირველად მივდიოდი, ათი დღით, დასასვენებლად. ჯონი მქვია.

- ჩვენთვის დიდზე დიდი ვინმე ხარ. შენ გადაგვარჩინე. ხელი რომ მომკიდე, ანგარიშმიუცემლად მოგყევი. ისე ღონივრად ჩამავლე, რომ მაშინვე ვიგრძენი, თუ ვინმეს შეუძლია ჩემი შველა, მხოლოდ ამ კაცს მეთქი. მე კრისტი დამიძახეთ. “დედა ტერეზას ფონდში” მედდად ვმუშაობ, ნიუ-ორკელი ვარ.

კრისტის ოქროსფერი თმა აქვს და ნუშის ფორმის მუქი ლურჯი თვალები. სწორ მხრებზე ნახევრადხვეული დალალები ისე აყრია, როგორც ქალთევზებს ნახატებში.

- მე ქეთრინი ვარ, - წამოუდგომლად წელში გაიმართა და უმანიკურო ფეხის

თითები ქვიშაში წაჰყო ქეთრინმა. – მადლობელი ვარ თქვენი. თქვენ რომ არა, უსათუოდ დავიღუპებოდი. მეც ნიუ-ორკელი ვარ. კოლუმბიის უნივერსიტეტი დავამთავრე. სამი წელი სტივენსონის კოლეჯში ხელშეკრულებით ვმუშაობდი. ახლა უმუშევარი ვარ. მეც სეიშელზე მივდიოდი. მხოლოდ ხუთი დღით.

ქეთრინს ტყვიისფერი სწორი თმა აქვს, სწორი, ამერიკული ცხვირი და გრძელი ფეხები. ვხვდები, რომ ადგება, ჩემზე და კრისტიზე მთელი თავით მაღალი იქნება.

- ახლა მთავარია აღმოსავლეთის მიმართულებით ვიაროთ და იმ ადგილამდე გავაღწიოთ, სადაც თვითმფრინავი აფეთქდა. კატასტროფის შესახებ უკვე მთელ მსოფლიოს ეცოდინება. ჩვენ, ალბათ, უგზოუკვლოდ დაკარგულებში ვწერივართ. ეს ტიტული ამოცნობილ გვამებთან შედარებით გაცილებით უკეთესია და უფრო დიდი ნუგეშია ჩვენი ოჯახის წევრებისთვის. მომყევით, მთავარი საშიშროება უკან დაგვრჩა, მაგრამ წინ არანაკლები გამოცდა გველის. – ეს ისე საქმიანად და მშვიდად ვთქვი, თითქოსდა მთელი ცხოვრება ავიაკატასტროფის მსხვერპლთა მომსახურებაში გამეტარებინოს.

წამოვდექი და კლდის ნაპრალს შევუყვი. მომყვნენ. ხვიარის ფესვებს მოვეჭიდეთ, სლიპ ქვებზე ფეხი გვისხლტებოდა, მაგრამ ხავსს ბასრი ქვით ვსხეპავდით და ფეხის მოსაბჯენს ვაკეთებდით. რის ვაი-ვაგლახით კლდეების თავზე მოვექეცით და ჯუნგლებში შევყავით თავი.

ნაპირ-ნაპირ სამი მიზეზის გამო არ წავედით: ჯერ ერთი, ძალიან ცხელა, მეორეც, კლდეები ზოგგან ერთმანეთს ისეა დაშორებული, რომ შემოვლა თითქმის არ შეიძლება და მესამეც, გზის მოჭრა ტყით უფრო ხელსაყრელია.

რა ლამაზად უჩვენებენ ფილმებში ჯუნგლებს: მიადგები გუბურას თუ არა, უზარმაზარი, კაცისმყლაპავი ნიანგი მოცურდება და საზარელ, წითელ ხახას გიჩვენებს. ხეებზე მაიმუნები ხტიან, ერთმანეთს კუდებზე ეკიდებიან და უცხო სტუმრებს ცნობისმოყვარედ დასჭყავიან, პაპაის ბუჩქებს შორის შვიდმეტრიანი უსათვალო გველები დასრიალებენ. მოგველდება ერთი მათგანი, კაცის სიმაღლეზე აღიმართება შენს წინ, მოგაჩერდება თავისი მომნუსხველი მზერით, მერე თითქოს თავდასხმა გადაიფიქრაო, ნელ-ნელა გაუწვება ბალახს და გაუჩინარდება. რაც მთავარია, შორიახლო მოგყვება ჯუნგლების დარაჯი, ყველასთვის და ყველაფრისთვის ერთნაირად საშიში ვეფხვი...

არაფერი მსგავსი ჯუნგლებსი ჩვენ არ გვინახავს, თორემ ჩვენი დაგვემართებოდა. ფიცში რომ არ ჩავიყოლო, შორიდან გვესმოდა მაიმუნების ჭყავილ-კივილი და ფრინველთა ყაშყაშ-ჭახჭახი.

ჯერ ასე თუ ისე თავისუფლად ვაბიჯებდით, მერედამერე სიარული გაძნელდა. ათასწლოვანი ხეებიდან ბაწრებად დაშვებული ტეშები სახეში გვცემდა, ეკალ-ბარდები გზას გვიღობავდა. გამხმარი ბამბუკის ჯოხებით შევიარაღდით. ჯოხებს გამეტებით ვცემდით ლაქაშ-ბარდებს, მაგრამ ზოგჯერ ჯოხი ხელში შემოგვატყდებოდა და ეკლის კაკანათი მთელი რჩებოდა.

ერთი პირობა უკან დაბრუნება გადავწყვიტეთ, მაგრამ გადავიფიქრეთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნაპირიდან საკმაოზე მეტად შორს ვიყავით და ვაი თუ უკან გზა ვერ გაგვეგნო.

საღამოსკენ ჯუნგლებში ცოტა აგრილდა.

როგორც კი ხვიარებს თავი დავაღწიეთ და ხელისგულისოდენად მაინც გავიმინდვრეთ, ღამის გათევა გადავწყვიტეთ.

ჯერ ვახშამის საკითხი უნდა მოგვეგვარებინა.

ერთბაშად მოვარდა შიმშილი ჩვენთან და ლამის ყველაფერი დაგვავიწყა.

თუ რამე ხიფათს არ გადაეყარა, შიმშილით არ მოკვდება ჯუნგლებში კაცი.

ერთი გავიარ-გამოვიარეთ და ყველაზე სასიხარულო ის იყო, რომ იქვე ახლოს ჩვენს მინდორთან წყაროს გადავაწყდით. ნახევარმეტრიანი გუბურის შუაგულში წყალი ბუყბუყით ამოდიოდა. სიხარულისგან ტაში დავცხეთ და ლამის ამოვხაპეთ პეშვებით გუბურა. ეს უკვე გადარჩენას ნიშნავდა.

ველური ბანანით მსუბუქად ვივახშმეთ. ველური ბანანი სხვათაშორის უფრო გემრიელი აღმოჩნდა, ვიდრე მისი გაკულტურებულ-გენმოდიფიცირებული ნაირსახეობა, ბროდვეიზე რომ ფეხის ყოველ ნაბიჯზე ჰყიდიან.

მერე ბანანის ფოთლებითვე შევიმოსეთ. გრძელ, დამყოლ ფოთლებზე ჯერ თავის გასაყოფი ამოვჭერით გამხმარი ბამბუკის ქვით გაჩეჩქვილი ბასრი "დანებით". თითო ფოთოლი ჩემს ნიმფებს მკერდზე შემოვახვიე და ჯანმრთელ ბარძაყებზე. მერე ეს ყველაფერი ბამბუკისავე ძაფებით შემოვაკარი ორივეს ტანზე. რატომ ვიკისრე მთავარი დიზაინერ-მკერავის ფუნქცია, მე თვითონ არ ვიცი. უნდა გენახათ, რა მშვიდად, თვინიერად იდგნენ ჩემს წინ. ერთადერთი ნატვრა აწუხებდათ: ნეტავ სარკეში ჩაგვახედა, როგორები ვართო.

ღამე შეიძლება ძილის დროს უხერხულად გადაბრუნდეთ და ფოთლები ტანზე შემოგეხეთ, მაგრამ ნუ დაღონდებით, ირგვლივ უამრავი ბანანია მეთქი, ვამშვიდებდი შიგადაშიგ.

საქმე კარავზე მიდგა.

წვეტიანი ქვით რამდენიმე ბამბუკი მოვჭერით და მიწაში ღრმად ჩავასვეთ. ზემოდან ჯუნგლების თოკებით (სადღაც წამიკითხავს ტეში ჰქვიათ) მაგრად გადავაბით. იქვე, ახლოს ლოტოსის მსგავსი წყალმცენარე აღმოვაჩინეთ, რომელსაც ბანანზე უფრო ფართო და სქელი ფოთლები ჰქონდა. ლოტოსები ბამბუკის ჯოხებით მოვწიეთ და როგორც იქნა (ძალიან მძიმე იყო) კარვამდე მოვიტანეთ.

მთავარი იყო ფოთლების ერთმანეთზე გადაბმა. წვრილად დამტვრეული ბამბუკის ნედლი ჩხირებით ბანანის და ლოტოსის ფოთლები ერთმანეთს გადავაკერეთ და ქოხი არა მარტო გადავხურეთ, „საიმედო" კედლებიც ამოვაფარეთ. ყოველ შემთხვევაში კარავს ირგვლივ და ზემოთ ტეში შემოვაკარით.

რაზე დავწვეთ? მიწა ხავსიან-ნესტიანია. წავედით და უამრავი ფიჩხი, გირჩის მსგავსი ცრუნაყოფი (ზამბარას ჰგავდა) და წიწვოვანი ტოტები მოვაგროვეთ, ზედ ჩვენი ნაცადი ბანანის ფოთლები გავფინეთ და "მშვენიერი საწოლები" გამოვიდა.

ქალბატონებს ბოდიში მოვუხადე, რომ ოროთახიანი კარვის გაკეთება ვერ ხერხდებოდა და დაძინება ერთ საწოლზე გვიწევდა, რაზედაც ჩემს თანამგზავრებს პროტესტი არ გამოუთქვამთ, უფრო მეტიც, "შევატყვე" არ ეწყინათ.

სანამ დავწვებოდით, ჩემმა მომხიბვლელმა თანამგზავრებმა, როგორც ეს კარგად აღზრდილ ქალებს ჩვევიათ, ლიფ-ბიკინები წყალში გაავლეს და გასაშრობად ბუჩქებს მიაკიდეს.

* * *

მთვარე ცოტა ხანს ადგა ჩვენს კარავს.

შუაღამისას უზარმაზარი ხეებისკენ გადაიწია და ირგვლივ ნერვულ-ხმაურიანი წყვდიადი გამეფდა.

ოღონდ ისეთი წყვდიადი, ტელევიზორი რომ ჩართული დაგრჩება და უაზრო ბზუილ-გნიასი ძილის ტომარას რომ გახურავს თავზე.

ჩემს გვერდით კრისტი წევს, კრისტის გვერდით ქეთრინი.

საათს დავხედე, ორს აღარაფერი უკლია. რც კრისტის სძინავს, სუნთქვაზე ვატყობ.

- სუუუ, მე ვარ. – ჩურჩულით ვეუბნები.
- როგორ შემაშინე.
- ჩემს მეტი აბა ვინ მოგეფერეოდა.
- რა ვიცი, რა არ ვიფიქრე.
- აეროპორტში ვინმე უნდა დაგხვედროდა?
- არა.
- არც მე.

ხელს ვუსვამ რბილ, ვნებიან მკერდზე და ვიზიდავ ჩემსკენ.

- ქეთრინს სძინავს?
- ძალიან ღრმად. დაწვა თუ არა, მაშინვე მკდარივით ჩაეძინა.
- აქეთ მოიწი. ამოვალ აბა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.
- რას შვრები, გაგიჟდი? გაეღვიძება.
- მერე რა, გაეღვიძოს, არც ისე პატარაა.
- არა, არა, ასე არაფერი გამოგვივა, ორივენი დავიტანჯებით.
- გარეთ გავიდეთ.
- ეგ კარგი აზრია.
- ფრთხილად... ფრთხილად... ნამდვილი დათვი ხარ.

გამოვედით და იქვე ბალახზე მივწექით.

- მოიცა... ნელა, მკლავი ნუ მომტეხე... მოიცა.

ფეხები აქეთ-იქით ხავსიან ლოდზე შეაწყო, ბანანის ტანსაცმელი შემოიხია და ქვეშ გაიფინა.

- რა გემრიელი ქალი ხარ.
- არ იტყუები?
- არა.
- ღმერთო, ვინ იფიქრებდა.
- ღმერთს მადლობა, რომ გადავრჩით.
- და არა მარტო გადავრჩით. ერთი უბედნიერესი ღამე მაქვს ჩემს ცხოვრებაში.
- მიყვარხარ.
- ჩუ, არ თქვა ეგ სიტყვა. ორსაათნახევარი იჯექი თვითმფრინავში ჩემს გვერდით და ხმა არ გაგიცია.
- არ მიყვარს უცნობებთან გამოლაპარაკება.
- არც მე. ხელები თავქვეშ ამომიდე რა.
- ასე, ჰო, კარგია.

მეორედ უფრო დიდხანს გაგვიგრძელდა და ცოტა თამამ-ხმაურიანი გამოდგა.

ის ის იყო სული მოვითქვით, რომ ზედ ყურთან ჩაგვესმა:

- კრისტი!
- ჰო!- გაეპასუხა კრისტი და ჩემი მკლავებიდან თავი გაითაისუფლა.
- სადა ხართ, ვერ გხედავთ?!

ქეთრინი კარავთან დგას და შიშველ მკლავებზე ხელს ისვამს.

- ერთი წამით გამოვედით გარეთ.
- შემოდით, ძალიან გთხოვთ.

შევედით.

- როგორ შემეშინდა. კივილამდე ცოტა მაკლდა, - ხმის ცახცახით ამბობს ქეთრინი.

- კივილამდე, თორემ სასტუმროს დაცვა და მორიგე ადმინისტრატორი არ მოვარდნილიყო, - ვთქვი მე.

მერე დავწექით და სამივეს გულიანად გვეძინა.

ისე გულიანად, თითქოს არც თვითმფრინავის კატასტროფა ყოფილიყოს და არც ჩვენ, სამივენი შევრჩენილიყავით ჯუნგლებს მიუსაფარნი, გზადაბნეულნი და რომ იტყვიან, ჰაერში გამოკიდებულები.

* * *

მეორე დღეს კვლავ გზას დავადექით.

რა დიდებული ფრაზაა, მაგრამ ამ სიტუაციისთვის სრულიად შეუფერებელი.

გზას დაადგები მაშინ, როცა გზა არსებობს. ჩვენ კი კვადაცის ბუჩქებში, ისტორიამდელ ხეებში და ეკალ-ბარდებში, პარასკევას სამოსში გამოწყობილები მივარღვევთ ჯუნგლებს.

ბამბუკის ტარებს კანაფის თოკებით ბასრი ქვები მივაბით და ამგვარი ქვის ნაჯახებით ვცდილობთ გზის გაწალდვას, მაგრამ ძალიან გვიჭირს. მესამე დარტყმაზე კანაფი წყდება და დიდი ალბათობაა იმისა, რომ ასხლეტილი ქვა შუბლში მოგვხვდეს.

გზადაგზა პაპაის ნაყოფს, სხვადასხვა ჯურის აკილ-კენკრას და ბანანს ვჭამდით. ირგვლივ უამრავი მწერი, გიგანტური ხოჭო და ლოკოკინაა. “დისკავერში” არაერთხელ მინახავს როგორ გააქვთ თავი ჯუნგლებში დარჩენილებს კალიებით, ხოჭოებით, კიბორჩხალებით და ლოკოკინებით, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით “ხილის დიეტას” ვამჯობინებთ.

- თუ ჩვენი ველური ცხოვრება გაგრძელდა და უხორცოდ ვერ გავძელით, არ შეგეშინდეთ, გოგონებო, მშვილდ-ისარს გავაკეთებ და სხვას თუ ვერაფერს, ჯუნგლების ხოჭოს და გარეულ ბატს მაინც მოვინადირებ. – ნახევრად ხუმრობით ვამბობ.

- კარგი ენის იყავი, - მიღიმის კრისტი და შუბლზე ოფლს მაჯით იწმენდს.

ქეთრინი ჩვენზე ყოჩაღი აღმოჩნდა.

ხანდახან დაწინაურდება და ისე ღონივრად იქნევს ქვის ნაჯახს, რომ შენი მოწონებული.

- სსსს! ჩუმად!

კრისტიმ ხელი შემართა.

ძალიან შორს და ყრუდ ვერტმფრენის გუგუნი ისმის და მალევე წყდება.

საღამოსკენ ძალიან დავიღალეთ და სრულიად გაუთვალისწინებელი ხიფათი შეგვემთხვა.

კრისტის დამპალ, დახავსებულ მორზე ფეხი დაუსკლტა და მარცხნივ რომ გადავარდა, დაიკივლა:

- დავიღუპე!

მე და ქეთრინი მივვარდით. ძლივს ამოვუღეთ მარჯვენა ფეხი და ბალახზე წამოვაწვინეთ.

კრისტის ცრმელები ღაპა-ღუპით ჩამოსდის.

ფეხის თითებიდან დავუწყე გასინჯვა და ყოველ მოძრაობაზე ვეკითხები:

- ასე გტკივა?

- ძალიან.

- ასე?

- ძალიან.

- ასე?

- ცოტა.

ტერფის სახსარი ან მოტეხილი აქვს, ან ძალიან ნაღძობი

სადაცაა დაღამდება.

გზის გაგრძელებას, რასაკვირველია ვეღარ შევძლებთ.

კოჭი ფოთლების და ბამბუკის არტახებით გავუკარით და იქვე მივაწვინეთ.

ჩვენი კარავიდან შორს არ ვართ, მაგრამ იქ ჩასვლას ვეღარ შევძლებთ.

- როგორ დაგაღალატეთ, მაპატიეთ, რომ ასე შემემთხვა, - წუხს კრისტი.

- არაუშავს, ხვალამდე გაგივლის, ცოტაც მოითმინე. სცადე, იქნებ ჩაგეძინოს.

მე და ქეთრინი გამალებით ვშრომობთ ისევ იმ საშუალებებით, რაც გუშინ გაგვაჩნდა. (მაგრამ ახლა გამოცდილება მეტი გვაქვს) გავაკეთეთ კარავი და კრისტი ფრთხილად შევაწვინეთ. ჩვენც ავადმოფს ირგვლივ შემოვუწექით.

კრისტი მთელი ღამე ბორგავდა.

წამდაუწუმ ბოდიშს გვიხდიდა და ტკივილგამაყუჩებელს გვთხოვდა.

დილისკენ ცოტა დამშვიდდა და ჩაეძინა.

ფეხი ჩვენდაიღბლად არ გასივებია. შეწითლებული აქვს, მაგრამ რაკიღა თითებს თავისუფლად ამოძრავებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოტეხილი არ აქვს.

როცა მზე ამოვიდა და სამივენი კვლავ ჯუნგლების სამოსით შევიმოსეთ, კრისტის ბამბუკის ყავარჯნები გავუკეთეთ, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შეძლო. მერე ქეთრინმა მოიფიქრა, მოდი საკაცით წავიყვანოთ, მაგრამ იუარა, საკაცით ვერ წამიყვანთ, თქვენც გაწვალდებით და ზედმეტ ბარგად დაგაწვებითო. იქნებ თქვენ განაგრძოთ გზა და თუ სიკვდილი არ მიწერია და სამშვიდობოს გახვედით, მერე მოდით მაშველი რაზმით ჩემს გადასარჩენადო.

ეს უკანასკნელი წინადადება კრისტის რასაკვირველია „გმირობაში“ ჩავუთვალეთ, მაგრამ მისი ცრემლიანი პათეტიკა სასაცილოდ არ გვეყო.

- შევფიცოთ ერთმანეთს, რომ სიკვდილამდე სამივენი ერთად ვიქნებით, - ამბობს ქეთრინი.

- შეფიცვაც არ არის საჭირო. ეგ თავისთავად იგულისხმება – ვამბობ მე და

კრისტის მტკივან ფეხზე ხელს ვუსვამ.

- როგორ მესიამოვნა შენი ხელი. – კრისტი ცრემლს ყლაპავს.

- სხვათაშორის, მეუბნებიან, რომ ბიოდენი მაქვს. – ვამბობ და „მასაჟს“

განვაგრძობ.

გადავწყვიტეთ, რომ ხვალამდე აქ მოვიცადოთ და თუ კრისტის ფეხი დაუცხრა, ხვალ გავაგრძელოთ გზა.

შუადღისას მე და ქეთრინი კარავს ვტოვებთ.

ჩვენს „გასეირნებას“ რამდენიმე აუცილებელი მიზეზი აქვს: პირველ რიგში სასმელი წყალი უნდა მოვძებნოთ და ქოქოსის დაცლილი კაკლის „თუნგებით“ უნდა მოვიტანოთ, მეორეც, ახლომახლო ტერიტორია კარგად უნდა დავზვეროთ, იქნებ გავარკვიოთ, სადა ვართ და რა მიმართულებით უნდა ვიაროთ, მესამეც, კრისტისთვის იქნებ მრავალძარღვას ან ძირტკბილას მსგავსი საფენები მოვიპოვოთ და თანაც საკვები მოვიმარაგოთ.

ამ ოთხი მიზეზის გამო, მოგვიწია კრისტის დროებით მიტოვება და გვერდით ყოველშემთხვევაში ქვის ნაჯახი დავუდეთ „დაუპატიჟებელი სტუმრების“ მოსაგერიებლად.

- ხომ არ გეშინია, კრისტი? – თავზე ხელს ვუსვამ. – თუ გინდა ქეთრინს დავტოვებ და მარტო წავალ.

- არა, წადით. ოღონდ, გზა მოინიშნეთ და საღამომდე დაბრუნდით.

- საღამომდე კი არა, ორ საათში აქ ვიქნებით.

- აბა, გკოცნით, ჩემი დარდი ნუ გექნებათ.

- ყოჩაღად, კრისტი.

ბამბუკის ჯოხებით შევიარაღდით და ტყეს შევერიეთ.

წყალი არსად ჩანს. თბილ ბალახზე მანგოს უამრავ ნაყოფს წავაწყდით.

მწიფე მანგო მიწაზე ეყარა, ზემოთ ხეს კი არც ერთი არ ესხა.

მანგო, მოგეხსენებათ, უაღრესად ტკბილი და წვნიანი მცენარეა. ერთნაირად ჰკლავს წყურვილსაც და შიმშილსაც.

უკან დაბრუნებისას დარჩენილ მანგოს მოვაგროვებთ, ბანანის ფოთლებისგან ძაბრისებურ პარკს გავაკეთებთ და კრისტის მივუტანთ.

სიღრმეში ჯუნგლი უფრო და უფრო გაუვალი ხდება.

ქეთრინს გრძელი თეთრი ფეხები დაეკაწრა. ერთხელ ფეხისგულში ეკალიც შეერჭო. მისი ქანდაკებისებური, კოხტა ტერფი მუხლებზე დავიდე, როგორც იქნა, თითების ძირში ვიპოვე ეკალი და ამოვუღე.

ახლა მთავარია ინფექცია არ შეეჭრეს მეთქი, ჯერ ხელი მოვუჭირე ნაეკლარ ადგილს, მერე კბილებით დავწვდი და ვცადე წყლული გამომეწოვა.

ქეთრინი თავისი წყლიანი თვალებით მათვალიერებდა.

როცა მკურნალობას მოვრჩი და მუხლიდან ტერფამდე ხელი ჩამოვუსვი, გონს მოეგო, გმადლობთო მითხრა და სწრაფად წამოხტა.

გზა განვაგრძეთ.

- ნეტა როგორაა კრისტი, მარტო ხომ არ შეეშინდებოდა?

მთელი გზა რატომღაც სულ კრისტიზე მელაპარაკება.

ალმაცერად გაზრდილ უშველებელ ხეზე ავფორთხდი. ხეს ფოთლები ჭადარისა ჰქონდა.

- მოჩანს რამე? – ამომძახა ქეთრინმა.
- ტყის გარდა რაფერი.
- ზღვა?
- ვერ ვხედავ. ეტყობა ჯუნგლებში ღრმად შევტოპეთ და ზღვას ავცდით.

გამშრალი ჩამოვბრუნდი. ქეთრინმა სასოწარკვეთა არ შემატყოს მეთქი და სტვენა დავიწყე.

- შევცდი, ნაპირ-ნაპირ უნდა გვევლო. – ამბობს ქეთრინი.
- რაც არის, არის. არ შეიძლება ამ ტყეს დასასრული არ ჰქონდეს.
- თოლიებიც არ ჩანდა?
- თოლიები მხოლოდ ზღვაზე არიან.

დაახლოებით ორი საათი კიდევ ვიარეთ, თუმცა ჩვენი სიარული კუს მოძრაობას უფრო ემსგავსებოდა.

ჯუნგლებში დიდი ჭრელი ჩრდილები ჩანდა.

აგერ წყაროც.

იქვე ჩვენდაიღბლად ჭურიას მსგავსი (ველურ გოგრას წააგავს) ხე დგას. ხეს ნაყოფი ზარებივით ჰკიდია.

ცოტას დავისვენებთ, ჭურიას მუცელს ბასრი ქვებით ამოვკორტნით და კრისტის წყალს მივუტანთ.

ვერტმფრენის ყრუ გუგუნის ხმა გაისმა.

არასდროს გამხარებია ასე მოტორის ხმა.

რასაკვირველია, ვერტმფრენს კი არა, ჩვენს თავზე ცის ნაჭერსაც ძლივს ვხედავთ, რასაკვირველია, ხმა ძალიანშორიდან ისმის, მაგრამ ხომ ისმის და რაც მთავარია, მთლად დასაკარგავში არ უნდა ვიყოთ.

- აბა ჩქარა, ქეთრინ, იქნებ დაგვინახონ!

ბანანის ტანსაცმელი შემოვიხიეთ ორივემ. მე ჩემს შავ ტრუსიკს ვაფრიალებ, ქეთრინს ბანანის ფოთოლი უჭირავს და გამალებით უსვამს ჰაერს.

- რას შვრები! – ვუყვირი, - მწვანეს ვინ დაინახავს, გაიხადე ჩქარა! ე, იმ ქვაზე შედექი და დაუქნიე!

ქეთრინმა ჯერ ლიფი გაიხადა, წამში ბიკინიც მიაყოლა და იქნევს, რაც შეუძლია.

ვერტმფრენის ყრუ გუგუნი მალევე მიწყდა.

- ვერ დაგვინახეს, - მოწყენით ამბობს ქეთრინი და ვენერა მილოსელისებურ ტანს ბიკინებით იმოსავს.

კიდევ რამდენიმე წუთი და იგი ჩემს მკლავებშია.

- დაგვინახავენ, ქეთრინ, ნუ გეშინია, დაგვინახავენ! რატომ ტირი?

ქეთრინი მხარზე თავს მადებს.

- დავიღალე, გამიშვი, ძალიან გთხოვ.

ხელის გაშვება, უკვე როგორც ჩანს, ჩემს ძალას აღემატება.

- ზღაპრული გოგო ხარ!
- იცი, როგორ შემრცხვა შენი, რომ გავიხადე?
- სირცხვილი, ქეთრინ ადამიანებმა მესამე პირისთვის მოიგონეს. ჩვენ ხომ აქ ორნი ვართ. ამოიგდე თავიდან ეგ ზედმეტი ბარგი.
- რა, სირცხვილი?
- ჰო!

- მაგრამ ჩვენ ხომ სამნი ვართ, კრისტი?
- მაგრამ კრისტი ხომ ახლა ძალიან შორს არის.
- იცი, მე იმ ღამეს ყველაფერი დავინახე. რომ ჩურჩულებდით და მერე

რომ გახვედით, მეც გამოგყევით. ასე რომ, შენს გენიტალიებზეც საკმარი წარმოდგენა მაქვს.

- ხომ არ შეგაშინე?
- სრულიადაც არა, - ქეთრინმა გაიღიმა – და მაინც ძალიან გთხოვ თავი

შეიკავე.

ხელების გათავისუფლება სცადა.

- რომელ თავშეკავებაზე ლაპარაკობ ქეთრინ, იცი თუ არა, რომ შეიძლება

სამივენი ვეფხვმა შეგვჭამოს?

- მაგრამ, რომ არ შეგვჭამოს?
- მერე?
- მე საქმრო მყავს და ათასი მიზეზი მაქვს იმისა, რომ ასეთი ნაბიჯი არ

გადავდგა.

- ეგ შენი მიზეზი შეიძლებოდა აზრიანი ყოფილიყო, ჩვენ რომ ახლა

სეიშელზე სასტუმროში ვცხოვრობდეთ. ახლა ეგ ყველაფერი სისულელეა. ჩვენ ჯუნგლების შვილები ვართ და საერთოდ, რას ვფილოსოფოსობთ...

ვუკოცნი ღაწვებს, ტუჩებს, მკერდს, ძუძუსთავებს.

... და იგი დამნებდა. იგი ისეთი სრულყოფილი არსება იყო, ისე ვნებიანად ცახცახებდა და თრთოდა, რომ ჩვენი ხმაურიანი ურთიერთტოკვა და ამოზმუილ-ამოძახება დიახაც უხდებოდა იმ გარემოს, სადაც ვიწექით.

საოცარი ის იყო, რომ ეს მაღალი გოგო მოფერებით ვერ გავაძღე. უკან რომ ვბრუნდებოდით და ხანგამოშვებით გულზე მივიკრავდი, მაშინვე ცახცახს იწყებდა და დასაწოლ ადგილს ეძებდა.

რა იყო ეს? უნაპირო ვნება თუ დიდი სულიერ-ფიზიკური სტრესის შემდეგ, რაც თვითმფრინავის კატასტროფამ დაგვმართა, ადამიანის ინსტიქტი, შინაგანი თავისუფლების აფეთქება და ამით შორეულ წინაპართა გამოქვაბულებთან დაბრუნება?

***

ერთი კვირის მერე გვიპოვეს.

ახლა ბოინგში ვსხედვართ.

უკან დარჩა აბეზარი ჟურნალისტების გაუთავებელი კითხვები, ჩვენს სულში ხელების ფოთიალი... მთელი პასუხისმგებლობიტ შემიძლია განვაცხადო, რომ არსად, არცერთი რესპოდენტ არცერთ ჟურნალისტთან ბოლომდე სიმართლეს არ ამბობს.

კითხვას – ბედნიერები ვართ თუ არა, რომ გვიპოვეს, სამივენი თავშეკავებით, სევდიანად, რაღაცნაირი იდუმალი დამორცხვებით და ცოტა არ იყოს, ყალბად ვპასუხობდით:

- რა თქმა უნდა!

და სამივენი ჩვენს გულთან მართლები ვიყავით.

ჰო, რასაკვირველია შენს ცხოვრებასთან დაბრუნებას ყოველთვის ახლავს ხიბლი.

ხვალიდან ისევ საზიზღარი კომპიუტერი, მობილურით გაუთავებელი დამესიჯება, ჩვენ ჩვენს მოსაწყენ ფონდებში საქმიანობა და უჩვეულო მდგომარეობა – კატასტროფას გადარჩენილის სახელის ტარება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

და რაც მთავარია – ცხოვრება უერთმანეთოდ!

თვითმფრინავი სადაცაა დაეშვება ნიუ-ორკის კენედის აეროპორტზე.

18. IX. 2011ნ

რაფიელ გელანტია

როცა ბულბული მწუხრის საგალობელს შეუდგება

მოსაღამოვდა. ნანამ ოთახები დაიარა, ყველა ჭაღი აანთო. ახლად შეკეთებული და ახალი ავეჯით გადავსებული ბინა ჯადოსნურად ბრწყინავდა. მისაღები დარბაზის სავარძელში ჩაჯდა, დაიხარა, სახე და ნიკაპი გადაჯვარედინებულ ხელის მტევნებზე შემოდო და კედელს მიაშტერდა, სადაც მისი და გიორგის ქორწილის ფოტოები ეკიდა.

–თფუი, რა საზიზღრობაა ყოველივე, კვლავ აეშალა საღერღელი ნანას. –მაინც არ მეშვება ეგ იდიოტი, გაიფიქრა თავისთვის, თუმცა კარგად იცოდა, რომ გიორგის ნანა უკვე არ აინტერესებდა; სამი თვე და ცამეტი დღე გავიდა, მაგრამ ერთ დროს მასზე გადარეული ქმარი ერთხელაც არ შეეხმიანა ცოლს.

წელიწადზე მეტია ნანა მიხვდა, რომ, გიორგი მოკვდა, უფრო ზუსტად, ამის შესახებ იმ დღეს გაცხადდა, როცა, გიორგის თქმით, იგი მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყნის ერთ-ერთ უნივერსიტეტში მიავლინეს სასწავლებლად.

ნანა წყალწაღებულივით ბოლო ხავსს ეჭიდებოდა, კარგად იცოდა, რომ ქმარს უკვე არაფერი ესაქმებოდა მასთან; იგი სამი წელიწადი არავისთან დარჩენილა,–მხოლოდ ნანა იყო გამონაკლისი. ნანას დაქალების აზრით, გიორგი, – ჯერაც ქალაქში ულამაზესი და უმდიდრესი ახალგაზრდა კაცია, მასზე უამრავი ქალი ნადირობდა და ახლაც ნადირობს, მაგრამ იგი პირველი ნახვიდანვე მოიხიბლა ნანას სილამაზით და, როგორც ეს წესად ჰქონდა, მისი დასაკუთრება გადაწყვიტა; ბევრი ეწვალა გიორგი, სანამ ნანა საწოლში შეიტყუებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და მასზე დაქორწინება გადაწყვიტა. გაძღა გიორგი ქალით და დაიღალა კიდეც; ერთი წელიწადი დროზე ბრუნდებოდა სახლში, მეორე წელიწადი – შუაღამეზე, მერე სახლის გარეთ დარჩენასაც უხშირა. ასე გაილია სამი წელიწადი და აი, საზღვარგარეთ ამოჰყო თავი.

–რა საზიზღრობაა, მგონი ვგიჟდები– წელიწადია ვიშორებ თავიდან და მაინც ვერ ვიცილებ, –თქვა ნანამ და სავარძლიდან წამოხტა. კედელს მივარდა, ფოტოები ჩამოყარა, მოოქროვილ ჩარჩოებსა და შუშებზე ფეხით შედგა.

ლიას ტელეფონი აკრიფა და თავისთან იხმო, როცა დაქალი დაითანხმა, სთხოვა გვანცასთან გაევლო და ისიც წამოეყვანა.

ერთ საათში გოგონებმა ნანას პირადი ნივთები ყუთებში ჩააწყვეს და დაბლა ჩაიტანეს. ნანამ ზიზღით შეხედა სარეცელს, რომელსაც გიორგის სურნელი ჯერ კიდევ ასდიოდა და მიაფურთხა.

შუქები გამორთო, კარები დაკეტა და გასაღების შეკვრა ბაღში მოისროლა.

მალე მანქანამ მარჯვნივ გაუხვია და ბებიას ერთოთახიანი ბინის ქუჩის აღმართს აუყვა.

ქუჩის დასაწყისში ბინის გასაღები დაქალებს მიაწოდა და მანქანიდან ჩავიდა. ამ ქუჩაზე ყველაფერი მშობლიური იყო, საოცარი სიმშვიდე სუფევდა. იგი თავის ბავშვობაში დაბრუნდა.

სახლის წინ, ქალაქის ძველისძველ უბანში ძველებურად იდუმალება ბატონობდა. ბაღის კუთხეში მდგარ ციხის ნანგრევზე ჩირაღდანი კაშკაშებდა, რომელიც ბაღის მწვანე ზღვას აჩახჩახებდა. ჭუჭყიანი სახლის წინ, რომლის ფასადი უამრავი ანტიკური ქანდაკებებით იყო მორთული, გაირინდა და ირგვლივ მიმოიხედა. გვიანი იყო და ქუჩა ცარიელი. ბებიას ოთხსართულიანი სახლის მეორე სართულის კიდეებზე მოთავსებული მამაკაცის დიდთავიანი ქანდაკებები, რომელთაგან ერთ-ერთი ნანამ თავის დროზე არისტოტელედ მონათლა, მეორე პლატონად, უჩვეულოდ ნაღვლიანები ჩანდნენ. დიდხანს უცქირა ნანამ მსოფლიოში სახელგანთქმულ ფილოსოფოსებს და სახელმწიფოებრიობის თეორიის მამებს და თავადაც

დაწყნარდა,–ყველაფერი ძველებურად იყო, ქუჩა და უბანი შუა ღამის ბურანში თვლემდა. გაუკვირდა კიდეც, რომ სახლის მიმდებარე ტერიტორიებს დღემდე კერძო პატრონი არ გამოსჩენოდა, ეკალ-ბარდი და ბალახი მოსდებოდა. ეტყობოდა, რომ ამ ოც წელიწადში არც ბებიას სახლისათვის შეევლო ვინმეს ხელი,–ფასადზე ალაგ-ალაგ ბათქაში და ქონგურები ჩამოცვენილი იყო, წყალსარინებ კი წელში გადაწყვეტილი. სადარბაზოს კიბესთან მივიდა და ზემოთ აიხედა, ახლაღა შეამჩნია, რომ არისტოტელეს ხელები იდაყვში ჰქონდა გადამტვრეული და მკლავები იმგვარად ეკიდა, თითქოს მუშტებს იშენდა თავზე და თმებს იპუტავდა. შეეცოდა არისტოტელე. ძლივსღა ახსოვდა ნანას,–საბავშვო ბაღში დადიოდა, როცა უცნობმა ძიებმა ქანდაკებები მოწიწებით გადმოიღეს და სადღაც წაიღეს, მერე ზეწარში გახვეული მოასვენეს და თავის ადგილზე დააბრუნეს.

სადარბაზოში შევიდა. კარის თავზე ერთადერთი ნათურა ბჟუტავდა. ესიამოვნა ნესტიანი კედლებისა და სარდაფის ნაცნობი სურნელი. კიბეებს ასკინკილით აუყვა, ბებიას გადაუსწრო და ბინაში შევარდა.

გოგონები ოთახს და პაწაწინა სამზარეულოს ალაგებდნენ. ნანამ არ დაანება– გამოვიძინებ და ხვალ თავად მივხედავო ყველაფერს. ბებიას ძველებურ ლოგინზე მიეგდო და უმალ ჩაეძინა.

* * *

ბულბულის გალობამ გააღვიძა. იგი ბაღის ყველაზე მაღალი ხის კენწეროზე იჯდა და ძველებურად გალობდა. ეს ალიონის არია იყო, ისეთივე იდუმალი და საყვარელი, როგორც პატარაობიდან ახსოვდა. თვალები დახუჭა და გაირინდა. ბებია არ იყო ლოგინში. ეზოში მემაწვნე ქალი ყვიროდა და მუშტრებს ეძახდა.

–ადექი, რამე გააკეთე, გეყო კოტრიალი,– უყვირა ბებომ.

ბებიას ხმა იყო, მაგრამ ბებია ოთახში არ იყო.

–რა იყო ბებო, ცოტაც მადროვე, დავიღალე, ყველაფრისგან დავიღალე, შეეპასუხა ნანა.

–ეს მე დავიღალე თქვენგან, უსაქმური და წიგნის ჭია გავზარდე მამაშენი, დედაშენიც ქარაფშუტა და უსაქმურია, ახლა კი შენ გამიხდი სარჩენი, ბრაზობდა ბებია.

ნეტავი რა მოუვიდა ბებიას, გაუკვირდა ნანას. როცა აქ ომი იყო, არ იყო შუქი და პური, დედაჩემი და მამაჩემი თვითონ გააგზავნა ისრაელში უცნაურად გამოჩენილ თავის ნათესავებთან. რა ჩემი ბრალია თუ იქ ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და მამა ამერიკაში გადაიკარგა, დედა კი დუბაიში,–ატირდა ნანა,– მაშინ ახალგაზრდები და ლამაზები იყვნენ, არც ახლა იქნებიან დავრდომილები, ეს არის, რომ მე გამიმეტეს, ბებიას შემატოვეს, –აღრიალდა ნანა.

–ისინი გამოვიგლოვე უკვე, შენი იმედი მქონდა, შენც მაგათ კვალზე შედექი, ქმარს ვერ მოუარე, მუცელი მოიშალე, ოჯახი ვერ შეინახე, ახლა ქონება დაკარგე, ქმრის დანატოვარსაც უარობ, უმადური, თავხედი და უაზროდ პატივმოყვარე ხარ,–არ ცხრებოდა ბებია.

–არა ბებო, მე რა შუაში ვარ, მე ადამიანი ვარ, არ მივიღებ სხვათა ბატონობას და –დამცირებას შეეპასუხა ნანა. –ჰო, ჰო, გადაიხარხარა ბებიამ, იყოს ისე, როგორც შენ გინდა, იყავი თავისუფალი და იცხოვრე ისე, როგორც გაგიხარდება; ბრმაო და უმადურო, ვერ ხვდები, რომ ამიერიდან უპატრონო, მიუსაფარი და ზედმეტი არსება ხარ. შენ არ დააფასე ქმარი, ადამიანი, რომელმაც ერთი უპატრონო ქალი სახელოვან ქალბატონად გაქცია. ამ შეძლებულ კაცს ყველაფერი აქვს ამქვეყნად, ცოლის სახელი მოგცა, ხალხში გაგიყვანა, მსოფლიო შემოგატარა, გაგაბედნიერა. შენ კი ვერ შეიფერე უფლის საჩუქარი, უიღბლო და უუნარო ადამიანებს და ტრაკსქელა დაქალებს აჰყევი და თავი დაიღუპე. შენი ადგილი ეკლესიაშია, თუ იქ არ წახვალ, ცირკის მოედანზე მოგინევს დგომა და ბუჩქები ქვეშ ფეხების გაშლა...

–საკმარისი, გეყოფა ბებო, ეს რა დღეში ხარ.

–ვატყობ, არ არის საკმარისი,... საღამოსკენ მოგშივდება, ხვალაც, ზეგაც, თვის ბოლოს გაზის, წყლის, დენის და ნაგვის ქვითრები მოგივა, ორ-სამ თვეში შენი ათასი ლარიც დამთავრდება და ოცნებებში გადავარდები ერთ დროს შენგან ნაქები და ქვეყნის მხსნელად მოვლენილი სოციალურად დაუცველის სტატუსის მოსაპოვებლად.

–კმარა ბებო, მეყოფა, თავი დამანებე, ყველამ დამანებეთ თავი,– მეც ისეთი უნდა ვიყო, როგორც სხვები. შენსავით მუსიკოსი არ გამოვიდა ჩემგან, მაგრამ ეს მაინც კარგად ვისწავლე შენგან...

* * *

ერთი კვირა ეზოში არ ჩასულა. დაწყნარდა, ოთახი დაალაგა, სამზარეულო და აბაზანა დააწკრიალა. ცდილობდა არაფერზე ეფიქრა. ადრე იღლებოდა, მიეგდებოდა და გათენებამდე ეძინა. დილას და საღამოს ბულბულის გალობა ართობდა, ერთადერთი, რაც არასდროს მოსწყინდებოდა. ლია და გვანცა სადღაც გაუჩინარდნენ, ათასში ერთხელ თუ შემოიხედავდნენ, ყავის ფინჯანში ხვალინდელ დღეს ნახავდნენ და უმალ სადღაც გაიქცეოდნენ. თვის ბოლოს კომუნალური გადასახადები დაფარა და ტელეფონი ჩართო. გიორგისთან სცადა დარეკვა, ნომერი არ პასუხობდა, შეტყობინება დატოვა.

მორიგი თვეც მიიწურა. სოციალური დაცვის სამსახურში დარეკა, მეგობრები მოიკითხა. უხალისო მოიკითხა ნუკრიამ მისი ძველი მეგობარი, უდროობა ახსენა და ყურმილი დადო. ამ ბიჭთან ერთად მთელი წელიწადი იმუშავა ნანამ, განუყრელად დადიოდნენ უმწეოთა ოჯახებში და ერთად ადგენდნენ სიღარიბის ქულებს. როცა ნანა გათხოვდა და უფროსი გახდა, ნუკრია მოადგილედ მოაყოლეს.

გიორგი ძველებურად არ პასუხობდა ტელეფონზე, არც შეტყობინებას ეხმიანებოდა. მალე დარწმუნდა, რომ ამ დიდ ქალაქში მას მეგობრები არ ჰყავდა.

დღეში რამდენიმე განაცხადსა და ჩV-ს აგზავნიდა კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად, მოწონებისა და აღფრთოვანების პასუხებსაც ღებულობდა. ეს იყო, რომ ყოველი მათგანი მორცხვი ბოდიშით სრულდებოდა უნარ–ჩვევებში შემჩნეული მცირე ხარვეზის გამო.

ამასობაში შემოდგომაც დადგა, აცივდა, მწვანე ფოთლებს ყვითელი შეეპარათ, მერე რუხი–ყავისფერი ხალიჩებით მოიფინა ხის ძირები.

ინტერნეტი მალევე ღლიდა, ცდილობდა დღისით არ დაეძინა, მთელი ღამე საწოლში ტრიალებდა.

მარტოობა ტანჯავდა, ბებიაც სადღაც გადაიკარგა, ეტყობა მეტისმეტად გააბრაზა იმ დილით.

უსაშველოდ მოენატრა ბებია და სასაფლაოზე ავიდა. ბებია და ბაბუა ბედნიერად იღიმებოდნენ საფლავის ძვირფასი ქვებიდან.

როგორც კი თვალს მილულავდა, ძველისძველი მაცივარი იქუხებდა და ძილს გაუგდებდა. მაუწყებლის ნახვა გადაწყვიტა, მაგრამ ბებიას შავ-თეთრი ტელევიზორი იმგვარად ახრიალდა, რომ შეეშინდა და მალევე გამორთო.

მთელი დღე ლოგინზე ეგდო და დამსკდარი ჭერის ჭუჭყს შესცქეროდა. შუაღამეზე ძილის გორგალს ძლივძლივობით ჩაავლებდა ხელს, რომელსაც მალევე დაუფრთხობდა სახლში შეგვიანებული გოგონების კისკისი.

სამი დღე და რამე კოკისპირულად წვიმდა ქალაქში.

შუაღამით ახალგაზრდა ქერა ქალი გამოეცხადა, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავდა, უფროსი ექვსი წლის, სხვები მიყოლებით. კარგად ახსოვდა თუ როგორ ცდილობდა ქალი თავისი ჭუჭყიანი ფრჩხილების დამალვას, მერე კი, ბავშვებთან ერთად მადიანად შეექცეოდა პურის ნაჭერს, რომელიც მისმა ქმარმა ბედნიერი სახით შემოიტანა, თუმცა კაცს მოულოდნელი სტუმრების შერცხვა და სადღაც დაიმალა. ეს ქალი მუხლმოდრეკით ევედრებოდა ნუკრიას,–ყელი არ გამომაჭრა, ნაჩუქარი მაცივარი არ ჩაწერო და ბავშვები შიმშილით არ დამიხოცოო. შეკრთა, საწოლიდან წამოხტა. ნანამ სიტყვა მისცა ამ ქალს, რომ მის მაცივარს არ შეიტანდნენ დავთარში, მაგრამ გააწბილა,–ნუკრია გაუძალიანდა და შელაპარაკდნენ, მან კი უფროსთან დაასმინა და ოჯახმა სარეიტინგო ქულა ვერ მიიღო და შემწეობა დაკარგა.

რამდენიმე საათი თუ ახერხებდა დაძინებას, ღამის კოშმარები არ ასვენებდა, მაჯლაჯუნად ქცეული ადამიანები ფანჯრიდან ძვრებოდნენ და საწოლზე ჩამოსხდებოდნენ ხანაც რიგით, ხანაც ურიგოდ.

–ეს ლადოა, ბატონი ვლადიმირი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. რძალმა გადაწყვიტა და მისი სამოთახიანი ბინა ბანკში ჩადეს, საქმე არ გამოუვიდათ და ბინა გასხვისდა, რვა სული ქუჩაში დარჩა. ნანას წინაშე მუხლებზე იდგა ბატონი ლადო და ხანდაზმულთა თავშესაფარში გაგზავნას ითხოვდა. ახლა იგი აგერაა, წვიმაში განწწული. ახლა იგი აქაა, ეტყობა იქაც ვერ მოინახა მისი ადგილი, შეწუხდა ნანა.

–აი, ალექსანდრე, ამაყი ჭაბუკი, ზის ნანას საწოლზე და მბზინავი თვალებით შესცქერის ახალგაზრდა ქალს. ასეთი ლამაზი კაცი არც ქალებს ავიწყდებათ, ახსოვს იგი ნანას; თავის დროზე ბიზნესის ცდუნებას გაუტაცია ალეკო და მამა–პაპისეული სახლ-კარი დაუკარგავს გურიაში. მერე ცოლი

ოთხი თვის ვადით საბერძნეთში გაუგზავნია ცოლისდის შემცვლელად, რომელიც იმხანად მოსალოგინებლად ყოფილა ჩამოსული. მაშინ იგი დარცხვენილი იდგა ნანას წინაშე და ამაოდ ითხოვდა ფაქტის მიჩქმალვას, რათა ოჯახს ფულადი შემოსავალი არ დაეკარგა.

–აი, ივერი და მისი მეუღლე. გულიანი კაცია ივერი, საოპერაციო გაუხდა შვილი და უფულობის გამო ბინა დააგირავა და, როგორც ხდება ჩვენში, სამუშაოც დაკარგა და ბინაც. სოციალურ სახლში ითხოვდა თავშესაფარს, ვერ დაეხმარნენ, მაშინ ცოტას აშენებდნენ შვედები. ქალაქის მერიას სთხოვა ნანამ და არჩევნების წინ სამი თვით ბინა დაუქირავეს ივერის, მერე არ უნახავს ეს ხალხი, ახლა შავები აცვიათ, ეტყობა შვილიც დაკარგეს.

–აგერ მანანა, რა დაავიწყებს მის მუდარით სავსე თვალებს, მაშინ მის შვილს რაღაც უცნაური დაავადება ჰქონდა, რომელსაც მხოლოდ გერმანიაში მკურნალობენ და დაფინანსებას ითხოვდა. ვერ დაეხმარა ნანა, თუმცა მაშინ უფროსი იყო და ცდაც არ დაუკლია. დავალება იყო ზემოდან, – რასაც მთავრობა გვაძლევს, იმას მიხედეთ, გახარებული ცხოვრება არსად არის, როცა ბევრი მდიდარი გვეყოლება ქვეყანაში, მაშინ ნაკლები იქნება ღატაკი და გაჭირვებულიო.

–აი, ნიკა, ლამაზი, მაგრამ ბრმა თვალებით. ფულს ითხოვდა ნიკას დედ-მამა, ფულზე მეტად სამუშაოს, ნებისმიერ საქმეს, რათა სესხი აეღო და შვილისთვის თვალები აეხილათ.

–აგერ ზურაბი, ცოლი გაექცა და სამი შიშველ-ტიტველი შვილი დარჩა მოსავლელი. სანამ სამუშაო ჰქონდა არჩენდა კიდეც, დაკარგა იგი და თავიც დაკარგა. ბევრი იარა სააგენტოში, მაგრამ ამაოდ, მერე კარგად დათვრა და მტკვარში გადაეშვა.

–აი, ეკა, მუცელი უკვე ეტყობოდა, როცა ნანასთან ცალკე შეხვედრა ითხოვა. რა დაავიწყებს, შეებრალა თვალხატულა ეკა, შეაცდინეს გოგონა,– ფეხმძიმედ იყო, ქალაქში არც ბინა ჰქონდა და არც სამუშაო. გვიან გაიგო, სახლში გაუჩენია ბიჭი და ნაგვის ყუთში გადაუშვია. ჩვილი დაღუპულა და ათი წელიწადი მიუციათ. მაშინ გაბრაზდა ნანა, ეს როგორაო, თუმცა ახლა შეებრალა და გაუღიმა.

–აი ბავშვები, თეთრკანიანი, შავტუხა და ქერათმიანი ჩვენებური ბავშვები, ეს არის უფრო გაძვალტყავებულები ეჩვენე, ვიდრე მაშინ, ქალაქის გარეუბნის ერთ-ერთი მიტოვებულ სახლში. ვინ ვართ ნეტავი, რა ხდება ჩვენს თავს, რა ცოდვაში ვდგავარ– უფალო, იხსენი ჩემი ქვეყანა, პირჯვარი გარდაისახა ნანამ.

ცოტა ეძინა ნანას, მაგრამ შეეჩვია საწოლში ყოფნას, ეზარებოდა ადგომა, ხმელა პურსა და წყალზე გადავიდა, მოეშვა, არც არაფერზე წუხდა და არც რამეზე დარდობდა. მუცელი მოეშალა, გიორგი დაიკარგა, სხვა რაღა იყო დასაკარგი. ეს კი იყო, რომ ძალიან უნდოდა სიზმარში მაინც შეევლო თვალი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ოდესღაც შველას ითხოვდნენ მისგან და მათსავე თვალებში საკუთარი სახე ეხილა.

ახლა ადრე ღამდებოდა ქალაქში და ნანა გახარებული იყო,–მისი ბავშვობის მეგობარი შემოჯდებოდა ბაღის უზარმაზარი ხის კენწეროზე და მწუხრის გალობით აცილებდა მზეს დასალიერში.

მერე მოიხურავდა საბანს და უმალ ნაცნობი ადამიანების რიგები დგებოდა. ესენი უბინაო, უსახლკარო, ობოლი ბავშვების, უძლური, მოხუცი, ინვალიდი, ღარიბი, ღატაკი, დავრდომილი, მიუსაფარი ხალხია, რომლებიც ბოლო წლებში ასე მომრავლდნენ ნანას ქალაქში. ადრე ეს უჩვეულო ამბავი იყო, ახლა კი ჩვეულება გახდა და არც არავის ადარდებდა.

ერთხელ გიორგიც გამოეცხადა, ქმარი ეჩხუბა ცოლს და დააყვედრა,– შენს ცხოვრებაში მე რომ არ მოვსულიყავი რიგით მუშაკად და შინაბერად დარჩებოდი და ეს მათხოვრები უფრო ადრე გადაგრევდნენო. მართალი იყო გიორგი,–ნანა მას შემდეგ შეამჩნიეს სამსახურში და დააწინაურეს, როგორც კი გიორგი ნანას შემთხვევით გადაეყარა დერეფანში. დაქორწინდნენ და ნანა სამმართველოს უფროსი გახდა და კარდაკარ არ დადიოდა. მას მხოლოდ ერთი დავალება ჰქონდა– ყველა გაჭირვებულის ტანჯვა და ტკივილი ერთიან სარეიტინგო ქულაში ჩაეტენა როგორმე, თანაც ისე, რომ ევროკავშირის სტანდარტებში ჩამჯდარიყო და ქვეყანა სხვებზე უკეთესადაც წარმოეჩინა.

გაუხარდა გიორგი ხილვა,–კაცია მაინც, მეტისმეტი მოგვინდა ქალებს, სიყვარული და სიმდიდრე თურმე ნაკლებად დადიან ერთად, თავისუფლება კი შეძლებულთა ხვედრია მხოლოდ. ასე იყო, ასე არის, ასე დიდხანს იქნება ალბათ,– აღმოაჩინა გააკეთა ნანამ.

ადრე ადგა და წერილი შეადგინა,–"დავიღალე უსიყვარულოდ, უმეგობროდ, უფულოდ, ვალებით, ქვითრებით, მარტოობით; ადამიანების ტკივილებსა და წუხილზე დარდით, საყოველთაო ტყუილებითა და სიყალბით... "

ქალაქში გავიდა, სილამაზის სალონში თავისი ბოლო ფული დატოვა და მოწესრიგდა. მერე ყოფილ სამსახურში შეიარა და თავისი ძველებური ბრწყინვალებით ადრე მის მოშურნე გოგონებს გულები კიდევ ერთხელ დასწყვიტა. მერე მშვიდად და არხეინად, ლამაზი ტანის ძველებური რხევით გაიარა შუშის ახალი სახლის სარკეებიანი დარბაზი, ქალაქში უაზროდ იხეტიალა და ბინდბუნდში სახლში დაბრუნდა.

მალე მოსაღამოვდა და ნანას მეგობარი ბულბული მწუხრის საგალობელს შეუდგა. არასოდეს ყოფილა ეს მარადიული ჰანგი ასე თბილი და ნაზი...ნანას ფრთები გამოესხა და მეგობართან გაფრენა მოუნდა.

გაზქურის საკეტი გახსნა. ლოგინზე მოხერხებულად წამოწვა,– თავისი უსაშველოდ გრძელი ფეხები ერთმანეთზე გადააწყო, მერე კაბის ერთი ქვედაბოლო თეძოებამდე აიწია და ხელები გულმკერდზე გადაიჯვარედინა.

მეტისმეტად დაღლილი ჩანდა ნანას მალევე ჩაეძინა.

მაია ბუიღლიშვილი

გველის ენა

ერთ-ერთ კრიმინოგენულად რთულ რაიონში მილიციის უფროსად დამნიშნეს. ეს გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა, უფროსობას უნდა დავმორჩილებოდი. ჰოდა, თბილისიდან რაიონში მომიწია გადაბარგება. კერძო სახლი ვიქირავე, რათა შემდგომ ჩემთან ერთად ოჯახს — მეუღლესა და ბავშვებს — ეცხოვრა.

დილით მანქანაში ჩავჯექი და მილიციის განყოფილებისკენ გავემართე. ციოდა, თოვლი მოდიოდა. მოცურების მეშინოდა და დაბალი სიჩქარით მიმყავდა მანქანა. მოსახვევთან ხანში შესული ქალი და ბავშვი შევნიშნე. ქალის არაბუნებრივმა თავის ფორმამ მიიქცია ჩემი ყურადღება, ბიჭი კი სავარაუდოდ დაუნი იყო. გვერდიდან რომ გავხედე, შევამჩნიე, ქალი დაჟინებით მიყურებდა. უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა, მაგრამ გზა განვაგრძე და მალევე დავივიწყე. განყოფილებასთან მანქანა დავაყენე და ის-ის იყო გადმოვედი, რომ პატარა გოგონა მომიახლოვდა და მოწყალების ნიშნად ხელი გამომიშვირა. სიცივისგან კანკალებდა, წითელი გათოშილი ხელები მტრედის ფეხებს უგავდა. ჯიბიდან ქაღალდის ფული ამოვიღე და გოგონას გავუწოდე. შემდეგ თავზე ხელი გადაუსვი და კიბეს ავუყევი.

დერეფანში გამწკრივებული თანამშრომლები გაიჯგიმნენ და ისე მომესალმნენ. კაბინეტის კარი გაღებული დამახვედრეს. მაგიდა, ოთხი სკამი, კარადა, თუნუქის ღუმელი — ეს იყო ჩემი კაბინეტის მთელი ავლადიდება. მაგიდასთან დავჯექი და მიმდინარე საქმეების გაცნობა მოვითხოვე.

მეორე დღეს სამსახურში ისევ ნელი სვლით მივდიოდი, რადგან გზა ძალიან მოყინულიყო. გზის მოსახვევთან ისევ ის საოცარი დედა-შვილი ქანდაკებასავით იდგა. ინსტინქტურად მათკენ გავიხედე,

ქალი ისევ დაჟინებით მიცქეროდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. გავიფიქრე: „ალბათ დილაობით რომელიმე მძღოლს ემგზავრებიან ხოლმე და მანქანა არ გავუჩერე“.

განყოფილებაში მუშაობის დაწყებისთანავე ჩემი ყურადღება ერთმა პატიმარმა მიიპყრო, რადგან გარეგნულად ჰემინგუეის ჰგავდა. ვიკითხე მისი ვინაობა, მითხრეს — მკვლელიაო. შევწუხდი, ნუთუ ასეთი შესახედაობის კაცი მკვლელია-მეთქი. გადავწყვიტე, მისი საქმე გულდასმით შემესწავლა.

მაგიდაზე გადაშლილ საქმეს კიდევ ერთხელ გადავხედე. ბადრაგს გავძახე და პატიმარი შემოვაყვანინე. შემოვიდა, ხელით ვანიშნე, რომ დამჯდარიყო, ბადრაგს კი კაბინეტი დავატოვებინე.

მკვლელს ნამდვილად არ ჰგავხართ-მეთქი, ვუთხარი, პატიმარმა გაკვირვებით შემომხედა, მე გავაგრძელე — უსამართლობა არასოდეს ჩამიდენია, ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდი განსასჯელს, ვცდილობდი, მისი თვალით დამენახა შექმნილი სიტუაცია და ისე მომეხდინა ექსტრემალური ან შეგნებული გადაწყვეტილების მოტივირება. პატიმარი ყურადღებით მისმენდა. ბევრ ადამიანს შევხვედრივარ, მაგრამ მათში ადამიანური ღირსებები იშვიათად აღმომიჩენია. არ ვიცი, ჩვენი ბედი სად იწერება, ან ვინ წყვეტს მას, ალბათ განგება. მე სულაც არ მინდა, ვინმე განვსაჯო ან მისი ბედი გადავწყვიტო, მაგრამ ასეთი პროფესია მაქვს... ახლა მე თქვენს საპირისპირო მხარეს ვდგავარ და თქვენი დანაშაული უნდა განვიხილო. თუ გულახდილი იქნებით ჩემთან და სიმართლეს მომიყვებით, იქნებ დანაშაული თუ არა, სული მაინც შეგიმსუბუქოთ. გმადლობთ, ადამიანურად რომ მეპყრობით, — მითხრა და თვალებში შემომხედა. არავის უნდა ჩემი გაგება. რაც შეეხება სიმართლეს, მისი მოყოლა ამიკრძალეს.

— ვინ აგიკრძალათ?

— სიმართლეს თუ ვიტყვი, ჩემს ცოლ-შვილს საფრთხეს შევუქმნი, ამიტომ ჯობია, სასჯელი მთლიანად მე ვიტვირთო.

— კი, მაგრამ ვინ გაშინებთ? თუ გაშანტაჟებენ, მე დაგეხმარებით.

— ვერ გავრისკავ, მაპატიეთ.

— მაშინ გამოდის, რომ მკვლელი არ ხართ.

— არა, ვარ. უფრო სწორად შემომაკვდა. ხელი ვკარი, ფეხი დაუცდა, თავი ქვაფენილს დაარტყა და ისე გათავდა, ვითომც არ ყოფილა.

— საქმის გაცნობისთანავე ვიფიქრე, რომ ეს მკვლელობა არ იყო. ჩანს, ინტუიციამ არ მიღალატა.

— გიღალატა, შვილო, ვაი რომ გიღალატა!

— ეს ჩემი მეორე მკვლელობა იყო, მეორე უბედური შემთხვევა. პირველი კი ასე მოხდა:

ახალგაზრდა ვიყავი, სოფელში სახლი გავყიდე. ფული და ბებიის ძველი ხატები ზურგჩანთაში ჩავაწყვე. გზაზე გამოვედი, მანქანა რომ გამეჩერებინა და ქალაქში დავბრუნებულიყავი. როგორც იქნა, ერთმა „ჟიგულმა“ გამიჩერა. ვთხოვე, თბილისამდე დაგემგზავრები-მეთქი, ისიც დამთანხმდა. საშუალო ასაკის იყო, კარგი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მკითხა, აქეთ რა გინდოდაო. მე გულახდილად ვუამბე ყველაფერი: ბებია გარდამეცვალა სოფელში და სახლი მეზობელს მივყიდე-მეთქი. გული დასწყდა, მისაყვედურა, მამაპაპეული სახლი როგორ გაიმეტეო. მე ვუთხარი, რომ ძალიან მიჭირდა, უნდა მესწავლა და თანაც დაოჯახებას ვაპირებდი. თითქმის ნახევარი გზა გავიარეთ, მერე წყაროსთან გააჩერა მანქანა, შევისვენეთ, გავიარ-გამოვიარეთ. მანქანაში რომ დავსხედით, ვეღარ აამუშავა. ეს კაცი მეუბნება, ბიჭო, რაღაც გაუჭირდა, ხომ იცი, რა ძველი მანქანაა, ცოტა მიაწექი და დაიქოქება. მეც გადავედი და უკნიდან მივაწექი, მივაწექი და მანქანა ადგილიდან ისე მოწყვიტა, ნომრის დამახსოვრებაც ვერ მოვასწარი. ჩემი ზურგჩანთაც თან გაიყოლა. მოკლედ, გამქურდა.

— მერე ვეღარ მიაგენი?

— ვერა. ხუთი წლის შემდეგ კი სრულიად მოულოდნელად სასურსათო მაღაზიაში შემხვდა. სიგარეტს ყიდულობდა. დავეწიე, ვკითხე — ვერ მიცანი? ეს მე ვარ, გზაზე რომ მიმატოვე, ჩემი ფული და ხატები დამიბრუნე-მეთქი. სიცილი დამაყარა, რა ფული, რის ხატები, შენ, ძმაო, ვიღაცაში გეშლები, პირველად გხედავო. გავცოფდი, ამ კაცის უტიფრობამ გამაგიჟა და სიბრაზისგან, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი ამოვარტყი ყბაში. კაცმა წონასწორობა დაკარგა, თავი ელექტრობოძს მიარტყა, დაეცა და იქვე გათავდა. მე არ გავქცეულვარ და შემთხვევის ადგილზე ამიყვანეს.

— საოცარია და დაუჯერებელი. ბედისწერას ჰგავს ორივე შემთხვევა.

— პირველი ამბავი მართლაც შემთხვევით მოხდა, მეორედ კი სპეციალურად მოვიდნენ, ჩემი მოკვლა უნდოდათ.

— მოვიდნენ? მეორე კაცი საქმეში არსად ფიგურირებდა.

— თქვენ ვერ დაგიმალავთ, ფულს მძალავდნენ ორნი, თავს ვიცავდი. ერთს ხელი ვკარი, გადავარდა და ... ერთი სიტყვით, მისი ბედიც ეს იყო. მეორე კი დამემუქრა, თუ იტყვი, ვინცა ვარ, ოჯახს ამოგიწყვეტო. ცოლი და ერთი ბიჭი მყავს ამქვეყნად, მეტი არავინ, მათ საფრთხეში ვერ ჩავაგდებ, — შიში შევნიშნე პატიმრის თვალებში.

— მისი ვინაობის გამხელა თქვენს ინტერესებშია. მე კიდევ გიმეორებთ, რომ თქვენც დაგიცავთ და თქვენს ოჯახსაც, თუ არადა დიდხანს მოგიწევთ ციხეში ჯდომა.

— მე არაფერი დამიშავებია, უბრალოდ, თავს ვიცავდი, ისინი ბანდიტები იყვნენ.

— ეს ხომ უნდა დამტკიცდეს? კეთილი, თუ არ გინდათ თქმა, ვეცდები, თვითონ გამოვიძიო. ისე კი დაფიქრდით, დრო ბევრი გექნებათ.

პატიმარი ბადრაგმა გაიყვანა. ამ კაცზე ფიქრი არ მასვენებდა. იგი უიღბლობის ტიპური ნიმუში იყო. პირადად მე რამდენჯერ მიკვრია ხელი ბიჭებისთვის ჩხუბის დროს, მაგრამ არავინ მომკვდარა. ამ კაცის შემთხვევაში კი უბედურება ბედისწერა იყო.

დაღამდა, უფრო აცივდა. თოვდა. შუქი ჩაქრა, სანთელი ავანთე, ღუმელთან გადავჯექი და ფიქრი განვაგრძე, თან ხელებს ვითბობდი. უცებ კარი აჭრიალდა, ვიღაცამ თავი შემოყო, დავაკვირდი, ის იყო, ის ხანში შესული ქალი, დიდი დეფორმირებული თავის ქალით.

— მე მეგონა, დამიძახებდით, მაგრამ, რომ არ შემეხმიანეთ, თვითონ მოვედი. ფეხზე ავდექი და ქალს ხელი ჩამოვართვი. საოცრად მხურვალე ხელი ჰქონდა. ინსტინქტურად ხელზე დავხედე. ხელისგულზე ვარსკვლავი ეხატა. სკამზე რომ დაჯდა, მოკლე თმის ქვეშ, კისერზე, ისეთივე შავი ვარსკვლავი დავინახე, კანზე კი თითქოს ქონი ესვა.

— მიხვდი, ვინ ვარ? — მკითხა და თვალებში შემხედა.

მე სკამზე დავეშვი, თითქოს ძალით დამსვეს.

— დიახ, — ვუპასუხე ინსტინქტურად.

— აი, მოგიტანე, — ჯიბიდან რაღაც ამოიღო.

— უკაცრავად, რა მომიტანეთ?

— გველის ენა .... კოსტიუმი მომაწოდე, მიგაკერებ.

— რას ამბობთ, ქალბატონო, — უცბად მოვეგე გონს, — რად მინდა გველის ენა, თანაც კოსტიუმზე მიკერებული?

— გველი მკურნალია და სიბრძნის სიმბოლო. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, გველის მშობელი ხარია და ხარისა — გველი. შენ ხომ ხარის წელიწადში ხარ დაბადებული?

— საიდან იცით?

— ვიცი. მე ყველაფერი ვიცი. წმინდა გიორგის ხატი გიკიდია. წმინდა გიორგი ორია — ზესკნელისა და ქვესკნელის. ზესკნელის ხარი და მუხაა, ქვესკნელის — გველი.

— ვხედავ, მითოლოგიაში კარგად ერკვევით. ქაჯებმა ხომ არ გამოგგზავნეს ჩემთან? — ირონია გავურიე ხმაში.

— ხომ გაგიგია, რომ ქაჯის ქალმა შეიძლება ხორციელ ადამიანს „მცურავი ჯაჭვიც“ (მივხვდი, რომ გველს გულისხმობდა) კი აჩუქოს, იგი კაცს სიკვდილისგან იცავს. ქაჯებს შეუძლიათ ღვთისშვილები ქაჯეთში წაიყვანონ, ოღონდ მხოლოდ სული, სხეული კი აქ რჩება. როგორც კი დაბრუნდება ქაჯეთიდან ხორციელი ადამიანის სული, ისევ თავის სხეულში დაივანებს.

— რა მინდა იქ?

— ქაჯეთი საიქიოა, ქვესკნელი, დემონები და ავი სულები.

— ნუთუ არ იცით, რომ სატანასთან ურთიერთობა ღუპავს ადამიანს?

— ჰო-ო, — ჩაფიქრდა ქალი, — გესლიანი, დანაოჭებული სახე მოეღრიცა, აშკარად არ ელოდა ასეთ პასუხს.

მერე ასეთი ამბავი მოყვა: პატარა რომ ვიყავი, სოფლიდან ქალაქში ჩავედი დეიდასთან სტუმრად, ის ეკლესიის მახლობლად ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად. დეიდაჩემის ქმარი შიშით იყო შეპყრობილი. ღამე კარს ბოქლომს ადებდა. ერთ ღამესაც კარი ახმაურდა, საწოლიდან ავდექი, ფანჯარასთან მივედი და გავიხედე. კართან კაცი იდგა, შავი დიდი შლაპით, გრძელი შავი საწვიმრით, მახინჯი სახითა და ვირის ფეხებით. კარს აწვებოდა და რომ დამინახა, მიყვირა, შემომიშვიო.

— მერე შემოუშვი?

— ხომ ხვდები? — მკითხა და გამიღიმა. საშინელი ღიმილი ჰქონდა, შიშისა და ზიზღის მომგვრელი. ისედაც გრძელი ნიკაპი კიდევ უფრო დაუგრძელდა, მეჩხერი ყვითელი კბილები ამაზრზენად უჩანდა წვრილი დამჭკნარი ტუჩებიდან.

— მოვედი, რომ გითხრა, ერთი მოხუცი ქალი მალე მოკვდება. საკუთარი სახლი და ეზო აქვს. ერთ რჩევას მოგცემ: საჭმელი აჭამე ხოლმე და ქონებას შენ დაგიმტკიცებს.

— როგორ გეკადრებათ. მე არავის სახლ-კარი არ მჭირდება.

— რა ვიცი, — გაკვირვებისგან წვრილი წარბები მაღლა აზიდა, — თქვენს წინამორბედ პოლიციის უფროსებს, რასაც კი ვთავაზობდი, სიამოვნებით მთანხმდებოდნენ. თანაც გავიგე, მკვლელს ეხმარები. მე მეზიზღება ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთე. თქვენ რა სიცრუე სიმართლე გგონიათ?

— ის კაცი მკვლელი შემთხვევით გახდა, ეს გასათვალისწინებელია, თანაც უფალი მოწყალეა და ადამიანს მონანიების საშუალებას აძლევს. კაცობრიობის ცოდვის გამოსყიდვის მიზნით მან მიწაზე მოავლინა ქრისტე. თუ ერთი ადამიანის ცდუნებით მთელი კაცობრიობა გახდა ცოდვილი, ერთი ქრისტეს ჯვარცმით მთელი კაცობრიობის ხსნა მოხდა, ასე იცავს და იფარავს ღმერთი ადამიანს ყოველგვარ უბედურებასა და გასაჭირში.

— აღმდგარი ადამიანი არავის უნახავს და როგორ უნდა ირწმუნო აღდგომის იდეა?

— რწმენას საბუთი არ სჭირდება, რწმენა იმიტომ არის რწმენა, რომ იგი უსაბუთოდ იწამო!

— ადამიანი მარადიულად იცოცხლებდა, რომ არ შეეცოდა. ადამი აცდუნეს და აკრძალული ნაყოფი აჭამეს, რითაც მოკვდავი გახდა. პავლე მოციქულის განმარტების თანახმად, რაკი ერთი ადამიანის ცოდვა მთელი კაცობრიობის ცოდვაა, სიკვდილი ყოველი ადამიანის სასჯელია.

— წმინდა მარიამის წიაღიდან სულიწმიდის მოვლინებით იშვა მარადიული სიცოცხლე — ქრისტე! ჩვენ კი სულზე უნდა ვიზრუნოთ, სხეული ცვდება, როგორც ტანსაცმელი.

ქალი ჩაფიქრდა, სკამს ისე დაეყრდნო, თითქოს ძალა გამოეცალაო.

— ვაზი, ვენახი ქრისტეს სიმბოლოა... თქვენს სარკმელზე ამ ყინვაში როგორ ხარობს ეს ვაზი? — მკითხა მან.

— მე დავრგე.

— ასეც ვიცოდი. თქვენ გაგიჭირდებათ აქ მუშაობა. მთელი სამყარო ბოროტებითაა დამძიმებული, ეშმაკის შთამომავლებს დამნაშავეები სჭირდებათ. შემთხვევითი ბრალდებულების გარდა, აქ ნამდვილი დამნაშავეებიც არიან.

— ალბათ. ქაჯეთში მოგზაურობა კი გადავდოთ, — ფეხზე ავდექი და ამით ვაგრძნობინე, რომ საუბარი დამთავრდა.

ქალი ადგა. კარი ჭრიალით გააღო. გასვლისას შემობრუნდა და ჩუმი ხრინწიანი ხმით მითხრა: „თქვენ „იქ“ ვერასოდეს მოხვდებით!“

თენდებოდა, ოთახში მზის სხივი შემოიჭრა და წმინდა გიორგის ხატს დაეცა. მთელი ოთახი განათდა, ხატის წინ დავიჩოქე და „მამაო ჩვენო“ წარმოვთქვი.

გულნაზ ხარაიშვილი



ღმერთკაცი

იმერეთის ერთ ლამაზ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი ცოლ-ქმარი. ისინი მუდამ კეთილი თვალით უყურებდნენ თავიანთ ახლობლებს თუ მეზობლებს და თავსაც მაშინ თვლიდნენ ბედნიერად, როცა სხვას სიკეთეს უკეთებდნენ. ამას ხალხი ხედავდა და როცა ვინმეს რაიმე გაუჭირდებოდა, ყველანი კეთილ მეზობლებს მიაშურებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ერთი დღის სარჩოც რომ ჰქონოდათ, უყოყმანოდ შუაზე გაუყოფდნენ.

ამ ოჯახში სამი შვილი იზრდებოდა, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. შვილებიც მშობლებივით გულუხვი და კეთილნი იყვნენ.

დედმამიშვილებს შორის სიდინჯითა და თავისებური ბუნებით მაინც ნაბოლარა ვაჟი გამოირჩეოდა. იგი ხშირად განმარტოვდებოდა და თავის საფიქრალს მიეცემოდა. მშობლებს შვილის ასეთი ბუნება-ხასიათი მხედველობიდან არ გამოპარვიათ და ერთხელ ვაჟს ჰკითხეს:

—შვილო, რატომაა, რომ თანატოლებს გამოეყოფი და განმარტოებული ფიქრებში ჩაიძირები, ხომ არაფერი გაწუხებს?

შვილმა სევდიანი ღიმილით უპასუხა: რა დაგიმალოთ და მინდა მეც თქვენსავით კეთილი ვიყო, ყველას დავეხმარო და ხელი გავუმართო, მაგრამ რა ვქნა, როცა არაფერი გამაჩნია. დავდივარ და სულ იმაზე ვფიქრობ, რომ ვისწავლო ისეთი რამ, რითაც ოჯახსაც გამოვადგები და ქვეყანასაც.

შვილის პასუხმა მამა კიდეც გაახარა და კიდეც დააფიქრა: მართალი ხარ და ჭკვიანიც ჩანხარ, ჩემო შვილო, რა სჯობია თუ ისეთ რამეს ისწავლი, რითაც ოჯახსაც უშველი და ჩვენს გასაცოდავებულ ხალხსაც გაჭირვებიდან გამოიყვანო.



იმ ღამეს მამას თვალი არ მოუხუჭავს, სულ შვილის ნათქვამზე ფიქრობდა და გამოსავალს ეძებდა. ბოლოს ძველი მეგობარი ებრაელი გაახსენდა. რომელიც ბოლო პერიოდში დიდ ბიზნესში იყო ჩაბმული და გადაწყვიტა რჩევისათვის მასთან მისულიყო.

დილით ადგა ისე, რომ ცოლისათვის არაფერი უთქვამს და მეგობრისკენ გასწია.

ეს ამბავი საჩხერის რაიონ სოფელ ჭორვილაში ხდებოდა. ეს სოფელი რაიონიდან ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული და ამიტომ მეგობართან მისვლა არ გასჭირვებია.

ისინი ერთმანეთს ოჯახის ამბებს მოუყვნენ. როცა ებრაელმა მეგობრისაგან დაღონებული და ჩაფიქრებული ბიჭის ამბავი მოისმინა, გაიფიქრა: მოდი, სიკეთეს გავაკეთებ და თუ დამიჯერებს ბიჭს ბედნიერს გავხდიო. ვასწავლი რამეს, ფულის ყადრს, მისი შოვნის გზებსაც და გონიერ ხარჯვასაც. მერე კი მეგობარს მიუბრუნდა: - მომიყვანე შენი ბიჭი, ვნახავ, საქმეში ჩავაბამ და თუ ფინანსებში ნიჭსა და უნარს გამოამჟღავნებს, უბედნიერეს კაცად ვაქცევო.

კაცი სიხარულით დაეთანხმა, მეგობარს გამოეთხოვა და ფრთაშესხმულმა შინისკენ გასწია.

როცა ცოლს ეს ამბავი გაუმხილა, ქალმა ტირილი დაიწყო: ჩემი საყვარელი შვილი დიდი ხნით კალთიდან როგორ მოვიშორო, როგორ გავძლო, ყოველ დღე რომ არ ვნახო და არ მოვესიყვარულოო, მაგრამ ქმარმა თავისი გაიტანა და ბიჭუნასთან ერთად მეორე დღესვე ებრაელთან წავიდა.

მამა-შვილი ებრაელს მიადგა. ებრაელი ბიჭუნას დააკვირდა, მასში რაღაც განსაკუთრებული იერი და თვისება დაინახა და მეგობარს კმაყოფილებით გადახედა, მაგრამ არაფერი შეამჩნევინა, მერე კი უთხრა: შენ წადი და დანარჩენ ბავშვებს მიხედე, ეს ყმაწვილი კი მე დამიტოვე და ისეთს დაგიბრუნებ, რომ ყველანი ამით ამაყობდეთო.

კაცი შინ დაღონებული დაბრუნდა, განიცდიდა შვილი უცხო გარემოში დატოვებას. ცოლიც თვალცრემლიანი შეხვდა, მაგრამ მათ გულს შიში არ ეკარებოდა, პირიქით, რაღაც მანამდე არნახული რწმენა დაუფლებოდათ და იმედის ნაპერწკლებად ეფრქვეოდათ.

მეორე დღეს, კვლავ შეჭირვებულმა მეზობელმა მოაკითხათ, — რა გაგჭირვებიაო, — ჰკითხა დიასახლისმა. მას თურმე შვილი გახდომოდა ავად და ექიმთან წასაყვანი არცერთი თეთრი არ ჰქონია.

მასპინძელი შეწუხდა და თვალწინ თავისი პირმშო დაუდგა. – ეგებ ახლა ჩემს შვილსაც უჭირს და ღმერთმა მის მაგივრად მეზობლის ბავშვი გამომიგზავნა დაეხმარეო.

— ნუ გეშინია, ახლავე გიშველიო — უთხრა მეზობელს. ოთახში შევიდა და შეწუხებულ დედას რაც ფული გააჩნდა, დაუნანებლად გამოუტანა.

— დრო გავიდა, თვე-თვეს მისდევდა და წელიწადი-წელიწადს, ვაჟისაგან კი არაფერი ისმოდა.



რამდენიმე წლის ლოდინის შემდეგ, გაიღო ოჯახის კარი და სახლში დაბრუნდა დავაჟკაცებული, დამშვენებული ჭაბუკი. მშობლებისა და და-ძმის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა, ყველას ძვირფასი საჩუქარი ჩამოუტანა. ოჯახში სიხარულის სხივი დატრიალდა. გაჩაღდა ლხინი და ქეიფი.

გვიანი ღამე იყო, როცა თავი ძილს მისცეს. დაღლილს, შორგზაგამოვლილ ჭაბუკს, უმალ ჩაეძინა. სიზმარში მასწავლებელი წარმოესახა: - აბა შენ იცი, ჩემგან ნასწავლს როგორ გამოიყენებ, რამდენ სიკეთესაც გააკეთებ იმდენად ამაღლდება ხალხში შენი სახელი, რომელიც უანგარო სიყვარულით იქნება გარემოსილიო – ჩაესმა მძინარეს ხმა. — ოღონდ გახსოვდეს, გულკეთილობით დიდი თანხა ხელში არ ჩაუგდო ბოროტსა და მფლანგველს, თორემ შესაძლებელია საქმე სანანებლად გაგიხდეს, რადგან დიდი ფულით ქვეყნის შენებაც შეიძლება და დანგრევაცო.

დილით ვაჟმა სიზმარი მშობლებს უამბო. მშობლებმაც იგივე უთხრეს. ვაჟი შეუდგა საქმიანობას ჯერ თავისი ოჯახის საქმე მოაგვარა; სულ მალე ეზოში სამსართულიანი სახლი ააგო. და-ძმასაც როგორც უნდოდათ ისე მიხედა. მერე კი ნათესავები და ახლობლები გაახარა. ყველას ისეთი ცხოვრება შეუქმნა, რომ თავი სიზმარში ეგონათ, არც მეზობლები დაივიწყა.

სოფელი გამოცოცხლდა, გაჩაღდა მშენებლობები მომრავლდა საკუთარი ავტომანქანები. ყველას დამხმარე ჭაბუკს სახელს არავინ ეძახდა. — „დღეგრძელობდეს ჩვენი მხსნელი და მფარველი, საამაყო „ღმერთ-კაცი” — აღტაცებით გაიძახოდნენ ყოველი მხრიდან.

ასე შეერქვა ჩვენი ზღაპრის მთავარ გმირს „ღმერთკაცი”.

გოგონა-პეპელა



იყო ერთი ლამაზი პეპელა. ფრთები ისე ჰქონდა მოქარგულ-მოხატული, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. ფრი-ფრი დაფრინავდა იგი ხან ერთ ყვავილზე, ხანაც მეორეზე და ყველასთან მშვენიერება და სიხარული მიჰქონდა. ყვავილებსაც ძალიან უყვარდათ ფრთახატულა პეპელა, რადგან დაასკუპებდა მათ ბუტკოს და მაშინვე ტკბილი ნექტარით ივსებოდა.

იქვე მახლობლად გეჯა იდგა. ფუტკრებმა მალე შენიშნეს ნექტრით დაბერილი ყვავილები და ბზუილ-ბზუილით მიესივნენ, შორს არც ერთი აღარ მიდიოდა.

- ეს ყველაფერი ჭრელი პეპლის დამსახურებაა. – ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ყვავილმა და ფუტკარს თავი დაუქნია. ფუტრკებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე იქვე მოფარფატე პეპელას გახედეს და სიხარულით ირგვლივ შემოეხვივნენ, თან უმღერდნენ:

რა ლამაზი ხარ, რა კარგი,
გაგვიმზიანე ფიქრები,
ამიერიდან, ძვირფასო,
ჩვენი დობილი იქნები.

- ვიქნები, მაგრამ თქვენ რომ მწარე ჩხვლეტა იცით? – მიუგო შემკრთალმა პეპელამ.

- ნუ გეშინია, შენ ჩვენი ნესტარი არასოდეს შეგეხება, პირიქით, ყველგან შენი ერთგული დამცველი ვიქნებით, - ბზუილით უთხრეს ფუტკრებმა და გასაფრენი გზა გაუთავისუფლეს. პეპლისა და ფუტკრების მეგობრობა თანდათან უფრო ლამაზი და მტკიცე ხდებოდა.

ერთ დღეს პეპელამ შორს გასეირნება მოისურვა, ფრთა-ფრთას შემოკრა და შორეული ველ-მინდვრისაკენ გასწია. ბევრი იფრინა თუ ცოტა, შორიდან შენიშნა მინდორში წამოწოლილი ჭაბუკი, კაცი რომელიც ღრმა ფიქრებს მისცემოდა, იქვე მის გვერდით კი ცხენი ბალახს გემრიელად ძოვდა.

პეპელა კაცთან მიფრინდა. – რამ დაგაღონა, ხომ არ შემიძლია რაიმეში დაგეხმარო?

-შენ რა უნდა დამეხმარო, ჩემო ლამაზო, რა შეგიძლია, მაგრამ, რადგან მკითხე, გეტყვი ჩემი დარდის მიზეზს. – კაცმა ჩაახველა და განაგრძო” - მოგზაური ვარ, შორი გზა მაქვს გასავლელი, მაგრამ ბედმა მიმუხთლა, გზაში ცხენს ნალები გაუცვდა და ავარდა, ახლო-მახლო არც მჭედელი ჩანს და არც სამჭედლო, არადა უნალოდ როგორ ივლის, არ ვიცი რა ვქნა.

- ნუ დარდობ, მე გიშველი, ციურ მჭედელს ვნახავ და საქმეს მოგიგვარებს.



- ვინ ციურ მჭედელს? – გაიოცა კაცმა და ღიმილით დაუმატა: - ცაში რა უნდა მჭედელს?

-ცაში რომ მჭედელი არ იყოს ამდენ კაშ-კაშა ვარსკვლავს აბა ცას ვინ მიაჭედებდა?! – პეპელა მაღლა აფრინდა და კაცს ჩამოსძახა:

- არსად წახვიდე, აქ დამელოდე.

- მოგზაური წამოჯდა, მაღლა იყურებოდა და თანაც პეპელას ელოდებოდა. დიდი ხანი არ იყო გასული. რომ კაცის წინ ოთხი ახალი ნალი, ლურსმნები და ჩაქუჩი დავარდა. კაცმა გაოცებისა და სიხარულისაგან ჯერ პირი დააღო, მერე პირჯვარი გადაისახა. ზეზე წამოხტა ნალები, ლურსმნები და ჩაქუჩი აკრიფა და ცხენთან მიირბინა. ის-ის იყო კაცი ახალად დაჭედილ ცხენზე უნდა შემჯდარიყო, რომ პეპელაც

ჩამოფრინდა და ცხენს ფაფარზე დაასკუპდა.

კაცმა არ იცოდა რა ექნა, რით გადაეხადა პეპელასათვის მადლობა: - ჩემო ლამაზო და ფრთახატულა, შენ გადამარჩინე და გზის გაგრძელების საშუალება მომეცი, ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებ, თან გპირდები, რომ მუდამ მეყვარები.

— ღმერთმა ბედნიერად გატაროს. — უთხრა პეპელამ და გაფრინდა. კაცი კი ცხენს მოახტა და გზა განაგრძო.

გზად მიმავალი ჭაბუკი პეპელაზე ფიქრობდა. იგი ისე შეუყვარდა, რომ სულ თვალწინ ედგა თავისი ლამაზი ფრთებით. ფიქრებიდან ქალის შეკივლებამ გამოიყვანა. – მიშველეთ, გაყვიროდა ქალი, რომელიც ღობის ძირას ეგდო და ხელებს ასავსავებდა. მოგზაური მასთან მიიჭრა, ცხენიდან მკვირცხლად ჩამოხდა და ქალს შეეკითხა: რა მოგივიდა, რითი დაგეხმარო?!

- ორმოში ფეხი ჩამივადა და მოვიტეხე, მიშველე, იქნებ ჩემს ექიმთან მიმიყვანოო. – მიუგო ქალმა, თან მწარედ ტიროდა.

- ნუ გეშინია, სადაც მეტყვი, იქ მიგიყვან.— მერე ხელი დაავლო ციმციმ ასწია და ცხენზე შესვა. ქალმა ასწავლა საით უნდა წასულიყვნენ. ბევრი არ უვლიათ გზის პირას ქოხი მოჩანდა.

აი, იმ ქოხში მიმიყვანე, იქ ჩემი ჯადოქარი ექიმი ცხოვრობს, ხელად მომარჩენს. ქოხთან შაოსანი დედაბერი შემოეგებათ. ფეხმოტეხილი ქალი იქვე ტახტზე წამოაწვინეს. ავადმყოფი ექიმს მიუბრუნდა: - ამ კაცმა გადამარჩინა, სამაგიეროს კი იმით გადავუხდით, თუ მას ერთ მთავარ სურვილს მაინც შევუსრულებთ.

ექიმი-ჯადოქარი მგზავრს მიუბრუნდა და ჰკითხა: რა გსურს, რა ოცნება გაქვს რომ შეგისრულო?

მოგზაურს მაშინვე პეპელა გაახსენდა და თხოვნაც არ დაუგვიანებია:

— ერთი ულამაზესი პეპელა ვიცი, მას რომ ჩემთვის სიკეთე არ გაეკეთებინა, ახლა ისევ ტიალ მინდორში ვიქნებოდი და ვერც ამ ქალის დახმარებას შევძლებდი. თუ მართლაც ჯადოქარი ხარ, ის პეპელა გოგონად აქციე და როცა შინ დავბრუნდები, შემახვედრე. ჯადოქარმა ხელები მაღლა აღაპყრო, კარგა ხანს თავისთვის იბუტბუტა, მერე მოგზაურს მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა: — თქვენი სურვილი შესრულებულია, პეპელა უკვე ულამაზეს გოგონა-პეპელადაა გადაქცეული და გაოცებული ყვავილებს ეფერება, ხან ფუტკრებს ეთამაშება. მოგზაური დაემშვიდობა ქალებს და გზა განაგრძო...

პეპელა თავისთვის იჯდა ყვავილზე. უეცრად, იგრძნო, ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ყვავილის ტოტი მოღუნა და მოდრიკა, ჯერ ადამიანის ფეხები გამოება, მერე თავი, ხელები და გოგონად იქცა. მხრებზე კი ისევ ის ლამაზი ფრთები შემორჩენოდა, რითაც ყველას აოცებდა. გოგონა-პეპელა თავისთვის ცხოვრობდა და მართალია დღე-დღეს მისდევდა, წუთითაც არ ავიწყდებოდა ის მოხდენილი მხედარი, რომელსაც ცხენის დაჭედვაში დაეხმარა.

მოგზაურმა მრავალი ქვეყანა მოინახულა, მზეთუნახავთა ქალაქშიც შევიდა და იქაურობასაც გაეცნო და ის იყო გზა უნდა განეგრძო, რომ მასთან ერთი მზეთუნახავი მივიდა და ღიმილით უთხრა: — მე თქვენ თვალს გადევნებთ, მომეწონეთ და შემიყვარდით... სხვა გზა არ გაქვთ, ჩემი ქმარი უნდა გახდეთო.

გაოცებულმა მოგზაურმა პირი დააღო, თვალწინ კი მისი გოგონა-პეპელა დაუდგა და მზეთუნახავს დაყვავებით უთხრა: მე გულის რჩეული მყავს, მის ღალატს სიკვდილი მირჩევნია, თქვენი გზა ნახეთ, მე კი თავი დამანებეთ. მერე ცხენზე შეჯდა და იქაურობას გაეცალა. ახლა იგი თავისი

ქვეყნისკენ მიიჩქაროდა, თან თვალწინ ედგა საოცნებო გოგონა-პეპელა, რომელიც ჯერ არ ენახა, მაგრამ მისი სილამაზის შუქი გზას უნათებდა.

მოგზაური სამშობლოში დაბრუნდა და გოგონა-პეპელას ძებნას შეუდგა, მალე კიდეც იპოვა გაშლილი ვარდების ხეივანში. გოგონა-პეპელამაც იცნო მისი საოცნებო ჭაბუკი და შესახვედრად გაეშურა. ის იყო ერთმანეთს უნდა გადახვეოდნენ, რომ მოულოდნელად მათ შუა მზეთუნახავი ჩადგა: ერთმანეთს არ მიეკაროთ! მერე კაცს გადახედა და ბრძანების კილოთი უთხრა: - ტყუილად ცდილობ, ჩემი ხარ და შენს თავს არავის დავუთმობ – მერე ხელი მაჯაში ჩაავლო და წასაყვანად მოქაჩა.

გოგონა-პეპელამ იგრძნო, რომ ამ გააფთრებულ ქალთან ვერაფერს გახდებოდა და ფუტკრებისაკენ გაიქცა. – მიშველეთ, მეგობრებო, უცხო ალქაჯი სიყვარულს მართმევს. –როგორ თუ გართმევს, ჩვენ შენთან არ ვართ?! ახლავე მოვდივართ.

ფუტკრები ბზუილ-ბზუილით მიყვნენ გოგონა-პეპელას. ისინი წამოეწივნენ გააფთრებულ მზეთუნახავს, რომელიც ჭაბუკს ძალით მიათრევდა. ფუტკრები მთელ ტანზე დაეხვნენ. ზოგიც სახეზე მიესია და უმოწყალოდ ასობდნენ შხამიან ნესტარს.

მზეთუნახავმა კივილი ატეხა, კაცს ხელი გაუშვა და უგზო-უკვლოდ გაიქცა. ფუტკრები მანამდე სდევდნენ სანამ ცხრა მთას იქით არ გადააგდეს.

ფუტკრების კბენით დაოსებული ქალი გზაში წყაროსთან ჩამოჯდა და მწარედ აქვითინდა. ეს შენიშნა გზა მიმავალმა ღმერთკაცმა და ტირილის მიზეზი ჰკითხა. როცა მზეთუნახავის ნაამბობი მოისმინა უსაყვედურა: არასწორად მოქცეულხარ, რა უფლება გქონდა რომ სხვისი ბედნიერება დაგენგრია და შენი აგეშენებინა იმ კაცის სახლში ბედნიერი ხომ მაინც არ იქნებოდი. დამნაშავე ხარ, მაგრამ მე მაინც არ გაგწირავ. მითხარი რომელი ქვეყნიდან ხარ და ჩემი თვითმფრინავით გადაგაფრენ.

მზეთუნახავი ფეხებში ჩაუვარდა, მაგრამ ღმერთკაცმა წამოაყენა, დაამშვიდა და ვიღაცას მობილურით დაელაპარაკა. – მაპატიეთ, ყველამ მაპატიოს, ცუდად მოვიქეცი. – ქვითინებდა მზეთუნახავი . ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ თვითმფრინავი მოფრინდა. მზეთუნხავმა ხელები მაღლა აღაპყრო და ღმერთკაცი გულწრფელად დალოცა: - მე ვგრძნობ, რომ თქვენ ქვეყნად სიკეთის თესვისათვის ბრძანდებით მოვლენილი და ღმერთმა მუდამ მოგიმართოთ ხელი. ლოცვა დაამთავრა და თვითმფრინავში ჩაჯდა. თვითმფრინავი მაშინვე აიჭრა ცაში. ღმერკაცმა გზა დაულოცა და ქუჩას გაუყვა...



სოფელში კი ამ დროს დიდი ზეიმი იყო. გოგონა-პეპელა და ჭაბუკი ჯვარს იწერდნენ. იქვე გაეშალათ საქორწინო სუფრაც, რომელსაც ათასფერი ყვავილი ამშვენებდა. მეფე-დედოფალს თავს ეხვეოდნენ ულამაზესი პეპლები, ხოლო ფუტკრები ტკბილ ფიჭასა და თაფლს თეფშებზე ალაგებდნენ.

ღარიბი ნიკო

ღმერთკაცის სოფელში ცხოვრობდა ერთი უღარიბესი ჭაბუკი, რომელსაც ნიკო ერქვა, ჭაბუკს ლამაზი გოგონა შეყვარებოდა. არც გოგონა იყო გულგრილი ვაჟკაცური გარეგნობის, სიცოცხლით სავსე ჭაბუკისადმი, მაგრამ გოგონას მშობლებსა და ძმებს ვინც უხსენებდა ნიკოს სახელს, მაშინვე მას სამტროდ გადაეკიდებოდნენ. მიზეზი ვაჟის სიღარიბე იყო.

ერთ დღეს ნიკო და მაია ორღობეში სრულიად შემთხვევით შეხვდნენ. ნიკომ ხელი სთხოვა



ლოყებღაჟღაჟა გოგონას. - მიყვარხარ და შენს მეტს არავის შევირთავო - დასძინა.

გოგონამ ყოყმანი დაიწყო, - რა ვქნა, მეც მომწონხარ, მაგრამ ჩემი მშობლები და ძმები ცეცხლში დამწვავენ, ვიდრე შენზე გამათხოვებენ. შენისთანა ღარიბსა და ღატაკს ზედაც არ შეხედავენ. - ჩაილუღლუღა გოგონამ, თვალებით კი გაუღიმა და შინისაკენ ტანის ნარნარი რხევით წავიდა.

დაღონებული ნიკო ალვის ხესავით მაღალსა და შველივით კოპწია გოოგნას მანამ უყურებდა, სანამ თვალს არ მიეფარა.

— არა, ეს გოგო ჩემი უნდა გახდეს, უმაგისოდ სიცოცხლე არ შემიძლია-ამოიკვნესა ნიკომ და გადაწყვიტა, რომ დღე და ღამე ეშრომა, საკუთარი ლამაზი სახლი აეგო და ისე მოეწყო, რომ ყველას მოსწონებოდა.

ჭაბუკს ოცნებამ ფრთები შეასხა და იმედჩასახული გზას გაუდგა. გზად მიმავალი ახლა იმაზე ფიქრობდა თუ სად ეშოვა სამუშაო. შორიახლოდან მშენებლობის ხმა მოესმა და გეზიც იქითკენ აიღო. მალე თვალწინ საინტერესო სურათი გადაეშალა. ღმერთკაცის სახლის მახლობლად ახალი სახლების მშენებლობა წამოეწყოთ.

ნიკო მშენებლებთან მივიდა და ათრთოლებული ხმით იკითხა - აქ რა ხდებაო? მშენებლებმა სიხარულით მიუგეს: - სოფელს ეშველა, ღმერთკაცმა ხალხისთვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა გააჩაღა, ვისაც შრომა არ ეზარება, უბინაოდ არ დარჩებაო.

ნიკოს სიხარულით სახე გაებადრა: - მეც მამუშავეთ, ჩემი სახლი მე თვითონ მინდა ავაგოო.

— მოდი, კაცო, შენისთანა ჯანღონით სავსე ჭაბუკს ვინ გეტყვის უარს, აი, იქ აწყვია სამშენებლო იარაღები და აიღეო - უთხრა მშენებლობის თავკაცმა.

მალე სოფელმა იერი იცვალა, ძველი ქოხმახების ნაცვლად ახალი ორსართულიანი სახლები წამოიმართა, გახშირდა ახალიბინადრეობა, ქორწილები, სოფელში სიხარულმა და იმედმა დაიდო ბინა.

ნიკოს ბედნიერი დღე დაუდგა. სოფელში ახლა ერთ-ერთი სახლი მისია და მისი რჩეული ქალიშვილიც გვედრს უმშვენებს.

სიღარიბით დაწუნებული



ღმერთკაცი მორიგი სიკეთის საკეთებლად მიიჩქაროდა, გზად მიმავალს მზეთუნახავივით ლამაზი ქალიშვილი შემოხვდა. იგი ტიროდა ტირილიც ისე უხდებოდა, გეგონებოდათ მზე პირს იბანსო. ღმერთკაცმა იგი შეაჩერა და ტირილის მიზეზი ჰკითხა. ქალიშვილმა ყურადღება არ მიაქცია. ღმერთკაცი არ მოეშვა. ყოყმანის შემდეგ ქალიშვილმა ცრემლიანი თვალები ხელებით ამოიწმინდა და დარდიანი ხმით უპასუხა: - რა აზრი აქვს, ტირილის მიზეზი რომ გითხრათ, თქვენ მაინც ვერაფერს დამეხმარებით...

— შენ მითხარი, იქნებ შევძლო და დაგეხმარო — მიუგო ღმერთკაცმა. ქალიშვილმა უცნობს ტირილის მიზეზი უამბო. თურმე ერთი ვაჟი შეყვარებია, ვაჟსაც თავდავიწყებით ყვარებია, მაგრამ რომ გაუგია გოგონას სიღარიბის შესახებ, მისი შერთვა გადაუფიქრებია. — შენისთანა



ღარიბი და ღატაკი როგორ უნდა შევირთო, არც მშობლები დამრთავენ ამის ნებასო. — უთქვამს.

— მერედა სხვა შეირთო? — გაუკვირდა უცნობს.

— გაუცნია ვიღაცა მდიდრის შვილი და მისი შერთვა გადაუწყვეტია.

— ნუ დარდობ, გოგონა, ვინც სიყვარულს ფულში ცვლის, ის შენი ღირსი არ არის. მე კი სიხარულსა და ბედნიერებას არ მოგაკლებ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ღვთიურო კაცო, ჩემისთანა გაჭირვებულის დახმარება რომ გადაწყვიტეთ? — ჰკითხა გაოცებულმა ქალიშვილმა.

— მაგას მერე გაიგებ. ეხლა კი მშვიდად წადი სახლში და შენ ბედს დაელოდე.

სულ მალე, იმ უბანში, სადაც ღარიბი ქალიშვილი ცხოვრობდა, ახალი სახლების მშენებლობა დაიწყო. ერთი სახლის საძირკველი კი ქალიშვილის ეზოშიც გაჭრეს. — აქ ყველაზე ლამაზი სახლი უნდა აშენდესო. — უთხრეს მშენებლებმა გაოცებულ ქალიშვილს. მართლაც ასე მოხდა, რამდენიმე თვეში უბანში სახლების მშენებლობა დამთავრდა. ყველაზე ლამაზ და კოპწია სახლში ჩვენი ნაცნობი ქალიშვილი შეასახლეს, თანაც ბინა უცხოური ავეჯით მოურთეს. როცა ამ საქმეს მორჩნენ, ქალიშვილის ჭიშკარს გაბმული სიგნალით უცხოური მარკის ორი ახალთახალი ავტომანქანა მიადგა. ქალიშვილს ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ჭიშკრისკენ გაიქცა. მანქანიდან ის კაცი გადმოვიდა, რომელიც ატირებულ გოგონას გზაში შეხვდა, დაამშვიდა და ბედნიერი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ქალიშვილმა ჭიშკარი ფართოდ გააღო და სტუმარი შინ მიიპატიჟა, მაგრამ სტუმარმა დარჩენაზე უარი უთხრა. ის კი დასძინა - ეს ავტომანქანა მიიღე ჩემგან საჩუქრად და როცა ღირსეული საქმრო გამოგიჩნდება, საჭეც იმას ანდე. — გაუღიმა, ქალიშვილს, მეორე ავტოში ჩაჯდა, დაემშვიდობა და უკან გაბრუნდა ისე, რომ თავისი ვინაობა არ გაუმხელია.

მეორე დღეს მთელმა მდუნიამ იცოდა, რომ ერთ დროს უღარიბესი ქალიშვილი ახლა სოფელში ყველაზე ლამაზ და კეთილმოწყობილ სახლში ცხოვრობდა, თანაც ავტომანქანა მიართვეს.

ეს ამბავი ვაჟის მშობლებმა გაიგეს და შვილს შეუჩნდნენ: - წადი შენს დანიშნულს ნიშნობის ბეჭედი წაართვი და ახლა იმას მიუტანე, ვინც ადრე გიყვარდა, სახლიც გექნება, კარიც და ავტომანქანითაც ისრიალებო.

ბიჭს მშობლების ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა და მაშინვე დანიშნულთან მიირბინა. — ბეჭედი დამიბრუნე, შენი შერთვა გადავიფიქრეო.

— როგორ თუ გადაიფიქრე, ჩვენ საპატარძლოს საქორწილოდ ვამზადებთ, სოფელში თავი გინდა მოგვჭრა და შეგვარცხვინო?! - უთხრეს ძმებმა.

— ჰო, თქვენი დის შერთვა გადავიფიქრე, ჩემს პირველ შეყვარებულს უნდა დავუბრუნდე, ნუ მაყოვნებთ, ბეჭედი მომეცით.

ძმები ძალიან გაბრაზდნენ, ხელი დასტაცეს და ყოფილი სასიძო სულ ცემა-ტყეპითა და კინწისკვრით გააგდეს გარეთ. საცოლემ კი ბეჭედი ქოქოლასთან ერთად მიაყოლა. შერცხვენილმა სასიძომ ბეჭდებს ხელი დასტაცა და უკან მიუხედავად მოკურცხლა. ახლა იგი პირველი შეყვარებულისკენ მიიჩქაროდა.

ქალიშვილმა დაინახა თუ არა ყოფილი სატრფო, ზიზღისაგან სახე აუთრთოლდა.

— რისთვის მოხვედი, ჩემთან რა დაგრჩენია?! — მკვახედ ჰკითხა ქალიშვილმა.

— რა და გული, მოვედი რომ ცოლად შეგირთო. — მიუგო ვაჟმა.

— გული არასდროს არ გქონია და აქ როგორ დაგრჩებოდა! შენ ხარბი და უსინდისო ყოფილხარ, მე კი არა, ჩემმა ქონებამ და ახალმა ავტომანქანამ დაგაინტერესა. გაეთრიე აქედან, მძულხარ, შე არაკაცო - მიახალა ქალიშვილმა და ჭიშკარი ცხვირწინ მიუხურა. გავიდა ცოტა ხანი და ქალიშვილის ხელი ერთმა წარჩინებულმა ახალგაზრდამ ითხოვა. მათ ერთმანეთი უცხოეთში ტურისტული მოგზაურობისას გაეცნოთ და სიყვარულიც ერთი ნახვით სწვევიათ.

დიდი ქორწილი გამართეს. სწორედ თავის ქორწილში გაიგო ქალიშვილმა, რომ ეს ბედნიერება, სიხარული და სიმდიდრე მისთვის კეთილ ღმერთკაცს უბოძებია.

ჯადოსნური პარკი



პატარა და კოპწია სოფელში სიამტკბილობით ცხოვრობდა ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი, მათ ექვსი შვილი ჰყავდათ, ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მოსიყვარულე მშობლები თავს ევლებოდნენ შვილეებს, მაგრამ დუხჭირი ცხოვრება საშუალებას არ აძლევდათ შვილები გაეხარებინათ და ბედნიერები ჰყოლოდათ. ამას ისიც ემატებოდა, რომ დედა გულით ავადმყოფი იყო, მის გამოჯანმრთელებას კი პირი არ უჩანდა.

ოჯახის მოვლა-პატრონობა და უმცროსი და-ძმების მოვლის ტვირთი, მხრებზე დააწვა უფროს ქალიშვილს, რომელსაც მამამ ზედმეტ სახელად მთვარისა დაარქვა.

გულდამძიმებული ჭიჭიკო ტყეში დილაადრიანად მიდიოდა, ამზადებდა შეშას და ყიდდა, რათა ცოლ-შვილი გამოეკვება და მტერმოყვარესაც სკადრისად დახვედროდა. დაბრუნებული, შვილებს მიუალერსებდა, მეუღლეს ტახტზე ჩამოუჯდებოდა, მოეფერებოდა, გაამხნევებდა, ოჯახის ამბავს მოიკითხავდა, მერე ივახშმებდა და მთელი დღის ნაჯაფარი დასაძინებლად წვებოდა.

ერთ საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებულ მამას მთვარისა გაღიმებული შეეგება, აკოცა და მისი ნახელავი, ლამაზად ნაქსოვი პარკი აჩუქა.

მამა სიხარულით ცას ეწია, დალოცა ქალიშვილი, საჩუქარი სასთუმალთან დაიდო, ლოგინში ჩაწვა და ტკბილად დაიძინა. სიზმარში ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა:

— იძინე, იძინე შე ბედნიერო, ისეთი გოგონა გეზრდება, რომ მის სიკეთეზე მალე მთელი ქვეყანა ილაპარაკებს. დაიმახსოვრე — პარკი, რომელიც მან მოგიქსოვა, ჯადოსნურია, რასაც შიგ ჩადებ და ქვრივ-ობლების დასასაჩუქრებლად ამოიღებ, არ იფიქრო დაკარგულია, პარკი მაშინვე უფრო მეტი და უკეთესი საჩუქრებით შეივსება.

გახარებულ და გაოცებულ ჭიჭიკოს ალიონზე გამოეღვიძა. დილით ოჯახის თადარიგი დაიჭირა,შვილებს საჭირო დარიგებები მისცა, ავადმყოფ ცოლს წესისამებრ შუბლზე სიყვარულით აკოცა და ტყეში ისე წავიდა, რომ სიზმრის შესახებ არავისთვის უთქვამს. საგზლად კი ახალ პარკში ჩაწყობილი მჭადი და ყველი გაიყოლა.

ბევრი იარა თუ ცოტა, წინ ხელგაწვდილი ბავშვიანი ქალი შემოხვდა, რომელმაც შემწეობა სთხოვა.

— რა გიყო, პარკში მხოლოდ მჭადი და ყველი მიდევს, სხვა არაფერი გამაჩნია, თუ ინებებ მზად ვარ გიწილადო.

ქალს გაუხარდა, როცა პავლემ საგზალი შუაზე გაუყო და უყოყმანოდ მიაწოდა. მათხოვარმა მჭადისა და ყველის ნაწილი ბავშვს მისცა, ნაწილი კი თვითონ დაიტოვა. დამშეული დედა-შვილი მაშინვე ჭამას შეუდგა, თან კაცს მადლიერი თვალებით შესცი ცინებდნენ, თანაც ეუბნებოდნენ: - მთელი თვე სანაგვიდან ამოქექილი ნარჩენებით ვიკვებებით, იცოდე, ჩემი ლოცვა სიკეთეს მოგიტანს, ღმერთმა გაგახაროს და გაგაძლიეროს.

ჭიჭიკომ გზა განაგრძო. რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა , მხარზე, რომელზეც პარკი ეკიდა, უჩვეულო სიმძიმე იგრძნო, იქვე ქვაზე ჩამოჯდა და ის იყო პარკი გასახსნელად მოიმარჯვა, რომ მისკენ ლასლასით მომავალი ჯოხიანი მოხუცი შენიშნა. მოხუცი პავლესთან მოვიდა და ყელგამოწევით შეეხვეწა: - მიშველე, მშიერი ვარ, იქნებ მაგ პარკში საჭმელი გიდევს, რომ ხემსი მაინც ამაღებინოო.

ჭიჭიკო დაღონდა: მჭადისა და ყველის მცირე ნაჭერი დავიტოვე, ისიც რომ ამ უბედურს მივცე, მშიერმა ტყეში როგორ ვიმუშაო. — წამით გაიფიქრა, მაგრამ კეთილმა ბუნებამ თავისი გაიტანა და უნებლიეთ თვალი პარკისკენ გაექცა. შიგ ხელი ჩაყო თუ არა,გაოცებისაგან პირი დააღო: პარკი ხაჭაპურებითა და სხვა სანოვაგით იყო სავსე. ჭიჭიკოს წინაღამინდელი სიზმარი გაახსენდა, ხორაგი ამოალაგა, მოხუცს უხვად უწყალობა და გზა განაგრძო. მალე ტყეში შევიდა, ცოტა წაიმუშავა, მერე ძილი მოერია, მორზე წამოწვა და ჩათვლიმა. ძილში ისევ ღვთისმშობელი გამოეცხადა. შეაქო სიკეთის ქმნისათვის და შეპირდა, ბედნიერ სიბერეს გარგუნებო, შინ რომ დაბრუნდა, ჭიჭიკო თვალს არ უჯერებდა: ჭიშკართან გამოჯასაღებული ცოლი შეეგება, ეზოში შესულს კი კოხტად ჩაცმული შვილები დაუხვდნენ და მამას სახლში შეუძღვნენ.

ეს ყველაფერი უფლის ნებითა და ღმერთკაცის მადლით მოხდა: - ღმერთკაცი მათ ფულით დაეხმარა, რითაც სულ მალე ახალი სახლიც ააშენეს და ახალი ავეჯით მორთეს ოთახები. აღტაცებული ჭიჭიკო სიხარულს ვერ ფარავდა. მან იგრძნო, რომ მის ოჯახს კეთილმა თვალმა გადმოხედა და არც შემცდარა: ეს თვალი ყოვლისდამნახველი, იმედის ვარსკვლავით მოკაშკაშე ღმერთკაცის თვალი იყო.

ღმერთკაცი და თოლია

შუადღე გადასული იყო, როცა მარიამმა ქმარ-შვილ დააპურა და საღამოზე თონის გასახურებელი ფიჩხის შესაგროვებლად ტყეში შევიდა ტყე სოფელთან ისე ახლოს იყო, რომ მისი შრიალი არემარეს საამო ჰანგებად ეფინებოდა.

მარიამი ფიჩხის აკრეფას შეუდგა და თან ღიღინით მიუყვებოდა ხასხასა ბალახით მოხავერდებულ ბილიკს ტყის სიღრმეში შესულს, მოულოდნელად ვეებერთელა დათვი გადაეღობა.

— ვინა ხარ, ჩემს უნებართვოდ, რომ ტყეში შემოსულხარ, ნუთუ არ გეშინია?!. დაიბრუხუნა მხეცმა და მძიმე ტორი გადაჭრილ მორს დაჰკრა მოულოდნელად შემკრთალმა, შეშინებულმა მარიამმა ხელი გულზე იტაცა, მაგრამ დათვს შიში არ შეამჩნევინა — რატომ უნდა მეშინოდეს, შენ ხომ კეთილი დათუნია ხარ, ვიცი, არაფერს დამიშავებ. — მიუგო და ვითომც აქ არაფერიაო, ფიჩხის აკრეფა განაგრძო.

— როგორ თუ არ უნდა გეშინოდეს, ჩემი შიშით აქ ხმამაღლა ფრინველებიც არ ჭყივიან, შენ ვინა ხარ ასეთი გულადი?.. დამაცადე ახლავე შეგახრამუნებ! — ხმას აუწია დათვმა.

— ჩემო ლამაზო დათუნია, ნუ მემუქრები შენ ხომ ამ ქვეყანაზე ყველაზე კეთილი და ღონიერი დათვი ხარ, რატომ მაშინებ, რატომ უნდა

შემახრამუნო?

— ხმის კანკალით მიუგო ქალმა და დასძინა: - არ შემჭამო, სამაგიეროდ სულ მალე ჩემს ქალიშვილს ვაჟი შეეძინება და მას შენს მონათესავე სახელს - დავითს დავარქმევ.

დათვს ესიამოვნა ნათქვამი: - ძალიან კარგი, ოღონდ იცოდე, თუ პირობას არ შემისრულებ, ჩემს ტყეში ფეხსაც ვერ შემოდგავ.

— სიტყვა — სიტყვაა. — მიუგო მარიამმა და გაუღიმა. დათვი თავისი გზით წავიდა.

გავიდა ხანი, მარიამის ქალიშვილს მართლაც - და ნანატრი ვაჟი შეეძინა, სახელად კი დავითი დაარქვეს.

ერთ დღეს, ტყეში შესულ მარიამს ისევ ის მურა დათვი შეხვდა: — როგორ არის საქმე, შეგეძინა შვილიშვილი?

—კი, ჩემო დათუნია, ვაჟიც შეგვეძინა და პირობაც შევასრულე. — სახელად დავითი დავარქვით, მოფერებით კი დათოს და დათუნას ვეძახით.

გახარებულმა დათვმა მარიამს სულ ცეკვითა და ბუქნით შემოურბინა, მერე კი უთხრა: — რადგან ასე გამახარე, მეც სულ მასზე ვილოცებ და ნახავთ< ისეთ ბედში ჩავარდება, რომ ყველა მას შენატროდეს. ოღონდ ურჩიეთ, როცა დიდი გახდება, ხშირად გავიდეს ზღვის ნაპირზე.

გავიდა დრო დავითი გაიზარდა, სკოლაც დაამთავრა და უმაღლესიც. მერე ერთ-ერთ საწარმოში დაიწყო მუშაობა და კეთილი გულითა და წესიერებით ყველას თავი შეაყვარა, მაგრამ მალე საქმე უკუღმა დატრიალდა. ქვეყნის სათავეში სულ ბავშვები მოვიდნენ და ხანდაზმულები კი არა, მათზე ასაკით ოდნავ უფროსებიც კი სამსახურიდან დაითხოვეს. დავითსაც ეს ბედი ეწია, სხვა თანამშრომლებთან ერთად ისიც უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ დაითხოვეს და ბედის ანაბარა დატოვეს.

ერთ დღეს დადარდიანებული დავითი ზღვის პირას იჯდა და სივრცეს მოწყენილი გაჰყურებდა. უეცრად მის წინ თოლია დავარდა, ფრინველი საცოდავად ფართხალებდა და შველას ითხოვდა. დავითმა მაშინვე ხელი წაავლო აწრიალებულ ფრინველს, ჯერ გულზე მიიხუტა, მოეფერა, მერე კი საგულდაგულოდ გაუსინჯა ფეხები და ფრთები. გული ეტკინა, რომ ამ ლაღ ფრთოსანს ერთი ფრთა მოტეხილი ჰქონდა.

დავითი ზეზე წამოხტა, იქვე მახლობელ აფთიაქში შეირბინა, საჭირო მალამო და ბინტი შეიძინა, თოლიას მოტეხილზე მალამო ფრთხილად შეუხვია. მერე შინ წაიყვანა და რამდენიმე დღე საგანგებოდ შეძენილ გალიაში ჰყავდა, აჭმევდა, ასმევდა, ზრუნვას არ აკლებდა. როცა ჭრილობა ეუხორცდა ბინტი მოხსნა, ისევ ზღვის პირას მიიყვანა და გაუშვა. თოლია არ გაფრინდა, დავითს წინ დაუსკუპდა და უთხრა:

— რადგან სიკვდილს გადამარჩინე, სიკეთეს სიკეთითვე გადაგიხდი. მე ჯადოსნური ძალა მაქვს, ბედნიერ ადამიანად გაქცევ.

თოლია აფრინდა, დავითს თავზე სამჯერ შემოუფრინა და სივრცეში გაუჩინარდა. დავითი ხელის ქნევით გაჰყურებდა ცისფერ და ლაჟვარდში მიმავალ ლამაზ ფრინველს. მერე წამოდგა, ხეივანში შევიდა და წინ და უკან ჩაფიქრებული მიმოდიოდა. მოულოდნელად წინ სანდომიანი გარეგნობის მამაკაცი შეჩერდა.

— მაპატიეთ, რომ თქვენს მყუდროებას ვარღვევ. გამაოცა, ახალგაზრდა კაცი ასეთი სასოწარკვეთილი რომ დაგინახეთ. რა გაგჭირვებია რით შემიძლია დაგეხმაროთ? — ჰკითხა უცნობმა დავითს.

დავითს ესიამოვნა უცნობის ასეთი გულისხმიერება და სიხარულით გული აუჩუყდა, მერე კი მოკლედ მოუყვა თუ რა უსამართლოდ დაჩაგრეს, როგორ დატოვეს უმუშევარი.

უცნობს შეებრალა ჭაბუკი და მისი დამხარება გადაწყვიტა: — ნუ გეშინია, იმედს ნუ დაკარგავ, მე მოგაწყობ სამსახურში და დარდებსაც გაგიქრობ. აბა, წავიდეთ. უთხრა და ხეივნიდან გავიდა. დავითი უსიტყვოდ გაჰყვა.

ავტომანქანა თბილისის ქუჩებში მისრიალებდა. უცნობმა დავითს გადახედა და უთხრა: — ვხსნი ნაყინის დიდ ქარხანას, გადავწყვიტე, მის დირექტორად შენ დაგნიშნო. მომეწონე და გენდობი, ოღონდ იმედი არ უნდა გამიცრუო, თუ ვერ შეძლებ ახლავე მითხარი, ნუ გეშინია უმუშევარს მაინც არ დაგტოვებ.

— წარმოებაში ნამუშევარი ვარ, საკმაოდ დიდსა და საპასუხისმგებლო საამქროს ვხელმძღვანელობდი, თავი არასოდეს შემირცხვენია, მენდეთ, არც თქვენს წინაშე შევრცხვები. — მიუგო დავითმა და დასძინა: — ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა, თქვენ მართლაც ღმერთივით გამომეცხადეთ.

უცნობს ჩაეცინა: — რომ იცოდეთ, მე ღმერთკაცს მეძახიან, — მეტსახელი სწორად შეურქმევიათ, — ღიმილითვე მიუგო დავითმა.

ავტომანქანა ალაყაფიან ეზოში შესრიალდა. — აი ეს არის ის ქარხანა, რომელსაც დღეიდან თქვენ უნდა უხელმძღვანელოთ. — უთხრა ღმერთკაცმა დავითს. მძღოლმა მანქანა შენობის კარებთან დაამუხრუჭა.



მანქანიდან გადმოვიდნენ, დავითმა თვალი შეავლო სუფთა გაკრიალებულ შენობას და სიხარულით გული აუთრთოლდა.

თანამშრომლებს მისვლისთანავე გააცნო საამქროები. დაათვალიერა და თვალში რომ ჩავარდნოდათ როგორც იტყვიან თითს არ ამოისვამდნენ. თავგამოდებულ შრომაში დროც მალე გადიოდა. დადგა ცხელი ზაფხული.

ერთ დღეს დავითი და მისი მეგობრები შესვენების საათზე ზღვის პირას მდებარე რესტორანში ისხდნენ და სადილობდნენ, უეცრად დარბაზში თოლია შემოფრინდა, ხალხით აფუსფუსებულ მაგიდებს შემოუფრინა, მერე დავითთან მიფრინდა და მხარზე დაასკუპდა. დარბაზში მსხდომი ველა ამ უჩვეულო სურათს უყურებდა. თოლია წყნარად იჯდა, თითქოს რაღაცას ელოდა. დავითმა ხელი წაავლო, მხრიდან ფრთხილად აიყვანა და მაგიდაზე წინ დაისვა, მერე ფრთები გაუშალა, ერთ-ერთ მხარს დააკვირდა და სიხარულით წამოიძახარ: — ის არის, ჩემი გადარჩენილი თოლია! ფრინველს მონატეხ მხარზე ნაწიბური აჩნდა.

— სწორედ მე ვარ, გეძებდი და აი, კიდეც გიპოვე. მიხარია, რომ ჩემი ჯადოსნობის წყალობით ღმერთკაცმა აღმოგაჩინა, სხვებისაგან გამოგარჩია და კარგი სამსახურიც შემოგთავაზა. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ფრთოსნებსაც შეგვიძლია სიკეთის სიკეთით გადახდა... ნახვამდის, თუ ოდესმე დაგჭირდე, მოდი ზღვის ნაპირთან, ჩემი სახელი ახსენე და მეც მაშინვე შენთან გავჩნდები. უთხრა დავითს და ზღვისკენ გაფრინდა.

სამსახურში დაბრუნებულ დავითს ერთი იდეა აეკვიატა: მოდი ჩვენს ნაყინის ფირმას შესაბამისი სახელი მოვუძებნოთო. ბევრი არც უფიქრია. მაშინვე თვალწინ დაუდგა ზღვის ლაღად მონავარდე თეთრგულა თოლია და კიდეც გადაწყვიტა: ნაყინის ფირმისათვის „თოლია" დაერქმია.

ქარხნის საამქროებიდან გამოტანილი სხვადასხვა ასორტიმენტის ნაყინით დატვირთული ავტომანქანები ეზოდან ერთიმეორის მიყოლებით გადიოდა. როგორც ყუთებს ისე მანქანებსაც ამშვენებდათ - საფირმო წარწერები „თოლია". თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობა სწორედ „თოლიას" ნაყინს მიირთმევდა. „თოლიას" სახელი მალე მთელ ქვეყანას მოედო და იგი ისეთი პოპულარული გახდა,

რომ ქარხანა სამცვლიან სამუშაოზე გადავიდა და ათასოვით უმუშევარი ადამიანი დაასაქმა, ხალხს საარსებო საშუალება გაუჩინა.

დავითს ისიც ახარებდა, რომ ახლა მეტი სიკეთის კეთება შეეძლო და უშურველად ეხმარებოდა ღატაკსა და მიუსაფარს, ალალად უწვდიდა დახმარების ხელს.

შეჭირვებულ ნაცნობ-მეგობრებს მისი მეგობრული მხარში ამოდგომით გაიხარა მსოფლიოში სახელგანთქმულმა ქართველმა მოგზაურმაც, რომელმაც ველოსიპედით შემოუარა დედამიწას. როცა დავითს სიკეთესა და ქველმოქმედებას უქებენ, იგი ამბობს: მე ნუკი მაქებთ, შექაეთ ღმერთკაცი, რომლის წყალობითაც დავდექი ფეხზეო. თუ რამეს ვაკეთებ ეს მხოლოდ მისი დამსახურებაა. — ამბობს იგი მოკრძალებულად.

თურმე დავითისა და „თოლიას" სახელი ერთმა ღარიბმა და უმწეო პოეტმა ქალმაც გაიგო. იგი მაშინვე ქარხანაში მივიდა და ყველას, ვინც ამის ღირსი იყო, გულწრფელი სტრიქონები მიუძღვნა. დავითისადმი მიძღვნილი ლექსი კი გამორჩეულად კარგი გამოუვიდა, რადგან სიკეთე განსაკუთრებულ და ნათელ სხივებს აშუქებს. სწორედ ამ შუქის ელვარებით მთავრდება ეს ზღაპარიც.

აიცალა ზღაპრის აბგა,
სიღარიბე გაყვეს ავქარს
დღეგრძელობა კეთილ ამქარს,
ვინაც გვაჭმევს თაფლს და შაქარს.
ჩვენს ხალხს ხვავი და ბარაქა.
ლხინი — იქა, ლხინი — აქა.



სახედამწვარი მადლენა



იმერეთის მთიან სოფელში, რომელსაც ხვანი ჰქვია, ერთი შეძლებული გლეხი ცხოვრობდა. ცოლ-ქმარი დღე და ღამე შრომობდნენ, რათა სარჩო ეშოვნათ და შვილებიც კარგად ჰყოლოდათ.

ბავშვები რომ წამოიზარდნენ, ისინიც მშობლებივით მარჯვენი და ყაირათიანები გამოდგნენ, მუყაითად შრომობდნენ და ხალისიანად ცხოვრობდნენ. მალე სახლ-კარი ისე მოაწყვეს, რომ მის დანახვას არაფერი ჯობდა.

მაგრამ ერთ დღეს ღვთის რისხვა დაატყდათ, გაურკვეველი მიზეზით სახლს ცეცხლი წაეკიდა და ყველაფერი დაიწვა, სახლში პატარა მადლენა აკვანში ჩაკრული დარჩა. გულშემოყრილ დედას ახსოვდა, რომ ბავშვი აკვნით გარეთ

იყო გამოყვანილი. მეზობლები პატარას დაეძებდნენ. — ჩემი მადლენა, აკვანი, ბავშვი, — ყვიროდა გამწარებული დედა, რომელსაც მაია ერქვა.

მადლენას აკვანი კი ალმოდებულ ოთახში იდგა და ბავშვის ტირილის ხმას, კვამლი და ცეცხლის ალი ახშობდა. უცებ კეთილმა ბიცოლამ მოიაზრა: ალბათ ბავშვი სახლში დარჩაო და ცეცხლმოდებულ სახლში შეიჭრა, იქ კი საზარელი სურათი დაუხვდა. აკვანი ალში იყო გახვეული, პატარა იწვოდა. ქალმა მაშინვე დასტაცა ხელი ცეცხლმოკიდებულ აკვანს და გარეთ გამოიჭრა.

მადლენა ნაწილობრივ დამწვარი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ სული ედგა, ბავშვი სიკვდილს გადაარჩინეს. მაგრამ გავიდა წლები, მადლენას ვერაფრით მოაცილეს დამწვრობის კვალი ლამაზ სახეზე. აუცილებელი იყო ოპერაცია მაგრამ რით? ოჯახს აღარაფერი გააჩნდა. მშობლები მხოლოდ მარჯვე ხელების ამარა აღმოჩნდნენ.

იმ სოფელში, სადაც მადლენა ცხოვრობს, დგას ერთი ლამაზი ოდა. ეს სახლი კი ღმერთკაცის დეიდას ეკუთვნის. მან თავისი დიშვილის მადლენას მდგომარეობა უამბო. ღმერთკაცი ძალიან შეწუხდა, შეებრალა სახედამწვარი, სასონარკვეთილი და ხალისდაკარგული გოგონა და გადაწყვიტა იმ ათასი სიკეთისათვის, რომელიც მას ამ ქვეყანაზე უკეთებია, კიდევ ერთი მადლიანი საქმეც შეემატებინა.

მან მაშინვე გამოყო სათანადო თანხა და თავადვე ითავა კონტროლი ბავშვის ოპერაციასა და მკურნალობაზე.

გავიდა ხანი, ნამკურნალები მადლენა დაუბრუნდა ოჯახს და სოფელს. მას სახეზე დამწვრობის კვალიც არ ეტყობოდა. სახე ვარდისფრად უღაჟღაჟებდა, გულში ჩამდგარი ხალისი და უსაზღვრო სიხარული კი მის მეორე დაბადებას გამოხატავდა.

ბედნიერი მადლენა დღეს ისე არ გაითენებს და დაიღამებს ერთნაირი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით არ ილოცოს ღმერთზე და ღმერთკაცზე, რომელმაც მას სიცოცხლის ხალისი და მომავლის რწმენა დაუბუნდა.

ტაძარი



იყო ერთი ცოლ-ქმარი, რომლებსაც ჰყავდათ ორი შვილი — გოგონა და ვაჟი. გოგონას ლალი ერქვა, ვაჟს კი გიორგი, როცა ვაჟმა საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა, მამამ ურჩია, სწავლა საზღვარგარეთ დანეგრძო, რათა კარგად განსწავლული უკეთ გამოდგომოდა სამშობლოს.

გიორგიმ დაუჯერა მამას და საზღვარგარეთ გაემგზავრა. გზად მიმავალი ჭაბუკი გრძნობდა, რომ დროდადრო უთვალთვალებდა ვიღაცა, რომლის გამჭოლი მზერა მოსვენებას უკარგავდა. უფრო მეტიც, ზოგჯერ ფიქრებში წასულს, უცხო ფეხის ხმაც კი ჩაესმოდა, მაგრამ ახლო-მახლო არავინ ჩანდა.

გიორგი უცხოეთში ჩავიდა, უნივერსიტეტში ჩააბარა და სტუდენტი გახდა.

ერთ დღეს, უნივერსიტეტში მიმავალ გიორგის გზა სახედაგლეჯილმა, უხეშ ბანჯგვლიანმა, შუბლზე წყვილრქიანმა ეშმაკმა გადაუღობა. მან ელვის სისწრაფით დასტაცა ხელი გაოცებულ ჭაბუკს, მხრებზე შეისვა და გაუჩინარდა.

გონებადაბინდულმა ახალგაზრდამ თვალები მხოლოდ ბნელ და ნესტიან გამოქვაბულში გაახილა. თავთან კი ეშმაკი ეჯდა და ხითხითებდა.

— გაიღვიძე ჭაბუკო? ძალიან კარგი, ახლა შენც ჩემსავით კუდიან ეშმაკად გაქცევ და ერთად ვიაროთ, რათა ქვეყნად ბოროტი საქმეები ვაკეთოთ.

— რას როშავ, მე ქვეყნად სიკეთის ქმნისათვის გავჩნდი, ბოროტება როგორ უნდა ვაკეთო! — გაუწყრა გიორგი ეშმაკს.

— დაწყნარდი ჭაბუკო, დაწყნარდი, მე სიკეთის მტერი ვარ, ჩემი სტიქიაა ბოროტება. — ხმას აუწია ეშმაკმა.

— შენ რაც გინდა ის აკეთე, მე ბოროტებას ვერ ჩამდენინებ, მაგას სიკვდილი მირჩევნია. — არ უპუებოდა გიორგი.

— თუ სიკვდილი გირჩევნია, ჩემთვის არც ეგ არის ძნელი, წავალ და ახლავე მოგიტან საიდუმლო მცენარის ნაყოფს, გაჭმევ და ყველაფერიც მორჩება.

— მე შენი არ მეშინია, მომწყდი თავიდან! — შეუძახა ტყვე ჭაბუკმა.

— შეგაშინებ, შეგაშინებ, — ახარხარდა ეშმაკი და გამოქვაბულის ჩარაზულ კართან მიირბინა.

— რა დაგიშავე, ასე რომ მიმეტებ? — ხმა აუთრთოლდა გიორგის.

— არაფერი დაგიშავებია, მაგრამ მე ხომ ბოროტი ვარ და ბოროტება უნდა ვაკეთო, თუ ასე არ მოვიქეცი მოვკვდები. ჩემს სიკვდილს კი შენი სიკვდილი მირჩევნია.

— ასე ადვილად შეგიძლია ადამიანი გაიმეტო?

— შემიძლია, რადგან მეც ასე ადვილად გამიმეტეს.

— როგორ თუ გაგიმეტეს. — ჩააცივდა გიორგი.

— ერთ დროს მეც ადამიანი ვიყავი, მეც სიკეთეს ვაკეთებდი, მაგრამ ეშშმაკი გადამეყარა და... კმარა, მეტს ნუღარ მათქმევინებ, იჯექი მანდ, არ გაინძრე, მე მალე დავბრუნდები. — ჩაილუღლუღა ეშმაკმა, გარედან კარები საგულდაგულოდ ჩარაზა.

გიორგიმ თავი ხელებში ჩარგო და კვნესა აღმოხდა. უცებ სიბნელეში ნაზად რაღაცამ გაიშრიალა, ცისფერმა შუქმა კი იქაურობა გაანათა. გიორგის გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როცა მის წინ მოფარფატე ფერია დაინახა.



ნუ გეშიინია შვილო, მე გიშველი, მე გამოგიყვან ამ ჯურღმულიდან. დამელოდე, ახლავე ზეციურ ძალას ჩამოვიტან და მაგ ეშმაკსაც კუდით ქვას ვასროლინებ.

ფერია გაფრინდა, გამოქვაბული ისევ სიბნელემ მოიცვა, ამ დროს გაიღო ჭახანით გამოქვაბულის კარები და შიგ ეშმაკი შემოვიდა, რომელსაც ხელში ქლიავის მაგვარი ველური მცენარის უცხო ნაყოფი ეჭირა. იგი გიორგისთან მივიდა და ნაყოფი გაუწოდა: - აჰა, ჩაკბიჩე და ყველაფერი წამში მორჩება.

გიორგიმ ხელი აუკრა და ქლიავი ხელიდან გააგდებინა. — ვის უბედავ წინააღმდეგობის გაწევას! — დაიღრიალა ეშმაკმა და ჭაბუკს ყელში წვდა. ის-ის იყო ახალგაზრდა იქევ უნდა გაეგუდა, რომ ზარის საამო წკრიალის ხმითა და კაბის კალთის შრიალით გამოქვაბულში ისევ ის ფერია შემოფრინდა და წამში სიბნელე კაშკაშა შუქმა გაანათა. ფერია მაშინვე მიიჭრა გაავებულ ეშმაკთან ქეჩოში ხელი ჩაავლო და კედელს მიანარცხა.

გიორგიმ შვებით ამოისუნთქა დაბერილი ყელის ძარღვები მაშინვე დაუცხრა.

ფერიამ ეშმაკი ზეზე წამოაყენა და პირჯვარი გადაისახა. და აი, მოხდა კიდეც სასწაული: ეშმაკს შუბლიდან რქები ჩამოსცვივდა, ტანიდან კი უხეში ბეწვი გასცვივდა. ფერია თვალს არ აშორებდა ეშმაკს, რომელიც თანდათანობით ადამიანის სახეს იბრუნებდა.

გახაებული, ადამიანობადაბრუნებული ფერიას ფეხებში ჩაუვარდა და სიხარულით აცრემლებული მადლობას უხდიდა და კაბის კალთას უკოცნიდა.

— ახლა კი თქვენი წასვლის დროა, ორივეს საკუთარ გზაზე დაგაყენებთ და მერე თქვენ იცით თუ როგორ ჭკვიანურად ივლით.

— ააწკრიალა ხმა ფერიამ და სამივენი გამოქვაბულიდან გავიდნენ. ცხრა მთა გადაიარეს თუ არა, გზაჯვარედინს მიადგნენ. ფერია გზის შუაში დადგა და გიორგის უთხრა: — შენ გზაჯვარედინის მარჯვნივ მიმავალ გზას გაყევი იგი უნივერსიტეტთან მიგიყვანს. თუ ბეჯითად ისწავლი, შენი ქვეყნისა და ხალხის საამაყო შვილი გახდები, მერე კაცს მიუბრუნდა:

— შენ ბერად გაქცევ, აი ჯორიც, შეჯექი და მარცხენა გზას გაჰყევი. რომელი სოფელიც მოგეწონება, იქ შეჩერდი, მონახე სოფლის საუკეთესო ადგილი და იქ ტაძარი ააგე შიგ შენც ილოცე და ხალხიც ალოცე, შეევედრე ღმერთს, რომ ქვეყნად სიმშვიდე, ხალხთა ძმობა და სიკეთე იყოს, შენი გზაც დამილოცნია, თან ორთავეს ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: მე ფერია-მწერალი ვარ, ციდან გამუდმებით თვალს ვადევნებ თქვენს საქმიანობას და ყველაფერს წიგნში გადავიტან. — ეს თქვა ფერიამ და კაბის შრიალითა და ზანზალაკების წკრიალით ცაში ნარნარი ფრენით აიჭრა.

გიორგი თავის გზას მარჯვნივ გაუყვა, ხოლო ჯორზე ამხედრებული ბერი გზაჯვარედინის მარცხენა გზას გაჰყვა. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ულამაზეს სოფელს მიადგა. მას იქაურობა ისე მოეწონა, რომ იქ დარჩენა გადაწყვიტა. თან ფერიას ნათქვამი გაახსენდა და შეუდგა სოფლის დათვალიერებას. უნდოდა ტაძრის ასაშენებლად საუკეთესო ადგილი შეერჩია. მოულოდნელად მის წინ მღალი ბორცვი აღიმართა. ბერი აუყვა აღმართს და როცა ბორცვზე ასულმა ირგვილვ მიმოიხედა, მის თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაიშალა, ხელისგულივით მოჩანდა ირგვლივ გაშლილი და ამწვანებული ქალაქები და სოფლები.

— ტაძრისათვის ამაზე უკეთესი ადგილი სად უნდა იყოსო — აღტაცებით წამოიძახა ბერმა და იმ დღიდანვე ხალხის გაცნობას შეუდგა, თან ისიც აინტერესებდა, სოფლებს უნდოდათ თუ არა იქ ტაძრის აშენება.

ყველას მოეწონა ბერის აზრი. — აქ პატარა სამლოცველოც კი არა გვაქვს და ტაძრის აშენება როგორ არ გვინაო. — გაიძახოდნენ სოფელელები.

მალე მთელმა სოფელმა თავი მოიყარა ბორცვის შუაგულში, დიდ ვაკეზე. ვის ბარი ეჭირა, ვის ნიჩაბი და ვის წერაქვი. დაიწყო საძირკვლის გაჭრა, იქვე იყო არქიტექტორიც, რომლის პროექტმაც ყველა აღაფრთოვანა. მშენებლობას თვითონ ბერი ხელმძღვანელობდა. მოჰქონდათ ცემენტი, კირი, აგური და სხვა სამშენებლო მასალები. მუშაობა ისეთი ტემპით მიდიოდა, რომ ერთ წელიწადში ტაძარი ორსართულიანი სახლის სიმაღლეს გაუტოლდა. მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ სიხარული ნაადრევი იყო. სოფლის ირგვილ არსებული სამშენებლო მასალები დაილია, ხალხს კი იმდენი ფული არ დაურჩა, რომ შეეგროვებინათ და მშენებლობა განეგრძოთ.

ერთ დღეს მშენებარე ტაძრის წინ მდგარ ბერს თანასოფლელები შემოხვეოდნენ და იმაზე მსჯელობდნენ თუ რა ეღონათ, რომ მშენებლობა არ შეჩერებულიყო.

მოულოდნელად მათკენ მომავალი ცხენის ფეხის თქარათქური მოისმა, ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მალე ვაკეზე შემოიჭრა თეთრ ქურანზე ამხედრებული შინდისფერჩოხიანი მხედარი და პირდაპირ ხალხთან შეჩერდა. ცნობისმოყვარე ხალხი ახლა მას შემოეხვია. მხედარი ჩამოქვეითდა და მისალმების შემდეგ ბერს ჰკითხა: — თქვენ ტყუილად არ იქნებით აქ შეკრებილი, რა გაწუხებთ მითხარით იქნებ შევძლო თქვენი დახმარება. ბერმა ყველაფერი სხაპასხუპით უამბო და ისიც დასძინა თუ

მშენებლობის გაგრძელება ვერ შევძელით, ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა, რაც აშენებულია, ისიც ჩამოგვენგრევაო.

უცნობი ჩაფიქრდა, მერე ბერის თანხლებით მშენებლობა დაათვალიერა, ყველა წვრილმანსაც მიქაცია ყურადღება და ხალხს უთხრა: — გულს ნუ გაიტეხთ, ყველაფერი კარგად იქნება, ხვალიდან აქ დაიწყება საჭირო სამშენებლო მასალები. შემოზიდვა და სამქე მხოლოდ მშენებლობის ოსტატოვაზე იქნება დამოკიდებული. თქვა, ცხენს მოახტა, დეზი ჰკრა და ჩიტივით გაფრინდა. ხალხის ლოცვა დიდხანს მიაცილებდა მხედარს.

მართლაც მეორე დღიდან ერთმანეთს ენაცვლებოდა სამშენებლო მასალებით დატვირთული ურმები და ფორნები. ხალხი გამოცოცხლდა, მუშაობა განახლდა. ტაძარი კი ამაყად მიიწევდა მაღლა-მაღლა.

ერთ წელიწადში მშენებლობა კიდეც დამთავრდა. ცადაზიდული ტაძრის მოოქროვებულ გუმბათზე დაიდგა ვეებერთელა ოქროს ჯვარი, ხოლო ლამაზი, თლილი ქვით ნაშენი სამრეკლო დაამშვენა უზარმაზარმა ბრინჯაოს ზარმა.

დადგა ტაძრის საზეიმო გახსნის დღე. ბორცვი ხალხს ვერ იტევდა და სწორედ მაშინ, როცა ტაძრის გახსნის მაუწყებელი პირველი ზარი შემოკრეს: ძინ! ძინ! ძინ! ეზოში ისევ ის უცნობი მხედარი შემოვიდა, ბერმა აღარ იცოდა, რით გადაეხადა მადლობა ამ ღვთიურ კაცისათვის, იმ კაცისათვის, რომელმაც თავისი კეთილი გულითა და ნებით უანგაროდ იკისრა ესოდენ დიდი მშენებლობის დასრულების ურთულესი საქმე.

— შვილო ჩემო, ის მაინც მითხარით თუ ვინ ბრძანდებით, რომ ამ ტაძრის მშენებლობის საპატიო წიგნში შევიტანო და მუდამ შენზე ვილოცო მეც და ჩემმა მრევლმაც.

უცნობს ჩაეღიმა: რა საჭიროა ჩემი ვინაობის გამომზეურება, უბრალოდ ღმერთკაცს მეძახიან თქვენც შეგიძლიათ ასე დამიძახოთ.

ამ დროს ჩვენი ნაცნობი კეთილი ფერია თურმე ტაძრის სამრეკლოზე იჯდა და ღმერთკაცზე ნანახსა თუ გაგონილს ზღაპრებად წერდა, რათა ხალხს წაეკითა და გაეგო ღვთიური კაცის სიკეთის ამბები.

და აი, ეს წიგნი ახლა თქვენს წინ დევს და იცოდეთ, ვინც ამ წიგნს წაიკითხავთ, აუცილებლად ღვთის მადლი გეწვევათ.

გულის სითბო

ბურუსით ტყეს სევდის სამოსი წამოუსხამს. ჩიტები აღარ ჭიკჭიკებენ ფოთლები წვიმის წვეთებით სანთლებივით ჩამოღვენთილან. მთის ძირში მდგარ სახლს სახურავი დაძველებია და წყალი დაუპატიჟებელი სტუმარივით იატაკზე მოკალათებულა.

სახლის პატრონი ელვა-ქუხილმა გამოაღვიძა. გარეთ გავიდა იცოდა, რომ სახურავიდან წყალი ჩამოვიდოდა, მაგრამ წვიმა ისეთი სიხშირით მოდიოდა გეგონებოდათ კოკით ასხამენ წყალს ზეციდანო. ამირანი იძულებული გახდა შინ შეტრიალებულიყო და ბედს მინებებოდა, პირჯვარი გადაიწერა, მიმქრალი ბუხარი რკინის საკეცით გამოქექა. ნაცარში ერთი მილეული ნაკვერჩხალი იპოვა, სული შეუბერა, ნაკვერჩხალმა ლაპარაკი დაიწყო. კიდევ კარგი რომ მომისწარი, უკვე ისე მიილია ჩემი სოცოცხლე მეც ნაცრად ვიქცეოდი და კერია რით უნდა გაგეთბო?

— ამირანმა უკან დაიხია, ეგონა ალბათ წვიმის თქაფა-თქუფში რაღაცა მომეჩვენაო.

— ნუ გეშინია, მე ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ სიკეთის თესვით მილეული.

— მერედა ჩემს ბუხარში რა გინდა?
— ჰმ! ვიცი გაგიკვირდება, მაგრამ გეტყვი ჩემი ბედის ისტორიას. მე სახელად სიკეთე მქვია, ღმერთმა ამ მისიის შესასრულებლად მომავლინა დედამიწაზე.
— ჩემთან რა უნდა გააკეთო?
— ასეთი ტონით ნუ მელაპარაკები, ნურც გამომწვევად მიყურებ, მე ის ქალი არ ვარ ვინც შენ გაგიწამებია და მოუშუშებელი ჭრილობებით გიტარებია. შენ საერთოდ ქალის ფასი იცი?
— ამ წუთში კი, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანია.
— გვიანი არაფერია, თქვი რა გიჭირს და მე დაგეხმარები.
— ვერ დამეხმარები.
— რატომ, უკვე მოკვდა?
— არა, ცოცხალია, მაგრამ მე თვითონ მთვლის მკვდრად.
— უღალატე?
— კი.
— უყვარდი?
— ძალიან.
— მერედა არ გაგიგონია? თუ ქალს უყვარხარ ღმერთის წყალობა რომ გაქვსო?
— ვიცი, მაგრამ, მეც ღმერთმა ასეთი მომავლინა, რომ მაცდური ქალების ბადეში ვიღოღიალო.
— მე დაგეხმარები.
— არა, უკვე ჩემი დღეები დათვლილია, აგერ სახლიც თავზე მენგრევა.
— გამოგიტყდებიი და გეტყვი: მეც დავკარგე ადამიანების ნდობა, უმადურობამ დამლია, შენ სული რომ არ შეგებერა, მეც გავქრებოდი. ეტყობა ღმერთმა შენთვის მომაძლიერა, კიდევ მოგცა ერთი შანსი, თუ ეს არ გამოიყენე, შენი კვალის ნამცვრევი აღარ დარჩება დედამიწაზე.

ნაკვერჩხალი გაქრა. ამირანმა „მამაო ჩვენო" თქვა და ზეზე წამოიჭრა. არა, უსათუოდ მომეჩვენა, გარეთ გამოვიდა, წვიმას გადაეღო. ეზოსთან სატვირთ მანქანები გაჩერდნენ, წითელი სახურავით და სახლის თავხეებით დატვირთული. ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება ჩემს თავსო და ჩაიკეცა. ძია კაცო! — ჩამოსძახეს მანქანიდან – წყალობაა, წყალობა უფლისგან, მიიღე ღმერთკაცისგან საჩუქრები. ერთ კვირაში მოვალთ, სახლს კიდეც შეგიკეთებთ და სახურავსაც გადაგიხურავთ.

ამირანმა წამოიწია, სახლში ლასლასით შევიდა, თავის თავს სრულ მოაზროვნე ადამიანად აღარ თვლიდა, ბადე გამოიტანა, თევზის ჭერას გულს გადავაყოლებო და მდინარე ძირულისკენ გეზი აიღო. შიშისა და სიცივისაგან კბილი-კბილს აცემინებდა.

მდინარის პირზე ცეცხლი შენიშნა, იფიქრა, იქნებ ცოტათი მაინც გავთბეო და იქით გაუხვია. ნედლი ტოტები ალზე ტკაცუნობდნენ და ნაპერწკლებს ყრიდნენ, ხის კუნძი მოძებნა, ცეცლხთან ჩამოჯდა მოისურვა.

არ მიხვიდე, ჩამოსძახა ხმამ, მაგნაირმა მაცდურმა სითბომ დაგღუპა, შენ სახლში მეუღლე გყავს, ის გაგიღვივიებს ერთგულების ცეცხლს. სახლში წადი! შენგან გამწარებული მეუღლის გული როგორმე უნდა შემოიბრუნო, მან შემოგწირა სიცოცხლე, გაჩუქა შვილები, დათმო სიმდიდრე და შენ ღარიბ ქოხში არჩია ყოფნა. მიდი მასთან, ჩემი ამაგიც არ დაივიწყო, თორემ ისე ჩაიძირები, მატლივით გაგსრესენ.

სახლის მხრიდან ხმები მოდიოდა, მომაწოდე, აბა, ჰე, საღამომდე მოვრჩეთ. ეჰე, ჰე, თქვენ ვინ ხართ მანდ, კეთილო ანგელოზებო? ჩვენ ღმერთკაცის დავალებას ვასრულებთ. თქვენ ერთი კვირის შემდეგ დამპირდით მოსვლას. კი, ასე იყო ნამდვილად, მაგრამ ღმერთკაცს გაუგია შენი მეუღლის ტკივილი და მისი გულის გასახარად დაგვაჩქარებინა სახლის დახურვა.
— ვაჟკაცებო, სახელი მაინც მითხარით, იმ ღმერთკაცის.
— ღმერთკაცს ეძახიან, თავის სახელს არ ამხელს. შენი ამბავი ერთმა მწერალმა ქალმა უამბო მას და აი, ახლა ხედავთ, როგორ ვშრომობთ. ასე დაგვაბარა: შენც შენი სიკეთის აგური დადე სხვებისთვისო.

ამირანს თითქოსდა მაშინ გაახსენდა ცოლის არსებობა, ოთახში შეიჭრა... – მე დავბრუნდი – თქვა და თავდახრილი იდგა მეუღლის წინ.

იდამ გაულიმა, მოდი ამირან, შვილებს სჭირდები, თორემ ჩემი სიცოცხლის დღეები შენ დიდიხანია მოკალი. ხედავ იდა, ჭერი იხურება, ეგებ ჩვენს სახლში გულის სითბოც დატრიალდეს. არა მგონია ამირან, შენ გულის სითბოს ფასი ისწავლო. იდამ ამოიოხრა და ლექსით უთხრა სათქმელი:

ტკივილების საწუთრომ, მხოლოდ ჩემთან იარა,
დამაბერტყა სევდა და თვალი დამიბრიალა.
ცრემლი ბევრი მომგვარა, სიყვარული კი არა,
გამაშორა შენთან და ახლა მოგატრიალა.

გარეთ ქარმა დაიზუზუნა, ბუხარში ჯერ კვამლი დადგა... მერე კი ერთბაშად ავარდა ალი, ეს ცეცხლი ოჯახის სიყვარულის ცეცხლი იყო, სახლში გულის სითბო დატრიალდა.



ნანა პაიაშვილი



მზე სიყვარულისა

მშვიდი დღე იყო... მზე დილიდანვე უხვად აგზავნიდა თავის მხურვალე სხივებს... ჩემს ოთახშიც სითბო და სიმშვიდე სუფევდა ეს სიმშვიდე მოულოდნელმა ზარის ხმამ დაარღვია ახლობელი გოგონას ხმა იყო...

- გამარჯობა ნანა მასწავლებელო.. როგორ ბრაძენდებით? — მომიკითხა.

- ,,დღის ცენტრს" პედაგოგი სჭირდება. თქვენ შესძლებთ რომ იმუშაოთ?

კითხვა ჩემთვის მოულოდნელი იყო. უცებ ვერ ვუპასუხე და დავდუმდი.

- ცოტა რთულია ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან

მუშაობა, მაგრამ თქვენ პროფესიით ნამდვილი პედაგოგო ხართ და ვფიქრობ ეს არ გაგიჭირდებათ... კარგი ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მოიფიქრეთ და დამირეკეთ.

გზაში ასეთი ფიქრები ამეკვიატა: ,,ვაითუ ვერ შევძლო, ვაითუ ვერ შევეგუო? ვაითუ რთული ქცევის მქონე ბავშვებს ვერ ავუღო ალღო?" ეჭვები გულს მიღრღნიდნენ. ბოლოს მოვერიე ფიქრებს და გადავწყვიტე ,,დღისცენტრში" წასვლა...

შთამბეჭდავად მახსოვს ის დღე, როდესაც კარი პირველად შევაღე... ბავშვების ორ ჯგუფს ერთად მოეყარა თავი თავისთის ჩურჩულებდნენ, ჩემს გამოჩენას ელოდნენ. მეც მივედი, თავი გავაცანი და მათ გაცნობასაც შევუდექი. ზოგი მათგანი საერთოდ ვერ მეტყველებდა, ზოგს კი ჩემი ნათქვამის გააზრების უნარი არ გააჩნდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც წერდნენ, კითხულობდნენ და თავისი განცდების გადმოცემის უნარიც გააჩნდათ...

ამ ყველაფრის მიუხედავად, მათ აერთიანებდათ რაღაც იდუმალი საერთო სითბო და უდიდესი სიყვარული...

,,ნანა მასწავლებელო! სიხარულით შემომცინა ერთმა გოგონამ და ჩემდა გასაკვირად ლოცვა დამიწყო. დიდხანს იცოცხლე ღმერთმა შენი თავი გამოგვიგზავნა, მადლობა უფალს ამისთვის! ძალიან ლამაზი და კარგი მასწავლებელი ხარ! ჩვენთან დარჩი, არ მიგვატოვო!... გვასწავლე გთხოვ ყველაფერს დაგიჯერებთ..."

მათმა გულთბილმა დახვედრამ და გულწრფელმა სიტყვებმა სულით-ხორცამდე შემძრა... მათ ყველაზე ნაკლებად ხელეწიფებათ სიყალბე და თამაში!... ამიტომაც არ გამჭვირვებია მათი შეყვარება და გათავისება.

პირველი ნაბიჯი ყოველთვის რთულია... მეც ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე თითოეული ბავშვის შესწავლა და მათი მსოფლმხედველობის გაფართოება, მაგრამ მათ რომ ასწავლო, პირველ რიგში მათ სულსა და გულს უნდა ჩასწვდე...

ისე სწრაფად გავიდა დრო მათთან შრომაში, რომ გაზაფხულის შემოპარვა ვერც კი ვიგრძენი...

დღეს მე უკვე აღარ ვუცდი მზიან და თბილი დღის გათენებას ამაღლებული განწყობისათვის!!! მე მათ თვალებში ვხედავ საკუთარ მზეს! მათ უდაოდ სხვა სამყარო აქვთ და არაბუნებრივად უყვართ თავისი შექმნილი ,,მინი" სამყარო!...

მადლიერებით აღსავსე მზერამ და მათმა უსაზღვრო სიკეთის ნიჭმა მე მაჩუქა მარადიული მზე სიყვარულისა!...

წერილები

ტიტე მოსია

ჩონ ჩხოლის ლირიკიდან

ხელში მიჭირავს ჩონ ჩხოლის ლექსების „ქართულად ნათარგმანები“ წიგნი „ეული წერო“. იგი შუა საუკუნეების კორეული პოეზიის დიდი წარმომადგენელია (1536-1593 წწ.). პოეტს უცხოვრია კორეის ისტორიის შემაძრწუნებელ პერიოდში. ჩონ ჩხოლი მომსწრე და მოწმეა სამშობლოს სოციალურად თუ პოლიტიკურად დაუძლურებისა, ძმათა შორის შუღლისა, იაპონელთა შემოსევების შედეგად ქვეყნის დაჩაჩანაკებისა.

კორეა უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაა. საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მხატვრული ლიტერატურა, არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა, თეატრი, კინო. კორეულ მწერლობას მდიდარი ტრადიციები ამრავალფეროვნებდა. იგი სათავეს იღებს ძველი კორეული ფოლკლორიდან.

საქართველოსი არ იყოს, შუა საუკუნეებში კორეამ არაერთი უბედურება გადაიტანა. ქვეყანას ასუსტებდა შინაომები, მონღოლთა, იაპონელთა, მანჯურიელთა ამაოხრებელი შემოსევები. პოეტის მოღვაწეობის პერიოდის (XVI ს) კორეა ძალზე გვაგონებს XVI-XVIII სს. საქართველოს ვითარებას. თუ ჩონ ჩხოლის სამშობლოს სისხლისაგან ცლიდა გარეშე მტრების (იაპონელთა) შემოჭრა და ქვეყნის შიგნით გაჩაღებული სამოქალაქო ომები, ასევე ჩვენს მამულს სულს ხდიდნენ და ფიზიკურად აჩანაგებდნენ თურქ-ოსმალონი, სპარს-ირანელნი, კავკასიელი მაჰმადიანი მომხვდურები, ქვეყნის შიგნით ძმათა შორის კინკლაობა და ქიშპობა:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი.
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი,
ერთმანერთსა ხრმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი“.
(დავით გურამიშვილი)

მიუხედავად ძნელბედობისა, ქართველობა სულით არ გატეხილა, მორალურად არ დაცემულა. მისი სულიერი აღმავლობის მომასწავებელია კულტურის განახლება, აღორძინება და განვითარება. ზუსტად იგივე ვითარებას ვხვდებით ჩონ ჩხოლის პერიოდის კორეაში. გარეშე მტრებით და შინაომებით დაუძლურებამ ხელი ვერ შეუშალა კულტურის, მხატვრული ლიტერატურის განვითარებას. ამის დასტურად იკმარებდა ჩონ ჩხოლის, პაკ ინ ნოს, იუნ სონ დოს და სხვათა შემოქმედება. შესაძლოა ამითაც იყოს გამოწვეული, რომ ჩონ ჩხოლის ლირიკა ძალზე ეხმიანება დღევანდელი ქართველი მკითხველის სულიერ მოთხოვნილებებს. ჭეშმარიტი პოეზიის არსი ხომ მის მარადიულ ღირებულებაშია. იგი ხომ ყველა ეპოქის ბინადარია, ყველა ეპოქის მოვლენების თანამონაწილეა, განურჩევლად ერებისა და ეროვნებისა. ამიტომაც მიიღო გულთბილად XX საუკუნის 80-იანი წლების ქართველმა მკითხველმა ჩონ ჩხოლის პოეზია ჯარჯი ფხოველის ბრწყინვალე თარგმანის მეშვეობით.

„ეული წერო“ უშუალოდ კორეული ენიდან არ გადმოღებულა. იგი გადმოქართულებულია ა. ჟოვტისის, ა. ახმატოვასა და ლ. კონცევიჩის მიერ შესრულებული თარგმანებისა და პწკარედების მეშვეობით. ამ თარგმანმა ექსპრომტად გამომათქმევინა:

„სიმშვიდემ თავი ვერ შეიკავა,
მხრებზე დააწვა სოფლის ჩოჩქოლი.
ნათელში გასულ იმ მკითხველს გვავარ,
ხელთ რომ უპყრია წიგნი ჩონ ჩხოლის.
ლანდებში კვდება სევდა ცხოველი,
კორეის ნისლი სიზმარში მითრევს.
ლექსს მომილოცავს ჯარჯი ფხოველი,
სულს ბროწეულის ეღვრება სითხე“.

ნებისმიერი ქვეყნის პატრიოტი და ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედებითი მიღწევები გამოგზაურებს მისივე სამშობლოს მთებზე და ველებზე, გაზიარებს მის მზეს, ცას, მთვარეს, ვარსკვლავებს, ზღვას, ტყეს, ბალახს... ხალხს; გიმეგზურებს მამულის ისტორიის სივრცეში, შეგახმიანებს მშობელი ერის სულის სიმს, რელიგიას – დროის განსაზღვრულობის გარეშე.

შემდეგ მან „აიწია მეცხრე თავანზე... სივრცე აივსო ფლეიტის ჰანგით“. გავიღვიძეთ და „მოვიხილეთ: მარტოდენ ზღვაა ჩვენს წინ ზვიადი“. ასე დასრულდა ჩვენი ერთობლივი „მოგზაურობა“. ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ასე „აიყოლიებს“ თავის მკითხველს ჩონ ჩხოლი — კომუნგოს სიმზე ნაალები ხმებით.

ბაკლანის კლდეებს რომ ჩავუარეთ, ლურჯი მდინარიდან გამომავალი იხვი დავინახეთ: „ჩვენს სიახლოვეს ყვინთავს იხვი, მერე უეცრად ფრთეთა აქნევით ძილს იშორებს, კვლავ მდინარეში შედის ფართქუნით და თოლიასთან ის სამეგობრო ბადეებს ლამბავს“. ცამდე ვმაღლდებით სიხარულით:

„მთელს სამყაროში ვართ ყველაზე თავისუფალნი
ჩვენ – იხვი, წყალზე მოფარფატე თოლია და“...

ლიანებს და ლაქაშებს შორის მივიკლვევთ ბილიკს, „მდინარის მწვანე ნაპირებზე მოჩანს ნახირი... მწუხრის დუმილში შორით მოიწევს მწყემსის სალამურის ხმა“... იცვალა ჟამი. ქარი უკვე დაცვენილ ფოთლებს მოაფრენს, ღრუბელთა გუნდებს მოერეკება, მინდვრებს ჭირხლი ფარავს...

ერთი სიტყვით, ჩონ ჩხოლის მიხედვით, — ქვეყნად ყველაფერი ცვალებადია, უცვლელია მხოლოდ სიყვარული. ახლა გასარკვევია, რომელ სიყვარულზე საუბრობდა პოეტი — მიწიერ თუ ზეციურ სიყვარულზე. ვფიქრობთ, აქ მიჯნურობის ალეგორიულ გაგებასთან გვაქვს საქმე. მიწიერ სატრფოში ალეგორიულად ციური მეუფე მოიაზრება, რომელიც „ნეფრიტის სრა-სასახლეში“ იმყოფება. ნეფრიტის სასახლე ჩინურ და კორეულ მითოლოგიაში ნიშნავდა ციური მეუფის საბრძანებელს.

მოცემული თვალსაზრისით, ჩონ ჩხოლის „წუხილი სიყვარულისა გამო“ გვაახლოებს დავით გურამიშვილის „ზუბოვკასთან“. ამ 12-სტროფიანი ლექსის 1-10 სტროფის შინაარსით ვერაფრით დაარწმუნებ მკითხველს, რომ მასში საუბარი არ იყოს მიწიერ სატრფოზე — ზუბოვკელ ქალზე. თუმცა ბოლო ორი სტროფი ფარდას ახდის პოეტის საიდუმლო ჩანაფიქრს. უცილობლად რწმუნდები, რომ დავით გურამიშვილი ზუბოვკელი ქალის სიყვარულში ალეგორიულად მაცხოვრის სიყვარულს გულისხმობდა. იგივე ითქმის ჩონ ჩხოლის ვრცელ ლექსზე „ქალების საუბარი“. ორი ქალი ერთმანეთს ელაპარაკება თავიანთ მიჯნურზე. ერთი ქალი მეორეს უყვება სატრფოზე: „არც სახით, არც საქციელით მე არ ვიყავი იმისი ღირსი“. ამაზე ფიქრი გულს უღარავდა. მიუხედავად ამისა, მისი ყურმოჭრილი მონა გახდა, მისი მოსამსახურე, მისი ნების მონა-მორჩილი. სატრფო მოულოდნელად ბუნებით შეიცვალა და გაუჩინარდა. ქალი წუხს მასზე. მეორე ქალი ამშვიდებს მას: „ო, გევედრები, მაგისა გამო ნუ იფენ გულზე წუხილის ღრუბელს!“ ისიც ესაუბრება მას თავის სამიჯნურო თავგადასავალზე: „მეც მოგიყვები, რაც გულში მიდევს, რაც განმწონვია უმწარეს ეკლად“. თურმე მასაც ჰყოლია სატრფო („ო, მეც მიყვარდა ძვირფასი მეტრფე“). მისი წუხილითა და სიყვარულით ივსებოდა, ერთმანეთთან ჰპოვებდნენ სულის სავანეს. დამწუხრებულია ქალი სატრფოს გაქრობით („ჩემს სულში ღამე ჩამოიშალა“). იგი ნატრობს მთვარედ ქცევას, რათა სატრფოს სავანის დარბაზები გადაანათოს:

„მოვმკვდარიყავი ნეტავ და მთვარედ
ვქცეულიყავი, იმ მთვარედ — ჩემი

სასურველის სახლს რომ დაადგება,
გადაანათებს იმის დარბაზებს“.

თანამოსაუბრე ქალი კი მას წვიმად ქცევას ურჩევს, რათა წვიმის თბილი ამბორით გადაეშხეფოს მეუფეს: „მთვარედ კი არა, წვიმად ინატრე მოსვლა და წვიმის თბილი ამბორით გადაეშხეფე მეუფეს შენსას“...

„ქალების საუბარი“ ალეგორიულად მიგვანიშნებს, რომ ორივე ქალის მიწიერ სატრფოში ციური მეუფე მოიაზრება, რომელთაც იგი გასცილდა, არ ეკარება, არ ზრუნავს და არც ფიქრობს მათზე. მიზეზი — რაღაც შეცოდება ღვთის წინაშე. ამაში ერთ-ერთი ქალიც დაეჭვებულია:

„სულ იმას ვფიქრობ —
რა ჩავიდინე,
რა ვაწყენინე მეუფეს ჩემსას?
იქნებ თავანმა ისურვა ასე?
ან იქნებ კაცთა დანაშაულმა?...“

ვაგრძელებთ სიყვარულის თემაზე საუბარს ჩონ ჩხოლის ლირიკაში. პოეტის არც ერთ სატრფიალო ლექსში (გვ. 8, 9, 12, 13, 14, 15) არ იგრძნობა მიწიერი სიყვარულის გულისცემა, არც სატრფოსთან სიახლოვე. იგი ოცნებობს შორეულ სატრფოზე:

„სადაც პენლაის ცისფერი და შორი ლანდია,
სად ჩემი სატრფო მელის და გოდებს“;
„შორს ჩემი სატრფო მეგულება მსალმობიერი“.

მიჯნური მზად არის გულიდან მთვარისა და ვარსკვლავის ამოსაჭრელად, ცისკენ გასატყორცნად, რათა იქ იბრიალონ, გაანათონ ქვეყნის თავანი, სადაც (ცაში) სატრფო ეგულება. მისი შეყვარებული „ასი ლის იქით ელის“. არც ერთ ლექსში არ ფიგურირებს სიყვარულის ობიექტის არც გარეგნული და არც სულიერი სილამაზის შემამკობელი მხატვრული სამკაულები. ნათლად ირკვევა, რომ ჩონ ჩხოლის სამიჯნურო გატაცების საგანი „შორეული სატრფო“, ანუ ციური მეუფეა. ზოგჯერ დარდიც შეიპყრობს, რადგან სატრფოს ზრახვანი პოეტამდე ვერ აღწევენ: „სატრფოს ზრახვანი ვერ აღწევენ შორით ჩემამდე“...

ჩონ ჩხოლის არც თუ იშვიათად შხამავს ამაოების განცდა, ადამიანის ცხოვრების გზის უაზრობის ლიბრით დაფარვა („უაზრობის ლიბრი ებურვის იმ გზას, რომელზეც ეშურება ადამიანი“). პოეტში ამაოების შემეცნების გამო სევდიანი განწყობა უფრო და უფრო მძაფრდება:

„ამაოდ ყოფნას შევალიე ცხოვრება ჩემი,
ამაოებას გადავკიდე მრავალი წელი...
არცა შემომრჩა ძველი დროიდან რამე —
მომავალშიც არაფერს ველი...
უნდა უქმობას გავაყოლო სიბერის დღენი“.

ყველაზე უფრო მომაკვდინებელია გადავიწყების განცდა: „რადგან ყოველი, რაც ოდესმე გულს მიხარებდა, გადავიწყებით დამეწყრილა ბოლოს და ბოლოს“, როგორც ვხედავთ, ამაოების შეგრძნება ბიბლიურ გოდებამდეა ასული.

პოეტს სულს უმწარებს წარსულზე ფიქრი. რაც უწინ იყო, უკვე აღარ არის. ცხოვრების მზე, რომელიც მეფის პალატას დაჰკაშკაშებდა, გამქრალა სიზმარივით. წავიკითხოთ ლექსი „ვიხსენებ წარსულს“:

„იყო დრო, მამრი, სვიანი და ხმადათაფლული,
მეფის პალატთა წიაღ ვვლიდი მწუხრში ჩაფლული
და ვდარაჯობდი მეუფის ძილს, თავზე უნებურ
რომ ედგა ხოლმე სიზმრის არილი...
აჰა: ყოველი — ის პალატნი და მსახურება
და კვანხვამუნის ბჭეც —
გამქრალა აწ სიზმარივით“.

როგორ ენათესავება ეს სტრიქონები ალ. ჭავჭავაძის პოეტურ სულს:

„აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო.

აჰა, ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი.
მარტო აწყმოზე რას დაბმულხარ, ხედვავ, ბრმობილო“

ასე შეახვედრა ჩონ ჩხოლი და ალ. ჭავჭავაძე ერთმანეთს მსოფლიო სევდამ. პარალელების ძიება ევროპულ ლიტერატურაშიც გადაგვიყვანს. ნიმუშად ბაირონის პოეზია იკმარებს: „გაივლის ჟამი და უდაბნოდან ნაბერი ქარი აყმუვლდება შენს ცარიელ სრა-დარბაზებში“... „აბეზარი ქარი დაჰყმუის, ნიუსტედო, შენს ძველ ქონგურებს... სრა-დარბაზები წინაპრების დამსხვრეულია და ცარიელი... და მომღიმარე ურნატის ნაცვლად, ნარეკალა და ნარშავა ჰვავის ძველ ნავარდალზე“... (თარგმანი ნ. კუციასი).

„ეული წეროს“ ავტორი ცდილობს წუთისოფლის წარმავლობის განცდა ღვინოში ჩაკლას და ნაღველი განიქარვოს სიკვდილამდე, ჭოთის ნაჭერში გახვევამდე, სამარისკენ წაღებამდე

„დავლიოთ, ძმაო, და ავავსოთ თასები ისევ,
შევსვათ მეორეც,
კიდევ — მესამეც...
ჟამი ლხინისა და ლაღობის არ მიწურვილა!“...
„აქა ვსვამთ ღვინოს ცეცხლის პირას,
სადაც ტკბილია კვამლიც კი,
სადაც ყოვლიარი მდუმარებს დღემდე“.

რადგანაც ღვინო ჭირთა შემამსუბუქებელია, სევდა-ნაღველის გამქარწყველია, იგი სულის ღმერთად მიაჩნია პოეტს: „კვლავ შენთან ერთად უნდა შევსვა ღვინო მანამდე, სანამ ეს ღვინო სულის ღმერთია“. ღვინოსთან მიძალება არ ეგების. ღვინო და საქმე ტყუპ ძმებად ვერ იქცევიან. სულ ღვინოსთან დამოყვრებული ადამიანი სასიკეთო საქმეს ვერ იზამს: „როცა ამსოფლად დიად საქმეთ მივეახლები — მე შენით ვიწყებ ყველაფერს მუდამ. მაგრამ საქმენი, ჩემგან ქმნილი, ქვეყნად არავის არ უნახია“...

ჩონ ჩხოლის ცხოვრების მიზანია სულის სიწმინდის შენარჩუნება: „შენც, სულო, მწიკვლი და წკვარამი არ გაიკარო, ამ ფოთლებივით (იგულისხმება ლოტოსის ფოთლები) იყავ მარადის!“ სულის სისპეტაკის განმაპირობებლა შრომა და გარჯა, „თოხის დღეობა“, რათა შევესწროთ „სთველის დღეობას“ და სავსე თასები შევაგებოთ ერთმანეთს:

„მეგობრებო, გვმართებს მხნეობა,
უნდა ველოდოთ, ძვირფასებო, თოხის დღეობას!...
ბრძენო მჩხიბავებო, გვასმინეთ თქვენი ხმა —
იმედის ცა დაგვხურეთ თავზე;
კიდევ ცოტაც და მოგვადგება გულუხვი სთველი,
სთველის დღეობას შევაგებოთ თასები სავსე!“

ადამიანობის დამამცირებელია განდიდების მანიით შეპყრობა. ცხოვრების იდეალად უნდა გაიხადო უბრალოება და თავმდაბლობა. დიდება არაფრად არგია საწუთროს მდგმურს. დღესაც შთაგონებით ჩაგვჩიჩინებს ყურში ჩონ ჩხოლი: მეუფემ ბრძანაო ჩემი განდიდება, რასაც დიდების გვირგვინი მოყვება ჩემს თავზე,

„მაგრამ დიდება რას მარგია,
მე მიჯობს ასწილ,
ვიცხოვრო თქვენთან იმ ცხოვრებით,
რომელიც ვიცან...
ყოფნა თქვენთან სურს, ძმანო,
გულსა და გულისფიცარს,
ველარ მოგყვებათ იგი კვალში,
განდიდდა ვინცა!“

თუმცა ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ „ერთს ბრძენის გვირგვინს უბოძებენ, ქვეყნად ასეა, ხოლო მეორეს — მასხარის ნიღაბს“. ამასობაში ცხოვრების დღენიც გაილევა და ადამიანს მხრებზე დააწვება სიბერის ყველაზე მძიმე ტვირთი:

„სად მიგაქვს ეგ ბარგი, მოხუცო? მოიხსენ,
აქეთ მომაწოდე, ხელი შეგაშველო.
მრწემი ვარ ძალოვანი და ვზიდავ მსუბუქად;

შენ კი სიბერეც გამძიმებს, ბებერო, —
ყველაზე მძიმე ტვირთს მიათრევ ამქვეყნად!“
ეს სტრიქონები გვაახლოებს დავით გურამიშვილის ნააზრევთან:
„ვაი მოკლებულსა სიბერით ბრმასა,
ნეტავი მატებულს მოზარდსა ყრმასა!
ბერიკაცი დაღმა მიდის გორვითა,
ყრმა აღმართზედა ყინულზედ ცორვითა.
ბერს უმძიმს, ყრმას მსუბუქ ჩანს“.

შეიძლება ითქვას, ჩონ ჩხოლის პოეზიაში ბამბუკისა და ლოტოსის კულტია. მას ხიბლავს ბამბუკის ჭალაკში ყოფნა („ბამბუკის ჭალაკში ვესახლე“), უხარია, რომ „მიუყვება ბამბუკის ჭალას“, ბამბუკის ტაბლასთან დაჯდომაც უყვარს („ბამბუკის ტაბლას შემოვუსხედით“). დაიარება ბამბუკის ჯოხით:

„ბამბუკის ჯოხი
მიპყრია ხელთ და მივემართები.
ატმების ბაღის ყვავილოვანში“...

სევონის სასტუმრო სახლის პატრონი „ბამბუკის ანკესს აიღებს და წვიმის კარავში შევა ეული“. პოეტს იზიდავს ლოტოსის ფოთლები („და კვლავ ჩამოვკარ კომუნგოს და თითქოს ლოტოსის ფოთლებზე წვიმამ გადაირა“), დილით დაცვარული ლოტოსის ხილვა: „შეხედე: უშქარ მარგალიტს ისხამს ლოტოსი, როცა დგება სისხამი“ ჩონ ჩხოლი შენატრის ლოტოსის ფოთოლივით სულის სიწმინდის შენარჩუნებას და მარად ასე ყოფნას:

„ლოტოსის ფოთლებს, მშვიდად გაშლილთ, წვიმა გვიანი
შემოდგომისა ეღირება თქეშით, თქრიალით...
მაგრამ ფოთლებზე არ ჩანს კვალი, ყუჩდება წვიმა...
და ფოთლებიდან ლეშხი გადადის...
შენც სულო, მწიკვლი და წკვარამი არ გაიკარო,
ამ ფოთოლივით იყავ მარადის!“

განდეგილი კიმ სოვონი ყარიბს უყვება: „წუხელის წვიმდა ხეობაში. იდგა თქრიალი. ვარდისფერი და თეთრი ლოტოსი დაუნამია“. იქ, სადაც „ერქინებიან ცას მწვერვალები, თითქოს ლოტოსი ათი ათასი მოუწევია არსთგამრიგეს და აბრეშუმის უთეთრეს სარტყლით ერთ თაიგულად შეუკრავს ყველა“. კიდევ ერთი ნიმუში: „ამოიწვერა ცისკრის ვარსკვლავი. აყელყელავებს ყვავილს ლოტოსი“.

შეიძლება ითქვას, ჩონ ჩხოლი პეიზაჟისტი პოეტია. საილუსტრაციოდ თითო-ოროლა ნიმუშს ვიკმარებთ: „ნისლის ქვემორე ელვარებდა მზეზე მდინარე, ცას რომ იხვევდა ზვირთქაფში“; „ლაჟვარდის დროშის ფრიალით ზღვა აიყალყა თავანისაკენ“, „დახრილ ფერდობზე მოყელყელაობს დეკა, ყვავილით გადაპენტილი“; „საცაა, მალე ფუსანის მხრიდან ამოიზრდება ახალი მთვარე, მარგალიტოვან ფარდას ამოსწევს იგი თავანზე“. ბუდისტური მითოლოგია გვამცნობს, რომ ფუსანი ველური ხეა, ზღვასთან გაზრდილი. მას ორი ღერო აქვს. ლეგენდის თანახმად, ამ ღეროებს მიღმა იმალებიან მზე და მთვარე. დამოწმებული სტირქონების წერისას ჩონ ჩხოლი მიმართავს მითოლოგირუ გადმოცემებს.

„**ატმის წყარო**“. „ბამბუკის ჯოხი მიპყრია ხელთ და მივემართები ატმების ბაღის ყვავილოვანში... ან ატმის წყარო განა ამ მხარეს ამ მიბუტბუტებს?“ „ატმის წყაროში“ ჩონ ჩხოლი გულისხმობს ზღაპრულ მხარეს, რომელზეც ჰყვება ტაი-უან-მინი (ტაო ძიანი) თავის „ატმის ნაკადულში“.[1]

„**ვერცხლის მდინარე**“. „სანსანის საგალობლებში“ განდეგილი ჰყვება: „ნუთუ იქა ვარ, ნუთუ ბროლის იმ სასახლეში, სიხუს ტბაზე რომ წარმოჭიმულა? ნუთუ გავლიე მე ციური ვერცხლის მდინარე და აწ მთოვარის კიდეზე ვდგავარ?“ აქ „ვერცხლის მდინარე“ მეტაფოურლად ირმის ნახტომს გულისხმობს. გარდა ამისა, გვხვდება მდინარეთა შემდეგი სახელწოდებანი: **ნიკსუ (**„შავი მდინარე“ — მდინარე ხარგანის შენაკადი, ძველი სახელწოდება მდინარე იოგანისა), **სომგანი** („გომბეშოს მდინარე“ — მარჯვენა შენაკადი მდინარე ხანგანისა), **სიოანგანი** („ნათელი მდინარე“ — მარცხენა შენაკადი მდინარე პუკხანგანისა, რომელიც თავის მხრივ ხანგანს ერთვის შუა კორეაში).

[1] ვსარგებლობთ „ეული წეროსთვის“ დართული კომენტარებით.

„**ფიჭვნართა ქარი**“. „სანსანის საგალობლებში“ ვკითხულობთ: „ჩავცლი ხელადას, ავწევ ფიალას და ვსვამ, იქნებ წარიხოცოს ჭმუნვა-ვარამი. მერმე კომუნგოს ავაჟღერებ და ცად მაღლდება „ფიჭვნართა ქარის“ საგალობელი“. „ფიჭვნართა ქარი“ მელოდიაა, რომელიც კომუნგოზე სრულდებოდა.

„**ქლიავის წვიმა**“. პოემა „მოგზაურობა კვანდონში“ პოეტი ასეთ სტროფს გვთავაზობს: „აქ ფერდობები და ფლატეები შემოსილია ხმელი ბალახით. ელის მინდორი გამოხრუკული ქლიავის წვიმის შემობრუნებას“. „ქლიავის წვიმით“ ჩონ ჩხოლი მიგვანიშნებს ქლიავის ყვავილობის ჟამს მოსულ წვიმაზე.

„**მთვარის პალატა**“. ლირიკული პოემის „წუხილი სიყვარულისა გამო“ დასაწყისში ავტორი ახსენებს „მთვარის პალატებს“: „მეტრფეო ჩემო, განა სად არის — ტრფიალის ჩვენის ოდენ სადარი! ერთად ვეწვიეთ „მთვარის პალატებს“ — ახლახანს იყო თითქოს ყოველი“. ჩინურ მითოლოგიაში „მთვარის პალატა“ ერქვა მთვარეზე მდებარე ყინვის სახლს. მოცემულ ლექსში იგი მეტაფორაა ოცნების სამყაროსი.

გარდა ამისა, „ეულ წეროში“ მოიპოვება შესიტყვებანი: „თავშესაქცევი ტბა“, „უკვდავთა გუბური“, „მთის წყაროს ქოხი“. ესენი კვანდონში ღირსშესანიშნავი ადგილების სახელებია.

„ქალების საუბარში“ პირველი ქალი წუხს სატრფოს სიშორისა თუ გაუჩინარების გამო. ამან მის სულში სიბნელე გააბატონა, მოქმედების უნარი დაუკარგა. ეს მეტაფორულად ასე გამოითქმის პოეტის მიერ: „ჩემს სულში ღამე ჩამოიშალა“. არა მარტო სული დაუბინდდა ქალს, არამედ გარემოც დაბნელდა, თითქოს თანაუგრძნობსო გულშეჭირვებულს. ამ სურათს ჩონ ჩხოლი მეტაფორულად ასე გაიაზრებს:

„ვერ ჩამოჭლიკავს სინათლის თვალი,
მზე და მთოვარე ვერ გახევს წყვდიადს.
გარშემო მთები და მდინარენი
ჩაუბღუჯია სიბნელის კლანჭებს“.

პირველი ქალი მეორე ქალს მეტაფორულად ასე ამშვიდებს: „ნუ იფენ გულზე წუხილის ღრუბელს“. კიდევ რამდენიმე ნიმუშს დავიმოწმებთ პოეტის სამეტაფორო სახეებიდან:

„დაისის მიმკრთალმა ფერმა
ცა და მდინარე გააჭაღარა“;
„ოდეს ჩრდილები ტკეპნიან მიწას“;
„შამბი ხრავს უძველესი ტებანის კედლებს“;
„პირისახეზე მეხვევა მთვარის თეთრი ქსოვილი“...

შეუძლებელია ცალკე არ შევეხოთ ბუნების გასულიერების მომენტებს „ეულ წეროში“. ჩონ ჩხოლს ბუნება წარმოუდგენია ცოცხალ, მოქმედ, მოძრავ არსებად, ადამიანის მეგობრად, თანამგრძნობელად. შეიძლება ითქვას, იგი ბუნების მხატვარი პოეტია (ზოგიერთ ასპექტს ზემოთაც შევეხეთ). ამ მხრივ ტიპოლოგიური თანხვედრანი გვხვდება განსაკუთრებით XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (რომანტიკოსები, ვაჟა-ფშაველა...). ჩონ ჩხოლის ლიტიკაში ბუნების შეგრძნება და გაცნობიერება დაცლილია აბსტრაქტულობისაგან, უსაგნო ჭვრეტისაგან. ადამიანი და ბუნება ერწყმიან და ავსებენ ერთმანეთს. უერთმანეთოდ მათი ყოფნა წამროუდგენელია. ამას ხიბლს მატებს პოეტის მიერ ბუნების საგნების და მოვლენების პერსონიფიცირების მაგალითები, მისთვის ადამიანური თვისებების მინიჭების ფაქტორები ალმასის მთათა მიღმა გაზაფხულის შემოსვლა ასეა წარმოსახული:

„იქ გაზაფხულის
ქარი ფრთამალი უკრავს სალამურს,
ქარი იასპის სალამურს უკრავს
და უნანავებს ბარტყებს ღამეში“.

„სანსანის საგალობლების“ მიხედვით, კიმ სოვონს უხარია გაზაფხულის დადგომა. სისხამ დილით წამომდგარი მზიან მამულში მიეშურება. ბოსტანში ბევრი საქმე ეგულება საგანთიადო: კვლების გასწორება, ფესვებზე მიწის შემოყრა, სარეველათა ამოძირკვა და სხვ. ერთი სიტყვით, გაზაფხულმა მოძრაობა — მოქმედებაში მოიყვანა განდეგილი, ბუნების სილამაზემ დაათრო იგი (ილია ჭავჭავაძის მწირისაგან განსხვავებით).

პოემა „მოგზაურობა კვანდონში“, შეიძლება ითქვას, ბუნების ფონზე იწერება. შთამბეჭდავია მასში განფენილი ბუნების სურათები, საგანთა გასულიერება-პერსონიციფირების ასპექტები. კნიოპსის ყურესთან „დახრილ ფერდობზე მოყელყელაობს დეკა, ყვავილით გადაპენტილი“. არ შეიძლება აქ არ

გაგვახსენდეს ვაჟა-ფშაველას „დეკა“ და „ყვავილები“. თუ შუა საუკუნეების კორეის პოეტები (ჩონ ჩხოლთან ერთად) ტკბებიან ბუნების მშვენიერებით და თანამგრძნობელად იხდიან მას, ფართო კარებს უღებენ პოეზიაში, ქართული შუა საუკუნეების მწერლობაზე ამას ვერ ვიტყვით. ქრისტიანებმა დოგმატიკურმა იდეოლოგიამ „დაჩაგრა“ ბუნება და ლიტერატურაში შემავალი კარები მაგრად მიუჯახუნა. ვერც რუსთველი იქცა ბუნების მხატვარ პოეტად. ბუნება „ეგვიპტიდან“ გამოიყვანა და „აღთქმული ქვეყნისკენ“ უქცია პირი XIX საუკუნის ქართულმა მწერლობამ, განსაკუთრებით მიუწვდომელმა ვაჟა-ფშაველამ. თითქოს მან იტვირთა ამ მიმართულებით ცამეტსაუკუნოვანი „ცოდვების გამოსყიდვის“ მისია.

აი, კიდევ ბუნების გასულიერების რამდენიმე ნიმუში „ეული წეროდან“:

„ჯგუფად შეყრილი ნაძვნი ჩურჩულით
კონცხს გადადიან სვენებ-სვენებით“;
„ამოივაკებს როს მთოვარე ქედების თავზე,
მე შენ მოგელი,
კვალად შენი ხილვა მწყურია“.
„გავხედავ: ტყისებრ ზღვა მუქდება, ხოლო რიფები
და ტყენი ზღვისებრ სიგრილეს სვამენ“.

ისევ ვაჟა-ფშაველას მიერ პერსონიფიცირებულ ბუნებას მოგვაგონებს ჩონ ჩხოლის შემდეგი სტროფი:

„უკვე მაღლა ვარ და ქვემოთ დარჩნენ
მთანი — რომ ჰგვანან ბებერ ყარიბებს,
ჩამომსხდართ, პირში ყალიონგაჩრილთ,
მთანი სოხის და ტეხიანოსი“.

მთვარის პერსონიფიკაციის საილუსტრაციო ერთ მაგალითს დავიმოწმებთ „სანსანის საგალობლებიდან“:

„აჰა, კიდეც აღმოხდა მთვარე,
მთვარემ მდინარის შუაგულში ღუზა ჩაუშვა...
ოდესმე ლი ბოც მოხიბული ყოფილა ზღაპრით
და დაღუპულა, როცა წყალში მთვარეს იჭერდა!“

ამ სტრიქონების წერისას ჩონ ჩხოლი იყენებს ლეგენდას, რომლის მიხედვით ლი ბო მაშინ დამხრჩვალა მდინარეში, როცა ვეშაპზე ამხედრებული მთვარეს გამოკიდებია. რადგან აქ ვეშაპი ვახსენეთ, ბარემ „ექვსთავიან დრაკონსაც“ შევეხოთ: „დიდი ხატება ვიხილე დილის — ექვსთავიანი დრაკონი ღრუბლებს, ხუთფეროვანი ღრუბლების ჯოგებს მიაქროლებდა თავანის თხემზე“. ექვსთავიანი დრაკონი მოიხსენიება ძველჩინურ წიგნში („ჩოუ ი“). ეს არის მზის რაში. ლეგენდის თანახმად, დაოსი თუ უკვდავნი ხუთფეროვან ღრუბლებზე დაიარებიან.

ლუარა სორდია

"სამეგის მძლე სიყვარული" მერაბ კოსტავას პოეზიაში

მერაბ კოსტავამ ტოტალიტარულ, ათეისტურ ეპოქაში იცხოვრა, რომელსაც "მეფისტოფელის საუკუნეს" უწოდებდა გალაკტიონ ტაბიძე.

მიუხედავად იმისა, რომ რწმენა ჩამორჩენილობად და პოლიტიკურ ბრალდებადაც იქცეოდა ხოლმე საბჭოთა იმპერიაში, ერის ღირსეულ შვილებს კავშირი არ გაუწყვეტიათ უზენაეს საწყისებთან. აანალიზებდნენ რა ქვეყნის ტრაგედიის მიზეზებს, ხალხის ჭეშმარიტი ჭირისუფლები ყოველგვარი უბედურების მიზეზებს ურწმუნოებაში ხედავდნენ.

მერაბ კოსტავას მოღვაწეობის და შემოქმედების წინამძღვარი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობა, ღმერთის რანგში გააზრებული სამშობლო. მხატვრული სიტყვის მისიას პოეტი რწმენის მსახურებაში, ხალხისთვის ტაძრის გზის ჩვენებაში, სულიერების, ეროვნული იდეალების ერთგულებაში ხედავდა. საღვთო იყო მისი გზა, ზნეობა, ჰანგი. "საუფლო გულის", "უმაღლესი მისანი" გამუდმებით ეწაფებოდა "რელიგიის ზედაშეს", "იდუმალების წყაროს", ნებაყოფლობით იყო "საღვთო ზვარაკი".

უპირველესი ადგილი უკავია მერაბ კოსტავას შემოქმედებაში საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის იდეას. მის სიტყვას და საქმეს წარმართავდა "სამების მძლე სიყვარული, უდრეკ ზღუდეთა დამძლევი სიყვარული, უზენაესი სიყვარული, საღმრთო ტრფობა, მოყვასის ტრფიალი, ტრფობა დაულეველი, სიყვარულის გზა და ხიდი".

პრობლემას შორეული ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ვლინდება ინტერესი ამ საკითხისადმი.

პლატონის მიხედვით, "მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში".

აღიარებს რა შთაგონების ეროსთან წილნაყარობას, პლატონი განასხვავებს მიწიერ და ციურ ეროსს, ეროტიკულ მისტერიათა საწყისი სტადია პირველი საფეხურია, ხოლო უმაღლეს, ეპოპტიკურ სტადიამდე მიახლოებისთვის აუცილებელია "სულის მშვენების" უპირატესობის აღიარება "სხეულის მშვენებაზე", შემზადება "მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტისათვის", ვიდრე "უხვი სიბრძნით გაბრძნობილი სული მიაგნებს "ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას აბსოლუტური მშვენიერების შესახებ", რომელიც წარმოადგენს "გასაოცარ მშვენიერებას, მარადიულს, ხელთუქმნელს, სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში" (1,17).

ახალი აღთქმის მიხედვით, "სიყვარული ღმერთისგან არს".

"ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია" (I იოანე, 4,7,8) (2,320).

იოანეს გამოცხადებაში ღმერთი არის "პირველი სიყვარული" (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

ღმერთი აღიქმება, როგორც "დიადი სიყვარული", რომლითაც "სამყარო... ბრწყინავს, ვითარცა მარადიული შუვა დღე" (ნეტარი ავგუსტინე) (3,240).

"საღვთო ტრფობა" არის ნეტარება... ყოვლადსაწადელი, სიხარული მიუთხრობელი (წმ. სვიმეონ ღვთისმეტყველი) (4,266).

"საღვთო სიყვარული"... არის "მოძღვარი წინასწარმეტყველთა, თანამსრბოლი მოციქულთა, ძალი მოწამეთა, შთაბერვა მამათა და მოძღვართა, სრულქმნილება ყველა წმინდანისა" (4,268).

დანტე აცხადებდა: "სიყვარული... აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს", "სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს" (5,43,45).

დანტესთან მთავარია "მისნური სიყვარული, დაუშრეტელი სიყვარული, სიყვარულის ყოვლისშემძლეობა, მარადიული ტრფიალი, პირველადი სიყვარულის სიყვარული, უზეშთაესი სიყვარული, სულიერი ტრფობა" (5,303,292,246,360,308,205).

"წმინდა სულს" დანტემ შესთხოვა "სიყვარულის და სიბრძნის ნიჭი".

"უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ", ამბობდა გალაკტიონი.

ცხადია, აქაც ღმერთია ნაგულისხმევი, რადგან სამყაროს მამოძრავებელი, სილამაზისა და მარადიულობის მომნიჭებელი მხოლოდ ღმერთია.

იოანე პეტრიწი სიყვარულს — სამებას ეთაყვანებოდა (სათნოებათა კიბე) (6,184).

სუფისტურ სიყვარულს პოულობენ ჯალალ-ედ-დინ რუმის, იბნ ელ არაბის პოეზიაში (17,21).

საღმრთო სიყვარულს ხედავდა ზვიად გამსახურდია შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში".

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და "სიყვარულს" — ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, "საყვარელი" და "სულიკო" ერთდროულად (8,89-98).

"ტრფობის ქვეყანას" ეძებდა ვაჟა ფშაველა, ხოლო "სატრფოში" გულისხმობდა ღმერთს (სიყვარულის სამეფო) (8, 98-106).

მეოცე საუკუნეში საღვთო სიყვარულის იდეას ავითარებდა ა. კალანდაძე (8,106-116).

ანა კალანდაძე მოუხმობდა ღმერთს — "ცის და მიწის სიყვარულს", "რჩეულს" (ღმერთს) და გვამცნობდა: "ყოველთა დიდი არს სიყვარული და არაფერი არ არის მეტი" (8,116-122).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში კიდევ უფრო ღრმავდება ეს პრობლემა (8,170-186).

ათეისტურ მეოცე საუკუნეში გალაკტიონმა ხელახლა აღმოაჩინა თანამედროვეთაგან "მიუკვლეველი... სიყვარული" (დადგა აგვისტო).

საღმერთო სიყვარულის გამომხატველი ტერმინებია გალაკტიონის ლექსებში "ზექვეყნიერი სიყვარული", "ტრფობა სრული", "მზიანი სიყვარული", "პირველი სიყვარული", "შორეული ტრფობა" (8,106-116).

მერაბ კოსტავა საუბრობდა "სიყვარულის გრადაციაზე, მოყვასის სიყვარულზე, რაც ღმერთისადმი სიყვარულის საწინდარია, სულიერი სიყვარული კი — "კოსმიური ჰარმონიის", "სფეროთა მუსიკის" შეგრძნების გზად ესახებოდა.

"როგორც სიყვარულის სულები — სერაფიმები არიან სულიერ იერარქიათა შორის უპირველესნი, ერთნაირად რომ განმსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოსსაც, ასევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო", წერდა მერაბ კოსტავა (9, 56-57).

სამყაროში ადამიანის უმაღლესი და უპირველესი გრძნობაა "საღმრთო ტრფობა, სრულქმნილი სიყვარული", რომელიც ყოველგვარ ნეგატიურ ძალას ამარცხებს: "...ეგ საღმრთო ტრფობა თუ გაგიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულქმნილმან სიყვარულმან განდევნოს შიში" (ბიბლიური რემინისცენიები) (10,88).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, პოეტის პიროვნება მერაბ კოსტავასთვის იყო "წარსული, აწმყო, მარადისობა". მის შემოქმედებაში ხედავდა "მიწიერ და ციურ საწყისებს", უკანასკნელ ტრფობას, ანუსაღმრთო ტრფობას: "სიბრძნის იმ ერთ დარგს როს დაეწინდე, ვითარცა მოსემ, აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმალ დაწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი" (გალაკტიონი) (2,145).

ტერმინი "უკანასკნელი" საღმრთო ტრფობის მისამართით პირველად გვხვდება პლატონის "ნადიმში", ვინაიდან ეს გრძნობა, საღმრთო სიყვარულამდე ამაღლება ადამიანის ცხოვრების ბოლო, უკანასკნელ ეტაპზე ხერხდება ხოლმე.

ხორციელი გრძნობიდან "დიადი სიყვარულის" საფეხურზე მიღწევის შესახებ საუბარია ნეტარი ავგუსტინეს "აღსარებაში".

გალაკტიონის ლექსში "უსიყვარულოდ" გვხვდება სიტყვა "უკანასკნელი", რომელსაც ახასიათებს ხორციელი ვნება-ჟინისგან განრიდება, ჩვეულებრივი მიწიერი გრძნობისგან განსხვავებულობა: "მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის, ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან, უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს".

ამასთან, ლექსში ნათქვამია, რომ "ჭკნება, ჭკნება სიყვარული უკანასკნელი, ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულოდ და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ" (უსიყვარულოდ) (11,25).

ვფიქრობთ, უკანასკნელი სიყვარულის ჭკნობა ნიშნავს ათეისტურ ეპოქაში რწმენაზე, საღვთო სიყვარულზე უარის თქმას.

როგორც ვნახეთ, ტერმინი "უკანასკნელი" ამ შემთხვევაში კი არ ეწინააღმდეგება პირველს, არამედ ორივე იდენტური შინაარსისაა, "პირველი" აღნიშნავს გრძნობის უზენაესობას, მის უმაღლეს ხარისხს, ხოლო "უკანასკნელი" მისი მოსვლის სტადიას ადამიანის ცხოვრების უკანასკნელ საფეხურზე.

საღვთო სიყვარულის პრობლემას მერაბ კოსტავა ისევ და ისევ გალაკტიონის შემოქმედებაში ხედავს სრულყოფილად, ყველაზე სარწმუნოდ და ასე მიმართავს პოეტების მეფეს: "რუსთველის მიერ ნაანდერძალი, კვლავ აღგვიდგინე ღმერთების ენა, ოდეს გვასწავლე შთასმა სამსალის და სიყვარულის ასე მოთმენა. და ახლა ვერვინ შეგვედავება, რომ თვით სატანას დავცემთ არულით, რადგან ვირწმუნეთ, თვით უკვდავება, რომ არ არსებობს უსიყვარულოდ" (გალაკტიონი) (2,147).

შემდეგ ნათქვამია: "...სიბრძნის იმ ერთ დარგს რას დაეწინდე, ვითარცა მოსემ, აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმალ დასწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი" (გალაკტიონი) (2,145).

უკვდავების მომნიჭებელი მხოლოდ სიყვარულის ღმერთია.

ახალ აღთქმაში ნიჭზე, სიბრძნეზე, წინასწარმეტყველებაზე, ქველმოქმედებაზე მაღლა სიყვარულია დაყენებული: "თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა.

წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარობა ვიქნებოდი.

მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ.

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს.

არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს.

არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.

ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს.

სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება.

ვინაიდან ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ.

...ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი" (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13,1-13) (2,375-376).

"ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო კი, რომ იწინასწარმეტყველოთ" (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 14,1) (2,376).

"ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს" (I კორინთელთა, 8,1) (2,367).

მერაბ კოსტავას ლექსში "მსხვერპლი" (1,165) საღვთო სიყვარულს ჰქვია "ტრფობა დაულეველი", რომელიც გულისხმობს ქვეყნის ბოლომდე შეყვარებას ისეთი ძალით, როგორითაც იგი უყვარდა ქრისტეს და სწორედ ასეთი სიყვარულის (მსხვერპლის) გზა მიდის სამუდამო სასუფევლისკენ: "რამ მოგანიჭა ესე ტრფობა დაულეველი, შენი შემყურე ვითარ გავხდე ჭკუათმყოფელი. თუ გსურს ბოლომდე დაიმკვიდრო სასუფეველი, უნდა ბოლომდე შეიყვარო ესე სოფელი ისე, ვით ქრისტემ შეიყვარა იგი ბოლომდე" (მსხვერპლი) (1,165).

ახალ აღთქმაში მთავარია "სულის' (ღმერთის) დამკვიდრება ადამიანის არსებაში, ქრისტეს სიყვარულის შეცნობა, რომელიც ცოდნაზე აღმატებულია: "ნუ დათვრებით ღვინით, რომელიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით" (პავლე მოციქული, ეფესელთა, 5,18) (2,420).

"და შეიცანით ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით" (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,19) (2,420).

მერაბ კოსტავა ადამიანურ სიბრძნეს და სიყვარულს ერთმანეთს ადარებს და სახარების შთაგონების გათვალისწინებით აკეთებს დასკვნას: "...ყოველი საწყისი სასრულს ჩაბარდება, შეწყდება სიკვდილი, შეწყდება დაბადება, ცდომილთა დუნე სიარული, ყოველივე, სიბრძნეც კი განქარდება. დარჩება... მხოლოდ სიყვარული" (ყველგან, ან არსად) (9,116).

ლექსში "ირაკლის" (9,128) სიყვარული გზა და ხიდია სოფელსა და ზესთასოფელს შორის, ბნელში გზის გამკვლევია: "ტრფობა ნაჭარბი რადგან გულებით, სასუფეველი იიძულების, უდრეკ ზღუდეთა მარად დამძლევი, ვყოთ სიყვარული ჩვენ გზად და ხიდად და ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი, მეოხ გვექმნების განგება დიდად".

სრულყოფილი არსებობის საწინდარი ხდება "აღთქმულის მადლი" და "სამების მძლე სიყვარული": "მაშინ გუავა ყავლი წამებას, აღთქმულის მადლი როს არ აგვცდება, როს ჩვენს წიაღში ესე სამება მძლე სიყვარულით გაერთარსდება" (ირაკლის) (9,129).

ასევე, მოძმის სიყვარულის მსახური იყო პოეტის სიტყვა და საქმე: "შემაძლებინე, მაღალო ღმერთო, მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო, მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო, ტრფიალი მისი არ განმიქარვო" (ქართული საგალობელი) (10,31).

მოძმის სიყვარულის უარმყოფელი უზენაესი სიყვარულის საფეხურამდე ვერასოდეს ააღწევს: "განა ღმერთს ჰყვარობს, მოძმეს თვისას ვინც პატივს არ სცემს, მართალთა შორის განა არის ის შესარაცხი?" (ბიბლიური რემინისცენიები) (1,96).

პოეტის იდეალია "მამულის ტრფობით ნაშიმშილები" ადამიანი (მამაცი მხედრის) (10,14).

გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის "მესამე გზის" გამკვლევად სიყვარულს გაიაზრებდა მერაბ კოსტავა: "...მესამე გზა... შენ გეპყრა აქ სიყვარულით, იქ სივრცეების დაპატრონებით" (გალაკტიონი) (10,154).

კოსმიურ ჰარმონიას და სფეროთა მუსიკას უზენაეს სიყვარულთან აიგივებდა პოეტი: "კოსმიური ჰარმონია და სფეროთა მუსიკა სხვა არაფერია, თუ არა უზენაესი სიყვარული" (9,57).

სიყვარული მოითხოვს მსხვერპლს, თავდადებას: "...ვაჟკაცურ გზნების გარეშე არ არის ქვეყნად არც სიყვარული" (იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს) (9,22-23).

სიმონ ზაქარაია

გია კვაშილავა, მსოფლიოში აღიარებული მკვლევარია

„ძალიან ვაფასებთ თქვენს სამეცნიერო თვალსაზრისს, ცოდნასა და ძალისხმევას, რამდენადაც ვიცი, თქვენ დისკოს ერთადერთი მკვლევარი ხართ, რომელმაც გაბედა და თავის დაბეჭდილ გამოკვევაში ჩართო მითოლოგიის პერსონაჟები“

დიტერ რუმფელი
გერმანელი მკვლევარი, ლონდონი

ფესტოსის დისკო

Side A of the Phaistos Disk

Side B of the Phaistos Disk

ფესტოსის დისკოს შესახებ მოკლე ცნობები

1908 წლის 3 ივლისს საბრძნეთის კუნძულ კრეტაზე, საარქეოლოგო ქალაქ ფესტოლში, მინოსის სასახლის ნანგრევებში, გათხრებისას იტალიელმა არქეოლოგმა, დოქტორმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა წარწერებიანი დისკი, რომლის დიამეტრი 16 სმ-ია, ხოლო წონა 380 გრ. მის ორივე მხარეზე სპირალურად დაბეჭდილია 63 სიტყვა-კომპოზიტი. „ფესტოსის დისკო“-მ სახელწოდება მიიღო იმ ქალაქის სახელის მიხედვით, სადაც იგი იქნა აღმოჩენილი.

მცირე ცნობები იმ ეპოქის შესახებ, როდესაც ქართველურმა ტომებმა შექმნეს „ფ.დ“-ს სილაბურ-ლოგოგრაფული დამწერლობა

„ფესტოსის დისკოს“ შექმნის სავარაუდო ეპოქა ისტორიასა და არქეოლოგიაში მოღვაწე მეცნიერებმა მიახლოებით დაათარიღეს და იგი მიეკუთვნება ძვ.წ. 1850-1600 წ.წ. ისტორიული წყაროების მიხედვით, ეს ის პერიოდია, როცა ხმელთაშუა ზღვის აუზის გარშემო დიდ სივრცეებზე ცხოვრობდა ავტოქთონური მოსახლეობა, კერძოდ ქართველური ტომები, პელაზგები და ეტრუსკები, მაშინ მათი ცივილიზაცია ტროელებთან, კოლხებთან ერთად აღმავლობას განიცდიდა. ამ ეპოქაში, ჯერ კიდევ არ ჩანს პელაზგების კულტურის დაღმავლობის პერიოდი. „სწორედ ქართველურმა ტომებმა შექმნეს უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მიკენზე და ძველ საბერძნეთზე“ (ზ. გამსახურდია „წერილები, ესეები“ თბ. 1991 წ)

პელაზგების ეს უბრწყინვალესი ეპოქა ჩვენგან 40 ათასი წლითაა დაშორებული, მაგრამ საუბედუროდ იგი დიდხანს არ გაგრძელებულა, იწყება ინდოევროპელ, კერძოდ ბერძენ ტომთა ურიცხვი და უწყვეტი შემოსევები ათეული წლების განმავლობაში, რასაც პელაზგებისა და ტროელების ცივილურმა სამყარომ, მიუხედავად თავგანწირული წინააღმდეგობისა ვერ გაუძლო და დაეცა. მოხდა კულტურის დეკადანსი და ჩვენი წინაპრების დიდი უმრავლესობის დეპორტაცია.

აქვე მინდა მოვიყვანო ამონარიდები აკაკი გასვიანის სტატიიდან „სიმართლე-ჭეშმარიტი ისტორიის საფუძველი“, რომელიც მან გამოაქვეყნა ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მე-2 ტომში. ეს და მრავალი სხვა წყაროები წარმოადგენას მისცემს ბევრ მკითხველს, თუ რა როლი ეკუთვნის ქართველურ ტომებს საზოგადოების გნვითარების ადრეულ საფეხურზე, ცივილური სამყაროს შესაქმნელად, მაშინ როცა სხვა ტომები საკვების მოპოვებისათვის ათასობით და ასიათასობით იხოცებოდნენ

ბატონი ა. გასვიანი სვამს კითხვას – ვისი ცივილიზაციაა უწინარესი? და პასუხობს: იმათი, რომელმაც შექმნა კაცობრიობის წინარე კულტურა. . ., და იგი შექმნა ქართველურმა, შონურ-მარგალ-იბერიულმა ტომებმა:

„რჩეულ ისტორიკოსთა გამოკვლევების მიხედვით, უძველს დროში, შუა იტალია დასახლებული იყო პელაზგებით (ტირენებით) და იბერო-გალური წარმოშობის აბორიგენებით. . ., რომლებიც ეწეოდნენ მიწათმოქმედებას“ - ო. იგერი, გერმანია.

„ძველად დასავლურ ევროპაში..., დაახლოებით რეინიდან დასავლეთით და ალპებიდან სამხრეთით ისევე, როგორც ჩრდილო აღმოსავლეთ ევროპაში, წინა აზიასა და კავკასიაში, ბინადრობდა არაინდოევროპულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა“. „ხმელთაშუაზღვის უძველესი მოსახლეობა კავკასიის ჩათვლით, ლაპარაკობდა ერთ ენაზე, ანუ ურთიერთშორის ახლო მონათესავე ენებზე“. – ე.გრიგორიევი, ბულგარეთი.

„პელაზგები – მატერიკული საბერძნეთის უძველსი ტომები არიან... ღმერთების კულტი საბერძნეთში პელაზგების შემოღებულია. დიოსქურების, ჰერას, ვესტას, თემიდას, ქარიტებისა და ნერეიდას, ღმერთების სხვა კულტები პელაზგებმა შემოიღეს საბერძნეთში – ჰეროდოტე, უძველესი ისტორიის მამა, ბერძენი.

„...მით უფრო არ დაუწყია ცივილიზაცია საბერძნეთს, მას ამ დარგში მეტი აქვს მიღებული, ვიდრე გაღებული. საბერძნეთი ბედნიერი მემკვიდრე იყო“ - ნ. შიერა, აშშ.

„პლაზგები – იყვნენ რა ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდნენ. თავიანთი „ბერძნული“ დამწერლობა ძველმა ელინებმა პელაზგებისაგან მიიღეს. აქვე არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უძველეს ფინიკიურ ალფავიტს ასევე პელაზგურს უწოდებდნენ“. ა. ნაგოვიცინი, რუსეთი.

„პელაზგებს თითქმის მთელი მსოფლიო ჰქონდათ დაპყრობილი“ - პლუტარქე.

„ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შენარჩუნებულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები“ - ე.დემოლინსი, საფრანგეთი.

„სამხრეთ ევროპის – პირენეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის, კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული“ — ვ. ჰუმბოლტი, გერმანია. პელაზგები ითვლებიან „უძველეს ხალხად, ყველა ტომის მამათავრად, რომლებიც ურყევად და განსაკუთრებულად დგანან. (ტრაბონი).

„იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამდეროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში“ - ა. მორტონი, ინგლისი. აქვე მინდა ვთქვა ის ჭეშმარიტი ფაქტი, რომ შოტლანდიის მაღალმთიან ტერიტორიაზე თავიანთი ცივილიზაცია შექმნეს ბრიტანეთის ერთ-ერთმა უძველესმა და უძლიერესმა, სიმამაცით განთქმულმა იბერიელმა ტომებმა პიქტებმა, რომელთაგან ბევრი დამარცხება იწვნიეს რომაელებმა. პიქტების სამეფომ განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღწია VI-VIII საუკუნეებში.

„ძველი იბერები, რომელთა ჩამომავლებიც არიან ბასკები, ეკუთვნოდნენ ნეოლითურ ხმელთაშუა ზღვის მოდგმას“ - ჰ. უელსი, ინგლისი.

„პროტოქართული, ანუ იაფეტური (იაფეტი – ნოეს ძე) ფუძე ენა არის ერთიანი გლოტოგონური ფენომენი, საერთო საფუძველი ყველა ენისა“ - ნიკო მარი.

წინაბერძნული მოსახლეობის ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ სხვადასხვა დროს თავიანთი საკმაოდ დამაჯერებელი ვარაუდი გამოთქვეს გამოჩენილმა მეცნიერებმა ვ. ჰუმბოლტდმა, პ.

კრეჩმერმა, ან. მეივემ, ედ. შვიცერმა, ფ. შახერმეიერმა, ვლ. გეორგიევმა, ედ. ფურნემ, რ. შმიტ-ბრანდტმა, რ. ბეეკეევსმა, ქართველმა მეცნიერებმა: ს. ყაუხშიშვილმა, ს. ჯანაშიამ, აკ. ურუშაძემ, თ. გამყრელიძემ, რ. გორდეზიანმა, ზ. გამსახურდიამ და სხვებმა.

„კოლხური ოქროდამწერლობის“ (ბერძნულად „ხრისოგრაფია“) შესახებ ცნობები უმთავრესად დაცულია ბერძენი ავტორების: ევჰემეროსის, ხარაქს პერგამონელის, იოანე ანტიოქელისა და თესალონიკის მთავარეპისკოპოსის ევსტათეოსის თხზულებებში.

კოლხურ დამწერლობებზე — კირბებზე ცნობები შემოგვინახეს ძველბერძენმა ავტორებმა კრატინემ, ლისიამ, პლატონმა, თეოპომპე ქიოსელმა, აპოლონიოს როდოსელმა, სტრაბონმა, პლუტაქემ და ა.შ.

„ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში უკვე არსებობდა მეგრულ-ჭანურის წინაპარი „ზანური“ დიალექტი..., აია ქვეყნის მეფე აიეტი და მისი მემკვიდრენი დასავლურ-ქართულ დიალექტზე მეტყველებდნენ, რომლის დღევანდელი გაგრძელებაა ჩვენთვის ცნობილი მეგრული და ლაზური“ - თამაზ გამყრელიძე.

„უძველესი ქართველური ტომების ენა – წერს უკვე უძველესი, ანტიკური და შემდეგდროინდელი ისტორიების ღრმად მცოდნე დოქტორი გია კვაშილავა – ამჟამად ნაწილობრივ მეგრულ-ლაზურში, სვანურში და იმ ძველქართულშია შემონახული, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონში მოიპოვება.

სწორედ ამ ენებში დაცული სიტყვების ძირების საფუძველზე მოხდა „ფესტოსის დისკოს“ ტექსტების სრული გაშიფრვა – ამბობს გ. კვაშილავა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე 4000 წლის წინანდელი პირველი ბეჭდვითი სიტყვის რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის, საყოველთაოდ ცნობილი „ფესტოსის დისკოს“ აღმოჩენა კუნძულ კრეტაზე, სრულებით არ უნდა იყოს მოულოდნელი მეცნიერებისათვის, რამეთუ ასეთი დამწერლობების შესაქმნელად იმ პერიოდისათვის არსებობდა რეალური წინამძღვრები, რაც საზოგადოების განვითარების მაღალი დონით განისაზღვრებოდა.

„ფესტოსის დისკო“-ს გაცოცხლება და ამეტყველება სამ დიდი მკვლევართან ასოცირდება

ბატონი ლუიჯი პერნიე

Luigi Pernier

დაიბადა 1874 წელს.

1909-1916 წ.წ. იყო სკოლის დირექტორი. დამთავრებული აქვს რომის უნივერსიტეტი. 1902 წლიდან მუშაობდა ფლორენციის არქეოლოგიურ მუზეუმში ზედამხედველად, ხოლო 1916 წლიდან 1923 წლის ბოლომდე მუზეუმისა და არქეოლოგიურ კვლევების ხელმძღვანელის მოადგილედ ეტრურიაში (ფლორენცია)

1916 წლიდან არჩეულ იყო დოცენტად არქეოლოგიის ელინურ-რომაული ხელოვნების ისტორიის დარგში.

1920-23 წ.წ. იყო ამავე დარგის პროფესორი ფლორენციის უმაღლესი განათლების ინსტიტუტში.

1920 წლის აგვისტოდან არჩეულ იქნა ლინჩეის აკადემიის წევრ-კორესპოდენტად. 1908 წელს, გათხრებისას კრეტაში არქეოლოგიურ ქალაქ ფესტოსში აღმოაჩინა წარწერებიანი დისკი – შემდეგში ფესტოსის დისის სახელწოდებით. გარდაიცვალა 1973 წელს.

ბატონი ჰერბერტ ძებიში

დაიბადა 1920 წელს ჩეხოსლოვაკიაში –აუსიტში, ელბაზე. მან შეისწავლა ეკონომიკა. გრაციის უნივერსიტეტში (ავსტრია) სწავლობდა ქიმიურ საინჟინეროზე. II მსოფლიო ომის შემდეგ ძებიშის ოჯახი ჩეხოსლოვაკიიდან ავსტრიაში გადავიდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი სწავლობდა პელაზურ კოლხურ ენას. შეადგინა უძველესი ენების კომპიუტერული ჩ პროგრამა, რომლის მიხედვით დაადგინა, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა კოლხურია. მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს გზა შეიძლებოდა წარმატებული ყოფილიყო „ფ.დ“-ს

დეშიფრირებაში და სცადა მისი ამოკითხვა. თუმცა ეს მან ვერ შეძლო. ძებიშმა შექმნა თეორია, რომ პროტო-ბერძნულ ენაში, ზოგიერთი სიტყვის ძირები წარმოშობილია კოლხურიდან.

ბატონი გია კვაშილავა

დაიბადა 1972 წელს საქართველოში, მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში. 1989 წელს დაამთავრა ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სპეციალიზირებული სკოლა.

1995 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო 1998 წ. ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა მათემატიკური ფიზიკის სპეციალობით.

1990 წლიდან მუშაობს კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი პირველი ბეჭდვითი დოკუმენტის „ფდ“ გაშიფრვაზე, რომელიც 2001 წ. დაასრულა.

არჩეულია „ფაზისის“ ,აფხაზეთის მეცნ. აკადემიების ნამდვილ წევრად.

ფესტოსის დისკოს გაშიფრვის ერთერთი
გზა საქართველოში მოდის

ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან თითქმის 100-მა წელმა გაიარა (1908), მაგრამ მსოფლიოში ვერც ერთ ქვეყანაში, ვერც ერთმა ცნობილმა მეცნიერმა, ვერც მოქმედი და ვერც არქაული ენების გამოყენებით მისი ამოკითხვა ვერ შეძლო.

ბევრი ჭკვიანი და დაკვირვებული მეცნიერი ადრევე გაერკვა საქმის ვითარებაში, რომ საუკუნის განმავლობაში წარმოებული უშედეგო კვლევის მიზეზი იყო მათ მოღვაწეობაში გამოყენებული მანამდე აღიარებული მეთოდები და ენები, რომლითაც ისინი წარმატებებს აღწევდნენ სხვა დამწერლობების წაკითხვისას.

„ფესტოსის დისკოს“ თანამედროვეთა შორის პირველი მკვლევარი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა „ფ.დ.“ დეშიფრირების მეთოდებისა და ენების შეცვლა კვლევის გაგრძელებისას იყო ავსტრიელი ინჟინერ-ქიმიკოსი ჰარბერტ ძებიში (სხვათა შორის იგი ვარაუდობდა თავისი გვარის ლაზურ წარმოშობას და როცა საქართველოში ჩამოვიდა, აქ ამაში უფრო დარწმუნდა, როცა მას მოახსენეს, რომ მისი გვარის იდენტური აქაც არსებობდა – ძებისაშვილები)

რომ არა ჰერბერტ ძებიში და მისი თავგანწირული მოღვაწეობა, რომელიც მიმართული იყო ფ.დ. გასაშიფრავად, ჩემი ღრმა რწმენით ეს ისტორიული, თამამად ვიტყოდი, ზოგასაკაცობრიო დოკუმენტი სამუდამოდ დარჩებოდა ენიგმატად, ანუ ამოუცნობად. მარტივად რომ ვთქვათ, ძებიშმა წრე შეკრა ლუიჯი პერნიეს მიერ აღმოჩენილ ფ.დ-სა და მის ერთერთ გამშიფრავს გია კვაშილავას შორის. ამ სამიდან ერთის არ ყოფნის შემთხვევაში ფ.დ. –ს არსებობა და მისი გაშიფრვა ალბათ არ მოხდებოდა.

ჰერბერტ ძებიშმა „ფესტოსის დისკო საქართველოში „ჩამოიტანა“

ფ.დ.-ს საქართველოში მოხვედრა ძებიშის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა. სანამ ეს თავგანწირული მკვლევარი მას საქართველოში ჩამოიტანდა, მან უდიდესი მუშაობა გასწია მის გასაშიფრავად.

გაშიფრვის დაგვიანებას, ყველაზე მტკივნეულად ძიებაში განიცდიდა. მან შექმნა კომპიუტერული პროგრამა (ჩ), რომელშიც ცდიდა ყველა იმ ენების მარცვლებს, რომლითაც მკვლევარები ცდილობდნენ მის ამოკითხვას. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო ვერც ერთმა მარცვალმა „მადა“ ვერ გაუხსნა კომპიუტერს, როცა მან ქართული მარცვლები მიაწოდა, დადებითი პასუხი მიიღო. ამის შემდეგ

შეძლებისდაგვარად სწავლობს პროტოქართველურ ენებს და გამოაქვეყნა კიდეც წიგნები „იბერული – ღმერთების ენა“, „პელაზგური-იბერიული ენა“ და სხვა, სადაც იგი აყალიბებს მტკიცე აზრს – წინაბერძნული მოსახლეობის ენა „პელაზგურ-ქართველურ ენათა დედაა“, აქედან ასკვნიდა, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის ენა პროტოქართველურ-კოლხურია“.

ამ გამოკვლევის დროს იგი იმდენად ღრმად ჩაწვდა საქმის ვითარებაში, რომ მან შექმნა თეორია, სადაც ძველ ენებს ეტრუსკულსა და პელაზგიურს ფესვები ქონდა ძველ კოლხურში. მისი თეორიის მიხედვით „ტროას ომის“ ყველა გმირს საუბარი შეეძლო ერთმანეთთან, ხოლო ტროას დაცემის შემდეგ კოლხური ენა წყდება.

ამ და მსგავსი მოსაზრებებზე დაყრდნობით იგი მოხსენებებით გამოვიდა 1988 წლის ბუდაპეშტის I-ს XVIII საერთასორისო კონგრესზე, 1991 წელს კრეტოლოგთა (კრეტა-საბერძნეთი), ხოლო იმავე წელს მიკენოლოგთა კონგრესზე (რომი-იტალია).

ძებიში 1990 წელს საქართველოში ჩამოდის მის ვაჟიშვილთან ჰერმანთან ერთად, ეს მისი დიდი ოცნება გახლდათ. მან „ ფესტოსის დისკოსთან“ დაკავშირებით მოხსენება წაიკითხა ვანის მე-6 საერთაშორიო სიმპოზიუმზე.

ჰერბერტ ძებიშის საქართველოში ჩამოსვლისას 1990 წელს, მომავალი გენიოსი ფ.დ. გამშიფრავი გია კვაშილავა მხოლოდ 16 წლის ჭაბუკი გახლდათ. მას კიდევ 10-12 წელი რომ ეცხოვრა (იგი 1993 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა 73 წლის ასაკში) და მოსწრებოდა გია კვაშილავას ბრწყინვალე შედეგებს, რასაც იგი დაბეჯითებით წინასწარმეტყველებდა, ის უბედნიერესი კაცი იქნებოდა.

პირველად 1989 წელს 13 დეკემბერს, გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე დაიბეჭდა ისტორიკოსის ნინო კიღურაძის სტატია ფ.დ შესახებ და იქვე იყო მოთავსებული დისკოს ერთი, მხარე. სწორედ იმ დღესვე, როცა 16 წლის გ. კვაშილავამ წაიკითხა ეს სტატია თქვა – მე მას გავშიფრავო და სწორედ იმ დღიდან დაიწყო მისი მიზანმიმართული გამოკვლევები „ფესტოსის დისკოს“, ამ დიდი პრობლემური საკითხის გადასაწყვეტად, რომელზედაც უშედეგოდ 70-80წლის განმავლობაში იღწვოდნენ დარგის მსოფლიოსი ცნობილი მეცნიერები.

რა თქმა უნდა, ადვილი მისახვედრია ამ ნიჭიერ, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილკაცს, ჯერ კიდევ პოტენციურ მკვლევარს, გია კვაშილავას თუ რა კოლოსალური შრომა დასჭირდებოდა იმ აუცილებლად საჭირო, უსათუოდ დეფიციტური ლიტერატურული წყაროების მოსაძიებლად და დასამუშავებლად, რის გარეშე ალბათ მეცნიერული მოღვაწეობის წარმართვა წარმოუდგენელიც იყო.

მისი დაუცხრომელი მოღვაწეობის საწყის ეტაპებზე, ჩემის აზრით მან სავსებით სწორად, გარკვეული პრიორიტეტი მიაკუთვნა იმ ცნობილ მეცნიერთა გამოკვლევებს და მათ მიერ გაკეთებულ დასკვნებს, რომლებიც ძალიან ხშირად ურთიერთგამომრიცხავ არგუმენტებსაც შეიცავდა. ახალგაზრდა მკვლევარს არც ერთი დიდი მეცნიერული ნაშრომები ნაშრომები ფ.დ. შესახებ ბრმად არ გადმოუტანია, არამედ მრავალ ფაქტების და მოსაზრებათა შეპირაპირების შემდეგ ერთადერთ სწორ დასკვნებს აყალიბებდა, რაც მას ნაბიჯ-ნაბიჯ სანუკვარ ფინიშამდე მიჰყავდა.

ამის საილუსტრაციოდ მე აქ მინდა მოვიყვანო მრავლიდან ერთი პუნქტი, ამონარიდი ოფიციალური დასკვნიდან, რომელიც გასცა 2007 წლის 17 მაისს გ კვაშილავას მიერ გაკეთებული მოხსენების შემდეგ, თბილისი ივ. ჯავახისვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, დიდმა და სასიქადულო მეცნიერმა, ბატონმა რისმას გორდეზიანმა: „1. ბატონმა გია კვაშილავამ ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი და შრომატევადი სამუშაო ფესტოსის დისკოს დეშიფრირების ისტორიის, პრობლემების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის მიმართულებით“. . . დასკვნაში მოცემული შეფასებას კომენტარი არ სჭირდება.

საბედნიეროდ, თბილისში გია კვაშილავას მიერ საჯარო თუ დახურულ კარს მიღმა ჩატარებულ მოხსენება—ლექციების უმრავლების დავსწებივარ (გამოქვეყნებული მაქვს 7-8 სტატიაც), სადაც საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიც (თ. გამყრელიძე) კი ესწრებოდა, და რაოდენ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მისი ყოველი მოხსენება, მუდამ დიდი ხელოვნებით, მაღალი კვალიფიკაციითაა და განსაკუთრებული პასუხისმგებლბის გრძნობით მიმდინარეობდა (2,3 და ზოგჯერ 5 საათის განმავლობაში).

ასევე ზეამაღლებული იყო მისი მოხსენება ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ფესტოს დისკოს აღმოჩენიდან 100 წლისათვის.

კონფერენციაზე ფ.დ. სრულყოფილი გაშიფრვის შესახებ გია კვაშილავას ასეთი კლასიკური სტილის მოხსენება, ზოგიერთის შეფასებით მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილს უფრო გავდა. მის დამაჯერებელ, ლოგიკურ არგუმენტების ქურაში გამოდნობილ და გამოძერწილ დასკვნებს უბატონოდ პასუხი ვერავინ გასცა. ეს იყო არა მარტო ქართველი მეცნიერის დიდი გამარჯვება, არამედ ჩვენი საამაყო წინაპრების პროტოქართველური ტომების ცივილიზაციის გაბრწყინების გვირგვინი, რაზედაც უამრავი ლიტერატურულ წყაროები მოიპოვება.

კონფერენციაზე მსოფლიოში ცნობილი მეცნიერთა მიერ გამოთქმული შეფასებები, გია კვაშიალავას მოხსენების გარშემო ლონდონში ასეთია;

ჩამოვთვლი რამდენიმეს: „ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! თქვენი მოხსენება გამორჩევით საინტერესო ჩანს, ვფიქრობ, მას დიდი კამათი მოჰყვება. საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის ორგანიზატორი დოქტ. აიზენბერგი

„დოქტორი მერონი და მე მივესამლებით თქვენს მიერ ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის მსვლელობაში შეტანილ წვლილს“ (დოქტ. პიტერ კლეიტონი, დიდი ბრიტანეთი, ლონდონი 2008 წ. 26 აგვისტო).

„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! დარწმუნებული ვარ, თქვენი კვლევა და აღმოჩენები დრამატულად შეცვლის აქამდე დამკვიდრებულ ბევრ ძველ შეხედულებას“ დოქტორი იოხენ ციგენფუსი, ავსტრია, ვენა 2008 წ. 14 ოქტომბერი.

ფესტოსის დისკოს – კოლხური ოქროდამწერლობა

დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინანდელი, მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის, საყოველთაოდ ცნობილი „ფესტოსის დისკოზე“ – კოლხური ოქროდამწერლობით ამოტვიფრული საგალობლის ბწკარების თარგმანი თანამედროვე ქართულით:

– მხარე

აია-ჭაბუკნო, განმწმედელ(ნ)ო, დაფარული ტაძრი(ს) /ლაბირინთი(ს?.
აია-ჭაბუკნო, სადარ(ნ)ო,
განმწმედელ(ნ)ო, დედის კარი(ს),
დაფარე(თ) თაღი გაღვთიურებულ(ნ)0!
ქვეყნის სიმაღლისა(ნ)ო /სოცოცხლის ძალ(ნ)ო/,
წინმავალ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო /მფარავ(ნ)ო მფარველ(ნ)ო ანგელოზ(ნ)ო/,
ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო/ შემწე(ნ)ო/,
ჰქმენ(თ) დაფარული ტაძარი /ლაბირინთი/.
ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო /შემწე(ნ)ო/,
მარადმავალ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო /მფარავ(ნ)ო მფარველ(ნ)ო ანგელოზ(ნ)ო/
გარდაჰქმენი(თ) აიას სოცოცხლე ყველანაირად.
შუაღამის თვარ(ით) განათებულ(ნ)ო,
დედის ქვეყანა მუდამ დაფარე(თ)ო,
დაასხ(ნ)ით ხელ(ნ)ი, ბრუნვა-ფარვა სხივოსანი მფარავ(ნ)ო,. . .
ოჯახის ფუძ(ის), ჯიშის სვლა-ბრუნვ(ის) განმწმედელ(ნ)ო.

– მხარე

ოჯახის წყაროვ, სულო მშობელო,
მოდგმის ნენანავ,
ააყვავე ხუთი შტო მშვენი,
ჯიშის სიწმიდით, ახლით ნირშემოსილი.
ერთო ძლიერო შტოვ,
ოჯახის წმიდავ, ძლიერო,
თავურო ხუთი შტო(ისა),
მფარველსხივოსანი ნანაღმერთი /დედაღმერთო/,

წინამძღოლო,
ხანგრძლივ ჰყავ დედის ტაძარი /სპილენძისა/.
მაყვავებელო თარხონო,
ნათელო ჰეფესტოო /ოსტატღვთაებაო/,
მდნობელო, წინამძღოლო, განმწმედელსხივოსანო,
დაფარე(თ) მისი მოგიზგიზე სასახლე, -
ჩვენო მჭედელო, ახლითმოსილო მთვარისნაირო.
დასასრული
მათემატიკოსი გია კვაშილავა.

ნანი ჭანიშვილი

გია კვაშილავას აღმოჩენა XXI საუკუნის დასაწყისის სამეცნიერო ლიტერატურაში

როგორც ბიბლიაში სწერია, ადამიანი ხშირად უყურებს, მაგრამ ვერ ხედავს... ისმენს, მაგრამ არ ესმის... ჩვენს გარშემო უამრავი რამ არსებობს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და არ გვესმის, რადგან „ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს...“

რაც ჩვენ ვერ დავინახეთ, ის სხვებმა დაინახეს და გაიგონეს...

ალბათ, ვინაიდან „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“, განგების ნება იყო, რომ სწორედ ჩვენ დროში, ჩვენს ქვეყანაში, მოხდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა, რომელიც ჩვენს თანამემამულეს, ახალგაზრდა მათემატიკოსს გია კვაშილავას ეკუთვნის. ეს აღმოჩენა მდგომარეობს შემდეგში:

მსოფლიოს უძველესი „ბეჭდვითი დოკუმენტი“ შექმნილია პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე;

ეს არის ე.წ. ფესტოსის დისკოს წარწერა.

ფესტოსის დისკო ნაპოვნია ხმელთაშუაზღვის კუნძულ კრეტაზე იტალიელი არქეოლოგის ლუიჯი პერნიეს მიერ დაახლოებით 100 წლის წინ. მიუხედავად მრავალრიცხოვანი მცდელობებისა გამოჩენილი მეცნიერების მხრიდან გაეშიფრათ ფესტოსის დისკოს წარწერა, ეს ვერაფრით ვერ ხერხდებოდა. წარწერას ფონეტიკურად კი „კითხულობდნენ“, მაგრამ „წაკითხული“ ტექსტი არ ეთანადებოდა ამ მეცნიერთათვის ცნობილ არც ერთ ენას. რის გამოც ტექსტი მათთვის გაუგებარი რჩებოდა; იმასაც კი ვერ ხვდებოდნენ, თუ რა ტიპის ტექსტი იყო ფესტოს დისკოზე აღბეჭდილი.

ათასნაირი ინტერპრეტაცია იყო შემოთავაზებული. ვარიატიები იყო მრავალფეროვანი და მოიცავდა ყველა სფეროს — თამაში ეგვიპტური, უცხოპლანეტელების მესიჯი, ლოცვა ვულკანის ამოფრქვევასთან დაკავშირებით, ასტრონომიული დოკუმენტი, კალენდარი, აცტეკებისა და მაიას დისკების კომბინირება ატლანტიდასთან დაკავშირებით და სხვა მრავალი. მაგრამ არც ერთი ეს ჰიპოთეზა არ შეეთანადებოდა სინამდვილეს და პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა დღევანდელობამდე.

ისე, როგორც თითქმის ყველა მსგავსი აღმოჩენა, ფესტოსის დისკოს გაშიფვრა მოხდა ჩვენი თანამემამულისა და თანამედროვესი ახალგაზრდა, ნიჭიერი მათემატიკოსის გია კვაშილავას მიერ.

გია კვაშილავამ აღმოაჩინა, რომ ფესტოსის დისკოს ტექსტი პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზეა დაბეჭდილი ორიგინალური კოლხური სილაბურ-ლოგოგრამული ოქროდამწერლობით.

გია კვაშილავას მრავალწლიანი, დაუღალავი და მაღალ-პროფესიული კვლევის შედეგი დღეს სახეზეა და მან უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. ამ აღმოჩენის შესახებ იბეჭდება

მსოფლიოს ყველაზე გავლენიან სამეცნიერო კრებულებში, ჟურნალებში ენციკლოპედიებში და მონოგრაფიებში. ერთ-ერთი მონოგრაფია შტონეს ტჰატ შპეაკ - „ქვები, რომლებიც მეტყველებენ“, რომელიც ინგლისში, კემბრიჯშია გამოცემული 2010 წელს და რომლის ავტორია რობერტ მორიტი, თითქმის მთლიანად ეძღვნება გია კვაშილავას ამ გასაოცარ აღმოჩენას, მონოგრაფიის ავტორი იმდენადაა აღფრთოვანებული გია კვაშილავას ამ ფუნდამენტური კვლევით, რომ **მონოგრაფიაში აქვეყნებს გიას ბიოგრაფიასა და სამ სურათს, რათა მსოფლიომ დაინახოს კაცი, რომელსაც წილად ხვდა პატივი შეეცვალა და შეევსო კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების ისტორია ახალი ხედვით.**

ამ აღმოჩენამ გია კვაშილავა მსოფლიო მეცნიერების თვალში ნიკო მარის გვერდით და მის დონეზე დააყენა და ნიკო მარი და გია კვაშილავა ერთად მოიხსენიება, როდესაც ლაპარაკია ქართველთა უძველეს კულტურაზე და მათ, ანუ ქართველთა, გავლენაზე ხმელთაშუაზღვის არეალში 4-7 ათასი წლის წინ და შემდგომ პერიოდში (ჟოურნალ ოფ ინგუისტიც ნტჰროპოლოგყ, Vოლ. 21, Iსსუე 1, პპ. 78-98, IშშN 1055-1360, IშშN 1548-1395. აშშ, 2011) იკო არრ ანდ შეარცჰ ფორ ინგუისტიცალლყ როვენ ეორგიან რიგინს, ”ჰისტორიცალ-პჰილოლოგიცალ ინვესტიგატიონს ინტო არცჰაიც რეფერენტიალლყ ამბიგუოუს ლანგუაგე ინ ტჰე მანნერ ოფ იკო არრ ანდ ია ვასჰილავა ონ ტჰე ონე ჰანდ, ანდ ტჰე მობილიზატიონ ოფ ტჰე ლიგუისტიცალლყ ინდეტერმინატე ინ პურსუიტ ოფ ავანტგარდე აესტჰეტიცს ონ ტჰე ოტჰერ, არე ტჰე წაყს ინ წჰიცჰ ტჰე ნონ-რეფერენტიალ ტეხტს ოფ ეორგიან ტრადიტიონალ სონგ ჰავე ბეენ აპპროპრიატედ ას ან ინდეხ ოფ ცულტურალ დისტინცტიონ ტჰროუგჰოუტ ტჰე მოდერნ ერა.”

ამ აღმოჩენამ მსოფლიო მეცნიერებს სხვაგვარად დაანახა ხმელთაშუაზღვის არეალის ცივილიზაციების განვითარების ისტორია და ქართველთა როლი ამ განვითარებაში და ისტორიაში.

გია კვაშილავა მათემატიკოსია, მაგრამ ამ წლების მანძილზე მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა ლინგვისტიკა, რამაც შესაძლებლობა მისცა მას ფესტოსის დისკზე ამოტვიფრული ტექსტის ლინგვისტური კუთხით კვლევისა, რის შედეგადაც მიღებულია განსაკუთრებით საინტერესო შედეგები:

მტკიცდება თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ჰიპოთეზა პროტო-ქართველური ენობრივი სისტემისა და ელემენტების სტრუქტურის შესახებ, რომლის რეკონსტრუქციაც მათ მოახდინეს თავის ფუნდამენტალურ და რევოლუციურ ნაშრომში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (თბილისი, 1965);

გია კვაშილავას მიერ გაკეთებული ფართო და ღრმა ისტორიული და ტიპოლოგიური ანალიზი ფესტოსის დისკოზე ამოტვიფრული სხვა და სხვა ნიშნებისა, კერძოდ კი, ვარდულის, ცულისა და სხვა ნიშნებისა ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა მჭიდრო კონტაქტები პროტო-ქრთველურ (კოლხურ) ენასა და სხვა ენებს შორის, პროტო-ქართველურ (კოლხურ) კულტურასა და სხვა კულტურებს შორის...

2010 წელს დუბლინში, ირლანდიაში გამოიცა ენციკლოპედია თთII, რომლის ავტორია ტონი ო'კონელი, ცნობილი მეცნიერი და გამომცემელი, რომელიც დაიბადა დუბლინში, ირლანდიაში 1943 წელს. ეს არის ფუნდამენტური ენციკლოპედია, 504 გვერდიანი, სადაც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია ძველი ელინისტური სამყაროსა და ატლანტიდის შესახებ.

ენციკლოპედიაში გამოყენებულია არსებული უკიდეგანო ბიბლიოგრაფია ატლანტიდაზე და მინოსურ და კრეტულ ცივილიზაციებზე, ეგვიპტეზე, და, საერთოდ, ხმელთაშუაზღვის არეალზე და მის ქვეყნებზე, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებსა და ცივილიზაციებზე, საბერძნეთსა და პონტოზე; ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის კოლონიზაციის ეპოქაზე; ძველი რომის იმპერიასა და ალექსანდრიის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ბიბლიოთეკებში არსებულ ცნობებზე, ფესტოსის დისკოსა და გია კვაშილავას აღმოჩენაზე.

ფესტოსის დისკოსა და მის გაშიფვრას გია კვაშილავას მიერ ამ ენციკლოპედიაში ეძღვნება მთელი თავი, გვ. 331-332. ამ არაჩვეულებრივად საინტერესო ენციკლოპედიურ სტატიაში სწერია, რომ **ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ, რომლის კვლევა მოიცავს განსაკუთრებით ვრცელ და ფართო ბიბლიოგრაფიას, შემოგვთავაზა ყველაზე მისაღები და რეალური დეშიფრირება ფესტოს დისკოს ტექსტისა, რომელიც შესრულებულია პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე და რომელიც დაბეჭდილია უნიკალური კოლხურ სილაბურ-ლოგოგრამული ოქროდამწერლობით.** ენციკლოპედიაში თთII **გია კვაშილავას ნაშრომი რეკომენდირებულია როგორც საუნივერსიტეტო**

სახელმძღვანელო მაღალი კურსების სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის და ამ დარგის მეცნიერებისათვის მთელს მსოფლიოში.

ამ საენციკლოპედიო სტატიაში განხილულია თითქმის ყველა ჰიპოთეზა ფესტოსის დისკოს შესახებ. აღნიშნულია, რომ ფესტოსის დისკო ინახება ირაკლიონის არქეოლოგიურ მუზეუმში, სადაც აგრეთვე ინახება კრეტაზე ნაპოვნი არკალოხორის ცული, რომელზედაც არის 15 ნიშანი, იდენტიფიცირებული როგორც -ხაზოვანი დამწერლობისა და ფესტოსის დისკოს მახასიათებლები.

აქვე აღნიშნულია, რომ სამწუხაროდ, პროფესიონალი წეტ ბლანკეტ-ის ანუ პრფესიონალი „ურწმუნოს“ მიერ, დოქტორი ჯერომ აიზენბერგის სახით, შეიტანილ იქნა ეჭვი ფესტოსის დისკოს სინამდვილეში და ჯერომ აიზენბერგმა გამოაცხადა, რომ, შესაძლებელია, ფესტოსის დისკო იყოს ფალსიფიცირებული. საბერძნეთის მთავრობამ არ მისცა უფლება დისკოს ტესტირებისა იმ მიზეზით, რომ დისკო შეიძლება დაზიანებულიყო ან სულაც განადგურებულიყო ტესტირების პროცესის დროს, რაც სრულიად შესაძლებელი იყო, ვინაიდან დისკო ძალიან ფაქიზია, სუსტი და მტვრევადი. საბერძნეთის მთავრობის სიბრძნემ გადაარჩინა ფესტოსის დისკო. ხოლო, რაც შეეხება ეჭვს მისი ფალსიფიცირებულობის შესახებ, ეს ეჭვი უმალვე კვამლივით გაიფანტა, როგორც ჩვეულებრივ ემართება ყველა ტყუილს.

ეს საენციკლოპედიო სტატია მთავრდება გია კვაშილავას აღმოჩენით, მისი შეფასებით, როგორც მაღალი დონის სამეცნიერო კვლევისა და ამ ნაშრომის რეკომენდაციით სტუდენტებისათვის და მკვლევარებისათვის.

უნგრეთში გამომავალ ჟურნალ „არგონავტიკაში“ და იმავე სახელწოდების მონოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნდა 2010 წელს და რომლის ავტორია ცნობილი უნგრელი მეცნიერი ქსიზი სანდორი, მრავლადაა გია კვაშილავას აღმოჩენაზე საუბარი. **ფართოდ და მრავალმხრივ არის გაშუქებული გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევის სხვა და სხვა ასპექტები და ნათლადაა ნაჩვენები, რომ არგონავტიკისათვის ეს აღმოჩენა უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს.**

ბოლო დროის სამეცნიერო პუბლიკაციები აჩვენებს. რომ შეუძლებელია იკვლიო ეს დრო, ეს არეალი, ეს თემა და, საერთოდ, ცივილიზაციის განვითარების ისტორია ისე, რომ მხედველობაში არ მიიღო გია კვაშილავას ეს აღმოჩენა, რომელმაც მსოფლიო მეცნიერებს სხვაგვარად დაანახა მთელი ხმელთაშუაზღვის არეალის ცივილიზაციის განვითარება, ისტორია და ქართველთა როლი ამ პროცესებში.

„კვაშილავამ არა მხოლოდ აჩვენა, რომ დისკოს ენა იმდროინდელი ქართულ-კოლხურია, არამედ მან კრეტას დაუკავშირა კორიბანტები და მათი კირბები, ერთმანეთთან დააკავშირა კრეტელი, ლემნოსელი, სამოთრაკიელი კორიბანტები. და აჩვენა, რომ იმ ენაზე, რომელზეც ისინი ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ აგრეთვე მინოსის კოლხი მეუღლე პასიფაე, მისი ძმა კოლხეთის მეფე აიეტი, აიეტის ქალიშვილი იაზონის მეუღლე მედეა და ოდისევსის მომაჯადოებელი საყვარელი ჯადოქარი კირკე“...

აი, ამას წერს ცნობილი ბერძენი მეცნიერი პროფ. ტ. კაფანტარისი (საბერძნეთი, შციენცე, 18.01.2009).

იგი აგრეთვე წერს, რომ **კრეტელებსა და ქართველებს - კოლხებს, რომლებიც მაშინ სახლობდნენ იქ, შეუძლიათ არა მარტო იოცნებონ, არამედ გაითავისონ ის, რომ ოდესღაც ისინი არა მარტო ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, არამედ იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს ჰეგემონები**...

ლიანა ფურფუმია

სამყაროს რუსთველისეული აღქმის ესთეტიკური და ეთიკური ასპექტები

მიწიერი სამყაროს ამაღლებულობისა და კოსმოსური ჰარმონიის იდეამ, რაც ზეშთასოფლისა და ამასოფლის გამთლიანების ნეოპლატონისტური გაგების ამოსავალია, სრული მხატვრული განსახოვნება პოვა „ვეფხისტყაოსანში“. აქ სამყაროც ამაღლებულია, ადამიანიც და ბუნებაც. ყველა მოვლენა კოსმოსურ ჰარმონიაშია, დაწყებული მნათობებით, დამთავრებული ქვებითა და ლოდებით. გავიხსენოთ ტარიელის საძებრად წასული ავთანდილის ვედრება ციური მნათობებისადმი. ამ პასაჟში მთელი ბუნება გაცოცხლებულია, იგი სუნთქავს, ხმიანობს, ადამიანი (ავთანდილი) უსასრულო სამყაროს (კოსმოსის) ნაწილად წარმოიდგენს თავის თავს, თანაგრძნობას ელის ციური სხეულებიდან. ეს ბრწყინვალე ადგილი სწორედ სამყაროში არსებულ კოსმოსურ ჰარმონიას გვიხატავს.

ავთანდილის სიმღერის სმენად „ველად მხეცნი მოვიდიან“. ქვებიც და ბალახებიც ყურს უგდებენ ავთანდილის მომაჯადოებელ სიმღერას. ავთანდილი შესთხოვს ციურ მნათობებს: ზუალს, მუშთარს, მარიხს, ასპიროზს, ოტარიდს და ბოლოს მთვარეს მოეხმარონ სიყვარულის განმტკიცებაში. მნათობთა ჩამოთვლა გარკვეული წესრიგით შემთხვევითი არაა, ეს რიგი მზით იწყება: მზე, სატურნი, იუპიტერი, მარსი, ვენერა, მერკური, მთვარე. ეს რიგი XII ს. საქართველოში ცნობილი რიგია, რომელიც საწყისს ანტიკური ეპოქიდან, კერძოდ, პტოლომეოსის ასტრალური სისტემიდან იღებს, მაგრამ ანტიკურ რიგში მზეს მეოთხე ადგილი უკავია, რუსთაველთან კი პირველი.

რუსთაველის პოემა ოპტიმიზმითაა გაჟღენთილი. ეს ოპტიმიზმი რენესანსული და ჰუმანისტურია. ბედნიერება ამქვეყნად ადამიანს ეკუთვნის. ბედნიერება მან უნდა მოიპოვოს თავისი აქტივობით, დაბრკოლებათა გადალახვით, როგორია ადამიანის მოქმედების, მიზნის განმსაზღვრელი ფაქტორები?

ამ კითხვაზე პასუხი გ. ნადირაძის წიგნის „რუსთაველის ესთეტიკის“ მიხედვით შეიძლება გაიცეს. რუსთაველის ეთიკური ფილოსოფია მოქმედების ფილოსოფიაა, მაშასადამე, რუსთაველის გმირთა მოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები ეთიკური ღირებულებისაა: სიკეთე, ბედნიერება, სიყვარული, მოვალეობა, ზნეობრივი სისპეტაკე, კეთილშობილება. რუსთაველის გმირები ფილოსოფიური, ე.ი. თეორიული ცოდნით შეიარაღებული ადამიანები არიან. მაგრამ ამასთან კარგად იციან, რომ თეორიული ცოდნით შორს ვერ წავლენ, საჭიროა ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.[1]

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“, – ამბობს ავთანდილი.

ადამიანს საკუთარი ქმედების, ძალის, შესაძლებლობების იმედი აქვს. ეს რენესანსული სულისკვეთებაა, მაგრამ სიკეთისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში ადამიანს, რომელმაც ახლახან გადმოაბიჯა შუა საუკუნეებიდან, ჯერ კიდევ სჭირდება გარეგანი ძალა – მხარდამჭერი. ამიტომაც მთლიანად ვერ ჩამოშორებია ღმერთის მფარველობით კალთას. ესეც რენესანსული გადაწყვეტაა საკითხისა. რადგან რენესანსული ადამიანი (როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში) ჯერ ვერ განთავისუფლებულა ღმერთის ნების ტყვეობისაგან.

პოემაში გმირთა კეთილ საქმეთ ღვთის დასტურით მოხსენიება ახლავს თან, ან თხოვნა, რომ ღმერთმა თავისი ნება შეახვედროს ადამიანის სურვილს. ბედნიერებისათვის ბრძოლას ადამიანები პრაქტიკულად თვითონ ეწევიან (პოემის მთელი სიუჟეტური ქარგა ამის ჩვენებაა), მაგრამ თეორიულად, იდეალურად ამ მოქმედებას ღვთის სანქცია სჭირდება. ეს სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო

[1] გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.

რენესანსის ეპოქაში. შუა საუკუნეებმა ვერ გადაჭრა ადამიანის მოქმედებისა და ღმერთის განგებულობის პრობლემა. თუ ადამიანის მოქმედება ღვთის ნებაა, მაშინ ცოდვის ჩადენაშიც ღმერთის ხელი ურევია, ცოდვა ადამიანზე აღარ ყოფილა დამოკიდებული და პასუხიც ზეციურს უნდა „მოეთხოვოს", – ასე წერდა დაახლოებით შუა საუკუნეების მოაზროვნე პელაგიუსი (418 წ. გარდაიც.). ეს პრობლემა აწუხებს აღმოსავლეთსაც. გავიხსენოთ ომარ ხაიამი:

„რომ არ შესცოდა ამ ქვეყანაზე, ვინ არის, მითხარ?
ის კაცი, რომელსაც არ შეუცოდავს, როგორ ცხოვრობს, მითხარ!
მე ცუდი ვქენი და შენც (ღმერთო) ცუდად გადამიხადე,
მაშ, განსხვავება ჩემსა და შენსა შორის სად არის მითხარ!"[1]

რუსთაველთან ეს საკითხი, აღმოსავლური აზრისაგან განსხვავებით, ნეოპლატონიზმის საფუძველზეა გადაჭრილი, არა შუა საუკუნეების, არამედ რენესანსის სულისკვეთებით: ადამიანის მოქმედების ძირითადი ხაზი მიწიერია, სიკეთისაკენ არის მიმართული. სიკეთე ზნეობრივი ღირებულებაა, ადამიანთან მიმართებაში ვლინდება, – ამბობს რუსთაველი.

რელიგიისადმი რუსთაველის დამოკიდებულება მკვლევართა დიდ დავას იწვევდა. ზოგს მიაჩნდა, რომ რუსთაველი ორთოდოქსალური ქრისტიანობის მოძღვარია (ვახტანგ VI, გურამიშვილი), ზოგი მასში მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარს ხედავს, ზოგი მსოფლიო რელიგიის მომხრედ მიიჩნევს, ერთი კი ცხადია ყველასათვის, რომ პოემაში არსად არ არის ხაზგასმული როგორც ქრისტეს სახელის განდიდება და ქრისტიანული დოგმების ქადაგება, ისე მაჰმადის სახელის დიდება და მაჰმადიანობის ქადაგება. რუსთაველი თავისუფლად მოაზროვნე პოეტია, პოემა, შეიძლება ითქვას, ეკუმენური სულითაა გაჟღენთილი. ტარიელი და ავთანდილი გარეგნულად თითქოს მაჰმადიანები არიან, მაგრამ არ მისდევენ მაჰმადიანურ წესს: ღვინოს სვამენ, ტარიელი ათვალწუნებით ლაპარაკობს ყურძნის შესახებ, ტარიელთან გაპარვის წინ, ავთანდილი მიზგითში ლოცულობს, მაგრამ იგი მიმართავს არა ალაჰს, არამედ კოსმოსურ ძალას, რომელმაც მიჯნურობა წარმოშვა და მისი კანონები დააწესა. გზაში ის წარმართივით ჰიმნს უგალობს მზეს, „ვის ხატათ ღვთისად გვეტყვიან ფილსოფოსნი წინანი"-ო. ე.ი. მზე ღვთის ხატია წარმართ ფილოსოფოსთათვისო. ნ. მარის თქმით, აქ შესაძლოა რუსთაველი გულისხმობდეს წარსული კულტურებიდან მომდინარე მზის ღვთაებრიობის წარმოდგენას, გაღრმავებულს ნეოპლატონიკოსების მიერ, რომლებსაც მზე არამატერიალური გონის, ღვთაების სიმბოლოდ ჰქონდათ წარმოდგენილი.

მიუხედავად მაჰმადიანური გეოგრაფიული გარემოსი, დაკვირვებული თვალისათვის ავტორი ქრისტიანული აღმსარებლობის პოზიციაზე დგას. მისი მსოფლმხედველობის უმთავრესი საყრდენი ქრისტიანული მწერლობა და ფილოსოფიაა. საკმარისია ითქვას, რომ მოულოდნელ სიტუაციებში, გარეგნულად თითქოს მუსლიმანური სამყაროა დახატული, მაგრამ აქა-იქ თავს იჩენს ქრისტიანი ავტორის თვალსაზრისი (ნახსენებია „აღდგომა", „ანუ აღვსების დღე", „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არს აღვსებისა"). მაშასადამე, რუსთაველმა კარგად იცის ეს დღე და ახსენებს მას. მეორე ადგილას ასეა: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის". ამ სტროფში, ნეოპლატონისტური თვალსაზრისით, სამყაროს იერარქიული პრინციპია მოცემული. ქვეყანა წარმოიდგინება საფეხურებად, როდესად ადამიანებიც კი არ არიან თანასწორნი, მათ შორის საფეხურებრივი წყობაა, რიგები ანუ „სირაი". კაცის ცნებაში უმაღლესია ღმერთ-კაცი ანუ ძე ღვთისა და ძე კაცისა – ესე იგი ქრისტე. მის შემდგომ საფეხურებზე სხვადასხვა ვითარების კაცები იქნებოდნენ და ასე ქვემოთ – უბრალო კაცამდე. პროზით ეს სტროფი ასე ითქმებოდა: ყველა კაცი არაა თანასწორი, დაწყებული დიდი ძე კაცით უბრალო კაცამდეო. პოემაში მოტანილია ციტატები ბიბლიიდან, დამოწმებულია პავლე მოციქული. ამრიგად, პოემაში არაა დაცული რელიგიის დასახელების სიზუსტე. ქრისტიანული ეკლესია სწორედ იმიტომ სდევნიდა „ვეფხისტყაოსანს", რომ იგი არ ასახელებს ქრისტეს და არც ქრისტიანულ სამებას, მაგრამ ავტორი ღმერთს ისეთი ეპითეტებით ამკობს, რომლებიც ქართული ქრისტიანული მწერლობის ენიდან იღებს სათავეს. ამავე დროს პერსონაჟებიც ქრისტიანული ეკლესიის წიაღში შემუშავებული ცნებებით მოქმედებენ. პოემაში ქრისტიანულ-ლიტერატურული ელემენტები მეტია, ვიდრე მუსულმანური. ღმერთიც იგივე სიტყვებით არის შემკობილი. ღმერთის ეპითეტები ქართული ქრისტიანული

[1] დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975, გვ. 275.

მწერლობიდან (ნეოპლატონური ან არეოპაგიტული) არის ნასესხები: მაგ., „მაღალი“, „დაუსაბამო“, „უჟამო ჟამი“, „მზიანი ღამე“, „ნათელი“. ყველაზე მტკიცე არგუმენტი პოემის ქრისტიანული სულისკვეთებისა ისაა, რომ პოემის მთელი მსოფლმხედველობა ქრისტიანულ ნეოპლატონიზმს – არეოპაგიტიკას, – ეყრდნობა. აქ გასათვალისწინებელია შ. ნუცუბიძის არგუმენტიც. კერძოდ, შ. ნუცუბიძემ მიუთითა პირველად, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ-რელიგიური ძირია არეოპაგიტიკა, „ქართული ნეოპლატონიზმი“. შ. ნუცუბიძე ბრალდებას, რომ რუსთველი არსად არ ახსენებს ქრისტეს ან სამებს, ასე ახსნის: არეოპაგიტიკაში, როგორც წესი, უარყოფილია ღმერთის პერსონიფიცირება, დაკონკრეტება, ღმერთის ეპითეტი ასეთია: „უთქმელი“, ღვთის კონკრეტული სახელის ხსენება არ შეიძლება, ამიტომაა, რომ რუსთაველი ყველგან მოუხმობს „ღმერთს“ და არა „ქრისტეს“ ან „სამებას“, როგორც მის სამსახოვნებას.

პოემაში უზენაესი ძალის – ღმერთის – ტრანსცენდენტურობა (მიღმურობა) ორგვარადაა წარმოდგენილი: 1. კოსმოლოგიურად; 2. ეთიკურ-ზნეობრივ კატეგორიებში. კოსმოლოგიური გაგება მთლიანად ნეოპლატონისტურ ფილოსოფიას ეყრდნობა, ღმერთი პირველმიზეზია, საწყისია, რომლიდანაც უთვალავ ფერთა სახის გაშლილი ქვეყანა ისე წარმოიშვება, როგორც შედეგი მიზეზისაგან.

„ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა!“

ეთიკური გაგება – ღმერთი უმაღლესი სათნოების განსახიერებაა, იგი სიტკბოების მწყალობელია, ბოროტების არდამბადია, სიკეთის შემოქმედია, ადამიანის მფარველია, უხვია, ჭირთა მთმენია, სოფელი კი პირიქით, ბინდის ფერია, მუხთალია, მიუნდობელია, ცრემლთმდენია. გავიხსენოთ:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

———————————————————

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!...

მაგრამ ღმერთი არ გაწირავს, კაცსა შენგან განაწირსა“.

აქ სოფლისა და ღმერთის დაპირისპირებაა ადამიანთან ზნეობრივ მიმართებაში. ხაზგასმულია ღმერთის ზესიკეთე, მაგრამ არც ეს სტროფი და არც მთლიანად პოემა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ავტორი პესიმისტად და ღვთის მინდობილად გამოვაცხადოთ. პოეტი ამ ქვეყნად აქტიურ მოქმედებას ღვთის ნების გამოვლენად თვლის, მიწიერ სიხარულზე ხელის აღება უგუნურებად მიაჩნია.

„სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“. პოეტისათვის მიუღებელია შუასაუკუნეობრივი ასკეტიზმიც. რუსთაველის პოემის ოპტიმიზმის საფუძველი სიცოცხლის სიყვარულია. ეს ოპტიმიზმი ნოვატორობითაც გამოირჩევა, იმით, რომ იგი აცხადებს, ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ბრძოლას და ამ ბრძოლაში გამარჯვება თვით უზენაესი ძალის, ღმერთის ნება-სურვილია.

პოემაში ზნეობრივი ღირებულებანი ადამიანებს შორის ურთიერთობის იდეალურ ფორმულებში ვლინდებიან: ამათგან ყველაზე უმთავრესია სიკეთის მონიზმი. რუსთაველთან ერთ-ერთი ძირითადი იდეა სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეაა, რომლის მხატვრული განსახოვნებისაკენ არის მიმართული პოემის სიუჟეტური განვითარება. მაგრამ რუსთაველი არ იფარგლება ამ იდეის მხოლოდ მხატვრული ხორცშესხმით, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკეთის მარადიულობისა და ბოროტებაზე მისი გამარჯვების იდეის ამოკითხვა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მთელი პოემის, როგორც მხატვრული ტილოს, გათვალისწინების საფუძველზე. რუსთაველი ფრთიანი ფრაზებით, ბრძნული აფორიზმებით გვასწავლის, გვმოძღვრავს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

სიკეთისა და ბოროტების რუსთველისეული გაგება წმინდა ნეოპლატონისტურია და არეოპაგიტული. სიკეთე პირველსაწყისშია, იგივე ღმერთია, მისი მიმართება სამყაროსთან სიკეთის გამოსხივებაა, სიკეთე აბსოლუტური ერთიდან – პირველმიზეზიდან ეფინება სამყაროს როგორც მზის სხივები. სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ნამდვილობაა, მისი მარადიულობა, მისი სუბსტანციური არსებობაა, სიკეთე არსობრივია, იგი არსებობს, რადგან საწყისი აქვს, ბოროტება კი არარსია, იგი შემთხვევითია, სიკეთის ნაკლებობაა, მას აქციდენციური არსებობა აქვს, საწყისი არ აქვს („აქციდენციური“ შემთხვევითი, არაარსებითი – „აქციდენცია“ – შემთხვევა).

„ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“.

რუსთაველის პოემის მთავარი იდეა ზნეობრივი ღირებულების – სიკეთის – დამკვიდრებაა. ამიტომაც მთავარი ზნეობრივი ძალა, რომლითაც ადამიანები ამქვეყნიურ ბედნიერებას მოიპოვებენ, არის სიკეთიდან გამომდინარე, სიკეთესთან დაკავშირებული გრძნობები – მეგობრობა, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთლტოლვა, ურთიერთშემწეობა – მოკლედ რომ ვთქვათ, სიყვარული ფართო მნიშვნელობით, ფართო სპექტრით. ე.ი. სიყვარული ვაჟკაცებს შორის, რასაც მეგობრობას ვეძახით, სიყვარული ქალ-ვაჟს შორის, რასაც ტრფობას ვეძახით, სიყვარული ქალ-ვაჟს შორის, რასაც დაძმათნაფიცობას ვეძახით, სიყვარული პატრონ-ყმას შორის, რაც ერთგულებას და თავგანწირვას წარმოშობს.

გავიხსენოთ, როგორ ახასიათებს ავთანდილი თავის ანდერძში დამოკიდებულებას შერმადინისადმი, ესაა დამოკიდებულება პატრონსა და ყმას შორის, ესაა პატრონყმური სიყვარული – მოვალეობა, ერთგულებაზე დაფუძნებული. ასეთივე დამოკიდებულებაა როსტევანსა და ავთანდილს შორის – პატრონყმური. მაშასადამე, რუსთაველის პოემაში სიკეთისა და სიყვარულის ზნეობრივი ღირებულება უფართოვესი შინაარსითაა წარმოდგენილი. მთავარი ზნეობრივი ძალა, პოემის მიხედვით, არის მეგობრობა, რომელიც უფრო მაღლა დგას, ვიდრე ტრფობა ქალ-ვაჟს შორის, მეგობრობა გაგებულია სტოიკური ფილოსოფიის მიხედვით, ე.ი. როგორც სულიერი ნათესაობა, დამოუკიდებელი ეროვნული და სარწმუნოებრივი ზღუდეებისაგან. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მეგობრობა რაინდული ეთიკითაც არის ჩაგონებული, ჭირში ჩავარდნილი ტარიელის დასახსნელად ავთანდილი მსხვერპლად თავისი სიცოცხლის მიტანასაც კი არ ერიდება. რუსთაველის გმირთა მეგობრობა თანასწორობას ეყრდნობა და „ამ თანასწორობის საზომი ესთეტიკური კატეგორიაა და მშვენიერებაში მდგომარეობს“.[1] რუსთაველის გმირთა მეგობრობა, ქართულ-ეროვნულ კულტურაში ღრმად შეთვისებული, იმ ფილოსოფიური იდეალიდან მომდინარეობს, რომელმაც გააფართოვა XI-XII სს. ქართული საზოგადოების გონებრივი ჰორიზონტი. ესაა ანტიკური ეპოქიდან შუა საუკუნეების მიერ შეთვისებული პოპულარული მოძღვრება არისტოტელესეული ეთიკისა, რომელიც სამ ეთიკურ თხზულებაშია მოცემული „ნიკომაქეს ეთიკა“, „ევდემეს ეთიკა“ და „დიდი ეთიკა“. სამივე ეს თხზულება ცნობილი იყო შუა საუკუნეებში და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. არაა გამორიცხული, რომ ელინურ ფილოსოფიას დაწაფებულ „ოქროს ხანის“ ქართული საზოგადოებრიობაშიც არისტოტელეს ეთიკური მოძღვრება ცნობილი იყო. არისტოტელესათვის მეგობრობის მტკიცე საფუძვლად ითვლებოდა ერთნაირი ასაკი, ერთნაირი აღზრდა, ერთნაირი საზოგადოებრივი მდგომარეობა. რუსთაველის გმირები აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნებს. „ყოველი მეგობრობა... დაფუძნებულია გარკვეულ მსგავსებაზე“, – მოითხოვს არისტოტელე. რუსთაველი ტარიელის, ფრიდონისა და ავთანდილის გაცნობისა და მეგობრობის სცენაში ყველან ხაზს უსვამს ამ გმირთა მსგავს შესანიშნავ გარეგნობას, მსგავს შეჭირვებულ მდგომარეობას, მსგავს ზნეობრივ სრულქმნილებას. მეგობრობა სიმპათიიდან იწყება, – ამბობს არისტოტელე („დიდი ეთიკა“). ადამიანები უწინარესად განისმჭვალებიან ერთმანეთის მიმართ კეთილმოსურნეობით და შემდეგ დამეგობრდებიან. სწორედ ეს კეთილმოსურნეობა, მოწონება, ერთის ნახვით სიმპათია იქცევა პოემის გმირთა მეგობრობის საწინდრად. გავიხსენოთ ტარიელისა და ფრიდონის შეხვედრის სცენა: „შემომხვდა, მოვეწონე, სიარული დაითმინა“, – ამბობს ფრიდონი ტარიელთან შეხვედრის შესახებ. მეგობრობის არსი ერთად ყოფნაა, – ამბობს არისტოტელე („ნიკომაქეს ეთიკა“, VIII, 3. 5. 6. 9, „ევდემეს ეთიკა“, VII, 12). ერთად ყოფნის განცდა ამოძრავებს ავთანდილსაც ტარიელის მიმართ. ერთმანეთის პატივისცემა, დანდობა, ერთმანეთით გახარება და ერთმანეთისათვის სიკეთის ქმნა – ეს არისტოტელესეული პრინციპებია, რაც ბრწყინვალე მხატვრული სახეებითაა გამოვლენილი გმირთა ურთიერთობაში.

პოემაში გაიდეალებული სიყვარული საშუალოა ორ უკიდურესობას შორის – ღვთაებრივ სიყვარულსა და სიძვას შორის („შუა უზის დიდი ზღვარი“). არისტოტელეს ეთიკაში მეგობრობა ყველაზე აუცილებელი მომენტია ადამიანისათვის, იგი სიყვარულზე აღმატებული გრძნობაა. მეგობრობაზე შენდება სიყვარული. შოთა რუსთაველის პოემაც მეგობრობის ჰიმნია.

როგორც ვხედავთ, რუსთაველის მეგობრობის კონცეფცია არისტოტელეს ეთიკის დიდ გავლენას განიცდის, მაგრამ არ შეიძლება არისტოტელე დავასახელოთ შოთა რუსთაველის ეთიკური

[1] ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1993, გვ. 146.

შეხედულებების ერთადერთ წყაროდ. რუსთაველის პოემა მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე. ამასთან იგი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ეპოქის პროდუქტია, ამიტომ მასში სრულად აირეკლება: 1) ქართული ძმადნაფიცობის ინსტიტუტის ელემენტები; 2) ქრისტიანული ეთიკა და 3) რაინდული ინსტიტუტის ზნეობრივი კოდექსიც.

განვიხილოთ თითოეული მათგანის შესაბამისი მომენტები პოემიდან:

1. ტარიელის, ფრიდონისა და ავთანდილის მეგობრობას ქართულ ძმადნაფიცობაში აქვს ფესვები. შემთხვევით არ უწოდებს ავტორი თავის გმირებს ძმობილებს ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ.

ნესტანი და თინათინი პოემაში დობილებად, დად-შეფიცულებად არიან მოხსენებული:

„ერთმანეთისა გაყრილი, ქალნი ორნივე, დობილნი,
ერთმანეთისა დად-ფიცნი, სიტყვისა გამონდობილნი“.

რუსთაველი ხმარობს ტერმინს: „ძმადნაფიცსაც“: ავთანდილი ბრძანებს: „ფრიდონს მიართვის უსტარი ჩემგან ძმად-ნაფიცარისა“.

როგორც ცნობილია, „ძმადნაფიცობა“ დამახასიათებელია, როგორც ლექსიკური ერთეული და არა მარტო ქართული ზეპირსიტყვიერებისათვის, არამედ ლიტერატურულ-წერილობითი ძეგლებისთვისაც.

2. რუსთაველის პოემა ქრისტიანული იდეალის ორ მცნებას ეყრდნობა: ღვთის სიყვარულსა და მოყვასის სიყვარულს. „შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოველთან გულითა შენითა და ყოველთა სულითა შენითა და ყოვლისა გონებითა შენითა“, შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავისთავი“. პოემის გმირთა ურთიერთდახმარება სწორედ ამ ზნეობრივ კოდექსს ითვალისწინებს.

3. რუსთაველის გმირები შუა საუკუნეების რაინდული ინსტიტუტის ზნეობრივ კოდექსს მისდევენ. რაინდობა XII ს.-ის საქართველოში ერთობ პოპულარული იყო და ქცევის ეტალონად გვევლინებოდა. ნ. მარმა ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ ტერმინი „მოყმე“ XII ს. საისტორიო და საგმირო ეპოსის თხზულებებში ხშირ შემთხვევაში ნახმარია „რაინდის“ მნიშვნელობით. „მოყმე“ სიჩაუქით, ვაჟკაცობით, მშვილდოსნობით, ბურთაობით, ცხენოსნობით გამოჩინებულს ჰქვია. მოყმე სახელის მოხვეჭაზე ოცნებობს. ევროპული რაინდობის ინსტიტუტი არაა მოკლებული ამ ნიშნებს. შესაძლოა, ქართული საზოგადოებისათვის უცნობი არ ყოფილიყო ევროპული რაინდული ინსტიტუტი, მაგრამ ეს უკანასკნელი არსობრივად მაინც სხვა მოვლენა იყო ევროპულ სინამდვილეში. ქართულ ძმადნაფიცობას, რაინდობას ეროვნული ხასიათის შესაბამისი ყოფა უდევს საფუძვლად, ამიტომ ქართულ ტრადიციებში რაინდობის, „კაი ყმის“, ვაჟკაცობის უფრო რთული ინსტიტუტი არსებობდა ძველთაგანვე, ვიდრე ეს ევროპაში გვხვდება.

რუსთველისეული კონცეფცია მეგობრობისა და რაინდული სულისკვეთებისა ზოგად ადამიანურ ღირებულებებს ეფუძნება, ამიტომაც ძნელი არ არის დავძებნოთ იდეურ-ტიპოლოგიური პარალელები როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო მითოსთან (ამირანისა და გილგამეშის ეპოსი), დასავლურ და აღმოსავლურ ეპიკასთან („რამაიანა“, „ილიადა“, „როლანდის სიმღერა“ თუ „სიმღერა ნიბელუნგებზე“). პოემაში უანგარო და აქტიური მეგობრობის გამოხატულებას ავთანდილი წარმოადგენს. პოემის ძირითადი იდეა – სიკეთის ძლევამოსილება – მეგობრობის ძალასა და სიყვარულს ეფუძნება. თუ არა ავთანდილი, ტარიელის ტრფობა უიღბლო აღმოჩნდებოდა. პოემის მთავარი გმირიც ავთანდილია, რენესანსული იდეალის მატარებელი. უშიშარი, ადამიანური ვნებებით, ზნეობით შეპყრობილი, მისთვის არაფერია უცხო ადამიანური. იგი ადამიანსაც კი ჰკლავს, როცა დასჭირდება მთავარი მიზნის მისაღწევად. ცხადია, ეს ცოდვაა, მაგრამ ავთანდილიც იმიტომაა ადამიანი, რომ იგი ცოდვილი იყოს. ავთანდილი ღმერთი არაა, იგი არაა იდეალი, რომელიც ჯერარსულია, იგი რეალური მიწიერი ადამიანია, ავთნადილს – იდეალურ ძმადნაფიცს – ანალოგები მოეპოვება დასავლურ და აღმოსავლურ სამიჯნურო ლიტერატურაში, მაგ., კაჰერდინი „ტრისტან და იზოლდაში“, ნოფალი – „ლეილმაჯნუანიანში“. ამიტომაც რუსთაველი ორიგინალობას ამაში ვერ დაიჩემებს, მაგრამ რუსთაველი უნიკალურია მეგობრობის იდეის ისეთ მხატვრულ ხორცშესხმაში, როგორიცაა ასმათსა და ტარიელს შორის უბადლო და-ძმური ურთიერთობა. დაძმათნაფიცობა რუსთაველის კუთვნილებაა, როგორც უნიკუმი. ტარიელისა და ასმათის ზნეობრივი კავშირი ერთგულება – მეგობრობაზე დაფუძნებული – ყოვლად მოულოდნელი მოვლენაა თვით რენესანსული ეპოქისთვისაც კი დასავლეთში, ე.ი. 3 საუკუნის შემდეგაც. ამ მაგალითში ხაზგასმულია, ერთი მხრივ, ქალის სულიერი სამყაროს მაღალი ბუნება, ქალის ყოველმხრივ დადებითი

თვისებებით წარმოდგენა, წინააღმდეგ შუასაუკუნეობრივი რელიგიური დოგმებისა, რომელიც ქალს ეშმაკად, სატანად სახავდა. ქალი მამაკაცის თანასწორ სიმაღლეზეა აყვანილი აფორიზმით: „ლეკვი და ლომი სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. ქალს არა მარტო გონებრივი სიმწიფე ახასიათებს (თინათინს), არამედ ის სულიერი ძალაც, რომლითაც იგი ვაჟკაცის გვერდით დგება: ნებისყოფა, სიმტკიცე, მოთმინება, თავგანწირვა (ნესტან-დარეჯანი). მაგრამ რუსთაველთან მთავარი და ხაზგასმულია ის მომენტი, რაც ღრმად დაფარულ შრეებს წარმოგვიდგენს ქართველი ერის მაღალი სულიერი კულტურისა. ქალისა და მამაკაცის უანგარო, ყოველგვარი სქესობრივი ლტოლვებისაგან თავისუფალი დაძმური სიყვარულის დაშვებით, რაც მხატვრული ფერებით დაგვიხატა რუსთაველმა ტარიელის და ასმათის მეგობრობით, სწორედ ამ მაღალ შინაგან კულტურას გვიჩვენებს. ასმათის სახე უნიკალურია მსოფლიო ლიტერატურაში, ამ სიყვარულის ჩვენებით რუსთაველი სრულიად აშკარად მიჯნავს ქართველი ერის სულიერ კულტურას აღმოსავლეთისაგან, რომელიც მცხუნვარე ვნებებით ისე ახურებს ქალ-ვაჟის სამიჯნურო ურთიერთობას, რომ ადგილს არ ტოვებს ტარიელსა და ასმათს შორის სათუთი ურთიერთობის მსგავსი ფორმებისათვის. ამრიგად, შუა საუკუნეების აღმოსავლეთმა არ იცის ქალ-ვაჟის ურთიერთობის ასეთი ფორმა, არც დასავლეთმა. ყოველ შემთხვევაში, იმ დროის ხელოვნებაში ამ ნატიფი გრძნობის წინ წამოწევით რუსთაველმა ქართული კულტურა მომავალი ცივილიზებული სამყაროსკენ მიმართა.

რუსთაველთან ზნეობრივი ურთიერთობის მეორე ფორმაა სიყვარული, მიწიერი ვნებებით სავსე (ერთი შეხედვით), ინტელექტუალურიც, მაგრამ უფრო ღრმა დაკვირვებით ესაა გრძნობა – სამყაროს შემქმნელი, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებს, თუ კი მის განადგურებას მოინდომებენ. მაგალითად, გაიხსენეთ ტარიელისა და ნესტანის უბედურების სათავე საიდან დაიწყო. „სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ“-ო, ამბობს რუსთაველი და მართლაც საუკუნეებს გადაწვდება ეს მოწოდება.

რუსთაველის სიყვარული არც პლატონურია, არც ტლანქად სენსუალისტური, არც მისტიკური, არც ინტელექტუალური, იგი თავისებურად რენესანსულია, რუსთველისეული გენიით აღბეჭდილი. პოეტის აზრით, უზენაესი სიყვარული მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ენით ძნელად გამოსათქმელი საიდუმლოება, მისი მიწვდომობა არ შეიძლება მხოლოდ გონებით. ის ერთგვარი შმაგობაცაა, რომელიც ადამიანს აღაფრენს და ღვთაებასთან აახლოებს (სუფიზმი). სიყვარული არის ტანჯვა, „ალმობა“, სიკვდილი ტანჯვის დასასრულია, მაგრამ არ არის სიყვარულის დასასრული. სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი. გარდაცვლილი მიჯნურები ღვთაებაში, მზის სინათლეში ერთიანდებიან, ეს კარგად ჩანს ნესტანის წერილში, რუსთაველი სხვაგვარ მიჯნურობასაც ასახელებს. მაგ., შესავალში იგი ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დამასახიათებელ სიყვარულსაც მოიხსენიებს, რომლის დროსაც დღეს ერთი უნდათ, ხვალ მეორე. პოეტი გარკვევით გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ამგვარი გრძნობისადმი: „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“.

რუსთველისეული სიყვარულის საფუძველი მიწიერი სილამაზეა, ქალის ან ვაჟკაცის მომხიბვლელობა, რომელიც მატერიალურია, ხელშესახები, დასანახი თვისებებით არის წარმოდგენილი. ამიტომ რუსთაველის სიყვარული უნდა გავიგოთ არა ზებუნებრივი ძალებისადმი, ღვთაებრიობისადმი რაღაც ჰაეროვან განსაკუთრებულ ტრფობაში, არამედ მოკვდავი, მიწიერი ადამიანისადმი ურთიერთლტოლვაში, რომელიც ერთსა და იმავე დროს ამაღლებულიცაა, რადგან სულიერ სიახლოვეს ეყრდნობა და მატერიალურიც, მიწიერიც, რადგან ობიექტური სილამაზით არის გამოწვეული.

დასკვნა: რუსთაველის ზნეობრივი მსოფლხედვა არისტოტელეს ეთიკას ეყრდნობა. ნეოპლატონიზმის, როგორც არისტოტელიზმისა და პლატონიზმის ფილოსოფიათა ნაერთის, ეთიკური ასპექტი ძირითადად არისტოტელეს ეყრდნობა. არისტოტელეს ეთიკის არსი ასეთია: უმაღლესი სიკეთე ყოფიერებაა, ამქვეყნიური არსებობაა. ინტელექტუალურ სათნოებათა შორის უპირველესია გონიერება. ადამიანს ამშვენებს მეგობრობა, დიდსულოვნება, კეთილშობილება. რუსთაველის გმირების ზნეობრივი სახე მოწმობს, რომ პოეტი უშუალოდ ეყრდნობა არისტოტელეს ეთიკურ მემკვიდრეობას. არისტოტელეს ეთიკა არისტოკრატიის ეთიკაა, რუსთაველიც, როგორც არისტოკრატიის მაღალი ფენის წარმომადგენელი, ახლოს დგას მასთან. მაგრამ მხოლოდ არისტოტელეს ეთიკას არ იყენებს პოეტი თავისი ზნეობრივი კონცეფციის ამოსავლად. მას სხვა წყაროებიც გააჩნია: ქრისტიანული მორალი და ქართული ეროვნული ზნეობრივი ტრადიციები.



ნიკო ხერკელაძე

პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულება გ. სააკაძის ფენომენთან და მარტყოფის ომის შესახებ

პოეტებისა და საერთოდ პოეზიის მისიაა, ეროვნული სამართლიანობის გაკრისტალება, სუფთა, გაფაქიზებულ, დაწმინდავებულ ისტორიულ მოვლენებს, საზოგადოება დიდი წყურვილით ეწაფება. ამ მხრივ მოვიყვანთ ჩვენი უდიდესი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შეგონებას ქართველი ხალხის მიმართ. პოეტი სააკაძის მოღვაწეობისადმი როგორი გულისტკივილით სვამს საკითხს და როგორი სამართლიანობით განმარტავს როცა ამბობს:

„თქვენ ის აზრი, როდის გადაწყვიტა სააკაძემ აჯანყება, მანამდის სანამ ხელთ იგდებდა შაჰ-აბასის მსტოვარს, ბარათით თუ მერე? მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება, მარტყოფი ეს ის არის რისი გულისთვისაც მოევლინა ამ ქვეყანას „დიდი მოურავი" მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა, მარტყოფი ის ჭრილობაა, რომლისაგანაც ვეღარ განიკურნა შაჰ-აბასი. მარტყოფი გიორგი სააკაძის ბედისწერაა და სხვა დანარჩენი წვრილმანი პატარა კაცუნების მონაჭორია."

პოეტებისთვის სამშობლო ჯერ ხალხია, საზოგადოება, სარწმუნოება, ტრადიციები მერე ამ თვისებებზე შექმნილი ისტორია, რომლის ნაწილშიც თვითონ გ. სააკაძეა, ქვეყანასთან მიმართებაში. შეცდომის დაშვება არ შეიძლება, იმიტომ რომ ყველა მორალური საკითხის მაკონტროლებელი ზნეობაა. ეს ზნეობა სულშია თავშეფარებული, სული კი ადამიანში უფლისაგან არის ნაბოძები, რომ სამართალმა გზა არ დაკარგოს და უპატიებელ ცოდვად არ გაჰყვეს ქართველ შთამომავლობას.

პოეტმა რადიკალურად განმარტა „მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება", ე. ი. მოსახდენი მოხდა მარტყოფის აჯანყება გამარჯვებით დამთავრდა, არ ეშლება ნ. ბარათაშვლის, ისტორიულ ლაბირინთებში ჩახედვა. არ ეშლება იმიტომ, რომ გენეტიკური ალღო აქვს და თან ერთვის დიდი შემოქმედის პოეტური ალღოც. მისი სიტყვებიდან ჟონავს, სინანულიც, იმის გამო, რომ გ. სააკაძის შესახებ არამართებული აზრიც მოუსმენია და პოეტი აღუშფოთებია. მისთვის მარტყოფი სამშობლოს გადარჩენაა, უსამართლო განმარტებით პოეტს მიწა-წყალი, სამშობლო, შეურაცხყვეს. პოეტი მკითხველის გასაგონად ამბობს „მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა."

აი ასე უყვარს ნიკოლოზ ბარათაშვილს სინდისს მინდობილი სიმართლე. იგი შემოქმედია და უდიდესი პოეტი, მისი სიტყვები გულით ნათქვამი და სულით გასპეტაკებულია, ამოვლებული გრძნობათა წიაღში, უშეცდომო და ტკივილიანი.

პოეტი, გ. სააკაძის მოღვაწეობაში, თავისი ქვეყნის მიმართ დიდ ამაგს ხედავს, ესაა მთავარი საბრუნავი ღერძი და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებს სააკაძესთან მიმართებაში შეცდომა არ დაუშვან. იმიტომ, რომ ამბიციით დაშვებული შეცდომა, სამშობლოსადმი ზერელე დამოკიდებულებაში აისახება. როგორ შეიძლება ასეთი ვეებერთელა მგოსანი ტენდენციურად ცდებოდეს? მაშინ ცდომილება ექნება პოეტს, თავის შემოქმედებაშიც.

იმას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რომ პოეტში არავითარი ტენდენციურობა არ იმალება.

საყურადღებოა ისიც, რომ ნ. ბარათაშვილი, სააკაძის როლის აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩენისათვის, ქართველ საზოგადოებას მხოლოდ მარტყოფის ომის მნიშვნელობას ახსენებს და სულაც არ თვლის საჭიროდ, მკითხველის საყურადღებოდ მოიყვანოს სააკაძის დამსახურება ტაშისკარის ომში, მარაბდის და ქსნის ომებში. მარტყოფის ომი კმარაო, პოეტი გვეუბნება: განა შეიძლება ვიფიქროთ ისე, რომ პოეტი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა აქ ჩამოთვლილ ომებს.

ჩვენ თუ შევკრებთ, სააკაძის მიერ მცირე თარეშულ ბრძოლებს, როგორიც იყო ლოისთან გამარჯვება, გორის ციხესთან და მივუმატებთ აწყურის ციხესთან, ფარავნის ციხესთან, ახალციხესთან ყიზილბაშების განადგურებას. ერთი დიდი ომი ასეც გამოვა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა იცის მარტყოფის ომის უდიდესი მნიშვნელობა, რომ სააკაძისგან და მთელი ქართველი ერისგან დიდი მოთმინების ხარჯზე დაფუძნდა ასეთი ომის საფუძველი, რომ სააკაძისგან შვილის განირვა მარტყოფის ომმა განაპირობა, რომ

უმთავრესი მოხდა, აღმოსავლეთ საქართველო გადარჩა, განა მას არ შეეძლო თავის სიტყვებში პაატას სახელიც აღენიშნა, რომლის ნაზ მხრებზეც დადგა მარტყოფის ომი.

ნ. ბარათაშვილს, როგორც პოეტს, როგორი მძაფრი ტკივილი ექნებოდა, სამსხვერპლოდ მის გაწირვაზე, მაგრამ ამაზე არ ამახვილებს ყურადღებას. პოეტი არ ამახვილებს ყურადღებას არც ქარჩოხი ქსნის ომზეც რის საფუძველზედაც შაჰ-აბასმა უკან წაიღო თავისი ავი გეგმები საქართველოს მიმართ. განა პოეტ ნ. ბარათაშვილს ცოტა ჰქონდა დარჩენილი კიდევ საქებარი სააკაძის მიმართ? აქაც შემოქმედის ზომიერებაა ყურადსაღები.

პოეტი ნ. ბარათაშვილი პირადი ვარამითა და ტკივილითაც იყო შემოსილი როცა ამბობს:

და წყნარ საღამოს, ვით მოგობარს შემოვტიროდი,

რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი?

ვინ და რამ აუტკია პოეტს სათუთი გული? სწორედ იმ ატკივებული გულითაა დანახული სააკაძის ცხოვრება, როცა ამბობს: „მარტყოფი მტრისათვის ის ჭრილობაა რომლისაგან ვეღარ განიკურნა შაჰ-აბასი".

პოეტს თავისი ტკივილი არ ყოფნიდა, რომ სააკაძის ტკივილსაც დასდგომოდა ქომაგად? როცა ქართველი საზოგადოებისთვის შესახსენებლად დასჭირვებია სააკაძის მოღვაწეობის მნიშვნელობა, რომ მარტყოფით საქართველო უნდა იცნობდეს საკუთარი გენეტიკის წიაღში წარმოშობილი დიდი კაცის თვისებებს, რომლის რუდუნებითაც გადარჩა ქართველი მოსახლეობა. ამ საქმეში მას უფალი უძღოდა წინ, რომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილების სიცოცხლე ირანის ახრიოკებულ გზაზე არ დაინაცრა.

იმ დროის ქართველი ხალხის დამდუღრული ყოფა, რომელთა შიშის საფუძველი ირანში გადასახლებიდან მოდიოდა და ამ ავი მოვლენის წინააღმდეგ, ხელი ქართველმა ხალხმა გ. სააკაძის მეთაურობით გამოიღო, რაც პოეტის მოუსვენრობის მიზეზი გახდა და რადგან სააკაძე თავისი ვარამიანი ბედითა და მტერზე გამარჯვებით, თავისი ქვეყნის თანანაწილია, პოეტმა თავისი პოეზიით მოუწოდა ქართველ ხალხს ღრმად გააანალიზონ ყოველივე.

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ნათელი სულით, ნათელი შეიტანა სააკაძის ღვაწლში, მისმა მაღალმა ზნეობამაც დაისვენა, როცა ხალხს სიმართლე უთხრა. მეორე მხრივ თავის სიტყვებშივე დაგვიტოვა უთქმელი განცდა იმისა, რომ, როცა ტაშისკარის ომით ქართლი გადარჩა, როცა მარტყოფის გამარჯვებით ქართლიცა და კახეთიც გადარჩა.

საქართველოში წერტილი დაესვა შაჰ-აბასის ვერაგ გეგმებს. ასეთი საქმეების აღმასრულებელმა მებაირახტრემ შვილიც თავის ქვეყანას შესწირა, იმ რთულ დროში თუ რამე უნებლიედ შეცდომა მოუვიდა, დიდი მკრეხელობაა სააკაძეს საყვედური რომ შევკადროთ. მოღალატე პირდაპირ მოღალატეა, ის შვილებს სამშობლოსთვის არ სწირავს და ამდენ ომებში გამარჯვებას არ მიაღწევს. ნ. ბარათაშვილს არ უჭირდა იმის მიხვედრა, რომ რადგან სააკაძე წარმომავლობით დაბალ საფეხურზე იდგა, მაგრამ ასეთი სარდალური ნიჭის პატრონი, რაც უდიდესი ძალაა და მას სხვა ძალა არ გააჩნდა, ის სხვა ძალა მხოლოდ ძლიერ მეფეთა ხელთ იყო. სააკაძის საშუალო აზნაურობა კი ამდენი ენერგიეს გამღები იყო, რაც აჩვენა კიდევაც ორივე მეფესაც და ქვეყანასაც, რადგან დიდებულთა ჯგუფი სააკაძის თანამედროვეობაში ფერმკრთალად გამოიყურებოდა, მათ გადაწყვიტეს ქართული ფსიქოლოგიის ნაწილისთვის ეჭვის ბურუსი შემოეხვიათ, იმის გამო რომ სიცხადე და ჟღერადობა დაჰკარგვოდა სააკაძის გადახდილ ომებს, ამან ქართულ ორგანიზმში სისხლის გამტარობა შეაფერხა, წნევის დარეგულირება გახდა საჭირო ქართული ფსიქოლოგიის დასამშვიდებლად და აჰა გამოჩნდა კიდევაც სულმნათი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც უფლისაგან ნაჩუქარი ნიჭითა და სამართლის ენით, მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა და სააკაძის ბედისწერაა. ეს თქვა და ერიც დამშვიდდა.

პოეტი საკუთარ სხეულში განიცდის სააკაძის ბედსა და დიდებულთა ნაწილისგან უმადურებას, ქართულ სხეულზე ავად მოსისინე ენებმა ნაიარევი დატოვეს, რამდენი უფიქრია პოეტს სააკაძის ბედზე? იმდენი რამდენიც თავის ქვეყანასა და შემოქმედებას ესაჭიროებოდა.

პოეტმა სააკაძის დამსახურებაზე იფიქრა იმდენი, რაც თავისივე პოეზიაში და სიტყვაში სული აქვს ჩაწურული. იმიტომ, რომ რაც სააკაძეს ეხებოდა მის თანანაწილად სამშობლოსაც ეხებოდა, არც მეტი, არც ნაკლები. თუ კომპრომისზე წავა პოეტი, იცის სიმართლის ჩრდილი მიადგება და ქვეყანა დაზარალდება, ბევრი ნაფიქრია მის სიტყვებში ზღვა ფიქრია, რომ მოკლედ და ღრმად განცდილი, ხალხის

გასაგონად ამოეძია და მისი ამოძახილი ზარის ხმად გაისმა ხალხში. მარტყოფის მტრის გვამებით მოფენილი ველი ხალხის წარმოდგენაში გაცოცხლდა, ვისი ქანცგამოლეული მარჯვენა ტრიალდება იქ, როცა თან იცოდა სულ რამოდენიმე დღეში, მისი შვილი პაატა, შაჰისგან წამებით აღესრულებოდა.

პოეტმა ღრმად იცის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების მოსურნე სააკაძის ფასი, როცა ერთიანი ყოფილა საქართველო. დიდი აღმშენებლობა და დიდი წარმატებები მაშინ ჰქონია, ეს მისია დიდ მეფეთა ხვედრი იყო. ეს იმიტომ, რომ ძალაუფლება მათ ხელში იყო. საშუალო აზნაურ სააკაძეს ამის წადილი დიდი ჰქონდა, მაგრამ წინააღმდეგობა ჰქონდა ისეთი, რომ ეს შეუძლებელი გახდა, მაგრამ მარტყოფის ომის მოგებით აღმოსავლეთ საქართველო გადაარჩინა.

როცა პოეტის სიტყვებმა, ქართულ ფსიქოლოგიაში, სალბუნის მსგავსი აუცილებლობა განაპირობა „მარტყოფის ომით საქართველო გადარჩაო", უშეღავათო მწარე ენის მიზნით ნასროლი ისრიდან, მიყენებული ჭრილობიდან სისხლის დენაც შეწყდა.

გულისთვის ყველაზე დიდი მტერი ენაა და ენით მიყენებული ჭრილობა ყველაზე მძიმე ჭრილობაა. სიტყვით დაკოდილი ქართველთა გულებისათვის, მალამოსავით განმკურნებელი სიტყვა, მაღალზნეობრივი კაცის ენით უნდა თქმულიყო როგორიც იყო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნ. ბარათაშვილი, საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული გვარის წარმომადგენელია, პოეტი იმ ეპოქაზე ფიქრმა ორი უკიდურესი მოვლენის წინაშე დააყენა, როგორც თვითონაც, დიდებულთა გვარის წარმომადგენელი, ან უნდა გაჩუმებულიყო, სააკაძის ოპოზიციური მხარის საამებლად, ან როგორც პოეტი და პატრიოტი, თავისი სულისა და გულის ამოძახილი, ხალხისათვის უნდა ეთქვა, გააკეთა ის რაც მის სპეტაკ სულს შეეფერებოდა, როგორც სააკაძის თავის ქვეყნის წინაშე დამსახურების არ დამკარგავი, პოეტისაგან აღარ მოყვანა სააკაძის სხვა გადახდილი ომების მნიშვნელობისა და ამ შემთხვევაში მისი დუმილი აიხსნება ასე, მე მარტყოფის ომის შინაარსზე მოგახსენეთ, ჩემი ასეთი განმარტებით თუ თქვენი გული კიდევ ვერ მოლბა, სააკაძის შესახებ საქებარი კიდევ ბევრი დაგვრჩაო. პოეტი არავის არ ეფერება, ასეთი შეფასებით თვით სააკაძესაც არ ეფერება, მით უმეტეს პოეტია, მისი სული მგრძნობიარე სიმებითაა აწყობილი და პაატას ქვეყნისათვის მამისგან სხვერპლად შეწირვა, დიდი ტრაგედიაა და უდიდესი მაგალითია. ქართველი ხალხი გ. სააკაძის სიდიადეს, სწორედ შვილის ქვეყნისთვის მსხვერპლად გაღებაში ხედავს.

მაშასადამე პოეტის მრწამსში, მსხვერპლის გაღება ხდება უფრო დიდი ნიშნისათვის, ერისათვის, სამშობლოსათვის, რაც მის მრწამსში აიხსნება „მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა."

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჯერ როგორც მოქალაქე, მერე როგორც პოეტი უსათნოესი პიროვნებაა, განა პოეტმა არ იცოდა როცა თავის ხალხს მიმართა, მარტყოფის ომით საქართველო გადარჩა და სხვა დიდებულთა გვარების სააკაძისადმი ოპოზიციონერობა და რადიკალურ, თან ობიექტურ პოზიციაზე დადგა. აი, აქაა არა მარტო პოეტი, არამედ მაღალზნეობრივი ნიკოლოზ ბარათაშვილის მოქალაქეობრივი ღირსება იმისა, რომ ამბიციებს არ დაუთმო სააკაძის დამსახურება.

ადამიანმა თავისი პოეტური სული, კაცობა, ისეთ სადარაჯოზე დააყენა, რომ უფლებამოსილმა შემოქმედმა, დიდი ზარი ჩამორეკა და ქვეყანას ამცნო, ის რომ უმთავრესი სამშობლოს გადარჩენაა, მასთან სუფთა სიყვარული ვალდებულებაა და რადგან მარტყოფის აჯანყებით, საქართველომ თავი დაიხსნა, პოეტმაც არ დაახანა ზარის ჩამორეკვა და ფორმულად გაგვიმარტა მარტყოფის გამარჯვების დანიშულება. მთავარია გული, სიყვარული და ენერგია შეახამო შენს ქვეყანას, გინდ დიდებულთა გვართან იყოს პიროვნება გინდ დაბალი გვარიდან, შესაძლოა შეცდომა მოხდეს, უმთავრესი კი ის არის სამშობლო უნდა გადარჩეს.

LALI RATIANI

FORSCHUNGSPLAN-VORHABEN

Diese Arbeit ist ein Versuch der wissenschaftlichen Darstellung eines von den bedeutendsten sprachlichen Phänomens-**der Antonymie** im System der modernen deutschem Sprache. Geforscht werden charakterisierende Merkmale sowohl paradigmatischer als auch syntagmatischer Art, ihre semantische Eigentümlichkeiten, ihre funktionale Relationen mit den sprachlichen Erscheinungen; formiert und festgestellt werden Bildungsprinzipien des neuen antonymischen Wörterbuches, die neue Struktur des lexikonischen Artikels.

Die Analyse des Forschungsobjekts wird im Rahmen von den lexikalisch-semant schen Gruppen durchgeführt. Ihrem Wesen nach sind diese Gruppen den semantischen Feldern identisch. Die Grundlage ihrer Strukturierung bildet die verallgemeinerte Semantik von den in diesen Gruppen eingeordneten antonymischen Lexemen. Die Analyse wird etappenweise durchgeführt:in erster Linie werden die strukturellen und semantischen Eigentümlichkeiten der einzelnen lexikalischen Einheiten festgestellt, danach wird die Richtigkeit ihrer gegensätzlichen Paarung mit einer anderen Einheit geprüft und den Charakter, die Art ihrer Gegenüberstellung präzissiert

Die in der Dissertation durchgeführte Forschung trägt einen synchronischen Charakter. Da die antonymischen Relationen hauptsächlich im Rahmen der Redeteile fixiert werden, bildet das Forschungsmaterial die lexikalischen Einheiten von drei lexikalisch-grammatischen Klassen- Adjektiven, Substantiven, und Verben.

In der vorliegenden Arbeit werden parallel die Erscheinungen dargestellt, die als Abart von der Antonymie anerkannt sind-**Antithese** und **Enantyosemie**. Durch sie werden in Verbindung mit der Antonymie die bestimmten Eigenheiten geäussert und umfasst in ihrer semantischen Struktur sowohl semantische, als auch subjektiv-einschätzende Sprachbedeutungen des pragmatischen Plans. Auf dieser Grundlage werden sie nicht nur im Bereich von einem linguistischen, sondern auch in zwei linguo-kulturellen Bereichern betrachtet. Die Untersuchung wird auf diese Weise einen interdisziplinaren Charakter nehmen. Ausserdem werden in der Dissertation die antonymischen Relationen in Verbindung mit den Synonymen erforscht..

Die Durführung der Untersuchung in sochen Parametren sind im Einklang mit den modernen Forderungen der Linguistik. Dadurch wird die Aktualität der Forschung und damit verbundene wissenschaftliche Neuheit bestimmt.

:----die Feststellung der antonymischen Relationen vollzieht sich zwischen zwei lexikalischen Einheiten nicht nur nach der Bedeutung, sondern auch auf Grundlage der skrupelloeser Analyse der semantischen Struktur der antonymischen Einheiten.

----die antonymischen Relationen werden unter Beürksichtigung einzelner Schattierungen nicht nur auf Grundlage der Allgemeinbedeutung der lexikalischen Einheiten, sondern auch auf Grund der Gegenüberstellungin in ihren semantischen Srtukturen fixierten jeder einzelnen semantischen Varianten bestimmt.

----vorgelegt ist die von den existierenden Definitionen eine unterschiedliche Interpretation des sprachlichen Phänomens-der Antonymie.

----betont wird die Richtigkeit der Absonderung der auf verschiedenen Ebenen realisierten Phäomene-**Antonymie, Antithese, Enantyosemie.** Die Antonymie wird als linguistische Erscheinung der paradigmatischen Ebene, Antithese und Enantyosemie werden als linguo-kulturelle Phänomene der syntagmatischen Ebene bestimmt.

----festgestellt ist die Verschiedenheit der Abarten der Antonymie und die Erklärung der Einzelnen gegeben.

Die durchgeführte Forschung setzt sich zum Ziel die Lösung folgender Aufgaben von allgemeinen und privaten Charakter:

----Konkretisierung des Wesens der Antonymie durch die grundsätzliche Analyse des lexikalischen Stoffes, Präzisierung des von den antonymischen Relationen bezeichnenden terminologischen Apparates.

----Das grundsätzliche Erlernen der existierenden Arbeiten über die Antonymie sowohl theoretischer als auch praktischer Art; Die Ausführung der kritischen Analyse von der in der linguistischen Literatur fixierenden Aussichten zwecks der Präzisierung ihres Wesens.

----durch die Erweiterung und Summierung von den Ergebnissen der in der sprachwissenschaftlichen Literatur vorgelegte Forschungen und in der Dissertationsschrift ausgeführte Analyse, Formulierung maximal adequater Definition des sprachlichen Phänomens der Antonymie.

---das Ausarbeiten der strengen Kriterien der Feststellung der Antonymie zwischen den lexikalischen Einheiten; Die Darstellung des Vorrangs vom semantischen Zeichen.

----die Bestimmung des objektiven Grundes der Absonderung der antonymischen Relationen von den korelativen.

----die Konkretisierung des Wesens von den Gattungs- und Artbeziehungen in Verbindung mit dem existierenden Unterschied zwischen den antonymischen Relationen.

---die Beschreibung der in der deutschen Sprache wirkenden antonymischen Einheiten mittels der lexikographischen Analyse.

---die Darstellung der Zweckmässigkeit des Aussuchens der gegensätzlichen Einheiten für die einzelnen semantischen Varianten von den konkreten lexikalischen Lexemen.

----Das Aussuchen des objektiven Ausgangspunktes, das Ausschliessen des subjektiven Momentes auf Grundlage des Erlernens der semantischen Struktur der gegensätzlichen Lexemen im Rahmen der semantischen Gruppen, auf Grundlage der Feststellung der semantischen Varianten von den einzelnen Lexemen, durch Absonderung der domminierenden und gegensätzlichen Semen.

----die Beschreibung der Typen der wechselseitigen Beziehung von den Gliedern des Antonymischen Paares nach dem *Grad*(der Qualität)/primäre, sekundäre Antonymie/; dem Zusammenfall der semantischen Strukturen/absolute-relative/; der Disstributionsbedingtheit /beschränkte-unbeschränkte/,dem Handlungsumfang und der Möglichkeit der Verbreitung /eindimensional-mehrdimensiona/dem Gebrauch nach/usuelle-okkasionelle/ der Struktur nach /einfache-abgeleitete/.

---die Untersuchung der ableitenden Mittel der abgeleiteten Antonymie im Rahmen der lexikalisch-grammatischen Klassen der Adjektiven, Substantiven, Verben.

---die Interpretation der Grenzerscheinungen und damit verbundenen Phaenomenen –der Antithese und der Enantyosemie; Die Feststellung für ihre Realiesierung bedingter semantischen und strukturellen Faktoren, ihre Betrachtung im interdisziplinaren und linguokulturellen Schnitt.

---die Darstellung des Musters der folgerichtigen Forschung der Antonymie im Rahmen der einzelnen Redeteile.

----die Absonderung der bedeutendsten Eigentümlichkeiten zwischen den antonymischen und synonymischen Relationen.

----die Schielderung der relevanten Varianten der Beschreibung der antonymischen Einheiten im Deutschen mittels der lexikographischen Analyse unter Berücksichtigung der Untersuchungsergebnisse.

---die Bildung solches strukturellen Modells des neuen antonymischen, lexikonischen Artikels, der jede Ungenauulighkeit ausschliesst und für die in beliebiger semantischen Struktur fixierte einzelne Variante die oppositionelle Einheit mit maximaler Präzissierung auswählt.

---die Präzisierung der Regelmässigkeit der Bildung der antonymischen Paare im Rahmen der Redeteile.

.---Zwecks der vollstaendigen Loesung der in der Dissertationsschrift gestellten Aufgaben, ist im Prozess der Forschung Allgemeinmethodik verwendet, die man durch die Synthese folgender Methoden darstellen kann:die Analyse des semantischen Feldes,semische, distributionelle, statistische, interdisziplinare/linguokulturische/im Verhalten zu Antithese/, gegenueberstellende. Derartige Kombination /Verschmelzung/ der Untersuchungsmethoden ist von einer Seite durch die Spezifik des Untersuchungsphaeno mens und von einer anderen Seite durch die Notwendigkeit seiner vollstaendigen Beschreibung bedingt.

--Die Forschung durch die Methode des semantischen Feldes lag im Rahmen der einzelnen Redeteile auf Grundlage der verallgemenerten Semantik von den antonymischen Einheiten und durch die Feststellung ihres gemeinsamen Markers/Anzeigers/ gebildete Verbindungen zugrunde. Die Untersuchung der antonymischen Einheiten

wurde im Rahmen der gebildeten Verbindungen verwirklicht. Die Aufstellung des Problems auf diese Weise soll als der Versuch der Systematisierung der Antonymie angesehen warden.

---Mittels der semischen Analyse wurde es ermoeglicht fuer jede einzelne lexikalische Einheit das Wortes mit Gegenbedeutung mit maximaler Praezision auszusuchen.

---Durch die distributionale Analyse wurde die Rolle des Kontextes beim vollstaendigen objektiven Aussuchen der antonymischen Einheiten gezeigt.

---Mit Hilfe der statistischen Methode wurde in der Klasse der Redeteile-Adjektive, Substantive und Verben die Feststellung der Frequenz der Realisierung von den Antonymiefaellen . ihrer zahlenmaessigen/numerischen Parametren, dementsprechend im Rahmen der einzelnen Klassen die Gesamtmenge der Antonymie festgestellt.

---Der theoretische Wert der Arbeit besteht darin, dass er der Erarbeitung mit der Semantik und Pragmatik verbundenen Problematik eines von den bedeutendsten sprachlichen Erscheinungen gewidmet ist und bildet einen Versuch der Ausfuellung der Luecke , die bis zu den heutigen Tagen in diesem konkreten Bereich bezeichnet wird. Die vorgelegten Forschungsergebnisse koennen in den lektionskursen der theoretischen Disziplinen der Typologie und der Lexikologie eingesetzt werden.

--Der praktische Wert der Arbeit besteht vor allem in der Auswahl des Untersuchungso bjektes, was durch die erschoepfende Definition, die Formulierung seines Grundes, die unvollstaendige Beschreibung der Arten und der Tatsache der Realisierungsbedingung von der Antonymie, als sprachliche Phanomen bedingt ist. Die Darstellung des anschaulichen Musters von den antonymischen lexikalisch-semantischen Bereichern, die Bestimmung der Struktur des neuen antonymischen Woerterbuches. Die Ergebnisse der ausgefuehrten Analyse kann in den Lehrprozess der deutschen Sprache verwendet werden.

Die Grundlage der Feststellung der Antonymie mit maximaler Ptaezisierung bilden eben die semasiologischen Eigentuemlichkeiten der sprachlichen Elementen. Als wahres Mittel der Aufzählung dieser Eigentümlichkeiten soll das entsprechende Lexikon anerkannt werden. Das Lexikon der antonymischen Einheiten wird richtig als Garantie der Bereicherung des Wortschatzes der Sprache und ihrer bewussten Beherrschung behandelt. Auf Grundlage der Organisierung der Prinzipien des empirischen Stoffes und der Analyse der Srtukturierung einzelner lexikonischen Artikels wird in der Arbeit das antonymische Lexikon ebenso vom unterschiedlichen Typ, der Versuch der Feststellung des Musters seines einzelnen lexikonischen Artikels gegeben. Formiert wurden solche unbestreittbare Bedingungen, derer Verteidigung obligatorisch ist, um lexikographische Arbeit solcher Art zu bilden. Bei der Fixierung der oppositionellen Wörter soll allerdings in Betracht usuell-lexikonische Bedeutung dieser Einheiten genommen. Auf Grundlage dieser Einheiten vollzieht sich ihre Formulierung zu antonymische Paare, die Überpruefung der Objektivität der Gegenüberstellung durch Vergleichung der semantischen Strukturen der oppositionellen Einheiten, durch die Präzisierung ihres semischen Bestandes. In der Arbeit ist die Idee über die Bildung des antonymischen Wörterbuches "*unterschiedlicher Art*" und die Vervollständigung der lexikonischen Artikel vom traditioneller Typ entwickelt. Unter dem Wörterbuch von der "unterschiedlicher Art"wird die Anordnung der antonymischen Einheiten nicht nur nach dem formellen Merkmal- nach der Alphabetordnung, sondern auch ihrer Systematisierung nach auf Basis der formell-semantischen Kennziffer gemeint: die Antonymie wird vor allem im Rahmen einzelner Redeteile auf Grundlage der verallgemeinerten semantischen Gruppen, nach der Alphabetordnung fixiert. Es ist obligatorisch für einzelne Bedeutungen oder semantische Varianten eine oppositionelle Einheit auszusuchen, im Falle wenn die Glieder des oppositionellen Paares durch die polysemantische oder durch die Einheiten mit der komplizierten semantischen Sruktur dargestellt sind.

Ausser der aufgezählten Momente ist es nötig die distributionellen Eigentümlichkeiten der gegenübergestellten Einheiten zu verwenden. Unter Berücksichtigung der bezeichneten Momente ist in der Arbeit der Musterstruktur des lexikonischen Artikesl der antonymischen Paare dargestellt. Als Illustrationsstoff wurde aus dem lexikalischen Wortschatz der deutschen Sprache auf Grundlage der usuellen Bedeutung gegenübergestelte solche Einheiten ausgewählt, derer Angaben der semantischen Strukruren die Grundlage der Gegenüberstellung der Glieder der antonymischen Paare im völligem Masse zeigt

ზალიკო გამყრელიძე

„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ - დიდი გერმანელი ფილოსოფოსის გოტფრიდ ლაიბნიცისამ სიტყვებით ნათლად არის გამოხატული წარსულის, აწყმოსა და მომავლის ურღვევი კავშირის აუცილებლობა. „ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“ - გვმოძღვრავდა დიდი ილია.

მშობლებისა და შვილების ურთიერთობა მარადიული თემაა, რომელზეც უამრავი რამ დაწერილა და თქმულა წარსულში, ეს თემა მუდამ აქტუალური იქნება მომავალშიც. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა ერთ-ერთი ურთულესი ურთიერთობაა იმის მიუხედავად, რომ ყველაზე ახლობელ ადამიანთა ურთიერთობაზეა საუბარი. რა იწვევს ამ სირთულეს? მიზეზი ბევრი შეიძლება დასახელდეს, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი ის არის, რომ თანაცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მშობლები და შვილები პრობლემებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ, ბუნებრივია, მათი შეფასებაც განსხვავებული ხდება. ამ უახლოეს ადამიანთა ერთ პოზიციაზე არ დგომის მიზეზი ბევრია და, უნდა ითქვას, არ არის დასაძრახი და გასაკვირი მათი განსხვავებული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რადგან თუარა პოზიციათა ამგვარი ცვლა ცხოვრებისეული საკითხების მიმართ, კაცობრიობა ვერ განვითარდებოდა. და ამ განვითარებაზე, პირველ რიგში, მშობელმა უნდა იზრუნოს. როგორ? მან თავისგან განსხვავებული, უფრო პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი უნდა აღზარდოს და არაგაზარდოს.

ბავშვი ოჯახში ვითარდება, იზრდება და საზოგადოების სრულფასოვან და სრულუფლებიან წევრად ყალიბდება. კარგი ოჯახი ორგანიზებული და ჰარმონიული საზოგადოებაა. ამ პატარა ორგანიზმში ყალიბდება ყოველი ერის მომავალი თაობა. მომავალ თაობაზე ზრუნვა მშობლების ვალიცაა და მოვალეობაც. ზრდილობა, ზნეობა, ეტიკეტი, კარგი ქცევა ოჯახში ყალიბდება. დიახ, სწორედ რომ ოჯახში სწავლობენ უფროსებისადმი პატივისცემას, პატარებისადმი გულისხმიერებას, მეგობრებისადმი გულითად და ჰუმანურ მოპყრობას. სულგრძელი ადამიანი საზოგადოებაში სწორედ ამამაღლებული თვისებებით დაიმკვიდრებს თავს. თუ ადამიანი ოჯახში სათნოებას არის მოკლებული და არ იღებს შესაბამის აღზრდას, საზოგადოებას პრობლემებს უქმნის. ზრდილობიანი ადამიანი მხოლოდ ორგანიზებულ და ჯანსაღ ოჯახში იზრდება. ამგვარ ოჯახში აღზრდილი თაობები არიან გაწონასწორებული და საზოგადოებისათვის სასარგებლო. არაჯანსაღი ოჯახი კი ჰგავს იმ ქარხანას, რომლის წუნდებული პროდუქციაც საზიანოა ადამიანებისათვის, ქვეყნისთვის. ასეთი ოჯახის პროდუქტი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, აკეთებს ოჯახისა და ქვეყნის საწინააღმდეგო საქმეს. ამგვარი ოჯახების მესვეურთ რომ ჰკითხოთ, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ შვილების ბედნიერი მომავლისათვის, მათი კეთილდღეობისათვის. საქმე კი ისაა, ვის როგორ ესმის ადამიანის კეთილდღეობა და ბედნიერება. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მთელი საქართველო აკვირდებოდა ხელისუფლებაში მოსულ ახალგაზრდებს, მათ ქმედებას თუ უმოქმედობას. და ერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი სწორედ იმგვარი ოჯახებიდან იყვნენ გამოსული, ზემოთ რომ ქარხანას შევადარე. მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა, სხვისი დაჩაგვრა, სისასტიკე, კანონისა და კანონიერების უარყოფა, უფროსი ადამიანებისადმი უპატივცემლობა, კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება - ასეთი იყო მათი მისწრაფება, მათი ცხოვრების წესი. თავიდათავი ამგვარი მისწრაფებისა კი სწორედაც რომ ოჯახში უნდა ვეძიოთ. მომავლის რწმენა და იმედი, მომავალზე ზრუნვა მათქმევინებს - შვილებს დავუტოვოთ არამხოლოდ უძრავ-მოძრავი ქონება, არამედ ამგვარ ქონებაზე უფრო მეტად ღირებულირამ, სიმდიდრე, რომელსაც ჰქვია სამართლიანობა, ჯანსაღი და პროგრესული ცხოვრების წესი. ეს სიმდიდრე, დამეთანხმებით, ყველაზე ძვირფასია ადამიანის მიერ შექმნილ სიმდიდრეთა შორის. ბოლო 9 წელმა ნათლად დაგვანახა, თუ რაოდენ აქტუალურია, რამდენად საჭირო და აუცილებელია ურთიერთობა თაობებს შორის. ნაციონალურმა მოძრაობამ ხელის ერთიმოსმით „ჩარეცხა“ უფროსითაობა, ჩამოაცილა

ყველაფერს, უარყო მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, მის გარეშე მოინდომა საქართველოს მომავლის შექმნა, 2003 წლიდან დაიწყო ქვეყნის ე.წ. ისტორიის ათვლა. ბუნებრივია, არ გაამართლა საფუძველშივე მცდარმა ამ ქმედებამ, უნიადაგო და ეროვნულ წიაღსმოკლებული აღმოჩნდა ეს ფუჭი მცდელობა იმისა, რომ ევროპულ ღირებულებებად გამოცხადებულიყო ყველაფერი ეროვნულს მოკლებული, ღირებულად გამოცხადებულ იყო დასავლეთის ქვეყნებში მიღებული ზერელე განათლება, უგულებელყოფილიყო ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებული კულტურა და ხელოვნება. ქართველმა კაცმა არ აპატია ამგვარი მტრული ქმედება უძღები შვილების თაობას და არჩევნების გზით, მშვიდობიანად მოაცილა ისინი ქვეყნის მართვის სადავეებს. მერწმუნეთ, ხალხის ეს რეაქციაც, ამგვარი ქმედებაც ზრუნვაა მომავალ თაობებზე, მათ კეთილდღეობაზე.

„ქართული ოცნება“, რომელმაც გადაიბარა ქვეყნის მართვის სადავე, პრიორიტეტად აცხადებს ადამიანს, მასზე ზრუნვას, სამართლიანობის აღდგენას ქვეყანაში, მომავალი თაობის ჭეშმარიტი და საფუძვლიანი განათლებით აღჭურვას. მჯერა, კვლავ ფასი დაედება და ღირებული გახდება ადამიანის ჯანმრთელობა, ეროვნული კულტურა, ხელოვნება, სულიერება, აღდგება თაობებს შორის ხელოვნურად ჩატეხილი ხიდი. რა მაძლევს ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს? ის, რომ ადამიანი, რომელმაც დაამარცხა ნაციონალური მოძრაობა დაუცილობელი დაღუპვისაგან იხსნა ქვეყანად ამისი მომავალი თაობები, სწორედ ისეთ ოჯახში აღიზარდა, როგორზეც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ. ბატონი ბიძინა, გარდა იმისა, რომ წარმატებული ბიზნესმენია, იგი წარმატებული მშობელიცაა, კარგად აღზრდილიშვილია, ტრადიციების მოყვარული და წინაპართა პატივისმცემელი, სულგრძელი ადამიანია. სწორედ ამიტომაც მჯერა, რომ ქვეყნის მართვის სადავე საიმედო ხელშია და ეს ეროვნული თვისებებით აღჭურვილი მესაჭე გადაარჩენს უფსკრულის პირას მდგარ ქვეყანას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს განზე დგომას და ამ მესჭის იმედად ყოფნას. მჯერა, ერი და ბერი, განსაკუთრებით კი ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი იმედი და ჩვენი ზრუნვის საგანი, რომლებმაც არჩევნების წინა პერიოდში გვჩვენეს პოლიტიკური სიმწიფე და სიბრძნე, მხარში დავუდგებით „ქართულ ოცნებას“ და, მის ლიდერთან ერთად, შეუპოვარი ბრძოლით, თავდადებით, შევძლებთ, მომავალ თაობებს დავუტოვოთ ეროვნულ ტრადიციებზე, სამართლიანობასა და კანონიერებაზე დაფუძნებული, ტერიტორიებაღდგენილი და გაერთიანებული, ძლიერი საქართველო.

ვანო შუშტაკაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ირექტორის მოადგილე ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ჯუმბერ ლეჟავს სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

ოჯახის მოდერნიზაცია საქართველოშვი

თანამედროვე ეტაპზე ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაცია განიხილება, როგორც საზოგადოებრივ ფასეულობათა სისტემაში ფორმირებული ინდივიდუალური ორიენტაციის შესაბამისი ქცევის ახალი სოციალურ-დემოგრაფიული ფასეულობათა და ნორმების ჩამოყალიბება ოჯახში. გასული საუკუნის 70-იან წლებში სოციოლოგთა და დემოგრაფთა მიერ გამოყოფილ იქნა თანამედროვე ოჯახის მოდერნიზაციის ოთხი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი: 1. იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლივი ცხოვრების (არარეგისტრირებული ქორწინება) და ოჯახის ალტერნატიული

ფორმების ფართოდ გავრცელება; 2. ოჯახის ბავშვთა ცენტრული მოდელიდან შვილზე ინდივიდუალურად ორიენტირებულ პარტნიორულ წყვილზე გადასვლა; 3. შვილიანობის შეცნობილ გეგმიანობაზე გადასვლა; 4. ოჯახის ტრადიციული მოდელიდან დემოკრატიულ-პლურალისტულ მოდელზე გადასვლა. ზოგიერთი დემოგრაფი მომავალში ოჯახის ინსტიტუტის გაქრობასაც კი ვრაუდობდა.

თუ განვიხილავთ ამ ნიშნებს საქართველოში, მეორე და მესამე ნიშანი ქართულ ოჯახში ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან აღინიშნება, რაც საზოგადოებაში დასავლური სოციალურ-ეკონომიკური ქცევის ფარულ გავრცელებას მოჰყვა. პირველი და მეოთხე ნიშანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოფიციალურად არ აღიარებულ ჯვრისწერას, ცალკეული შემთხვევების სახით, ძირითადად 2000 წლიდან აღინიშნება.

საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ოჯახის მოდერნიზაციაზე ფუნდამენტურ (განვითარების ობიექტური კანონზომიერებები) ფაქტორებთან შედარებით, არსებითი გავლენა ლოკალურმა სპეციფიკურმა ფაქტორებმა იქონია (ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფომაცია, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა და სხვ.). ევროპის ქვეყნებში მოქმედი ფუნდამენტური ფაქტორები, საქართველოში განსხვავებულია წარმომავლობით, მოქმედების ძალით, ხანგრძლივობით და სოციალური შედეგებით. საქართველოს საზოგადოება და ოჯახი კი მოუმზადებელი შეხვდა ობიექტურობით განპირობებულ ქვეყნის, როგორც სხვა, ისე, სოციალურ-დემოგრაფიულ მოდერნიზაციას.

აღნიშნული არსებითად განაპირობა 1990-იან წლებში განვითარებულმა ცნობილმა პოლიტიკურმა და სოციოლურ-ეკონომიკურრმა ქაოსმა. ამ პერიოდში საქართველოში დაირღვა მოსახლეობის აღწარმოების ევოლუციური პროცესი. კერძოდ, დაჩქარდა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპიდან მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ტიპზე გადასვლის გარდამავალი ეტაპი. ამ თვალსაზრისით თუ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ცივილზიებული ტიპითვის დამახასიათებელი დეპოპულაციის პროცესი შობადობის და ჩვილთა მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში მიმდინარეობს, ხოლო სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა განაპირობებს მოკვდაობის მაღალ დონეს. ანუ, გარდაცვლილთა უმეტესობა, მოსახლეობის დაბერების შედეგად, მაღალი ასაკობრივი ჯგუფებზე მოდის. საქართველოში კი დეპოპულაციის პროცესი არაცივილიზებულად ხორციელდება. კერძოდ, გარდა ჩვილთა მაღალი მოკვდაობისა, გარდაცვლილთა საკმაოდ დიდი ნაწილი შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკებზე მოდის, მამაკაცთა მოკვდაობა ამ ასაკებში საშუალოდ 2,8-ჯერ აღემატება ქალებისას, რის შედეგადაც მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 8-9 წლით ჩამორჩება ქალთა ანალოგიურ მაჩვენებელს.

გარდამავალი ეტაპის მოსამზადებლად ქვეყანაში არ გატარებულა არავითარი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა, რის გამოც ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა ამ პროცესს.. ამიტომ, ოჯახის მოდერნიზაცია 2000 წლამდე უფრო რევოლუციური იყო, ვიდრე ევოლუციური. თუ 2000 წლამდე ქართული ოჯახის ძირითად ფუნქციებზე (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სულიერი და სხვა) ფუნდამენტურ ფაქტორებთან შედარებით, უფრო მეტი გავლენა სპეციფიკურმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა იქონია, ხოლო 2000 წლის შემდეგ სპეციფიკურთან შედარებით უფრო მეტად გამოიკვეთა ფუნდამენტურ ფაქტორთა მოქმედების ძალა.

თუ განვითარებულ ქვეყნებში იზრდება მარტივ ოჯახთა და მცირდება რთულ ოჯახთა წილი, საქართველოსთვის სხვა ტენდენციაა დამახასიათებელი. 1970-1989 წწ. ოჯახის სიდიდეზე მოქმედებდნენ შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ა) ახალგაზრდული ქორწინებების მნიშვნელოვანი ზრდა, ანუ იმ ოჯახების, რომლებიც დემოგრაფიული ციკლის საწყის ფაზაში იმყოფებოდნენ; ბ) ნუკლეარიზაციის შემდგომი გაღრმავება; გ) შობადობის შემცირება და მცირეშვილიან ოჯახთა გავრცელება, 1990 წლიდან ვითარება შეიცვალა.

სამწუხაროდ, რამდენადაც საქართველოში 2002 წლის შემდეგ მოსახლ;ეობის აღწერა არ ჩატარებულა, მოკლებული ვართ 2002 წლის შემდგომ პერიოდში ოჯახის ტიპთა ცვლილების ამსახველ დემოგრაფიულ ინფორმაციას. ამიტომ, სტატიაში განვიხილავთ 1970-2002 წლებში დემოგრაფიული ქცევის ტრანსფორმაციის შედეგად საქართველოს ოჯახების ტიპთა ცვლილებების შედეგებს და 2002 წლიდან ოჯახის ფორმირების ტრანსფორმაციის დემოგრაფიულ ფასქტორებს (ქოწინება-

განქორწინება), რომლის შედეგად ოჯახის ტიპთა ცვლილებიბებზე მსჯელობის საშუალება, მხოლოდ მოსახლეობის ახალი აღწერის ჩატარების შემდეგ მოგვეცემა.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 1989-2002 წწ. ოჯხის წევრთა საშუალო რაოდენობა 4,1-დან 3,5 სულამდე შემცირდა. მისი შემცირება, რომ განხორციელებულიყო ახალგაზრდა ოჯახების ცალკე გამოყოფის შედეგად (ნუკლეარიზაცია), იგი დადებით, პროგრესულ მოვლენად ჩაითვლებოდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო. 2002 წლისათვის, მარტოხელები თითქმის გაუთანაბრდნენ 2 და 3 წევრიან, ხოლო 6 და მეტწევრიან ოჯახებს კი 2-3-ჯერ გადააჭარბეს. აღნიშნული გამოწვეულია: დაქვრივების მაღალი დონით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შედეგად, ქვეყნისათვის მანადმე უცნობი, ფორმირებული დევნილი ოჯახების წარმოქმნით, მაღალი ემიგრაციული პროცესებით, 30 წლის ზემო ასაკში დასაქორწინებელთა მაღალი წილით (ოჯახთა საერთო რაოდენობის 16,1%) და სხვ.

ცხრილი1

საქართველოს ოჯახების განაწილება ოჯახის წევრთა რიცხოვნობის მიხედვით (%%-ით) 1970-2002 წწ.
(მოსახლეობის აღწერების მიხედვით)

წლები	ოჯახები სულ	მ.შ. ოჯახი შედგება							
		1 წევრისაგან	2 წევრისაგან	3 წევრისაგან	4 წევრისაგან	5 წევრისაგან	6 წევრისაგან	7 და მეტი წევრისაგან	ოჯახის საშუალო სიდიდე
1979	100.0	-	21.1	19.9	25.0	16.7	9.8	7.5	4.0
1989	100.0	-	21.3	19.5	25.2	16.1	9.8	8.0	4.1
2002	100.0	16.1	17.4	17.0	21.6	13.8	8.3	5.2	3.5

ოჯახის განვითარების ტენდენციის და ოჯახის სტრუქტურის პროგნოზირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის დემოგრაფიული ტიპების შესწავლას, რაც ძირითადად, მხოლოდ მოსახლეობის აღწერების მასალებითაა შესაძლებელი, რის გამოც, ჩვენი გამოკვლევაც ამ აღწერის მასალებზეა დაფუძნებული.

ოჯახის დემოგრაფიულ ტიპს ძირითადად განსაზღვრავს „ოჯახის ბირთვი," რომელიც შეიძლება იყოს სრული და შედგებოდეს დაქორწინებული წყვილისაგან შვილებით ან უშვილებოდ და არასრული, რომელშიც მხოლოდ დედა (მამა) შვილებით. ასეთი ტიპოლოგია საშუალებას იძლევა გამოვყოთ ოჯახი საოჯახო ბირთვით და საოჯახო ბირთვის გარეშე.

ოჯახის ცვლილების ტენდენციის დინამიკაში შესწავლის მიზნით, ჩვენ გამოვიყენეთ უფრო გამსხვილებული სპეციფიკური ტიპოლოგია, რომელიც მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა და ნაკლისა, საშუალებას გვაძლევს შეგვესწავლა 1970-2002წწ. აღწერებს შორის პერიოდში ოჯახების ტიპთა ცვლილების დინამიკა. რაც

ცხრილი 2

მოცემული ტიპის ოჯახთა წილი ოჯახთა საერთო რიცხვში (%)
1970-2002 წწ.

წლები	ტიპი I	თიპი II	ტიპი III	ტიპი IV	ტიპიV	ტიპიVI
1970წ.	56,3	22,3	10,1	6,6	3,0	1,7
1979წ.	57,2	17,4	8,9	10,4	1,7	4,4
1989წ.	51,5	18,1	12,6	11,1	2,0	4,7
2002წ.	41,5	11,8	9,8	10,0	2,4	2,3

როგორც ცხრილი 2 დან ჩანს, 1970-2002 წწ. რთული, სრული ოჯახების ხვედრითი წილის შემცირების (ტიპი V) ფონზე, უარყოფით ტენდენციად წარმოგვიდგება მარტივი არასრული ოჯახების (ტიპი IV) წილის ზრდა. ასეთი, ოჯახები როგორც წესი, სრულ ოჯახში განქორწინების, ან ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების, აგრეთვე, ქორწინების გარეშე შობადობის შედეგია. მათი გარკვეული ნაწილი იქმნება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის და ერთ-ერთი ცალკე მცხოვრები შვილის გაერთიანებით, ასევე, მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შედეგად.

სრული და არასრული ოჯახების რიცხოვნობა როგორც წესი ყალიბდება ქორწინების, მოკვდაობის და განქორწინების პროცესთა ხანგრძლივი ურთიერთზემოქმედების შედეგად, მიუხედავად ინფორმაციის შეზღუდულობისა, ოჯახთა ამ ორი ძირითადი ჯგუფების წილების შედარება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მართალია საოჯახო სტრუქტურაზე გავლენას ახდენს მოკვდაობა და განქორწინება, რაც იწვევს საქორწინო წყვილის დაშლას და არასრული ოჯახების ჩამოყალიბებას, მაგრამ იგი არსებით ზეგავლენას ვერ ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე. მიუხედავად ამისა, ასეთი ოჯახების ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, ყველა ოჯახთა შორის უმრავლესობას შეადგენს ოჯახები საქორწინო წყვილებით, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა. ოჯახის უპირატესი ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებული იყო და არის ჩვენს ქვეყანაში, არის მარტივი ანუ ნუკლეარული ოჯახი, რომელიც შედგება ცოლ-ქმრული წყვილის შვილებით ან უშვილო ცოლ-ქმრული წყვილისაგან (ტიპი I).

ცხრილი 3

ოჯახთა ხვედრითი წილი „საოჯახო ბირთვით“ და დაქორწინებული წყვილით ოჯახთა საერთო რაოდენობაში 1970-2002 წწ. (%-ით)

	ოჯახები „საოჯახო ბირთვით“ ყოველ 100 ოჯახზე				ოჯახები დაქორწინებული წყვილით ყოველ 100 ოჯახზე			
	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.	2002 წ.	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.	2002 წ..
საქართველო	97,1	95,6	95,3	94,8	83,6	83,6	82,1	81,4

მოსახლეობის აღწერის მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1970-2002 წწ. საქართველოში, მიუხედავად “საოჯახო ბირთვით” ოჯახების ხვედრითი წილის 2,3%-ით შემცირებისა, 2002 წლისათვის უმრავლესობას მაინც ისინი შეადგენენ. ამასთან, რამდენადაც საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მასალები ოჯახის ტიპების მიხედვით არ დამუშავებულა რეგიონულ ჭრილში, ამიტომ ოჯახის ტიპოლოგიის ევოლუციის შესწავლისთვის დავკმაყოფილდით, მხოლოდ ქვეყნის საერთო მაჩვენებლით.

ოჯახის მოდერნიზაცია უწინარესად ქორწინებით ქცევაში აისახა. კერძოდ, გაიზარდა პირველ ქორწინებაში შესვლის ასაკი. თუ 1990-2010 წწ. ქალისთვის იგი 23,7 წლიდან 25,8 წლამდე, ხოლო მამაკაცისათვის 27,0 წლიდან 29,5 წლამდე გაიზარდა. საქართველოსთვის მეტნაკლებად დამახასიათებელია ქორწინებითი ქცევის ევროპული ტიპი, რაც განპირობებულია ერთი მხრივ ფუნდამენტური (ქალთა ემანსიპაცია, განათლებისკენ სწრაფვა, კარიერიზმი და ა.შ.) მეორე მხრივ სპეციფიკური (ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური, საბინაო, ემიგრაციული, უმუშევრობის და სხვა პრობლემებით გამოწვეული ქორწინებათა გადავადება) ფაქტორებით. გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად 1992-2003 წლები ქორწინებათა რაოდენობის შემცირების პერიოდია, 2004 წლიდან ქორწინება საქართველოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2003-2010 წლებში 12,7-დან 34,7 ათასი შეადგინა. ანუ, 3,2-დან 9,2 პრომილამდე, თითქმის 3-ჯერ, გაიზარდა.

1990-იანი წლებში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ქორწინებათა გადავადება. ახალგაზრდობა პრიორიტეტს ანიჭებდა არა ოჯახის, არამედ

არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზის შექმნას, რადგან მათი დიდი ნაწილი საკუთარი თავის იმედზე იყო დარჩენილი და არა მშობლების, როგორც ეს უწინ იყო. საერთოდ, ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ქორწინებებისა და დაბადებათა რიცხვი მცირდება.

ქორწინებითი ქცევის ცვლილების ერთ-ერთი ნიშანია საშუალო ასაკის ზრდა პირველი ქორწინებისას. 1990 წელს საპატარძლოების ასაკი 23,7 წელს, 2010 წელს კი – 25,6 წელს შეადგენდა. ამავე პერიოდში 2,3 წლით გაიზარდა საქმროების საშუალო ასაკი — 27,0-დან 29,3 წლამდე. ამრიგად, ქორწინება „ბერდება." ეს ოჯახის ტრანსფორმაციის დაწყების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია, თუმცა ხშირად ოჯახის შექმნის გადავადებას ნაგვიანებ ასაკში ის პირები ახდენენ, რომლებიც მისი შექმნის ტრადიციულ ხერხებს უჭერენ მხარს. მათთვის ოჯახის შექმნა ქორწინების ოფიციალურად რეგისტრაციას გულისხმობს. საერთოდ ქართველებისათვის გვიანი ქორწინებები არა მარტო ამჟამად, არამედ ორი ათეული წლის წინათაც იყო დამახასიათებელი. მე-20 საუკუნის 70-იან წლებშიც კი ქართველი ქალების საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისას საგრძნობლად აღემატებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ საქართველო ყოველ 20-25 წელიწადში გარკვეულწილად იმეორებს დემოგრაფიული განვითარების იმ გზას, რომელიც ევროპამ გაიარა. თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2020-2025 წლისათვის საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისას მიაღწევს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამჟამად დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში არის.

ოჯახის მოდერნიზაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია განქორწინებათა ზრდა რომელმაც 2010 წელს 1992 წლის დონეს გადააჭარბა და 1,1 % შეადგინა. 2000-2010 წწ. განქორწინებულთა რაოდენობა 1854-დან 4726-მდე, ანუ 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს განქორწინებულ მამაკაცთა საშუალო ასაკმა 39,3, ხოლო ქალების 36,1 წელი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია. საინტერესოა, რომ 1990-იან წლებთან შედარებით გაიზარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში 20 წელზე მეტი ხანგრძლივობით მყოფთა განქორწინების მაჩვენებელი და 2010 წლისათვის 22,1% შეადგინა. მისგან განსხვავებით, წინა წელთან შედარებით 4%-მდე შემცირდა 1 წლამდე ქორწინებაში მყოფთა განქორწინების დონე. საერთოდ, 2000-2010 წწ. განქორწინებულთა ქორწინებაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა 11-12 წლების ფარგლებში ვარირებს, რაც 1990-იან წლებთან შედარებით გაზრდილია.

დღეისათვის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ცდილობს მატერიალურად დამოუკიდებულნი იყვნენ. ამ მიზნით ცდილობენ მიიღონ განათლება, დამოუკიდებლად უზრუნველყონ ოჯახისთვის მყარი ეკონომიკური ფუნდამენტი და მხოლოდ ამის შემდეგ შექმნან ოჯახი და იყოლიონ შვილები. საქართველოში ადრეულ ქორწინებებს გარკვეულწილად მშობლებიც ეწინააღმდეგებიან. ამიტომაც დაქორწინებისას საშუალო ასაკზე გარკვეულწილად გავლენას ახდენს შვილების დამოკიდებულება მშობლების აზრთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, მშობლების აზრი შვილების დაქორწინებაზე გადამწყვეტი არაა, ხშირ შემთხვევაში, მშობლების თანხმობას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს.

ოფიციალურად გაფორმებული ქორწინებათა რიცხვის შემცირება გარკვეულწილად კომპენსირდება არარეგისტრირებული კავშირებით და ჯვრისწერით. ამას ადასტურებს ოფიციალური ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ნილის ზრდა, რაც 1990-2006 წწ. დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად 18,2-დან 54,4%-მდე გაიზარდა, თუმცა 2010 წლისთვის იგი 36,6 %-მდე დაეცა. რამდენადაც ჯვრისწერა სამოქალაქო ქორწინებასთან არ არის გათანაბრებული, ამიტომ, არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 2010 წელს ნაცვლად 36,6%-სა რეალურად—4,0%-ია. შეფასებს ამავე მეთოდით 2010 წელს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 20 წლამდე ასაკის დედებში ნაცვლად 53,1%-ისა, შეადგენს 5,1%-ს, ხოლო 20-24 წლების ასაკის დედებში ნაცვლად 34,4%-სა, 3,4%-ს. ანუ, რეალურად 10-ჯერ დაბალია.

ქორწინების გარეშე შობადობას ყოველმხრივ გამართლებულად თვლის სტუდენტთა 12,1 %, ასევე გამართლებულად თვლის მას ერის გამრავლების მიზნით 17,1 %. გამოკითხულ რესპონდენტთა 30,0% კი, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას გაუმართლებლად მიიჩნევს ახალგაზრდა ასაკში და გამართლებულად მაღალ ასაკში, ხოლო ზნეობრივად გაუმართლებლად 42,8%. საინტერესოა რესპონდენტთა პასუხები სქესის მიხედვით. ვაჟთა უმრავლესობა უფრო ლიბერალურად არის განწყობილი ქორწინების გარეშე შობადობის საკითხისადმი. ამ გამოკითხვის მონაცემებს პროგნოზული

მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ რომ მომავალში ქორწინებისგარეშე შობადობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს სწორედ ახალგაზრდების ამგვარი დამოკიდებულების გამო (ახალი გამოკვლევის ჩატარება საშუალებას მოგვცემს გავიგოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ამჟამად საქართველოში).

ახალგაზრდობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქორწინების იურიდიულად რეგისტრაციას და დიდ ყურადღებას რელიგიურ ქორწინებას. თუმცა ქორწინების იურიდიულად რეგისტრაციას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ახალგაზრდების 87,9 % მას არ თვლის მოძველებულად, განსაკუთრებით გოგონები — 94,0 % (თუმცა სტუდენტთა 12,1 %, რომელიც მას მოძველებულად თვლის, არც თუ ისე მცირე სიდიდეა). ასევე დადებითია სტუდენტების დამოკიდებულება რელიგიური ქორწინებისადმი. ახალგაზრდობის 93,8 % რელიგიურ ქორწინებას არ თვლის მოძველებულად. აქაც ისევ გოგონების წილია მეტი (98,4 %). რესპონდენტთა 69,3 %-ს მიაჩნია, რომ სადღეისოდ საჭიროა ქორწინების ორივე ფორმა ერთად — როგორც იურიდიულად რეგისტრირებული, ასევე საეკლესიო. გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ცალკე იურიდიულად რეგისტრირებულ და ცალკე რელიგიურ ქორწინებას, არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. დღეისათვის, ახალგაზრდების უმრავლესობა მხარს უჭერს ქორწინების ორივე ფორმას: იურიდიულად რეგისტრირებულს და რელიგიურს. ახალგაზრდობა უკვე ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქორწინების მხოლოდ იურიდიულად რეგისტრაციას. ჩვენი გამოკვლევებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რელიგიურ ქორწინებაზე მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილი უნდა იყოს ორიენტირებული.

იურიდიულად არარეგისტრირებულ ქორწინებებს, რესპონდენტთა 8,9 % ანიჭებს უპირატესობას, ვაჟების წილი (29,3 %) ვინც არარეგისტრირებულ ქორწინებას ანიჭებს უპირატესობას საგრძნობლად აღემატება ქალთა წილს (0,6 %). მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახალგაზრდების 44,7 პროცენტი, ე.ი. თითქმის ნახევარი, ნეიტრალურად არის განწყობილი ქვეყნაში არარეგისტრირებული ქორწინების ზრდისადმი, ხოლო რესპონდენტთა 35 პროცენტი დადებითადაც კი აფასებს მათი რიცხვის ზრდას. შესაძლოა ამ განწყობამ მომავალში კიდევ უფრო გაზარდოს არარეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვი. ქვეყანაში ქორწინებათა რიცხვის შემცირებას უარყოფითად აფასებს რესპონდენტთა 70,8 პროცენტი, ნეიტრალურად 27,6 პროცენტი, ხოლო დადებითად 1,6 პროცენტი. ამასთან, ქორწინებათა რიცხვის შემცირებას ნეიტრალურად აფასებს გაცილებით მეტი გოგონა, ვიდრე ვაჟი, ე.ი. მომავალი დედებს, რომლებმაც მოსახლეობის გამრავლება უნდა უზრუნველყონ, გულგრილი დამოკიდებულება აქვთ დღეისათვის არსებულ ქორწინების დაბალი დონის მიმართ. ქორწინებათა რიცხვის შემცირებას უარყოფითად აფასებს გოგონებთან შედარებით ვაჟების დიდი რაოდენობა. ამრიგად, ჩანს ახალგაზრდების ერთი ნაწილის მიერ ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობის გაუთვითცნობიერებლობა და, აქედან გამომდინარე, შედარებით პასიური დამოკიდებულება შექმნილი ვითარებისადმი.

რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობის მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში მიმდინარეობს ქორწინების ფორმების გარკვეული ცვლილება, განსაკუთრებით ბოლო წლებში და ძირითადად 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში. გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ცალკე იურიდიულად რეგისტრირებულ და ცალკე რელიგიურ ქორწინებას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ახალგაზრდების დემოსოციოლოგიურ გამოკითხვას აქვს პროგნოზული მნიშვნელობა და გამოკითხული ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი ანიჭებს რა უპირტესობას ქორწინების აღნიშნულ ფორმას, დიდი ალბათობაა, რომ ისინი მომავალში სწორედ ქორწინების ორივე რელიგიურ და იურიდიულ რეგისტრაციას მიმართავენ, რაც კიდევ უფრო გაზრდის არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვს და შესაბამისად, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა წილს. ამიტომაც, მოვლენები ამგვარად რომ არ განვითარდეს, საჭიროა ქორწინების ორივე ფორმა იყოს კანონიერად აღიარებული.

საქართველოში ოჯახის ცვლილების ზემოაღნიშნული სპეციპიკური ფაქტორები პირდაპირ მოქმედებენ საქორწინო ქცევის ფორმირებაზე. ეს ფაქტორები განსაკუთრებით გამოიკვეთა მართვის ცენტრალიზებული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. სპეციფიკურ ფაქტორებს მიუკუთვნება: სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია და სოციალური დანაკარგები, ხოლო ფუნდამენტურ ფაქტორებს — ადამიანის ინდივიდუალიზმი, ქალთა ემანსიპაცია და ინდივიდის

თავისუფლება. სპეციფიკურ ფაქტორებზე საუბრისას, მხედველობაში გვაქვს სოციალური დანაკარგები, როდესაც საზოგადოების ნაწილზე მოქმედებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია დასაქმების გარანტიების დაკარგვა და მინიმალური ხელფასის უაღრესად შემცირება, აგრეთვე საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ცენტრალური სისტემის მოშლა.

1990-იანი წლების შუა ხანებიდან გაიზარდა ოჯახის ინსტიტუტზე ახალი ფაქტორების ზემოქმედება. უმუშევრობის ზრდამ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებმა არალეგალური შრომითი მიგრაციის უზარმაზარი ნაკადები წარმოქმნა. ინტენსიურ ემიგრაციულ პროცესებში უმთავრესად 16-49 წლის დასაქორწინებელი და გასათხოვარი ადამიანები მონაწილეობენ. გასაგებია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც საზღვარგარეთ არსებობის საშუალებებს ეძებენ, ოჯახებს იშვიათად ქმნიან და ასევე იშვიათად აჩენენ შვილებს. გარდა ამისა, ემიგრანტები დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ცხოვრების სტილის, ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის, ფასეულობების შესახებ ინფორმაციის დამატებით წყაროს წარმოადგენენ. ეს გარემოება საქართველოში დასავლეთის ქორწინებითი ქცევის მიბაძვასა და გავრცელებას უწყობს ხელს, რის შედეგადაც ადამიანების საკმაოდ დიდი რაოდენობა დასავლეთის ფასეულობებს ითვისებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს, ისევე როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას, საზღვრები გაეხსნა და, შესაბამისად, იაფფასიანი კულტურის გავლენისაგან დაუცველი გახდა. იზოლაციაგადატანილი ქვეყანა ადვილად ითვისებს დასავლეთის არა მარტო მატერიალურ, არამედ კულტურულ, სულიერ ფასეულობებს და ასევე ქცევის ნორმებს, მათ შორის, საქორწინო ქცევის ნორმებს. აღნიშნული გარემოება ჩვენს ქვეყანაში ოჯახის ტრანსფორმაციის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი გახდა.

ყველა ფაქტორი, რომელიც მატრომონიალურ ქცევაზე უდიდეს გავლენას ახდენს (საბაზრო ურთიერთობების განერგვა, სოციალური ტრანსფორმაცია, ეკონომიკური სიტუაციის არასტაბილურობა, ცხოვრების პირობებისა და სტილის, ფასეულობების, ნორმების, ქცევის შეცვლა) მრავალმხრივად გადაიკვეთებიან და ამათგან უფრო გადამწყვეტი ხდება ოჯახის ტრანსფორმაციის არა სპეციფიკური, არამედ ფუნდამენტური ფაქტორები: ინდივიდუალობა, ემანსიპაცია, ინდივიდის თავისუფლება.

ამდენად, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში სწრაფმა და არსებითმა ცვლილებებმა, რომელიც XX საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში საქართველოში დაიწყო, ოჯახის ტრანსფორმაცია განაპირობა. მისი ტრადიციული ნიშნები ქრება და ყოველ ახალ თაობაში მისი შექმნის ფორმები და ახალი ნიშან-თვისებები ფუძნდება, რაც უკვე დიდი ხანია დასავლეთის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ის მოსაზრება, რომ ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი მოძველდა, ჯერ-ჯერობით ჩვენთან არ არის ფართოდ გავრცელებული. მიუხედავად საქორწინო სფეროში არსებული უარყოფითი ტენდენციებისა, საზოგადოება მაინც საკმაოდ მკვეთრად რეაგირებს ქორწინებათა რიცხვის შემცირებაზე. მთლიანობაში, დამოკიდებულება ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტთან მიმართებაში დადებითია. მართალია თანამედროვე ევროპული ორიენტაციის ოჯახი თანდათანობით იკვალავს გზას, მაგრამ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს ორიენტაცია ტრადიციულ ოჯახზე.

თინათინ ხოხობაშვილი

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი

1. მდებარეობა, საზღვრები და დაცვის ობიექტი

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი 1923-1924 წელს გამოცხადდა. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, კერძოდ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ბირკიანთან მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. ნაკრძალის სახელწოდება დაკავშირებულია მდინარე ბაწარასთან, რომელიც ნაკრძალის გავლით უერთდება მდინარე ალაზანს.

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბაბანეურის ნაკრძალი, ჩრდილოეთიდან ილტოს აღკვეთილი, ხოლო სამხრეთიდან კავკასიონის ქედი.

აღნიშნული ნაკრძალის დაცვის ობიექტს მცენარე უთხოვარი წარმოადგენს. იგი ნაკრძალის 7,8 %-ს მოიცავს. ნაკრძალის საერთო ფართობი კი 2985,96 ჰა.

2. ჰიდროლოგია

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალის მაღალ მთაში, სათავეს იღებს მდინარე ბაწარა. იგი მოძრაობის ტრაექტორიის მიხედვით, ნაკრძალში ქმნის მრუდხაზოვან დინებას და მცირე ზომის წყალვარდნილებს. მდინარე ბაწარაში ნაკრძალის გარეთ მიმდებარე ტერიტორიიდან ჩაედინება, ძიბახევი, შავხევი და თეთრხევი. მდინარე ბაწარა კი სოფელ ბირკიანის გავლით, მარჯვენა შენაკადით ჩაედინება მდინარე ალაზანში.

3. კლიმატი

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალს, ჩრდილოეთიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან იცავს კავკასიონის ქედი. მიუხედავად ამ ბუნებრივი ბარიელისა. იგი გამოირჩევა დღე-ღამური ტემპერატურის მაღალი სხვაობით და სხვადასხვა კლიმატური ზონით, ზოგადად კი სპეციფიური ინტენსივობის სუბტროპიკული კლიმატით. ე.ი კლიმატის ზონალურ ცვალებადობას აქვს ადგილი, სადაც კლიმატის ფორმირებაში მონაწილეობს ატმოსფერული ნალექები. მათი უმეტესი რაოდენობა მაისში წარმოიქმნება. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 12-10 მმ-ია. ზღვის დონიდან 1000 მ. სიმაღლემდე თოვლის საფარის ხანგრძლივობა რამდენიმე დღით განისაზღვრება, ხოლო ზღვის დონიდან 1500-2000 მ. სიმაღლეზე რამდენიმე თვით, ჰაერის ვერტიკალური გრადიენტი კი 0,2-0,9 შორის მერყეობს.

ნაკრძალის ქვედა ნაწილში, ზღვის დონიდან 700-1000 მ. სიმაღლის ფარგლებში წლიური საშვალო ტემპერატურა 13 ^{0}ჩ არ აღემატება, ზღვის დონიდან 1000-1500 მ. სიმაღლის ფარგლებში წლიური საშვალო ტემპერატურა 8-9 ^{0}ჩ არ აღემატება, ხოლო ზღვის დონიდან 1600-1800 მ. სიმაღლის ფარგლებში 5-6 ^{0} ჩ, ზღვის დონიდან 2000 მ. სიმაღლეზე კი 3-4 ^{0} ჩ.

4. ტოპოგრაფია

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი ზღვის დონიდან 700-2000 მ. სიმაღლის ფარგლებში მდებარეობს. იგი ხასიათდება მეზოფელური რელიეფით (მთიანი, გორაკიანი, ვაკე) და რელიეფის დომინანტური ფორმი (ხეობა, დაბლობი, ჭალა), გეოტექნიკური თვალსაზრისი კი დანაოჭებულ სისტემას ქმნის. ბაწარის ნაკრძალში ვხვდებით 10-60^0-დე დახრილ ფერდობებს, ასევე გვხვდება ლოკალური სახის ქარქცევები და ხერგილები.

რელიეფი სუბალპურ სარტყელში ქმნის ციცაბო ფერდობებს, ქვაყრილებს, კლდიან-ტორფიან მთა მდელოებს. უფრო დაბლა მეორად მთებზე გვხვდება მეტი სისქის, ზოგან გაერწრებული მთა-მდელოს ნიადაგები. ზღვის დონიდან 1000-1500 მ. სიმაღლის ფარგლებში ფართოდ არის წარმოდგენილი, მთა-მდელოს ღიაწაბლისფერი ნიადაგები, სადაც ციცაბო დახრილობის გამო ადგილი აქვს, ფერდობზე ნიადაგის სრულ ჩამორეცხვას და დედაქანების სრულ გაშიშვლებას. ზღვის დონიდან 700-1000 მ. სიმაღლეზე კი გვხვდება მცი-

რე საშვალო სიმძლავრის წაბლა და ალავიური-კარბონატული ნიადაგები, ასევე ვხვდებით ჰუმუსიან ნიადაგებს. ნიადაგის სისქე ნაკრძალის სხვადასხვა ზონაში სხვადასხვაა 30 სმ-დან 65 სმ-დეა. აღსანიშნავია, რომ უთხოვრის კორომებში განვითარებულია ,,უხეში'' და ,,გარდამავალი'' მკვდარი საფარი.

მისი სიმაღლე 1.0-3.0 სმ-დეა.

ნიადაგის მკვდარი საფარისა და ზედა ჰუმუსოვანი ჰორიზონტის შესწავლისას გამოვლენილია, რომ ბაქტერიებისა და სოკოების ძირითადი მასა განთავსებულია მკვდარ საფარში, ხოლო აქტინომიცეტები — ნიადაგის ზედა ფენაში. ასევე მიკრო ორგანიზმთა ძირითადი მასა თავმოყრილია ზედა ჰუმუსოვან ჰორიზონტში, რომელიც სიღრმესთან ერთად მკეთრად ცვალებადობს.

5.ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალის მცენარეული საფარის ზოგადი დახასიათება

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალის მცენარეული საფარი, გამოირჩევა მეზოფელური ხასიათისა და მესამეული წარმოშობის რელიქტიკების მრავალფეროვნებით. ნაკრძალის ცალკეულ მონაკვეთებზე ვხვდებით მთა-მდელოსა და სუბალპური ზონის მცენარეულობას, მარცვლოვანი ნაირბალახოვნებიდან-ყვავილოვან მცენარეებს.

აღნიშნულ ნაკრძალში ტყის კორომები, ძირითადად წარმოდგენილია ფოთოლმცვენი ხეებით, სადაც ხემცენარეთა დაჯგუფება დამოკიდებულია ფერდობთა ექსპოზიციაზე.

ტყის აბიოტური განაწილება ექვემდებარება ვერტიკალური სარტყელის პრინციპებს. გამოიყოფა შემდეგი ვერტიკალური სარტყელები:

1. ტყის სარტყელი ვრცელდება ზღვის დონიდან 700-1800 მ. სიმაღლემდე. იგი თავის მხრივ სამ ქვესარტყელად იყოფა:

- ტყის ქვედა სარტყელი ვრცელდება ზღვის დონიდან 700-1100 მ სიმაღლემდე. ამ სარტყელში ძირითადად გავრცელებულია წიფელი, რცხილა, ქართული თხილი, წაბლი და უთხოვარი.
- ტყის შუა სარტყელი ვრცელდება ზღვის დონიდან 1100-1500 მ. სიმაღლემდე. ამ სარტყელში ძირითადად გავრცელებულია; წიფლის თანასაზოგადოებები, უთხოვარი, მუხა და წაბლი.
- ტყის სარტყელის ზემო ქვესარტყელი ვრცელდება ზღვის დონიდან 1500-1800 მ. სიმაღლემდე. ამ სარტყელში ძირითადად გავრცელებულია; წიფლნარები, მაღალმთის მუხა, კაკალი და წაბლი.

2. სუბალპური სარტყელი გავრცელებულია ზღვის დონიდან 1800-2000 მ. სიმაღლემდე. (ბაწარის ნაკეძალის სუბალპურ სარტყელში ქვე სარტყელი არ გამოიყოფა). ამ სარტყელში გავრცელებულია ბუჩქნარები და მდელოს ნაირბალახოვან-ყვავილოვანი მცენარეები.

[ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალში გავრცელებული და საქართველოს ,,წითელ ნუსხაში'' შეტანილი მცენარეები].

სახეობა	წითელი ნუსხის კატეგორია	აღნიშნული პოპულაციებისა-გან შექმნილი ფართობი	ეკოლოგიური ნიშა ტოპონომიკა
Juglans რეგია კაკალი	V		მდინარის პირას ზედა სარტყელში
Ulmus glabra Huda თელადუმა	V	ერთეულ-ების სახით	წიფლნარებში
Ulmus minor Mill ჩვეულებრივი თელა	V	ერთეულე-ბის სახით	ბუჩქნარებში
Taxus baccata უთხოვარი	V	236,1 ჰა	როგორც კორომების ასევე ერთეულების სახით

Castanea Sativa წაბლი	V		კორომების ასევე ერ- თეულების სახით

6. უთხოვარის (თახუს ბაცცატა) ბუნებრივი მდგომარეობა ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალში

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალის დაცვის ობიექტს უთხოვარი წარმოადგენს. იგი მესამეული ეპოქის კოლხური მეზოფილური ფლორის ელემენტად განიხილება.

საქართველოში უთხოვარი თითქმის ყველა ტყიან რაიონში არათანაბრადაა გავრცელებული. დასავლეთ საქართველოში უთხოვარი უფრო მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უთხოვარი კავკასიის გარდა გავრცელებულია ყირიმში, ჰამალიის მთებში, შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიაში, ჩრდილო ამერიკასა და ევროპაში, ბელარუსიის დასავლეთ ნაწილში (ბელოვსკაია პუჩა) და უკრაინის დასავლეთ ნაწილში ბუკოვიჩა. ჩამოთვლილადგილებში უთხოვარი სხვა ხეების არეალში შემორჩენილია ცალკეული ერთეულების სახით. მთელ შუა ევროპაში (გერმანია, ავსტრია, უნგრეთი) 80 ათას უთხოვრის ხეს ითვლიდნენ, ხოლო კარპატებსა და სლოვაკიაში 160 ათასს, მაშინ როცა, ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალში დაფიქსირებული იყო უთხოვრის 13 ათასი დიდი ხე და 223 ათასი მოზარდი ხე.

უთხოვრის სუფთა კორომები ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალში 1982 წელს 207 ჰა. მოიცავდა. 2010 წელს კი — 240 ჰა-ს, ხილო კორომებისა და ცალკეული ერთეულების სახით მთლიანობაში გავრცელებულია 800 ჰა-ზე. ე. ი მთელი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არაა უთხოვრის იმდენი ხე, რამდენიც ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალში. უთხოვარი ძირითადად ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალის შუა სარტყელში გვხვდება. იგი არარის პრეტენზიული მცენარე და არ საჭიროებს განსაკუთრებულ ნიადაგს. მისი სიმაღლე 18-20 მ-ია. ახასიათებს სავარცლხისებურად განლაგებული წიწვი. ყვავილობს გაზაფხულზე, ნაყოფი (გირჩი) შემოდგომით მწიფდება მომწიფებული ნაყოფი ყავისფერია. უთხოვრის კორომის განახლება ხდება თესლით და ძირკოკის ამონაყრით.

ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, წიწოვნებისა და სხვა მერქნიანი მცენარეების თესლი აღმოცენების უნარს 8-12 წლამდე ინარჩუნებს. თესლის შენახვის საუკეთესო ტემპერატურად ითვლება 0,5 ^{0}ჩ, რომლის პირობებშიც გამორიცხულია თესლის ნაადრევი ჩახურება. უთხოვრის მერქანი გამოირჩევა 1000 წლოვანი გამძლეობით. იგი უნიკალური ხემასალაა და წარმატებით გამოიყენება ავეჯის წარმოებაში. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო ნაკრძალში ეს მცენარე კარგადაა დაცული უსისტემო ჭრისაგან და შეტანილია მსოფლიოს წითელ ნუსხაში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ბაწარს სახელმწიფო ნაკრძალში უთხოვრის ბუნებრივი განახლების შესწავლა. საკვლევი ნაკვეთის (გეოგრაფიულ კოორდინატაზე =42,04.940; =45 22,268. ფართობი შეადგენს 10X10 მ-ს. იგი მდებარეობს შ. 45-ით დაქანებულ ფერდობებზე. ზღვის დონიდან 800 მ სიმაღლეზე. რელიეფი ხასიათდება მრავალფეროვნებით. ქვიანობა 6-10%-ია, ნიადაგის სისქე 35-40 სმ. მკვდარი საფარიდან გვხვდება წიწვები, ფოთლები, ტოტები: მათი ნიადაგის დაფარულობა დაახლოებით 80%-ია. დატენიანების წყაროა ატმოსფერული ნალექები. ნალექების წლიური რაოდენობაა 1000-1200 მმ, ხოლო წლიური საშვალო ტემპერატურა 13 ^{0}ჩ არ აღემატება.

ჩვენსმიერ ჩატარებული საკვლევი ნაკვეთის ფართობზე ძირითადად გვხვდება ზრდასრული უთხოვრის ხეები.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკვლევი ნაკვეთის (ფართობზე 10X10 მ) ამჟამად 39 ზრდასრული უთხოვრის ხეა. თვითეულ ხის ძირში 3 ნორჩი ამონაყარია, რაც კარგ შედეგად ითვლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალში ფოთოლმცვენი მცენარეები უფრო კარგი ბუნებრივი განახლებით გამოირჩევა. ამ მიზნით ჩვენთვის საინტერესო გახდა დაკვირვება მოგვეხდინა უთხოვრის ნაყოფისა და თესლის მსხმოიარობაზე. დაკვირვებამ ცხადყო, რომ თესლის მსხმოიარობით გამოირჩევა მხოლოდ ახალგაზრდა უთხოვრის ხეები. ხნიერი და გადაბერებული ხეები თესლს თითქმის არ იძლევა.

IRA DANELIA

THE DRAMATIC MONOLOGUE IN ROBERT BROWNING'S POETRY

"HELD WE FALL TO RISE, ARE BAFFLED TO FIGHT BETTER, SLEEP TO WAKE"

(R. Browning "Epilogue to Esolando")

The Victorian period was an age of contrasts & paradoxes. Whilst Britain was at the lights of its wealth, power & influence large sections of its population lived & worked in bad conditions. Abroad the British Empire continued to claim new territories whilst, at home, old rural communities were disappearing.

Scientific & technological advances paved the way for a better future, as traditional religious beliefs began to crumble under the weight of new scientific discovery. Britain enjoyed a surge of national pride & confidence, but many people viewed the future with pessimism. Both growing pain & confidence deeply influenced the Victorian society & all was reflected in its literature.

In poetry Romantic Movement emerged. The Romantics with partial exception Byron rejected the 18th century poetic ideals. They tried to formulate new forms of expression. Shelly in his 'Defense of Poetry' contends that the language needs to be refreshed for their society.

Among the contemporary poets who didn't fit into the Romanic group were two great poetic figures: Alfred Tennyson & Robert Browning. Though their early poetry (to certain degree) was influenced by Romanticism, both originated the style of their own.

A. Tennyson was known for his short lyrics.

B. R. Browning's great innovation was the dramatic monologue _ a type of poem in which a single person (not the poet himself) speaks to an internal listener _ a silent character in the poem, who may be a real historical figure, such as many characters of the Browning's poems. The character & the temperament of the speaker is revealed in the course of the monologue.

From his berth on May 7, 1812 Robert Browning was acknowledged to be a very clever child. He was aspired to be a poet from his earliest days in south London village of Camberwell. His parents supported him in his endeavor until he was in his thirties & married Elizabeth Barrett in 1846.

Robert & Elizabeth Brownings appear as one of the most romantic literary couple from the Victorian period. They exchanged nearly 600 love letters. But what is love without obstacles & hardship? As Robert's close friend Frederick Kenyon writes in his "The letters of Elizabeth Barrette Browning".

His fifteen _ year marriage was spent almost in Italy because the warm climate eased his wife's lung conditions. After her death in 1861 he returned to London with his twelve-year old son & never returned back again until he visited his son's magnificent Palazzo Rezzonico, where he died.

Browning wrote more poetry than any other English poet, all wonderfully intense, original & of an uncompromisingly high standard.

His first poem 'Pauline' was published anonymously in 1833. He was some recognition with "Paracelsus" (1835) & 'Sordello' (1840). He wrote eight verse plays for the stage. For a definite period of time Browning was denied the attention which had been given to his equal & even for lesser figures than himself. He was less read & he received little public appreciation until the publication of "The Ring & the Book" in 1868 when he was in his fifties.

But at least on a superficial acquaintance, Browning was not one of those Victorian writers of discontent, who questioned the easy acceptance of traditional belief & who anticipated doubts & uncertain values of their time. He troubled himself little with social & political problems. His concern was with the relations of men & women because "Little else is worth study save incidents in the conviction that man must discover".

Browning' is a difficult philosophical writer & it is a legacy from the Browning society of the eighties, but whatever the difficulties of its expression the message itself is never obscure. Obscurity is largely a matter of style & expression & there is seldom complexity in the theme.

His grammar – with its parentheses & absolute clauses, omission of relative & personal pronouns & docking of the smaller parts of speech for staccato effect are the manners characteristic of his dramatic monologue. For example, in his lyrical poem "Meeting at Night" which is basically a narrative about the man who taken journey to meet his lover. The poem is very interesting both from the contextual & structural- syntactical points of view. The poem is composed of noun phrases & the syntactic peculiarity is the ellipsis in the main clauses:

"The gray see & the long black land,
And the yellow half moon large & low
And the startled little waves that leap
In fiery ringlets from their sleep,
As I gain the core with pushing prow,
And quench its speed i'the slushy sand".

Victorian poetry which often displays radical experimentation with poetic form, presented numerous problems for contemporary readers, but the fundamental difficulties associated with interpreting dramatic monologues derive from three closely associated facts:

1)These poems have a first-person speaker;

2)The firs-person speaker may or may not voice the opinions of the poet;

3)First-person narration provides no sure way of authenticating speaker's statement.

All these characteristics of poetic form created problem for Victorian readers, as they were accustomed to assuming all poems spoken in the first person represented either the poet or an idealized version or persona of the poet.

Robert Browning establishes his position in the dramatic monologue, in this uncharted territory of the Victorian poetry. This is a variety of the lyric mode in which the speaker experiments the moment of self-questioning & soul-searching.

Browning had the strongest dramatic sense of all the Victorians.

Browning's choice of genre was not accidental. Like most of his contemporary writers he, too, was very concerned with the problem of finding a form of artistic expression of sincerity & authenticity – the two basic moral & psychological tenets of the Victorian social mind. The clash of sincere & authentic projection of emotion versus the restrictions of social conventions was Browning's chief concern.

As Robert Langbaum points out in his study of long verse narrative "The Ring & the Book", Browning's lightest achievement which tells one & the same story from the different points of view, the poet's talent lies in the "surplusage of soul" which enables him to project himself into the facts, apprehend them sympathetically & thus apprehend their life. His poem establishes a pole for sympathy, so that the reader, too, can project himself into the facts & apprehend there life. Meaning comes not from theoretical interpretation but from the in tensest concreteness (Langbaum, 1967, 249).

Browning found in dramatic method the true means of self – expression. His poems are the utterances of his imaginary persons in many ages & settings which helped him to attain his own vision of truth.

The main characteristic which distinguishes Browning's dramatic monologue from others is not an emphatic relationship with the reader but her/his psychology & reader's job is to achieve this sympathy as a listener & the auditor (listener) may appear to be: in "Porphyria's Lover" – a dead beloved woman, in "Death in the Desert - a dying aged Saint John & in "Andrea del Sarto" an eighteen century Florentine painter inattentive & in "Soliloquy of the Spanish Cloister-a medieval Spanish Monk out of earshot(Bryson, V.1).

The mid-nineteenth century, as we have already mentioned was the period of (alongside with other social & political events) significant growth & triumphing fiction. It's worth mentioning that women had been freed from the traditional chores & they became not only avid consumers of fiction but they emerged as influential writers.

The journals, newspapers & periodicals were full of current-event stories. Writers had to keep readers interest. They tried to encourage their readers with stories ended with some form of suspense people feel little restrictions in their behavior & poverty, violence & sex became part of everyday life.

Thus many writers had to compete with turmoils & excitements of everyday life.

This challenge was the choice for many writers. Among them was R. Browning as well. Many of his more disturbing poetry including: "My Last Duchess" & "Porphyria's Lover", "Andrea Del Sarto" & "Fra Lippo Lippi", reflect these problems.

In Poems "My Last Duchess" & "The Porphyria's Lover" both of the men who had relationship with "strong" women & despite both loving them, ended up killing the women who loved them. And interestingly enough, both men saw to be much happier after they have committed the murder.

In "My Last Duchess" the monolog is spoken by a pompous Duke who shoves the portrait of his wife, a kind woman who he had executed perhaps when "All smiles stopped together". (line 46).

In "Porphyria's Lover", which is the most disturbing Browning's poems, the narrator strangles her with her own hair in order to preserve their happiest moment.

"Be sure I looked up at her eyes
Happy & proud; at last I knew
Porphyrio worshipped me; surprise
Made my heart swell and still it grew
While I debuted what to do.
That moment she was mine, mine, fair,
Perfectly pure & good: I found
A thing to do and all her hair
In one long yellow string I wound
Three times her little throat around
And strangled her…
And thus we sit together now,
And all night long, we have not stetted
And yet God has not said a word!" (Lines 30-40; 58-60)

After they had sex & the Lover strangled the rosy-checked girl, he waited, but nothing special had happened. The God hadn't punished him yet. By taking off her wet clothing in the collage, the poet from rural life leaps into modern world which takes sexuality as a moral of its life.

Browning's speakers in the monologues are apt to be persons of extremes in extreme situations. A character such as Lippo Lippi has something grotesque about him & displays an element of the pathologically self-dramaticing. Browning uses his strange or abnormal types to dramatize what he regards as centrally human, which can be seen in these cases with especial clarity.

In the following lines where Fra Lippo Lippi, a Florentine painter lists first attempts as a painter & reveals not only his own personal situation but of all men the author sees it:

"First, every sort of monk, the black & white,
I drew them, fat & lean; then, folk at church;
From good old gossips waiting to confess
Their cribs of barred-droppings, candle-ends -
To the breathless fellow at the alter-foot,
Fresh from his murder, safe & sitting there
With the little children round him in a row
Of admiration, half for his beard & half

For that white anger of his victim's son
Shaking a fist at him with one fierce arm
Singing himself with the other because of Christ
(Whose sad face on the cross sees only this
After the passion of a thousand years)
Till some poor girl, her apron o'er her head,
(Which the intense eyes looked through) come at eve
On tiptoe, said a word, dropped in a loaf,
Her pair of earrings & a bunch of flowers
(The brute look growling), preyed, and so was gone".
(Ridenour, Fra Lippo Lippi, pp. 145-160)

Fra is engaged in a dialogue with the church regarding celibacy both in the artistic & sexual sense. The clergy demands that art should be presented as something higher than it is represented in the human form which denies "God's people". Browning's narrator is arguing the similar way against the celibacy of the church when Fra points out:

"You should not take a fellow eight years old,
And make him swear to never kiss the girls".

The author wants to see celibacy as a terrible waste of youth & life, both of which he values above all else. (Ridenour. pp. 224-25)

In the poem "Fra Lippo Lippi" the author analyses the working of the human soul, which is separate from the poet & speaks to an implied audience. The later distinguishes the dramatic monologue from soliloquy – a. form (also used by Browning) in which the speaker doesn't address any listener, usually alone on the stage, but reveals his/her thoughts & feelings to audience.

The purpose of both forms is not so much to declare the statement, but to develop the character of the speaker.

In most of Browning's poems painters & other artists are featured & the author tries to work out the proper relationship between art & morality. There are questions the writer struggles permanently: Should art have a moral message, or can art be immoral? & etc.

To answer all these & some other questions for Browning became easier with the help of his genre & the historical characters particularly from the Italian Renaissance, as Browning's finest dramatic monologues were inspired by some Shakespeare's plays.

Browning's great poetic period extends from his meeting with Elizabeth Barrett in 1845 to the publication of "The Ring & the Book" in 1868, as he received appreciation until he was in his fiftieth. It is an epic-length poem composed of twelve dramatic monologues. It contains the passage of great beauty & psychological insight. In the poem various speakers relate different perspectives on an actual seventeenth-century Italian murder case in Rome in1698. In a Florentine bookstall Browning had found an "Old Yellow Book" that contained records of these events.

R. Browning was an encouraging voice amid the anxiety the spiritual dismay that followed the scientific revolution of the nineteenth century. He was not blandly optimistic as he is sometimes portrayed.

Browning wrote about the world's cruelty & vice & he was quite frank that he had himself had no divine revelation. And he resolved to hope rather than to doubt & his determined hopefulness remains a comfort & inspiration for many.

I would like to finish my narrative with R. Browning's famous "Epilogue" to Asolando, from where I used couple of lines as a prologue of the article, where we find confidence, faith, courage & warmth in the life lived - "One, who never turned his back but marched breast forward,

Never doubted clouds would break,
Never dreamed, though right were worsted, wrong would triumph,
Held we fall to rise, are baffled to fight better,
Sleep to wake.''

R. Browning never thought of 'retiring". "Asolando" was published on the day of his death, December 12, 1889. He was buried in London's Westminster Abby in Poet's Corner.

მანანა კვატაია

ამბივალენტურობა ენიგმისა

გრიგოლ რობაქიძის "ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის მიერ დანახული" მწერალმა, მისივე მითითებით, 1938 წელს დაწერა და 1939 წლის შემოდგომაზე გერმანიაში გამოაქვეყნა. ჩვენში ათწლეულების მანძილზე აკრძალული ეს სკანდალური ტექსტი ქართველმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე ძალზე დაგვიანებით იხილა: მისი შორენა შამანაძისეული თარგმანი 1995 წელს დაიბეჭდა, 2006 წელს კი წიგნი ხელახლა დალი ფანჯიკიძემ თარგმნა და გამოსცა (ის მეორედ 2010 წელს დაისტამბა).

ვერ ვიტყვით, რომ "ადოლფ ჰიტლერი" გრ. რობაქიძის საუკეთესო თხზულებათაგანია. ჩვენი აზრით, ესაა წიგნი-ენიგმა, რომლის ამბივალენტური, ალეგორიული პლანი განსაკუთრებულ დაკვირვებას ითხოვს. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია თვით ავტორის დეფინიცია: "საბჭოეთში მე მომნათლეს "ფაშისტად", ესეც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. "წიგნი ჰიტლერზე"?? ეს წიგნი "პითაგორეული" გეგმებითაა აგებული. მოკლედ: აქ ნაციონალისტურ-სოციალისტური მსოფლხედვა სრულიად შენგრეულია შინაგან.. ომის ღერღირში ვიღას ეცალა ნიუანსების ამოცნობისათვის?" (იხ. გრ. რობაქიძე. "გულნადები", წერილი ქართველ მწერლებს).

"ადოლფ ჰიტლერის" ტექსტი იმითაცაა ღირებული, რომ მასში ძალზე ორიგინალურადაა წარმოდგენილი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოს ბედისწერად ქცეული დიქტატორის პიროვნული პორტრეტი და სიღრმისეულადაა გააზრებული მისი რთული ფენომენი.

ახლადმოვლენილი ბელადის პიროვნებით გრიგოლ რობაქიძის დაინტერესება არ იქნებოდა შემთხვევითი. მსგავსი შემოქმედებითი სტილისა და მანერის მწერალი, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა უსაზღვრო გავლენისა და ძალაუფლების მქონე ფაშისტთა წინამძღოლის ფენომენს, რაც, ბუნებრივია, არ ნიშნავს რობაქიძის "ჰიტლერიანელობას". როგორც მწერლის თანამედროვენი, ისე მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ გრიგოლ რობაქიძე ჰიტლერს პირადად არასოდეს შეხვედრია, "არც იმ უთვალავ მიტინგსა და კრებას დასწრებია, რომელზეც ფიურერი გამოდიოდა" (ბაქრაძე 2004: 177). ამას ადასტურებს ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული "ჩემი განმარტებაც", რომელიც მწერალს 1947 წელს გერმანულ ენაზე დაუწერია: "მე ის ფიზიკურად არასოდეს მინახავს. მაგრამ ამის მაგიერ ჩემ წინ მისი ურიცხვი ფოტოსურათი ელაგა" (გაგნიძე, შუხარდი 2011: 258). ამასთან, რობაქიძე თავადაც მიუთითებდა, რომ მეორე მსოფლო ომის წლებში მას გესტაპო მუდმივად მეთვალყურეობდა.

"ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის მიერ დანახული" " გერმანიაში ფართოდ გავრცელებულა. მარგრეტ შუხარდის ინფორმაციით, 1939-1945 წლებში აქ მისი 112.192 ეგზემპლარი გაყიდულა. თუმცა ამ სკანდალურმა თხზულებამ გრიგოლ რობაქიძეს დროებით წარმატებასთან ერთად მრავალი უსიამოვნება მოუტანა.

ცნობილია, რომ გამოჩენილი პიროვნებების მხატვრულ-ესეისტურ ბიოგრაფიებს მწერალი საქართველოში მოღვაწეობის პერიოდშიც ქმნიდა. 1919 წელს თბილისში რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოცემულა მისი "პორტრეტები". ესეების კრებული "დემონი და მითოსი" (იენა, 1935 წ.) სტალინის, ნეფერტიტისა და გრეტა გარბოს პიროვნული არსის შეუდარებელ დახასიათებას გვთავაზობს. ნიცშეს, რასპუტინისა და სხვათა ესეისტური პორტრეტები უცხოეთში, რობაქიძის არქივში დაცულ თხზულებებში ყოფილა წარმოდგენილი. თანამედროვეთა გამორჩეული სახეები გამოძერწა მწერალმა რომანებშიც.

გრიგოლ რობაქიძის გერმანული გარემოცვისათვის მისი შემოქმედებითი ოსტატობა ცნობილი გახლდათ და, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ "ადოლფ ჰიტლერი", ისევე, როგორც შემდგომ "მუსოლინი", მას გერმანიის დაინტერესებულმა წრეებმა დაუკვეთეს. ამას ნოდარ კაკაბაძის ცნობაც გვაფიქრებინებს. მის ნაშრომში "გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი" მოტანილია ნაწყვეტი ნიკოლაუს ზომბარტის მოგონებათა წიგნიდან (გერმანიას თავშეფარებული გრ.

რობაქიძე მისი მშობლების ლიტერატურული სალონის ხშირი სტუმარი გახლდათ და ზომბარტი მწერალს ბავშვობისას პირადად იცნობდა): "გრიგოლის ამ წიგნს მოულოდნელი, ჩვენთვის კი არასასურველი წარმატება ჰქონდა. გიობელსმა ეს წიგნი შეიტანა პარტიის მიერ რეკომენდებულ წიგნთა სიაში. გაიყიდა წიგნის ასი-ათასობით ეგზემპლარი. გავიგეთ, რომ გიობელსმა "უცხო მწერალი" პროპაგანდის სამინისტროში მიიწვია.. უფრო მეტიც, მან მიიღო დავალება მსგავსი წიგნი მუსოლინიზეც დაეწერა, რაც მან შეასრულა კიდეც. რობაქიძეს რომში აუდიენცია გაუმართეს, ომის დროს კვირეების განმავლობაში ცხოვრობდა კაპრიზე, იტალიის მთავრობის ხარჯზე. აქ მან დაწერა მუსოლინიზე წიგნი... ეს წიგნიც შევიდა პარტიის ბიბლიოგრაფიაში. რობაქიძე ამით წელში გაიმართა" (კაკაბაძე 1992: 227). იმავე ნ. ზომბარტის მითითებით, "ჰიტლერში გრიგოლ რობაქიძე რუსი ბოლშევიკ-კომუნისტებისაგან დამონებული საქართველოს ჰიპოთეტურ განმათავისუფლებელს ხედავდა" (ბაქრაძე 2004: 168).

თუ გრიგოლ რობაქიძის "ადოლფ ჰიტლერის" ტექსტს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ავტორი ზომიერების დაცვას ცდილობს: ფაშიზმის ან თავად ჰიტლერის ბრმა პანეგირიკოსად არ გვევლინება (თხზულების გმირის აშკარა პანეგირიკული ეპითეტებიც კი არსად გვხვდება), სათქმელს ხშირად მეტაფორული, მითოლოგიური თუ ფილოსოფიური წიაღსვლებით ნიღბავს. რობაქიძის მთავარი მიზანი ამ უდავოდ გამორჩეული პიროვნების ქარიზმის, მისი შინაგანი, მისტიკური სახის კვლევა და გამომზეურებაა. უფრო მეტიც, სურვილისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, დაკვირვებული მკითხველი თხზულებაში გმირის პიროვნებიდან მომდინარე იმ "საფრთხეებსაც" შენიშნავს, რაც, შეგნებულად თუ არაცნობიერად, მწერალმა სტრიქონებს შორის იგულისხმა (ამას ის მოგვიანებით თავის "განმარტებაშიც" მიუთითებს).

დამაფიქრებელია თხზულების დაწერის თარიღი: 1938 წელი. ეს ჰიტლერის პიროვნული ზეობის წელიც გახლდათ. დოკუმენტური მასალის გაცნობა ცხადყოფს, რომ იმდროინდელი მსოფლიოს გარკვეული ნაწილი აღფრთოვანებული იყო გერმანელი ფიურერის მოულოდნელი ელვისებური წარმატებებით, პიროვნული ნიჭით, სიძლიერითა და უკომპრომისობით. მართლაც, ჰიტლერმა და მისმა მომხრეებმა "ექვსი წლის ბატონობის მანძილზე (1933-1939) ვერსალის შემდეგი პერიოდის "გერმანული არარაობა" უძლიერეს სახელმწიფოდ აქციეს... 1933 წელს მათ თითქმის არავითარი შეიარაღება არ ჰქონდათ... 1939 წელს კი მთელი ევროპა შეაზანზარა გერმანული იარაღის ძალამ" (კვესელავა 1991: 152). ჩემბერლენს განუცხადებია: ამგვარი ნებისყოფისა და ძლიერი სულის ადამიანი ინგლისსაც სჭირდებაო.

მეტიც, ამერიკულ ჟურნალ "ტაიმსს", თითქოსდა საბედისწერო წინასწარმეტყველებით, 1939 წლის 2 იანვარს გერმანელი ფიურერი დაუსახელებია 1938 "წლის ადამიანად", რომელიც დამდეგ, 1939 წელს, ისეთ რაიმეს გააკეთებდა, რაც კაცობრიობას დიდხანს ემახსოვრებოდა ("წლის ადამიანის" საპატიო წოდება მანამდე მხოლოდ თეოდორ რუზველტსა და მაჰათმა განდის მიუღიათ) (როზანოვი 1991: 21). შევნიშნავთ, რომ 1939 წელი ჰიტლერის საიუბილეო წელიც გახლდათ: 20 აპრილს მას 50 წელი უსრულდებოდა. ამ შეფასებების ავტორებს, ისევე როგორც მთელ კაცობრიობას, ჯერ კიდევ ვერ ამოეხსნათ ადოლფ ჰიტლერის სფინქსისებრი ენიგმა. ვფიქრობთ, ესეს დაწერისას გრიგოლ რობაქიძე იმდროინდელი საყოველთაო პანეგირისტული ტალღითაც უნდა ყოფილიყო შთაგონებული.

კიდევ ერთი გარემოება: 1938-1939 წლებში ადოლფ ჰიტლერმა თავდაპირველი განზრახვა, აღმოსავლეთზე გალაშქრება, ტაქტიკური მოსაზრებით, დროებით გადაავადა და, თავდაუსხმელობის დადებული პირობის მიუხედავად, ჯერ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შეუტია (აქ გვინდა გავიხსენოთ მისი სიტყვები: "სახელმწიფოს ინტერესები მოლაპარაკებებზე მაღლა დგას"...). ცბიერმა და გამჭრიახმა ფიურერმა ამავე პერიოდში სსრკ-სთან ურთიერთობების დროებითი დათბობის პოლიტიკა გაითამაშა. ვფიქრობთ, წიგნის დამკვეთთათვის ისიც მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ რობაქიძე იოსებ სტალინის ოპოზიციონერი თანამემამულე გახლდათ და "ჩაკლულ სულში" საბჭოეთის ლიდერის შესანიშნავი ესეისტური პორტრეტიც შექმნა. ა. ბაქრაძის აზრით, "გრიგოლ რობაქიძისათვის... ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი უფრო მითოლოგიური პერსონაჟები იყვნენ, ვიდრე მე-20 საუკუნის რეალური ადამიანები" (ბაქრაძე 2004: 178).

"ადოლფ ჰიტლერის" ანალიზი მრავალ სირთულეს უკავშირდება. თხზულება ესეისტური მანერითაა დაწერილი და მისი კვლევისა და აღქმისას ამ ჟანრის თავისებურებაც უნდა გავითვალისწინოთ. "ინტროსპექციის გზით – ზოგადად ადამიანის შემეცნებისაკენ" - ეს არის ყოველი ესსეისტური ნაწარმოების პრინციპი" (ხელაია 1986: 352). ესეს მახასიათებლები ასეთია: "მიუხედავად

გარეგნული ფრაგმენტულობისა, ესსე შინაგანად შეკრულია, მთლიანი.... ესსეს სტილური თავისებურებანი — ფრაგმენტულობა, არათანმიმდევრულობა, არაკატეგორიულობა, ალბათური ხასიათი, პარადოქსულობა, სუბიექტივიზმი, მოზაიკურობა, განსჯის სილაღე, თავისუფლება და სხვა და სხვა მჭიდრო კავშირშია მის თვითშემეცნებით ბუნებასთან" (ხელაია, 1986: 350). ვფიქრობთ, ესეს ჟანრი გრ. რობაქიძეს შემთხვევით არ შეურჩევია: ეს მას ჰიტლერის პიროვნების გააზრებისას შემოქმედებით თავისუფლებას მიანიჭებდა, აღქმის სუბიექტივიზმი კი თხზულების სათაურშივე იგულისხმება, თუმცა, ბუნებრივია, ამგვარი გაბედულება იმ დროს და იმ ვითარებაში უფსკრულის პირას სიარულის ტოლფასიც გახლდათ.

1944 წლის 20 ოქტომბერს რაიხსფიურერისა და რაიხსმინისტრის ჰაინრიხ ჰიმლერისადმი მიწერილ ვრცელ წერილში გრ. რობაქიძე "ადოლფ ჰიტლერის" შესახებ აღნიშნავს: ეს არისო "არა ჩვეულებრივი ბიოგრაფიული პორტრეტი, უფრო მეტად, არსის ხატი, ნორდ-გერმანულ სივრცეში დანახული... ეს ნარკვევი მოხსენიებულია ვერმახტის ჟურნალ "ზოლდატენბრიფეში", რეკომენდებულ წიგნთა შორის და თანაც როგორც ერთადერთი ნაშრომი ფიურერზე. ბოლო გამოცემამ მიაღწია 79-112 ათასს" (ბაქრაძე 2004: 159).

ვფიქრობთ, რობაქიძის ეს სიტყვები ამ სკანდალური თხზულების გასაღებს გვთავაზობს: "ადოლფ ჰიტლერი" გერმანელი ფიურერის ენიგმის, მისი იმდროინდელი ქარიზმის ახსნის ცდა, ესეს გმირის ირაციონალური, მისტიციზმით აღბეჭდილი იდუმალი ფენომენის რობაქიძისეული ინტერპრეტაციაა.

აქ მრავალი კითხვა ითხოვდა პასუხს: როგორი იყო ის, დიდების ზენიტში მყოფი ადოლფ ჰიტლერი, მისი თანამედროვის, იმჟამად გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტი მოდერნისტი ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვით? რას უქადდა კაცობრიობას ერთი შეხედვით Amor fati-ით შთაგონებული ახლადმოვლენილი ბელადი? ვინ იყო ის: ღვთის რჩეული თუ უფლისმიერ სასჯელად მოვლენილი ბოროტი გენია, გმირი თუ კაცობრიობის ბედით ბრმად მოთამაშე თავზეხელაღებული ავანტურისტი? ამ კონცეპტუალური კითხვების პასუხებს ყველაზე უკეთ თავად რობაქიძის თხზულება გვთავაზობს, თუმცა ჭეშმარიტი აზრის ამოკითხვა, გასაგები მიზეზების გამო, ხშირად ტექსტის სტრიქონებს შორისაა შესაძლებელი. ცნობილ ემიგრანტს, მიხეილ წერეთელს, გრიგოლ რობაქიძის 70 წლის იუბილეზე მწერლისათვის უთქვამს: შენი წიგნები მკითხველთა მასებისათვის არ არის დაწერილი, არც საშუალო დონის, არამედ "არისტოს"-მკითხველისათვის სულითა და გულით. ამგვარი "არისტოს" - მკითხველი კი, რობაქიძის "ადოლფ ჰიტლერს" თვით დიქტატორის პიროვნებიდან მომდინარე "საფრთხეთა" თვალსაზრისითაც გაიაზრებდა.

ავტორის სწრაფვა მოუხელთებლის, იდუმალის წვდომისაკენ - ესეისტური თხზულების კიდევ ერთი თავისებურებაა. ჩვენი დაკვირვებით, ვრცელი ესეს, "ადოლფ ჰიტლერის" ძირითადი ვექტორი სწორედ მისი მთავარი გმირის მრავალუცნობიანი ფენომენის ამოხსნისაკენ გახლავთ მიმართული. ამასთან, მისი მხატვრული თუ აზრობრივი ინტერპრეტაცია მეტად ინდივიდუალური და ორიგინალურია. მივყვეთ თხზულების ტექსტს (ნაშრომში "ადოლფ ჰიტლერის" ანალიზისას მისი ჩვენ მიერ გერმანული ენიდან შესრულებული ქართული თარგმანით ვსარგებლობთ):

გრიგოლ რობაქიძის <u>პირველი შთაბეჭდილება</u> Amor fati-ის ნიშნით აღბეჭდილ გერმანელ ფიურერზე მის ხელთ არსებული უამრავი ფოტოსურათიდან მომდინარეობს, რომელთაც ჰიტლერი სრულიად განსხვავებულად აღუბეჭდავთ. "გგონია, მისი შინაგანი მზერა ობიექტივს გაურბის: საცნაური ნიშანი შორეული ჩვენებისა", - შენიშნავს მწერალი. ამჯერად დაკვირვებისათვის მას ორი ფოტო შეურჩევია: 1. ოთხმოცი წლის ჰინდენბურგთან ერთად გადაღებული, სადაც აშკარაა კონტრასტი: მხცოვანი მხედართმთავარი იდუმალების გარეშე, კლდის ლოდივით დგას, მოკრძალებით ხელებგადაჯვარედინებული ჰიტლერის მზერა კი საკუთარი თავისკენაა მიმართული. გრ. რობაქიძე ფიურერის განყენებული, შორეული იდუმალების ახსნას ცდილობს: "შესაძლოა, მისი სახე შინაგან სულიერ ძალებს ისე გამუდმებით ინტენსიურად გამოასხივებს, რომ მოურიდებელი კამერაც კი უძლურია, ცალკეულ იზოლირებულ წამს ის გამოსახულებისათვის დაიჭიროს". იდუმალი თავს არ გვაჩვენებს, მაგრამ "ღირს იმად, რომ ეს შევიგრძნოთ", - შენიშნავს ბოლოს.

თხზულების ავტორი ყურადღებით აკვირდება მეორე ფოტოსურათს, რომელზეც ადოლფ ჰიტლერი ლონდონში გერმანიის მაშინდელ ელჩთან ფონ რიბენტროპთან ინგლისთან საზავო მოლაპარაკების შემდეგაა გადაღებული: "რიბენტროპი სიხარულისაგან ბრწყინავს, თუმცა სხივი

ფიურერის შინაგანი სინათლიდან მოდის". აქედან მწერლისეული დასკვნა: "მისი სახე იდუმალად ხელშესახებად იხსნება სხვაში, ვისთანაც ის წამიერად საუბრობს."

გმირის ენიგმის წვდომისათვის გრიგოლ რობაქიძეს კინოქრონიკებიც გადაუთვალიერებია. თხზულების მიხედვით, მას დაკვირვებისათვის გენერალ-ფელდმარშალ გერინგის ქორწილის კადრები შეურჩევია. აქ ჰიტლერი ახლოს დგას ყველასთან, განსაკუთრებით, საქორწინო წყვილთან: "და მაინც: იგი ამავდროულად სხვა ადგილას მყოფი ჩანს, ის მიუდგომელია. გაქვს შეგრძნება, თითქოს დღესასწაულზე გადამთიელი გამოჩენილიყოს, რომელსაც მაინც უმალვე ყველას ნდობა დაუმსახურებია".

როგორც თავადვე წერს, გრ. რობაქიძეს უცდია, ჰიტლერის ფენომენის იდუმალება განეცადა "შემოქმედებითად შთაგონებულ სულიერ სიბრტყეზე, სადაც წარმოსახვითი თითქმის რეალურს ესაზღვრება", მაგრამ ამაოდ: "ვერცერთი მხატვარი ვერ დაიჩემებს, რომ ამომწურავად წარმოაჩენს მის შინაგან ხატს, ვითარცა პორტრეტს", - შენიშნავს იგი. რობაქიძის აზრით, შესაძლოა, გმირის არსის გამოხატვისათვის ხის გრავიურა გამოდგებოდა, მაგრამ ისიც ვერ წარმოადგენდა ადოლფ ჰიტლერის მუქცისფერ, და მაინც ნათელ თვალებს, საკუთარ თავში მის სულიერ სამყაროს რომ მალავენ. "ამ თვალების მკაცრი მზერის წინაშე ყველა სიყალბე და სიცრუე შეძრწუნებული უნდა გაქრეს", – ასეთია მწერლის დასკვნა.

წიგნში რამდენიმე შტრიხით ჰიტლერის მოძრაობის მანერაცაა დახასიათებული (რომელიც ასევე თვალში საცემია): "ზოგჯერ იგი კიბეზე ჩამოდის, ბოლოში ამაყად ჩერდება, თავს მაღლა სწევს, გასცქერის შორეთს, საგნებს იქით, თითქოს გეშით რაღაც შენიშნაო. მერე თავს ხრის, თუმცა გზას ენერგიული ნაბიჯებით მკაცრად, მტკიცედ აგრძელებს. ხელების ქნევა მის მტკიცე სვლას თითქოს ფრთებს ასხამს... აქ ყოველი მისი მოძრაობა პლასტიკურად დასრულებული ჩანს'.

როგორც ვხედავთ, რამდენიმე არსებითი, ექსპრესიული მონახაზით გრიოლ რობაქიძემ ადოლფ ჰიტლერის გარეგნული სილუეტი გამოკვეთა, საკმაოდ ბუნდოვანი, თანაც იდუმალი. და მაინც: ეს შტრიხები გმირის პიროვნების ენიგმას ბოლომდე ვერ ხსნის. აქ მწერლის ინტერესი ძლიერდება: მაინც სადაა იდუმალების გასაღები, იქნებ მის ხმაში, კინოქრონიკებსა და აუდიოჩანაწერებს რომ შემოუნახავთ? ეს ყველასაგან გამორჩეული, მტკიცე, ნერვიული, საოცრად გადამდები, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმა ("ხმა იდუმალი", როგორც გრ. რობაქიძე უწოდებს), მილიონობით ადამიანს რომ ატყვევებდა და იმორჩილებდა. შთამბეჭდავად გადმოსცემს ავტორი ამ ხმით გამოწვეულ მასობრივ ექსტაზს: "მისი გამოჩენა მუდამ ერთჯერადად განიცდება. ათასები უშუალოდ მას უცდიდნენ და მილიონები რადიოტრანსლაციით მის გამოსვლას ელოდებოდნენ. ტალღა ტალღაზე მგზნებარედ მოგორავს და შთაგონება ათრობს. სხეულებრივად გრძნობ: ის მოდის, იგი უკვე ახლოსაა. ყოველ ბგერაზე მომლოდინეთა სინათლით აღვსილი ფესვები ირხევა. ტალღები მსგავსად იზრდებიან... ნაღველი და ხაფანგი ერთდროულად. ახლა ფიურერი აქაა. მის გამოსვლას შტორმული გრიგალი შემოურბენს: "ჰაილ, ჰაილ, ჰაილ!"

თითქმის ბრმად ეგზალტირებულ მასას მწერალი ფართოდ გადაჭიმულ გალეშილ ზღვას ადარებს, რომელიც ნელ-ნელა ცხრება და სიმშვიდის წამიც დგება. "მხოლოდ გულები ძგერენ მძლავრად, გზნებით, მომლოდინედ. აქ გაისმის ღრმა, მკვეთრი და ალერსიანი ხმა: და ისმის სუნთქვისშემკვრელი სიტყვები: "გერმანელო მამაკაცებო და ქალებო!"...

ამ საბედისწერო ხმას მილიონობით ადამიანთან ერთად მწერალიც აყურადებს, დროდადრო სიტყვებს ვერ არჩევს, თუმცა ესმის მისი შინაგანი ენა და, საკუთარ თავში მზერაჩაბრუნებული, რეალობას უბრუნდება. ულმობელი სინამდვილე კი ასეთია: "გამოფიტულ დედამიწაზე ორი მილიონი გარდაცვლილი წევს, შვიდნახევარი მილიონი ისევ სისხლისაგან იწრიტება. იარაღისაგან იზნიქება დიდი გერმანული არმია. მძიმე, უმთვარო ღამეში სიჩუმე გაბატონებულა, არაამქვეყნიური". ამ ავისმომასწავებელ მდუმარებაში "უეცრად შორიდან გაისმის ხმა, სავსე ვაებით, და თანაც, გაბედული სიცოცხლისუნარიანობით — ხომ არაა ეს მკვდრეთით აღმდგარი, მითად ქცეული ჯარისკაცების ხმა?" - კითხულობს მწერალი. ის აკვირდება გერმანელთა საყოველთაო განწყობას: "თითოეული საკუთარი სულის სიღრმეში შეიგრძნობს, თითქოს თავად ის ლაპარაკობდეს". ჰიტლერის მღელვარე დიქცია გადამდებად ზემოქმედებს, "დროდადრო იკარგება შეგრძნება, თითქოს საქმე კვლავ ცოცხალი ადამიანის ხმას ეხებოდეს. ჭეშმარიტად, აქ აზრობრივად გერმანული "მე" ცხადდება." გრ. რობაქიძე დაფიქრებული კითხულობს: "ეს ხმა მეტაფორულად უნდა გავიგოთ?"

თხზულების გმირის ხელშესახები არსებითი შტრიხების ექსპრესიული გააზრებით მწერალი რწმუნდება, რომ ადოლფ ჰიტლერის იდუმალი ენიგმა ლოგიკას, ანალიზს, განსჯას არ ექვემდებარება, ის უფრო ღრმაა, ირაციონალურია (გავიხსენოთ ნიცშესეული გაგება: ზეკაცზე მთლიანად ირაციონალური ძალები უნდა ბატონობდეს) და მისი პიროვნების გახსნისათვის ის ამჯერად მეტაფორულ, მითოლოგიურ თუ ფილოსოფიურ პარალელებს მიმართავს, უპირველესად კი გოეთეს თაურმცენარის (მცენარის მითიური რეალობის) ფენომენს, რომლის რობაქიძისეული ინტერპრეტაცია ასეთია: "ყოველი მცენარე მხოლოდ დროის ერთ მონაკვეთშია ხილული: ან ყლორტში, ან ყვავილში, ან მწიფობისას. თუმცა ის საკუთარ თავში ატარებს შესაძლებლობას, მისი ყოველი ნაწილიდან მთელი მცენარე გამოჩნდეს, ასე სჭვრეტს მას მთლიანობაში მზისდარი გოეთეს თვალი, წინ: ყლორტიდან ყვავილამდე, უკან: ყვავილიდან ყლორტამდე. ამჟამად ჩვენ წინაშე მატერიალურ-არამატერიალურად თავად თაურმცენარე აღიმართება". ის კი მცენარის ყოველ ფაზაში თვლემს, "თუმცა ზრდაში, მაინც ერთჯერადად მთლიანად. შეიძლებოდა გვეთქვა, ესაა: მცენარის მითიური რეალობა. ის სრულფასოვან ექვივალენტს ხალხის ყოფიერების ხატში პოულობს. ამგვარად შეიძლებოდა ხალხის თაურელემენტზე გველაპარაკა".

გრიგოლ რობაქიძის მითითებით, ხალხის თაურელემენტი (აქ: გერმანელობის მითიური რეალობა) ყველაზე ღრმად სწორედ ადოლფ ჰიტლერს აქვს გათავისებული. მაგრამ რა უნდა იყოს ეს "მითიური რეალობა"? აქ იმ თვისებათა ერთობლიობა ხომ არ იგულისხმებოდა, რომლის გამო ჯერ კიდევ გოეთემ საკუთარ ერს კაცობრიობის "საშინელი სამსჯავროს" წინაშე წარდგომა უწინასწარმეტყველა? ანდა ეს "რეალობა" გერმანელობის დემონიზმთან იდუმალი წილნაყარობის გამოვლენა ხომ არ გახლდათ, თომას მანს ასე რომ აშფოთებდა?.. ვფიქრობთ, "გერმანელობის მითიური რეალობის" შეხსენება მომზადებულ მკითხველს ზემოხსენებულ "საფრთხესაც" მიანიშნებდა.

თაურელემენტის პარადიგმის უფრო ნათლად განმარტებისათვის მწერალი თხზულებაში მშობლიური ქართული ენის პარალელს მოიშველიებს. ესაა "მზიური თვალის" მეტაფორა. მისი თქმით, კითხვაზე: "რა მოსდის მწიფობის ჟამს ყურძნის მტევანს?" ქართველი გლეხი პასუხობს: "თვალი ჩადის მტევანში" (თვალი=მზე). ამას ახალი კითხვა-პასუხი მოსდევს: "თვალი მზიური ხომ არ არის – მზე ხომ ვერასოდეს დაინახავს? ბუნებრივია, ვერა. მაშ, საიდან იცის ეს საიდუმლო? პასუხი: ეს ცოდნა მის ენაშია მოცემული, სადაც "მზეს" და "მზერას" ერთი და იგივე ძირი აქვს. მაგრამ ვინ დაინახა ეს? ჯერ ერთი, მზე რომ კოსმიური თვალი იყოს, მწერლის სიტყვით, ამ მნათობზე ცოტა რაიმეს ამბობს და შემდეგ: ეს თვალი მტევანში ჩადის, რათა ის დაამწიფოს". კითხვაზე: "ვინ შექმნა ეს საოცარი ხატი?"- პასუხი რობაქიძისეულია: "ალბათ, ვინმე უსახელომ, რომლის თვალსაზრისი შემდგომ გადაეცა". ეს კონკრეტული ადამიანი არაა, რადგან "ყოველი ინდივიდი თავის ენას უკვე თაურხატიდან შექმნილად იღებს".

ავტორი უფრო ღრმა განზოგადებისაკენ მიდის: ყველა დროის ადამიანში "რაღაც მოცემულია, რაც მასში ჩანასახშივე დადგენილია და განუწყვეტლივ ცოცხლობს" და ის ენის მედიუმში მჟღავნდება, როგორც სამყაროს ხატის (სურათის) კერძო შემქმნელი ძალა. ეს თაურფენომენია. მას ხალხი დაცემის თუ რომელიმე ნეტარი ექსტაზის ჟამს შეიგრძნობს. "ეს შეგრძნება ზოგჯერ ფესვებში ისე მიდის, რომ ერთი მადლით მოსილი პიროვნება საკუთარ თავს ხალხის იდენტურად აღიქვამს. შინაგანი მსხვერპლისეული თავგანწირვით ის შემდეგ ბრბოს "მე"-ში გადაიზრდება".

ამ მეტაფორის ნათელსაყოფად გრიგოლ რობაქიძე პაგანინის ვიოლინოსაც იხსენებს, რომელიც იმ მუსიკალურ ტალღებს ინახავს, გენიალური მევიოლინე ოდესღაცმისგან რომ აჟღერებდა. ამას თუ ახერხებს ხე, თუნდაც ტრანსცენდენტურად, "ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს სრულად ხალხს უძღვნის, შეუძლია უარი თქვას წმინდა სახალხო ელემენტების საკუთარ თავში მიღებასა და შენახვაზე?" – პათეტიკურად კითხულობს მწერალი. "ჰიტლერის ფენომენი აქაა, სხვაგვარად არსად", - დასძენს იგი.

როგორც ვხედავთ, თხზულების მიხედვით, ადოლფ ჰიტლერი გერმანელი ხალხის თაურელემენტის (მითიური რეალობის) გამომხატველია, რის ხორცშესხმასაც მწერალი ამჯერად ერთ ისტორიულ მომენტში ხედავს: 1919 წელს გერმანიაში დიქტატურა დამყარდა, გერმანელმა ხალხმა თითქოს თავისი ისტორია შეაჩერა – ეს მონაკვეთი ვარსკვლავისებურ გაელვებას ჰგავდა. ერი საფრთხის წინაშე კონსოლიდირებულია. ყოველი გერმანელი "ახლა საკუთარ თავში მხოლოდ ერთს შეიგრძნობს: რომ ის გერმანელია. მასში შიგნით ღრმად ჭრილობა იხსნება, ხალხის არსებობა საფრთხეშია. მთელ ქვეყანას ერთიანი ტალღა გადაუვლის: ტკივილის ტალღა... იგი მსგავსად გადადის კაციდან კაცზე,

თითქოს ეძებს ერთს, რომელიც მისი ტკივილის გახმოვანებას მარტო შეძლებდა". ეს ტალღა პოულობს რჩეულს, ჭაბუკ ადოლფ ჰიტლერს, რომელიც მისი მიმღები და გამომხატველია. ამის დასტურად გრ. რობაქიძეს ესახება 1914 წელს ომის გამოცხადების მიტინგის ფოტოსურათი, სადაც მასის შუაგულში სრულიად უცნობი ახალგაზრდა მოჩანს, დაფიქრებული, დაძაბული, Amor fati კი მასზე მძლეველ გამბედაობად აღბეჭდილა. "ის აქ შეუპოვრად დგას: სრული მზადყოფნა. იგია, რომელშიც ერთეულმა ტალღამ თავისი შეგნებული ბურჯი მონახა. ამ წამს გერმანული სამყარო ახალ გარდატეხას შეუდგა. ისტორიამ მოგვიანებით გაამჟღავნა უსახელოს სახელი: ადოლფ ჰიტლერი". აქ სტრიქონთა შორის მწერლისეული ეჭვიც გამოკრთება: პირველ მსოფლიო ომში გერმანელთა მარცხის ტკივილით ახალგაზრდობაშივე შეძრული ჰიტლერი წლების შემდეგ მსოფლიოს ულმობელ შურისმაძიებლად ხომ არ მოევლინებოდა? (ვფიქრობთ, ჭაბუკი ადოლფ ჰიტლერიდან მომავალი "საფრთხის" ფესვები აღნიშნულ ფოტოზეც ჩანს).

იმავე ფოტოსურათიდან ავტორისათვის იკვეთება ადოლფ ჰიტლერის უმთავრესი პიროვნული შტრიხი: თავგანწირვისათვის მზაობა. სწორედ მის დახასიათებას ეძღვნება ქვეთავი "Amor fati". "ის მსხვერპლური შინაგანი თავგანწირვით აღსავსეა", შენიშნავს მწერალი და სწორედ მსხვერპლს გრძნობს ჰიტლერის ხმაში, რომელიც ზოგჯერ მგრძნობიარე, ზოგჯერ დამუქრებული, ზოგჯერ გამამხნევებელი და ნათელია. თავვგანწირვის გამბედაობა კი იოლი არ გახლავთ, "ეს გარდატეხის მხნეობაა: გენია ცეცხლისა", - ვკითხულობთ თხზულებაში. ამის ნათელყოფისათვის გრ. რობაქიძე იხსენებს საოცარ თქმულებას: ვინც ერთ ძველ ხეს ცეცხლს წაუკიდებდა, ის უკანასკნელ (მეორედ მოსვლის) საიდუმლოს იხილავდა, ოღონდ თავად აუცილებლად დაიღუპებოდა. დიდი ინტერესის მიუხედავად, ხის დაწვა ვერავის გაუბედავს, გარდა ერთი კაცისა, მაგრამ მასაც, მტანჯველი საიდუმლოთი ანთებულს, ეს რამდენჯერმე უცდია, თუმცა ამაოდ, ხელები არ დამორჩილებია. ბოლოს, მისი ძილისას, მისგან დამოუკიდებლად, ხეს ლერწმის ნაპერწკლისაგან ცეცხლი მაინც გასჩენია, მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ თვით კაცს საფრთხე უკვე აღარ ემუქრებოდა, ის, თავზარდაცემული, ინსტინქტურად მაინც ცეცხლის ჩასაქრობად მივარდნილა: მას არ ეყო გამბედაობა, უკანასკნელი ჟამის საიდუმლოს, ე. ი. ყოფიერების საიდუმლოს ზიარებოდა. "ამ გამბედაობის გარეშე კი არ არსებობს ან წვდომა იდუმალისა, ან ისტორიული გმირობა", - თვლის გრ. რობაქიძე და დასძენს: ლუთერი ან ნიცშე ამ ხეს დაუფიქრებლად გადასწვავდნენ, "ნაპოლეონის დიდებული მზერა მუდამ ამ ცეცხლიდან გამოდიოდა", ისევე, როგორც სხვა ადამიანებისა, რომლებიც თავიანთ ხალხში ამაღლდნენ. "ყველა ისინი ცეცხლის გენიიდან გამოვიდნენ". რობაქიძის დაკვირვებით, ამგვარი გამბედაობით ხასიათდება მუსოლინი, "თავისი არსების უკანასკნელ უჯრედამდე სრულიად უჩვეულოდაა გააზრებული ამ გამბედაობით შეპყრობილი ადოლფ ჰიტლერი". ამ ფრაგმენტის წაკითხვის შემდეგ ახალი კითხვა ჩნდება: განა არ იყო მოსალოდნელი, რომ თვით საკუთარი სიცოცხლის უარმყოფელი ამგვარი გამბედაობა უკონტროლო თავზეხელაღებულობაშიც გადაზრდილიყო? ნუთუ აქაც ჰიტლერის პიროვნებიდან მომდინარე "საფრთხე" არ იმალებოდა?

ამ ყოვლისწამლეკავი გამბედაობის მაგალითად მწერალს მოჰყავს გამაოგნებელი შემთხვევა ოტო დიტრიხის წიგნიდან "ჰიტლერთან ერთად ძალაუფლებაში": მძვინვარე ქარიშხლისა და უამინდობის მიუხედავად, ადოლფ ჰიტლერს 1932 წელს მიუნხენში, მიტინგზე თვითმფრინავით გამგზავრება არ გადაუდია. ის სრულიადად მშვიდად იყო მაშინაც, როცა გრიგალში ფრენისას მისი ყველა თანმხლები პირი შიშისაგან კანკალებდა. "და მაინც: გრძნობა დაცულობისა ჩვენში სტიქიის ამ შემოტევისას. ფიურერის აბსოლუტური სიმშვიდე ყველა ჩვენგანს გადაედება", - წერს ამ ამბის თვითმხილველი.

გრიგოლ რობაქიძეს მხედველობიდან არ რჩება ჰიტლერის გამბედაობის გადამდები ზემოქმედება: "იგი არ კრთება, ხედავს რა საშინელებას. დიახ, ნათელია: იგი მას სძლევს.. ის საკუთარ თავში თავისი ქვეყნის მთელ მაჯისცემას ფლობს.. ბრმა ბედისწერას ათვინიერებს". საიდან იღებს სათავეს ჰიტლერისეული ბედისწერის მომთვინიერებელი გამბედაობა, როცა ბედისწერაც კი მის შესახვედრად მოდის? (ძლიერ პიროვნებას ხომ შინაგანი ჭიდილის გადალახვა ძალუძს, ეს მის არსებაშიც ღრმადაა ჩანერგილი). ამ კითხვაზე პასუხს მწერალი 1937 წელს გერმანიაში გამოცემულ მისსავე რომანში ეძებს. "გრაალის მცველნი"-ს ვრცელი ფრაგმენტი ადამის ცოდვით დაცემის პრობლემას ეძღვნება. რომანის გმირი თავადი გიორგი ფიქრობს: "დაცემამდე ადამ კადმონი ღმერთისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობდა. დაცემის შემდეგ მან ღმერთი თავის საწინააღმდეგოდ მყოფად აღმოაჩინა. მან საგნებს შიგნიდან გარეთ შეხედა, ახლა ისინი აღიქვა, როგორც ობიექტები". აქ გაჩნდა კითხვა: როგორ შემიძლია

შევიცნო რაიმე, რაც მე თავად არა ვარ? სწორედ დაცემის შემდეგ შეიძინა ადამმა ცალკე "მე" ("თვითობა", Sonderselbst), მიიღო ცოდნა ყოფიერებაზე: "ახლა ის მეტად აღარ არის თავად ყოფიერება". სამაგიეროდ, მწერლის აზრით, ამის შედეგად კაცობრიობამ დაკარგა განუყოფლობა, რომელსაც სწორედ ცხოველი ფლობს. მისი დაკვირვებით, საიდუმლო სწორედ ესაა: ამიტომ აღმერთებდნენ ცხოველებს, ამიტომ გვჯაბნიან ისინი ძალით. მაგრამ "ცხოველს არა აქვს "მე", ნიშანი ღვთაებრივისა: ის "მე"-ს გარეშეა. თუმცა მას საკუთარ თავში ღვთაებრივი ყოფიერების მთლიანობა შემოუნახავს. ცხოველი გარესამყაროს სინათლის ზღვასავით იღებს: ის ობიექტებს ვერ ხედავს. "თუ თვალს გადააშორებს სინათლის ზღვას, როგორც ობიექტის საპირისპიროს, მისი ხედვის ძალა უმალვე დაიმსხვრევა. ეს დაცემის ერთი სახე იქნებოდა. ცხოველების აღქმის სამყარო მისი ზემოქმედების სამყაროს თანხვედრია", - შენიშნავს მწერალი. წარმოსახვის უუნარობას ცხოველი საგნის უშუალო შეხებით ცვლის, "ის ობიექტში იჭრება. აქედან, მისი საშინელი მაგია. თავისი შიშველი მარტოოდენ გამოჩენით ველური ცხოველი ცვლის ატმოსფეროს, რომელიც მის ირგვლივაა. ამგვარად, ცხოველი ღვთაებრივად მთლიანია, ყოფიერებაში შუალედური სივრცის გარეშე". გრიგოლ რობაქიძის მითითებით, ადამ კადმონი ერთდროულად ცხოველიც იყო და ადამიანიც – განუყოფელი - ღვთაების წიაღში. ახლა კი ადამიანი ნაღვლობს თავის დაკარგულ ნახევარზე – ცხოველზე.

აქ ისევ ჩნდება კითხვები: შემთხვევითია ფიურერისადმი მიძღვნილ თხზულებაში ცხოველისეულ საშინელ მაგიაზე საუბარი? რას უნდა ნიშნავდეს ფრაგმენტი: "თავისი შიშველი მარტოოდენ გამოჩენით ცხოველი ცვლის ატმოსფეროს, რომელიც მის ირგვლივაა... ის ობიექტში იჭრება"? ხომ არაა ეს შეგნებული თუ ქვეცნობიერი პარალელი რეაქციასთან, მასაში ჰიტლერის გამოჩენა რომ იწვევდა და ხომ არ იმალებოდა აქ მისი პიროვნებიდან მომდინარე კიდევ ერთი "საფრთხე": ფიურერის უკონტროლობა და ყოვლისგამანადგურებელი ძლიერება? სიტყვები: "ადამიანი ნაღვლობს თავის დაკარგულ ნახევარზე – ცხოველზე" – ხომ არ გახლავთ ასევე ფარული მინიშნება აღზევებული ბელადის პიროვნებაში ცხოველისეული საწყისის პრიმატზე? ცნობილია, რომ ჰიტლერს აღაფრთოვანებდა შპენგლერის მიერ წარმოდგენილი გერმანელის "მარად მეომრული ტიპი ადამიანი-მტაცებელი ცხოველისა" (კვესელავა 1991: 366). მეტიც, ის საკუთარ თავს მგელს ადარებდა. ფაშისტური ელიტა მას ამ ზედმეტსახელით მოიხსენიებდა, რაც ფიურერს ძალზე მოსწონდა. შტაბების სახელწოდებადაც მას "მგლის ბუნაგი" და "ველური მგელი" შეურჩევია. "ჰიტლერის ფენომენის" მკვლევარი რუდოლფ აუგშტაინი მიუთითებს: "ჰიტლერი იდგა ზღვარზე, სადაც ადამიანი გადაიქცევა აგრესიულ ვეფხვად, ველურ მგლად" (როზანოვი 1991: 18). და კიდევ: განა დამაფიქრებელი არაა რობაქიძისეული ფრაზა: "ცხოველს არა აქვს "მე", ნიშანი ღვთაებრივისა"?...

ადოლფ ჰიტლერის ფენომენის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის ანალიზს ეძღვნება თხზულების ქვეთავი, რომელსაც Kairos ჰქვია. მწერლის განმარტებით, "პიროვნებას, რომელიც მთელი არსებით ხალხის ბედისწერას ემორჩილება, თანდათან საჩუქრად ეძლევა წყალობა ყოფიერებისა, ძველი ბერძნები "Kairos"-ს რომ უწოდებდნენ ("ესე იგი ქმედებისას სწორი მომენტის დანახვის (გარტყმის) უნარი", - ხსნის გრ. რობაქიძე). რაც ვიწროა მონაკვეთი, მით ძლიერია Kairos. ის ცხოველის შიშველი ინტუიციის მსგავსია. მწერლის აზრით, ამ თვალსაზრისით ქემალ ათათურქის ცხოვრების გზა ფანტასტიკურს ესაზღვრება. თითქმის ყოველთვის, საბედისწერო სიტუაციაში, სადაც 90:10 მის წინააღმდეგაა მიმართული, ის მოულოდნელად სწორ მომენტს იჭერს და "სახიფათო ზონაში გამაოგნებლად ბედს თავის სასარგებლოდ გადაღუნავს". აბისინიის ომიდან გამომდინარე, ამასვე ხედავს რობაქიძე მუსოლინის პიროვნებაში. "განსაკუთრებით მრავლად ფლობს ამ უნარს ადოლფ ჰიტლერი", - შენიშნავს მწერალი (ვფიქრობთ, ფიურერის პიროვნებიდან მომდინარე "საფრთხე" თხზულების ამ მონაკვეთშიც აშკარად იკითხება). ამის გამოხატულებად თვლის გრ. რობაქიძე ჰიტლერის რამდენიმე სწრაფ, ელვისებურ წარმატებას 1920-1938 წლებში, განსაკუთრებით გამოყოფს მის გამოსვლას სპორტის სასახლეში (წელი მითითებული არაა). "ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა, მას ომის თავიდან აცილება სურდა. ერთი მოლეკულა ფინჯანზე და ჭექა-ქუხილი უმალვე განმუხტული ჩანს. კაცობრიობა შიშით და ლოცვით ქვავდება." როგორც ვხედავთ, მწერალი შინაგანად აშფოთებდა იმჟამინდელი რეალური მდგომარეობა. ის განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა ევროპის ოთხი წამყვანი სახელმწიფოს მეთაურის: ჰიტლერის, მუსოლინის, ჩემბერლენის, დალადის შეხვედრაზე — "და მშვიდობა და მსოფლიო გადარჩენილია", - ფიქრობს ის. მისი აზრით, 99%-ით შესაძლებელი იყო, განხეთქილება არ მომხდარიყო,

“ფიურერის შემთხვევაში ეს სხვაგვარად მოხდა”, -დასძენს შემდეგ. აქ იგულისხმება 1938 წლის 30 სექტემბრის შეხვედრა მიუნხენში, ჰიტლერის “ყავისფერ სასახლეში”, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის უმაღლესი პირები რომ ესწრებოდნენ. მათი ხელდასმით ჰიტლერს ხსენებულ ქვეყნებზე თავდაუსხმელობის პირობის სანაცვლოდ ჩეხოსლოვაკიის ერთი ნაწილი გერმანიისათვის შემოუერთებია (თუმცა ეს პირობა მალევე დაურღვევია). მიუნხენის შეხვედრა შემდგომში პოლიტიკური ახლომხედველობის, გამყიდველობისა და ვერაგობის სიმბოლოდაც მიიჩნიეს. ჩერჩილს ის ასე შეუფასებია: “ინგლისს არჩევანი უნდა გაეკეთებინა ომსა და სირცხვილს შორის. მისმა მინისტრებმა სირცხვილი აირჩიეს, რათა შემდეგ ომი მიეღოთ” (როზანოვი 1991: 33).

ჰიტლერის პიროვნული ენიგმის ანალიზისათვის რობაქიძე “ჩემ ბრძოლასაც” მიმართავს და ფიურერის კიდევ ერთ გამორჩეულ თვისებას გამოყოფს: “ყოველ ადამიანს გვერდით მრჩეველი ჰყავს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას კაცი თავად იღებს”. მწერალი გერმანულ სიტყვას Allein (მარტო) ასე შლის: All (სამყარო), eins (ერთი) და კითხულობს: ეს ერთის სამყაროსთან ყოფნას ხომ არ ნიშნავს? პასუხი ასეთია: “სამყაროსთან ერთი რომ იყო, ყველაფერს ზურგი უნდა შეაქციო” (და კვლავ კითხვა: ადოლფ ჰიტლერის ეს თვისება მისი უსაზღვრო ვოლუნტარიზმის “საფრთხესაც” ხომ არ მალავდა?).

პასუხისმგებლობა გერმანიის წინაშე ფიურერს თავადვე უკისრია: “დიახ, ის გადაწყვეტილების წინაშე დგას, - წერს რობაქიძე, - All-Ein, სადაც All (სამყარო) მისი ხალხის თაურმდგენს ნიშნავს. ჩანს, გადაწყვეტილებას იგი პირველი იღებს, თუ ის მარტოდ ყოფნის ჟამს ამ თაურმდგენით აღივსება”. შესაბამისად, თხზულების შემდეგი თავი სწორედ თაურმდგენის (Urheber) პარადიგმის განმარტებას ეძღვნება: “იდუმალებით აღვსილია რაღაც (Etwas), რაც ჩნდება, ვითარცა ხალხის თაურმდგენი. ეს თაურმდგენია პირველგამჩენი: მაგრამ არა თაობათა ან მოდგმათა თანმიმდევრობის გაგებით”. ის ზებიოლოგიური არსებაა, რაც ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს. “ის შინაგანი სულიერი არსების ხმიდან მომდინარეობს”, - განმარტავს მწერალი და დასძენს: ზეპიროვნულობის მიუხედავად, ის მაინც კონკრეტულ პიროვნებად გვევლინება.

პარალელი ისევ საქართველოს რეალობიდანაა მოხმობილი: რობაქიძის მითითებით, ქართველი ხალხის თაურმდგენის, კარდჰუს=ქართლოსის საფლავი მცხეთაშია, თბილისთან ახლოს, და ის ყოველ წელს დაიტირება. “თაურმდგენის გენიის გარეშე ხალხი მეტად არ არის ხალხი. პირიქით, ადამიანთა გროვაა, მაგრამ არასოდესაა არსება”, მიუთითებს მწერალი. მას დიდი ხნის გამქრალი ლანგობარდები ახსენდება, თუმცა ხმელთაშუა ზღვის აუზში ხშირად შეხვდებითო ადამიანს მათი რასსიული ნიშნებით. აქვე კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხის – უდების მაგალითიცაა მოხმობილი, მათგან მხოლოდ სამი სოფელია შემორჩენილი და “მათი მორიდებული სიჩუმე მეტაფიზიკურ სიკვდილს ემსგავსება”, - სევდიანად დაასკვნის ავტორი. მას სწამს, რომ ნათელმხილველის უნარით დაჯილდოებული შემოქმედნი ერთი ადამიანის სახეში ხშირად შესაბამის რასსიულ ხატს განჭვრეტენ. უცნობი მხატვრის მიერ შექმნილი უტა ფონ ნაუმბურგის სახე რობაქიძეს გერმანელების თაურდედაკაცად (ჩრდილოური ევას თაურხატად) ევლინება.

მწერალს მხედველობიდან არ რჩება თაურმდგენსა და ცალკეულს (ინდივიდს) შორის დრამატიზმით აღსავსე მუდმივი დაძაბულობა, რომელსაც, მისი აზრით, განსაკუთრებით ნათლად შემოქმედი ადამიანი გრძნობს. საყურადღებოა რობაქიძის აზრი: თაურმდგენს ზიარებული ადამიანი ორგვარია - ან მსოფლიოს გამაერთიანებელი, ან მსოფლიოს გამანადგურებელი (მწერლის რწმენით, ვინც ვერ დაძლევს შინაგან ბრძოლას თაურსაწყისთან, ის მოსპობისთვისაა განწირული). ვფიქრობთ, მრავლისმთქმელია ავტორისეული დასკვნა: “აქ ვპოულობ ადოლფ ჰიტლერის ფენომენის საყრდენ (ცენტრალურ) წერტილს” (ვფიქრობთ, “საფრთხე” თხზულების ამ ფრაგმენტშიც აშკარა).

მწერალი იზიარებს ფრანგი ალფონს დე შატობრიანის მოსაზრებას, რომელმაც ჰიტლერს ახალი ადამიანი უწოდა, ყოველ ახალ ადამიანს კი ახალი მსოფლხატიც მოაქვს. რობაქიძის მითითებით, ჰიტლერის მსოფლხატი ასე აღინიშნება: “ხალხის სასიცოცხლო ენერგია, მისი რასსით განპირობებული”. ამ მიმართებით მწერლის მსჯელობა უკვე რასსის (=ჯიშის) განმარტებას ეძღვნება. "ადრინდელი კულტურები, რომლებიც ყოფიერებაში საკრალურის დაცვას ცდილობდნენ, ამ იდეით არიან დაავადებულნი”, - ვკითხულობთ თხზულებაში. მაგალითი კვლავ ქართული სინამდვილიდანაა: თუ ქართველს ვინმეს შეურაცხყოფა სურს, წყევლის: “შენი ჯიში ამოვარდაო” (ნათელია, რომ “რასსის”

ნაცისტური და რობაქიძისეული გააზრება ერთმანეთისაგან განსხვავდება). მწერალი სინანულით შენიშნავს: "ჩვენ დროში თაურცოდნა რასსის სიწმინდეზე უკვალოდაა გამქრალი." აქ დამოწმებულია ბარონ იულიუს ევოლას შეხედულება: "კულტურები და რასსები არა სისხლის მეშვეობით აიხსნებიან, არამედ სისხლის სიძველით" (ეს ის იულიუს ევოლაა, რომლის შესახებ უმბერტო ეკო მიუთითებს: "ტერმინი "ფაშიზმი" ყველაფერს ერგება... დაუმატეთ კელტური მითოლოგიის კულტი და გრაალის მისტიციზმი (აბსოლუტურად უცხო ოფიციალური ფაშიზმისათვის) და ფაშიზმის ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ გურუს, ევოლას, მიიღებთ" (ეკო 2005: 182).

სისხლის ფენომენზე მსჯელობას ეძღვნება "ადოლფ ჰიტლერის" ქვეთავი "საიდუმლო კანონი", რომლის მიხედვით, "ყველა დროის აღმოჩენები სისხლის – ამ "სრულიად განსაკუთრებული წვენის" შესახებაა. ეს ერთისადმი მსხვერპლშეწირვის რიტუალით ხერხდება, პირველღვთაებრივ ენერგიას ძალას რომ მატებს. ამგვარად, ის განსაკუთრებულ თვისებას აღწევს, რაც, როგორც უნარი, კოსმიურში ჩარევად აღინიშნება". ეს უნარი კი შემდგომ მემკვიდრეობით შთამომავლობაზე გადადის: "ეთერისმაგვარი ფაქიზი სხეულით, რომელიც საკუთარ თავში სულის გამოცდილებას ანაბეჭდივით ინახავს". მწერალი მიუთითებს, რომ ამას ემყარება პირველკეთილშობილების ფენომენი, ასევე სისხლის ჯიშის მკაცრი აზრი. თუმცა, მისივე თქმით, მხოლოდ ჯიში საკმარისი არაა, ადამიანს "მეორე დაბადებაც" სჭირდება (მსგავს შეხედულებას გრ. რობაქიძე იმეორებს სიცოცხლის მიწურულს დაწერილ ესეში "ქართული გენია, როკვით განფენილი"). "სისხლი და სული აქ ერთმანეთზე ზემოქმედებენ. სისხლში სული ფორმირებისათვის განვითარებულ პლაზმას ეძებს, სისხლს კი მსგავსადვე ენატრება სული, ვით შემოქმედებითი აღმაფრენა". თუმცა კეთილშობილება გადაგვარებასაც ექვემდებარება, სიცრუის თუ სხვა ცოდვათა გამო. მწერალი ამასაც სისხლის საიდუმლოდ თვლის და დასძენს: ეს კანონი არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ რასსებს, ხალხებს, კულტურებს ეხება.

გრიგოლ რობაქიძე შეგნებულად არიდებს თავს ადოლფ ჰიტლერის ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების განხილვას, თუმცა მიწიერი ძალების რწმენასთან მიმართებაზე მაინც საუბრობს. მისი თანადროული ქრისტიანობის კრიზისს ის სწორედ მიწიერი ძალების უგულვებელყოფას უკავშირებს. ამის გარეშე რწმენა მხოლოდ აღიარებად რჩებაო. ამ დებულების განმარტებისათვის მწერალი ისევ იმოწმებს თავისივე გმირის, გრაალის მცველის, გიორგის სიტყვებს: "რწმენა მეტია, ვიდრე აღიარება. მე შევიცნობ საგანს, ამგვარად ის ჩემთვის ობიექტად დარჩება. მწამს რაიმე, ის მე მეტად აღარ მიპირისპირდება. შეყვარებულისათვის შეყვარებული საპირისპირო არაა: ის მისთვის განუმეორებელი სახეა, რომელშიც საკუთარ თავს პოულობს" (იქნებ ამ სიტყვებით ავტორი შეფარულად ჭეშმარიტ რწმენასთან დაბრუნების აუცილებლობასაც ქადაგებდა?).

ესეს ძირითად პოსტულატებს გრ. რობაქიძე ერთგვარად აჯამებს შემდეგი ფრაზით: "ადოლფ ჰიტლერი ქმნადობის (Werden) სამყაროში დგას – მოცემულ შემთხვევაში, გერმანელების ხალხად ჩამოყალიბებაში – ვითარცა მიწიერი ძალების ბიძგის მიმცემი. ამასთან, ის ისტორიული ქმედების მნიშვნელობით უსაზღვროდაა გამორჩეული". მაგალითისათვის მწერალი "ჩემ ბრძოლაში" ფრანგების მისამართით გამოთქმულ ავტორისეულ შეფასებას იხსენებს, რომელსაც გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკება შეუფერხებია. ფრანგებს ჰიტლერისათვის "ჩემ ბრძოლაში" მათთვის უხერხული ადგილის შესწორება უთხოვიათ, რაზეც ფიურერს უარი განუცხადებია: "კორექტურას ჩემს საგარეო პოლიტიკაში ვატარებ... მე ისტორიის დიდ წიგნში კორექტურა არ შემაქვს". ეს პასუხი უცხოელებს ძალზე მოსწონებიათ. გრ. რობაქიძის დასკვნა კი ასეთია: "ასე თქმა შეუძლია ადამიანს, რომელსაც ისტორია ქმნის, მაგრამ ის (ისტორია) არ წერს".

სამშობლოს ცნებასთან ადოლფ ჰიტლერის მიმართებას ეძღვნება ნაწარმოების ქვეთავი "მზის სასმელი", სადაც ჩართულია ამბავი მე-18 საუკუნის ბოლოს სამეგრელოდან თურქეთში მონებად გაყიდულ ორი ჭაბუკისა, ეგვიპტის პირმიდებთან სხვათა ომში რომ დაასრულეს სიცოცხლე. "სამშობლო – ეს მისი ცეცხლოვანი გვირგვინია", - პათეტიკურად წერს ფიურერზე გრ. რობაქიძე და, შესაძლოა, აქ მისი ემოცია გულწრფელია. პათეტიკა იგრძნობა მწერლისეულ შეფასებაში, სადაც ჰიტლერი სამშობლოს განსახიერებადაა წარმოდგენილი, რაც, თავის მხრივ, ხალხზეც აისახა. მისი თანამედროვე გერმანელების ფიურერისადმი დამოკიდებულების გადმოსაცემად გრ. რობაქიძეს გამოუყენებია გეორგ შოტის წიგნი "სახალხო წიგნი ჰიტლერზე", საიდანაც შერჩეულ მაგალითებში იკვეთება იმდროინდელი გერმანიის მოსახლეობის ფანატიზმი და უსაზღვრო რწმენა ახლადმოვლენილი ბელადისადმი, მსუბუქ

ირონიასაც რომ იწვევს: ირკვევა, ორ ახალგაზრდა მამაკაცს ერთმანეთისათვის უნებლიედ ერთნაირი საჩუქარი - ჰიტლერის სურათი უჩუქებია; გერმანელ ქალს ბოტანიკოსისათვის სპეციალურად უკითხავს და გაუხარებია იმ ვარდის ჯიში, ყოველწლიურად 20 აპრილს (ფიურერის დაბადების დღეს) რომ იფურჩქნებოდა და ა.შ.

გრიგოლ რობაქიძე იმ დიდ სულიერ ზეგავლენაზეც ჩერდება, ადოლფ ჰიტლერი გერმანელ ხალხზე რომ ახდენდა. "ის ხალხის ენერგიას ფორმას აძლევს; ამით მისი პიროვნული არსი გვიახლოვდება. ამას თავადაც ღრმად შეიგრძნობს საკუთარ თავში". მწერალს გავლენის ორმხრივობაც არ ავიწყდება: "მან სამი წლის მანძილზე გერმანელ ხალხს ძალა მისცა... გერმანელმა ხალხმა, თავის მხრივ, მას მისცა ძალა. მან ერი რწმენაში განამტკიცა. ის იმედოვნებს, რომ ახლა ერი მას განამტკიცებს რწმენაში".

სიმბოლური ხასიათისაა თხზულების ბოლო თავი "იგგდრაზილის წყარო იფნის მარჯვნივ", სადაც ფიურერის მოღვაწეობაა შეფასებული: "ადოლფ ჰიტლერმა დიდი გერმანია შექმნა; ის მისი სუვერენული დამფუძნებელია. მისი ისტორიული საქმე ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. ისტორია მის სახელს უკვე მითიურად სჭედავს". აქ გრიგოლ რობაქიძეს ახსენდება ჩრდილოური მითი იგგდრაზილის, ცხენ იგგის, მარადმწვანე იფანზე, საიდანაც ცვარი ტალერში ეშვება (ხე საოცრად ყვავის, წყაროები ჩუხჩუხებენ, იქვე ორი გედი ცხოვრობს, ხის კენწეროში კი ირმები შეკრებილან). ამ იფანს, მსოფლიო ხეს, თავად მსოფლიოს რომ განასახიერებს, მწერალი სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს: მისგან ისტორიულად მოდიან დიდი გერმანიის შემქმნელები. "ეს ხე ადოლფ ჰიტლერის საგვარეულო ხეცაა", - წერს რობაქიძე, "მისი დინების ძალა მომდინარეობს წყაროდან, რომელიც მსოფლიო იფანს ასაზრდოებს". ასე იდილიურად მთავრდება სკანდალური თხზულება "ადოლფ ჰიტლერი", რომლის ავტორი 1938 თუ 1939 წელს ალბათ ბოლომდე ვერც გაიაზრებდა, რომ აღზევებული გერმანელი ფიურერი ოდენ "დიდი გერმანიის" შექმნით არ დაკმაყოფილდებოდა და მისი სამხედრო ავანტურის მასშტაბები მალე მთელ მსოფლიოს გადასწვდებოდა... ჰიტლერის "მითიური სახე" მალე თანდათან გამოიკვეთა: მსოფლიოს ავ ბედისწერად მოევლინა კაცი, რომლის საყვარელი ფრაზა ყოფილა: "უმაღლესი ბოროტება უმაღლესი სიკეთის გამოვლენაცაა" და, რომელიც, ნიცშეს მსგავსად, ჭეშმარიტებას "სიკეთისა და ბოროტების მიღმა" ეძებდა" (კვესელავა 1991: 155). ჭეშმარიტება კი მისთვის "იდეალური ნაციონალ-სოციალისტური მსოფლიოს" შექმნის იდეა გახლდათ, რომელსაც, ბუნებრივია, განხორციელება არ ეწერა.

"ადოლფ ჰიტლერს" წინ უძღვის ეპიგრაფი: "ოდეს საკუთარ თავს ვუღრმავდები, ვხედავ წმინდა მთას, მირიადობით მამაკაცი კვლავ ჩემთანაა და ვვალ უშიშრად".. ეს ბჰაგავატ-გიტას სიტყვებია, რომლებიც, მწერლის თქმით, ჰიტლერს კარგად ახასიათებს. მთაზე ასვლა ჭეშმარიტების მწვერვალზე ასვლის სიმბოლოა, რაც მედიტაციას, სულიერ ამაღლებასა და განწმენდის იდეასაც გულისხმობს. "მწვერვალის, მთის, მისტიკურ შინაარსს განაპირობებს სწორედ ის, რომ იგია მიწისა და ცის შეერთების ადგილი, ამ ორი სამყაროს ურთიერთკავშირისა და, იმავე დროს, ურთიერთდაპირისპირების განსხეულება" (რევიშვილი 1998: 153). ნიცშესეულია ფრაზა: "მწვერვალი და უფსკრული ერთად იქმნა". ჩანს, 1938-1939 წლებში დიდების მწვერვალზე მყოფი ადოლფ ჰიტლერი სწორედ ამ მიჯნაზე იდგა და, წარმატებებით დაბრმავებული, ვერ ჭვრეტდა მის მომლოდინე უფსკრულს, რომელმაც ის და მისი გარემოცვა რამდენიმე წელიწადში შთანთქა. სამწუხაროდ, დანთქმულმა ბელადმა ათეულმილიონობით ადამიანის სიცოცხლეც თან ჩაიტანა.

გრიგოლ რობაქიძის "ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის მიერ დანახული" სწორედ ამ გზაგასაყარზე მდგომი გერმანელი ფიურერის ირაციონალურ შინაგან ხატს წარმოადგენს, რომელიც გახლავთ "არსის ხატი, ნორდ-გერმანულ სივრცეში დანახული" და არა რეალური პიროვნება, თავისი ქმედებებით, შეცდომებით, დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით. ამ "არსის ხატიდან" მომავალი "საფრთხეების" ამოკითხვას მომზადებული მკითხველი ოდენ სტრიქონებს შორის თუ შეძლებდა.

ლამარა გერგედავა

სერვანტესის "დონ კიხოტის" არქეტიპები ქართულ ლიტერატურაში

დონკიხოტური სულისკვეთების პერსონაჟებითაა დასახლებული გ. ლეონიძის მწერლური სამყარო ("ნატვრის ხე").

გიორგი ლეონიძე (1899-1966) – უახლესი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელთაგნი, ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი პოეტური ნიჭი XX საუკუნის ქართული მწერლობისა; ლიტერატურული ტალანტი მრავალწახნაგოვანი: ლირიკოსი, ეპიკოსი, პროზაიკოსი, ესეისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი, ფილოლოგი... ვერსიფიკაციის ვირტუოზი, ენის დიდი მესაიდუმლე"

"ნატვრის ხე" თვისებრივად ახალი მოვლენაა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, ფართო მასშტაბების მომცველი დიდი წიგნი, შემოქმედებითი წარმოსახვის შედეგად შექმნილი მთელი მიკროსამყარო, რომელიც ლიტერატურული ტიპებისა და სახეების მრავალფეროვან გალერეას ქმნის."

ჩორეხი (ნოველა "ჩორეხი") ისევე თავგადადებული ოცნებობს საქართველოს წარსულზე და მისტირის მას, როგორც დონ კიხოტი ოქროს საუკუნეს ესპანეთისას – ორივე ცდილობს ძველი დროის დაბრუნებას.

ჩორეხი ფანატიკურადაა შეყვარებული წარსულზე. მისი მთელი განცდები და ოცნებები შემდეგი მიმართულებით იყო წარმართული: "მამულის თავისუფლება", "მამულის სევდა", "გმირი წინაპრები", "ბაზალეთი", პირველი აღთქმა მამულისადმი: "უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯვენი ჩვენი", ქართული მინა, წარსული დიდება, მიწა, სადაც: "ჩვენი ქედწაგრეხილი მოძმენი ცხოვრობენ..."

"ბავშვი ისე არ გაეტირება დედას, როგორც ჩოხერი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას..."

უნიადაგო მეოცნებეს ღრმად სწამდა, რომ მომავლის ხმას მალე გაიგონებდნენ, ამბობდა, ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა და საქმეაო საჭირო, მერე კი თვითონ, ალბათ, უკვე ნაოცნებარს დააყოლებდა: "ისევ დაისხავს ჩვენი ვენახი. ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი! ნუ გეშინიათ!..."

XII საუკუნე, ოქროს ხანად წოდებული ეპოქა, არაერთი შემოქმედის შთაგონების წყარო გამხდარა. ეს ხომ ის პერიოდი იყო, როდესაც ქვეყანა, თამარის ხელმძღვანელობით, პოლიტიკურად ერთიანი იყო, ეკონომიურად – ძლიერი, საზოგადოებრივ ურთიერთობებში კი ჰარმონია სუფევდა.

გ. ლეონიძის პერსონაჟი, სწორედ, იმ დროის მსგავსი პერიოდის მოვლენას ელოდა და ცდილობდა სხვებიც, ახალგაზრდებიც, დაერწმუნებინა თავისი ჩანაფიქრის სისწორეში. ესპანეთის ხელოვნების ოქროს ხანაში (XVI-XVII ს. II ნახევარი) მოღვაწე სერვანტესის "დონ კიხოტის" პერსონაჟიც გ. ლეონიძის ჩორეხის ("ჩორეხი") მსგავსად წარსულს მისტირის, ჰგონია, რომ გაიდეალებული რაინდული საუკუნე აღორძინდება.

თხის მწყემსებთან საუბრისას დონ კიხოტი, ბედნიერს უწოდებს იმ დროსა და საუკუნეს, რომელსაც მათმა წინაპრებმა ოქროს საუკუნე უწოდეს, მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო სიტყვა "ჩემი და შენი"... ის გულწრფელად უწოდებს იმ პერიოდს კურთხეულს: "მაშინ ყველგან მეგობრობა, მშვიდობა და სიყვარული მეფობდა."

"მაშინ საუკეთესო გულისთქმანი უფრო გულწრფელად და მარტივად იხატებოდნენ, ამისათვის ხელოვნური სიტყვების თქმა როდი იყო საჭირო, ცილი, სიცრუე და ვერაგობა სიმართლეს და გულახდილობას არა ბუნდავდა და ყველგან მართლმსაჯულება სუფევდა; ახლანდელივით ვერაგობითა და ანგარებით შემწიკვლული, დევნილი და დაჩაგრული როდი იყო იგი; მსაჯულის გულსაც პირადი თვითმნებელობა ჯერ არ მიჰკარებოდა; ან კი მსაჯულები მაშინ სად იქნებოდნენ, როდესაც განსასჯელიც არავინ იყო..."

დონ კიხოტის აზრით, მოგზაურ რაინდთა ორდენი მაშინ დააარსა, როცა სახლში გარყვნილებამ გაიდგა ფეხი. მან მწყემსებს ამცნო, რომ რაინდები ხალხის სამსახურს სწირავდნენ თავს. მათ ქალწულები, ქვრივები, ობლები და დაჩაგრულები უნდა დაიცვან... თვითონაც ამ პატიოსან ორდენს ეკუთვნოდა...

"მწყემსები მთელ ამ სიტყვას გაოცებული მდუმარებით უსმენდნენ და გათავების შემდეგაც დიდხანს იყვნენ ისევ მდუმარედ გაცბუნებულნი." მათ ასეთი თავდადება, თანამედროვე ესპანეთის პირობებში, ვერ წარმოედგინათ, ამიტომაც დონ კიხოტის გრძელი, შთამბეჭდავი სიტყვისაგან ვერაფერი გაიგეს და მდუმარება არჩიეს, ბოლოს კი გართობა, გამხიარულება შესთავაზეს, რაბელზე (ფანდურის მსგავს, პრიმიტიულ, სამსიმიან საკრავზე) მომღერალ ჭაბუკს ელოდნენ, ისიც გამოჩნდა. მან მალე რომანსიც დაამღერა და ხალხის სამსახური, თავდადება არავის გახსენებია.

დონ კიხოტიც და ჩორეხიც ორივე ოქროს ხანას მისტირის, ორივეს სურს მისი აღორძინება, ორივეს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს, მაგრამ მათ ირგვლივ არ ჩანან თანამოაზრეები, ისინი, თითქოს მარტოხესავით შრიალებენ ტრიალ მინდორზე, ერთიცა და მეორეც ფანატიკურადაა შეყვარებული სამშობლოს წარსულზე და არც ერთს არა გაეგება დღევანდელი ცხოვრებისა: "...ჩორეხს ბევრი არა გაეგებოდა რა, არა შეესმოდა", შოთას თქმისა არ იყოს, "სოფლის გაღმა გაებიჯა". იგი მხოლოდ წარსულში იყო შელტოლვილი და იყოცა მისი მძევალი"

ჩორეხიცა და დონ კიხოტიც ვერ ხედავდნენ, რომ რთული იყო ეპოქების მოხმობა შორეთიდან, რომლებმაც უკვე ჩაიქროლეს და წარსულის ლაბირინთებში ჩასთვლიმეს. ორივე ილუზიათა სამყაროში ცხოვრობს, ორივეს უანგარო სიკეთე ამოძრავებს, ორივეს ჰყავს თანამზრახველი, ჩორეხს – ახალგაზრდობა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მათი: "ნამდვილი მასწავლებელი, მართლაც, ჩორეხი იყო და არა ჭროღა ლონგო..."[3] დონ კიხოტს კი – მიამიტი სანჩო პანსა, რომელიც დარწმუნებულია, რომ თავისი ბატონის ერთგული მხლებელია და წამოწყებული კეთილშობილური საქმე ერთ დროს გამარჯვებით დაგვირგვინდება.

დონ კიხოტის ირგვლივ, მისი კეთილშობილური საქმეებით დაუინტერესებელი ხალხი ტრიალებს, მათ ღიმილს გვრის ბეჩავი "რაინდის" ფაფხური.

ჩორეხის ირგვლივ კი მარტო ბალღები არიან, მათ ბოლომდე არცა აქვთ გაცნობიერებული თავიანთი "მასწავლებლის" შეძახილი: "ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი გამოვიდეს და დავიხსნათ მამული!"[4] არავინ უგდებდა ყურს, გარდა შეშინებული თავისივე ცოლისა, რომელიც ასეთ შეძახილზე ორივე ხელს აიფარებდა პირზე: "გაჩუმდი, კაცო, არ გაგიგონ, არ დაგვღუპო!"

"ჩორეხი მხოლოდ წარსულით სუნთქავდა", წინაპრებს ახსენებდა, მათი სული კიდევ მუშაობსო, ამბობდა. ახალგაზრდებს ლექსს შეახსენებდა "ბაზალეთის აკვანზე"... ადგილობრივი მკვიდრის, დათა პაპიაშვილის მიერ, ილიასათვის მოყოლილი ლეგენდის საფუძველზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოების იდეისა ღრმად სწამდა.

"ლექსში ნახსენები თამარ მეფე ქვეყნის დიდებული წარსულის სიმბოლოა. ლეგენდის მიხედვით, ბაზალეთის ტბის ძირში სწორედ მის მიერ ჩადგმული აკვანია. ილიას ამით, ალბათ, ამის თქმა სურდა, რომ ერის წარსული დამარხულია, დაფარულია, წყლის ქვეშაა, მაგრამ გამქრალი არ არის... საზოგადოდ, წყალი განახლების, აღორძინების სიმბოლოა, ამავე დროს, იგი განწმენდაზეც მიანიშნებს. წარღვნის წყლებით განწმინდა ღმერთმა კაცობრიობა ცოდვებისაგან. წყალი მაცოცხლებელი სტიქიაა, ადამიანის 4 ელემენტთაგან ერთ-ერთი წყალია. ასე რომ, წყალი ინახავს ერის განძს"...

"...ის ყრმა" საქართველოს თავისუფლებაა, მისი "მარად თანამდევი უკვდავი სული", რომელმაც გარეგნულად საპირისპირო განსახოვნება აჩრდილის სახით ჰპოვა"

სახელოვანი ვაჟკაცი: "ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა", კიტა აბაშიძის თქმით, "უსათუოდ იქნება ისე, როგორც "მამული აყვავდა ერთ დროს"[1] ჩორეხი ელოდა დროს, როდესაც ის ყრმა გაიზრდებოდა და გაათავისუფლებდა საქართველოს.

გ. ლეონიძის თქმით: "ასე სწამდა ჩორეხს, სასწაულით, ხელგაუნძრევლად თავისუფლების მოპოვება"[2]

ჩორეხი, რომელიც სამშობლოს ნაქარალს, ნაქორალს, დაჭრილ არწივსა და უსულოდ დანარცხებულ ვეფხვს უწოდებდა, ვაებდა, ოხრავდა, ცდილობდა მსმენელთა ყურადღება ნანგრევთა ღაღადისთვის მიეპყრო, მოთქვამდა, რომ იმარხებოდა საქართველო, ქრისტეს კუნძული... უფლისთვის

მიეპყრო თვალი, თან თითქოს წინასწარ "ზეიმობდა ჩორეხის სული", რომ მომავლის ხმას მალე გაიგონებდა ყველა. პესიმისტური განწყობაც ეუფლებოდა: "შავ ზღვაში ჩავარდა მზე საქართველოსი! რაღა ამოიყვანს?" თანაც გაკვირვებული კითხულობდა: "მესსია რად იგვიანებს?"[3]

დონ კიხოტსაც ჰქონდა უკეთესი მომავლის მოლოდინი, სანჩო პანსას ეუბნებოდა მისი იმედი უნდა ვიქონიოთო.

ნახევრად შეშლილი იდალგო დონ კიხოტიც ადიდებდა თავისუფლებას: "იცით თუ არა, ჩემო სანჩო, რომ თავისუფლება უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ზენამ მოჰმადლა ადამიანს? ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამ ქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისა და სახელისათვის თამამად შეიძლება თავგანწირვა, რადგან ნაძრახი სიცოცხლე და მონობა ყველაზე უდიდესი უბედურებაა კაცისათვის..."[4]

სიკეთისთვის, თავისუფლებისათვის მებრძოლი დონ კიხოტის, ნახევარშეშლილი იდალგოს სიტყვები ხშირად სიბრძნითაა სავსე, ის მხოლოდ მაშინ იწყებდა აბაუბდას, როცა რაინდობა გაახსენდებოდა.

გ, ლეონიძის პერსონაჟის ჩორეხის ("ჩორეხი") სიტყვებიც, ასევე სიბრძნითაა სავსე, ავტორი არ უწოდებს მას ნახევრადშეშლილს, ხეპრეს, პირიქით, მოძღვრავდაო სკოლიდან გამოცვენილ რამოდენიმე ბავშვს, წვრთნიდა. "ნამდვილი მასწავლებლის" ერთადერთი საგანი საქართველო და მისი სიყვარული იყოო, მაგრამ თვითონ ჩორეხი დონ კიხოტური სულისკვეთებისა იყო, მთელი მისი მონდომება მიწაზე ფეხის დარტყმასა და წამოძახილში გამოიხატებოდა: "აღსდეგ, საქართველოვ!!!" ილუზიებისა და ოცნებების ტყვეობაში მყოფი, ისევე ვერ ხედავდა ხსნის გზას, ისევე ვერ ცნობდა თავისი დროის საქართველოს, როგორც სერვანტესის უბადრუკი აზნაური, დონ კიხოტი, ესპანეთს... ორივეს – ერთს "ოქროს ხანა", მეორეს – "ოქროს საუკუნე" მონატრებოდა.

ხასიათის თვისებებით, თითქოს, ეს ორი პერსონაჟი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ორივე წიგნიერების მოყვარულია.

გ. ლეონიძის ჩორეხი, შინგაზრდილი მწიგნობარი, "ვეფხისტყაოსანს" შოთას ძღვენს უწოდებდა, კვირაძალზე მის სურათს სანთელს უნთებდა. პოემა, რომელიც სიყვარულის საგალობელსა და "სამთა ფერთა საქებელთა" რაინდების ხოტბას წარმოადგენდა,

ჩორეხის საყვარელი წიგნი იყო, აღტაცებას იწვევდა მასში "მშვენივრად თქმული", "სამთელქვეყნო" წიგნი და მღვდელს გაკვირვებული მიმართავდა: "რით არის სახარებაზე ნაკლები?", შემდეგ კი მისგან შერისხვასა და შეწყალებას ითხოვდა, მაგრამ, ავტორის თქმით, სასულიერო პირს არც სწყინდა და არც ეცალაო რუსთაველისთვის, მიწიერ კაცს, რომელიც ხვეჭაში იყო გართული.

დონ კიხოტიც მწიგნობარი იყო, მას სატრფიალო წერილებისა და ხმალში გამოწვევის ამბავთა წაკითხვა მოსწონდა. ყველაზე სახელგანთქმულად სარაინდო წიგნების ავტორის, XVI ს. ესპანელი მწერლის, ფილესიანო დე სილვას წიგნები მიაჩნდა. ისიც ხშირად ეკამათებოდა სოფლის მღვდელს.

ჩორეხი, ავტორის თქმით: " სულ ერთთავად დადიოდა, ან შარაგზაზე უნდა გენახათ, ან ტყე-ღრეში იარებოდა"...[1]

დონ კიხოტიც: "ნადირობის დიდი ტრფიალი იყო და დილაადრიან ადგომა უყვარდა"...[2] ისიც სულ მუდამ დადიოდა.

თითქოს მსგავსებას ვპოულობთ ჩორეხისა და დონ კიხოტის პორტრეტებშიც. ჩორეხი იყო: "აწოწილი, წვრილულვაშიანი, სათვალიანი, გამხდარი, ახოვანი... მკაცრი შესახედაობისა, თმააბურძგვნილი, უქუდო, მტვრიანი, გაოფლიანებული, ძველებურ მასრებიან ჩოხაში, ხარაზულ წუღებში".[3]

დონ კიხოტი: "თუმცა კაფანდარა და პირხმელი იყო, მაინც ბრგე აგებულება ჰქონდა"...[4]

ორივეს ზედმეტი სახელი შეერქვა წანწალის, ხეტიალის გამო.

დონ კიხოტს "მწუხარე სახის რაინდი" პირველად სანჩო პანსამ უწოდა: "ბერების მაშხალათა შუქზე უცებ შემოგხედეთ და თქვენი სახე ისეთი საცოდავი და საბრალო მეჩვენა, რომ იმ სახისა ჯერ არსად მინახიხართ"[5]

ჩორეხს "ყოველდღიური ხეტიალისა და წანწალისათვის მუდამ ჩანთით, წერაქვითა და ჭოგრიტით მავალს, წანწალოსანს უწოდებდნენ: " – მოდის ჩვენი წანწალოსანი!"[6]

დასცინოდნენ დონ კიხოტს, დასცინოდნენ ჩორეხს...

პატივით უსმენდნენ დონ კიხოტს, პატივისცემით ეგებებოდნენ ჩორეხს მეზობლები, მეგობრები.

აზნაური იყო ჩორეხი, "შავი გურანას" ქმარი, მაგრამ უშვილძირო.

იდალგო დონ კოხოტიც უშვილძირო იყო, ცოლი არ შეურთავს.

გ. ლეონიძის ჩორეხი – წანწალოსანი ქვეყნის ეკონომიური ვითარებით შეფიქრიანებული, ძველი ნაშთების გარდა, ხეტიალის დროს ღელეებსა და ხევებში მადნებს ეძებდა, სათუთად ინახავდა ოქრონარევ ქვიშას, მბზინავ რიყის ქვებს... ოცნებით ფრთაშესხმული ერთხელ, ნანახი სიზმრის შემდეგ, უჯარმის ნანგრევებში, ქვემო კოშკის ლიბოში გადააწყდა უცნაურ ქვას... გ. ლეონიძის თქმით, მას ხალხში გაგონილი ჰქონდა, უჯარმის მფლობელი ვახტანგ გორგასალი ხელთ ოქროს ბურთს ათამაშებდაო...

ჩორეხმა ამ ბურთად მიიჩნია ნაპოვნი ქვა, ეგონა: "ქვის ოქროს კრთომა თავისუფლების ღვთის კრთომა იყო"... ჩათვალა, რომ უკვე ეშველა საქართველოს: "ეს ყოველივე მისი ფიცხელი ოცნების ნაგონარი იყო და ჩორეხს ნამდვილად ეგონა, რომ ეს პატარა ქვა სიკეთის უცილოდ ზეგარდმო ნიშანი იყო".

ერთ დროს ქართლოსის ძეგლის ოქროს თავი აიჟინა. წმინდა ნინოს ლოცვით, სეტყვამ არმაზი კი არა, ქართლოსის ოქროს ძეგლი დაამსხვრია, სეტყვისა და ქარიშხლის მერე, მისი ოქროს თავი, გამოქანდაკებული, ხევში ჩაგორებულა და იქ უნდა ვეძიოთო.

ჩორეხი "მისდევდა თავის ოცნებას", სანამ ზირაქ მღვდელზე არ განაწყენდა... მისი მეშვეობით გორგასალის ქვაც, ნივთებიც, ხელნაწერებიც, "რუს ექსარხოსს" ჩაუვარდა ხელში...

ცნება და რეალობა შეეჯახა ერთმანეთს: "ვიდრე "მამულის" გამოხსნის დღე" დადგებოდა, მანამ ზირაქთან კამათში ატარებდა დღეებს. ოცნებით თვალახვეული ჩორეხის წინაშე იდგა "სოფლის ამაოებაში" გართული" სასულიერო პირი, რომელსაც წირვა-ლოცვისთვის არ ეცალა, ვაჭრობდა, საკუთარი ეტლით "დილიჯანით" თბილისში მგზავრები დაჰყავდა, ჩუმად არაყს ხდიდა, ფულს დიდი სარგებლით ასესხებდა, ჰყავდა საყვარლები და მაჭანკლობდა კიდევაც. უიმისოდ სოფელში არანაირი საქმე არ კეთდებოდა. ასეთი ადამიანების გარემოცვაში მცხოვრებმა, გულანთებულმა, მეოცნებე ჩორეხმა, მწარე სინამდვილეს შერკინებულმა, რომელიც ზირაქმა დაასმინა და საპყრობილეში რამდენიმე თვით ჩაასმევინა, მოტეხილმა, მობერებულმა, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულმა სული დალია.

მისი სიკვდილის შემდეგ უკვირდათ: "რას წვალობდა, წანწალობდა ამდენს საწყალი?", "მთელი სიცოცხლე ნანგრევებსა და ხაზინის ძიებაში გაატარა!", "გურანას კი უკვირდა, რომ მისი მეუღლისაგან არავითარი საქმე და დოვლათი არ დარჩა"

ერთ-ერთი ნოველის ბოლოს გ. ლეონიძე ამბობს: "პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულითა და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე."

"ნატვრის ხეში" პოეტური სულითა და დიდი ოცნებით გასხივოსნებული ბევრი ასეთი ადამიანის შთამბეჭდავი სახე გამოძერწა მწერალმა. ისინი მათ მიერვე "შეთხზული უცნაური ოცნებებით იფარავენ თავს მხეცივით შემოტეული სინამდვილისაგან" და ამითღა ებრძვიან და უპირისპირდებიან ცხოვრების სისასტიკეს. რომანტიკული შარავანდედის სინათლით გაბრწყინებული მათი სახეები ღრმად აღიბეჭდა ჩვენს ცხოვრებაში და მათ მიერ ანთებული ოცნების ნაპერწკალი ჩვენი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილად იქცევა."[3]ერთ-ერთი მეოცნებე, კეთილშობილი, ხალხისათვის მზრუნველი პერსონაჟია "ნატვრის ხეში" ბუნბულა, ამავე სახელწოდების ნოველიდან ("ბუნბულა"), მის წინადადებაზე ყველას ეღიმებოდა, ერთმა ვირულმა ბიჭმა შეჰკადრა კიდეც: "ტვინი ამოგიღვარესო?"[1]

ბუნბულას მოწოდება, რომ შეერთებულიყვნენ, ხელმწიფესთან მისულიყვნენ და ეთქვათ: "ომი არ გვინდა-თქო!" მხოლოდ გაკვირვებას იწვევდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ამგვარი მოწოდებით გამვლელ-გამომვლელებს მიმართავდა.

დონ კიხოტური სულისკვეთების ადამიანი ბუნბულა, ერთი მოულოდნელი გაუჩინარებისა და უკან დაბრუნების შემდეგ დარცხვენილი, "ტანისამოსშელახული" უსმენდა მამასახლისს "ვინ მოგცა მთავარმამობა... რომ ხელმწიფის საქმეში ერევიო!" მერე კი სულხანს უყვებოდა, თუ როგორ გასწია მთავარმართებლის სანახავად რათა ეთქვა, რომ ხალხს ომი არ სურდა: "სასახლის კართან – გამომიცვივდნენ, აქ რა გინდა, მუჯლუგუნი მკრეს, ქიმენჯებით გამომაგდეს. არ წავალ, საქვეყნო საქმეზე ვარ მოსული-მეთქი! – წამითაქეს, ახლა ქუჩაში შევჩივლე ნაცნობ თუ უცნობს. ერთს გადავუდექ,

- გაიცინა , მეორემ – შემომაგინა, მესამემ – გიჟიაო! ეს არ მაკმარეს, ახლა პოლიციამ ჩამჭიდა ხელი, ვინა ხარ, ალბათ ჯაშუში იქნებიო, სხვა ხელმწიფის მოსყიდულიო! პოლიციაში წამიყვანეს, ერთი კვირა ცარიელ ფიცრებზე ვიწექი, მშიერ-მწყურვალი!...

ბუნბულა გაკვირვებულია: "რას მერჩოდნენ? ე ხომ საქვეყნო საქმეზე ვიყავი წასული, ქვეყნის სამჯობინარი მინდოდა."

სულხანი ბუნბულას მდუმარედ უსმენს, მერე ღვინოს მიაწვდის, მაგრამ გაკვირვებულს ესმის: "იქ იმოდენა სისხლი იღვრება, მე ღვინოს როგორ დავლევო, სისხლს მაგონებსო."

ავტორის თქმით, ბუნბულა: "იყო კაცი თავმომწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახადა, მერე რისთვის? – კაცობრიობის გულისათვის."

გ. ლეონიძის ნოველაში, "ნიშარძეულის წყალი" ფორე, იგივე ქრისტეფორე თამარიძე, კეთილშობილურ სურვილს მარტო შერჩენია, მას სურს ნიშარძეულის წყალი თავის სოფელში ჩამოიყვანოს, მხოლოდ ორიოდე მეზობელი აქეზებს. არადა, ყველანი მთელი სიცოცხლე ლაზარეს შესთხოვდნენ, სამყოფი წყალი ჰქონოდათ, ებრძოდნენ გვალვას, სიცხეს, მტვერს, მათს ერთადერთ ნუგეშს წვიმა წარმოადგენდა: "სოფელს თვალები ცაზე ყურებით სტკიოდა, შავი ღრუბლის ცვარის მოლოდინში."

ფორემ მთელი ცხოვრება ნიშარძეულის წყალზე ოცნებას შეალია, თანამზრახველი ვერ გამონახა, მალე ომმა კი ყველაფერი შეცვალა. ნიშარძეულის წყლის გამოყვანა უკვე აუხდენელ ოცნებად ეჩვენებოდათ, ყველანი ალმაცერად უყურებდნენ "სოფლისთვის მარტომბრძოლ ფორეს". დრო გადიოდა. უკვე ხნიერმა კიდევ ერთხელ მოუწოდა სოფელს. "ტვინი უფრინავსო, ურგები კაციაო, თითქმის სალექსედ გახადეს."

უცვალებელი ოცნება მაინც ცოცხლობდა ფორეს მკერდქვეშ, "...მარტოდმარტომ ვერ დაიმორჩილა ვერც ჩანჩქერი, ვერც ვერავის გული. ერთი საქმიანი თანამგრძნობელი არ მისცა ბედმა... ერთ ღამეს თვითონაც გადამდნარიყო იმ ოცნებაში!"

დონ კიხოტური სულისკვეთების ადამიანებს ვხვდებით მწერალ რევაზ მიშველაძის ნოველებში: "ქველი", "უფასო პანსიონატი", "დიოგენე", "ვინ დამეძებს".

რ. მიშველაძის შემოქმედების ცენტრში ყოველთვის ადამიანი დგას, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, სქესის, გემოვნების, საქმიანობის, ახალი დონ კიხოტები, ახალი დიოგენები, ახალი წმინდანები და ავაზაკები..."

"ინტელიგენტთა ერთი ნაწილი თუ ფარისეველ-მწიგნობართა კასტაში მოიაზრება, არიან ადამიანებზე, სიკეთეზე ფანატიკურად შეყვარებულები, გენეტიკური კოდებიდან რომ დაჰყვებათ ხოლმე უანგარო კეთილშობილება, ივიწყებენ პირადულს და უკანასკნელ დანაზოგს გასცემენ ხოლმე გაჭირვებულებზე, თანაც ყოველგვარი აფიშირების გარეშე".

რ. მიშველაძის ნოველა "ქველის" პერსონაჟი, გიგა ხაჩიძე, წლობით დაგროვილი დანაზოგის (ხელფასის მონარჩენების), ქველმოქმედების გზით, უღარიბესი, წვრილშვილიანი ოჯახის ერმინე სახამბერიძისთვის გადაცემამ, უანგარო კეთილშობილებამ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. უამრავი გაუგებრობის, გაურკვევლობის, უმადურობის და წყენის მიზეზი გახდა. "კარგი საქმის უანგაროდ კეთების სურვილი რომ არ უჩნდებოდეს ადამიანს, ცხოვრება უფერულ ტრამალს დაემსგავსებოდა და სული ერთფეროვნების ნაცრისფერი ნისლიდან ვერ გამოაღწევდა. ხშირად უნაპირო სიკეთის რეალობად ქცევა სულიერ მოთხოვნილებად ისეთ ადამიანებს ექცევათ, რომელთაც ყველაზე მეტად უჭირთ ეკონომიურად, მაგრამ ამ ამაღლებულ მიზანს უნდობლობის, ეჭვის, დაუჯერებლობის, გულგრილობის სენით დანაღმული ველი აუფასურებს."[3]

ნოველა "უფასო პანსიონატის" პერსონაჟს, მზია სულხანიშვილს, სურს გახსნას უფასო პანსიონატი, ამეცადინოს მოსწავლეები ქართულსა და ინგლისურში, მოძებნოს თანამზრახველები, რომლებიც სხვა საგნებში გაუწევენ მოსწავლეებს დახმარებას, მაგრამ ამაოდ, მისი მონდომება მარცხით მთავრდება, თანამდგომელებს ვერ პოულობს და გულგატეხილი, ბოლოს, შვებას ლოცვებში პოულობს.

ნოველა "დიოგენის" პერსონაჟს, გოგიტა ჩიტაიას, დონ კიხოტური, შეუძლებელი მიზანი დაუსახავს. მას აწუხებს სიყვარულისა და პატივისცემისაგან დაცლილი ურთიერთობები, ავისა და კარგის აღრევა, დამნაშავეთა სამყარო, სიკეთის კვდომა და გადაუწყვეტია "მართალთა ლაშქრის" შექმნა."[4]

“გადავეჩვიეთ ერთმანეთის მოფერებას და პატივისცემას ადამიანები... ძალიან გავუტურამგელდით ერთმანეთს. მთელი ცხოვრება ვასწავლით კაცს ქურდობას და კარგად რომ ისწავლის, სწორედ მაშინ წავუჭერთ ყელში ხელს, ვინ გასწავლა, საიდან შეითვისე ეს მურტალი საქმეო... რაც დრო გადის, უფროდაუფრო ძნელი ხდება ავი კაცის კარგისგან გამიჯვნა.”

რა დახვეწილი მანერებით, რა ანგელოზის ნიღბებით დააბიჯებენ მგლები ცხოვართა შორის... ძალიან ბევრი დამნაშავე ხომ არ დავგროვდით – მეთქი. ხანდახან ვეტყვი ჩემს თავს... ბევრმა დაივიწყა, რომ ერთი ანგარიშის ჩაბარება, სამსჯავროზე ერთი წარდგომა... ერთი განკითხვის დღე – ყველას ელის... წესიერი ხალხი სანთლით საძებარი გახდა. რაკიღა ბრძნული თვალი დაადგა ქვეყანას, მე გადავწყვიტე მართალი ადამიანების ლაშქარი შევქმნა და მათ აღმოსაჩენად ასეთ მუღამს მივაგენი: რაღა ქურდობაზე, სიგლახეზე იყოს, ეწეროს ქაქუჩეთელი კაცი კაი საქმეზე გაზეთში – მეთქი. ასეთი ამოცანა დავუსვი თავს...”

გოგიტა უფრო აზუსტებს თავის მიზანს: კაი კაცის აღმოჩენაზე ვმუშაობ...”[5]

მარადიული მოგზაური – ლამანჩელი იდალგო

ყველა დროის საუკეთესო მწერლად აღიარებული ღატაკი გენიოსისა და ხეიბრის, სერვანტესის, მიერ შექმნილი ლიტერატურული სახე, ლამანჩელი იდალგო, დონ კიხოტი, მოგზაურობას განაგრძობს...

ამბობენ, პოპულარობით ავტორს გადააჭარბაო...

ის ყველა ქვეყნის ხალხთათვის ახლობელია ხასიათის თვისებებით. შორია სერვანტესის ეპოქამდე, მაგრამ „სიშორის სიახლოვე“, სულთა კავშირი, მარადიულად ხიბლავს ყველა იმათ, ვინც ერთხელ მაინც ზიარებია მისი უკვდავი რომანის სტრიქონებს.

„სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად“. /ვაჟა-ფშაველა/

ეროვნული მწერლობის არსებობა შეუძლებელია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან კავშირის გარეშე.

ილია ჭავჭავაძე, პოემა „აჩრდილის“ VII თავში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ხსნის ფორმულას გვთავაზობს, წერს, რომ ქართველი მანამ იქნება უიმედო და შეწუხებული, სანამ მისი ძე: „... არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზე – აღზიდულ, ამაღლებული ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას...“

პოეტის თქმით: „ზოგადი ცხოვრება“, „საზოგადო ცხოვრების დენა“ ანუ კაცობრიობის, მსოფლიო განვითარებისთვის ფეხის აწყობა აუცილებელია, ქართველმა უნდა გაითავისოს ის, რაც პროგრესულია. შეიძლება იგივე ითქვას ლიტერატურულ პროცესებზეც, ილიას პოემიდან, მოცემული ფრაგმენტის ეს ადგილი, თანამედროვებასაც პასუხობს. არაერთ ლიტერატურულო ეპოქას, სტილს, მიმართულებას, მეთოდს, ამა თუ იმ ერის ცალკეული მწერლების შემოქმედებას იცნობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, არაერთი მკვლევრის ყურადღების არეში მოხვედრილა, განუმარტავთ ან შეუფასებიათ ნაწარმოებების მნიშვნელობა.

თანამედროვე ქართველი მწერლის, გურამ დოჩანაშვილის, შემოქმედება ყურადღებას ინტერტექსტუალობით, ნაწარმოებების მეშვეობით სხვა ტექსტებთან კავშირით იპყრობს. მის მოთხრობაში, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, ქართულ მწერლობასთან ერთად, სამხრეთ-ამერიკული პროზაა ნახსენები. მოთხრობა 1973 წელს შეიქმნა. ეს იყო პერიოდი, როდესაც მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ძირითად მიმართულებას თითქმის სამხრეთ-ამერიკული პროზა წარმართავდა, არენაზე ჩნდებოდა პოსტმოდერნიზმი, რომელიც: „ფართო კულტურული მოძრაობაა, რომელშიც უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე მოექცა ფილოსოფია, ესთეტიკა, ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები, როგორც აღნიშნავენ, პოსტმოდერნისტული განწყობილება მოიცავს აღორძინებისა და განმანათლებლობის იდეალებს“. /1,12/ მწერალი გ. დოჩანაშვილი ზემოხსენებულ მოთხრობაში არაერთხელ ახსენებს აღორძინების ეპოქის მსოფლიო ლიტერატურის ბუმბერაზს,

სერვანტესს, მისი თქმით: „... ფიზიკოსები თუ ვერასოდეს შექმნიან „პერპეტუუმ მობილეს“, ლიტერატურამ უკვე შექმნა — ეს სწორედ „დონ კიხოტია“. /2,86/

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობების პერსონაჟები, კონკრეტულად კი, ვასიკო კეჟერაძე /„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“/, დონ კიხოტის არქეტიპია. ამ ორ მოქმედ გმირს, ბევრი საერთო აღმოაჩნდა, რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ თანამედროვე მწერლობაში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან, როცა კონკრეტული მიმდინარეობის გამოყოფა გაძნელდა, პოსტმოდერნიზმმა დაიწყო ახალი ფორმების, იდეების ძიება და ეს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებთან ტექსტების კავშირით შეძლო. იტალიელი მკვლევრისა და პოსტმოდერნისტი მწერლის, უმბერტო ეკოს, თქმით, ყველა ეპოქას თავისი პოსტმოდერნიზმი აქვს. ვფიქრობ, სავსებით სამართლიანია, თუკი შევუდარებთ ერთმანეთისგან დაშორებული ეპოქების პერსონაჟებს, ჩვენს შემთხვევაში, ესპანელი მწერლის, სერვანტესისა და თანამედროვე ქართველი შემოქმედის, გ. დოჩანაშვილისას.

სრული იდენტურობით შეუძლებელია ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ იმდენი საერთო აქვთ ხასიათის თვისებებში, რომ სამართლიანად შეიძლება დონ კიხოტის არქეტიპად ჩავთვალოთ ვასიკო კეჟერაძე.

ორივე მეოცნებეა.

ორივე მოგზაურობს, ერთი — წარმოსახვით, ლიტერატურის მეშვეობით, მეორე კი — რეალურად, როსინანტზე ამხედრებული.

ორივეს ჰყავს თავისი „იდეების“ გამგრძელებელი, დონ კიხოტს სანჩო პანსა, მორჩილი და თავისი „ბატონის“ ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, მეორეს — კლიმი. ორივეს აქვს ბიბლიოთეკა, დონ კიხოტს რეალური, რამაც შთააგონა იბრძოლოს უსამართლობის წინააღმდეგ, ემსახუროს კეთილს, მეორეს — წარმოსახვითი „კარცერი-ლუქსი“, მეოცნებე პერსონაჟს მისი მეშვეობით სურს ადამიანები გახადოს იმაზე უკეთესი, ვიდრე არიან.

ორივე მეოცნებეა. არც ერთს არ ჰყავს ცოლ-შვილი. დონ კიხოტი დულსინეაზე ოცნებებით ცხოვრობს, ვასიკო კეჟერაძე კი სატრფოზე მოგონებებით. ორივე სიკეთის უანგარო მსახურია.

არც დონ კიხოტის საზოგადოებაა მზად, მიიღოს იგი ისეთი, როგორსაც იცნობს, არც ვასიკო კეჟერაძისა. გიჟად თვლიან დონ კიხოტს და ამასთანავე უკვირთ მისი უსაზღვრო განათლება, გიჟად ჩათვალა ვასიკო კეჟერაძეც თამაზმა...

სერვანტესის „დონ კიხოტი“ ესპანეთის XVI საუკუნის რეალისტური სურათის ამსახველი რომანია, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა.

სერვატესის რომანის პოპულარობა მთავარი მოქმედი გმირის საკაცობრიო იდეალებისთვის ბრძოლითაა განპირობებული. მის სახეში ყველა ქვეყანამ დაინახა ის საყოველთაო პრობლემები, რაც, მეტნაკლებად, ახასიათებდა ერთმანეთისაგან რწმენით, ტერიტორიით, ენით, მისწრაფებით დაშორებულ ადამიანებს: „... სერვანტესის აზრით, ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება მისი წარმოშობის წარჩინებულება კი არ არის, არამედ მისწრაფებათა და საქმეთა კეთილშობილება“. /3,17/

მკითხველები ერთხმად აღიარებენ, რომ ესპანური დ მსოფლიო ლიტერატურის ამ ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნიმუშში ფილოსოფიურად, იუმორისტულად, სატირულადაა გადმოცემული აზრები ცხოვრებაზე. დონ კიხოტს პოეზიას უდარებენ, სანჩო პანსას — ცხოვრებისეულ პროზას.

ნაწარმოებში 650-მდე პერსონაჟია. გამოცემის რაოდენობის მიხედვით კი ის მეორეა ბიბლიის შემდეგ.

<u>რას ამბობენ დონ კიხოტზე?</u> ის რაინდული რომანების კითხვისგან გონებადაბინდული ადამიანი და უსამართლობისა, ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი რაინდია.

<u>დონკიხოტობა</u> განუხორციელებელ იდეალებზე ოცნებები და ღირსეული ქმედებებია, რომლებიც დამარცხებისთვისაა განწირული.

<u>ქარის წისქვილებთან ბრძოლა</u> — არარეალურ მოწინააღმდეგეებთან კონფლიქტის სიმბოლოა...

ინტერნეტსივრცეში, ვებგვერდზე (ჩონსულატე-გეორგიე.ორგ), მოთავსებულია სტატია: „ნობელის კომიტეტი: „დონ კიხოტი“ — ყველა ხალხისა და ყველა დროის საუკეთესო წიგნი“... რომელიც ინტერესით იკითხება. მსურს ზოგიერთი დეტალი გადმოვცე ჩვენი ჟურნალის მკითხველთათვის, შემოკლებით. მასში ვკითხულობთ: „გამოჩენილი პოლონელი პოეტი, ფილოსოფოსი და მწერალი — სატირიკოსი სტანისლავ

ეჟი ლეცი ამბობდა: „ნებისმიერ უბადრუკს, რომელიც ვენტილატორს ებრძვის, თავი დონ კიხოტი ჰქონია“... ამ ფრაზით ჩანს, რომ, „დონ კიხოტი“, როგორც მოვლენა, როგორც ადამიანთა ქცევის ფორმა, არა სიგიჟესთან, არა რაინდული რომანების კითხვისაგან გონებადაბინდული კაცის ახირებასთან, არამედ კეთილშობილებასთან და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასთან ასოცირდება...“ (ჩონსულატე-გეორგიე.ორგ, 4)

აქვე ვკითხულობთ, რომ არამარტო დონ კიხოტი, არამედ როსინანტიც კი იქცაო სინონიმად, 2002 წელს, ნობელის კომიტეტს მსოფლიოს 54 ქვეყნის 100 გამოჩენილ მწერლისგან შექმნილი ჟიური ჩამოუყალიბებია, რომელსაც მარტივ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი: „რომელია მსოფლიოს ყველა ხალხისა და ყველა დროის საუკეთესო წიგნი?“ თურმე „დონ კიხოტმა“ გაიმარჯვა.

სტატიის შემქმნელი იხსენებს დონ კიხოტის I წიგნში „მწუხარე სახის რაინდის“ ნათქვამ სიტყვებს: „ნეტა იმ დროსა და იმ საუკუნეს, როცა საქვეყნოდ ცნობილი გახდება ჩემი გმირული ღვაწლი, ღირსი იმისა, რომ მომავალ თაობათა სახსოვრად ბრინჯაოში ჩამოასხან, მარმარილოში გამოკვეთონ და ტილოზე გადაიტანონო!“ აქვე ვკითხულობთ, რომ სერვანტესი არ შემცდარა და ეს იწინასწარმეტყველა, რადგან არც ერთი ლიტერატურული თუ მითოლოგიური წყაროს არც ერთ პერსონაჟს არ „დაუსაქმებია“ იმდენი ფერმწერი, მოქანდაკე, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი, რეჟისორი, მსახიობი თუ არქიტექტორი, რამდენიც დონ კიხოტს, სანჩო პანსას, როსინანტსა და სახედარს.

თურმე, ყველა დროის უდიდესმა მხატვარ-ილუსტრატორად მიჩნეულმა გუსტავ დორემ 300-ზე მეტი ბრწყინვალე ილუსტრაცია შექმნა, ის უკვდავყვეს ფრანცისკო გოიამ, სალვადორ დალიმ, პაბლო პიკასომ... შეიქმნა მინკუსის ბალეტი „დონ კიხოტი“, არსებობს უამრავი მიუზიკლი, სპექტაკლი, კინო და ტელეკრანიზაცია, ქანდაკებები... ქვის, ბრინჯაოსა და სხვა მასალისგან შექმნილი ფიგურები.

2002 წელს, ქალაქ სიუდად-რეალში დონ კიხოტის მუზეუმი გაიხსნა. ის უკვდავი პერსონაჟის მშობლიური მხარის, ლამანჩის, შუაგულში მდებარეობს.

ერთი მუზეუმიც ტობოსოში, დულსინეას ქალაქშია (აქ სოფელი იყო). ამბობენ, რომ ეს მუზეუმი ხელისუფალთა მადლობაა დულსინეასადმი, მან ქალაქი დანგრევას გადაარჩინა, როდესაც ნაპოლეონის არმია ესპანეთში შეიჭრა, ერთ-ერთ იერიშის დროს ფრანგ გენერალ დიუპონს მოახსენეს, რომ მათ წინ დონ კიხოტის სატრფოს მშობლიური დაბა იყო. გენერალმა არ ისურვა, რომ ისტორიაში ასე შესულიყო და, თურმე, საარტილერიო შეტევა გააუქმა.

დონ კიხოტზე დაუსრულებლად შეიძლება წერო და ისაუბრო...

ლამანჩელი იდალგო ყველა დროის მარადიული მოგზაური და სტრიქონებიდან ხალხში, ცოცხალ ლეგენდად გადმოსული, მოარული რაინდია, რომელიც სიკეთეს, დიად ოცნებებსა და ტკივილებს დაატარებს სამყაროში...

მედიცინა

ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ხეთერელების ბუნებრივი სამკურნალწამლო საშუალებები

დარეგისტრირებულია საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროში, როგორც პარასამკურნალო პრეპარატები (00256-8-8). დაპატენტებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დეპარტამენტში (P-267-8-9). სასაქონლო ნიშანი დაპატენტებულია სამ ენაზე: ქართულად, რუსულად, ლათინურად. გამოკველული და აპრობირებულია პროგრესულ სამედიცინო კლინიკებში. გამოგონებები დაჯილდოებულია მთავრობის მიერ. სერთიფიცირებულ კაბინეტ "ქსენონში" კეთდება სახის ბუნებრივი ნიღბები მწვანე, ცისფერი და ლურჯი ქართული თიხებით.

ბუნებრივი დამამშვიდებელი ბალზამი

ფარმაკოლოგიური თვისებები: სედატიური, სპაზმოლიტური.
გამოყენება: ნევროზები, უძილობა, შფოთი, წინაკლიმაქსურ და კლიმაქსურ პერიოდში, ჭირვეულობა — ბავშვებში და გარდატეხის ასაკში. სახეს უნარჩუნებს მშვიდ გამომეტყველებას.
შემადგენლობა: სვიის გირჩები, კატაბალახას ძირები, თავშავა, შავბალახა, ნატურალური თაფლი.
უკუჩვენება: გამოვლენილი არ არის.

მიღების წესი და დოზირება: ბავშვებისათვის დღეში 3-ჯერ, თითო ჩ.კ. დიდებისათვის დღეში 3-ჯერ, თითო ს.კ.
ტელ: 232 54 43; 599 32 54 43 – "ქსენონი"

უნივერსალური სამკურნალო თიხათა კომპოზიცია "ნაილენოლი"

სამკურნალო თიხათა კომპოზიცია "ნაილენოლი" აღადგენს, აჯანსაღებს და აძლიერებს ორგანიზმს. ის ასუფთავებს, კურნავს, იცავს და აახალგაზრდავებს სახის კანს.

გამოყენების წესი: - ოჯახურ პირობებში მზადდება წყალ-მინერალური ხსნარი: 2 ლიტრ გადადუღებულ ცივ წყალში, რომელიმე მცენარეულ ნაყენში ან მინერალურ წყალში, მინის ჭურჭელში ჩაყრიან 8 ს.კ. თიხათა კომპოზიციურ ფხვნილს. აამღვრევენ ხის კოვზით. დალექვის შემდეგ გადაწურავენ ნალექამდე. მიიღება დღეში 200 მლ-დან 2 ლიტრამდე. გამოიყენება ყოველგვარი დაავადებების დროს. სახეზე იკეთებენ ნიღბებს კვირაში 2-ჯერ.

ხეთერელის მალამო
/Inguentum Chetereli/

ჩვენებები: ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებანი: ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, იშიასი, საჯდომი ნერვის ანთება, ნაღრძობი, პოდაგრა, დაჟეჟილობა, კუნთის სპაზმი, სასუნთქი გზების ანთებები, ასაკობრივი ქავილი, ლორწოვანი გარსების მწვავე და ქრონიკული ჩირქოვანი ანთებები, დიაბეტური და ტროფიკული წყლულები, დამწვრობა.

სახის კანის მოსავლელად ეფექტურია როგორც მკვებავი.

გამოყენება: ყოველგვარი მკურნალობის დაწყების წინ, ჯერ შეიზილება მთლიანი ხერხემალი, ცხვირის, პირის, ჭიპის ღრუები და საზარდულები, შემდეგ დაიტანება კანის დაზიანებულ უბანზე ბუნებრივი ქსოვილის საფენით. იცვლიან დღეში 3-5-ჯერ.

წყლულოვანი კოლიტების, ბუასილის, პროსტატის, გინეკოლოგიური ანთებების დროს, გამდნარი, თბილი მალამო შეჰყავთ სწორი ნაწლავიდან 10-10 მლ. დღეში 3-5-ჯერ მიკროოყნით (შესაძლებელია უნემსო 10 გრამიანი შპრიცის ბუნიკზე დაეცოს ბავშვის რეზინის გაზგამყვანი მილი 3 სმ). სასურველია ამავდროულად საფენები სწორ ნაწლავზე ან საშოში. გრიპის ან სხვა ვირუსული დაავადებების თავიდან ასაცილებლად, ცხვირისა და პირის ღრუებში რეგულარულად იზელენ მალამოს.

უკუჩვენებები: გამოვლენილი არ არის.

გვერდითი მოვლენები: შეკრულობისადმი მიდრეკილები მკურნალობის პროცესში მიიღებენ საჭირო მცენარეულ ნაყენს. მაგ. თავშავა, ხეჭრელი და სხვ.

ინახება – გრილ ადგილას 3 წელი.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპ. 31, სართული I, ბინა-40. ვაჟა-ფშაველას მეტროს (დელისის შემდეგი M) მარჯვნივ "ჯი-პი-სის" აფთიაქთან შესახვევი (ძეგლამდე 150 მ-ში). მიღება ყოველ დღე 12^{00}-დან 17^{00}-სთ-მდე. შაბათ-კვირას წინასწარი დარეკვით. 232 54 43; 599 32 54 43. ნაილი—მარიამ ხეთერელი. კოსმეტიკური კაბონეტი "ქსენონი".

მალამოს და სამკურნალო თიხათა კომპოზიციის შეძენა შეიძლება აგრეთვე:

თბილისში: წმინდა სამების საკათედრო ტაძარში (ავლაბარი), ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში (დიდუბე), წმინდა სამების ტაძარში (ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი), წმ.ბარბარეს ტაძარში და მის წინ მდებარე საეკლესიო მაღაზიაში(ვაჟა-ფშაველას გამზ. 67). სიონის ტაძრის წინ მდებარე მაღაზიებში —

“სიონში” ლესელიძის ქ. 30. ბახტრიონის ქ. 8, “ანჩისხატის” ტაძარში, საქართველოს საპატრიარქოს საბითუმო საწყობში.

ქუთაისში: წმინდა გიორგისა და წმ. სამების ტაძრებში (ავანგარდის დასახლება).

ხეთერელის მალამო სახსრებისათვის – თხევადი – (Lininentum) (Rectal)

ფარმაკოლოგიური თვისებები: ანალგეზური, ანთების საწინააღმდეგო, იმუნური სისტემის და რეგენერაციის გამაძლიერებელი.

შემადგენლობა: უნივერსალური სამკურნალო თიხათა კომპოზიცია ”ნაილენოლი”, სამკურნალო მცენარეთა ზეთები და გამონაწვლილები: ბრტყელეკალა – Татарник колючий – Onopordum acanthium oleum, აბზინდა – Полынь горькая – Artemisia absinthium, ცხოველური ცხიმები – Говяжий жир – Oleum Bubulus.

ჩვენებები: კოქსართროზი (I-II ხარისხი), გონართროზი, ართრიტები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, მენისკი, პოდაგრები, ნაღრძობი, მოტეხილობის შემდგომი რეაბილიტაცია. აქვს სახის კანის გამაჯანსაღებელი ეფექტი.

უკუჩვენებები: გამოვლენილი არ არის.

გამოყენების წესი და დოზირება:

I-რექტალური: თხევადი მალამო შეიყვანება სწორი ნაწლავიდან 10-10 მლ. სახსრების ძლიერი ტკივილისას დოზის გაზრდა დასაშვებია დღეში 4-6-ჯერაც.

გვერდითი მოვლენები: იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა ტკივილის მცირე ხნით გამწვავება, რომელიც მალე გაივლის.

ხეთერელის მალამო სახსრებისათვის – თხევადი – (Lininentum) (Rectal)

ფარმაკოლოგიური თვისებები: ანალგეზური, ანთების საწინააღმდეგო, იმუნური სისტემის და რეგენერაციის გამაძლიერებელი.

შემადგენლობა: უნივერსალური სამკურნალო თიხათა კომპოზიცია ”ნაილენოლი”, სამკურნალო მცენარეთა ზეთები და გამონაწვლილები: ბრტყელეკალა – Татарник колючий – Onopordum acanthium oleum, აბზინდა – Полынь горькая – Artemisia absinthium, ცხოველური ცხიმები – Говяжий жир – Oleum Bubulus.

ჩვენებები: კოქსართროზი (I-II ხარისხი), გონართროზი, ართრიტები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, მენისკი, პოდაგრები, ნაღრძობი, მოტეხილობის შემდგომი რეაბილიტაცია. აქვს სახის კანის გამაჯანსაღებელი ეფექტი.

უკუჩვენებები: გამოვლენილი არ არის.

გამოყენების წესი და დოზირება:

I-რექტალური: თხევადი მალამო შეიყვანება სწორი ნაწლავიდან 10-10 მლ. სახსრების ძლიერი ტკივილისას დოზის გაზრდა დასაშვებია დღეში 4-6-ჯერაც.

გვერდითი მოვლენები: იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა ტკივილის მცირე ხნით გამწვავება, რომელიც მალე გაივლის.



საფენები: გამზადებულ, ნატურალურ-მინერალური თიხა “ნაილენოლის” კომბინირებულ (მრავალკომპონენტურ) საფენებს (კოკრებს) იდებენ მტკივნეულ უბანზე, დააფენენ პოლიეთილენს და შეიხვევენ. იცვლიან 8 ან 12 სთ-ში ერთხელ.

თხევადი მალამოს და მინერალური საფენების შეძენა: — “ქსენონი” – 232 54 43; 599 32 54 43

მკურნალობის ერთი კურსი 20-25 დღე. იმეორებენ წელიწადში რამდენჯერმე.

ავტორის რეკომენდაცია: თხევადი მალამოს (რექტალური) კარგი ეფექტი აქვს აგრეთვე კუჭნაწლავის, გინეკოლოგიური და შარდსასქესო სისტემის მკურნალობაშიც.

ნაილი-მარიამ ხეთერელი: ქ. თბილისი. 380068. ტელ: 232 54 43; მობ. 599 32 54 43
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, II კვ. 31 კორპ. IV სად. ბ.40.

დაბადების ადგილი და თარიღი: საქართველოს რესპუბლიკა. საჩხერე, 1948 წ. I მაისი.
პროფესია: პედაგოგი, ხალხური მეთოდებით მკურნალი.
ეროვნება: ქართველი.
სოციალური მდგომარეობა: ქმარშვილიანი.
სწავლა:

1. სკოლა — საჩხერე 1957-67
2. ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი 173968. რეგისტრაციის 01/433
3. მოსკოვის ხალხური მედიცინის ცენტრი. დიპლომის 259, რეგისტრაციის 158.

გამოგონებები:

1. მალამო "ხეთერელი" – პატენტის P_{269} და თხევადი მალამო სახსრებისათვის.
2. დამამშვიდებელი ბალზამი "სპაზმოფილინი" – პატენტი P_{26}.
3. გულის სამკურნალო სიროფი "ქართული ფლორა" (კარდიომარი).
4. სამკურნალო თიხების კომპოზიცია "ნაილენოლი" – პატენტი P352.
5. ცხოველურ ბეწვზე დამზადებული სამკურნალო დამათბუნებელი აქსესუარები. **კოქსართროზის სამკურნალო გადასახვევი აქსესუარი.**

მეცნიერული შრომები:

1. წიგნი "მორწმუნე მეწამლეობა" – სალბუნი სნეულთათვის – 1988 – "სარკმელი საქართველოსი".
2. პრაქტიკული სახელმძღვანელო "პროსტატის მკურნალობა ბუნებრივი მეთოდებით", 1999 წ.
3. ფიტოთერაპია და რელიგიის საკითხები – 2000 წ.
4. ხეთერელის მალამოს შეყვანა ორგანიზმში ფინოფორეზის მეთოდით, 2003 წ.
5. კლასიკური მედიცინისა და ტრადიციული მედიცინის ურთიერთკავშირი, კონფერენცია – კურატორი, 2004 წ.
6. ქართული სამკურნალო თიხების კომპოზიცია "ნაილენოლი", წიგნი, 2008 წ.

საქმიანობა:

1. ქუთაისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი – უცხო ენების კათედრა — პედაგოგი, 1973-1995 წ.
2. სპეციალიზირებული გერმანული სკოლა, 1985-1996 წ.
3. გელათის სასულიერო აკადემია – პედაგოგი – 1992-1996 წ.
4. სატაძრო მედიცინის ცენტრი – ხელმძღვანელი – 1990-1996 წ.
5. საქართველოს საპატრიარქო – სამონასტრო მედიცინის აღდგენის განყოფილების გამგე, 1996-2005 წ.
6. ფიტოთერაპიული კლინიკა – ხალხური მეთოდებით მკურნალი – 2000-2005 წ.
7. საქართველოს საპატრიარქო – სამედიცინო კაბინეტი, ხალხური მეთოდებით მკურნალი, 1996 წლიდან დღემდე.

ისტორია

ვახტანგ თორაძე

საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის როლი რუსეთის ეკლესიის ისტორიის და კულტურის განვითარების საქმეში

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაუღეთ მკერდი და მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დაუდგით ქრისტიანობის საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისადა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს-სამართლიანის თავმოწონებას ვეძახით.”

წმინდა ილია მართალი

ცოტა თუ არსებობს ქვეყანაზე ერი, რომელსაც ისეთი მრავალფეროვანი და მდიდრული წარსული ქონდეს როგორიც ქართველ ხალხს. თუმცა ჯერ არ გვიკავია სათანადო ადგილი მსოფლიო ხალხთა ისტორიაში, ეს ალბათ საერთო ხვედრია პატარა ერებისა.

ქრისტეს სჯულმა და ქართულმა ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ სხვა ქრისტიანული ერების სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარების საქმეში. მან უდიდესი სამსახური გაუწია არა მარტო ქართველ ერს, არამედ ქრისტიანული სამყაროს სხვა ეკლესიებს.

ქართულმა ეკლესიამ პირველყოფილ სიწმინდითა და უმანკოებით შემოინახა მართმადიდებლური მრწამსი, რამეთუ იგი არასოდეს არ ყოფილა ამღვრეული ყალბი გოქტრინებით, მწვალებლობითა და სქიზმებით.

ქართველი ღვთისმსახური ბერები უარს ამბობდნენ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე. ისინი შორს იყვნენ ხმაურიანი და მაცდუნებელი სამყაროსაგან და მთელ ცხოვრებას სწირავდნენ საღმრთო კანონიკურ მსახურებას, იძლეოდნენ ქრისტიანული ღმერთისმოსაობის მაგალითს, ქმნიდნენ ორიგინალურ შრომებს, თარგმნიდნენ და ავრცელებდნენ კლასიკურ ქრისტიანულ-მეცნიერულ ნაშრომებს, მათ შემოგვინახეს და გადაარჩინეს მრავალი ძველი სვინაქხარი, უძველესი დოკუმენტები და უძველესი უნიკალური წმინდა ნივთები.

ქართულმა ეკლესიამ შეძლო შეენარჩუნებინა მრავალი ისეთი ნაშრომი, რომელიც თარგმნილი იყო ბერძნული ლიტერატურიდან და რომლის დედანებიც დაკარგულია მსოფლიო თეოლოგიური მეცნიერებისათვის.

საქართველოდან გატანილი უამრავი ძვირფასი ხელნაწერი თუ სხვადასხვა საეკლესიო ნივთები, ანცვიფრებენ მსოფლიოს მეცნიერებს მასალის სიმდიდრით და მრავალფეროვნებით. სტილის სილამაზით და ნაწერის კალიგრაფიული დახვეწილობით.

ქართველ ღვთისმსახურთა საგანმანათლებლო-მისიონერული მოღვაწეობა ნათელს ჰფენდა კავკასიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ხალხებს: ოსებს, ლეკებს, ჩეჩნებს და სხვა. მისი არეალი ცდებოდა კავკასიის ფარგლებს. ამის ნათელი დადასტურებაა ათონის, სინას მთის და პალესტინაში მდებარე ქართული ეკლესია-მონასტრები. ქართველს სამღვდლო პირმა ანთმოზ ივერიელმა შეუქმნა რუმინელებს ანბანი.

ქართულმა მართმადიდებლურმა ეკლესიამ საქრისტიანო მსოფლიოს მისცა ისეთი დიდი თეოლოგები, ფოლოსოფოსები, ისტორიკოსები და მჭერმეტყველი მისიონერები როგორებიც იყვნენ: პეტრე იბერი ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე-ზოსიმე, ილია მართალი და სხვები.

ქართულმა ეკლესიამ უზარმაზარი როლი ითამაშა რუსეთის ეკლესიის ისტორიის და კულტურის განვითარების საქმეში.

XIX საკუნის დასაწყისში მოსკოვის უნივერსიტეტში, რუსთა წინაპრების შესახებ წარმოიშვა ახალი ვერსია, რომლის მიხედვით რუსები თურმე მიეკუთვნებოდნენ შავიზღვისპირში მცხოვრებ თავრიდული ტიპის განსაკუთრებულ ხალხებს, რომელთა წინაპრები ყოფილან უძველესი ქართული ტომები ლაზები. ამ რიგით მესამე ისტორიულ სკოლას სათავეში ედგა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი ს.ა.ჩებატარიოვი (1774-1811წწ.) აღნიშნული ვერსია აღებულია მ.ა. მაქსიმოვიჩის რჩეული თხზულებებიდან; ტომი I, გვ.40; 1876წ.

ბუნებრივია ისმება კითხვა რაში დასჭირდათ რუსებს ლაზები გამოეცხადებინათ თავიანთ წინაპრებად?

ამას ქონდა ორი მიზანი.

პირველი დაესაბუთებინად რომ ისინი ერთ-ერთი უძველესი ერია მსოფლიოში და მეორე – იმისთვის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკლესიამ მიიღოს ავტოკეფალიობა, აუცილეველია ამ ქვეყანაში ნაყოფი იყოს ქრისტეს მოწაფეთაგან ან მოწაფეთა სწორისაგან ერთ-ერთი მათგანი. რომლებიც მოღვაწეობდნენ ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში, რა თქმა უნდა ვერც ერთი მათგანი ვერ აღმოჩნდებოდა რუსეთში, იმ მიზეზის გამო, რომ დროის ამ მონაკვეთში რუსეთის სახელმწიფო არ არსებობდა, ხოლო კიევის რუსეთს საფუძველი ჩაეყარა ჩვენი წელთაღრიცხვით VI საუკუნეში.

გარდა ავტოკეფალიობისა რუსეთს უნდოდა სათანადო ადგილი დაეკავებინა მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიათა დიპტიხში. სადაც ადგილების განაწილება ხდებოდა სიძველეების მიხედვით. და მან მართლაც XVI საუკუნის ბოლოს როდესაც მიიღო ავტოკეფალიობა მსოფლიო დიპტიხში დაიკავა V ადგილი. ამჟამად მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიათა განლაგება ასე გამოიყურება:

მსოფლიო საპატრიარქო

1. კონსტანტინეპოლის
2. ალექსანდრიის
3. ანტიოქიის
4. იერუსალიმის
5. რუსეთის
6. საქართველოს და ა.შ.

თუ რა როლი ითამაშა საქართველოს მართმადიდებლურმა ეკლესიამ რუსეთის ეკლესიის და საერთოდ რუსეთის კულტურის განვითარების საქმეში ამას სათანადო პასუხი გასცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კირიონ III საძაგლიშვილმა (იმ დროისთვის ეპისკოპოსმა) თავის ნაშრომში „ივერიის კულტურის როლი რუსეთის ისტორიაში" რომელიც 1910 წელს გამოვიდა.

ჩვენ მთლიანად არ შეუდგებით ამ ნაშრომის განხილვას და შევეხებით ზოგიერთ საკვანძო საკითხებს, რამეთუ დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია წაიკითხოს იგი.

კირიონი ერთმანეთს ადარებს „ქართლის ცხოვრებას" და სხვა ქართულ ისტორიულ წყაროებს რუსულ მატიანეს „მოთხრობა წარსულ წლებზე," თუ რა გამოდის აქედან მკითხველმა თავად განსაჯოს იგი.

ჩვენ არ შევუდგებით იმის აღნუსხვას თუ რამდენი ქართული სიტყვა ან ტერმინი აქვთ გამოყენებული რუსებს ქართული მეტყველებიდან, მაგრამ კირიონის ნაშრომიდან, სათანადო ანალიზის გაკეთების საფუძველზე ჩანს, რომ ისინი საკმაოდ ბევრი ყოფილა.

რუს ჟამთააღმწერელს თავის ნაშრომში „მოთხრობა წარსულ წლებზე" უამრავი ფაქტი და მასალა აუღია მატიანე „ქართლის ცხოვრებიდან". „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ჩვენს წინაპრებს ქრისტიანობის მიღებამდე ექვსი კერპი ყოლიათ: აინანა, დანანა, გაცი, გაიმი, ზადენი და არმაზი. აქედან არმაზი ქართველ კერპთაყვანისმცემელთა პანთეონის მთავარი კერპია. იგი იყო სპილენძისაგან ნაკეთები, ოქროს სამოსელით და ოქროსვე მუზარადი, ესხდნენ თვალნი ძვირფასი ქვებისაგან, ხელთ ეპყრა მოელვარე ხმალი მის წინ ენთო ცეცხლი და სწირავდნენ ბავშვებს.

რუსი ჟამთააღმწერლებიც მოგვითხრობენ ექვს კერპზე, რომელიც აღმართა ვლადიმირმა კიევის ბორცვებზე. ესენი იყვნენ: დაჟბოგი, სტრაბოგი, სიმაგალა, ხირსო, მოკოში და პერუნი. აქედან მთავარი ღმერთი იყო პერუნი, რომელიც არმაზის კერპის მსგავსადაა გაკეთებული ოდნავი განსხვავებით. ანალოგიურად ანთია ცეცხლი პერუნის წინ და მასაც სწირადენ ბავშვებს.

არმაზში კერპთა განადგურების შემდეგ მცხეთელი ებრაელი მღვდელი აბითარი, შეიპყრეს ებრაელებმა ქრისტეს რწმენისათვის და გადაწყვიტეს მისი ჩაქოლვა, მაგრამ მეფე მირიანმა არ მისცა ამისი ნება მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება". ანალოგი ზუსტად მეორდება რუსულ მატიანეში „მოთხრობა წარსულ წლებზე." ვარიაგებმა შეიპყრეს ქრისტიანი მღვდელი თევდორე და გადაწყვიტეს მისი მოკვლა. დიდმა მთავარმა ვლადიმირმა იხსნა იგი. მირიანი საკმაო ხანს ყოყმანობს მიიღოს თუ არა ქრისტეს სჯული. ანალოგიურად ყოყმანობს ვლადიმირი.

რაც შეეხება ქრისტიანობის მიღების საბოლოო გადაწყვეტილებას, ეს მას შემდეგ მოხდა რაც ნადირობისას შეემთხვა მირიანს თხოთის მთაზე. რუს ჟამთააღმწერელს ეს პროცესი შეუცვლია, ვლადიმირის ავადმყოფობის შედეგად თვალთა ხედვა დაუკარგავს. მას მხოლოდ, მას შემდეგ დაბრუნებია თვალისჩინი, როგორც კი კორსუნის ეპისკოპოსს ქრისტეს სჯულზე მოუნათლავს.

როგორც ცნობილია წმინდა ნინოს მიერ არმაზის კერპების მსხვრევა მოხდა 6 აგვისტოს, არმაზის დღესასწაულის დღეს. რუს ჟამთააღმწერელ-კომპილატორს ეს მონათხრობი მოსწონებია, მაგრამ ის ვეღარ გაუბედია დაეწერა, რომ თითქოს რომელიმე მოციქულთა სწეორს ეს კერპები გაუნადგურებია. ამიტომ თხზავს ლეგენადს, თითქოს ვლადიმირს მტრებზე გამარჯვების შემდეგ სწორედ 6 აგვისტოს კერპი პერუნი აუღებინებია და მის ადგილზე ეკლესია აუგია.

მეფე მირიანი ცოლად თხოულობს ბერძენი ულატორის ასულს ნანას, ვლადიმირი ასევე ცოლად ირთავს ბერძენთა იმპერატორის ასულს ანას. რაც შეეხება ქრისტიანად მირიანისა და ქართველის ერი განათვლის პროცესს, რუსი ჟამთააღმწერელი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ამ ფაქტს.

გადაწყვიტა რა მიეღო ქრისტიანობა მირიან მეფემ ბრძანება გაუგზავნა ერისმთავრებს და ჯარის სარდლებს გამოცხადებულიყვნენ მასთან. ბრძანება შესრულდა. პირველად მეფის ოჯახი მოინათლა, შემდეგ ელიტარული ფენა, რაც შეეხება ხალხს ისინი მტკვარში ჩაიყვანეს და განათლეს. ანალოგიურად განმეორდა კიევის რუსეთში. 988 წელს რუსები დნეპრში ჩარეკეს და განათლეს.

მეფე მირიანმა ქართლის მაშინდელ დედაქალაქ მცხეთაში ააგო ორი ეკლესია – სვეტიცხოველი და სამთავრო. ანალოგიურად აშენებს ვლადიმირი კიევში ორ ტაძარს ვასილ – ნეტარისას და ღვთისმშობლისას. სამთავროში იმარხება მეფე მირიანი, ღვთისმშობლის ტაძარში კი ვლადიმირი.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ მეფერ მირიანი კონსტანტინე დიდთან და დედოფალ ელენესთან აგზავნის ელჩებს თხოულობს მღვდელმთავრებს და ეკლესიათა მშენებლებს. ანალოგიურად იქცევა

ვლადიმირი. იგი აგზავნის ბიზანტიის იმდროინდელ იმპერატორთან ელჩებს, თხოულობს ეკლესიის მშენებლებს და მღვდელმთავრებს.

პირველი ნაციონალურ-საეკლესიო დღესასწაული ახლადგაქრისტიანებულმა ქართველმა ერმა დააწესა 1 ოქტომბერს – ეს იყო სვეტიცხოვლობა. ასევე დაწესდა უსეთში პირველი ნაციონალური დღესასწაული 1 ოქტომბერს პირველად აგებულ ტაძრის სახელზე.

დავით აღმაშენებელმა 1103 წელს მოიწვია რუის-ურბნისის კრება რომელმაც მიიღო ძეგლის წერის კანონთა კრებული. ბაძავს რა ქართლის ცხოვრებას რუსი ჟამთააღმწერელი ანიშნავს, რომ 1103 წელს შეიკრიბნენ ლუბეჩში რუსი მთავრები და გადაწყვიტეს ერთობლივი ძალით ებრძოლად გარეშე მტრის წინააღმდეგ.

ქართველი თავდადებული მღვდელის თევდორეს ანალოგია ივანე სუსანინი და ა.შ.

რუსულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია აზრი, რომ მოთხრობა „წარსულ წლებზე" დაწერილია ბიზანტიური სტილის მიხედვით, მაგრამ დღემდე, მიუხედავად დიდი კვლევა-ძიებისა ბიზანტიურ დამწერლობით ძეგლებში რუსმა ისტორიკოსებმა ის ანალოგი ვერ ნახეს, რომლითაც თითქოს ესარგებლოს რუს ჟამთააღმწერელს. მიუხედავად იმისა, რომ რუს ჟამთააღმწერელს, (კომპილატორ-პლაგიატს), უმთავრესი ქრისტიანული მოვლენა-რიტუალები აღებული აქვს მატიანე „ქართლის ცხოვრებიდან" ერთი სიტყვითაც არსად არ იხსენიებს ამ წყაროს, თითქოს იგი საერთოდ არ არსებულიყოს და არც იცნობდეს მას. ეხებოდა რა ნაშრობს მოთხრობებს წარსულ წლებზე" პროფესორი მ. კანჩენოვსკი აღნიშნავდა: „დადგება დრო როცა გაიფანტება ეს ბურუსი და დავდგებით საოცარი სიმართლის წინაშე".

მისი წინასწარი მეტყველება გამართლდა – აღნიშნავდა ეპისკოპოსი კირიონი, ბურუსი გაიფანტა და ეს საოცრება „ქართლის ცხოვრება" აღმოჩნდა.

რუს მეცნიერებს ამ პერიოდში და საერთოდ ნაკლებად აინტერესებდათ საქართველოს ეკლესიის ისტორია, მისი მდიდარი მემკვიდრეობა და ეს გასაგებიცაა. ჩვენი ეკლესიის ისტორიის მათ მიერ ღრმად გაშუქება გამოავლენდა იმ უდიდეს როლს რაც ასე მცირე ერის ქრისტიანულმა წარსულმა ითამაშა რუსეთის ეკლესიის ისტორიის განვითარების საქმეში.

მატიანე „ქართლის ცხოვრებიდან" უხვად სარგებლობდნენ სომხები. ანალოგიურად რუსებისა ისინი წყაროს არსად არ მიუთითებენ. აზიური საზოგადოების წევრმა, დიდმა გერმანელმა ისტორიკოს-არქეოლოგმა შულცმა დეტალურად შეისწავლა საქართველოს ისტორია. 1830 წელს მან იმოგზაურა კავკასიაში და შეიძინა ქრონიკა სომხურ ენაზე, რომელიც მოიცავდა 1201-1755 წლებს. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ქრონიკა იყო „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ვარიანტი სომხურად ნათარგმნი. ეს ქრონიკა აღმოაჩინა პლატონ იოსელიანმა არქიეპისკოპოს კარაპეტის ნაწარმოებში.

1900 წლის დასაწყისი საქართველოს საეკლესიო მუზეუმის კომიტეტმა და ქართველმა ეპისკოპოსებმა, თხოვნით მიმართეს საქართველოს ეგზარქოსს ფლავიანეს ეშუამდგომლა რუსეთის წმინდა სინოდის წინაშე. სანქტ-პეტერბურგის და რუსეთის სხვა სასულიერო აკადემიებში გაეხსნათ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი დამოუკიდებელი კათედრა. თხოვნა. სათანადო დოკუმენტაცია, საქართველოს საეგზარქოსოს შუამდგომლობით გაეგზავნა რუსეთის წმინდა სინოდის წევრებს, ობერპროკურორს, მის ამხანაგს, ასევე ყველა სასულიერო აკადემიების რექტორებს და სამეცნიერო საბჭოებს.

ქართველი სასულიერო მოღვაწეები, აყენებდნენ რა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი კათედრის გახსნის აუცილებლობას, მოთხოვნაში ასაბუთებდნენ მის მიზანშეწონილობას და აღნიშნავდნენ:

1901 წლის 12 სექტემბერს სრულდება 100 წელი ქრისტიანულ რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და ამ თარიღის აღსანიშნავად სასურველი იქნებოდა თუ რუსეთის წმინდა სინოდი გამოიჩენდა კეთილ ნებას და აღნიშნული ჟესტით (კათედრის გახსნით), მადლს მიუძღვნიდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას იმ დიდი წვლილისათვის, რაც ღვთისმშობლის წილხვედრმა ქვეყანამ ითამაშა რუსეთისა და მსოფლიო ქრისტიანული რელიგიის აღზევება-განვითარების საქმეში.

მეორეს მხრივ აღნიშნული კათედრის მეცნიერ მუშაკები მეცნიერულად გადაამუშავებდნენ იმ მდიდარ, უამრავ და უნიკალურ წერილობით ძეგლებს, რომლებიც იმჟამად დაგროვილი იყო სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარის საჯარო ბიბლიოთეკაში, მეცნიერებათა თუ სასულიერო

აკადემიებში, მოსკოვის სახელმწიფო არქივში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და საქართველოს საეკლესიო მუზეუმში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ დამწერლობის ამ ძეგლებში ვხვდებით ისეთ უნიკალურ მასალებს, რომელთა ორიგინალები დაკარგულია ამა თუ იმ ქრისტიანული ქვეყნების მიერ და შემორჩენილია მხოლოდ ჩვენთან.

აღნიშნულ ძეგლებში ასევე უხვადაა შემორჩენილი ისეთი მასალები, რომლებიც მიმოიხილავს ლიტურგიკულ და საეკლესიო სამართლის ძეგლებს. ყოველივე მათი გადამუშავება წარმოაჩენს საქართველოს ეკლესიის ისტორიულ გზას, იმ ეკლესიისას რომელიც XVI საუკუნის განმავლობაში მტკიცედ იდგა ქრისტიანობის სადარაჯოზე.

მეორეს მხრივ საქართველო ეს ის ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია უნიკალური საეკლესიო თუ სამონასტრო არქიტექტურული კომპლექსები რომელთა ბადალი თავისი ორიგინალობით ძნელად თუ მოიპოვება ქრისტიანულ სამყაროში. ეს ძეგლები რომლებიც გადაურჩნენ მკაცრ ჟამთასვლას საჭიროებენ მეცნიერულ შესწავლას, მოვლასა და პატრონობას.

საქართველოს ეკლესიის ისტორიული ბედი, ისევე როგორც ქართველი ერისა, მჭიდრო კავშირში იყო სომხურ, სირიულ, ალბანულ და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანულ ეკლესიების ბედთან. ამიტომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა გულისხმობს ნაწილობრივ ამ ქვეყნების ეკლესიების ისტორიის შესწავლასაც.

გარდა ამისა ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესწავლა-გამომზიურება, რომ არაფერი ვთქვათ დიდ წმინდანთან ქართველ მოწამეებზე, სამაგალითო იქნებოდა ყველა კეთილმორწმუნე ქრისტიანისათვის.

1900 წლის 22 მაისს რუსეთის წმინდა სინოდის განკარგულებით აღნიშნულის საკითხის შესასწავლად შედგა კომისია პროფესორ ტ.ვ. ბარსოვის თავჯდომარეობით. მასში შევიდნენ: პროფესორი ნ.ვ.პოკროვსი და დოცენტი ა.ი.ბრილიანტოვი. აღნიშნულმა კომისიამ სანქტ-პეტერბურგის აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა დასკვა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ არ არის აუცილებელი დაარსდეს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი დამოუკიდებელი კათედრა, არამედ უფრო მიზანშეწონილია დაარსდეს ბერძნული და აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ეკლესიების ისტორიის შემსწავლელი კათედრა. რაც არაქტიკულად განხორციელდა კიდეც.

ყოველივე ზემოდ აღნიშნულის გარდა. ქართული ეკლესიის ავტორიტეტს რუსეთში და სხვა ქვეყნებში ერთობ ამაღლებდა საქრისტიანო სიწმინდეების საკმაოდ დიდი ნაწილის მფლობელობა. კერძოდ საქართველოს უძველესი დროიდან ფლობდა ისეთ უძვირფასეს განძეულს როგორებიც იყვნენ: „კუართი უფლისაÐ" ფეხთა ფიცარნი ქრისტესი", „სამსჭვალნი". საყოველთაო აღტაცებას და აღიარებას იწვევდა ქართველ, სარწმუნოებისათვის თავდადებულ მოწამეთა გალერეა.

„ბუნებრივი იყო", - არნიშნავს ფრიდონ სიხარულიძე, - მართმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს მესვეურობისათვის შემზადებული მოსკოვის სახელმწიფოში ქართული კულტურითა და მდიდარი ქრისტიანული სიწმინდეებისთ დაინტერესება.

ქრისტიანულ მართლმადიდებლურ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი სარწმუნოებრივი რელიქვიების, სასწაულმოქმედ წმინდანთა ნაწილების უქონლად მოსკოვის სახელმწიფო თავს ვერ მოიწონებდა... რუსი საეკლესიო მოღვაწეები ენერგიულად ზრუნავდნენ რუსული ეკლესიის ავტორიტეტის ასამაღლებლად, რაც განაპირობებდა მათ მისწრაფებას ქრისტიანული „წმინდა რელიკვიებისადმი."

რუსეთის პოლიტიკური და კულტურული მოღვაწენი მიისწრაფიოდნენ დაპატრონებოდნენ ქრისტიანულ სამყაროში ასე თუ ისე ცნობილ საეკლესიო ნივთებს. ასეთი მოღვაწეობა მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შემადგენელ ნაწილად იქცა.

ქვეყნის იდეოლოგები რელიკვიების რუსეთში მოხვედრას „ღვთის ნება-სურვილით" ასაბუთებდნენ და ამ მიზნით არ თაკილობდნენ ძარცვა-გლეჯვას. სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს როგორ შეიძლება ძარცვა-გლეჯვა იყოს ღვთის ნება.

ავტორი ცნობილ თხზულებისა - „საეკლესიო საკითხები რუსეთში" – სწერს (გვ.83-89): „ვინმე ქართველმა რომ მოინდომოს ნამდვილ ისტორიის დაწერა რუს ექსარხოს-უზურპატორთა მოქმედების შესახებ, რუსებს პირისახეზე სირცხვილის ალმური აუვათ, რუსი ექსარხოსები საქართველოში იმისათვის

კი არ მიდიოდნენ, რომ ეპატრონათ იქაურ ეკლესიისათვის, არამედ იმისათვის, რომ გაეძარცვათ და გაეყვლიფათ უძველეს ივერიის ეკლესიის ქონება, ძალით აღმოეფხვრათ ქართული ენა და შემდეგ ნაძარცვი ქონებითა და ფულით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში. ასე მოიქცა ევსევი, რომელმაც 200000 მანეთი დაუტოვა თავის მემკვიდრეეს და თვითონაც ხალხის მიერ წყეული გამოიქცა საქართველოდან."

სინოდმა აუღწერელი ვნებისა და ბოროტების მეტი არაფერი მისცა ქართულ ეკლესიას. მისთვის ეს ეკლესია ნამდვილი ბარბაროსული ქვეყანა იყო, სინოდის მოხელეებმა მტკვარში გადაყარეს ყველა საეკლესიო კანონები და დადგენილობანი, დაწვეს. აუარებელი უძველესი საეკლესიო დოკუმენტები, რაც დარჩა, პეტერბურგში წაიღეს და ბოლოს ივერიის ეკლესიას ავროკეფალიობა წაართვეს. გაანადგურეს მრავალი ძველი მონასტერი და ქართული საეკლესიო მამულებიც ხაზინას გადასცეს.

გარყვნილი ეგზარხოსი თეოფილაქტე პირდაპირ ახრჩობდა ქართველებს და საქმე იქამდის მივიდა, რომ შეეხო წმინდა ნინოს საფლავსაც, მაგრამ ღმერთმა აღარ დააცალა და იქვე საფლავთან ამოართვა სული, ეგზარხოსმა ევგენი ბაჟენოვმა მონასტრები და ეკლესიები გაქურდა, ისიდორემ ქართულ ეკლესიებს მამულები წაართვა, ეგზარხოსმა ევსევი ილინსკიმ, რომელიც მეტად გახრწნილი, თავაშვებული და ქალის მოყვარე ადამიანი იყო, გაყიდა ქართველ კათალიკოსთა უძვირფასესი სამოსელი, ხატებსა და სამოსლებს ძვირფასი თვლები ჩამოხსნა და მონაწილეობა მიიღო გელათის მონასტრის სამოსლების დატაცებაში. მისი ეგზარხოსობის დროს ქართულმა ეკლესიამ ორი მილიონ მანეთის ნივღები დაკარგა.

ეგზარხოსი პავლე, კაცი ფიცხელი, გადარეული და მხეცის მსგავსი, რომელმაც ბესარაბიაში მართლმადიდებლობა დააქცია, ამავე საშვილიშვილო მოღვაწეობისათვის საქართველოში გადმოიყვანეს, რა თქმა უნდა, მან ივერიის ეკლესიაშიც ჩვეულებრივი არეულობა შემოიტანა. კიშინიოვიდან მას დეკანოზი ჩუდეცკიც გამოაყოლეს სემინარიის რექტორად, რომლის მეუღლესთან ეგზარხოსს სამარცხვინო კავშირი ჰქონდა. რექტორი თბილისში ქართველმა სემინარიის ნამოწაფარმა იოსებ ლალიაშვილმა პირადი ანგარიშების გამო მოჰკლა და მისი ანდერძის აგებაზე ეგზარხომა მთელი ქართველობა დაწყევლა. ამის გამო თავადაზნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა 8 ივნისს 1887 წელს ეგზარხოსს წერილი მოსწერა და შეუთვალა, ბოდიში უნდა მოიხადოთ ქართველი ერის წინაშეო, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა: დონდუკოვ-კორსაკოვმა ეგზარხოსის თხოვნით ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა. მალე ყიფიანი პეტერბურგში გაიწვიეს საქმის გამოსაკვლევად,მაგრამ იგი მოკლულ იქნა იმ სასტუმროში, სადაც ცხოვრობდა მოსყიდული მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

1870 წლამდის გელათის მონასტერს აუარებელი სიმდიდრე ჰქონდა. იმ დროს გელათში ინახებოდა: უძველესი XI საუკუნის ქართული სახარება ოქროს ყდით იშვიათი და საუცხოვო მაიოლიკებით. ეს სახარება ეგზარხოსის ნებართვით, წაიღო ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა, რომელმაც ოქრო ჩამოხსნა და ვერცხლის ყდა გააკეთებინა, ეხლა ეს ოქროს ყდა ინახება პეტერბურგის სტროგონოვის მუზეუმში, რომელსაც იგი გრაფმა პანინმა გადასცა.

ამ ყდაში ინგლისელები იძლეოდნენ ერთ მილიონ მანეთს. ამავე ეკლესიაში ინახებოდა იმერეთის კათალიკოსთა საპატრიარქო სამოსელი, რომელიც სტამბოლის აღებამდის იყო გაკეთებული და ძალიან ძვირად ღირდა. ამ სამოსელიდან გადაადნეს 8 გირვანქა ოქრო, ხოლო მარგალიტებიდან და ფირუზებიდან ქალებს სამკერდულები გაუკეთეს. გელათის მონასტერი გაძარცვეს პანინმა და ლევაშოვმა ეგზარხოსის ნებართვით. ამავე ხანებში ამავე ეგზარხოსის ნებართვით სიონის ტაძრიდან დაიკარგა აუარებელი სიმდიდრე: ოქრო, რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუზი და სხვა ძვირფასი ქვები. ასეთივე დღე დააყენეს მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის, ივანე ნათლისმცემლის, ჯუმათის, შემოქმედის და სხვა მონასტრებს და ტაძრებს.

რამდენიმე წლის წინად სიონის ტაძრიდან გრაფმა ბობრინსკიმ ეგზარხოსის ნებართვით მრავალი ძველი ხელნაწერი წაიღო, გელათის მონასტრიდან დაიკარგა საპატრიარქოს თვალ-მარგალიტით ჯვარი. ვახტანგმა ეს იშვიათი და საუცხოვო ბრილიანტები სპარსეთთან ომის დროს იშოვა. პავლეს დროს მეტეხის სობოროდან დაიკარგა ხუთი ათას თუმნად ღირებული მეტეხის ხატი, რომელიც წინათ სამკლიტურში ინახებოდა. 1891 წ. ეს ხატი ამავე ეკლესიის სახურავის ქვეშ იპოვეს, მაგრამ ზედ აღარაფერი ჰქონდა. იმავე ეგზარხოსის დროს სიონიდან დაიკარგა ძვირფასი ნინოწმინდის ღვთისმშობლის ხატი. პლადიმ ერთ სომეხ მხატვარს ნება დართო საქართველოს მონასტრებიდან მრავალი ხატი წაეღო და გაეყიდა. ასე მოხვდა უძვირფასესი ქართული მანუსკრიპტები, ლონდონის,

რომის, პარიზის და ბერლინის მუზეუმებში. ჩვენი განძეულის დაკარგვა-დატაცებას, ჩვენდა საუბედუროდ თავად ქართველები უწყობდნენ ხელს. საქართველოდან დიპლომატიური მისიით თუ სხვა მიზნებით რუსეთში ჩასულ ქართველებს თან მიჰქონდათ ფასდაუდებელი ნივთები და ქართველი წმინდანების სხეულის ნაწილები. მაგ: მეფე არჩილმა მოსკოვს გაიყოლა უფლის სამსჭვალი, ხოლო მისმა ელჩმა არქიმანდრიტმა გაბრიელმა რუსეთის სამეფო კარს საჩუქრად გადასცა 40-მდე ფასდაუდებელი ქართული საგანძურის ნიმუშები.

ქართველმა მოახალშენეებმა უამრავი გულსაკიდი ხატები („პანაღაი"), ჯვრები და სხვადასხვა ძვირფასეულობა გააჩუქეს რუსეთში, ასევე გასცეს მინიატურებით შემკული ლოცვანი („სათანაო").

საინტერესოა ძვირადღირებული ოქრო-ვერცხლის ყდით, მახარებელთა პორტრეტებით, ათორმეტი დღესასწაულებიც სცენით და სხვა მხრივაც შემკობილი 1709 წელს თბილიშში დაბეჭდილი ერთ-ერთი სახარების ბედი. იგი შემკულია და პრესნიაზე ქართველთა საერთო სალოცავისათვის გადაუცია პეტრე ახალციხელს. ეხლა ეს რელიკვია გამოკეტილია მოსკოვის საისტორიო მუზემში.

ეროვნული რელიკვიებითა და უძვირფასესი განძეულობით გამოირჩეოდა მოსკოვში მცხოვრები ვახტანგ VI-ის ოჯახი.

მოოქროვილმა ხატებმა, წმინდა ნინოს ლეგენდარულმა ჯვარმა, ქრისტიანობისათვის წამებულთა ჭედურმა პორტრეტებმა, ეროვნულ წმინდანთა ნაწილებმა და მდიდარმა განძეულობამ შორს გაუთქვეს სახელი ქართულ ხელოვნებას. სამწუხაროდ ამ განძეულის საკმაოდ დიდი ნაწილი უკან აღარ დაგვიბრუნდა, ნაწილი რუსეთში დარჩა, ხოლო ნაწილი უცხოელთა ხელში მოხვდა.

დიდი ხანია ქართული განძეულობის საკმაოდ დიდი ნაწილი ზაგორსკის მუზემ-ნაკრძალის გამოფენას ამშვენებს. მათგან ექსპოზიციის ვიტრინაში მოთავსებულია ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს გულსაკიდი („პანაღაი"), წმინდა ნაწილთა და შესანახი ბუდეთი. პანაღაის ზედა მხარეზე მთელი ტანით გამოსახულია წმინდა ქეთევანი. ასევე რუსეთში აღიარებული იყო ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის სიმბოლოდ.

დრო მიდის, თაობა-თაობას ცვლის. განძეული, რომელიც XVII-XIX საუკუნეებში მცხოვრებმა ქართველებმა გაიტანეს რუსეთის იმპერიაში და რაც რუსებმა გაგვძარცვეს, XX საუკუნის თაობამ ვერ დააბრუნა და ამ ისტორიული მისიის შესრულება დააკისრა XXI საუკუნის თაობას.

გიორგი ბეჟიტაშვილი

დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსი

როცა ჟიული სოხუმში წავიდა სამუშაოდ, უკვე საბოლოოდ ჰქონდა შემუშავებული გინესის მრავალგზის რეკორდსმენის, ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიოს ირგვლივ ველოსიპედით მოგზაურობის პროგრამა. გამგზავრების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხებიც გადაწყვეტილი იყო. ჯუმბერ ლეჟავა დაჟინებით ითხოვდა, რომ სტარტი 1993 წლის 13 აგვისტოს აეღო. გაჩნდა პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ ჟიული შარტავას დახმარებით მოხერხდა. იგი სოხუმიდან დაუკავშირდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს — გურამ ქაშაკაშვილს და სთხოვა, შეღავათიანი პირობებით, გამოეყო ერთ-ერთი ფირმისთვის საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის გარკვეული რაოდენობა, რის სანაცვლოდაც, პირველ ეტაპზე ფირმა მოგზაურის დაფინანსებას კისრულობდა.

ასე დაიწყო 1993 წლის 13 აგვისტოს მსოფლიო მოგზაურობა, რომელიც მრავალი სირთულისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, წარმატებით გრძელდება. ჯუმბერ ლეჟავამ თითქმის ცხრა წლის განმავლობაში ველოსიპედით შემოიარა აზია, ავსტრალია, ოკეანეთი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა,

ანტარქტიდა, დასავლეთ ევროპის დიდი ნაწილი, აფრიკის კონტინენტი, სულ 214 ქვეყანა გაიარა (ხმელეთზე ველოსიპედით 250 ათასი კილომეტრიც და სხვა სახის ტრანსპორტით ზღვებსა და ოკეანეებზე გადასვლისას — 400 ათასი კილომეტრი). 2002 წლის 25 აპრილს მიღებული ინფორმაციის მიხედვით, იგი ხორვატიიდან ალბანეთში მიემგზავრებოდა.

ჟიული შარტავას ფონდმა, მოგზაურის ოჯახის წევრების, ახლობლების, გულშემატკივრების თხოვნით, გამოძებნა შესაძლებლობა, რათა გაგრძელებულიყო თითქმის ჩაშლის პირამდე მისული მოგზაურობა. გადამწყვეტი როლი შეასრულა მოგზაურის შვილებთან ერთად შეხვედრებმა მასთან ამერიკის შერთებულ შტატებში 1998 წლის ნოემბერში და საფრანგეთში — 1999 წლის იანვარში, რომლის დროსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის — პეტრე ჩხეიძისა და მისი თანამშრომლების, ამერიკაში საქართველოს ელჩის — თედო ჯაფარიძის, საელჩოს თანამშრომლების, საფრანგეთში საქართველოს ელჩის — გოჩა ჩოგოვაძის საელჩოს დესპანის — ნათელა ლაღიძის, კონსულის — ავთანდილ ძაგანიას, პრესმდივნის — ვლადიმერ ზარიძის, სხვა თანამშრომელთა აქტიური ძალისხმევით მოგვარდა მსოფლიო მოგზაურობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. ლეჟავა შეხვდა იუნესკოს გენერალურ მდივანს — ფედერიკო მაიორს და ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელებს. ჯუმბერ ლეჟავას გადაეცა „მშვიდობის დესპანის" სპეციალური სიგელი, გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ გაავრცელა სპეციალური წერილი აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობისას შესაბამის სახელმწიფოთა მხრიდან დახმარების აღმოჩენის საჭიროების შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის — ირაკლი მენაღარიშვილის სპეციალური წერილის საფუძველზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — იგორ ივანოვის შესაბამისი ბრძანებით, აფრიკის ქვეყნების ტერიტორიაზე განთავსებულ რუსეთის ფედერაციის საელჩოებს დაევალათ მოგზაურისთვის ყოველმხრივი დახმარება. მნიშვნელოვანი იყო მოგზაურის შეხვედრა საერთაშორისო ოლიპმიური კომიტეტის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩისთან, რომელმაც ჯუმბერ ლეჟავა სიდნეის ოლიმპიური თამაშების საპატიო მონაწილედ მიიწვია.

1999 წლის ივლისში ჯუმბერ ლეჟავას დაბადების 60 და მოგზაურობის დაწყების 6 წლისთავთან დაკავშირებით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო მსოფლიო ველომარათონის ამსახველი ფოტოგამოფენა, რომელმაც საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნდა ამ უნიკალური მოგზაურობისადმი მიძღვნილი მრავალი პუბლიკაცია, რამაც ნათლად წარმოაჩინა ქართველი კაცის სიმტკიცე, ნებისყოფა, ფანტაზიის უნარი და არნახული მიზანსწრაფვა. გამოიცა მსოფლიო მოგზაურობისადმი მიძღვნილი პირველი წიგნი, მომზადდა საინფორმაციო მასალა ინტერნეტში შესატანად, რაც შესაძლებლობას ქმნის, მსოფლიოს გააცნოს მრავალი საყურადღებო მომენტი მოგზაურობის უკვე განვლილი ეტაპების, მისი მომზადებისა და დაწყების ისტორიის, აგრეთვე, იმ პიროვნების შესახებ, ვინც სათავე დაუდო ამ შესანიშნავი იდეის პრაქტიკულად განხორციელებას. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინტერნეტის ქსელში ჩართულ უამრავ ადამიანს საშუალება მიეცემა, მიიღოს ინფორმაცია ჟიული შარტავას, როგორც პოლიტიკური მოღვაწის შესახებ, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის დროს სამშვიდობო მისიის შესრულებისას დაიღუპა სეპარატისტთა ხელით. ამ ფაქტზე დაყრდნობით ობიექტურად გაშუქდება კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, მისი დაძლევის გზები, ქართული სახელმწიფოს პოზიცია მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერის კონტექსტში. მსოფლიო მოგზაურობისადმი მხარდამჭერთა კავშირთან (რომელსაც ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი ბიჭიკო (დურმიშხან) სულიაშვილი ხელმძღვანელობს) და მსოფლიო მოგზაურობის სააგენტოსთან (რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი ჟურნალისტი, ამ უნიკალური მსოფლიო მარათონის დიდი პოპულიზატორი გვანჯი მანია) ერთად ფონდი ცდილობს, ქვეყნის ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, საქმიანი წრეების ზოგიერთი წარმომადგენლის, ჯუმბერ ლეჟავას გულშემატკივართა თანადგომით, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი 2002 წლის 3 ნოემბერს ამ უნიკალური მსოფლიო მოგზაურობის ტრიუმფალურად დამთავრებას. ეს წარმატება, ამავე დროს, ჟიული შარტავას პიროვნების კიდევ უფრო მასშტაბურად წარმოჩენის, მისი აქტიური ძალისხმევით დაწყებული საქმის დაგვირგვინების და, აქედან გამომდინარე, ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ხსოვნის უკვდავყოფის მატიანის კიდევ ერთი შთამბეჭდავი ფურცელი გახდა. ჯუმბერ ლეჟავა ჩვენთან უცხოეთში შეხვედრებისას, მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპზე შემდგარი სატელეფონო საუბრებისას, პრესისა და ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუების, მოგზაურობის დღიურების შედგენისას,

ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს ჟიული შარტავას უდიდეს როლსა და დამსახურებას მოგზაურობის იდეის პოპულარიზაციისა და მისი ხორცშესხმის საქმეში. „ისე აეწყო ჩვენი სამშობლოს, ჩემი ოჯახის, ჩემი პირადი საქმეები, რომ აუცილებლად უნდა მივსულიყავი და მივედი კიდეც ამ უძნელესი მოგზაურობის სტარტზე, რასაც თავის დროზე სული შთაბერა ჩვენმა ეროვნულმა გმირმა, ჩემმა მეგობარმა ჟიული შარტავამ", — წერს იგი თავის დღიურში.

სოხუმში წასვლამდე ჟიული რატომღაც სულ უფრო ხშირად ლაპარაკობდა წინაპართა საგმირო საქმეებზე, მათ ღვაწლსა და ამაგზე ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენისა და მისი თვითმყოფადი კულტურის, ტრადიციების შენარჩუნების საქმეში. აფხაზეთის კონფლიქტის მაგალითზე იხსენებდა საქართველოს ისტორიის სხვა რთულ პერიოდებს, შინააშლილობის, გაუტანლობის, ურთიერთდაპირისპირების, ღალატის გამო დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს. განსაკუთრებით დიდი პატივისცემით იგონებდა გიორგი სააკაძეს და თვლიდა, რომ სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც მისი მოღალატედ წარმოჩენის ყოველგვარი მცდელობა სააკაძისადმი უმადურობის გამოხატვის, ქართველი ერის გადაშენებისა და ფიზიკური მოსპობისგან გადარჩენის საქმეში შეტანილი უდიდესი წვლილის ჯეროვნად დაუფასებლობის გულსატკენი მაგალითი იყო. 1993 წლის ივნისი იყო, როცა სენაკიდან დაბრუნებულ ჟიულის ვეწვიე. ჩემი ყურადღება საწერი მაგიდის პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებულმა გიორგი სააკაძის პორტრეტმა მიიპყრო. ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ აჩუქა იგი, ჟიულიმ მიპასუხა:

— არავინ, მე დავხატე მე-8 კლასში ყოფნის დროს, ბავშვობაშიც და დღესაც მისი ტრაგიკული ბედი ჩემში შინაგან განცდებსა და სინანულის გრძნობას იწვევს იმ დიდი საქმის წარუმატებლობის გამო, რომელიც შურით, გაუტანლობითა და ერის ინტერესების ღალატით ჩაიშალა.

ჟიულის გმირული სიკვდილის შემდეგ ხშირად მახსენდება ეს სიტყვები. თითქოს სიმბოლურია, რომ მისი სახელობის ქუჩა თბილისში მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის ტერიტორიიდან, ქვეყნის გაერთიანებისთვის დაუღალავი მებრძოლის, კეთილშობილური საქმისთვის თავგანწირული დიდი მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის — გიორგი სააკაძის ძეგლიდან იწყება. დროის განზომილებით დაშორებული, განსხვავებული პერიოდების მიუხედავად, მათი ცხოვრება და მოღვაწეობა ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლაში შეუპოვრობითა და თავგანწირვით საოცრად ჰგავს ერთმანეთს და საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანენი, ალბათ, ამ მსგავსებას გარკვეულ ინტერპრეტაციას მოუძებნიან, თუნდაც იმიტომ, რომ ორივემ ერთ ასაკში, თითქმის ერთნაირი ტრაგიკული ფინალით დაამთავრა შინაგანი სიმძაფრით აფორიაქებული ცხოვრება.

ეს ისტორიული ფაქტი და ჩანაწერები მოყვანილია 2004 წელს გამოშვებულ წიგნში, რომლის სათაურია „გმირობისათვის თავდადებული".

ეს ჭეშმარიტებაა, რომ ჯუმბერ ლეჟავა და ჟიული შარტავა ერთნაირი სულის ამოძახილებით ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოში. მისი სიცოცხლის მარადიულობას მიუძღვნა ჯუმბერ ლეჟავამ ეს დიდი მოგზაურობა.

მისასალმებელია, რომ დაარსდა თბილისში ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომლის მდივანი გახლავართ. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა, ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს აკადემიის დამაარსებელსა და პრეზიდენტს. იმ დიდი ნდობისათვის რასაც აკადემიაში ჩემი მუშაობა ჰქვია. დაარსებულია ჟურნალი „ათინათი", რომელშიც იბეჭდება ყველა დარგის მეცნიერული ნაშრომები: პოეზია, პროზა, ისტორია, ხელოვნება, სპორტი და ა.შ. დაგეგმილი გვაქვს წელიწადში ერთხელ გამოვუშვათ ანთოლოგია, სადაც მეცნიერულად დამუშავებული იქნება ჯუმბერ ლეჟავას დღიურები პროფესორ ლუარა სორდიას მიერ.

ჯუმბერ ლეჟავას დღიურებში ასახულია ის დიდი ტკივილები, რაც განიცადა ჟიული შარტავას გარდაცვალების დროს და თავისი მეუღლის ლიანა ალიბეგაშვილის გარდაცვალებისას.

ვგეგმავთ, ჟურნალში გაშუქდეს ჟიული შარტავას გმირობის ამსახველი დეტალები.

ანა ხუნაშვილი (ბოდბელი)

„ლექსს უფრო ყურსა უგდებდენ”. . .

ლამაზი ქალი, სათნო, მწუხარე,
ნეტარყოფილი, უწმინედესი, კეთილი დედა,
ჯვარი ძლევისას აღმმართველი
სულის მზე ჩვენი,
ჩვენი ენის და ჩვენი ტაძრის
მონოლისტის შემწე და მცველი
აწ და მარადის ვადიდოთ ნინო.

წმინდა ნინო, ანგელოსი მიწის და ზეცის, მოციქული უფლის დედისა, ფარავნის ტბის თეთრი ფარავანა, უტურფესი პატარძალი მარადიულის, ქადაგი, ბრძენი, ლომ-გულოვანი, მეხის ტეხა აეროლითთა (აეროლითი – ციდან ჩამოცვენილი სიმბოლო ქვები, რომელთაც თაყვანს სცემდნენ უკულტურო მოდგმანი).

თვალშეუდგამი ნათლის ნათელი, ნაზი სურნელი სარკმეველისა, წინაპრის სული ექო და სევდა, კარის გუმბათი საგალობელთა, პოეტ მეფეთა ცისკრის ვარსკვლავი, დედოფალი ივერიისა, **ვადიდოთ ნინო!**

ქრისტიანობა სულის მარადიული განწმენდა, განახლება, მარადიულის სიცოცხლეა. „ერის სული, მისი ენა და ბუნებაც მარადიულ ქრისტიანულ გაცხოველებას ითხოვს”. დედამიწაზე არ არსებობს მეორე ისეთი ძალა, რომელიც ისე აერთიანებდეს, ასისხლხორცებდეს ადამიანებს ერთმანეთთან როგორც სარწმუნოება. „მოყვარენი სჯულისანი გარე შემოივლებენ თავისა თავისსა ზღუდესა (იგავ. სოლ. 28,4) ამბობს ძველი აღთქმის ბრძენთა ბრძენი მეფე სოლომონი. წმინდა ნინოს სახელზე შექმნილი თითოეული საგალობელი, ლექსი, პოემა, მოთხრობა, ქადაგება ეს არის ერის თავისუფლების და თვითარსებობის შეგნება — განმტკიცების წმინდა ემბაზი. განსაკუთრებით დიდი იყო ასეთი ნაწარმოებების მნიშვნელობა მაშინ, როდესაც საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია ჰგავდა: „კედელსა მიდრეკილსა და ღობესა დაჭენებულსა” და ფასდაუდებელია დღესაც, როცა ასე მომრავლდა სხვადასხვა სარწმუნოებრივი მიმდინარეობა.

წმინდა ნინოს პრობლემა საუკუნეების მანძილზე ქართული მწერლობის აქტიური თემა იყო, ეს ბუნებრივიცაა, ამიტომ შეიქმნა მოციქულთა სწორის, ქართველთ განათლების სახელზე სხვადასხვა რედაქციის ცხოვრებანი. გვიანი ფეოდალური ხანის მწერლობაში, როდესაც „ლექსს უფრო ყურსა უგდებდენ”... როგორც ყველასთვის ცნობილია შეიცვალა დამოკიდებულება პროზაული ტექსტისადმი. დაიწყეს საერო თუ სასულიერო შინაარსის თხზულებათა გალექსვა. სულხან თანიაშვილს ამირან დარეჯანიანი გაულექსავს 1681 წლამდე. ბეგთაბეგ თანიაშვილს უნდა გადაეწერა 1680 წელს გიორგი XI-სათვის „ვეფხისტყაოსანი” ($ - 335) არჩილი, მამუკა მდივანი აქტიურად ლექსავდნენ სხვადასხვა ძეგლებს. ვახუშტი ბატონიშვილმა დაიწყო ბიბლიის გალექსვა. (ხელნაწერი ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში). პეტერბურგშივე გაილექსა გიორგი ბრწყინვალის მეფობის ისტორია ქართლის ცხოვრებიდან (ინახება პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ყოფილი საჯარო ბიბლიოთეკის, იოანე ბატონიშვილის კოლექცია), პაპუნა ორბელიანმა დაიწყო თავისი ისტორიის გალექსვა, ამის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა ლილიუ ქუთათელაძემ და სხვა.

არც წმინდა ნინოს ცხოვრება დარჩენილა უყურადღებოდ. დათუნა ქვარიანმა გალექსა წმ. ნინოს ცხოვრება, წმ. გიორგის წამება (ეს უკანასკნელი გამოაქვეყნა ე. გაბიძაშვილმა), ქეთევანმა, ზურაბ წერეთლის ასულმა (იოანე ბატონიშვილის მეუღლე) საგანგებოდ დაავალა პოეტ ქალს სოფიოს, რომ დაეწერა ლექსად „ცხოვრება წმინდა ნინოსი” (ტ. რუხაძე. „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან”. 1954წ. გვ. 152).

ეს ჩანს თვით ლექსიდან:

გულს მოდგინებით მიბრძანებს

შენის ცხოვრების წერასა,
უმეცარი და უცნობი,
შეძლებელი ვარ მე რასა,
მე ვითა ხელვჰყოფ აღწერად
ქებასა შენ საფერასა,
მაგრამ სძალს ხელმწიფისასა
უარს ვკადრებდი ვერასა.”

„ქართველებში უწინაც გავრცელებული იყო კითხვისა და სწავლის სიყვარული. დარწმუნებით ვიცით, რომ აწინდელს დროს საკითხის წიგნების საჭიროებას მთელ საქართველოში გრძნობენ:, - წერს გაზეთი „დროება” 1866 წელს. (გაზ. „დროება: 1866 წ. 37).

ჩვენი დღევანდელი ინფორმაცია შეეხება XIX საუკუნის ერთი მწერლის ნაწარმოებს. ჩვენი მიზანია საერთოდ თავი მოვუყაროთ და შევისწავლოთ XIX საუკუნის საზოგადოების დამოკიდებულება ნინო განმანათლებლის პიროვნებისადმი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მრავალზე მრავალი ნიმუში, რომელიც XIX საუკუნეში შეიქმნა, ვერც თემის დამუშავებით დღევანდელი მკითხველის ყურადღებას ვერ დაიპყრობს, მაგრამ მწერლობის ისტორიამ თავისი უნდა მიაგოს დიდსაც და პატარასაც, ნიჭიერსაც და უნიჭოსაც. სწორედ ნათქვამის პასუხისმგებლობამ გადაგვაწყვეტინა თქვენს წინაშე გამოვსულიყავით ამ ინფორმაციით.

XIX საუკუნეში წმინდა ნინოს პიროვნების შესახებ ინტერესი კვლავ იზრდება. ჟურნალი „საქართელოს სასულიერო მახარებელი” 1866 წლის ერთ-ერთ ნომერში წერდა: „სამართალი ითხოვს, რომ ყოველმან ქართველმან, წულმან და ქალმან იცოდეს ცხოვრება განმანათლებლისათვის წმინდისა ნინოსი”.

ნინოს ცხოვრების მხატვრული დამუშავება, უფრო სწორად ცხოვრებისეული ფაქტების პოპულარულად მოთხრობა უცდია ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, მრავალი პოეტური სიტყვა უძღვნეს აკაკიმ, ვაჟამ და სხვებმა.

წმინდა ნინოს ცხოვრების ლექსის ფორმით გადმოცემა, უფრო სწორად პროზაული ტექსტების გალექსვის ერთ-ერთი პირველი ცდა როგორც ვთქვით დათუნა ქვარიანს ეკუთვნის (დაცულია – 1779 – ხელნაწერში).

XIX საუკუნეში ნინოს ცხოვრების ორიგინალური ლექსითი ვარიანტი რამდენიმე მოგვიანებით შეიქმნა. პუბლიკაცია კი უფრო გვიან მოხდა. „ცხოვრება წმიდისა ნინოსი აქამომდე არა ყოფილა დაბეჭდილი ქართულად ცალკე” — აცხადებს ზემოთ დასახელებული ჟურნალი. დღეს ჩვენ გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ ირეოდიონ ელიოზიძის თხზულებაზე „აღწერა ცხოვრებისა წმიდისა მოციქულთა-სწორისა ნინოსი ქართულთ განმანათლებელისა” (ლექსად თქმული. დაბეჭდილია ქ. თფილისს, ენფიანჯიანიცის სტამბაში (1868 წელს).

ამავე პერიოდში 1848 წელს სანკპეტერბურგში დაიბეჭდა XIX საუკუნის 30-50-იან წლებში თბილისში მოცხოვრებ ვინმე ა. მარსოვის პოემა „Святая Нина проветительница Грузии” (издание Павла зиновьевекаго), რომელსაც როკსანა ახვერდიანმა მიუძღვნა რეცენზია. 1884 წელს გამოქვეყნდა მ. ა. ოპოჩინინის „წმიდა ნინო” რუსულ ენაზე. ქართულად უთარგმნია ივ. კერესელიძეს და დაუბეჭდავს თავის ჟურნალში („ივერია” 1884 წ. XI, XII).

ირეოდიონ ელიოზიძე ქართულ მწერლობაში არც თუ ცნობილი პირია. მისი ცხოვრების ფაქტები ვერც ჩვენ მოვიძიეთ, ცნობილია ერთი რამ, რომ ის იყო სასულიერო პირი, მღვდელი, და მსახურობდა სამხედრო უწყებაში. 1872 წელს ჟურნალ „ცისკარში” (2,3) გამოუქვეყნებია ლექსები „მეგობრობაზე”, „მოძღვრობა”, „სიმღერა ოკროსტიხი”, „ოკროსტიხად” და სხვა. 1869 წელს „საქართველოს სასულიერო მახარებელშიც” (2) დაუბეჭდავს ლექსი „ივერიის მოზოდოკის ხატი.”

ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი 1868 წლის 24 მარტს ჰელსინკის უნივერსიტეტის რუსული კათედრის პროფესორს, აკადემიკოსს გ. გროტს (იაკოვ კარლოს ძე 1812-1898) სწერს: „მღვდელ ირეოდიონ ელიოზისძის მიერ გალექსილი წმიდა ნინოს ცხოვრება დაწერილია კარგად. მისი გამოცემა სასარგებლო იქნება ყველასათვის...” პლატონ იოსელიანი თვით კისრულობს გამოცემის პასუხისმგებლობას და კორექტურას (წეილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ

საჯარო ბიბლიოთეკაში იშვიათ გამოცემათა და ხელნაწერთა (რარიტეტი) განყოფილების ფონდში. ნომრით S-40/124).

პლატონ იოსელიანის შეფასება შეიძლება დღეს მთლად არ იყოს მისაღები, მაგრამ ერთი ფაქტია, რომ XIX საუკუნეში შექმნა ორიგინალური პოემა წმიდა ნინოს ცხოვრების შესახებ.

პოემა საკმაოდ მოზრდილია, იგი შედგება 261 თექვსმეტმარცვლიანი სტროფისაგან და ბოლოს ერთვის ავტორის კოლოფონი 6 სტროფიანი აკროსტიხული ლექსი, რომლის კიდურწერტილობა იძლევა: „,ღვდელი იროდიონ ელიოზიძევი."

ლეონტის რედაქციის დამოკიდებულება „მოქცევაის" ტექსტთან მეცნიერებაში ცნობილია. იგი ზედმიწევნით იყენებს მას, ხშირად სიტყვა-სიტყვით იქამდე, რომ ლეონტის ვარიანტით შეიძლება „მოქცევაის" ტექსტის გამართვაც კი.

იროდიონ ელიოზიძეს წყაროდ თავისი პოემისათვის აუღია ლეონტი მროველის რედაქციის ტექსტი. ამ დროს „ქართლის ცხოვრების" ბროსეს გამოცემა უკვე არსებობდა (1840 წ.) და სწორედ ამ გამოცემით სარგებლობდა იგი. მას ხელნაწერი არ გამოუყენებია. ჩვენ შევადარეთ პოემა და ლეონტის ტექსტი, გაირკვა, რომ როგორც ვთქვით, პოეტი ეყრდნობა „ქართლის ცხოვრებას". არავითარი შემოქმედებითი გადახვევისათვის ავტორს არ მიუმართავს.

ლეონტი (გვ 74-75)

„მაშინ შეიძრნეს ათნი საერისთაონი: ხოზამა, ხოზა, გაახილაჯა, ტენებაგა, ხინგარაგი, ზიჯა, ზადა, ზარმა და თმონიდი, სამეფო და მიეგებვოდეს ესე ყოველნი მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა."

იროდიონი (გვ. 7, 21, 22, 23)

გახდა ბრანჯთშორის ამბავი, ლაშქარ მთავართ, მეფისათჳს, მათისა ნათლის-ღებისა, მათისა სიცოცხლისათჳს, შეიძრნეს ათნი სამთავრო, მათის მიგებებისათჳს, და შესწირეს მადლი ზაბულონს, მათისა გამოხსნისათჳს. ხოზამო, ხოზა, გაახლაჯა, ხონებაგა ხანგსათურთ, ზაჯა, ზაგა, ზარდაძ, ზამარა, თმონი სამეფოთურთ, ესე თემნი მიეგებნენ, ჭაბუკ, ყრმანი დედებითურთ და ჰკადრეს მეფეს და ზაბულონს, ნეთელი გუთ̃ც ყველასა გუსურს.

მიგებება ბრანჯთა იყო, ერთსა წყლის პირისა ღრმისასა, დააყენა მეფემ ერნი, ორსავე მხრით მის წყლისასა, აკურთხა წყალი ხუცესმან, განიწმინდნენ, ემბაზსა ქრისტეს ღუთისასა.

ლეონტი (გვ. 77)

ხოლო დედაძ იგი წმიდისა ნინოძსი მისცა პატრიარქმან მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა და წმიდა ნინო მსახურებდა ნიაფორსა სომეხსა დვინელსა ორ წელ, და ჰკითხვიდა ყოვლადვე ვნებათა მათთჳს ქრისტესთა: ჯუარცმისა, დაფლვისა და აღდგომისა მისისა, და სამოსლისა მის და ტილოთა და სუდარისა, და ჯუარისა და სხვა.

ლეონტი (გვ. 77)

რამეთუ არავინ ყოფილიყო და არცა ვინ იყო შორის იერუსალემსა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძუელისა და ახლისათა, ყოველსავე ზედამიწევნით.

ლეონტი (გვ. 77)

„ხოლო იწყო უწყებად მისა და ჰრქუა: „ვხედავ, შვილო, ძალსა შენსა ვითარცა ძალსა ლომისა ძუისასა, რომელი იზრახებენ ყოველთა ზედა ოთხფერბთა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი ათვიდის სიმაღლესა ჰაერთასა.

იროდიონი (გვ. 9,33)

პატრიარქმა გლახაკთ დედათ, სუსანა მისცა მსახურად, წმიდა ნინო ნიაფორას, სომეხს დვინელსა მსახურად ორ წელ დაჰყო წმიდამ ნინომ, ნიაფორისა მსახურად, და ჰკითჳდა მას კუართისათჳს, ვით იყო ქრისტე ვნებულად.

ироდიონი (გვ. 10,34)

რადგან ნიაფორის მსგავსად არავინ იყო მეცნიერი, არცა ახლისა ჰსჯულისა, არცა ძუთლის მესხიერი, მან მოუთხრა ქრისტეს ჯუარცმა, ურიათაგან ძლიერი, და აუწყა მას კუართისთჳს, რაც ჰსურდა ნინოს ძლიერი.

ірідіонი (გვ 10,35)

ესრეთ რქუა ნიაფორამ, განსწავლულსა ყოვლისასა, „შვილო ჩემო შენში ვხედავ, ძალსა ღომის ძუისასა, „რომელ აზახებნ ყოველთზედ, მმეცისასა ოთხ-ფეხისასა, და „გინ დედალი არწივი, აღმსვლელი ჰაერისასა.

მაგალითების გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. ცხადია ყველასათვის, რომ პოემის ავტორს დედნად აუღია ლეონტის ტექსტი და იგი გაულექსავს.

ироდიონ ელიოზიძე არის XIX საუკუნის მწიგნობარი, რომლის თხზულებასაც რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მაღალი შეფასება დაუმსახურებია პლატონ იოლსელიანისაგან. იგი არის ე. წ. ძველი თაობის შემოქმედთა წარმომადგენელი თავის შემოქმედებითი პრინციპებით. მთავარი იყო ნინოს მოღვაწეობის ფაქტის დაფიქსირება. ლიტერატურული მხარე მისთვის არ იყო გადამწყვეტი. წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი პოეტური სტრიქონები მაღალი პოეტურობით არ გამოირჩევა, მაგრამ ნინოს თემისადმი ინტერესი აშკარაა. ყოველივე ამას კი მოკრძალებით თვით ავტორიც აღიარებს.

მომიხსენე მე უღირსად,
ღირსო წმიდაო ქალწულო! —
უკეთესისა ხარ ღირსი,
დიდებად ქებად ქალწულო.
ემის უკეთეს მე ვერ ვსთქჳ,
ლექსად ცხოვრება შენია,
ისტორიული ყოველი ვსთქვი,
იკმარონ მკითხუთლთ ძღუთნია.

ироდიონ ელიოზიძე — მორჩილი ღვთისა, სარწმუნოების ბეჯითი მოდარაჯე, ჩვენში არსებული დუხჭირი აღზრდა-განათლების სისტემის დროს, ცოდნის მსახურია. საქართველოს მართმადიდებლური ტაძრის ამბიონიდან, უბრალო. გაშლილი ხელისგულით ქართველ ერში წმიდა ნინოს და უფლის მცნებათა სიყვარულის მთესველია. წინაპრის ხელით დათესილ ყანის ყვავილოვან წალკოტში, ფარავნის ტბიდან ბოდბემდის, აღმართულ ტაძრებს, დაწერილ წიგნებს, დახატულ ფერებს, სულის სინაზის და სიძლიერის მარადიული სურნელი აქვს.

ჯულიეტა ალავიძე

პოლიტიკური ვითარება საქართველოში 30-იან წლების დასაწყისში

XX საუკუნის 20-იან წლების დასასრული და 30-იან წლების დასაწყისი მსოფლიოში არნახული ეკონომიკური კრიზისის პერიოდია.

ტერიტორიების გადანაწილებას, საკუთარი ჰეგემონიის განმტკიცებასა, შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ინტერესების სერიოზულ შესუსტებასა და მომავალში მათ სრულ გამოდევნას ისახავდა მიზნად.

იტალიელი ფაშისტები ძველი რომის იმპერიის აღდგენის ფანტასტიკურ გეგმებზე ოცნებობდნენ და ხმელთაშუაზღვისპირეთის პატარა ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდნენ.

ასეთ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, 1930 წელს საბჭოთა კავშირში დასრულდა პარტიული დაპირისპირება კომუნისტური პარტიის ცალკეულ ფრაქციებს შორის, რომელშიც გამარჯვება იოსებ სტალინის დაჯგუფებამ მოიპოვა.

საქართველოს ახალი კონსტიტუცია მიიღეს 1937 წლის 13 თებერვალს სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო III ყრილობაზე. იგი ბრმად იმეორებდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ყველა ძირითად თეორიულ, თუ პრაქტიკულ დებულებას: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო: მთელი ძალაუფლება საქართველოს სსრ-ში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით" — ეწერა კონსტიტუციაში.

ამ კონსტიტუციაშიც ხაზგასმული იყო, რომ საქართველო „ნებაყოფლობით გაერთიანდა" სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რისთვისაც ცენტრალურ ხელისუფლებას გადასცა თავისი უფლებების ნაწილი. განსაზღვრული იყო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის საფუძვლების — საბჭოების უფლება და მოვალეობები, მოცემული იყო სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობისა და მუშაობის წესი, განისაზღვრა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის უფლებრივი სტატუსი, მათი განვითარების ძირითადი სამართლებრივი პრინციპები.

საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ კვლავ დაადასტურა 1921 და 1927 წლების კონსტიტუციების ძირითადი პრინციპი — ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

მეცნიერება

30-იან წლების შუახანებში, ტოტალიტარული რეჟიმის მიუხედავად, საქართველოში წარმატებით ვითარდებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ჩამოყალიბდა ქართული მათემატიკური სკოლა (ნიკო მუსხელიშვილი, ანდრია რაზმაძე, ვიქტორ კუპრაძე და სხვ.) პროფესორ ნიკო მუსხელიშვილის მიღწევებმა დრეკადობის თეორიაში მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

1932 წელს დაარსდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც 60 წელზე მეტხანს სათავეში ედგა მისი დამაარსებელი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

1933 წელს შეიქმნა გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1935 წელს — ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

განვითარდა ქიმიური მეცნიერება. პეტრე მელიქიშვილის მიერ დაწყებული საქმე მისმა მოწაფეებმა გააგრძელეს. სერიოზულ წარმატებას მიაღწია ქართულმა გეოლოგიურმა სკოლამ (ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე და სხვ.).

საქართველოში ტექნიკური კულტურების წარმოების ზრდამ მოითხოვა ბოტანიკის მეცნიერების მანამადე არნახული განვითარება. ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს პროფესორებმა: ნიკო კეცხოველმა, ქეთევან ბახტაძემ და სხვ.

ქართული ფიზიოლოგიური სკოლის მამამთავრის, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სახელი ცნობილი იყო როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. მისი ნაშრომები ნერვ-კუნთის, ზურგის ტვინისა და თავის ტვინის, დიდი ტვინის ქერქის, ცხოველთა ფიზიოლოგიის დარგში, გამოქვეყნდა

ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე. დიდ განვითარებას მიაღწიეს სამედიცინო დისციპლინებმა, მნიშვნელოვანი იყო ქართული მედიცინის კორიფეების (გრიგოლ მუხაძე, ნიკოლოზ კახიანი, კონსტანტინე ერისთავი, ეგნატე ფიფია, ავლიპ ზურაბიშვილი და სხვ.) თეორიული და პრაქტიკული მიღწევები ქირურგიის, გულ-სისხლძარღვთა, ფსიქოჰათოლოგიის, ფსიქიატრიის და მედიცინის დარგებში.

კომუნისტური რეჟიმის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო ჰუმანიტარული, განსაკუთრებით საისტორიო და ფილოსოფიური მეცნიერებანი. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური დოგმატიკა, მოვლენებისა და ისტორიული ფაქტების შეფასების კლასობრივი მიდგომის წესი, მეცნიერების ამ დარგის მუშაკებს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშიაყენებდა.

უფრო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა ქართული საისტორიო მეცნიერება, რომელსაც დაევალა საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპების მიხედვით გამართვა. 30-იან წლების შუახანებში გაძლიერდა პოლიტიკური ზეწოლა დიდ ქართველ მეცნიერზე, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელზე ივანე ჯავახიშვილზე. იგი იძულებული გახადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაეტოვებინა, მის მიერ შექმნილი ქართველ ისტორიკოსთა სკოლა (ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია და სხვ.) 30-იან წლებში უდიდეს მუშაობას ეწეოდა ახალი საისტორიო წყაროების აღმოჩენისა და პუბლიკაციისთვის, საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად. 30-იანი წლების შუახანებში გაიშალა დიდი არქეოლოგიური სამუშაოები თრიალეთში (ბორის კუფტინი), მცხეთაში (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე კალანდაძე, ანდრია აფაქიძე, გოგი ლომთათიძე) და საქართველოს სხვა კუთხეებში. არქეოლოგიური კვლევის განვითარებას საქართველოში, განსაკუთრებით ძველი ქვის ხანის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას, დიდი ამაგი დასდო გიორგი ნიორაძემ.

1936 წელს შეიქმნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი). ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი სიმონ ჯანაშია. ძველი ქართული ლიტერატურისა და ენის მეცნიერული შესწავლისთვის დამუშავდა ქართული და მონათესავე ენების სტრუქტურისა და ლექსიკის, ზოგადი ენათმეცნიერების, დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხები. გამოიცა ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, შეიქმნა გრამატიკის სახელმძღვანელოები, სხვადასხვა დანიშნულების (თარგმნითი, ტერმინოლოგიური, დიალექტოლოგიური და ა.შ.) ლექსიკონები, დადგინდა ქართული ენის ნორმები. უდიდესი აღიარება მოიპოვეს პროფესორების — აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიბოქავას, გიორგი ახვლედიანის, ვარლამ თოფურიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, ვუკოლ ბერიძის და სხვების სამეცნიერო გამოკვლევებმა და ნაყოფიერმა პედაგოგიურმა საქმიანობამ.

პროფესორებმა: კორნელი კეკელიძემ, შალვა ნუცუბიძემ, სერგი დანელიამ და სხვებმა სხვადასხვა პერიოდის ქართული ლიტერატურის, კულტურისა და აზროვნების განვითარების მრავალი კარდინალური საკითხი გააშუქეს.

დიდი ყურადღება დაეთმო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესწავლას, სისტემატურად ქვეყნდებოდა ხალხური ლექსები, სიმღერები და არაკები.

ყოველწლიურად იზრდებოდა ქართული სამეცნიერო პოტენციალი. სამეცნიერო კადრების უკეთ ორგანიზაციისათვის 1932 წელს შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილება, რაც 1935 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად გადაკეთდა. 1941 წლის თებერვალში შეიკრიბა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი კრება, რომელმაც 16 თვალსაჩინო მეცნიერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩია. აკადემიის პირველი პრეზიდენტი იყო მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, წევრები: სიმონ ჯანაშია, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშილი, გიორგი ხაჭაპურიძე, კირიაკ ზავრიევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, ფილიპე ზაიცევი, კორნელი კეკელიძე, ნიკო კეცხოველი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე ჯანელიძე, ტარასი კვარაცხელია, გიორგი ჩუბინაშვილი.

ქართული ლიტერატურა და მწერლობა

1933 წლის 2 ოქტომბერს საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილობა „საქართველოს საბჭოთა მწერლობის შემდგომი განვითარების შესახებ.” ქართველ მწერლებს გარკვევით მიუთითეს კომუნისტური რეჟიმის ძირითადი დავალება — მათ უნდა შეექმნათ „მაღალხარისხოვანი

მხატვრული პროდუქცია, რომელშიც ასახული იქნება გიგანტური ძვრები, ჩვენი ქვეყნის უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის წარმოებული გმირული ბრძოლა.”

თანამედროვე კრიტიკოსები ქართველ მწერლებს გასაქანს არ აძლევდნენ: შალვა დადიანს უყიჟინებდნენ ფეოდალური ეპოქის იდეალიზაციას, კონსტანტინე გამსახურდიას — ევროპული ბურჟუაზიული კლასიკური იდეალიზმის გალვანიზაციის ცდებს, გრიგოლ რობაქიძეს) მოდერნიზმისა და აღმოსავლური ეგზოტიკის რომანტიკულ აღრევას, იოსებ გრიშაშვილს ძველი თბილისის ბოჰემის გადაჭარბებულ იდეალიზაციას და ა.შ. გრიგოლ რობაქიძემ ვერ გაუძლო შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვას, 1934 წელს ემიგრაციაში წავიდა და სამშობლოში აღარ დაბრუნდა.

ეპოქის ლიტერატურული იდეალი იყო ეგნატე ნინოშვილის სპირიდონ მცირიშვილი — რევოლოვიურ-რომანტიკული ფიგურა. ყოველმხრივ ახალისებდნენ პროლეტარული რიგებიდან გამოსულ პოეტებსა და მწერლებს — სანდრო ეულს, იონა ვაკელს, გიორგი ქუჩიშვილს და სხვ.

1934 წელს საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობას ქართველ მწერალთა დელეგაციაც ესწრებოდა. ყრილობამ განსაზღვრა საბჭოთა მწერლობის ამოცანები და მათ კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მიზნების რეალიზაცია დაავალა. ფორმით ეროვნული, და შინაარსით ინტერნაციონალისტური კულტურის სტალინური დოგმა ყველა საბჭოთა ხელოვანის ძირითადი ამოსავალი გახდა.

მიუხედავად ზეწოლისა, 20-30-იანი წლების ქართული პოეზია და პროზა უდიდეს აღმავლობას განიცდიდა. ამ პერიოდში განვითარდა და დაიხვეწა ქართული რომანის ფორმა, მისი შინაარსი. შემოქმედებით მუშაობას აგრძელებდნენ დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, საყოველთაო აღიარება მოიპოვეს კონსტანტინე გამსახურდიამ, ნიკო ლორთქიფანიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, დემნა შენგელაიამ, შალვა დადიანმა და მრავალმა სხვამ. ამ წლებში შეიქმნა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა”. „მთვარის მოტაცება”, ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი”, „რაინდები”, „საქართველო იყიდება”, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები’, „არსენა მარაბდელი”, „ქალის ტვირთი”, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი”, სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე”, აკაკი ბელიაშვილის „ახალგაზრდები” და სხვა მრავალი.

ეპოქის სულისკვეთებას ასახავდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი”, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა” და მსგავსი ჟანრის სხვა ავტორების ნაწარმოებები, სადაც შექებული იყო სოციალისტური სინამდვილე.

1935 წელს საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, კრემლთან შეთანხმებით, მიიღო დადგენილება შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის” 750 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ. საკმაოდ ხანგრძლივი სამზადისი დაგვირგვინდა ბრწყინვალე დღესასწაულით, როგორც თბილისში, ისე მოსკოვში. გამოვიდა პოემის საიუბილეო, ძვირფასი გამოცემები ქართულ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ენებზე, შესრულდა რუსული თარგმანი (მათ შორის ბორის პასტერნაკი, შალვა ნუცუბიძის), საქართველოს კინოსტუდიამ პოემის მოტივებზე შექმნა ფილმი „ქაჯეთი”, ქართველმა მხატვრებმა (ლადო გუდიაშვილმა, თამარ აბალეკიამ, ირაკლი თოიძემ, სერგო ქობულაძემ და სხვ.) შექმნეს პოემის ორიგინალური და საინტერესო ილუსტრაციები. მოგვიანებით თბილისის ცენტრში აღიმართა შოთა რუსთაველის დიდებული ძეგლი (მოქანდაკე კონსტანტინე მერავიშვილი).

30-იან წლებში ილია ჭავჭავაძის მიმართ არსებული ნიჰილისპური დამოკიდებულება შეიცვალა, რაშიც აშკარაა სტალინის როლი. სისტემატურად ქვეყნდეობდა მისი ნაწარმოებები, იქმნენოდა მონოგრაფიები მისი შემოქმედების სხვადასხვა ასპეტქტის გასაშუქებლად. 1937 წლის მაისში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

ქართული თეატრი

30-იანი წლები შუახანებში ჩინებული პირობები შეიქმნა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. 20-იანი წლების მიღწევვები თეატრალური ხელოვნების დარგში კიდევ უფრო განმტკიცდა. კოტე მარჯანიშვილის ლეგენდარულმა დადგმებმა: „ცხვრის წყარო”, „ურიელ აკოსტა”, „ჰამლეტ”, საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს. პოპულარული და ხალხის საყვარელი მსახიობები — თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე და სხვები ქმნიდნენ რომანტიკულ-ჰეროიკულ სახეებს, რაც გარკვეულად, ისტორიული ეპოქის მოთხოვნებს პასუხობდა.

თეატრალური ხელოვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა. სიახლის გრძნობა, ჰეროიზმი, რომანტიკულ-ფილოსოფიური თეატრის ახმეტელისეული კანონები განსაზღვრავდნენ სახელგანთქმული რუსთაველის თეატრის იმჟამინდელ რეპერტუარს: ლავრენების „რღვევა", შანშიაშვილის „ანზორი", განსაკუთრებით კი რობაქიძის „ლამარა" ჩინებულად ასახავდნენ ეპოქის მოთხოვნებსა და კულტურულ-ესთეტიკურ ღირებულებებს, თუმცა თვითონ სანდრო ახმეტელი მასობრივ რეპრესიებს შეეწირა.

თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. საერთოდ, 30-იანი წლები საქართველოში თეატრალური ხელოვნების აღმავლობის წლებია. სხვადასხვა ქალაქში (ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, ჭიათურა, გორი) შეიქმნა პროფესიული თეატრალური კოლექტივები (1940 წელს საქართველოში 48 თეატრი იყო). ქართული თეატრის მაღალი დონე ცხადყო თბილისის რუსთაველის თეატრის გასტროლებმა მოსკოვში (1936 წ.) მოსკოვის პრესა აღფრთოვანებულ რეცენზიებს აქვეყნებდა, საუბრობდნენ ეროვნული ხელოვნების განვითარებისათვის სუკეთესო პირობებზე სტალინურ ეპოქაში.

ქართული კინოხელოვნება

1923 წელს რეჟისორმა ივანე პერესტიანმა გადაიღო ფილმი „წითელი ეშმაკუნები", რომელიც საბჭოთა კინოს შედევრად მოინათლა. მთელი კომუნისტური ეპოქის პერიოდში, რამდენადაც კინომრეწველობა მთლიანად სახელმწიფოს საკუთრება იყო, მისი პროდუქცია საბჭოთა იდეოლოგიის ინტერესებს ემსახურებოდა. ქართული კინოს განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს: კოტე მარჯანიშვილმა, მიხეილ ჭიაურელმა, ნიკოლოზ შენგელიამ, დავით რონდელმა, ლეო ესაკიამ, სიკო დოლიძემ და სხვებმა. უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა კინომ — როგორც კომუნისტური პროპაგანდის საუკეთესო საშუალობამ. საქართველოში 1940 წელს უამრავი კინოთეატრი და 351 კინოდანადგარი იყო.

პარტიული კონტროლისა და იდეოლოგიური წნეხის პირობებში ქართული კინო მაღალმხატვრულ ეროვნულ პროდუქციას ქმნიდა. ამ პერიოდში შეიქმნა ნიკოლოზ შენგელაიას შედევრი — „ელისო", მიხეილ ჭიაურელის „არსენა", სიკო დოლიძის „დარიკო".

ქართული პროფესიული მუსიკა

სამუსიკო განათლება მასობრივი გახდა, ინტენსიურად ვითარდებოდა ქართული მუსიკალური ხელოვნება. არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ რაიონულ ცენტრებში გაიხსნა სამუსიკო სასწავლებლები. შემოქმედებით მოღვაწეობას განაგრძობდნენ ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ია კარგარეთელი, მელიტონ ბალანჩივაძე, შალვა აზმაიფარაშვილი და სხვები. აღიარება მოიპოვეს სახელგანთქმულებმა მომღერლებმა: ვანო სარაჯიშვილმა, ნადეჟდა ხარაძემ, დავით ანდღულაძემ, სანდრო ინაშვილმა, პეტრე ამირანაშვილმა, ნადეჟდა ცომაიამ, მერი ნაკაშიძემ, ბიკო ქუმსიაშვილმა და სხვებმა. ამ პეროდში მოღვაწეობდნენ დირიჟორები ივანე ფალიაშვილი, ახალგაზრდა ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი და სხვ.

სწორედ 30-იან წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა ლენინგრადში მოღვაწე ქართველმა ბალეტმეისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, რომელმაც მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში სათავე დაუდო მამაკაცის გამორჩეულ როლს, შესრულების რომანტიკულ მიმართულებას.

ვითარდებოდა სიმფონიური მუსიკა. 30-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ქართულ ინსტრუმენტალურ მუსიკას. 1936 წელს ანდრია ბალანჩივაძემ დაუკრა 1 საფორტეპიანო კონცერტი. განვითარდა კამერულ-ინსტრუმენტალური მუსიკა (შალვა თაქთაქიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, რევაზ გაბიჩვაძე და სხვ.)

სახვითი ხელოვნება

XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების საფუძველს აყალიბებენ იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, გიგო გაბაშვილი, დავით კაკაბაძე, ირაკლი თოიძე, უჩა ჯაფარიძე, ქეთევან მაღალაშვილი, თამარ აბაკელია და სხვები. თუმცა, კომუნიზმის იდეოლოგიური მოთხოვნები ვერ აიცილეს და ეპოქის შესატყვისად ერთგვარი „ხარკი" გაიღეს საკუთარ შემოქმედებაში.

ნაილი ხარაიშვილი

ჩემი მადლიანი წინაპრები
("მეწამლე" ხარაიშვილები)

ისტორიულად ცნობილია, რომ ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო მედიცინას და ტაძრებისა და მონასტრების საშუალებით ავრცელებდა მას ერში.

ხალხში შემონახული ცოდნა დიდი განძია, რომელსაც გამოვლენა, შესწავლა და გავრცელება სჭირდება.

ღმერთმა დალოცოს
ქალბატონი ნაილი
ხარაიშვილი ხეთერელისა
ილია II
12/ VI 2000წ.

1967-68 წლებში საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანის საშუალო სკოლის მე11-ე კლასში ვსწავლობდი. ვცხოვრობდი სოფელ ხვანში, ჩემი მამის მშობლებთან — შუშანა ბებიასთან და გიორგი ბაბუასთან. ისინი ხშირად მესაუბრებოდნენ თავიანთი წინაპრების შესახებ. რამდენიმე ეპიზოდი მათი ცხოვრებიდან ჩემს მეხსიერებას შემორჩა, როგორც მეტად საინტერესო, შემეცნებითი კინოსიუჟეტი. გიორგი ხარაიშვილმა ზეპირად იცოდა თავისი გვარის გენეალოგიური რუკა. დაახლოებით XVII საუკუნეში უცხოვრია ფარსადან ხარაიშვილს, რომელიც სიბრძნითა და ვაჟკაცობით ყოფილა ცნობილი ზემო იმერეთში, ფარსადანის ვაჟზე, პაპუნა ხარაიშვილზე, დღემდეა შემორჩენილი სოფელში ლეგენდები მის ქველმოქმედებასა და ნიჭიერ შემოქმედებაზე.

ნოე ხარაიშვილი

გიორგი ხარაიშვილს 4 შვილი ჰყავდა მარგარიტა, შურა, დიმიტრი და ნოე. რომლებმაც თავის მხრივ ნამდვილი ქართული ტრადიციების მქონე, ნიჭიერი შთამომავლობით გაამდიდრეს ხარაიშვილების გვარი. ესენი არიან პროფესორები ეთერი, ნათელა, დიმიტრი, ირაკლი, ჯუმბერი, ნოდარი, თეიმურაზ ხარაიშვილები. სოფ. ჭალოვანის სკოლა ოქროს მედალით დაამთავრეს ჯუმბერი და ნაილი ხარაიშვილებმა.

ნოე ხარაიშვილი II მსოფლიო ომში იბრძოდა, დაჯილდოვებული იყო სხვა და სხვა მედლებითა და ორდენებით. უფროსი ლეიტენანტი მძიმედ დაჭრილა, ინვალიდი დარჩა, ფეხი მთლად გაუშეშდა, მუხლს ვერ ხრიდა. ნოემ უარი თქვა შინ დაბრუნებაზე და თეორიულად რომ დახმარებოდა სამშობლოს, ალმა-ატის სამხედრო აკადემიაში ჩააბარა გამოცდები, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1944წელს.

ნოე საჩხერის რაიონის სამხედრო კომისარის მოადგილედ დანიშნეს, ამავე დროს რუსულ ენას ასწავლიდა ჭალოვანის საშუალო სკოლაში, სადაც გაიცნო ახლადმოვლინებული, საქართველოს ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას ბიძაშვილი მარი კოსტავა, ახალგაზრდა პედაგოგებს ერთმანეთი შეუყვარდათ და ცხოვრების 50 წელი ერთად გაატარეს. მარი კოსტავა ერთადერთი უმაღლეს დამთავრებული გეოგრაფი იყო იმხანად საჩხერის რაიონში, ამიტომ თითქმის ყველა სოფლის საშუალო სკოლის დამთავრებულის ატესტატს ის აწერდა ხელს. ნოე ხარაიშვილმა ისე ბრწყინვალედ იცოდა რუსული ენა, რომ რაიკომიდან მოსკოვში გასაგზავნ დოკუმენტებს ნოე უკეთებდა კორექტირებას.

ნოე ხარაიშვილისა და მარი კოსტავას ინტელიგენტური ოჯახი მთელი საჩხერის რაიონის მოსახლეობისთვის ცნობილი იყო, როგორც ბრწყინვალე პედაგოგების, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და კარგი შვილების აღმზრდელი ოჯახი.

ხარაიშვილები ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევიან. 108 წელი უცხოვრია ნოეს ბებიას აღათის, 114 წელი იცოცხლა ნოეს დედის მხრიდან სევასტიამ, 107 წელი ნოეს დედამ შუშანამ, 100 წელზე მეტი უცხოვრია გიორგი ხარაიშვილის წინაპრებს.

დაახლოებით 1938-40 წლებში ლაგოდეხის განათლების განყოფილების გამგე ყოფილა ნოეს ბიძა ვასილ ხარაიშვილი, რომლის მოღვაწეობის დროს რამდენიმე საშუალო სკოლა გახსნილა ლაგოდეხის რაიონში.

მარი კოსტავა, ნოე ხარაიშვილი, ვასილ ხარაიშვილი ჩემი აზრით საზოგადო მოღვაწეები იყვნენ იმ დროის საქართველოში, რომლებიც ასე თავგამოდებით იღწვოდნენ ახალგაზრდა თაობის განვითარებისათვის.

ჩვენ ჩადუნლები ვყოფილვართ, სხვადასხვა მიზეზის გამო სამ შტოდ დავყოფილვართ: ჩადუნლებად, ხარაიშვილებად და ხარაზიშვილებად. ამ ისტორიულ ფაქტს პოეტი გულნაზი ხარაიშვილი ასე აღწერს ლექსში:

ჩადუნლები, ხარაიშვილები და ხარაზიშვილები ერთი გვარისაა

ვყოფილვართ ფუძით ჩადუნელები,
ვკითხოთ წინაპრებს, რა მოხდა მერე?
ვყვაოდით ისე ვით ენძელები,
გვარის გაყოფას მითებში წერენ.
ხარივით ვხნავდით ჩვენს კუთვნილ მიწას,
დედით ირწოდა ტკბილი აკვანი.
ასე გამრავლდა, ოთარ და ნიკა,
ასე გამრავლდა, ხვანი ჭალვანი.
მეცნიერები, მჭერმეტყველები,
ჩვენს გვარში უფლით ბევრი ერია
და გაზაფხულის თეთრი ტყემლები,
ბებერ მიწაზე ახლაც მღერიან.
ალბათ უფალმა ასე ინება,
საგვარეულოს გვარის დაყოფა.
ღვთის სიყვარული ჩვენით იწყება,
ჩვენ ღმერთმა გრძნობით დაგვაწყალობა.
ხოლო ნათელა ხარაიშვილი, ლექსით ამბობს რომ საბანელა თურმე ხარაიშვილის გვარის ფუძე ყოფილა
„აქ დაირწა გვარის წმინდა აკვანი
აქ ხომ წყალი მოჩუხჩუხობს ანკარა,
გვარი არის ჭირ-ვარამის ამტანი.

პაპუნა ხარაიშვილი

საჩხერის რაიონის სოფელ ლიჩიდან არიან წარმოშობილი. გვარის წინაპრები ყოფილან ჩადუნელები. ჩადუნელებსაც, როგორც სხვა მრავალ გვარს, ანალოგიური ისტორია ჰქონიათ. გაუნაწყენებიათ ბატონი, გაქცეულან და თავიანთი ფიზიონომიის შესაფერის გვარად — ხარაიშვილად გადაუკეთებიათ. როგორც თანამედროვე ხალხისათვის საყვარელი პოეტი ავთანდილ ხარაიშვილი გვიამბობს, სიტყვა - "ხარ" არაბულად ნიშნავს ცეცხლოვანს, ხარაიშვილები მართლაც ცეცხლოვანი, ტემპერემენტიანი და, ამავე დროს რომანტიკულები არიან.

განსაკუთრებული ახოვანებითა და სილამაზით გამოირჩევიან კაცები. ნამდვილი ქართველის დამახასიათებელი ცისფერი თვალები და ქერა თმა აქვთ. ქალები არიან ოდნავ ფიცხები, მაგრამ ოჯახის უერთგულესი თვისებებით დაჯილდოებულნი. ძალიან იშვიათობაა, ან საერთოდ არ არის დანგრეული ოჯახი, როდესაც ქალი ან კაცი ხარაიშვილის გვარისაა. სწორედ ასეთი ყოფილა XVIII საუკუნეში მცხოვრები პაპუნა ხარაიშვილის ოჯახი.

ლეგენდა I

ერთ წელიწადს სოფელს შავი ჭირი შეჰყრია. ხალხი იხოცებოდა. განსაკუთრებით დაავადებას ჩვილი ბავშვები ვერ უმკლავდებოდნენ. პაპუნას ოჯახი მცენარეულ წამლებს ამზადებდა. სოფელი ამჩნევდა, რომ ამ ოჯახიდან კუბო არ გაჰქონდათ. ჩვილი ბავშვების მშობლებს პირი შეუკრავთ, რათა თავიანთი ჩვილები პაპუნასთვის მიებარებინათ სამკურნალოდ და გასაზამთრებლად...

ღამის ოთხ საათზე, როდესაც პაპუნას მრავალსულიან ოჯახს ეძინა, ძილი დაურღვევია ეზოს ჭიშკართან მიყვანილ 14 აკვანში მტირალ ჩვილებს.

პაპუნამ განსაზღვრა, რომ ამდენ ჩვილს მისი სახლი ვერ დაიტევდა. სთხოვა ოჯახის წევრებს თავლა დაეცალათ, დაეთბუნებინათ, შიგ ბუხარიც მოეწყოთ და ჩვილები იქ გამოეზამთრებინათ. 8 თვე ჰყოლია პაპუნას ბავშვები და გაზაფხულზე მერცხლებივით ჯანმრთელი და მოჭიკჭიკე დაუბრუნებია თავიანთი პატრონებისათვის.

ლეგენდა II

XIX საუკუნის დასაწყისში სოფელში ჟანდარმების ოთხკაციანი ჯგუფი ტყეში ეძებდა გაქცეულ ყაჩაღებს. 3 დღიანი ინტენსიური ძებნის შემდეგ ჟანდარმებიც და მათი ცხენებიც დაღლილ-დაქანცულები მიდგომიან პაპუნა ხარაიშვილის შვილის, ივანე ხარაიშვილის ოჯახს. ივანე 2 მეტრის სიმაღლე, ბრგე ვაჟკაცი ყოფილა. სტუმრები დიდი პატივით შინ შეუპატიჟებია. ბოსლიდან სახარედ გამზადებული ბუღა გამოუყვანია დასაკლავად, ცოლი სთხოვდა თურმე, რომ სხვა საკლავიც ბევრი ჰყავდათ და ეს განსაკუთრებულად მოვლილი ბუღა არ დაეკლა. ცოლის სიტყვები ივანეს ყურად არ უღია. ბუღა ხეზე მიუბამს რქებით, ხმალი უშიშვლებია და ერთი ხელის დარტყმით თავი წაუგდებინებია. ორი დღე და ღამე დარჩენილან ჟანდარმები ივანესთან. მესამე დღეს, როდესაც ოჯახის წევრები სტუმრებს აცილებდნენ, ჟანდარმერიის უფროსს ვერცხლის ქამარ-ხანჯალი მოუხსნია და ივანესთვის საჩუქრად გადაუცია. შინ მობრუნებულ ივანეს თავისი ოჯახის წევრებისთვის უთქვამს: უფალი მადლს არავის უკარგავსო. თქვენ კი დაგენანათ ბუღას დაკვლა, მაგრამ მათი ნაჩუქარი ნივთი ისეთი ძვირფასია, ჩვენ ამის ფასად 3 ბუღა შეგვიძლია ვიყიდოთო. ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ივანეს არ გაუყიდია, ის შთამომავლობით გადაეცემოდა ოჯახებს. დღესაც ეს ნივთი, როგორც ძვირფასი რელიქვია, გადაეცემა ივანე ხარაიშვილის შთამომავლებს.

გიორგი ხარაიშვილი მეოცე საუკუნის გენიალური ფერმერი

ჩემი ბაბუა, გიორგი ხარაიშვილიც, საჩხერის რაიონის სოფელ ხვანში ცხოვრობდა. ის დაბადებული ყოფილა 1890 წელს. გიორგის წერა-კითხვა მოძღვრებისგან უსწავლია. სოფელ ხვანში არის მეექვსე საუკუნის მცირე ბაზილიკური წმ. კვირიკეს სახელობის ტაძრის ნანგრევები და მე-19 საუკუნეში აგებული წმ. გიორგის სახელობის ტაძარი. კომუნისტურ პერიოდში ტაძრების მასიური ნგრევა რომ მიმდინარეობდა, გიორგის სოფლის მამაკაცები შეუკრებია, ტაძარს გარს შემორტყმიან და დანგრევას გადაურჩენია. ამ ტაძრიდან მიცვალებულს წმინდა მართლმადიდებლური წესით კრძალავდნენ. გარდაცვალებიდან მე-3 დღეს ტაძარში დაასვენებდნენ, ღამეს უთევდნენ, პანაშვიდს უხდიდა მოძღვარი, წესს აუგებდა და ნაკურთხ საფლავს მიაბარებდნენ.

როგორც მისი წინაპრები, გიორგიც ძალზედ ჭკვიანი მეურნე გახლდათ. თავის ეზოში გიორგის ჰქონდა სამჭედლო, სადაც 8 სოფლის მაცხოვრებთ ამარაგებდა რკინის იარაღებით. მახსოვს, გავარვარებულ რკინას, ურუოთი და ჩაქუჩით როგორ აძლევდა ბაბუა თოხის, ბარის, წალდის, ნაჯახის და სხვა სოფლებისთვის საჭირო ნივთების ფორმას. როდესაც ბაბუა სახლში არ იყო, ბავშვები "საბერველის" (ჰაერის შესაბერი მოწყობილობა ღუმელში ანთებული ცეცხლისთვის) ტარს ჩამოვეკიდებოდით და აიწონა-დაიწონას ვთამაშობდით.

გიორგი ხარაიშვილი ვენახის ბოლოს მოიპოვებდა კერამიკულ თიხას. თიხისგან ოჯახი ამზადებდა თონეებს, დოქებს, ფიალებს, ჭინჭილებს (მცირე ზომის სურა, საიდანაც ღვინო დალევის დროს სასიამოვნოდ რაკრაკებს). დღევანდელ გადასახედიდან გიორგი იყო კვალიფიციური ეკონომისტიც. ის ასაქმებდა სოფლის მოსახლეობას. ორ წისქვილში მეწისქვილეები და მათი დამხმარეები ჰყავდა დასაქმებული. ზაფხულში ტყეში გამოხშირავდნენ ტყეებს (ჭრიდნენ) ხეებს. ხერხავდნენ, აშრობდნენ და ზამთარში აკეთებდნენ ავეჯს. დღესაც გვაქვს შემორჩენილი გიორგის მიერ გაკეთებული ე. წ. "ბუფეტი", რომელიც ძვირადღირებულ, მაღალი გემოვნებით შესრულებულ ნივთად შეიძლება ჩათვალოს.

საოცარი სითბოთი და სიყვარულით დაიტირეს მეზობლებმა და ნათესავებმა 96 წლის გიორგი.

აღნიშნავდნენ მის უანგრო სამსახურს სოფლის მაცხოვრებლების წინაშე. ვის წყალი არ ჰქონდა და ჭა აუშენა, ვის ბუხარი არ ჰქონდა და გაუკეთა... გიორგი დაიტირეს, როგორც ცნობილი მოღვაწე.

ასევე პატივცემული და დაფასებული იყო ცნობილი პოეტების ბეჟან და გულნაზი ხარაიშვილების მამა ჭიჭიკო ხარაიშვილი. ჭიჭიკო ჭიათურის მარგანეცის მაღაროში მუშაობდა ბრიგადირად. 6 შვილი გაზარდეს

ჭიჭიკომ და მისმა მეუღლემ, დონიკამ, ასევე, კეთილმა, ჭირის და ლხინის ვაჟკაცურად გადამტანმა ქალბატონმა. შვილებს ღვთის შიშსა და ადამიანის სიყვარულს უნერგავდნენ მშობლები. დღე და ღამე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, რათა ესწავლათ და სამშობლოს გამოდგომოდნენ ისინი.

აკი დაუფასდათ კიდეც მშობლებს ამაგი. ბეჟან და გულნაზი ხარაიშვილები, არა მარტო ჭიჭიკოს და დონიკას, არამედ სრულიად საქართველოს გულმართალი შვილები, ნიჭიერი პოეტები არიან. სამწუხაროდ, ბეჟანი ადრე გადავიდა მარადიულ სასუფეველში.

გულნაზი და ბეჟან ხარაიშვილის ლექსები.

მათ ყოველ ლექსში იგრძნობა სიმტკიცე, სიყვარული, სიმშვიდე, მაღალ ადამიანური განცდები, უფლის რწმენა და სიყვარული.

მე რომ კრიტიკოსი ვიყო მათ ლექსებს მსოფლიო განზოგადების კრიტერიუმს მოვუძებნიდი.

გულნაზი ხარაიშვილის ლექსები ფრესკებთან ანთებული სანთლების ციციმს მაგონებს, გულსა და სულს სითბოთი და სიყვარულით რომ ესალბუნება.

მორწმუნე "მეწამლეები"

XVII საუკუნიდან იღებს სათავეს ზეპირსიტყვიერებით გადაცემული სამკურნალწამლო რეცეპტები ხარაიშვილების გვარისა. განსაკუთრებით ცნობილი იყო სეფრო და თამარ ხარაიშვილების წამლები. ისევე, როგორც პაპუნა ხარაიშვილთან, მათთანაც ურმით მოჰყავდათ მომაკვდავი ავადმყოფები. მკურნალი მართლმადიდებელი მორწმუნენი იყვნენ. ისინი ავადმყოფს მკურნალობასთან ერთად ლოცვებსაც უკითხავდნენ, ღამეს უთევდნენ, თუ მოუნათლავი იყო, მოძღვარი მოჰყავდათ და ნათლავდნენ, აზიარებდნენ. ხარაიშვილების ორი შტო ყოფილა: ერთი მცირე მორწმუნენი, მეორე კი ღრმა მორწმუნენი (როგორც ხალხი უწოდებდა მათ). სოფელში ახლაც იხსენებენ, როდესაც ვინმეს ავადმყოფისთვის წამალზე გააგზავნიდნენ, სახლის აივნიდან გადასძახებდნენ: "მორწმუნე ხარაიშვილებისაგან მოიტანე წამალი, მათი დამზადებული უფრო მოსახდენიაო".

სამკურნალო საშუალების დამზადებისას "მორწმუნე მეწამლე ხარაიშვილები" იყენებდნენ საკმეველს, ნაკურთხ წყალს, სანთელს თაფლს, სპეციალურად დამზადებულ ღვინოს, სხვადასხვა მცენარეულ ზეთებს და გამონაწვლილებას.

ბებია შუშანამ, გიორგი ხარაიშვილის ცოლმა, მე პირად შემასწავლა წამლის დამზადების ტექნოლოგია. ამ გადასახედიდან ისინი წამლებს უნიკალური მეთოდებით ამზადებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ წამლის შენახვის განსაკუთრებული პირობები, სამკურნალო ნაყენი არ ფუჭდებოდა. ხარაიშვილები წამლებს ამზადებდნენ საეკლესიო, სატაძრო მედიცინის მეთოდებით, რაც მკურნალობაში ლოცვის ჩართვას გულისხმობს. დღეს ამ მეთოდს ამერიკის თანამედროვე კლინიკებშიც იყენებენ.

წინაპართა გამოცდილების გაზიარება აუცილებელი პირობაა მომავალი თაობებისა. 20 წელია ვმუშაობ ტრადიციული მედიცინის აღდგენის გამგედ პარტიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ხელოვნება

თამარ ჯაჭვაძე

ლეგენდარული შვიდი ნომერი

ორპირნალესი ნიჭი
(როცა სტადიონი დუმს)

ნიჭიერებითაა დასჯილი ქართველი კაცი. ხელოვნების დონეზე აუყვანია დასაბამიდან ხმლის ტრიალი თუ გუთნისდედის შემოძახილი. ქვაში უკვეთია მომღერალი სული, ბარელიეფებზე დაუღლია ნაომარი მარჯვენა. ფრესკებად დაუტოვია ტაძრის კედლებზე თავისი ფიქრი, სიხარული და მწუხარება. ასე უდენია ქართულ სულს, ასე გადმოუვლია საუკუნეები... იბრძოდა და მღეროდა, ხნავდა და ღიღინებდა, თოხნიდა და ნადურს დასძახოდა.

შემოქმედად იყო დაბადებული მეომარი თუ გუთნისდედა, კირითხურო თუ ჩუქურთმისმჭრელი. შემოქმედება ხომ სულის განთავისუფლებაა არა მარტო სხეულის, არამედ ყოველივე მიწიერისაგან. ყოველ შემოქმედში (ხელოვნების რომელ დარგშიც არ უნდა მუშაკობდეს) პატარა ბავშვია შემორჩენილი. ბავშვურად გულუბრყვილო კი არა, ბავშვურად სუფთაა და წმინდა შემოქმედის სული; მარადიულად მეოცნებე და მაძიებელი, სული მბორგავი და მოუსვენარი. თავად შემოქმედის მეტმა არავინ იცის, რა რთული გზაა სულიერი სამყაროდან ჩვეულებრივ, ადამიანურ ყოფიერებაში დაბრუნება. ისიც არავინ იცის ბედის სასჯელია თუ ჯილდო, რომ ერი მომღერალი და შემოქმედი — მეომრადაა გაჩენილი. დასაბამიდან ჯაჭვგაუხდელი ყოფილა არა მარტო სხეული, არამედ სულიც. ჟამიდან ჟამზე, როცა გარეშე მტერი დუმდა, ხმლისა და ტყვიის ზუზუნი წყდებოდა, ბრძოლის ჟინს მხოლოდ მაშინ ანაცვლებდა შემოქმედებითი ჟინი. მერე და როგორ ამშვენებდა ბრძოლაში დაღლილ მარჯვენას ფანდურზე როკვა, მაშინ, როდესაც ბრძოლის ქარტეხილს მყუდროების ნიავი სცვლიდა.

ხანგრძლივ მშვიდობას ვერგუებული მებრძოლი სული ტრადიციულ თამაშობებში იჟონებოდა და ასე მოდიოდა საუკუნეთა მიღმიდან სპორტულ სანახაობრივი თამაშობები: დოღი, ჯირითი, ლახტი, ჭიდაობა, ბერიკაობა, ლელობურთი, ფარიკაობა... ცეკვა და სპორტი, სადაც ქართველი კაცის ხასიათი და მისწრაფება ისახებოდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში დიდი საფეხბურთო ციებ-ცხელება შეეყარა საქართველოს. ეს თბილისის “დინამოს” ოქროს ბიჭების "ბრალი” იყო. მთელი საქართველო ფეხბურთით

დაავადებულიყო, ფეხბურთით სუნთქავდა და ცოცხლობდა. ყოველ ოჯახში ტელეეკრანებით შემოდიოდნენ ოჯახის წევრებივით შეყვარებული "დინამოელები," ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყე და სიყვარული! დღეს თითქმის ლეგენდად ქცეულან ის ბიჭები, საქართველოს სახელი რომ შეახსენეს და დაახსომეს მსოფლიოს.

ფასეულობის გადაფასებათა ცრუ ეპოქაში, დავიწყებული სიყვარულივით გაიხსენე, საქართველოვ, ის პატარა ბიჭები, შენი დიდი სახელი ავგაროზივით რომ გაიტანეს და ატარეს მსოფლიოს გზებზე. რამდენი ასეთი დიდი მამულიშვილი გყოლია, საუკუნეთა წიაღიდან რომ ანათებს მათი სახელი და "საქმენი საგმირონი", ეგაა მხოლოდ, ჯერ კიდევ გუშინ მობობოქრე, მშვიდობიანი მეომარი შვილები დაგვიწყებია, გულნატკენი გაგიშვია ბრძოლის ველიდან და დღესაც, სხვადქცეულ თუ სხვისადქცეულ ქვეყანაში, სადაც ტრიუმფალურ შეხვედრებს ვუმართავთ უცხო ქვეყნიდან შემოხეტებულ მომღერლებსა თუ მუსიკოსებს, ჩრდილს შეფარებულნი დგანან შენი დიდი შვილები, ისინი, ვისი ცხოვრებაც სამაგალითოდ ეყოფოდა და საუკეთესო აღმზრდელად მოევლინებოდა ჩვენს მომდევნო თაობას, იმ თაობას, ვისაც აღარ ჰყავს გმირები და იდეალები. მაგრამ თუ ჩვენი, მარად უცხოურისაკენ მიქცეული თვალებით ვერ ვხედავთ და ვერ ვამჩნევთ, განა აღარ არიან იდეალები! ისინი აქვე, ჩვენს ახლოს დადიან და თვალთუხილავი ცეცხლით იწვიან, რომ ბნელში ჩაძირული ქვეყნის გონი გადაარჩინონ.

"დიდი მანუჩარი"- ასე ეფერებოდა საქართველო "დინამო"-ს დაუმარცხებელ კაპიტანს მანუჩარ მაჩაიძეს. ლეგენდები იბადებოდა მის სიყრმესა და სიჭაბუკეზე, თუ როგორ კაშკაშებდა თბილისის ცაზე ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, როგორ იზრდებოდა და ყალიბდებოდა მარტო დიდი ფეხბურთელი კი არა დიდი ქართველი და მამულიშვილი. მას ადარებდნენ მხრებგაშლილ არწივს, ფაფარაშლილ ლომს და ვინ იცის ექსტაზში შესულნი მესსიადაც ნათლავდნენ ალბათ.

ლეგენდები ლეგენდებად რჩებიან, ლეგენდარული გმირები არ ბერდებიან, მაგრამ მანუჩარი არც ლეგენდა ყოფილა, არც არწივი და არც ლომი ფაფარაშლილი. იგი ერთი არაჩვეულებრივი ერის შვილია თავისი ადამიანური წუხილით, სიხარულით, ტკივილითა და იმედებით. მთელი თავისი ცხოვრების სტილით ერთი ჯარისკაცია მებრძოლი ქვეყნისა, ხელში უხილავი ხმალი რომ ეჭირა მარადიულად და ფხიზლად იდგა კაცურკაცობის სადარაჯოზე.

დიდმა მანუჩარმა დიდი იმედივით გაიელვა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. უცნაური იყო მისი თამაშის ტექნიკა, ხელოვნების დონეზე აყვანილი, მხოლოდ ქართული, არა მარტო ფიზიკური ძალის, არამედ გონიერების დაღდასმული. 12 წლის მანძილზე მას თბილისის "დინამოში" გამოუტოვებლად უთამაშია 295 მატჩი. ეროვნული თვითშეგნების ამაღლების წინა ხანაში, მაშინ, როდესაც ყველაფერი ერის ფილტვებით სუნთქვას იწყებდა, ფეხბურთი მარტო სპორტი, ანდა ციფრები, არ ყოფილა. საკუთარი სახელისა და დიდებისათვის კი არა, თავისი ქვეყნისათვის იბრძოდნენ ჩვენი დინამოელები. ხალხის დიდი სიყვარული იყო ყველაზე დიდი ჯილდო და მედალი... ზოგჯერ შეიძლება დიდი სიყვარულიც არ გაპატიოს ვიღაცამ... და არ შეიძლება დიდი კონსტანტინეს სიტყვები არ გაიხსენო: "დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები!" სწორედ ამიტომ, ნაადრევად მოუწია სარბიელის დატოვება "დინამო"-ს, მთელს ისტორიაში, ყველაზე ხელხვავიან კაპიტანს. ცოტა ხანს კიდევ შემორჩა გუნდს მებრძოლი მუხტი, მერე კი დადუმდა ქართული ფეხბურთი, დაღმართზე დაეშვა, ისევე, როგორც მთელი ერის ყოფიერება.

მანუჩარ მაჩაიძის ცხოვრებაში დიდიხანია სტადიონი დუმს. აღარც აცდენილ ბურთს ადევნებული გმინვა ისმის და არც გატანილი გოლების სიგიჟის ზღვარზე ასული გრიალი და გუგუნი. აღარც ვაჟკაცური შეძახილი: "დინამო"! დინამო"! "დინამო"! — მხოლოდ ქართველი კაცის ყელიდან რომ ამოდიოდა და სხვა დინამოებისაგან ქართული, გულისმიერი აქცენტით განსხვავდებოდა.

როცა სტადიონი დუმს, მაშინ სული წრიალებს და რეინკარნაციის პრინციპის მიმსგავსებით ეძებს ობიექტს, რაშიც შეიძლება გადმოიღვაროს აფორიაქებული და მეამბოხე. მაშინ გამოჩნდება ან ტილო, ან ქვა, ან მუყაო, ან სულ უბრალო ფურცელი რამე და მერე შემოქმედის სული გადმოსხეულდება მასზე. ამ სულის ხორცშესხმას ვინმე უბრალოდ ნახატს უწოდებს. სული კი

მარადიულია, ჩარჩოებში ვერჩატეული, მით უმეტეს მაძიებელი სული და ნიჭიც ხომ თანდაყოლილი სისხლისმიერი ფენომენია, სულ ერთია მის მფლობელს მხატვარს შეარქმევ თუ დიდ ფეხბურთელს.

მიუღწეველის მიღწევის ჟინით შეპყრობილი, სწორედ რომ შემოქმედად დაბადებულა მანუჩარი. იგი ფეხბურთშიც შემოქმედი იყო და მწვანე მინდორზე დაუხარჯავი ენერგია, ძალა თუ ნიჭი დღეს მის ფერწერულ ტილოებზე ჩამოღვენთილა. სული გადმოსხეულებულა მის, როგორც ადრეულ წლებში ამბობდნენ "გატაცებაში", რომელსაც მისი უდიდებულესობა — მხატვრობა ჰქვია. ფეხბურთის დიდოსტატის მებრძოლი სული ტილოზე გამოსულა სათამაშოდ და როგორც იქ, მწვანე მინდორზე, აქ ფერად პალიტრაზეც ბობოქრობს დიდი მანუჩარი. აშენებს და აფერადებს საკუთარ სამყაროს. ამ საკუთარ სამყაროს კი, რამდენი გრძნობა დაუტევია! გრძნობათა განსხეულება, რომლისათვისაც ერთ მშვენიერ დღეს სული უნდა მოსთხოვონ მხატვარს. ეგაა მხოლოდ სულის ნაწილი მწვანე მინდორზე დარჩენილა, წარსულის ტკივილიან ხილვებთან ერთად. თითქოს ზღაპრული "კრისტრაში'' შეუქმნია შემოქმედის სულს, გაყოფილა არა მხოლოდ ორ, არამედ რამდენიმე თანაბარ ნაწილად და თუ სამშობლოს მიავიწყდება ფეხბურთის დიდოსტატი, მხატვარი არ მისცემს უფლებას დროთა დინებას, რომ მივიწყებას გაატანოს მისი სახელი. თუ მხატვარს სული უნდა მოსთხოვონ, სულის ნაწილი მწვანე მინდორს შერჩება და პირიქით, თუ ფეხბურთის დიდოსტატის სული სჭირდება ვინმეს, მისი ნაწილი ჩარჩოებში მომწყვდეულ სამყაროში იფანტება. პოეტიც შეყუჟულა მანუჩარის სულში, მუსიკოსიც და დიდი ერის შვილიც, რისი დასტურიც მისი წიგნია - "ერი და თანამედროვეობა". ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიით ინჟინერ-მშენებელია იგი. მრავალი გამოკვლევის, სამეცნიერო ნაშრომების, მრავალი წიგნის ავტორი, საკუთარი პროფესიის დიდოსტატი სამშენებლო საქმეში, რკინა-ბეტონის ტექნოლოგიაში, თუმცა რომელ სფეროში არ არის მანუჩარი პროფესიონალი? ტექნიკურ მეცნიერებას თავისებური მიდგომა სჭირდება, თავისებური შეფასება და იმ მიღწევათა გამოყენება, რაც ასე ჰაერივით სჭირდება ამდენ ქაოსგადავლილ ქვეყანას.

ისტორიულ და ფილოლოგიურ ძიებას — ამ საგანთა საფუძვლიანი ცოდნა.

მხატვრის შეფასებას მხატვარი სჭირდება.

პოეტის შეცნობას — პოეტური სული.

სპორტსმენი სპორტის მცოდნემ უნდა შეაფასოს.

მაგრამ არსებობს ყოველ მათგანში მაძიებელი და სული, რომლის დანახვას დონკიხოტური კეთილშობილება უნდა. რადგან ქართველი კაცი მეომართან ერთად შემოქმედიცაა, თავისი მსგავსი სულიერების შეცნობაში, თავისივე ხასიათი ეხმარება. ხასიათი, რომელსაც კაცობრიული სიყვარული გასდევს აჩრდილად. სწორედ დიდი სიყვარულის ნიჭის გამოვლენა იყო, როცა საქართველომ უზომოდ შეიყვარა დიდი ფეხბურთელი. ასეთივე სიყვარულის ნიჭის გამოფენაა ის, რომ (მეცნიერებაზე აღარაფერს ვამბობთ) მანუჩარის მხატვრობის მოყვარულთა წრე ასე თვალდათვალ ფართოვდება.

ადამიანის სულიერ სამყაროში შეღწევა, დაბადებასავით მტკივნეული პროცესია. უმტკივნეულოდ ვერც შეეცდები აზრთა წიაღსვლას ფერთა ბურუსში, საიდანაც უკვე ტილოები შემოდიან დიდი ფეხბურთელის და მეცნიერის ცხოვრებაში. დაუკითხავად შემოიჭრებიან; ერატო, ევტერპე, ტერპსიქორე თუ სხვა სტუმრად წვეული მუზათაგანნი და იმორჩილებენ მხატვრის სულსა და მარჯვენას. ააცეკვებენ ფერებად ქცეულ პოეზიას. მანუჩარის სამყაროში, მის ფერთა საუფლოში პირველი, რაც თვალში საცემია, ეს საკუთარი ფერებია.

არიან მხატვრები მეოცნებე ფერები რომ უყვართ.

არის განრისხებულ ფერთა დიდოსტატი.

და არსებობს ფერი — აურზაურის მოტრფიალე...

მანუჩარის ფერი პოეზიით, სითბოთი, მზით და სიყვარულით სავსე სამყაროა. ამ სამყაროში შესულს მეგობარივით შეგეგებება ძაღლის ერთგულებით და სიყვარულის მოლოდინით, ამასთანავე უზომო სევდით სავსე თვალები, საიდანაც მთელი კაცობრიობის ნაღველი გეშხეფება. ეს "ბიბის პორტრეტია". შეხედავ და მოულოდნელად გახმიანდება გულში ტერენტი გრანელის სიტყვები: ''ეს ძაღლი ხშირად კაცი მგონია.'' უფრო მეტად ადამიანური, ვიდრე ცხოველური. ამ პირველყოფილი მეტყველი თვალებით დატყვევებული, მხატვრის სამყაროს გადახედავ და შეშინდები: ფერები,

ფერები, ფერები... საოცარი ფერები, საქართველოთი სავსე ფერები, მშვიდი, ნაზი, მეოცნებე, პოეზიით სავსე, სითბოთი სავსე, მზითა და მოკრძალებული სიყვარულით სავსე, სიმარტოვით სავსე - რადგან ყოველი დიდი ადამიანი მარტოა თავის თანამედროვე საზოგადოებაში... და გრძნობ, როგორ ივსება შენი არსება ფერთა სიუხვით, სითბოთი და იმ სუფთა და ანკარა სულით, ბავშვობაშერჩენილ ადამიანებში რომ შეიძლება დაინახო მხოლოდ.

ალისფერ მინდორზე ცეცხლწაკიდებული შემოდგომა შემოსრიალებულა და დგას წითელ-ყვითელი ფერებით აალებული მარტოხე, თითქოს მზეზე ამოსულა. ადამიანის ცხოვრებაში ჩუმად შემოპარული შემოდგომასავით ლამაზი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია მწვანე ფოთლები... და მოულოდნელად ისევ პოეზია შემოგეფრქვევა "დგანან და ელიან, უსაზღვროა მათი მოლოდინი"...

პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, მაგრამ ბუნება, ბუნება და კიდევ ბუნება. გესაუბრებიან გატიტვლებული ხეები, აჭარულის მოცეკვავეებივით კოსმიური წესრიგით რომ ჩამწკრივებულან, თავბრუდახვეულნი და ხელებგაშლილნი. მათ შორის ბედისწერასავით უცნაურ ბილიკს მიუყვები, შენივე ხილვებში, ოსტატის მხარდამხარ, და იკარგები პოეზიის გაუვალ ტევრში, თოვლზე ფეხშიშველნი დგანან ხეები ("ზამთარი") და გრძნობ, როგორ სცივათ და როგორ ეფიცხებიან გასათბობად, მანუჩარის ფერწერის საერთო პალიტრას შერჩენილ - მზის ფერებს. ყვავილებით მოჩითული ფერადი მოლის ფაფუკ ნოხზე წამოსაწოლად ემზადება ჯერ კიდევ ნორჩი, ზროგადახრილი ხე და ხელის შეშველება მოგინდება. გადმოდიან ტილოებიდან ყვავილები, ფოთლები აჩრდილებივით გამოგყვებიან და მოსვენებას არ გაძლევენ, ვიდრე რაიმეს არ ეტყვი, ისეთივე თბილს, როგორი სითბოთიც თვითონ გეფრქვევიან, მათი საოცარი ფერებით თავბრუდახვეულს. შეუძლებელია არ დაინახო, მიმწუხრის ფერებში, რამხელა სევდას გამოუჟონია ფუნჯიდან, ეს უმწეო კი არა ვაჟკაცური სევდაა, სწორედ ისეთი, მეომარი სული ფანდურს რომ უმხელდა მხოლოდ — ბრძოლის ველიდან დაბრუნებული. მანუჩარი ასე უმხელს პალიტრას და მერე ტილოს თავის ტკივილსა და სიხარულს, უმხელს ბუნების ენით, გვიანი შემოდგომის კრიალა ფერებით. ამ გამჭვირვალე სამყაროში, ამ ფერთა მეწყერში მოქცეული, გაოცებული რჩები, რამდენი კოსმიური წესრიგია, რამდენი გრადაცია, რამდენი ოცნება და რა საოცარი რეალიზმი, შეუმჩნევლად გადაზრდილი აბსტრაქციაში. აკადემიური, ავანგარდისტულზე უფრო რთული, რადგან აქ საგანთა კი არა ფერთა თავისუფლებაა გასაოცარი. გიზიდავენ მანუჩარისეული ფერები, ნაყრდება და ისვენებს სული ამ სამყაროში და აღარ გინდა მოსწყდე მას. მოსწყურდება სულს ერთ ყვავილის ფურცლად, სულაც ერთ პატარაფოთლად ქცევა, რომ მარადიულად ტილოზე დარჩეს, ოსტატის ხელით ნასათუთარ სამყაროში. მზეწაკიდებული ბუჩქის თვალებით გადმოხედოს მომავალ საუკუნეებს და თავი მოიწონოს მხატვართან სულიერი სიახლოვის გამო.

ბედნიერია ვისაც მთლიანობაში შეუხედავს მანუჩარის მოღაღადე ფერებისათვის, ვისაც უგემია ამ ფერთა სიტკბო და სინაზე. თითქოს ეს თვალთუხილავი ფერთა გამა ერთ დიდ ჩარჩოში ერთიანდება, რომელსაც სხვა სახელს ვერ მოუძებნი, მას ლირიკაში ცხოვრება ჰქვია. დადიხარ სიოსავით ჩუმად ამ პატარა, თანაც უღრმეს სამყაროში და ამ საოცარი მთლიანობის ცალკეულ ნაწილებს აკვირდები.

რაჭა ხომ თავად ერთი დიდი მხატვარია საქართველოს ბუნების, მთა "წუთხარა" კი, რაჭის ნისლებში მიმალულა მორცხვი პატარძალივით და წუთიერად თუ გამოაჟუჟუნებს თვალებს ნისლების ჩადრიდან, წუთიერად თუ გამოჩნდება თეთრი ჩიხტიკოპით დამშვენებული, ლურჯი მთის კონტურები. სწორედ წუთხარას ფერებზეა სათქმელი გალაკტიონის სიტყვები: "გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?" მანუჩარს უნახავს და ტილოზეც გადმოუწერია დაბინდული, მაგრამ მაინც სიცოცხლით და ოცნებით სავსე წურხარას ფერები. იგი ხომ თოფით მხარზე დაეხეტება თავისი საყვარელი რაჭის პირველყოფილ ბუნებაში და მის წიაღში განმარტოვებული ცეცხლსასროლ იარაღს განზე გადასდებს და მისი ერთადერთი იარაღი იქ ასეთი სუსტი და ამავე დროს ასე ძლიერი ფუნჯია, ფუნჯი, რომლითაც საკუთარი საქართველოს მოხატვა გადაუწყვეტია.

ლილეოზე და მზის სადიდებელ ჰიმნებზე მოგუგუნე სვანური კოშკები ჯაჭვგაუხდელი მეომრებივით ჩამომსხდარან, აქ თოვლიანი მთის თეთრი ფერები მოჭარბებულა. სვანეთი ჭაღარაა თეთრწვერა მწვერვალებივით, მაგრამ მანუჩარის "სვანეთი" თბილიცაა, გარეგნულად გოროზი, მაგრამ გულით თბილი - სვანი კაცივით.

შეხედავ "ყვავილების ქუჩას" და ამ ყვავილებს შორის ჩამოჯდომა და ოცნება მოგინდება, შეგიყვარდება თბილისის ქუჩები და ყველა უმნიშვნელო ქუჩა ასეთი ლამაზი, მოკრიალებული, მოწესრიგებული და ყვავილებით დამშვენებული მოგეჩვენება. მერე იმ ბილიკებს ადევნებაც მოგენატრება, გაზაფხულშეპარულ მდელოებსა და ხეებს შორის ჩუმად რომ მიიპარებიან და სადღაც ოცნებაში იკარგებიან. რაჭის მშვენიერი ოდა-სახლები შემოგღიმილებენ, მანუჩარის ტილოებიდან, ზამთრის თეთრი ნაბდებით თუ გაზაფხულის მზისფერი თავსაბურავით დამშვენებულნი და მოგენატრება მიატოვო მთელი სამყარო და ამ სიმშვიდის მუსიკით სავსე ფერთა საუფლოში გადააბარგო ამაოებით გადაღლილი სული. ეს ოცნებითი მოგზაურობა ნამდვილად დიდი ხელოვნების შედეგია!

არც კახეთი დარჩენია მანუჩარს ფერუხლები, "კავთისხევის მდინარე" მრავალჟამიერივით დინჯად მისრიალებს ფერთა სიჭრელეში, ბერმუხების სამეულები, საწნახელში ჩამდგარი კაცებივით ერთმანეთზე ტოტებგადახვეულნი დგანან და თითქოს ბანს ეუბნებიან მაჭარივით მოჩხრიალე მდინარეს.

და მოულოდნელად ზარივით დაირეკება, ფერთა წიაღში მოხეტიალე, აფორიაქებულ გონებაში; სიყვარულის ფუნჯგადასმული საქართველოს გამთლიანება ხომ არ დაწყებულა მანუჩარის ფერთა სიმშვიდიდან?! ამდენი სიძულვილისა და ძმათა შუღლის — სითბოში და სიყვარულში გარდასახვას ხომ არ გვთავაზობს შემოქმედი! მისი ცხოვრებაც ხომ საოცარი გარდასახვაა ფეხბურთიდან, ყუმბარისებური დარტყმების დიდოსტატობიდან, ფერწერაში ასე ნაზად ამბოხებული ფუნჯისაკენ. ის სიყვარული, რაც ბედისწერის უხეში ფანდისა თუ ყველა ქართველივით მეამბოხე სულის გამო სპორტულ ბილიკზე დარჩენია უთქმელი და დაუხარჯავი, საკუთარი მისწრაფებებივით განსხვავებული, უცნაური და მზიური ფერებით უმჟღავნებს სალოცავ მამულს, ყველას, ვისაც ფერთა წუხილისა თუ ღიმილის წაკითხვა შეუძლია.

ლეონარდო და ვინჩის შეხედულებით, (”ტრაქტატი ფერწერის შესახებ”) მხატვრობა პოეზიაა, რომელსაც ვხედავთ და ვერ ვისმენთ. მხატვრის ჯადოსნური სამყაროდან მომზირალი და საკუთარ ფერნაცხები დარდი და ღიმილი, წუხილი, შფოთი და სევდა, უხილავი სულის აღმაფრენა — გაცოცხლებული მზენასვამ, მსუსხავ ფერებში, ანუ მთელი სამყარო, მხატვრის ხელით მოვარაყებული რომ შეიგრძნო, დაინახო და მოისმინო, ხედვად და სმენად უძლური არ უნდა იყო, ჩარჩოებში მომწყვდეული სამყაროს გადმოღმა მდგარი. არ შეიძლება სმენას არ მისწვდეს ოსტატის გულისცემა, შეუძლებელია ვერ იგრძნო ფუნჯის მღელვარება და თრთოლვა მხატვრის თითებში. ყოველი წვეთი ხომ დიდი გრძნობის მონაჟურია, ფუნჯიდან კი არა სულიდან რომ ეღვენთება ტილოზე. შედიხარ მხატვრის სამყაროში და მონაწილე ხდები მისი სულიერი ცხოვრების, თითქოს შემოქმედის სულიდან აკვირდები, როგორ იქმნებოდა თითოეული დეტალი, თითოეული ხაზი ტილოზე, ფერთა შეხამება მღელვარე პალიტრაზე... და გრძნობ ოსტატის სულის ბორგვას, გესმის მისი ტკივილის ფეთქვა და სევდის მუსიკა, სიხარულის ღიმილის ხმაც გესმის. ხედვას და სმენას ამძაფრებს ადამიანის დიდი უბრალოება, ძალდაუტანებლად რომ მიგიშვებს სულიერ სამყაროსთან, მიგიშვებს, რადგან სული მისი ისე ნათელი და გამჭვირვალეა, ყოველი მხრიდან შეგიძლია შეავლო თვალი. იქ უსიცოცხლო ფერი არ ადევს შემოქმედის ნაფიქრ-ნაოცნებარს. თავმდაბალი და მორიდებულია მხატვარი, კრიტიკული თვალით უყურებს საკუთარ ტილოებს და არ უყვარს ქება-დიდება, დიდი მხატვარი ხარო, ვერ ეტყვი მანუჩარს, ეს მაღალფარდოვანი ეპითეტი, უსუსური მოგეჩვენება, მის უბრალოებასთან. მას ხომ მართლა გულწრფელად უკვირს, როცა ასე მოსწონთ მისი ტილოები... და გაოცებული რჩები, მანუჩარის ადგილზე, ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდება სიამაყის გრძნობა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ხატავს პროფესიული განათლების გარეშე, სულის კარნახით, ეს ხომ თვითნაბადი ნიჭია "თვითნასწავლის" ტერმინით სახელდებული. ჩვენი დიდი ფიროსმანივით თვითნასწავლი მანუჩარი ისეთი საოცარი ფერებით ავსებს უფერულ სამყაროს, მოულოდნელად გიჩნდება სურვილი შეედავო თავად მხატვარს და ამტკიცო, არა მისი სიდიდე თუ ოსტატობა, არამედ თუნდაც ის, რომ მანუჩარის ფერები სითბოთი და სიყვარულით ავსებს სულს, ისინი შეუძლებელია არ შეიყვაროს მან, ვისაც სიყვარული შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ მეტი ქებით არ გინდა აწყენინო, ასე ალალი სულის ადამიანს, არ შეიძლება არ გაიფიქრო — თუ თვითნასწავლ მხატვარს ასეთი სამყაროს შექმნა შეუძლია, მაშინ ხომ, "სხვისნასწავლი",

(პროფესიულ განათლებამიღებული) მანუჩარი ისეთივე მოვლენა იქნებოდა მხატვრობაში, როგორიც დიდ ფეხბურთში იყო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ხელოვნებას დრო სჭირდება, ძველი ღვინოსავით მას წლები მატებენ ეშხსა და ლაზათს, გემოსა და ფასეულობას. ეგაა ოღონდ, ფაქიზია ხელოვანის სული და სითბო და მოფერება სჭირდება მაშინ, როდესაც ქმნის, როდესაც აშენებს. მოყვარული თვალი და გული უხილავ ფრთაშესხმას უდრის ასტრალში მოხეტიალე შემოქმედისათვის.

და მაინც, არ შეიძლება არ დაინახო, რომ მანუჩარ მაჩაიძის ფერწერას ნამდვილად არ სჭირდება ეს თავმდაბლობა. საკუთარ თვალებს რომც არ დაუჯერო, ამას მისი ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენები მეტყველებენ: თბილისში, მოსკოვში, ისევ თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ცისფერ გალერეაში... რამდენჯერ შეუტანია საგამოფენო დარბაზებში დიდი სიხარული, თავისი ულამაზესი სულის გამოფენით. რამდენჯერ დაუმსახურებია უმაღლესი შეფასება ტიტულოვანი მხატვრებისაგან, თავადაც მხატვართა კავშირის წევრსა და უბრალოდ ხალხის საყვარელ მხატვარს. იქნებ ვინმეს ეს სიტყვებიც გაზვიადებული მოეჩვენოს, მაშინ უნდა ნახოს მანუჩარის ფერწერა, შეახოს მას სული, დაასვენოს ტექნიკამოძალებული საუკუნის მიერ გაუხეშებული თვალი მის ფერებზე, მოისმინოს მანუჩარის უბრალოებით და სითბოთი სავსე საუბარი და მერე შეაფასოს იგი.

ყოველი დიდი მოაზროვნე, ამპარტავნულ ქედმაღლობას, ჩრდილში დგომას ამჯობინებს, პოპულარობის აურზაური მას ფიქრისა და სულიერი განმარტოვებისას მოსული იდეებისა და სახეების დანახვაში შეუშლის ხელს... აქ არ შეიძლება არ გაიფიქრო, რომ თავმდაბლობა დიდი ადამიანების თვისებაა და მათ გონიერებაზე მეტყველებს. ასეთია ''დიდი მანუჩარი.''

მოულოდნელად გიჩნდება სურვილი, ძველი ბერძნული ჰიმნების საპირისპიროდ შესძახო: ''მუზავ, შეჩერდი!'' მანუჩარ! შენი უკვდავება უკვე დაწერილია მწვანე მინდორზე, დაწერილია ფეხბურთის დიდი ხელოვანის დიდი პალიტრით. შევსებულია დიდებისა და პოპულარობის ყველა ფურცელი. გავლებულია ყველაზე ძლიერი შტრიხი საკუთარი თავის დასახასიათებლად, იგი, მრავალჯერ ოსტატს, თავად გაგივლია, პირადი ცხოვრებით. შეჩერდი, თორემ გული გაუსკდება ყველა ძველ გულშემატკივარს, ახლა უკვე შენი მხატვრობის მოყვარულ ქართველობას, მაგრამ აქვე განუგეშო მინდა, ეს სასიამოვნო და სანუკვარი გულის გახეთქვაა, როგორც იქ, სტადიონზე, სიხარულის შეძახილით დახეთქილი ფილტვებისა. ეს ნეტარი გულის გახეთქვაა და ნეტამც მრავალი ჰყოლოდეს საქართველოს ასეთი "გულის გამხეთქავი" შვილი!

მაძიებელ სულს კი ვერანაირი შეძახილი ვერ შეაჩერებს. შემოქმედი უნდა იწვოდეს და ანათებდეს, ვიდრე ჩაიფერფლება. ადამიანის ამქვეყნად მოსვლის გამართლებაც ხომ ეგაა, მოვალეობის მოუხდელად არ წავიდეს და საკუთარი კვალი დატოვოს დედამიწაზე, რამდენადაც შეუძლია გაახაროს თავისი ქვეყანა და გაანათოს თავისი წილი წყვდიადი.

ერის გულის მოგება ყველაზე დიდი ხელოვნებაა, უფრო ძნელია სიყვარულის დამსახურება. ქართველმა ხალხმა თავისი უზომო სიყვარული ჩაატია ორ სიტყვაში ''დიდი მანუჩარი''.

ორპირნალესი სატევარივით მჭრელია მისი ბიოგრაფია. ცალმხრივ მისი უდიდებულესობა ფეხბურთი, მეორე მხრივ უმშვენიერესი დედოფალი მხატვრობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ტექნიკურ მეცნიერებაზე, უმთავრეს პროფესიაზე, ეროვნულ საკითხებზე, მსოფლიოს მრავალი მეცნიერის და მოაზროვნის თვალსაზრისი რომ გაუტარებია საკუთარ პრიზმაში და ეროვნულ ჩარჩოში ჩაუტევია. გაბედულად ეპაექრება ქართველი ერის ეროვნულობის დაკნინების ყველა მცდელობას და ისტორიის ხლართებიდან ამოაქვს დამაჯერებელი არგუმენტები იმისა, რომ ჩვენი ერი ეროვნებად ჩამოყალიბებულა მსოფლიოს უდიდეს ერებზე გაცილებით ადრე, ეწინააღმდეგება ეროვნების წაშლას ქართულ პასპორტებში... და მიუხედავად ამისა, არა მარტო ფეხბურთის დიდოსტატობით, არცა თუ მარტოოდენ ფუნჯის მომთვინიერებლობით, არც მრავალი სამეცნიერო ნაშრომით, დიდი მანუჩარი მხოლოდ თავისი პიროვნებით, ვაჟკაცურობით, პირდაპირობით, კეთილშობილებით, დიდი უბრალოებით, ფაქიზ ფერნაცხები მეამბოხე სულით გაამშვენიერებდა სამყაროს.

და ბოლოს მაინც მაღალფარდოვნების კი არა, ხალხის მადლიერებისა და სიყვარულის პათოსი მინდა გამოვიყენო: ორპირნალესი ნიჭის მპყრობელო, ორგზის კი არა, შვიდგზის კი არა, ასგზის გაგიხარებია, გაგინათებია და ბოლოს მოგიხატია შენი წილი საქართველო!



რეზო ადამია

კოსმოსური სიკეთის მოსვლა

ნიკო ფიროსმანაშვილი

მეცხრამეტე საუკუნე და მეოცის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი ცივილიზაციის მოვლენათა ეპოქაა როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებასა და კულტურაში.

ევროპის ზეცენტრი პარიზი სწორედ ამ ხანაში აბობოქრდა შემოქმედებითი სიახლეებით და მრავალმა კოსმოსურმა უხილავმა სულიერმა მოძრაობამაც აქ მოიყარა თავი. პარიზელები ხატავდნენ, ძერწავდნენ, წერდნენ და ქმიდნენ ხელოვნების ჯერ არარსებულ სიახლე-სასწაულებს; თანამედროვეობის ფერწერულ მიმდინარეობებს ენაცვლებოდა ახალთახალი შემოქმედებითი ძიებები. ევროპული ხელოვნების ორგანიზმი ხარბად იკვებებოდა თავისივე ხელოვნებისა და აზროვნების მდიდარი წარსულით. გალაღებული, მაგრამ მაინც დაძაბული პარიზული სამყაროს აწმყო, უნიჭიერესი მხატვრების, მოქანდაკეების, არქიტექტორების, კომპოზიტორების, ფილოსოფოსების, პოეტებისა და მწერლების გარემოცვაში მოექცა. უდიდეს ღვთიურ მანქანად ამოქმედდა ხელოვნების სიახლეთა მოვლენები. მხატვართა გამოფენები, კრიტიკა, აღმოჩენების უარყოფა, აღიარება, სევდა, ბოღმა და ურთიერთშური ერთმანეთს ენაცვლებოდა. ხელოვნებათმცოდნეების მუზეუმების მესვეურებისა და ალღოიანი კოლექციონერების შორეული მზერა, იდუმალების უხილავ მძაფრ განწყობილებას ქმინდა. უცნაურ ბრძოლაში იქარგებოდა ჩარჩოების მიღმა აწყვეტილი და შემოქმედებითად აღზევებული ათასწლეულის ხელოვნება და მრავალი ნიჭიერი ავტორი მიემართებოდა უსასრულო მიღწევათა სიმაღლეებისკენ...

ამ პერიოდში საქართველოში, კერძოდ თბილისსა და ქუთაისში ახალ, თანამედროვე პოეზიას, ჯადოცხებულ პროზას, დაზგურ ფერწერას და ქანდაკებას ჩაეყარა საფუძველი და ევროპაში განათლებამიღებული ქართველი თუ უცხოელი ხელობანნი თავგამოდებით ქმნიდნენ შესანიშნავ ფერწერულ სურათებს, მაღალი დონის ქანდაკებას, პოეზიას, პროზას და ასე ყალიბდებოდა ხელოვანთა ახალი ქართული გაერთიანება. ხოლო განცალკევებულად ის უცხო და მძლავრი კოსმოსური ფენომენი შორეულიდან შავ რაშზე ამხედრებული მეფური სიმშვიდით უხილავად მობრძანდებოდა, რაც იმდროინდელი საზოგადოებისთვის მიუწვდობელი და გაუგებარი აღმოჩნდა. წმიდათაწმიდა იბერიულ-კოლხურ ნიადაგზე ჯერარნახული გენიის აღმოცენება ვლინდებოდა და მასზე არავინ არაფერი იცოდა... ერთი ღვთიური პიროვნების მოსვლით, პარიზული ხელოვნებისა და კულტურის ცივილიზაციისგან დამოუკიდებლად მათთან მძლავრი მხატვრული პარალელი შორეულ თბილისშიც იბადებოდა, თავისი უცნაური ზებუნებიდან გამომდინარე, ზეციდან და მიწის წიაღის მეშვეობით ფარულად მიოემართებოდა... კოსმოსური უცხო მოვლენა მძაფრი სტიქიური მოვარდნით, ველური ნიჭით სავსე სრულიად ახალ გარემოს ამკვიდრებდა. რაკი დედამიწა ვერ გუობდა თავისსავე ნაშობს. გარმატოხელებული მობრძანდებოდა დამოუკიდებელი და უხსოვარი დროის ველური არქაიზმით აღჭურვილი ფერმწერი, ღრმად მიწიერი, მთის ჰაერივით სუფთა ეროვნული და საკუთარ გენიაზე ბოლომდე თავადვე გაუცნობიერებლი ველი მხატვარი, უცხო შედევრთა ნაკადი მდინარე ალაზანივით მოედინებოდა და ამგვარი ზეციური ბუნების ხელოვანმა დედამიწაზე, ასე უშუალოდ, თევზს მიმსგავსებული მაცხოვარივით იმოგზაურა...

ნიკო ფიროსმანიშვილი თავისი ფანტასტიკური შემოქმედებით, ზღვის ბინადარი უცნაური ბუნების ორაგულივით, საკუთარ გენიაზე შეწირული მხატვარია. ზრდადასრულებული ორაგულები, როგორც კი დაქვირითდებიან, ზღვიდან და მდინარეებიდან ჯგუფ-ჯფუფად დაიძვრებიან დანიშნულ ადგილას ქვირითის დასაყრელად. თევზური ინტუიციით, შეუსვენებლივ მიეშურებიან მდინარის პირველ

წყარომდე, მის ანკარა კალაპოტამდე. ნელი სვლით და სიზმარეული შრიალით, ნაყოფით სავსე მუცლისმიერი ცოცვით მიიწევებ წინ. ამ სახის მსველობისას გზადაგზა ტანის ფერიც ეცვლებათ. მუქი მწვანე-მოლურჯო კრიალა ზურგით ად ვერცხლისფერ-მოცისფრო გაშლილი ფაფრით ზეცას შეჰყურებენ, ხოლო თეთრი და იაიასფერით შეფერადებული ქვირითსავსე მუცლით, კრიალა სხვადასხვა ფერისა და ზომის ქვებს თევზისეული სინაზით ელაციცებიან — ოდნავ ეხახუნებიან ასე ნელ-ნელა ქვიდან ქვაზე გადადიანლ უსასრულო სურვილი და თანდაყოლილი მიზანი აქვთ, როგორმე მივიდნენ მდინარის სათავის ადგილამდე და მის იდუმალებით მოცულ სიღმეებშივე ჩააღწიონ...

წყლისეული კამკამა და ცისეული სილამაზის ორაგულები იმდენად თავისთავადი — ბუნებასთან გამთლიანებული ცოცხალი საოცრებაა, რომ მათი საგანგებო მოკვდიენა წმიდათაწმიდა ღვთიური დანაშაულია უთუოდ...

ამ დროს წყაროს სანაპიროს მიმდგარი, წყურვილით აღტკინებული, ჩალისფერი ირმები კი, ბუნების ამ საოცარ მოვლენას, ნუშისებური, ფართო თვალებით, გაკვირვებულნი და ნესტოებდაბერილნი, ფრუტუნით მისჩერებიან...

დასასრულს, შორეულიდან მოსული ასობით დაღლილ-დაქანცული ორგული, სიამით თუ ტკივილით ადგილზევე ფერად-ფერად კვერცხებს გაქათქათებულ ქვებზე ყრიან და ამ პროცესით განწირულნი საკუთარ სიცოცხლეს ეთხოვებიან... მაცხოვრის ცრემლით განბანილნი, თევზისეულ ვერცხლისფერ ჯვარს გაეკვრებიან და ამგვარად გადაარჩენენ ორაგულთა უმშვენიერეს მოდგმას...

ფიროსმანი თავისი დროების შეწირული და ტანჯული კაცი იმიტომ კი არ იყო, რომ ძალიან უჭირდა და ღარიბი იყო. არა, მეგობრებო! ნიკალასავით სულგრძელი და ნიჭიერი ქართველი, ყოველთვის იშოვნიდა პირადი და საკუთარი ოჯახის სარჩოს, თანაც, ქიზიყელი, გულუხვი, მადლმოსილი კახელი, კავკასიონის შეფერადებული საქართველოს უმდიდრესი და ულამაზესი კუთხის მოგზაური შვილი. მირზაანელ ნიკო ფიროსმანაშვილს, სულ სხვა გასაჭირი და ვალდებულება დაეკისრა ყოვლისშემძლე უზენაესისაგან, უზარმაზარი შემოქმედის სულით დაორსულდა ის და იდუმალი ბედისწერის გარდაუვალობა დაეკისრა, რათა კანონიერად ეშვა თავისი ჯიშის და ჯილაგის გადამრჩენი მარად უკვდავი ხელოვნება. სიცოცხლის მარგალიტებით მუცელსავსე ორაგულივით იარა მან ურთულესი მიწიერი გზა და ცხოვრების საწყისთან მისვლით შობა თავისებური ფასდაუდებელი ქვირითი და მანაც მარადიულობის საწყის წყაროებთან ნამშობიარევი ორაგულივით განუტევა სული...

ასე დაშრეტილი, ყველაფერგაცემული და წმიდანი დონეზე უპატიოსნესი მარტოხელა მხატვარი, შთამომავლობისათვის ერთგული და ზვარაკი ორაგულივით, უპატრონოდ მიგდებულ სხეულად მარად გასაიდუმლოებული მიბარდა მშობლიურ მიწას... ხოლო ჯადოცხებული შემოქმედის სულს დროულად მოწყვეტილი, ღვთიური ნაყოფი, თავის ერს, უსასრულო დროით გადარჩენის ნიშანსვეტად უძღვნა.

სამყაროს, დედამიწას, დროს — კოსმოსურ სივრცეს და ბედასც უკვირდა ამდაგვარი უიშვიათესი მოვლენა. პლანეტის ცივილიზაციის ურთიერთდამაკავშირებელი ოქროს ხიდების დამკვიდრება მხოლოდ ნიკო ფიროსმანიშვილივით მკვეთრად განსხვავებულ გენიებს ძალუძთ...

თბილისი. 2009-2010წწ.

მანონ ყუბანეიშვილი

სმენითი აღქმისა და ემოციის ურთიერთკავშირი ექსპერიმენტული ნაწილი

ფიქსირებული და აქტუალური განწყობის მოქმედების მექანიზმების განსხვავება ზოგად თეორიულ საფუძველს გვიქმნის თემაზე მუშაობისათვის იმდენად, რამდენადაც, ჩვენის აზრით, ფიქსირებული და აქტუალური განწყობის გამოვლენის თავისებურებაზე დიდად არის დამოკიდებული იმ საკითხის გადაწყვეტა, რომლის კვლევაც მიზნად დავისახეთ.

ექსპერიმენტული ნაწილი ამ საკითზე დაახლოებით ასე წარმოგვიდგენია: (I და II ვარიანტი) უზნაძის თეორიის მიხედვით, ფიქსირებული განწყობა არის ჩვევა, გამოცდილება. ჩვენი ექსპერიმენტის მიზანია, გავარკვიოთ, რა ზეგავლენას ახდენს გამოცდილება ახალი ნაწარმოების აღქმაზე; გამოცდილების გზით მოტანილი და დაფიქსირებულია, თითქმის უმრავლესობისათვის, ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: შოპენის „სამგლოვიარო მარში", ფალიაშვილის „დაისის" შესავალი, ბეთჰოვენის „მთვარის სონატა" და ა.შ. სამგლოვიარო, — სევდიანი განწყობილების ნაწარმოებებად, ანდა ბლანტერის „ფეხბურთის მარში", დუნაევსკის „ენთუზიასტების მარში", მენდელსონის „საქორწილო მარში" და ა.შ. — საზეიმო განწყობილების ნაწარმოებებად. ისინი ხშირად გაისმის ყოველდღიურად და ძალაუნებურად ფიქსირდება ადამიანთა განწყობილებაში, ერთიდაიგივეა თითქმის ყველას გამოცდილებაში (ექსპერიმენტი ტარდება არაპროფესიონალურ ცდის პირებთან).

I ვარიანტი: ექსპერიმენტატორი აძლევს ცდის პირს ახალ ნაწარმოებს, რომელიც მანამდე არ მოუსმენია. აუცილებელი არაა ნაწარმოები იყოს რთული, დოდეკაფონიური. შეიძლება იყოს მარტივიც, მაგრამ, არაპოპულარული. ასმენინებს ერთხელ, გამოჰკითხავს და ინიშნავს შთაბეჭდილებებს, მუსიკისგან მიღებულს: რა ტიპის მუსიკაა, რა წარმოსახვები, რა ასოციაციები შეექმნა მასზე. მერე მეორეჯერ ასმენინებს იგივე მუსიკას, რაშიც ოსტატურად რთავს დაფიქსირებული მუსიკიდან მონაკვეთებს, მომენტებს. (ეს პროცესი ისე არ უნდა იყოს გაკეთებული, რომ იგრძნობოდეს შეწყვეტა პირველად მოსმენილი მუსიკისა და გადასვლა სხვაზე. შეიძლება ამას ნაწარმოებების ხასიათისა, ან რიტმული მხარის დაახლოებით მივაღწიოთ, თუმცა მეორე მხარეც უნდა იყოს გათვალისწინებული. აქ შეიძლება ასიმილაცია მოხდეს ორი სხვადასხვა მუსიკისა, შერწყმა, რაც არასწორ ექსპერიმენტულ დასკვნებს მოგვცემს). ჩვენი მიზანია დავადგინოთ, რა შემოიტანეს ამ დაფიქსირებულმა მომენტებმა აღქმაში, შევადარებთ ორივე მოსმენის შედეგებს და მივიღებთ დასკვნებს.

II ვარიანტი. ვიპოვოთ ცდის პირი, რომელსაც დაუფიქსირდა რაიმე მუსიკა, რასაც უკავშIრებს რაიმე დასამახსოვრებელ მომენტს თავისი ცხოვრებიდან. ვთქვათ, ეს მუსიკა ახსენებდეს დედის სიკვდილს, ძვირფას ადამიანთან გატარებულ წუთებს და ა.შ, რასთანაც დაკავშირებული იყო ეს მუსიკა. მას დაუფიქსირდა ეს მომენტი სევდიან ან პირიქით, მხიარულ მუსიკად; შეიძლება ობიექტურად ეს სულაც არ იყოს ასე. ცდის მიმდინარეობა ასე წარმოგვიდგენია: ვასმენინებთ ცდის პირს ახალ ნაწარმოებს ერთხელ, მეორეჯერ კი ცნობილი ნაწარმოების ნაწილის მაგივრად ვრთავთ ისეთ ნაწარმოებს ან ფრაზას, მონაკვეთს, ეპიზოდს იმ მუსიკიდან, რომელსაც ამ ცდისპირისათვის რაიმე მომენტთან დაკავშირებული პიროვნული წონა აქვს. (ადრე საჭირო იყო აღგვენიშნა, რომ ასეთი პიროვნული დეტალის გარკვევა უნდა მოხდეს ძალზე ფრთხილად, ფსიქოლოგიური ოსტატობით, მან არ უნდა იგრძნოს, რომ შენ ეს მომენტი, მისი პიროვნული კუთვნილება გაინტერესებს და საერთოდ ცდა ამ გამორკვევის შემდეგ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უნდა წარმოებდეს). მოსმენის ორივე მომენტის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, რა შემოაქვს აქტუალურ განწყობაში ამ ფიქსირებულ განწყობას. (უცნობი ნაწარმოების პირველი მოსმენა-აქტუალრი განწყობაა.)

შეიძლება დაისვას კითხვა? ხომ არ არის ეს ცნობილი ცდა — განწყობის გავლენა მუსიკის აღქმაზე — არა. ამ შემთხვევაში ჩვენ კი არ განვაწყობთ ცდის პირს წინასწარ, არამედ ვრთავ აქტუალურ განწობაში ისეთ ელემენტებს, რომელიც მის გამოცდილებას — დაფიქსირებულს გამომაცდევინებს და კიდევ ეს ცდა არ არის აგრეთვე პრაქტიკაში უკვე ცნობილი შეწყვეტილი ცდები, რომელიც უფრო სხვა მიზნით კეთდება, ჩვენ კვლევის მიზანი კი, ვიმეორებთ, აქტუალური და ფიქსირებული განწყობის ურთიერთმიმართების ექსპერიმენტული კვლევა, რომელიც გასაღები აღმოჩნდება სმენითი აღქმისა და ემოციის ურთიერთკავშირის დადგენისათვის.

და ბოლოს შეგვიძლია ავიღოთ საკონტროლო ცდები, მაგალითად ექსპერიმენტის ყველა მომენტის შემდეგ ისევ თავიდან ბოლომდე ვასმენინებთ. ცდის პირს დაფიქსირებულ მუსიკას მთლიანობაში. საკონტროლო ცდები გვიჩვენებს ფიქსირებული მუსიკის გამეორება პირვანდელი სახით და „ვარირებული" ვარიანტით რა ცვლილებებს შემოიტანს აღქმაში.

ეკონომიკა

ნუგზარ ნადარაია

ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი

ყველაზე ნათელი და საიმედო არგუმენტი დასმული პრობლემების გასაა

ნალიზებლად სახელმწიფო სტატისტიკური მონაცემებია, რომელიც ცხადყოფს, რომ 1988 წელს საქართველოში წარმოებულმა ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 10.2 მილიარდი მანეთი, მის სტრუქტურაში უპირველესად წარმოდგენილი იყო მრეწველობა (39%) და სოფლის მეურნეობა (30%). ეროვნულმა შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 2064 მანეთი. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე ზრუნვა მაშინდელი ხელისუფლების მთავარ პრიორიტეტად იქცა. ასე მაგალითად 1990 წლის გაზაფხულზე უმაღლესმა საბჭომ პირველი მოსმენით მიიღო მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი, „საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის" შესახებ. ეს იყო საფუძველი სხვა ეკონომიკური ფუნდამენტური კანონპროექტებისა: „კანონპროექტები საკუთრების შესახებ", „კოოპერაციის შესახებ". ამდენად ეს იყო ფაქტობრივად, მცირე ბიზნესის განვითარების მასშტაბური სახელმწიფო პროგრამა. შედეგად ფართოდ გაიშალა კოოპერაციული მოძრაობა, დასაწყისისთვის, მთის ზონებში საზოგადოებრივი მეურნეობები შეიცვალა ფერმერული მეურნეობებით, დიდი გასაქანი მიეცა ინტეგრაციულ პროცესებს. მთავრობამ ჩემის აზრით, სავსებით სწორი ორიენტაცია

აიღო ისეთ ეკონომიკურ ლიბერალიზაციაზე, რომელიც გამორიცხავდა სტიქიურ განვითარებას და დაექვემდებარებოდა სახელმწიფო რეგულირებას. ეს ეკონომიკური კონცეფცია ქვეყნისა და ერის აღორძინებისა ჩათვლილი იქნა, როგორც მოძველებული და ყოველდღიურად მოწყობილ მრავალრიცხოვან მიტინგებზე დაუმსახურებლად და უსამართლოდ გაკრიტიკებული და უარყოფილი...

ჩვენს მიერ ზემოთდასახელებული მართლაც შთამბეჭდავი ეკონომიკური შედეგები მიღწეული იყო ეროვნული წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე. მხედველობაში გვაქვს როგორც მრეწველობა, ასევე განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა. მთავარ პრიორიტეტად ეროვნული, სოფლის მეურნეობის განვითარება იყო აღიარებული. ჩვენი ქვეყანა ხომ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და მსოფლიო გამოცდილების უძველესი აგრარული ქვეყანაა. მარტო ქართული ვაზის ჯიშებისა და ღვინის წარმოების ისტორია ხომ ნათლად ცხადყოფს ამ ჭეშმარიტებას, რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართულ ფუტკარზე, აბრეშუმზე, ქართულ ხორბალზე, ოქროს წარმოების იმ მითიურ „ტექნოლოგიაზე", რომელიც ბერძნულ წყაროებშია გადმოცემული „ოქროს საწმისის" სახით. იმ ყოფილმა სოციალისტური წარმოების წესის შემნარჩუნებელმა და დროის მოთხოვნით მხოლოდ ფატქობრივ შედეგებზე ორიენტირებულმა ქვეყნებმა, ასევე ცნობილია, რომ ეკონომიკური სუვერენიტეტის მოთხოვნების დაცვით შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს სწორედ ეროვნული მეურნეობის უპირატესი აღორძინებით, ბუნებრივია, მასზე ორიენტირებული და ორგანულად დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზით. მაგალითისათვის დავასახელებ, ჩინეთის სახალხო რესკუპლიკას, რომელიც მარცვლეულზე მარტო კი არ აკმაყოფილებს მილიარდ სამასორმოცდაათი მილიონიანი მოსახლეობის მოთხოვნებს, არამედ პურეულის ექსპორტსაც აწარმოებს. ჩინეთის ეკონომიკის „მამებმა", ჩემი აზრით, მიაგნეს ჭეშმარიტებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ შედეგით არ იქნა გამოცდილი ნებისმიერი ეკონომიკური კონცეფცია, ეს ხომ, ფაქტობრივად, ნიშნავს ლაპარაკს (მათ შორის, კარგად ლაპარაკს) პლუს ლაპარაკი მაინც უდრის, როგორც შედეგი, მხოლოდ ლაპარაკს... საქვეყნოდაა ცნობილი ამ ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი ეროვნულ ეკონომიკაში: „ჩვენთვის მთავარი არ არის კატის ფერი, ჩვენთვის მთავარია კატამ სწორედ თაგვი დაიჭიროს". ე.ი. ჩინეთში ნებისმიერ ეკონომიკურ გარდაქმნას უკავშირებენ და მოქმედების შასაძლებლობას უქმნიან მხოლოდ დადებით შედეგს. მათ სავსებით სწორად, არც აფრთხობთ და არც აშინებთ, რაც მთავარია, ბრალდებად არ მიაჩნიათ ნებისმიერი ეკონომიკური წყობის შედეგიანი ელემენტების ბერკეტების სადღეისოდ გამოყენება-ამოქმედება, ოღონდ მან აღმშენებლობითი შედეგი მოიტანოს... სუბიექტური მოსაზრების გამო მკითხველისადმი გულრწფელი მობოდიშებით, ამჯერად თავს შევიკავებ რუმინეთის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიის მძლავრი და დამოუკიდებელი ეკონომიკური თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარე ძალის მიერ ნგრევის ფაქტებზე...

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს სამშობლოს – საქართველოს: უდავოდ დიდი მოვლენა იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების წესით სოფლის მოსახლეობისათვის გადაცემა, მაგრამ სამწუხაროდ, სუბიექტური თუ ობიექტური გაუბედაობის მიზეზით ჩვენ აქ დღემდე გავჩერდით, მოსავალი მოჰყავს ფერმერს თუ გლეხს, კვლავინდებურად გადაჭედილია ქართული ხვავითა და ბარაქით საკოლმეურნეო ბაზრები, მაგრამ სახელმწიფო დამზადების (ჩაბარების) სისტემის გაუქმებით გლეხი იძულებულია თავისი მოწეული მოსავალი თავად გაყიდოს და თვეობით ქალაქების ტროტუარებზე არიან მიმოფენილი. დავშალეთ დამზადების სისტემაზე ორგანიზებული გადამამუშავებელი მრეწველობა, საწარმო სიმძლავრეები კვების ობიექტებად გადავაკეთეთ, აღარაფერს ვამბობ ქვეყნის მრეწველობაზე და მისი საწარმოო სიმძლავრეების ჯართად, ჩალის ფასად ე.წ. პრივატიზაციის პროგრამით ჩაბარება – საზღვარგარეთ გატანაზე. მოშალეთ უნიკალური ქართული მცენარეული ჯიშების მეთესლეობა და სანერგე მეურნეობის სისტემა. აღარაფერს ვამბობ ირიგაციასა და მელიორაციის, ქიმიზაციის სახელმწიფო პროგრამებზე, რომლებიც ასევე დაუფინანსებელია. დაბოლოს, რაც უმთავრესია და პირველ რიგშია აღსადგენი, დასაბრუნებელია ისევ სახელმწიფო სექტორში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ფერმერული მეურნეობების თუ ინდივიდუალური მეწარმის მეურნეობების, მანქანა-დანადგართა სადგურების მომსახურეობა. რაღა თქმა უნდა, მომსახურეობის ღირებულების სახელშეკრულებო ვალდებულებებით ანაზღაურების პირობებში გამონაკლისის სახით, შეთანხმებით შესაძლებელია მიღებული მოსავლიდან შემოდგომით ნატურით (პროდუქტით) იქნეს ანაზღაურებული.

თარგმანები

შუშუნა ნიშარაძე-მაჭავარიანი

ტროელები

ეს ამბავი ძვ.წ. აღ-ით 480 წელს მოხდა.

...ზღვაზე ამინდი გაფუჭდა... ხომალდებზე მყოფი არც თუ გამოცდილი მეზღვაურები შიშმა მოიცვა, რადგან ხომალდებს ზღვის ტალღები იტალიის სანაპიროსკენ მიაქანებდა. ისინი ვერ ახერხებდნენ ხომალდების შეჩერებას. როგორც იქნა, მდინარის შესართავთან გადავიდნენ ხმელეთზე და დაიწყეს აქეთ-იქით სიარული. ისინი ეძებდნენ ადგილობრივ ხალხს და მათი დამხვედრი ქალები შეეცადნენ მათთვის მიეცათ თავშესაფარი. მეზღვაურებს სურადათ ახალი სამშობლო ეპოვათ და ახალი, უკეთესი ცხოვრება დაეწყოთ. ამიტომ ქალებმა ურჩიეს მეზღვაურებს, ხომალდები დაეწვათ და წყალში ჩაეძირათ. მართლაც ასე მოიქცნენ, მაგრამ ქალებს მაინც ეშინოდათ, რომ მეზღვაურებს სხვა რაიმე საშუალება არ გამოეძებნათ და იტალია არ დაეტოვებინათ. ამიტომ განსხვავებულ მზრუნველობას იჩენდნენ მათ მიმართ და ასე შეინარჩუნეს უკვე თავიანთ მეუღლეებად ქცეული მეზღვაურები.

აქედან მოდის ის ტრადიცია, რომ რომაელი ქალები შეხვედრის დროს უთუოდ კოცნიან ახლობლებს. სწორედ ასეთმა სიყვარულმა და მზრუნველობამ მოხიბლა მეზღვაურები, მალე შეეჩვივნენ იმ გარემოს და იქაური მოქალაქეობაც მიიღეს.

ფინიკიელები

ფინიკიელი ქალების გმირობა ისტორიულად, შეიძლება ითქვას, საფუძვლიანად არც არის შესწავლილი. არადა, იგი ამას იმსახურებს. მაშინ გამართული ომები სავსეა საბრძოლო ხასიათის ეშმაკობებით. ეს ომი ქსერქსეს გადახდა თავს, ძველი წ.აღ-ით 480 წელს. პლუტარქოსმა კარგად იცოდა ფინიკიელების ამბავი, რომელიც მოხდა თესალიდან ფოვისში მიმავალ გზაზე პატარა ქალაქ გიამპოლისში.

პლუტარქოსი თავისი ბიოგრაფიული ისტორიების აღწერისას დაიფანტის ბიოგრაფიაში გვიამბობს ქალების დიდებული მოქმედების შესახებ.

დაუმთავრებელი ომი გრძელდებოდა თესალიელებსა და ფინიკიელებს შორის.

თესალიელებმაც და ფინიკიელებმაც დაუნდობლად ამოხოცეს ტყვეები, ბოლოს ფინიკიელებმა მთელი ძალით შეუტიეს თესალიელებს. ისინი არ ზოგავდნენ არც ბავშვებს, არც მოზრდილებს, ქალებს კი ატყვევებდნენ.

ერთ-ერთმა თესალიელმა თქვა: სამართლიანი იქნება, თუ სოფლის სახლებს, სადაც ქალები და ბავშვებია ცეცხლს წავუკიდებთო, მაგრამ ვიდრე ამას ვიზამთ, უკეთესი იქნება თუ ფინიკიელი ქალებისგან მივიღებთ რჩევასო. მაგრამ მათ მზაკვრულ ჩანაფიქრს ფინიკიელემა ქალებმა კაცებთან ერთად ბრძოლით უპასუხეს და გაიმარჯვეს.

ამ გამარჯვებული ომის სამახსოვროდ ყოველ წელს იხდიან დიდ ზეიმს გიამპოლისში, მიძღვნილ ქალღმერთ არტემიდასადმი.

ქიოსელები

ქიოსელებმა გააძევეს კოლონისტები ლევკინიაში იმ მიზეზით, რომ ერთი მდიდარი კაცი მათ ქალზე დაქორწინდა.

როცა პატარძალი ეტლით გამგზავრებას აპირებდა, უკვე შეზარხოშებული მეფე ჰიპოკლესი, რომელიც ამ ქორწილს ესწრებოდა, როგორც საქმროს ნათესავი, შეახტა ეტლს, მას არ ჰქონდა რაიმე ცუდი განზრახვა, მაგრამ საქმროს მეგობრებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. როცა მეფის მხლებლებმა და მისმა დაცვამ მოითხოვეს ქიოსელების დაპატიმრება და დასჯა, მაშინვე ყველა სტუმარმა თავი დანმაშავედ გამოაცხადა.

მაშინ მათ შესთავაზეს ყველას და არა მარტო მკვლელებს, სასწრაფოდ დაეტოვებინათ ქალაქი. მართლაც, ყველამ დატოვა ლევკონია, მათ ნება მისცეს თან ჰქონოდათ მხოლოდ ერთი ხმალი და ერთი თოფი.

ქიოსელები დათანხმდნენ და ასე მშვიდობიანად დატოვეს იქაურობა, ეს კი ქალების ინიციატივა იყო. სწორედ ქალებმა აიძულეს მთავრობა მათ თავიანთი იარღით მშვიდობიანად დაეტოვებინათ ქალაქი.

ამრიგად, ქიოსელი ქალების ვაჟკაცური მოთხოვნის საფუძველზე შეუნარჩუნდათ სიცოცხლე.

ისტორიას შემორჩა ქიოსელი ქალების კიდევ ერთი გმირობა, როცა მოგვიანებით ფილიპე V-მ დემეტრეს ვაჟიშვილმა დაიპყრო მათი ქალაქი და ბარბაროსული განცხადება გააკეთა, რომ ქიოსელ მონებს შეეძლოთ მათ მხარეზე გადასულიყვნენ და მათ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ, ქალები კი თავიანთ ბატონებზე უნდა გათხოვილიყვნენ.

ქალებმა მტრის მხარეზე გადასულ მონებს ქვები და ტყვია დაუშინეს და ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა ფილიპეს ჯარებამდე მისვლა.

არგიველები

ისტორიაში არ მოიპოვება ქალთა ისეთი გმირობა, როგორიც მათ ჩაიდინეს თავიანთი სამშობლოს დასაცავად, სპარტის მეფის კლეომენესეს წინააღმდეგ. არგოსელი ქალების სულიერებაზე ზეგავლენა მოახდინა პოეტმა ტელესილამ (ჩვ. წ.აღ.-მდე 494 წ.) როგორც გადმოსცემენ, ის ცნობილი ოჯახის შვილი იყო და რაღაც მელანქოლიური ავადმყოფობა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მან ღმერთებს მიმართა თავისი ლექსებითა და სიმღერებით, იგი გამოჯანმრთელდა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი, ამ პოეტ ქალზე მანამდე არაფერი იყო ცნობილი. ეს ლეგენდა III საუკუნეში უკვე ტელესილას ქანდაკების დადგმის შემდეგ გახდა ცნობილი, რაც პლუტარქოსმა სიამოვნებით აღწერა თავის ნაწერში.

როცა მეფე ვლეომენესსმა არგოველებზე მიიტანა პირველი იერიში, თავი გამარჯვებულად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში მან გაანადგურა შვიდი ათას შვიდას სამოცდა ჩვიდმეტი ჯარისკაცი.

ბევრი ისტორიკოსი ამას ზღაპარს უწოდებს, მაგრამ მას საბოლოო გამარჯვება არ დასცალდა. დახოცილი მამაკაცების ადგილი თურმე ახალგაზრდა ქალებმა დაიიკავეს და თავისი პოეტი ქალის ტელესილას მოწოდებით გამხნევებულნი, დადგნენ სამშობლოს დასაცავად. მათ აისხეს საომაარი იარაღი, გაამაგრეს ქალაქის გალავანი და მომხდური მტერი გაოცებაში მოიყვანეს. ქალებმა მეფე კლეომენესის ჯარს დიდი ზარალი მიაყენეს, ასევე შეავიწროვეს მეორე მეფის, დემატრიოსის ჯარიც.

ქალებმა დაიკავეს ქალაქ არგოსის ნაწილი – პამფილიაკონად წოდებული.

ამ ბრძძოლის ისტორიულ მნიშვნელობას აღწერს არგოსელების ისტორიკოსი სოკრატე. ასე იხსნეს ქალებმა თავიანთი ქალაქი.

ქალები, რომლებიც დაიღუპნენ ამ ბრძოლაში, დიდი პატივით დაკრძალეს, ხოლო გადარჩენილებს ძეგლები დაუდგეს.

ამ თარიღს ყოველ ოქტომბერში დღესაც საზეიმოდ აღნიშნავენ ჰიბრისტავკის საელწოდებით. ქალები ამ დღეს კაცის ტანსაცმლით იმოსებიან, ხოლო კაცები ქალების ტანსაცმელს იცვამენ.

თურმე ბრძოლისას ქალებს უკაცობა რომ დაეფარათ, წვერსაც იკეთებდნენ.

ამ ბრძოლისას დაქვრივებულ ქალებს დიდ პატივს მიაგებდნენ.

სპარსელები

კიროსმა აიძულა სპარსელები ბრძოლის ველზე მიეტოვებინათ მიდიის მეფე ასტიაგოსი, რომელლიც ომში დამარცხდა.

სპარსელებმა, სხვა გზა რომ ვეღარ ნახეს, მტერს ზურგი აქციეს და თავი ქალაქს შეაფარეს. მათ წინ დაუხვდნენ ქალაქის ქალები, რომლებმაც კაბები წელამდე აიწიეს და ჯარისკაცებს შესძახეს: „სად მიდიხართ, თქვე მშიშრებო, იქ ხომ არ აპირებთ შეძრომას, საიდანაც გამოძვერითო"... და ამ სამარცხვინო შეძახილის გამგონე მტერს ბრძოლა გაუმართეს. მათმა ამ შეტევამ ბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა, მათ გაიმარჯვეს.

ამ ამბავთან დაკავშირებბით სპარსთა მეფემ ასეთი კანონი გამოსცა: ყველა დროს, როცა სპარსეთის მეფე ქალაქში შემოვიდოდა, იგი ვალდებული იყო ქალაქის ყველა ქალისათვის თითო მონეტა მიეცა.

ისტორიულად ცნობილია მეფე ოქოსიტა, რაც არტაქსერქსესს IIIს-ის (359-338) ზედმეტი სახელი იყო.. იგი ბოლო მეფე გახლდათ არქიმენიდთა დინასტიიდან და თურმე ქალაქში ცენტრალური შესასვლელიდან არ შედიოდა, ჩუმად შეიპარებოდა ხოლმე, რომ ქალებისთვის დაკანონებული საჩუქარი არ მიეცა.

ალექსანდრე მაკედონელი კი ორჯერ შევიდა ამ ქალაქში და ყველა ფეხმძიმე ქალი ორ-ორი ოქროს მონეტით დაასაჩუქრა.

კელტები

ვიდრე კელტები ალპებს გადალახავდნენ იტალიის ერთ-ერთ პროვინციაში შეჩერდნენ. აქ მათ შეტაკება მოუხდათ ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, მაგრამ მოულოდნელად ქალები გამოჩნდნენ ბრძოლის ველზე და მათი ჩარევის შემდეგ მხარეები მიხვდნენ, რომ მათ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი ჰქონდათ.

ასე შეარიგეს ქალებმა მებრძოლები და ამის შემდეგ გადაწყდა, რომ ყოველი მებრძოლის საკითხი კელტ ქალებს უნდა გადაეწყვიტათ და თუ ამ ბრძოლაში ჯარისკაცები დამარცხდებოდნენ, მაშინ ქალები უნდა დაესაჯათ. ჰანიბალთან მიღწეულ შეთანხმებაში კი ჩაწერილი იყო, რომ თუ კელტებს რაიმე უთანხმოება ექნებოდა კართაგენელთა მიმართ, მაშინ მომრიგებელ მოსამაღლედ უნდა გამოსულიყვნენ კართაგენის მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელები.

ესპანეთში კი ასეთი უთანხმოების დროს კართაგენელებსა და კელტებს შორის დავა უნდა გადაეწყვიტათ კელტ ქალებს.

აქ მოხსენებული ჰანიბალის ლაშქრობა გალიასა და იტალიაში 219 წელს მოხდა ჩვ.წ-აღ-მდე.

მელოსელები

რასაც ახლა მოგიყვებით ქალაქ მელოსის შესახებ, არცერთ მწერალს არ აქვს აღწერილი. აქ მოხსენებული ადგილები კრიასი და კარია დღემდე უცნობია ჩრდილოეთ მცირე აზიაში.

მელოსელებმა თავიანთი მიწების გასაფართოებლად გადაწყვიტეს პირველ რიგში კოლონისტები გაეგზავნათ ნიმფესის ხელმძღვანელობით. ნიმფესი იყო ახალგაზრდა კაცი არაჩვეულებრივი შესახედაობისა.

კოლონისტები კარგი მეზღვაურები იყვნენ. მათ გადაწყვიტეს, რომ სადაც ხომალდები მიადგებოდნენ ნაპირს, იქ უნდა შეჩერებულიყვნენ. მოხდა ისე, რომ სადაც ხომალდები ნაპირს მადგნენ, იმ ადგილს ერქვა კარია. ამ დროს ამოვარდა ქარიშხალი და მათ ხომალდები სულ დაემსხვრათ. ქალაქის ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს უცხო სტუმრებს და შესთავაზეს იქ დარჩენილიყვნენ. მათ მიწის ნაკვეთები მისცეს და ეს მიწის ნაკვეთები ამ უცხო ხალხმა მალე ბაღნარებად აქცია. მაგრამ ერთ დღეს, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, ეს ჩამოსახლებული ხალხი ამოეწყვიტათ. ამ მიზნით, ისინი საზეიმო წვეულებაზე ცოლების გარეშე მიიწვიეს. მოხდა ისე, რომ ადგილობრივმა გოგონამ კაფანამ, რომელსაც ჩამოსახლებული ახალგაზრდა ნიმფევასი უყვარდა, თანამოსახლეთა ეს განზრახვა თავის შეყვარებულს გაანდო და უთხრა ყველაფერი თუ რას უპირებდნენ მეზობლები წვეულების დროს.

ნიმფევასმა ყველა თავისიანი გააფრთხილა, რომ საზეიმო წვეულებაზე ცოლების გარეშე არ მისლიყვნენ, ხოლო მათ ცოლებს დანები უნდა ჰქონოდათ დამალული. ისინი წვეულებაზე მივიდნენ და მეუღლეები გვერდით მოისვეს. წვეულების დროს, ნიმფევასის ნიშანზე ცოლებმა დააძრეს დანები და მასპინძლები ერთიანად ამოხოცეს.

მერე მათ ძველი ქალაქის მაგივრად ააშენეს ახალი, რომელსაც ახალი კრიასო დაარქვეს.

კაფენა ნიმფევასის ცოლი გახდა და მათ არაჩვეულებრივი ქორწილი გადაიხადეს.

მელოსელებმა დაუფასეს ნიმფევასს ამაგი და ყველა მისი ერთგული იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ტირანიელები

ათენელებმა კუნძულ ლემონოსიდან და იმბროსიდან, როგორც იქნა განდევნეს რიტენების ნახევრად ბარბაროსი შთამომავლები. ისინი ამ კუნძულზე დასახლდნენ და გაიტაცეს ქალები ბვრავრონიდან.

განდევნილები დაბინავდნენ ტენარონის ყურეში. მათ დახმარება გაუწიეს სპარტელებს ომში, ჰილოცემის წინააღმდეგ. ეს მათი თავდადება დაფასდა და მათ მოქალაქეობა მოიპოვეს, მაგრამ მათ არ მისცეს იმის უფლება, რომ მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის მართვაში. მალე მათ დააბრალეს სახელმწიფოს ღალატი, დააპატიმრეს და ლაკედემონელები მათ ფხიზლად დარაჯობდნენ. მალე მათი მეუღლეები ციხესთან მივიდნენ და დიდი ხვეწნისა და თხოვნის შემდეგ დარაჯებისგან მიიღეს მცირე დროით ქმრების ნახვის ნებართვა.

ისინი შევიდნენ დილეგში და სასწრაფოდ გადააცვეს ტუსაღებს ქალის ტანსაცმელი და ისე გამოაპარეს ციხიდან, თვითონ კი ციხეში დარჩნენ. ქალის კაბებში გამოწყობილი ციხიდან გამოსულები დაბანაკდნენ ტაიგეტოსზე, სადაც გამონახეს დამხმარე ძალა და დიდი მოლაპარაკებების შემდეგ აიძულეს მთავრობა გამოეშვათ მათი ცოლები, გამოუყვეს მათ ხომალდები და ფულადი სახსრები, რათა სხვაგან გამოეძებნათ საცხოვრებელი ადგილი.

ამრიგად, პელასგებმა თავისი ხომალდებით ზღვაში შესცურეს და დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ მიადგნენ კუნძულ მელოსს. მათი ერთი ნაწილი იქ დაბინავდა, ხოლო მეორე უფრო მეტმა ნაწილმა პოლისის მეთაურობით, როგორც იქნა, მიაღწია კუნძულ კრეტას, მაგრამ იქაც არ შეჩერდა, გააგრძელა ცურვა და მიადგა ქალაქ ქერონესს. მათ ღამე იქ გაათიეს, მაგრამ ყველანი დიდმა მწუხარებამ მოიცვა, ამიტომ დილით სწრაფად აიშალნენ და გასცილდნენ იქაურობას.

ზღვაში მალე აღმოაჩინეს, რომ მათ ქალღმერთ არტემესის ქანდაკება ხმელეთზე დარჩენოდათ.

პოლისმა მაშინვე გასცა განკარგულება, უკან გაბრუნებულიყვნენ ქანდაკების წამოსაღებად, მაგრამ როცა დაბრუნდნენ, ჩათვალეს, რომ ეს ამბავი ღმერთების ნებით მოხდა, ამიტომ აღარ დატოვეს ეს ადგილი და ბრძანების შემდეგ მათ დაიპყრეს მთელი კრეტა.

ამოწყვიტეს ადგილობრივი მაცხოვრებლები და თვითონ დაბინავდნენ ახალ ქალაქ ლივეტეში. მალე მათ სხვა ქალაქებიც დაიპყრეს. ამიტომაც ლივეტელები თვლიდნენ, რომ ისინი დედით არიან ათენელები, ხოლო მამით სპარტელები.

ფიქრობენ, რომ ეს მოთხრობა ტირენელ ქალბატონებზე განეკუთვნება მითიურ და ისტორიულ ეპოქას (X-IX ს. ჩV. წ. აღ-მდე). როცა დორიელები გადაბარგდნენ ჯერ პელინონისაოზე და შემდეგ გასწიეს კრეტასკენ მელოსსა და ფერე გზით.

საინტერესოა, რომ ისტორიკოსები ხშირად ტურენეკებსა და პელაზგებს მოიხსენიებენ იქ ბერძნების დასახლებამდე.

ისტორიკოსები იმასაც ამბობენ, რომ იტალიაში დაბინავებულ ტირანიელებს დაერქვათ ეტრუსკელები.

პირველწყაროთი — ჰეროდიტეს (145-148) უფრო სხვა ისტორიული მითოლოგია აქვს მოხსენებული. ქალაქი ლივეტე არის ჩრდილოეთით კუნძულ კრეტაზე მიახლოებით 10კმ. ზღვიდან.

ლიკოელები

მითი ბელეროფონტეზე ირველად „ილიადაშია" (156-195) აღწერილი, შემდეგ კი ჰესიოდეს, ჰინდაროსის და სხვათა მიერ...

ბერძენმა მეფემ პრეოსმა ბელეროფონტი გაგზავნა ლივიის მეფესთან იობატოსთან. მან დაავალა ბელეროფონტეს მოეკლა ბოროტი ურჩხული თავისი მფრინაცი რაშის ჰეგახოსის დახმარებით.

ბელეროფონტმა მოკლა ბოროტი ურჩხული, გაიმარჯვა სოლოზასებისა და ამორძალების მოსახლეობაზე და ამოწყვიტა მასზე თავდასასხმელად გამზადებული ჯარიც. მაშინ მეფე იობატოსმა ზავი შესთავაზა მას და შეურიგდა.

ეს ამბავი, რომელსაც პლუტარქოსი აღგვიწერს, იმის ცდაა, რომ რაც შეიძლება რაციონალურად აგვიხსნას ეს მითი, რომლის ოთხი ვერსია არსებობს. ეს ვერსიები ერთი მეორეზე უკეთესია.

ბოლო მითი ბერძენი ისტორიკოსის ნიმფიის მიერ არის აღწერილი II საუკუნეში (269 წ.) ჩვ.წ. აღ-მდე.

ეს მოხდა ლივიაში. ამბავი მიჩნეულია სინამდვილედ.

გადმოცემით, ამისოდოროსმა, რომელსაც ლივიელები ეძახიან ისარომს, ლივიის კოლონიიდან მეკობრეების გემები ჩამოიყვანა ქიმერას ხელმძღვანელობით. იგი გამორჩეული იყო თავისი სისასტიკით, გამჭრიახი გონებითა და მებრძოლი სულით.

მისი გემის ქიმზე გამოსახული იყო ლომი, ხოლო კუდზე ურჩხული. იგი თურმე ისე ძალიან ავიწროებდა ლივიელებს, რომ მათ არც ზღვაში გასვლა და უფრო მეტიც, ზღვისპირა ქალაქებში ცხოვრებც კი არ შეეძლოთ.

ბოლოს ქიმერა მოკლა ბელეროფონტმა, რომელიც მის გემებს დაედევნა თავისი მფრინავი რაშით-პეგასით.

ბელეროფონმა ასევე განდევნა მტრულად განწყობილი ლიკიელი ამორძალები.

მაგრამ მეფე იობატოსმა თურმე მას არ დაუფასა ასეთი გმირობა და არც არაფრით დააჯილდოვა. უფრო მეტიც, ისე მტრულად მოექცა მას, რაც არ ეკუთვნოდა.

მაშინ ბელეროფონტმა ზღვას მიაშურა და პოსეიდონს შესთხოვა, დაესაჯა ეს ქვეყანა, მასში შობადობა შეემცირებინა.

როცა იგი უკან ბრუნდებოდა, დაინახა, თუ როგორ შეასკდა ხმელეთის ნაპირს უზარმაზარი ტალღა, რომელმაც წალეკა ყველაფერი.

ლივიელებმა გადაწყვიტეს მოლაპარაკებოდნენ ბელეროფონტს, რათა მას შეეწყვიტა ასეთი წარღვნა. მის შესახვედრად გამოვიდნენ ქალები, რომლებსაც კაბების ქვედა ბოლოები აწეული ჰქონდათ და ბელეროფონტეც უკან გაბუნდა. მალე ზვირთებმაც იწყეს უკუქცევა.

ზოგი ავტორი ამ ამბავს ისე გვიყვება, რომ თითქოს ზღვამ უბრალოდ მარტო ხმელეთის ნაპირი კი არ დატბოდა, არამედ ტალღებმა ზღვასა და მიწას შორის აღმართული ქვის კედელი გაანგრია და წყალი ისე სწრაფად შეიჭრა ველ-მინდვრებში, რომ კაცებმა ვერ შესძლეს მისი შეკავება და აი, თურმე მაშინ გამოსულან ქალები და მათი თხოვნა-მუდარით და მოფერებით თავიდან აუცილებიათ უფრო დიდი უბედურება.

ამბობენ აგრეთვე, რომ ქიმერა, როგორც უბედურება. უწოდებდნენ, ეს არის ბრძოლა მზესთან, რომელც ზაფხულობით ხელს უწყობს დედამიწიდან ტენის დიდ აორთქლებას და ანადგურებს ნათესებს.

ბელეროფონტმა ამოხსნა ამ უბედურების მიზეზი და გადაწყვიტა ხალხს მიშველებოდა. მან აჩეხა სწორი ნაპირი, რომელიც ხელს უწყობდა მზის სხივთა გარდატეხას.

იგი მიხვდა რომ ლიკიელებმა მხოლოდ მოთხოვნა იცოდნენ, სიკეთეს კი არავის უფასებდნენ ამიტომაც გადაწყვიტა მათი დასჯა...

მაგრამ ქალების დიდმა ხვეწნა-მუდარამ აქაც გასჭრა და ბოლომდე ვეღარ გაიმეტა ლიკიელები.

თითქოსდა სიმართლესთან უფრო ახლოს გვეჩვენება ის ცნობა, რომელსაც გვაწვდის ისტორიკოსი ნიფისი თავის მეორე წიგნში „ჰერეკლეს ისტორია". აქ იგი ამტკიცებს, რომ ბელეროფონტმა მოკლა გარეული ტახი, რომელიც ანადგურებდა მთელ ნათესებს და შინაურ ცხოველებსაც, მაგრამ ხალხმა მას ეს არ დაუფასა, ამიტომ მისი თხოვნა პოსეიდონმა მიიღო და ღმერთმა დასაჯა კიდეც ლიკიელები, როცა მათი ნათესები მთლიანად დაიფარა მარილის ფენით და განადგურდა მთელი მოსავალი.

ქალებმა კი გამოიჩინეს გმირობა და ბელეროფონტს მუდარით ბოლოს და ბოლოს მოახსნევინეს პოსეიდონთან ნათქვამი სიტყვა.

აქედან წამოვიდა ქსანთოსელების ტრადიციაც, რომ ბავშვს სახელი დედისგან ებოძება და არა მამისგან.

სალმანტიკელები

ქალაქი სალმანტიკა ჰანიბალმა დაიპყრო. ეს ქალაქი ესპანელებით იყო დასახლებული. ეს მოხდა 220 წელს, ვიდრე რომზე სალაშქროდ გაემართებოდა და მეორე პუნიკური ომი დაიწყებოდა.

ჰანიბალის ჯარი მავრიტანული ტომისგან შედგებოდა.

სანამ ჰანიბალის ვაჟიშვილი ბარკი შეუტევდა თავისი ჯარით რომაელებს, მან ესპანეთში დააარსა დიდი ქალაქი სალმანტიკა. პირველად დამარცხებულები ცდილობდნენ წინააღმდეგობა არ გაეწიათ ჰანიბალისათვის და მას 300 ტალანტონი და სამასი ტყვე შესთავაზეს. მაგრამ, როცა მან ქალაქს ალყა მოხსნა, გასცა ბრძანება, რომ გაეძარცვათ ქალაქი.

ქალაქის მაცხოვრებლები მას ყველაზე ძნელი პირობით ჩაბარდნენ, მათ უნდა დაეყარათ იარაღი, თავიანთი საცხოვრებლები და მთელი ავლა-დიდება დაეტოვებინათ და წასულიყვნენ.

ქალები მიხვდნენ, რომ მათ არ გაჩხრიკავდნენ, ამიტომ კაცების იარაღი კაბების ქვეშ დამალეს და ქმრებთან ერთად ასე გავიდნენ ქალაქიდან. როცა ყველა წავიდა, ჰანიბალმა ისინი ქალაქგარეთ დააბინავა და მათ დარაჯად მიუჩინა მასესილელების ტომი — ისინი მავრიტანელების ტომიდან იყვნენ დაკომპლექტებული, ხოლო დანარჩენი ჰანიბალის ჯარი ქალაქს შეესია გასაძარცვავად.

მასესილელები, რომლებიც დარაჯად იდგნენ, ხედავდნენ, თუ როგორ მდიდრდებოდნენ მათი მეგობრები. ამიტომ ხშირად ტოვებდნენ თავის სამსახურს და ისინიც ძარცვავდნენ მიტოვებულ ოჯახებს.

ამით ისარგებლეს სალმანტიკელებმა. ქალებმა შეუძახეს თავიანთ ქმრებს, გადასცეს იარაღი, ხმლები და თვითონაც შეიარაღებულნი თავს დაესხნენ დარაჯებს.

ზოგი დარაჯი ცოცხალი გადარჩა რადგან ტანზე ჯავშანი ეცვა. ასე რომ ვინც გადარჩა გაიქცა.

სალმანტიკელებმა თავიანთ ცოლებთან ერთად თავი დააღწიეს ტყვეობას.

ჰანიბალმა თავისი ჯარი დაადევნა გაქცეულებს, ბევრმა მათგანმა თავი მთას შეაფარა. შემდეგ ჰანიბალმა მათ მიუგზავნა თავისი მსტოვრები, შერიგება სთხოვა და ნება დართო თავის ქალაქში დაბრუნებულიყვნენ. მანვე გაუწია ანგარიში მათ თხოვნას და ისინი საცხოვრებლად დაბრუნდნენ ქალაქ სალმანტიკაში.

მილიტელები

ეს ამბავი ჩართო პლუტარქოსმა თავის წიგნში საუბრები სუფრასთან” და ისტორიას შემორჩა რომაელი მწერლის II საუკუნეშI ჩვ.წ. აღ-დე 79 წლის ავდიუს ჰელიუსის ლათინური თარგმნით.

მილეტელი გოგონები სრულიად უმიზეზოდ სულიერად გახდნენ ავად და ეს შიშის გამო მოხდა. კაცი იფიქრებდა, მათI სულიერი აშლილობა ჰაერში გავრცელებულკმა ბაცილამ გამოიწვიაო, რადგან ყოველი მათგანი ერთად ჩამოხრჩობით, თავის მოკვლის სურვილით იყო შეპყრობილი.

სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა, მათდამი უყურადღებობის გამო თავი ჩამოიხრჩო. მათI მშობლების გლოვამ ყველას ცხოვრება გაუმწარა. ოჯახები შიშმა მოიცვა, ყველა იჭვწოდა, რათა მათ როგორმე ხელი აეღოთ ამ საშინელ განზრახვაზე.

მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. მშობლების, ახლობლებისა და მეგობრების რჩევა-დარიგება მათზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა.

ჩანდა, რომ რაღაც სატანისებური დაავადება დაუფლებოდა ახალგაზრდების გონებას, რაკიღა ასეთი თავგამოდებული ბრძოლა მათზე ვერ ახდენდა ვერავითარ გავლენას.

საქმეში ბულეც ჩართო, მან გასცა ბრძანება, რომ ჩამოხრჩობილი გოგონების შიშველი გვამები მოედანზე გამოეტანათ.

ამ გადაწყვეტილებამ შეაჩერა გოგონების თვითმკვლელობა.

როგორც ჩანს, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გოგონების ფსიქიკაზე იმოქმედა დიდი სირცხვილის გრძნობამ, რათა სიკვდილის შემდგომ მათ მთელი ქვეყანა შიშველს დაინახავდა.

კიოსელები

ამ მოთხრობის სახელწოდება კიოსელი ქალების შესახებ შეიძლება შეცდომად მიიჩნიოთ, რადგან აქ მოთხრობილი ამბავი შესაძლოა ეძღვნებოდეს ქალაქ კიოსს, რომელიც მარმარილოს ზღვის სანაპიროზე კუნძულ კიოსზე მდებარეობს, ატიკის მახლობლად.

მათ შესახებ ჯერ კიდევ გამოჩენილი მწერალი არისტოფანოსი წერდა ჩვ.წ. აღ-მდე 970 წელს.

ქალაქ კიოსის გოგონებს ძალიან უხაროდათ, რომ დღესასწაულები ახლოვდებოდა და იქ კარგად ატარებდნენ დროს.

ამ დროს მათი საქმროები ტკბებოდნენ გოგონების ცეკვა-თამაშით...

საღამოთი კი საქმროს ოჯახს ეწვეოდნენ სტუმრად, ოჯახის ყველა წევრს, მათ მშობლებს, ძმებს, დებს, ემსახურებოდნენ და იქამდისაც კი, რომ მათთვის ფეხიც უნდა დაებანათ. ხდებოდა ისიც, რომ ერთ გოგონას რამდენიმე შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ ამ დროს ასეთი წესი არსებობდა, რომელსაც განუყრელად იცავდნენ. დაინიშნებოდა თუ არა გოგონა, სხვა ვაჟები იმავ წუთს მას თავს ანებებდნენ.

ქალაქ კიოსში 700 წლის განმავლობაში ღალატის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ამფისელები

ამ მოთხრობაში აღწერილი ამბავი მომხდარა ძვ. წ. აღ-ით 354-353 წლებში, იმ დროს, როცა „წმინდა ომი" მიმდინარეობდა. ფოკიელ მეთაურებს ფილომელოსსა და ონომარქოსს შორის.

როცა ფოკისელმა ტირანებმა დაიპყრეს დელფოსი, მათ ებრძოდნენ თებელები, ამიტომაც მას უწოდეს „წმინდა ომი", რომელშიც ქალები აქტიურად იყვნენ ჩამბულნი. მათ უწოდებდნენ ბაკქოსელებს. ქალების მოქმედება ღამ-ღამობით გასაოცარი იყო. ისინი ქალაქ ამფისში გამოდიოდნენ მოედანზე. იქ წვებოდნენ და იძინებდნენ. ამ ქალაქში ძალიან ბევრი ჯარისკაცი ირეოდა. მამფისელი ქალები გამოდიოდნენ და იმ მძინარე ბაკქისელ ქალებს იცავდნენ. როცა ისინი იღვიძებდნენ, მათ ყველანაირად ეხმარებოდნენ, მოჰქონდათ საჭმელი და ბოლოს ქმრების ნებართვით საზღვრამდე აცილებდნენ.

ვალერია და კელელია

ეს ამბავი მოხდა 508 წელს. პლუტარქოსმა აღწერა იგი და თავის წიგნში შეიტანა რომაელების გმირობის მაგალითად.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოთხრობა ვალერიას გმირობაზე გამოიგონეს ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნეში.

მიმდინარე ომების საფუძველზე განდევნილი ტარკვინიელები, რომლებსაც თვითონვე აწარმოებდნენ, შეეცადნენ, რომ დაკარგული ძალაუფლება დაებრუნებინათ.

ტარკვინიუსმა დაარწმუნდა ეტრუსკების მეფე პორსენნა და თავისი ძლიერი ჯარით გაელაშქრა რომაელების წინააღმდეგ. იმ დროს რომაელებს ყველა სხვა „სიკეთესთან" ერთად შიმშილიც სტანჯავდა.

რომაელებმა იცოდნენ, რომ პორსენნა მართალია იყო ძალიან მკაცრი, მარგამ სამართლიანი ადამიანი, ამიტომ თვითონვე შეეცადნენ ის გამხდარიყო ტარკვინიუსთან მოლაპარაკების შუამავალი, მაგრამ ტარკვინიუსმა ამაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ რაკიღა პორსენნამ განაცხადა, რომ რომაელებთან ზავი დაედოთ, თუ კი ისინი დააბრუნებდნენ მიწებს, რომელიც ადრე წაართვეს მას და ხელშეკრულების დადებამდე მოხსნა თავისი ჯარისკაცების ალყა.

ამაში მან მიიღო ტყვედ ათი ვაჟი და ათი ქალი. მათ შორის იყო ვალერია — კონსულ პაპლიკოლას ქალიშვილი.

ერთხელ ეს ახალგაზრდა ტყვე ქალიშვილები წავიდნენ მდინარეზე საბანაოდ.

ამ გოგონებისაგან ერთ-ერთმა, ელელიამ გოგონებს შესთავაზა მდინარე გადაეცურათ და რომში შესულიყვნენ.

მათ თავზე დაიდეს თავიანთი ტანსაცმელი და მდინარეში შეცურეს.

ძალიან გაუჭირდათ მეორე ნაპირამდე მისვლა.

გოგონათაგან ერთ-ერთმა ელელიამ, ცხენი იშოვნა და მასთან ერთად ძალიან ადვილად გადაცურა მდინარე და სხვებსაც დაეხმარა, რადგან ცხენი კვეთავდა წყალს და გოგონები მის

„ნაკვალევს” მისდევდნენ. როცა რომაელებმა გაიგეს, რომ ეს გოგონები უკან დაბრუნდნენ, ყველ გაოცებული დარჩა მათი საქციელით, მაგრამ თვითონ გოგონების გაქცევის ფაქტი აღარ იქნა აღქმული დადებითად. გოგონები მალე აიძულეს ტყვეობაში დაბრუნებულიყვნენ და მათ მცველები მიუჩინეს.

როცა გოგონებმა მდინარეში შეცურეს, მათ თავს დაესხა რომის ბოლო მეფე ტარკვინიკესი (ძჩ. წ. აღ-ით 534-510წწ.), მაგრამ ვალერიამ სამ მონასთან ერთად მოახერხა დამამლულიყო სპარსელების ბანაკში. სხვებს კი დახმარება გაუწია ეტრუსკელების მეფის პორსენის ვაჟიშვილმა არანუსმა. როცა მეფე პორსენსმა დაინახა ტყვე გოგონები, იკითხა ვინ იყო ამ გაქცევის მოთავე. ყველა ჩუმად იყომ არ უნდოდათ ელელიას გაცემა, მაგრამ მან არ დაფარა და თვითონ აღიარა: „ეს მე გადავწყვიტეო”.

აღტაცებულმა მეფე პორსენამ, რომელიც ებრძოდა რომაელებს (ჩვ. წ. აღ-მდე VI ს-ის ბოლოს), ბრძანა ულამაზესი გაწვრთნილი ცხენი მომიყვანეთო და კელელიას აჩუქა და მაშინვე გასცა ბრძანება, რომ ყველანი თავისუფლები იყვნენ და შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ რომში.

აქედან აკეთებდნენ დასკვნას, რომ რაკიღა ელელიამ გაქცევის დროს ცხენი დაიხმარა, მეფე პორსენმა ცხენის ჩუქებით გამოხატა თავისი აღტაცება მისი ვაჟკაცური საქციელის აღიარების გამო.

ქალის ასეთი საქციელის შესაქებად წმინდა გზაზე დაიდგა ცხენის ძეგლი მასზე ამხედრებული ქალის გამოსახულებით.

ეს ძეგლი გამვლელთაგან ზოგს ელელიას და ზოგს ვალერიას აგონებს.

მარინა ილიას-ას. სხირტლაძე

ნაწყვეტი ჟურნალიდან „Bibliotheque Nationale de Paris”: 1999 an. რეფერირებული თარგმნა მარინა სხირტლაძისა.

„ all the Source of the National of Paris” represents an abstract translation from the French journal done by Marina Skhirtladze. A short history of the foundation of the National Library of Paris up to XIX centry is given in this work.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სათავეებთან

ამ უძველესი კულტურული დაწესებულების სათავეები მეტად მისტიკურია. შარლ V-დან (1364-1380) მოყოლებული ფრანგი მეფეები თავიანთ ბიბლიოთეკებში წიგნების კოლექციებს აგროვებდნენ.

შარლემანს თავის სასახლეში ექს-ლა შაპელში უკვე საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ლუი ღვთისმოსავი და შარლ მელოტი თავის მხრივ ცდილობდნენ ძვირფასი ტექსტების გაფერადებას, რომელთაგან ბევრი შემდგომში ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში გადავიდა , მაგრამ უნდა აღინიშნოსის ფაქტიც, რომ ფრანგ მეფეთა პირველი კოლექციები, მაგალითად, წმინდა ლუისისა, მათი სიკვდილის შემდეგ იკარგებოდა. როცა შარლ მეხუთემ, 1365 წელს ლუვრის ერთ-ერთ შტოში საკუთარი ბიბლიოთეკა დააარსა, სწორედ ამის გამო სათავსოს კედლები ჰოლანდიური მუხის ჰანელით გაამაგრებინა, ხოლო თაღი — კვიპროსის ხისგან დაამზადებინა, ფანჯრებზე ტილო გადაჭიმეს, რომელიც ინტერიორს იცავდა ,,ჩიტებისა და სხვა რამისგან”. ბიბლიოთეკის მცველად მუშაობდა თავად მეფის ნდობით აღჭურვილი პირი — ჟილ მალე, რომელიც ინვენტარიზაციას აწარმოებდა. 1380 წლისთვის ბიბლიოთეკაში უკვე 917 ტომი ინახებოდა. შარლს ჩI-ის (1380-1422) დროს ეს ტომები ვინმე წარჩIნებულმა ინგლისელმა შეისყიდა. ბიბლიოთეკა გადატანილ იქნა ინგლისში 1429 წელს, რის შემდეგაც იგი უკვალოდ დაიკარგა. ასე რომ, ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები.

მხოლოდ ლუი Xი-ის მეფობის (1461-1483) წლებში გახდა შესაძლებელი ბიბლიოთეკის უწყვეტობის დაცვა. შეკრებილი კოლექცია მისი ვაჟის შარლ VIII-ის შემდეგ აღარ დაფანტულა, რაც უდავოდ ამ მონარქის მიერ ბიბლიოთეკის დიდ მზრუნველბაზე მეტყველებს.

მოგახსენებთ, რომ შუა საუკუნეების პერგამენტები საუკეთესო ოსტატების მიერ თავდადებული შრომით შექმნილი უძვირფასესი წიგნებია. ლუი XI-ის ბიბლიოთეკაში ასეთ პერგამენტებთან ერთად ინახებოდა 1370 წ. ფლორენციაში გადაწერილი და მოხატული ბოკაჩიოს „დეკამერონი". მეფის ფავორიტის – მხატვარ ჟან ფუკეს მიერაა მოხატული სენ მიშელის ბრძანებათა წესდებები, რელიგიური წიგნები, კლასიკოსი ავტორები თაროზე მათ გვერდზე ეწყო იმდროინდელი ასტროლოგიური რუკებიც.

სტამბის განვითარების შემდეგ სამეფო ბიბლიოთეკა აგრძელებდა ფონდების შევსებას ძველი ხელნაწერებით, რომლებიც სწავლულთა სამუშაო იარაღს წარმოადგენდა. სპეციალური მისიების შედეგად მოპოვებულ იქნა არაბული, ებრაული, ჩინური და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების დოკუმენტური მასალები. პირველი უცხო ხელნაწერები ბიბლიოთეკაში შემოვიდა 1700 წელს – მექსიკური, 1717 წელს – რუსული. რაც შეეხება დასტამბულ წიგნს, ბიბლიოთეკაში იგი უცებ არ მოხვედრილა. 1645 წლის ინვენტარის მიხედვით , ბიბლიოთეკის ფონდებში ირიცხებოდა 1329 დასტამბული წიგნი. ბეჭდური წიგნის ილუსტრაცია ხეზე შესრულებული გრავიურის დახმარებით XVI საუკუნიდან ხელს უწყობს გრავიურის მოდიფიცირებას. 1667 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა მიშელ დე მაროლის კოლექცია, რომელიც მოგვიანებით გახდა ტვიფრის კაბინეტის სიამაყე.

შუა საუკუნეებიდან ფრანგი მეფეები თავიათ სასახლეებში მონეტებს, სმკაულებს და სხვა ნივთებს აგროვებდნენ. შარლ IX დაარსა კაბინე დე მეტაი – მედლების კაბინეტი, რომელიც რელიგიურ ომებს შეეწირა. შემდგომ ის ბიბლიოთეკისგან დამოუკიდებლად აღდგენილ იქნა ანრი VI-ის მიერ. ეს დაცული კოლექცია ლუვრში საკმაოდ გაიზარდა და 1666 წელს სამეფო ბიბლიოთეკას შეუერთდა, რომელიც მაშინ ვიკიენის ქუჩაზე მდებარეობდა. ლუი XIV დიდად მფარველობდა ამ ძვირფას კოლექციას და 1684 წელს იგი ვერსალში გადაატანინა, თუმცა ზედამხვედველობა მასზე ისევ ბიბლიოტეკას ევალებოდა.

ბიბლიოთეკების კოლექციების გაზრდის ძირითადი პირობა ლეგალური შენატანი იყო, რომელიც მონპელიეს მიერ 1537 წლის 3 დეკემბერს ბრძანებულებით დაწესდა. ეს ბრძანება გამომცემლებს ავალდებულებდა მათ მიერ დასტამბულებული ყველა ბეჭდური ნაწარმოებებიდან ორი ეგზემპლარის გაგზავნას ბლუას შატოს ბიბლიოთეკაში. ეს რევოლუციური მოთხოვნა ერთბაშად არ იქნა მიღებული, თუმცა 1624 წელს ბრძანეულება კვლავ განახლდა და ახლა უკვე წიგნით მოვაჭრეებს აეკრძალათ გაეყიდათ ისეთი წიგნი, რომლის ორი სავალდებულო ცალი არ იქნებოდა დაცული ბიბლიოთეკაში. 1672 წელს ეს წესი გავრცელდა ესტამპებზეც და 1745 წელს – მუსიკალურ ნოტებზეც.

მეტად საინტერესოა ბიბლიოთეკკის მუშაკთა დამოკიდებულება მკითხველებთან მიმართებაში. 1692 წლამდე ბიბლიოთეკით სარგებლობა დასაშვები იყო მხოლოდ სწავლულთათვის, მაგრამ მკითხველთა რაოდენობის ზრდამ გადაწყვიტა საჯარო ბიბლიოთეკის ფონდების ფართო მასებისთვის გახსნა. თავდაპირველად ეს ხდებოდა კვირაში ორჯერ, თუმცა მალე (1706წ.) ეს ექსპერიმენტი შეჩერდა ერთი ტომის მოპარვასთან დაკავშირებით (ეს არის საფრანგეთის ბიბლიოთეკების ისტორიაში ქურდობის პირველი შემთხვევა). მეცნიერები ბიბლიოთეკებით სარგებლობას კვლავაც განაგრძობდნენ.

ბიბლიოთეკის ფონდების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ყველა დოკუმენტის კლასიფიცირებისა და მათი კატალოგიზაციის აუცილებლობის საკითხი. პირველი სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნეობაში დაწერილ იქნა 1627 წელს აბრიელ ნოდეს მიერ. ნიკოლა კლემენმა, რომელიც 1670 წელს სამეფომ ბიბლიოთეკას ჩაუდგა სათავეში, ბეჭდური წიგნების კლასიფიკაცია მოახდინა. მის მიერ ნაშრომშები დაყოფილი იყო 23 კლასად. თითოეული მათგანი წარმოდგენილი იყო 23 კლასად. თითოეული მათგანი წარმოდგენილი იყო ანბანის ასოთა რიგის მიხედვით: 1 – 4 რელიგიისათვის, 2 – იურისპრუდენციის, 3 – ისტორიის, 4 – ფილოსოფიის. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის. ხელნაწერები იყო დაყოფილი ენებისა და შინაარსის მიხედვით.

განმანათლებლობის სახელით ცნობილი მე-18 საუკუნე ოქროს ხანა იყო ბიბლიოთეკისათვისაც. საინტერესოა აბატ ბინიონის მოღვაწეობა სამეფო ბიბლიოთეკაში. იგი იღებდა რა სხვადასხვა კოლექციებს კერძო ბიბლიოთეკებიდან, ზრდიდა ბიბლიოთეკის ფონდებს და, რაც მთავარია, მან მოახერხა თავისი ადგილი მიეჩინა ბეჭდური წიგნის, ხელნაწერების, მედალიონების, გრავიურებისა და ესტამპებისათვის, უფრო მეტიც – მან 1720 წელს მეფეს სამეფო სტამბაში დაბეჭდილი ბიბლიოტეკის კატალოგების პირველი ტომი

წარუდგინა. 1720 წელს საბიბლიოთეკო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბიბლიოთეკის კარები ფართო საზოგადოებისთვის კვირაში ერთხელ ღია გახდა, რაც თავისთავად ბიბლიოთეკის საჯაროობის წინაპრობა იყო.

1741 წელს აბატი ბინიონი პენსიაზე გავიდა, მისი წასვლის შემდეგ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ აბატი ბარტელში (მედალიონების მცველი) და უგეს – ადრიან ჟოლო (ესტამპების მცველი), რომლებმაც თავიანთი საქმიანობით ბიბლიოთეკაევროპელ სწავლულთა ცენტრად გადააქციეს. ისინი ინტენსრიურად მუშაობდნენ ფონდების გაზრდაზე და არსებული ლიტერატურის დაცვაზე.

საინტერესოა ბიბლიოთეკის თანამდებობის მსურველთა პირობები. პირველ პირობად ბიბლიოთეკარის განსწავლულობა, თავმდაბლობა და საქმისადმი ერთგულება იყო მიჩნეული. ბიბლიოთეკის დირექტორს კი ირჩევდნენ რვაკაციანი მცველისგან შემდგარი საბჭოს თანხმობის შემდეგ. დირექტორი უშუალოდ ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს.

საეკლესიო ქონება, რომელიც სხვადასხვაგვარი შინაარსის გამო განაწილებული იყო მუზეუმებსა თუ ეკლესიებს შორის, 1789 წლის ნოემბერში სამეფო ბიბლიოთეკას გადაეცა. გადაცემულთა სიაში შედიოდა სორბონის ბიბლიოთეკის 29 800 ბეჭდური და 2000 ხელნაწერი, სენვიქტორის სააბატოდან ბიბლიოთეკაში მიიღეს 3000-ზე მეტი დოკუმენტი, რომელთა შორის იყო იმ დროის გეოგრაფიულ რუკათა მშვენიერი კოლექცია. მეორე დიდი პიროვნება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა სამეფო (შემდეგ ეროვნული) ბიბლიოთეკის ისტორიაში, ეს გახლავთიოსებ ვან პრაე (1754-1838). იგი ბიბლიოთეკაში 1784 წელს მივიდა და 1838 წლამდე იმუშავა. მისმა დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო: 1794 წლისათვის ბიბლიოთეკის ნაბეჭდ წიგნთა რაოდენობა 12 500-ს წარმოადგენდა. დირექტორი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წიგნების აუქციონერებში, სადაც არ უნდა ჩატარებულიყო ვაჭრობა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. იოსებ ვან პრაე მშვენიერ გემოვნებას ამჟღავნებდა. ბრწყინვალედ იცოდა რა ბიბლიოთეკის ფონდები, მისი გამდიდრებისათვის განსაკუთრებულ ეგზემპლარებს იძენდა და უკვე XIX საუკუნის 30-იან წლებისათვის დღიდან ბიბლიოთეკის დაარსებისა ფონდების გაორმაგება აღინიშნა. XIX საუკუნემ ახალი მიზნები და ამოცანები დაუსახა ბიბლიოთეკას და ბიბლიოთეკარებს, მაგრამ ეს უკვე სხვა დროისათვის შემოგთავაზებთ.

ლუარა სორდია

ქართველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე

ჯუმბერ ლეჟავა

იუნესკოს მსოფლიო დესპანი / მსოფლიოს სპორტსმენი / გაეროს ბუნების დაცვის ელჩი / გინესის მრავალგზის რეკორდსმენი / მსოფლიო ველომოგზაური / მოგზაური დიპლომატი / სახელმწიფო პრემიის ლაურეატი / ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი / მსოფლიო 2009 წლის ადამიანი / საქართველოს 2002 წლის ადამიანი / სპორტის დამსახურებული მუშაკი / მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე / ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი / ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი / ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე / 5 აკადემიის აკადემიკოსი / შეყვნილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში / ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი — მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

ღვთისმეტყველები და პოეტები ადამიანის სულს ადარებენ დაუდეგარ ზღვას, რომელიც მუდმივად შფოთავს, ვერ ეტევა ჩარჩოებში, ელტვის ახალ ნაპირებს, სწყურია შორეული მხარეების მოხილვა, შემეცნების გაფართოება და ამის საუკეთესო საშუალებაა მოგზაურობა, ხეტიალი უცნობ სივრცეებში.

მოგზაურობას სხვადასხვაგვარი ასპექტი აქვს. ცნობილია მოგზაურობა რეალურ სივრცეში, ლოკალურ ჭრილში და მსოფლიო, კოსმიური მასშტაბებისკენ ლტოლვა.

პოეზია, მწერლობა დიდი მოგზაურობაა ადამიანის სულში, გულში, ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სივრცეთა საიდუმლოებებში დაუსრულებელი ხეტიალი.

ამიტომაც გვეცხადებიან პოეტები და მწერლები მოგზაურის, მეზღვაურის, მოხეტიალის, მარადი მგზავრის, აგასფერის ნიღბებით.

ფიზიკური მოგზაურობის პარარელურად, საუბრობენ სულის ასტრალურ (ვარსკვლავურ) მოგზაურობაზეც.

მოგზაურობა ამდიდრებს სულიერ სამყაროს, ხელს უწყობს პროგრესს. მოგზაურობის, ქვეყნებთან, ხალხებთან კონტაქტის გარშე ვერ განვითარდებოდა კაცობრიობის სული, კულტურა, ვერ მიიღწეოდა წინსვლა.

“მოგზაურობა, ხეტიალი ანტიურ და შუასაუკუნეობრივ პოემებში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევსისა, ენეასისა, შუა საუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა”(ზვიად გამსახურდია, “ვეფხისტყაოსნის” სახისმეტყველება, თბ.1991, გვ. 304).

სტეფან ცვაიგი განარჩევს "გულდინჯ მკვლევარებს და დესპარადორებს, ფსიქოლოგ მეცნიერებს, მშობლიური მხარის შემსწავლელ გეოგრაფებს და პოეტებს, ზღვარის გადალახვას რომ არ ერიდებიან" (სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი, ფანტასტიკური ღამე, თბ. 1966, გვ. 216).

სწორედ "მამაც ზღვარგადამლახველთ" ხელეწიფებათ კაცობრიობის გონის შორს გაწევა.

ნიჭიერებს სწყურიათ ადამიანურ შესაძლებლობათა გაფართოება, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების შორს გაწევა, რადგან მაძიებელი სულისთვის ბორკილია ყოველდღიური, ყოფითი წვრილმანები, ეგოისტური, მეშჩანური, პირადული ინსტინქტების ტყვეობა.

მოგზაურობის მარშრუტი კი შეიძლება იყოს მიწა, ცა, ზღვა, უდაბნო, კოსმოსი, ოთხივე სკნელი, ასტრალური სამყარო, პოლუსები, განედები,მერიდიანები, ბერმუდის კუნძულები, ანდები, მშვიდთა მიწა, წმიდა სულების სავანე – შამბალა.

წმიდა ეპისკოპოსი ეგნატე წერს: "მთელი სამყარო უმცირეს დროში მოვიარე და ამავე დროს მშვიდად ვიჯექი ჩემს სავარძელში" (წერილები ერისკაცთა მიმართ, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I , 1990, გვ. 267).

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მიდრეკილება მუდამ ახასიათებს ცოცხალ არსებას. მას ჰქვია სარვა-გატა, რაც ნიშნავს მას, "ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს".

"ფაუსტში" მეფისტოფელი საუბრობს "არსებულს იქით" გამგზავრებაზე.

გიორგი გურგიევის აზრით, ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობის მიზანი უნდა იყოს უჩვეულო, "უცნობი მიწა" (სიყვარულის ორი სახე, თბ. 1992, გვ. 103-104).

დანტეს "ღვთაებრივ კომედიაში"კაცნი „მოგზაურობენ ადგილზე ნდომით, ერთ ადგილას შთენილნი"...

იტალიელმა გენიოსმა სულის თვალით იხილა ოთხივე სკნელი და თავის მიზანს ასე მიაღწია: "გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია".

პოეტის გონითი საზღვრების გაფართოება მომავლისკენ იყო მიმართული: "ცნობიერებას იხვეჭ ახალს მერმისისათვის" (ღვთაებრივი კომედია, 1941, 213-215).

გალაკტიონ ტაბიძისთვის "გული გზა და მოგზაური" იყო, ხოლო სულის გემის, "ოცნების ნავის" მოგზაურები – მოგონებებია, მასში ია-ვარდი, სიხარული დამკვიდრებულა (ია მარიამ ღვთისმშობლის, ვარდი და სიხარული ქრისტეს სიმბოლოებია).

პოეზიაში სიმბოლურ შინაარსს იძენს ტრანსპორტის სახეებიც: გემი, ნავი, ხომალდი, კრეისერი, მერანი, ეტლი, დილიჟანსი, ურემი.

დიდი მოგზაურობის განხორციელება მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ, რომლებიც, განსხვავებით პატარა სამყაროს პატარა ადამიანებისგან, დიდ სამყაროში ცხოვრობენ : "დიდი სამყაროს პარალელურად, რომელშიც დიდი ადამიანები, დიდი საგნები არსებობენ, არის პატარა სამყაროც, პატარა ადამიანებით და პატარა საგნებით. დიდ სამყაროში გამოიგონეს დიზელ-მოტორი, დაიწერა "მკვდარი სულები", აშენდა დნეპრის ჰიდროსადგური და განხორციელდა გადაფრენა მსოფლიოს გარშემო.დიდ სამყაროში ადამიანებს კაცობრიობის კეთილყოფისადმი სწრაფვა ამოძრავებთ. პატარა სამყარო შორსაა ასეთი მაღალი იდეალებისგან. მის ბინადართ ერთი მისწრაფება აქვთ – როგორმე ისე იცხოვრონ, რომ შიმშილის გრძნობა არ განიცადონ.პატარა ადამიანები დიდების უკან მიიჩქარიან" (ილია ილფი, ევგენი პეტროვი, "თორმეტი სკამი, ოქროს კერპი", თბ. 1964, გვ. 369-370).

მოგზაურობა დიდი გამოცდაა, იგი სულისა და სხეულის განსაკუთრებულ მზაობას მოითხოვს.

დიადი მიზნების რეალიზებისათვის აუცილებელია ნიჭი, მოწოდება, წინწამწევი იმპულსები, შინაგანი გამობრწყინება, რაც ღვთისგან ხელდასხმულითა ხვედრია.

სულის გამოღვიძების სტიმული კი შეიძლება მინი-სიკვდილი იყოს.

ჯუმბერ ლეჟავა მსოფლიოს მოქალაქეა, მან განახორციელა უპრეცენდენტო მოგზაურობა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, 238 ქვეყანაში 9წლისა და 3თვის მანძილზე, 3333დღის განმავლობაში, 600ათასამდე კილომეტრი გაიარა, აქედან 300ათასამდე ველოსიპედით და ამ პერიოდში ნანახი ღირსშესანიშნაობების, განცდილისა და გადატანილის შესახებ შექმნა დღიურები, წიგნები, ფოტოები, რუკები.

დიდი მოგზაური ამავე დროს არის მსოფლიოს 11გზის რეკორდსმენი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მისი სახელი შესულია "გინესისა" და "დივოს" არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში.

ამ საკაცობრიო მისიის შესრულებას წინ უსწრებდა ნაწლავების დამბლა და თრომბოზი, მთლიანად შინაგანი ორგანოების განგრენა, ორი ურთულესი ოპერაცია და 3 კლინიკური სიკვდილი.

ამ პროცესის დამახასიათებელია სხეულისა და გონების გათიშვა.

მეცნიერების აზრით, ეფირული ორეული, ელექტრული სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

ინდივიდს აქვს ბიოლოგიური შესაძლებლობა, ზოგიერთი ფორმით და გაუხანგრძლივებელი დროით, იარსებოს სიკვდილის შემდეგ.

სიკვდილის მოვლენა დასაბამითვე აფორიაქებდათ ადამიანებს და ამაზე შეიქმნა აუარებელი ლიტერატურა. არსებობს სიკვდილის რელიგიური, მითოლოგიური, ფილოსოფიური (მატერიალისტური თუ იდეალისტური) ახსნა.

ცნობილია ეგვიპტური და ტიბეტური მკვდრების წიგნები, რომლებიც წარმოადგენდა გარდაცვალების სახელმძღვანელოს.

ტიბეტის მოაზროვნეთა ასეული წლობით ასწავლიდა თაობებს, თუ როგორ უნდა მომკვდარიყვნენ, რომ მიეღოთ სიკვდილი, როგორც აუცილებლობა.

ტიბეტური წიგნის მიხედვით, სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურზე.

იმ ქვეყნებში, სადაც ემზადებიან სიკვდილისთვის და ამას უცქერიან, როგორც სიცოცხლის პროცესის ნაწილს, სიკვდილის შიში საერთოდ დაძლეულია.

ტიბეტურ წიგნში მოთხრობილია ღვთაებრივ სასამართლოზე, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა-რადჟა აფასებს მიცვალებულთა საქმეებს კარმის სარკის საშუალებით. სარკეში აირეკლება მიცვალებულთა კარგი და ცუდი საქმეები (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1950, გვ. 130).

ამერიკის მკვდართა წიგნის სახელწოდებაა "გარდაცვალების მეცნიერება", იგივე "გარდაცვალების ხელოვნება".

ამერიკელი უ. გოულდი ხალხს ასწავლიდა "შეგნებული სიკვდილის მეცნიერებას", მისი დევიზი იყო "მოკვდი სიკვდილზე ადრე".

დოქტორ უორდენის პროგრამა იყო "სიკვდილის პირადი გაცნობიერება".

მომაკვდავები იუწყებოდნენ, რომ ამ წიგნმა შეცვალა მათი ცხოვრების მოდელი, ისინი ახლებურად აღიქვამდნენ სიკვდილს, ავადმყოფობას, ჯანმრთელობას.

ადამიანმა უნდა გადაიტანოს მინი სიკვდილი, რათა გააკონტროლოს თავისი უკანსკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1991, რუსულად).

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: "სიკვდილი უკანასკნელი წრთობაა ჩვენი სულისა. უკვდავება მხოლოდ ისეთ ადამიანს დაუმკვიდრებია ამქვეყნად, ვინც მაღალი გრძნობის სახელით ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა, უკვდავებისკენ მიმავალი, მუდამ სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის".

სიკვდილი შემოქმედების გამაღვიძებელი ფაქტორია. შემოქმედებითი ძალები მწვერვალს აღწევს საკუთარი სიკვდილის გაცნობიერებისას.

სიკვდილისათვის ვარჯიში მთავრდება სულიერი განახლებით. ეს სიმბოლური სიკვდილი შეგვაგრძნობინებს ამქვეყნიური არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას, სიკვდილისწინა განცდა ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების პოტენციურ გამოვლენას.

ძმის სიკვდილის განცდამ შეძრა კონსტანტინე გამსახურდია, სულიერი ხედვა, შემოქმედებითი ფანტაზია გაუმძაფრა და ოჯახის ტრაგედია მხატვრულ სიტყვად განსხეულდა ნოველაში "ზარები გრიგალში".

პირადი ავადმყოფობა, სიკვდილისთვის თვალებში ყურება გახდა მწერლისთვის დიდი იმპულსი, რომ მესამედ დაეწერა დაკარგული რომანი "დიონისოს ღიმილი".

ამიტომაც უწოდებს დიდი პროზაიკოსი სიკვდილს "ჩვენი სულის უკანასკნელ წრთობას".

მსოფლიო მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ რთული გზით იარა განსაკუთრებულ წარმატებამდე.

მას მსოფლიო რეკორდებში, მსოფლიო მოგზაურობაში გამარჯვებამდე ავადმყოფობასა და სიკვდილზე უნდა გაემარჯვა, რადგან წილად ხვდა მიღმურ სამყაროში გადახედვა, სიკვდილის აჩრდილთან შეხვედრა.

მოგზაურის მიერ დროებით გაღმა ნაპირზე ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებები ემთხვევა კლინიკურ სიკვდილის გადამტან ადამიანთა ნაამბობს, რომლებიც აფიქსირებენ ბნელი გვირაბის გავლას, გაუცხოებას, ხოლო შემდეგ კაშკაშა სინათლესთან ანუ უზენაესთან შეხვედრას, რაც სულიერი განახლების სტიმული ხდება. განგების ნებით ისინი ისევ უბრუნდებიან მიწიერ ცხოვრებას დიდი მისიის აღსასრულებლად (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1991წ. რუსულ ენაზე).

ჯუმბერ ლეჟავა აღწერს კლინიკური სიკვდილის მომენტს, როცა წვალებით გაიარა შავი გვირაბი, შეხვდა თეთრწვერულვაშა, თეთრ ანაფორაში ჩაცმულ სიხარულის მომტან მოხუცს: "ხელების ცეცებით მივიკვლევდი გზას გვირაბულ წყვდიადში.ხშირ-ხშირად იცვლებოდა ხედები. მეყვსეულად აღმოვჩნდი თიხნარ ციცაბოებში, წვიმს, გრიალებს ქარი. მივხეტიალობ, მივადექი რკინის ურდულებით შეკრულ დიდ ოვალურ კარს, რომელიც მთლიანად ხის მორებით იყო აწყობილი. ძლივს შევაღე იგი, მოვიშველიე მხარი კარის გასაღებად, 50 მეტრამდე სიმაღლისა და 25მეტრი სიგანის კვერცხისებური შენობის შესასვლელში გავჩერდი. კარები შუა სიმაღლეზეა ჰაერში, რადგან კიბეები არ არის. მის ფსკერზე სამი გამოქვაბულის შესასვლელი მოჩანს, რომლებიდანაც შუა გვირაბს თეთრწვერულვაშა, თეთრ ანაფორაში ჩაცმული მოხუცი იცავს. თითოეული მათგანი დაყრდნობილია შესაბამისი ფერის კვერთხზე.

"შენ ლეჟავა ხარ?" შემეკითხა მათგან შუა გვირაბის მცველი უხუცესი. დავუდასტურე.

"თეთრანაფორიანი მიღიმოდა, რამაც უზომო სიმშვიდე მომგვარა და როცა მეგონა, ვპოვე-მეთქი სასუფეველი, უკან გამობრუნება მიბრძანა: "ჯერ კიდევ საზიდი გაქვს ცხოვრებისეული ჭაპანი, მიწიერი გაქვს საკეთებელი. შენ შეიძენ უდიდეს ენერგიას, რაც ხალხს უნდა მოახმარო."

შემდეგ იყო მკრთალი სინათლე, იმედი, დიდი ნათელი, კაშკაშა მზე და ულამაზესი ყვავილებიანი ველი: "გამოვბრუნდი... ვატყობ სიხარულს... თვალსაწიერში ძალზე მკრთალმა სინათლემ ბოლომდე გაურკვეველი იმედი აღმიძრა. მერე უეცრად მკვეთრად ინათა და მზით გაკაშკაშებულ, სხვადასხვა ფერის ყვავილებით დაფარულ ულამაზეს მინდორში ვიდექი უკვე. წამში აილაგმა გამოვლილ გზაზე თავს გადამხდარი ფათერაკები – ქვეწარმავლებით სავსე ხეობებში ხეტიალი, სისხლით გატიკნილ ღამურათა ფრთების სახეზე ხეთქება, წვიმაში, ქარში, სიცივეში თიხნარი ფერდობების გადალახვა".

დიდი მოგზაური გვამცნობს ამ ხილვის შედეგებს: "ეს იყო ჟამი მეორედ დაბადებისა, კლინიკური სიკვდილისგან თავდახსნას რომ მოჰყვა, რამაც ისეთი შეძლებითა და ძალით აღმჭურვა, რომ საკვირველი რამ შემაძლებინა – მრავალი მსოფლიო და გინესის რეკორდი დამამყარებინა წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშში, ცხრაწელიწადნახევარი აღმაფრენა მიბოძა, 238ქვეყანა შემომატარა, მაშრიპ-მაღრიბი დამაპყრობინა".

სიზმრისეულ ხილვაში გამოცხადებული თეთრწვერა, თეთრ ანაფორაში ჩაცმული მოხუცი უფლის სახეა, როგორც ვაჟა-ფშაველას "მოჩვენებაში", გოდერძი ჩოხელის "მგელში", რევაზ ინანიშვილის "სახატეებში".

უფალთან შეხვედრა მხოლოდ სულით სპეტაკ, წმინდა ადამიანთა ხვედრია და მაღალი მისიის შთამაგონებელი, წინსვლა-წარმატების სტიმული ხდება.

იმქვეყნიურ, არამიწიერ, აღმაფრენის მომნიჭებელ სინათლესთან შეხვედრას ყველა თავისებურად აღიქვამს. ვერლენისთვის იგი მზისფერია, ბოდლერისთვის – ოქროსფერი, ედგარ პოსთვის – წითელი, გალაკტიონისთვის – ვარდისფერი, ტ. გრანელთან – ცისფერი.

მიუთითებენ, რომ "გამობრწყინების" მომენტი ენით გამოუთქმელი ქმედითი ბიძგია. ეს არის ძალების მოზღვავება, ბრძნული გამონათება, სულიერი განახლება, იმედი, მას "კოსმიურ შემეცნებასაც" უწოდებენ, "სულის სიმღერად" აღიქვამენ, რომელსაც წინ მიჰყავს მისი განმცდელი.

ჯუმბერ ლეჟავას შეხვედრა თეთრწვერა, თეთრკვერთხიან მოხუცთან, ნათელთან, კაშკაშა მზესთან და ყვავილებიან მდელოზე ყოფნა მოასწავებდა რწმენით, ენერგიით ავსებას, უჩვეულო, საკაცობრიო მისიის აღსრულებისთვის ფსიქოლოგიურ შემზადებას.

წამება, განსაცდელი,გამოცდა სუსტებს ასამარებს, ძლიერებს – პირიქით...

მსოფლიოს მოგზაური და მსოფლიოს სპორტსმენი ჯუმბერ ლეჟავა საუბრობს თავის "ჯოჯოხეთური წამებით შექმნილ ბიოგრაფიაზე".

"სიცოცხლის მანძილზე ჯოჯოხეთი მრავალჯერ გავიარე – მათ შორის კლინიკური სიკვდილი რამდენჯერმე, უმეტესობა სამივე მოგზაურობის დროს.

"... დიდი მოგზაურობის დამთავრების ფაზაში ხშირად ჩემს თავს ვეკითხებოდი – საკმარისად ეწამე? ყოველთვის ასე ვპასუხობდი – საკმარისზე მეტად". (ჟურნალი მოგზაური, თბ. 2010, 1, გვ. 6).

"... იფიქროს მკითხველმა, რაც სურდეს, მე კი ვიტყვი, რომ ამ ფაქტმა მთელი ჩემი ცნობიერება და, შესაბამისად, ცხოვრებაც შეცვალა, სიცოცხლისკენ გამობრუნებული ამ არამიწიერი ხილვა-ზმანების უდიდესი შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცი. ადამიანი, ამ მატერიულ მოცემულობებში, მაინც გონიერ არსებად რჩება. მეც, როგორც გონიერი ინდივიდი, შევეცადე მომეხდინა მთელი იმ ფანტომური სინამდვილის რაციონალიზაცია. ამეწონ-დამეწონა და შემეტანა მასში ლოგიკური სიმყარე. რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი: სამყაროში ყველაფერს თავისი კოდი და სიმბოლო ჰქონდა. თუ გსურდა მოცემულობათა არსში წვდომა, აუცილებლად უნდა გესწავლა სამყაროს ღვთაებრივი და საიდუმლო ანბანი. ადამიანებს სწამთ, რომ სამყარო, ყოფიერება, ნებისმიერ თავის გამოვლენაში ილუზორული და მაგიურია, რომ გვეთამაშება და გვატყუებს. კლინიკური სიკვდილის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ასე არ იყო. სამყარო, სინამდვილე, რომელსაც მივუბრუნდი სიკვდილის შემდეგ, ის სამყარო არ იყო, რაც გარდაცვალებამდე იყო. სიმართლე რომ ვთქვათ, სინამდვილის კარდინალური გარდასახვა სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩემი შეხედულებების და აზროვნების ტოტალური ცვლილებები. მივხვდი, სამყარო და ყოფიერება კი არ ტყუოდა, ჩვენ ვკითხულობდით მის წიგნს შეცდომით და უკუღმართად. ამიტომ გვეგონა, რომ იგი მუდამ გვატყუებდა (20).

კლინიკურმა სიკვდილმა, ფაქტობრივად, დიდ საიდუმლოს მაზიარა. მე შევძელი არა უბრალოდ მექანიკური მობრუნება, არამედ შემობრუნება და ე.წ. ცხოვრების წიგნის მართებული კითხვა. სიკვდილმა სიცოცხლე მასწავლა, მაპოვნინა გზა კოსმიური ენერგიებისკენ – გზა ვიტალობისა და ვიტალური ძალების დაუფლებისა, რომელიც, პირობისამებრ, სიკეთეში და სიყვარულში უნდა გამელია.

მობრუნებულმა ვარჯიში დავიწყე და სულ რაღაც 6 წელიწადში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებში 11 მსოფლიო რეკორდი დავამყარე – რომელთაგან უმეტესობა "გინესისა" და "დივოს" არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში შევიდა. თავიდან ექიმები რამდენიმე კვირის სიცოცხლეს თუ მიწინასწარმეტყველებდნენ, ახლა სამაგალითო ჯანმრთელობის მქონე ხანში შესულ მამაკაცად მაღიარეს, რომელსაც 20 წლის ჯანმრთელი ახალგაზრდის ორგანიზმი ჰქონდა" (გაზ. "სოვეტსკი სპორტი" და სხვ.).

კლინიკურმა სიკვდილმა, ფაქტობრივად დიდ საიდუმლოს მაზიარა (ჟურნალი "მოგზაური", თბ, 2010 1, გვ. 20).

ღვთისმეტყველები, მოციქულები საუბრობენ განსაცდელის, სიძნელეების სიკეთეზე: "ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორწმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორწმუნეებში დაფარული სათნოება" (იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, თბ. 2002, გვ. 32).

"ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცადება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ" (იაკობი, 1, 12).

"არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა და სარწმუნო ღმერთი... არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ,რომ შესძლოთ გადატანა" (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 10,13).

"... ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება" (პავლე მოციქული, რომაელთა, 10,3).

"იესომ ღვთის მადლით იგემა სიკვდილი ყველას გულისთვის, ვინაიდან ... ის არის მათი გადარჩენის წინამძღვარი" (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3,10).

"რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი" (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12,6).

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ღვთისაგან ხელდასმული რჩეულია, რომელმაც რაინდულად გადაიტანა მისთვის განკუთვნილი ყოველი წინააღმდეგობა და თაობებს დაუტოვა სიკვდილის დამარცხების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მართვის ინდივიდუალური პროგრამა, რაც კაცობრიობის ყურადღების ღირსია.

ქართული ეროვნული გონის შორს გაწევის დასტურია დიდი მოგზაურის დღიურები, 55 ტომი, რომლებიც საყურადღებოა ფილოსოფიური, რელიგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ესთეტიკური ასპექტებით.

პლანეტის ამ გამორჩეული ადამიანის ნიჭი ასევე გაცხადდა ფერწერაში, იგი აქაც წარმოგვიდგა, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი.

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა საუკუნეებს ელაპარაკება, მისი საქმეები და ნააზრევი ეკუთვნის მარადისობას და გვარწმუნებს ადამიანის შესაძლებლობათა განუსაზღვრელობაში, ქართული ეროვნული ფენომენის განსაკუთრებულობაში.

მსოფლიო მოგზაურისა და მსოფლიო რეკორდსმენის ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ბრძოლის ინდივიდუალური პროგრამა

ცხოვრება სირთულეებთან, წინააღმდეგობებთან, მოულოდნელ ფათერაკებთან, ავადმყოფობასთან, ხილულ თუ უხილავ ძალებთან ბრძოლის მაგალითებით არის სავსე.

ღვთისმეტყველთა მტკიცებით, ფიზიკური სხეულის მმართველი სულია და ყოველგვარი ავადმყოფობა არამდგრადი სულიერი მდგომარეობის შედეგია.

ამიტომ მიზანი ის უნდა იყოს, რომ ჯერ სული გავაჯანსაღოთ, სული სხეულის მმართველად ვაქციოთ და მხოლოდ ასე შევძლებთ დავამარცხოთ ავადმყოფობა ექიმის, წამლის, ქიმიური პრეპარატების გარეშე, მედიცინის ჩაურევლად.

ადამიანი ფლობს განუსაზღვრელ ფსიქიკურ და ფიზიკურ ძალებს და ხელეწიფება მისი მიზანმიმართული მართვა-გამოყენება.

კარლ გუსტავ იუნგი აღიარებდა ავადმყოფობის განკურნების შესაძლებლობას სულიერი ნუგეშით, ფსიქიკური ზემოქმედებით: „ხანდახან სულიერმა ნუგეშმა, ანდა ფსიქიკურმა ზემოქმედებამ შეიძლება ავადმყოფი განკურნოს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ხელი შეუწყოს განკურნებას (კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. სიზმრები. თბ. 1955, გვ. 127).

სნეულების დამარცხების საშუალებად მიაჩნია იუნგს სასულიერო თერაპია, რელიგიების ფსიქოთერაპევტული სისტემა. რელიგიები და ფსიქოთერაპევტები ერთნაირად ცდილობენ ადამიანის სულის, ფსიქიკის სატკივართა დაამებას. ამიტომაც ეწოდება ღმერთს დიდი მკურნალი.

„მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ (ისო ზირაქი, 38, 2), გვასწავლის ბიბლია.

„მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი“ (გამოსვლათა, 15, 26) შეგვაგონებს წიგნთა წიგნი.

იუნგი წერს: „რა გასაკვირია, რომ შთამბეჭდავმა და ვითარების შესაფერისმა სიმბოლომ არაცნობიერის ძალები ისე აამოძრაოს, რომ ნერვულ სისტემაზეც კი მოახდინოს გავლენა და სხეულმა კვლავ ნორმალურად დაიწყოს ფუნქციონირება“ (ზემოთხსენებული იუნგის წიგნი, გვ. 130).

მეცნიერი საუბრობს სიზმრისეულ წინათგრძნობებზე, რომლებმაც, სწორად გაგების შემთხვევაში, შეიძლება კაცი სიკვდილს გადაარჩინოს.

არსებობს თუ არა შესაძლებლობა დავამარცხოთ ავადმყოფობა, გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე? – კაცობრიობის მარადიული საფიქრალია.

გიორგი გურჯიევი ასე ეხმაურება ამ პრობლემას: „ყოველ ადამიანს აქვს თავისი მამოძრავებელი ზამბარა, ეს ჩვენი მექანიზმია. ამ მამოძრავებელის მოქმედება-ამოწევა დაკავშირებულია ჩვენს შთაბეჭდილებებთან და ასოციაციებთან“ (გიორგი გურჯიევი, საუბრები, „განთიადი“, 1996, 5-6, გვ. 146).

„სიცოცხლის გახანგრძლივების უნარი დაფუძნებულია უნარზე – ჩვენი ცენტრების ენერგია ნელა და მუდამჟამს გააზრებულად, შეგნებულად გავხარჯოთ.

„იფიქრეთ გააზრებულად. შეგნებულად! ეს დაზოგავს თქვენს ენერგიას“. მოგვიწოდებს გიორგი გურჯიევი (იქვე).

ფსიქოლოგიაში ასეა ეს პრობლემა დასმული: „ჩვენი ქცევების სცენარი დიდი ხნის წინათ არის დაწერილი... დაბადებამდე, დაბადების შემდგომ და ღრმა ბავშობაში აღმოცენებული განცდებით... სიტუაცია ერთი შეხედვით ფატალურად არის განსაზღვრული...

სად არის გამოსავალი?

ამ კითხვის ასეთი პასუხი არსებობს: „შესაძლებელია ამ ადრეული სცენარების გარდაქმნა და სრული გადახალისება... არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული და დახვეწილი ფსიქოტექნოლოგია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანს „ხელახლა დაიბადოს“, მოახდინოს ერთგვარი შინაგანი ტრანსფორმაცია, რათა განთავისუფლდეს საზიანო სცენარისგან და ხელახლა ააწყოს ცხოვრება სრულიად განსხვავებული ჯანსაღი სცენარით... ხელახლა დაბადებას „რებერფინგს“ უწოდებენ ამერიკელი ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები“ (ნოდარ სარჯველაძე, ხელახლა დაბადება, ფსიქოლოგიური საუბრები, თბ. 1995, გვ. 66-67).

ფსიქოლოგები ეხმარებიან ადამიანებს ხელახლა დააპროექტონ თავისი „შინაგანი სახლი“, აამოქმედონ ფარული რესურსები, ხელახლა აღმოაჩინონ საკუთარი თავი და შვან სამყაროში „მეს“ ახალი ნაწილი, გაწონასწორებული და მშვიდი, მოქნილი და შემოქმედებითი, ჯანსაღი და მიმზიდველი“ (იქვე, გვ. 70).

არსებობს მოსაზრება, რომ „გონება, იდეები, ამაღლებული გრძნობები არაიშვიათად ამარცხებენ და თრგუნავენ სიკვდილის გრძნობას“ (მიხეილ ზოშჩენკო, „მზის ამოსვლის წინ, გონებისათვის“, თბ. 1996, გვ. 216).

„გონება სძლევს ავადმყოფობას, ტანჯვას, სიბერეს და სიკვდილსაც კი“, ამტკიცებს ზოშჩენკო.

მისმა აღმოჩენებმა, ფსიქიკის სიღრმეში მოძიებულის წარმატებით გამოყენებამ, საკუთარი ჯანმრთელობის მართვის და ხანგრძლივი სიცოცხლის მიღწევის მისეულმა მეთოდებმა აღაფრთოვანა მკითხველები, მეცნიერები. პავლოვმა იგი თავის ოთხშაბათობებზე მიიწვია, პროფესორმა ვასილჩენკომ ზოშჩენკოს ჯანმრთელობისადმი შეგნებული ხელმძღვანელობის პროგრამა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევად აღიარა.

ზოშჩენკომ სულისმიერი ძიებებით, მის სიღრმეებში ახლებური ჭვრეტით ფსიქიკის მართვის საკითხი ახლებურად გაიაზრა.

საჭიროა ადამიანმა თავისი ცხოვრებიდან განდევნოს ყველაფერი მანიაკური. მან უნდა შეძლოს საკუთარი მანქანის მართვა ისე, რომ თავადვე არ დაემორჩილოს მას, ამტკიცებს ზოშჩენკო.

ნებისყოფის ფსიქიკური ძალა დიდ გერმანელ მეცნიერს კანტს სხეულის უმაღლეს მმართველად მიაჩნდა. მან დაამარცხა შიში, ავადმყოფობა, საკუთარი თავისგან მოაზროვნე მანქანა შექმნა, რამაც ღრმა სიბერეში ფსიქიკურ დაავადებამდე მიიყვანა.

შეიძლება სხეულის საჭიროებისთვის მიზანდასახული ჩვევების გამომუშავება, მაგრამ ხშირი განმეორებისას ფსიქიკა აძლიერებს ამ ჩვევებს და უკიდურესობამდე მიჰყავს.

ოცი წლიდან მოყოლებული, კანტს უკვე მანიაკის ჩვევები ჰქონდა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჯუმბერ ლეჟავამ საკუთარი მეთოდებით დაამარცხა ავადმყოფობა, სიკვდილი და შეუძლებელი შეძლო. მან შექმნა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ბრძოლის ინდივიდუალური, მაგრამ ძალზე საყურადღებო პროგრამა, რაც შემდეგნაირად დაიწყო.

1986 წლის 7 იანვარს აპენდიციტის მწვავე შეტევა გადაუდებელ ოპერაციას მოითხოვდა. ავადმყოფი რეანიმაციაში მოათავსეს, გადარჩენის იმედი თითქმის გადაწურული იყო.

ამას დაემატა ექთნის მიერ კოტოშების დამაგრებისას სპირტის აალება და ცეცხლის წაკიდება პაციენტისათვის, რომელიც ორმაგი ტრავმის მსხვერპლი იყო.

ექიმების აზრით, თუ გადარჩებოდა პაციენტი, სამუდამოდ ინვალიდობისთვის იყო განწირული.

ჟუმბერ ლეჟავა საავადმყოფოდან სახლში იმ გადაწყვეტილებით მობრუნდა, რომ არ გაეთვალიწინებინა ექიმების რჩევები, არ დაეცვა დიეტა, არ მიეღო წამლები, არ იკეთებდა ნემსებს, არ იცავდა წოლით რეჟიმს.

დაზიანებული ჰქონდა ღვიძლი, თირკმელი.

მიუხედავად ყველაფრისა, გადაწყვიტა, ეცოცხლა.

ამისათვის ფსიქოლოგიურად ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე. რამდენიმე ეტაპად გამოჰკვეთა რეაბილიტაციის პროცესი. თავიდათავი სიცოცხლის შენარჩუნება იყო, თუნდაც ინვალიდობის ფასად. შემდეგ ფეხზე დადგომა და საკუთარი ძალით გადაადგილება დაისახა მიზნად. მესამე ამოცანა იყო სამსახურში გასვლა, მეოთხე – ჩვეული სპორტული ფორმის დაბრუნება, აბსოლუტური ჯანმრთელობის მიღწევა, მაგრამ ყოველივე ეს ფანტაზიის სფეროს განეკუთვნებოდა არსებითად, რადგან ექიმმა მხოლოდ მწოლიარე მდგომარეობაში სიცოცხლის შენარჩუნება უწინასწარმეტყველა, რასაც სიკვდილს ამჯობინებდა.

ჯერ ფეხზე წამოდგომა სცადა, მერე 15 დღე ვარჯიშობდა ოთახში სიარულში, ორ კვირას წვალობდა დღეში 3-4 საათს. აწუხებდა მუცლის ტკივილი, ღალატობდა ფეხები, ემართებოდა გულყრები.

შემდეგ სუნთქვითი ვარჯიშები დაიწყო, კიბეებზე ასვლა-ჩასვლა გაბედა, მერე ეზოში ჩავიდა, ერთი თვე ივარჯიშა სტადიონზე. 4-5 თვის მერე ბორჯომის სანატორიუმ „ლიკანში“ გაემგზავრა, სადაც თვენახევარი სულ ვარჯიშში გაატარა.

არ ეკარებოდა ექიმებს, არ იღებდა წამლებს, არ იკეთებდა ნემსებს.

თანდათან უკეთესობა იგრძნო, აგრძელებდა ვარჯიშს, თევზაობდა მტკვარზე, დადიოდა მთებში, ცოცავდა კლდეებზე.

მიზნად დაისახა სიკვდილის დამარცხება, ნორმალური ჯანმრთელობის აღდგენა. „მე ამას მივაღწევ, მე ვაჩვენებ სიცოცხლისთვის ბრძოლის კიდევ ერთ ურთულეს მაგალითს, რადგან ჩემამდე ასეთი მაგალითი კიდევ ბევრს უჩვენებია“, ფიქრობდა ჯიუტად.

სისხლში ისევ ცვლილებები იყო. არც ღვიძლი და თირკმლები მუშაობდა კარგად.

მაინც დაუბრუნდა სამსახურს, რათა არ დაეკარგა საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა, ფუნქცია.

იცავდა დასვენების, ვარჯიშის, კვების რეჟიმს. აგრძელებდა სამსახურში სიარულს. მისი პრინციპი იყო სამსახურეობრივი საქმის უმაღლეს დონეზე დაყენება.

კურირებდა საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკისა და სახალხო მეურნეობის ორგანიზაციებში ინფორმაციის მექანიზირებულ და ავტომატიზირებულ დამუშავებას.

ჯუმბერ ლეჟავამ თავისი რეჟიმიდან გამორიცხა დღესასწაულები, კინო, თეატრი, სტუმრად წასვლა, მთელი ძალისხმევა მიმართა ჯანმრთელობის დასაბრუნებლად, დაავადებულთა და ინვალიდთა სიიდან ამოსარიცხად.

მიზანთან ძალიან ახლოს იყო, რომ არა ერთი შემთხვევა, საკუთარი გულისხმიერება და უცნობთან გამოჩენილი სიკეთე, რომელმაც ისევ უკუშედეგებამდე მიიყვანა.

იმ ხანებში, დეკემბრის ბოლოს, თოვლსა და ქარში საკუთარი მანქანით მიდიოდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მუშტაიდის ბაღის მიმართულებით. გზაში მანქანასთან გაჩერებული კაცი დაინახა სამი ბავშვით. შეჩერდა და გაარკვია, რომ მხოლოდ მიწოლით დაიქოქებოდა მანქანა. არც დაფიქრებულა, მთელი ძალით უბიძგა მანქანას, სანამ ადგილიდან არ დაძრა, თვითონ კი თოვლჭყაპში ჩაიკეცა მუცლის ტკივილისგან.

მესამე დღეს მოვიდა გონზე მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში. ფიზიკურ დატვირთვას ნაწლავების გადახლართვა გამოუწვევია და სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. ამოკვეთეს 4,25 მეტრის სიგრძის ნაწლავი, საჭირო გახდა გადაბმები ცხრა ადგილას.

გადარჩა პროფესორების – ბუჭა გუგუციძის, ზურაბ ცხაკაიას, რომან სვანიშვილის, ვახტანგ ბოჭორიშვილის, ექიმების – მერი ჭაჭიაშვილის, ანა გორგასლიძის ძალისხმევით...

დაიწყო ხელახლა ბრძოლა სიცოცხლის გადარჩენისთვის, ჯდომისა და სიარულის სწავლა, გამძლეობის გამომუშავება.

საჭირო იყო სისხლის გაახლება, სასუნთქი ორგანოების გასუფთავება-დამუშავება, არტერიული და თავის ქალის წნევების დარეგულირება, გულის ნორმალური მუშაობის, თირკმლების, ღვიძლის ფუნქციონირების აღდგენა, მუცლის ღრუში ტკივილების გაქრობა.

აუცილებელი გახდა ფსიქოლოგიური გარდაქმნა, ფიზიკური ძალის მოკრება, გამძლეობის გამომუშავება.

დაიმედებული იყო რწმენაზე, ნებისყოფაზე, მაქსიმალისტობაზე.

ქალიშვილის ჩაგონებით დაიწყო მკლავებზე აზიდვების ვარჯიში.

იგრძნო უკეთესობა. მერე შეძლო ნაკვეთში ფიზიკური მუშაობა.

„ჩემი ახალი სიცოცხლის ვარსკვლავს ვხედავ, მე ვიცოცხლებ“ - კარნახობდა რწმენა.

ვარჯიშით თანდათან აღიდგინა ჯანმრთელობა, წნევა იდეალური გახდა, დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი. სახლში რემონტი დაიწყო და დაასრულა. გააკეთა კარადები, დააგო პარკეტი, მეტლახი, კაფელი.

უჯარმაში ბაღი გააშენა.

მაინც პროგრამა მაქსიმუმი იყო მიზანი: „ჯანმთელობის გამომუშავებაზე ფიქრი საერთოდ უნდა გაქრეს“.

იგრძნო ფერწერით გატაცება. დაიწყო ბუნების, ყვავილების, ნატურმორტების, პორტრეტების ხატვა, საკუთარი თავი გამოსცადა აბსტრაქციაში, კუბიზმში.

უფრო ინტენსიური ვარჯიში შეძლო – 1 საათში 3000 აზიდვას მიაღწია. მოეძალა სურვილი, დაემყარებინა გინესის ახალი რეკორდები წოლელა მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში.

7-8 საათი ვარჯიშობდა, 25-26 ათას აზიდვას მიაღწია.

გაოცებას ვერ ფარავდა: „რა ხდება ჩემს თავს? ნუთუ ეს ის ენერგიაა, ღმერთმა კლინიკური სიკვდილის დროს რომ მიბოძა? რა თქმა უნდა, სხვა საიდან მოვიდოდა?“.

სიკვდილის სასწაულებრივი დამარცხების შემდეგ მსოფლიო რეკორდებზე ფიქრობდა და სჯეროდა საკუთარი ძალების: „ნუთუ მოვახდენ საოცრებას და ჯერ სიკვდილის, შემდეგ კი მუდმივი ინვალიდობის დამარცხების შემდეგ დავამყარებ მსოფლიოსა და გინესის ახალ რეკორდებს? რატომაც არა! ხომ არსებობს ასეთი მაგალითები! სიკვდილის დამმარცხებლები!“.

ჯუმბერ ლეჟავამ მართლაც დაჯაბნა სიკვდილი, ავადმყოფობა. ფიზიკური და სულიერი ძალების მოზღვავებამ შეაძლებინა 15 მსოფლიო რეკორდის დამყარება, მრავალგზის შევიდა მისი სახელი „გინესისა“ და „დივოს“ მსოფლიო რეკორდების წიგნებში, მოიარა მსოფლიო, შვიდ კონტინენტზე, 238 ქვეყანაში იმოგზაურა და გაეცნო პლანეტის ყველა ღირსშესანიშნაობას, გახდა მსოფლიოს მოქალაქე. ქვეყნიერებას გააცნო ჩვენი პატარა, მაგრამ ამოუწურავი ძალისა და ინტელექტის, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, მისი მესიანისტური იდეალები...

მოგზაურობის სურვილი ჭაბუკობაში გაეღვიძა.

1964 წელს მოტოციკლ „იავათი“ იმოგზაურა ჩრდილო კავკასიაში.

1980 წელს ოჯახთან ერთად ავტომანქანით მოიარა სსრკ ყველა რესპუბლიკა.

მოტოციკლითა და მანქანით სისტემატურად მოგზაურობდა სხვადასხვა რესპუბლიკებში, ფეხით ჰქონდა მოვლილი საქართველოს მრავალი კუთხე.

1985 წელს ინტენსიურად ვარჯიშობდა სუნთქვისა და ფიზიკური გამძლეობის რეჟიმების დასამუშავებლად.

ოცნებობდა ყველასაგან ფარულად კავკასიონის მწვერვალ „უშბაზე“ ასულიყო ზამთარში, თუმცა მწვავე ფიქრებს აღუძრავდა სასიქადულო ქართველი ალპინისტების დაღუპვა...

არ ასვენებდა რაღაც დიადის, არაჩვეულებრივის განხორციელების სურვილი: „მინდოდა რაღაც იმგვარი მოქმედება ჩამედინა, იაპონელ მთამსვლელს რომ გადახდა: ფიზიკური სისუსტის გამო მეგობრებმა იგი ევერესტზე არ წაიყვანეს. მან კი ხუთწლიანი დაუღალავი ვარჯიშის შედეგად ბევრად მეტს მიაღწია, ვიდრე მისმა ამთვალისწუნებელმა ამხანაგებმა. მან სხვადასხვა მხრიდან დალაშქრა ევერესტი. ციგებით, რომელშიც შებმული იყო ძაღლები, მივიდა ჩრდილოეთ პოლუსზე და შემდეგ, როდესაც დააპირა მარტოს თხილამურებით მიეღწია იგივე პოლუსისათვის – დაიკარგა.

„ჩემთვის იგი გმირია. მინდოდა მისთვის მიმებაძა. უშბაზე ზამთარში ასვლით გამომეჩინა თავი. ეს ვერ შევძელი, მაგრამ... დავიპყარი მსოფლიოს მწვერვალები მკლავებზე აზიდვის უნიკალური რეკორდებით და ველოსიპედით შემოვუარე მსოფლიოს ყველა კონტინენტს, როდესაც გავიარე 238 სახელმწიფო... ასევე შევძლებდი ველომოგზაურობის განხორციელებას მთვარეზეც.

„ვფიქრობ, უდიდესი შემართებითა და შეუპოვრობით ქართველ კაცში ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობას ახალი სული შთავბერე, ქართული გენისადმი რწმენა დავაბრუნე“.

მსოფლიო მოგზაურის გინესის რეკორდები

მსოფლიო მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ დაამარცხა სიკვდილი, ავადმყოფობა და ამას მიაღწია არა მედიკამენტებით, ექიმების რჩევით, არამედ საკუთარი, ინდივიდუალური მეთოდებით, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნებისყოფას, ფსიქოლოგიურ გარდაქმნას, ვარჯიშებს.

მიღწეული იყო პროგრამა მაქსიმუმი, რითაც ჯანმრთელობის გამომუშავებაზე ფიქრი წარსულს ჩაჰბარდა.

ამის შემდეგ მსოფლიო რეკორდების დამყარება გახდა მიზანი.

1990 წლის იანვარში "სოვეტსკი სპორტში" ნახა სტატია "გინესის ახალი რეკორდის დამყარების ცდა წოლელა მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში". ვიღაც მოსკოველი აცხადებდა პრეტენზიას.

ჯუმბერ ლეჟავა დიდი ხანია ვარჯიშობდა სპორტის ამ სახეობაში. მან წერილი მისწერა გინესის რედაქციას ლონდონში და ნებართვაც მიიღო.

დღეში 4-5 საათს ვარჯიშობდა. მიზნად დაისახა 4000-ზე მეტი აზიდვის ჩვენება.

"ნუთუ მოვახდენ საოცრებას და ჯერ სიკვდილის, შემდეგ კი მუდმივი ინვალიდობის დამარცხების შემდეგ დავამყარებ მსოფლიოსა და გინესის ახალ რეკორდებს? რატომაც არა! ხომ არსებობს ასეთი მაგალითები! სიკვდილის დამმარცხებლები! — აიმედებდა თავს.

უკვე დღეში 8 საათს ვარჯიშობდა, შედეგი 4000-სს აღწევდა. ეძინა მხოლოდ 5 საათი.

კრიტიკული მომენტის დროს ყოველთვის ახერხებდა შესაძლებლობის მაქსიმალურ მობილიზებას.

მოსკოვში ჩასული სასტუმროშიც აგრძელებდა ვარჯიშს.

1990 წლის 9 თებერვალს დაინიშნა ღონისძიება "სოვეტსკი სპორტის" რედაქციაში. მოწინააღმდეგე არ მოვიდა. შეჯიბრება ითვალისწინებდა ერთსაათიან ვარჯიშს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მკლავებზე აზიდვაში. შედეგი იყო 2811 აზიდვა. იყო მილოცვები, სერთიფიკატის გადაცემა. რეკორდსმენი მაინც უკმაყოფილო იყო.

პრესკომფერენციაზე შეჯიბრების ორგანიზატორებს სთხოვა, რომ ახლო მომავალში დაწესებულიყო შეჯიბრი, რომ ეჩვენებინა 4000-იანი შედეგი.

პრესამ და ტელევიზიამ ეს მიღწევა შეაფასა, როგორც დიდი გამარჯვება, რადგან სსრკ-ს წარმომადგენელმა პირველად ამ სახეობაში შეძლო მსოფლიო რეკორდის დამყარება, რაც შევიდა გინესის რეკორდების წიგნში. ხელს აწერდა გინესის ოფიციალური წარმომადგენელი სსრკ-ში იგორ ზაიცევი.

ჯუმბერ ლეჟავას არ აკმაყოფილებდა მიღწეული, მისი ამოცანა იყო 5 საათიან რეკორდზე იერიშის მიტანა. ვარჯიშობდა სახლში, სამსახურში...

1990 წლის 11 მარტს მოსკოვში შედგა ახალი შეჯიბრი და ისევ ბრწყინვალე გამარჯვებით — 4447 შედეგით დასრულდა.

ამ დროს შეეძინა მესამე შვილიშვილი. "სოვეტსკი სპორტში" დაიბეჭდა სტატია: "უ დედუშკი გულივერა რადილსია ვნუკ გულივერ". რეკორდს დაერქვა ბექას სახელი.

ეს იყო ავადმყოფობის დამარცხება, საკუთარ თავზე გამარჯვება.

შემდეგ ვარჯიშის დროს მკლავი დაიზიანა. ექიმი ურჩევდა თავი დაენებებინა ვარჯიშისთვის, მაგრამ არ დაიჯერა ეს, თვითონ მოძებნა ტკივილის მიზეზი და ისევ სპორტული ფორმა დაიბრუნა.

1990 წლის 20 მაისს ისევ მიიღო მოსკოვში შეჯიბრებაში მონაწილეობა და 5 საათის მანძილზე 16 300 აზიდვა აჩვენა, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია 1989 წელს ინგლისელმა პედი დოილმა დაამყარა რეკორდი ბირმინგებში 35 350 აზიდვით.

5 საათში ჯუმბერ ლეჟავამ შესძლო 16 274 აზიდვა და გინესის რეკორდი დაამყარა. აირჩიეს რეკორდსმენთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტად. უსაზღვრო იყო ქართველი სპორტსმენის პოპულარობა, ტელევიზია, გაზეთები, ინტერვიუები იუწყებოდნენ ამ უჩვეულო წარმატებას.

საქართველოში დაბრუნებისას, კავკასიონზე გადმოფრენისას ფერდობებს შორის საშიშროების გამომწვევ უფსკრულებს ჭვრეტდა, ჯოჯოხეთის ასოციაციას რომ იწვევდა, მაგრამ გამარჯვებით ამაღლებული, შიშს კი არა, ძალას და სიამაყეს გრძნობდა: "თვალი შევავლე კავკასიონის ნემსივით წვეტიან და თითქოს ნაჯახით დაჩეხილ, თოვლიან ფერდობებს, მათ შორის უფსკრულებია, მისი ყოველმხრივი საშიშროების გამო შეიძლება წარმოიდგინო ჯოჯოხეთად. აქა-ია მოჩანან პატარა სოფლები, დამშვენებული კლდის ფენოვანი ფიქალის ქვებით აშენებული კოშკებით. ვგრძნობ, რომ ბუნების არა მარტო სილამაზე, არამედ მედიდურობა და ძლიერება ჩაბუდდა ჩემში", აფიქსირებს მსოფლიო რეკორდსმენი დღიურში.

მოსკოვიდან ჩამოსვლის მესამე დღეს მეუღლემ განუცხადა: "ჯუბა, შენ რაც უფრო პოპულარული ხდები, ჩვენ მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს."

მსოფლიო რეკორდსმენი და დიდი მოგზაური გვაუწყებს: "ერთ მომენტში, ფიქრებში, რეკორდების დამყარებისთვის თავის დანებება გადავწყვიტე, მაგრამ არ გამომივიდა! თითქოს ჩემს მეორე სიცოცხლეს

ძალად ვკლავდი! ლიკას ნათქვამიდან დასკვნა ვერ გამოვიტანე, მე პირიქით ვფიქრობდი, რადგან მის მშვენიერებას მე ჩემი პოპულარობით ვუახლოვდებოდი."

მეუღლის შიში განშორებაზე რეალობაში აცხადდა, რადგან ლინა ალიბეგაშვილის სიცოცხლე 1990 წლის 3 ივნისს დასრულდა.

თავის მოკვლაზე ფიქრი ძვირფასი ადამიანის ხსოვნის უკვდავყოფის ფიქრმა შეცვალა. გადაწყვიტა რეკორდების დამყარება, რომელსაც მიუძღვნიდა მისგან ნაადრევად წასული ცხოვრების თანამგზავრს, რითაც გაახანგრძლივებდა განუმეორებელი სიყვარულის გრძნობას.

მარტოობას მეუღლის საფლავზე ყოფნით იქარვებდა...

აგრძელებდა ვარჯიშს, სურდა ერთ-ერთი უჩვეულო რეკორდის დამყარება ლიანა ალიბეგაშვილის სახელზე.

სიყვარულის სტიმულით სიმძიმეთა შემსუბუქებას აღწევდა: "მე ვერ ვგრძნობ წონას, მგონია რომ დავდივარ ჰაერში. აღმდგენი ვარჯიშებით, ძიებით, მიღწეულია გარკვეული დაავადების განკურნვის მეთოდი, რასაც აუცილებლად სჭირდება დამუშავება და წიგნად გამოქვეყნება," აფიქსირებს დღიურში.

7-8 საათს აგრძელებდა ვარჯიშებს, 25-26 ათას აზიდვას ახერხებდა. თვითონვე იყო გაოცებული: "რა ხდება ჩემს თავს? ნუთუ ეს ის ენერგიაა, ღმერთმა კლინიკური სიკვდილის დროს რომ მიბოძა? რა თქმა უნდა, სხვა საიდან მოვიდოდა? გრძელდება მზადება ერთ-ერთი გამორჩეული რეკორდის დამყარებისათვის, რომელსაც ლიანა ალიბეგაშვილის სახელი დაერქმევა."

მოსკოვში, შეჯიბრების დაწყების წინ, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მოხსნიდა ინგლისელი პედი დოილის 24 საათიან მსოფლიო რეკორდს.

გულშემატკივარმა ბიჭიკო სულიაშვილმა ჰკითხა: "თავს როფორ გრძნობ?"

პასუხი ასეთი იყო: "კარგად რომ ვარ, დაწყების წინ დაგიმტკიცებ, სამედიცინო შემოწმებისას, უძლიერესი რომ ვარ მსოფლიოში — 13 საათის შემდეგ."

მეგობარს ცრემლები მოერია და ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ამ დროს გაკეთდა განცხადება, რომ ერთსაათიან აზიდვებში რეკორდი უნდა დაამყაროს მოსკოველმა მაქსიმ კირილოვმა.

ჯუმბერ ლეჟავა მიხვდა, რომ ეს ფსიქოლოგიური შეტევისთვის იყო გამიზნული.

ჟურნალისტიც გამარჯვების რწმენას უკლავდა თითქოს: "რომ ვერ შეძლო?"

ქართველმა სპორცმენმა მტკიცედ, დაუეჭვებლად განაცხადა: "მე დღეს ფენომენალურ რეკორდს დავამყარებ."

პირველად მსოფლიოში 12 საათის განმავლობაში 40 ათასი აზიდვა უნდა გაკეთებულიყო, უნდა აწეულიყო 2 000 ტონაზე მეტი ტვირთი, ამ დროის მანძილზე კი უნდა გადამუშავებულიყო 11 ტონამდე სისხლი.

კიდევ ერთხელ უნდა დამტკიცებულიყო ადამიანის არა მარტი ფიზიკური შესაძლებლობა, არამედ მისი უებრო ნებისყოფა, ფსიქოლოგიური მოწესრიგებულობა და მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა,

გაოცებას ვერ ფარავდა ოფიციოზი, დამსწრე საზოგადოება. ოპერატორი კამათობდა ხელის მოხრა არ არის სრულიო, რაც სიცრუე იყო და იგი გააძევეს. ეს იყო მეორე ფსიქოლოფიური შეტევა, პირველის შემდეგ, როცა ხელოვნურად გამოაცხადეს ვიღაცის გვარი, თუმცა კონკურენტი არ ჩანდა.

ასევე დაიწყეს მიღწეული შედეგების დამახინჯება, აკლებდნენ რაოდენობას მიზანმიმართულად. 6-დან 2 მსაჯი ცრუობდა, რასაც მოჰყვა რეკორდსმენის პროტესტი და ისინი გააძევეს შეჯიბრებიდან. გაირკვა, რომ ეს გამყალბებლები იყვნენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები ტანვარჯიშში, თანაც რუსეთის წარმომადგენლები.

დაფიქსირდა 35 ათასი მაჩვენებელი, გარეწრებმა ჩაშალეს 37 ათასის დაძლევის შესაძლებლობა. ესეც ფანტასტიკური იყო. გაკეთდა ბრწყინვალე განაცხადი ადამიანის შესაძლებლობების უსაზღვრობაზე. იყო სენსაცია, მილოცვები, ინტერვიუები, სერთიფიკატის გადაცემა.

როცა სასტუმროს ნომერში მარტო დარჩა, მივიდა მეუღლის სურათთან, რომელიც ხატთან ერთად ედო, პირჯვარი გადაიწერა და მიმართა: "კიდევ მრავალ გამარჯვებას მოგიძღვნი, ჩემო ლიკა!" დიდი გამარჯვების ეიფორიაში მყოფი, ვახშამზე კი არა, შემდგომ შეჯიბრებებზე ფიქრობდა.

1990 წლის 29-30 სექტემბერს 12 საათს წოლელა მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვის რეკორდი დაამყარა, შედეგი 34 955 იყო.

უკვე დამყარებული ჰქონდა ერთსაათიანი, ხუთსაათიანი, 12 საათიანი რეკორდები.

რეკორდსმენის დაუცხრომელი სული 24 საათიან აზიდვებზე ფიქრობდა, რითაც სურდა შეეკრა სპორტის ამ სახეობის ყველა დროითი რეკორდების კომპლექტი

არ ასვენებდა ყველა დროის რეკორდზე იერიშის მიტანის სურვილი.

ასევე მიზნად დაისახა ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება მუცლის პრესის ერთსაათიან ვარჯიშში, ერთ საათიანი მკლავებზე აზიდვების რეკორდის გაუმჯობესება.

1991 წლის 26 იანვარს განახორციელა ჩანაფიქრი. მიაღწია 5011 მკლავებზე აზიდვას ერთ საათში, რაც იყო უპრეცედენტო მსოფლიოში.

ამას მეორე ფენომენალური რეკორდი მოჰყვა მუცლის პრესის ვარჯიშში. 1991 წლის 27 იანვარს ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამით ზოგიერთ ურწმუნო თომას დაუმტკიცა თავისი აბსოლუტური ჯანმრთელობა, განგრენით დაავადების დამარცხება.

არ არსებობს მსგავსი მაგალითი, რომ სპორტის ორ სხვადასხვა სახეობაში ერთ პირს დაემყარებინოს ერთდროულად ორი მსოფლიო რეკორდი.

ამ ახალ-ახალი შესაძლებლობების გამოვლინებას დიდი შრომა სჭირდებოდა. მკლავებით ასწია დაახლოებით 300 ტონა ტვირთი, რაც საოცრება იყო.

ვაჟა ტუღუშს, რომლის მოადგილედაც ერთ დროს მუშაობდა, უკითხავს ბატონი ჯუმბერი. როცა უთქვამთ, რომ ის დარბაზში ვარჯიშობდა, გასცინებია, — ვარჯიშობს, თორემ ეგეც მსოფლიო ჩემპიონი არ გამოვიდესო! ყოველი რეკორდის დამყარების შემდეგ იგი გულით ულოცავდა რეკორდებს და თან დააყოლებდა, "ჩემი ნათქვამის გამო ხომ არ გახდი ჩემპიონიო" და იცინოდა.

"ეს არის მაგალითი იმისა, რომ თუ კაცი რაღაცისთვის სერიოზულად ემზადება, მას ხელს არაფერი არ უშლის, ხშირად ასეთი ნათქვამი სტიმულატორიც ხდება. ეს ისე კომენტარისათვის, თორემ მე და ვაჟა ერთმანეთის უფროსი და მოადგილე კი არ ვიყავით, არამედ უახლოესი მეგობრებიც და ერთმანეთის წარმატება თანაბრად გვახარებდა ორივეს." შენიშნავს მსოფლიო ჩემპიონი.

ისევ და ისევ უსაყვარლესი მეუღლის ხსოვნა ხდებოდა ახალ-ახალი გამარჯვების იმპულსი.

2 ივნისს, როცა ლიანა ალიბეგაშვილი უნდა გამხდარიყო 46 წლის, ჯუმბერ ლეჟავამ ისევ დიდი მიზანი დაისახა: "მე მისი კიდევ ერთხელ აღიარებისთვის ვიწყებ უჩვეულო მარათონს, რადგანაც ასეთი სირთულის გზა ჯერ არავის არ გაუვლია."

შეჯიბრება დაიწყო 2 ივნისს და დამთავრდა 9 სექტემბერს. გრაფიკის მიხედვით, უარი ეთქვა დასვენებას, დღესასწაულებს. 100 დღეში მოახდინა 100 მილიონამდე კილოგრამის აზიდვა 30 სმ. სიმაღლეზე. სისტემატურად იცვლებოდნენ მსაჯები.

შესანიშნავი რეკორდით დაფიქსირდა ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების განუსაზღვრელობა ექსტრემალურ პირობებში. დამტკიცდა ადამიანის სასწაულებრივი ნებისყოფა, განსაკუთრებული სწრაფვისათვის მობილიზების შესაძლებლობა.

100 დღის განმავლობაში მიღწეული იყო 1 730 000-ჯერ აზიდვა.

მსოფლიოში მოგზაურობის დასრულების შემდეგ ჯუმბერ ლეჟავას ერთ-ერთ ინტერვიუში ასეთი შეკითხვა დაუსვეს: "თქვენი აზრით, სად გადის ადამიანის, გნებავთ ფიზიკური, გნებავთ გონებრივი, ან ორივეს ერთად, შესაძლებლობათა ზღვარი?"

მსოფლიოს 15-გზის ჩემპიონმა და მსოფლიო მოგზაურმა ამ კითხვას ასეთი ბრძნული პასუხი გასცა: "საერთოდ მიმაჩნია, რომ არ არსებობს ადამიანის არც ფიზიკურ და არც გონებრივ შესაძლებლობათა ზღვარი. აინშტაინმა თავისი ალბათობის თეორია რომ შეიმუშავა, მას შემდეგ ბევრი მეცნიერი მუშაობდა ამ თეორიის განვითარებაზე. მძლეოსანი, რეკორდსმენი დაუსრულებლად აუმჯობესებს თავის შედეგს სპორტში. ათი წლის მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ, ყველანაირ ამინდში ამიღია სტარტი სამოგზაუროდ. ზამთარში თითქმის მუდმივი ზამთრის ქვეყნებში მიმოგზაურია, ცხელი ზაფხულის პერიოდში — ცხელ ქვეყნებში... დარწმუნებული ვარ, მომავალში ვინმე ჩემზე მეტს და ჩემზე უკეთესად გააკეთებს ამას. მიმაჩნია, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს, მადლობა უფალს."

ჟურნალისტის შეკითხვაზე თუ რით ახსნიდა მსოფლიო მოქალაქე ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებზე ამაღლებას, რესპოდენტმა ასეთი პასუხი გასცა: "რაც გამიკეთებია, რისთვისაც მიმიღწევია, მე არასდროს ვამბობ: მე!... ყოველთვის ვამბობ: ჩვენ!... ვმოგზაურობთ მე, ჩემი ღმერთი და ჩემი ველოსიპედი..."

ამავე ინტერვიუში ასევე დაისვა საყოველთაოდ საინტერესო კითხვა: “მაინც ვინ არის ჯუმბერ ლეჟავა? მოყვარული მოგზაური თუ მეცნიერი, სპორტსმენი თუ თავგადასავალებისა და ფათერაკების მაძიებელი რომანტიკოსი?”

პასუხი ისევ და ისევ განამტკიცებს აზრს რესპოდენტის განსაკუთრებულობაზე: “თავიდან ვიყავი მეცნიერი — სპეციალობით კიბერნეტიკოსი. ამ დარგში 24 სამეცნიერო შრომის ავტორი და ჩემს სპეციალობაში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვარ. ასევე ვარ პროფესიონალი სპორტსმენი, პროფესიონალი მოგზაური, თხუთმეტგზის მსოფლიო ჩემპიონი და გინესის რეკორდსმენი მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშში...”

შემდეგი კითხვა ასეთი იყო: “ვინ მიგაჩნიათ პლანეტის ყველა დროის დიდ, გამორჩეულ ადამიანებად და რა ნიშნით?”

პასუხი გვარწმუნებს, რომ ჯუმბერ ლეჟავა პატივს სცემდა უპირველესად ქართული სპორტული ძალისა და გონის, ქართული მუსიკის, ბალეტის, სკულპტურული გენიის მსოფლიო მასშტაბებში გამოვლინებას: “ეინშტეინი, არა მოდით, საქართველოში ვიმოგზაუროთ... ჩვენ ქართველებს, ბევრზე ბევრი გვყავს ასეთი... მუსხელიშვილი, ვეკუა, რაზმაძე... არა სულ პირველი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩამიწერეთ, მერე ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, კახი კახიაშვილი – სიმძიმეების აწევაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. ვახტანგ ჭაბუკიანი, პაატა ბურჭულაძე, ზურაბ სოტკილავა, მერაბ ბერძენიშვილი, მიხეილ მესხი ჩამიწერეთ — ათს ხომ არ გადავცილდით? ბევრი რჩება მაგ ათეულის გარეთ...”

(ესაუბრა თინათინ სიყმაშვილი, გაზეთი “რუსთავი”, 1-7 მაისი, 2007წ.)

მსოფლიოს გზებზე ქართული სახით

ჯუმბერ ლეჟავა იყო და არის უპირველესი მეცნიერი კიბერნეტიკის დარგში, 24 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატე თავის სპეციალობაში. ასევე, მას იცნობენ, როგორც პროფესსიონალ სპორტსმენს, თხუთმეტგზის მსოფლიო ჩემპიონს და გენესის რეკორდსმენს მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშში.

ნებისმიერი ადამიანი იამაყებდა მისი მეცნიერული სახელით, ასევე, მხოლოდ სპორტის მიღწევები იკმარებდა როგორც საკუთარი პერსონის, ისე ერის გამორჩეული სპორტული პოტენციალის წარმოსაჩენად.

მაგრამ მას უფრო დიდი მისია დააკისრა განგებამ — მთელი მსოფლიოსთვის გაეცნო ჩვენი მრავალმხრივი შემოქმედებითი პოტენციალი, ზნეობა, გამძლეობა, შემართება, საერთოდ, ეროვნული ფენომენი.

შემთხვევით როდი გადაიტანა კლინიკური სიკვდილი, შემთხვევით როდი გამოეცხადა თეთრწვერა მოხუცი — ღმერთი, რომელმაც ისევ მიწაზე დააბრუნა, გილიათური ძალით აღჭურვა და ჩააგონა, ხალხის სასარგებლოდ გაეხარჯა ეს ზებუნებრივი ენერგია.

ჯუმბერ ლეჟავას გამოცხადება მსოფლიო მოგზაურის ამპლუაში წარმოადგენდა მისი პიროვნების ხილვას ფილოსოფიური, ზნეობრივი, სპორტული, ფსიქოლოგიური, მწერლური ასპექტებით, მრავალმხრივ შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავს არ ეძლევა და ზეკაცურ შემართებას მოითხოვს, თაობათა, საუკუნეთა იდეალი ხდება, რაზედაც ლეგენდები იქმნება და საბოლოოდ მაინც რჩება, როგორც ამოუხსნელი გამოცანა.

ამჯერად თავისი მეგობრის თენგიზ კიკაჩეიშვილის ვაჟის — რატის რჩევით გადაწყვიტა ყველა ქვეყანაში ემოგზაურა მსოფლიოში ველოსიპედით ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაში მარტოდმარტოს.

ეს მოგზაურობა მიუძღვნა თავის გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და აფხაზეთში 1992 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ რატი კიკაჩეიშვილს.

პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო იუზა ვერულავა, სპონსორი — ჟიული შარტავა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ამ მოგზაურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოსთვის.

პროგრამის წერა დაიწყო 1992 წლის 13 ოქტომბერს დილის ექვს საათზე. სათაური იყო "მარტოდმარტო მსოფლიო ველო-მოგზაურობა".

ამ ოდისეის მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს გაცნობა მსოფლიოსთვის, ახალ-ახალი საპორტული რეკორდების დამყარება, საქართველოსთვის ახალი მეგობრების მოძიება — ეს იყო პროგრამა მაქსიმუმი.

მოკლედ, ერთ რჩეულ ქართველს ჩვენი სამშობლოს იმიჯი უნდა აემაღლებინა მთელი კაცობრიობის თვალში.

ველოსიპედით უნდა გაევლო დედამიწის ყველა სარტყელი, ჯუნგლები, სავანები, მთათა სისტემები, ვაკეები, ვულკანები, ტუნდრები, ტაიგები, არქიპელაგები, კუნძულები და ნახევარკუნძულები, უნდა ენახა ოკეანეები, ზღვები, ყურეები, სრუტეები, ტბები, მდინარეები, მაღალი მოქცევის ადგილები.

გასავლელ გზებზე უნდა დაეთვალიერებინა ყველა ბუნებრივი და ისტორიული ძეგლი, რელიგიური ცენტრები, დედაქალაქები, სახელმწიფოს შენობები, ნაციონალური მუზეუმები, უნივერსიტეტები, სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრები, ოპერისა და ბალეტის თეატრები, გალერეები, სპორტული კომპლექსები, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების სპორტული ობიექტები. უნდა შეხვედროდა სხვადასხვა ორგანიზაციებს, ცნობილ პიროვნებებს.

მოგზაურობა უნდა დაწყებულიყო 1993 13 აგვისტოს და დასრულებულიყო 2001 წლის 1 იანვრისთვის, რათა 21-ე საუკუნეს სამშობლოში შეხვედროდა.

ამ პერიოდში უნდა გავლილიყო შვიდივე კონტინენტის 227 სახელმწიფო და დამოუკიდებელი ტერიტორია, მათ შორის ანტარქტიდა, გრენლანდია. სულ გადაადგილების საშუალებებით და სხვა ტრანსპორტით უნდა დაეფარა ნახევარ მილიონ კილომეტრზე მეტი, მათ შორის ველოსიპედით 250 ათას კილომეტრზე მეტი. ექსტრემალობის გაზრდის მიზნით ცივი ქვეყნები ზამთარში უნდა გაევლო, ხოლო ცხელი ქვეყნები — ზაფხულში.

პროგრამა განიხილა საქართველოს ეროვნული პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიამ. მოგზაურობის ხელმძღვანელად დამტკიცდა ჟიული შარტავა, ხოლო სპონსორად ქ. რუსთავის მერია და ქ. რუსთავის განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშემწყობი ცენტრი.

ორჯერ ორი ურთულესი ოპერაციის შემდეგ შეძლო ჯანმრთელობის აღდგენა და სპორტის ურთულეს არაკლასიკურ სახეობაში მრავალი სპორტული რეკორდის დამყარება.

სტარტის დაწყებამდე 6 თვით ადრე ჟიული შარტავასთან, დიეტოლოგთან და სხვებთან ერთად შემუშავებულ იქნა დატვირთვების, დასვენების, კვების რეჟიმი, სხვადასხვა სპეციალისტებისგან მიღებულ იქნა კონსულტაციები. გამოკვლეულ იქნა ორგანიზმი. გათვალისწინებული იყო ჯანმრთელი ცხოვრების წესისა და მოგზაურობის პოპულარიზაცია, შეიქმნა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან შეხვედრების, მასიური ინფორმაციის წყაროებთან ურთიერთობის გეგმა-გრაფიკი.

მხარდაჭერა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, სპორტის დეპარტამენტისგან, გეოგრაფიული საზოგადოებისგან (გ. გიგინეიშვილი), საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრისგან (ჯ. კეკელია), გეოგრაფიის ინსტიტუტისგან.

მოგზაურობა დაიწყო 1993 წლის 13 აგვისტოს ქ. რუსთავის მერაბ კოსტავას სახელობის მოედნიდან.

13 რიცხვი! უამრავ ადამიანში ეს რიცხვი ურთიერთსაპირისპირო ასოციაციებს იწვევს. ალოგიკურიცაა, რადგან რიცხვთა შორის ეს რიცხვი თავისი კლასიფიკაციითა და სემიოტიკური მნიშვნელობით — ინფორმაციის გადმოცემით, თვისებებით, მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური, რელიგიური, თეოსოფიური, მითიური, ასტროლოგიური თუ სხვა სიმბოლიკით — ყველაზე ანტაგონისტური რიცხვია. მასში თანაწილობრივია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური სიმბიონტები: "13"-ის კოდური დეშიფრირებისა და სიმბოლიკათა ახსნის მცდელობა ძალზე შორს წაგვიყვანს.

"13"-ის უპირველესი უარყოფითი ასპექტი ისაა, რომ მრავალ ხალხში იგი თარს, უკუღმართ რიცხვადაა მიღებული ("ჩერტოვა დიუჟინა"). ცნობილია აგრეთვე ფენომენი "13"-ის შიში.

“ქრისტიანიზმისთვისაც მიუღებელია ეს რიცხვი, რადგან იგი საიდუმლო სერობის 13 მონაწილესთანაა გაიგივებული, რომელთაგან ერთ-ერთმა მაცხოვარი გასცა, თუმცა ამავე ქრისტიანიზმმა მას სხვა დატვირთვაც მისცა: 13 — ეს არის სიმბოლო მარადისობისა, ესაა ქრისტე 12 მოციქულთან ერთად... გაზაფხულის, ჯვრისა და ვერძის ზოდიაქური ნიშანია, მზის ახალ ციკლში შესვლაა. დიდ არკანში ეს ნომერი ნიშნავს მუდმივ მოძრაობასა და ენერგიის განახლებას...

მაგრამ...

“13 ნეგატიურ ასპექტში ერთობ საშიში ნიშანია, როცა დახვეწილი, წმინდა ენერგიები გამოიყენება ბოროტეული მიზნებით. მე კი, ჩემი კლინიკური სიკვდილის მომენტიდან კარგად მახსოვდა სამი უხუცესის პირობა-წინასწარმეტყველება: შევიძენდი უდიდეს, წმინდა ენერგიას და იგი სასიკეთოდ უნდა მომეხმარა. ამიტომ გერმანული მოარული თქმა და ფრთიანი სიტყვები — “დარეკა 13-მა” — ჩემთვის ნიშნავდა რაღაც ნებადაურთველის ზღვარზე გადაბიჯებას.

“ზღვარდაუდები წადილი — პლანეტის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა — მარად ნებადაურთველში გადასვლას მოასწავებდა.

“1993 წლის 13 აგვისტოს ერთდროულად დავდექი ნებადაურთველის ფინიშთან და ნებადართულის სტარტთან — მოგზაურობას ვიწყებ ქ. რუსთავის მერაბ კოსტავას სახელობის მოედნიდან” — წერს მოგზაური.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის დირექტორმა ვახტანგ გურგენიძემ შოთა რუსთაველის ნიგნზე წაუწერა: “ჩვენი ეროვნული უკვდავების საგანძურიდან გატანთ ყველა ქართველისათვის საპატიო და საამაყო წიგნს, სიყვარულის, მეგობრობისა და ძმობის ჰიმნს, ქართველი ხალხის სახარებას — “ვეფხისტყაოსანს”. დაე შოთასვე სალოცავად, თქვენი მოგზაურობის ჟამს სიყვარული ყოფილიყოს გზად და ხიდად”.

ზუსტად 8 საათსა და 13 წუთზე მოედანზე სამი წრის გაკეთების შემდეგ გამოემგზავრა თბილისისკენ.

როგორც ვხედავთ, სახიფათოდ აღიარებული 13 რიცხვი სრულიადაც არ აშინებდა მოგზაურს, სწორედ 13-დან იწყებდა ყოველთვის ბედთან შერკინებას და მუდამ იმარჯვებდა.

ხალხი მოწონების შეძახილებითა და ტაშით აცილებდა, რამდენიმე მანქანა უკან მიჰყვებოდა სიგნალებით.

სიონის ეკლესიაში სანთლები დაუნთო საქართველოს ყველა დაღუპულ გმირს, მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს, მოგზაურობის იდეის ავტორს რატი კიკაჩეიშვილს, ქართველ ხალხს და მის სახელმწიფოებრივ მომავალს.

გზა ლოცვა-კურთხევით დაულოცა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

მცხეთაში სვეტიცხოველის წინამძღვარმა ლოცვასთან ერთად წმინდა ნინოს ჯვარი და ნაკურთხი მიწაც გაატანა.

უკან მოიტოვა ჯვარი, გორი, ხაშური, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედიიდან ბათუმისკენ ლანჩხუთის მიმართულებით აიღო კურსი, ვინაიდან არასახელმწიფო საჯარისო ფორმირება “მხედრიონის” ნაწილებმა სამეგრელოსკენ არ გაუშვეს.

გამცილებლები სიხარულისა და სიამაყის ცრემლებს ვერ ფარავდნენ.

1993 წლის 17 აგვისტოს საქართველოს სასაზღვრო ქ. სარფიდან თურქეთის რესპუბლიკაში გადავიდა. გულისტკივილით შეჰყურებდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ქართული კულტურის ძეგლებს.

კუნძულ კვიპროსიდან (რომელიც გაყოფილი აქვთ თურქეთს და საბერძნეთს) ისრაელის სახელმწიფოში გადავიდა 1993 წ. 10 ოქტომბერს.

მოგზაურს აინტერესებდა თურქეთის ტერიტორიაზე ხეთური ცივილიზაციის დღემდე შემორჩენილი ძეგლების ხილვა.

ჯუმბერ ლეჟავა იზიარებს ლინგვისტური და სხვა არტეფაქტებით დადასტურებულ მოსაზრებას, რომ ხეთური ცივილიზაციის უშუალო ბაზისი პროტოხეთურ ცივილიზაციაში იდო. პროტოხეთურში მოიაზრებს ხეთებს — მცირე აზიის ძირძველ მოსახლეობას და მათთან ერთად ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ აბორიგენ ხალხებს: ხურიტებს, მანებს, ქალდებს, ლაზებს, ქასქებს, შუმერებს, მოშქებს

(მესხები), თუბალებს (სვანები), მაკრონებს (მეგრელები), იბერებს, ძველ ეგვიპტელებს (ქამიტებს, ქანაანელებს...

მოგზაური ფიქრობდა ბიბლიურ ცნობებზე პალესტინაში (ქანაანში) მცხოვრებ ხეთთა შესახებ. გონებაში აფიქსირებდა იმ დროს, როცა მათ შორის ურიდან გადმოსული აბრაამი დასახლდა — ჩვ.წ.აღ.-მდე 1800-1750 წ. შორის პერიოდზე. ამ დროისათვის ხეთებმა თავიანთ მმართველობაში გააერთიანეს მთელი ნატოლია, გარდა სირიისა, რომელიც ეგვიპტის გავლენის ქვეშ იყო. ვარაუდით, აბრაამი ხეთებს კი არა, პროტოხეთებს — ხათებს უნდა შეხვედროდა, ანატოლიიდან ამ რეგიონში უხსოვარი დროიდან შემოსულთ. ამიერკავკასიიდან ეგვიპტის ჩათვლით მთელ ტერიტორიაზე პროტოქართველურ ტომთა ნაკვალევს ჭვრეტდა, აიას და აიეტის სამეფოს, გაცილებით ადრე ტროამდე და ხათების სამეფომდე, გაცილებით ადრე არგონავტებამდე, უადრეს გილგამეშის კოლხეთში — თავის უშორეს წინაპართან, უთნაფიშთიმთან მოსვლამდე.

“ასე რომ მე პროტოქართველთა მიწაზე ვმოგზაურობდი, რომლის უდიდესი ტერიტორია დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოს უჭირავს”, წერს მოგზაური (დღიური, გვ. 25).

1993 წლის 30 ოქტომბერს ისრაელის სახელმწიფოში ჩაფრინდა და ქართულ დიასპორასთან შეხვედრას მოელოდა, მაგრამ არ გაუმართლდა. აქ 20 დღე გაატარა და მხოლოდ ორი ღამე ეძინა სასტუმროში.

იერუსალიმში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების 24 საათიანი ახალი რეკორდის დამყარება ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ განზრახვა ჩაეშალა ისრაელის ოფიციოზისა და ადგილობრივ ქართველ ებრაელთა პასიურობის გამო (დღიური, გვ. 26).

დღიურების ავტორი ყურადღებას მიგვაქცევინებს იმაზე, რომ პალესტინა ებრაელთა მიწების საერთო სახელწოდებაა (დაბად. 40:15). იგი ასევე იწოდებოდა უფლის მიწად (ოსია, 9:3), წმიდა მიწად (ზაქარია, 2:12), ესრაელიანთა მიწად (ეზეკიელი, 7:2), აღთქმულ მიწად (ებრაელთა მიმართ, 9:9). (დღიური, გვ. 26).

1993 წ. 19 ოქტომბერს თელ-ავივში შეიტყო თავისი მეგობრისა და მოგზაურობის ხელმძღვანელის — ჟიული შარტავას აფხაზეთში გმირულად დაღუპვის ამბავი. ეს იყო მოგზაურის იზმირში წინასწარი ხილვის აღსრულება, ამ ხილვის შესახებ შეატყობინა მოგზაურობის “დამხმარე ორგანიზატორს”, რათა გაეფრთხილებინა ბატონი ჟიული, რასაც იგი უგულისყუროდ მოეკიდა. ამ ხილვიდან ორ კვირაში აცხადდა ცუდი წინათგრძნობა — ჟიული შარტავა წამებით მოკლეს სოხუმში.

21 ოქტომბერს ჯუმბერ ლეჟავამ დროებით შეწყვიტა მოგზაურობა და დაბრუნდა საქართველოში გმირულად დაღუპული ეროვნული გმირისა და ძვირფასი მეგობრისთვის პატივის მისაგებად.

ქალაქ რუსთავის მერიამ და განვითარებისა და კეთილდღეობის შემწყობმა ცენტრმა ჟიულის დაღუპვის შემდეგ უარი განაცხადა სპონსორობაზე. მაგრამ, მადლობა ღმერთს, აღმოჩნდა ადამიანი, რომელსაც ესმოდა ამ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის — ეს იყო ჟიული შარტავასა და ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი თემურ მაისურაძე.

ეს წინააღმდეგობა დიდი მოგზაურისათვის ხელისშემშლელი კი არა, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენის სტიმული გახდა, რაზედაც წერს: “ამგვარმა ტრაგიკულმა დასაწყისმა უფრო მეტად განმამტკიცა, უფრო განმაწყო საბრძოლველად. მზად ვიყავი მსოფლიოს დასაპყრობად, რათა ბატონი ჟიულის მიერ დაწყებული საქმისათვის ჩრდილი არ მიმეყენებინა. მოგზაურობის ხელმძღვანელის, ბატონი თემურ მაისურაძის წინადადებით მოგზაურობას “ჟიული შარტავას სახელობის მსოფლიო ველო მოგზაურობა” დავარქვით და 1993 წლის 25 ნოემბერს განვაახლე ჩემი “ოდისეა” (იქვე, გვ. 28).

სირიაში გაეცნო კალეიდოსკოპურად წარმოდგენილ სხვადასხვა ცივილიზაციების ნაშთებს: დამასკოს ჭიშკარს, გალავანს, ქალაქ ალეპოსა და მის შემოგარენში — თანამედროვე ქრისტიანი მოსახლეობის ცხოვრების წეს-ჩვეულებს და ისტორიულ ძეგლებს.

დამასკოში მასპინძლობდა მსოფლიოში აღიარებული მსროლელის — თემურ მატოიანის შესანიშნავი ოჯახი, საინტერესო შეხვედრები მოუწყვეს ადგილობრივმა სომხებმა (იქვე, გვ. 29).

იორდანიის ხოშიმიტის სამეფოში გაეცნო 25 საუკუნოვან ძეგლებს, დაუმეგობრდა ცნობილ მსროლელს ალხატიმ მაზენს, რომელთა ოჯახშიც სტუმრობდა იქ ყოფნის პერიოდში (იქვე, გვ. 29).

შემდეგ იყო ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა, სადაც დაიჭირეს ეგვიპტელმა ფუნდამენტალისტებმა.

1994 წლის ახალი წლის ღამე გაატარა ქრისტიანულ ეკლესიაში. აქ სისტემატური შეხვედრები ჰქონდა ქართულ დიასპორასთან, ცნობილი ქართველი ურولოგის გოგა გოგბაიძის ოჯახთან (იქვე, გვ. 29).

თეირანში ყოფნა, მუზეუმების დათვალიერების პარალელურად, სტალინის სავარძელში ჩაჯდომით და გოგოლის ძეგლის ფონზე სურათების გადაღებით იყო ღირსსახსოვარი (იქვე, გვ. 32). ისპაჰანში და ფერეიდანში ადგილობრივ ქართველებთან შეხვედრებით გაიხარა.

მოგზაური ახალ-ახალ მეგობრებს იძენდა ირანში, ისინი აღიარებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და გულწრფელ პატივისცემას ავლენდნენ ქართველი ხალხისადმი. აშკარა იყო მათი სწრაფვა ამ ორი უძველესი ხალხის — ქართველთა და ირანელთა დაახლოებისა (გვ. 33).

მოლდოვის რესპუბლიკაში გამართულ ველოკროსში გამარჯვების პრიზი დაიმსახურა (გვ. 34).

მიანმაში რადიო და პრესა იმდენს საუბრობდა მსოფლიო მოგზაურის შესახებ, რომ მას გზაზეც ცნობდნენ, ბევრი გაზეთებიდან ამოჭრილ მის სურათებს თავიანთ სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებში ჰკიდებდა.

ტაილანდის სამეფოში მოგზაურის მასპინძელი იყო რუსეთის საელჩო, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა თხოვნის წერილი.

მალაიზიაში ახალი წელი კუალა-ლუმპურში, ქართულ ოჯახში "გაატარა", რომელშიც აბსოლუტურად არ იყო დაცული უმაღლეს ეთიკურ ღირებულებად მიჩნეული ქართული სტუმარმასპინძლობის წესი. ამ ოჯახმა ადგილობრივ ხელისუფლებაში ითხოვა ჯუმბერ ლეჟავას გასახლება მალაიზიიდან.

ამასთან დაკავშირებით დიდი მოგზაური აცხადებს: "ჭაობიდან სიმღერის, ხოლო ჰიპოკრატეს ბაღიდან ყიყინის ხმა რომ მომესმას, ამასაც კი გამოვუძებნი ლოგიკურ ახსნას, მაგრამ იმ ქართველის საქციელს ვერანაირი ახსნა ვერ მოვუძებნე" (იქვე, გვ. 38).

და იქვე დასძენს: "ჩემი ცხოვრების წესი ქრისტიანულია და ჩემი დიქსი — ყოველივეს მომთვინიერებელი თვინიერებაა, — ჩემი ცხოვრების კრედო და ფორმულაა..." (იქვე, გვ. 39).

"სინგაპური ყველაზე ურბანიზებული კუნძულია ჩვენს პლანეტაზე... იგი მდიდარია მუზეუმებით. სინგაპური ჩემი ოცნების ქალაქი გახდა. ამ ქალაქში ბევრ რამეზე ბევრჯერ მითქვამს: ეს ჩემს თბილისს მოუხდებოდა" (იქვე, გვ. 39).

ავსტრალიაში იმაზე ფიქრობდა, თუ რატომ დაერქვა სუხიშვილების ქართული ცეკვის ანსამბლს "ქართული ბალეტი".

აქვე შეხვდა ქართველ მიხეილ გიკაშვილს.

მელბურნში გაიხარა ქართულ დიასპორასთან შეხვედრით (იქვე, გვ. 42).

კანბერაში ჩასულმა ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი "კოსკიუსკო" დაიპყრო. კანბერა-სიდნეის გზა თავის გარდაცვლილ მეუღლეს — ლიანა ალიბეგაშვილს მიუძღვნა.

ქალაქ სიდნეიში უცნობი ახალგაზრდა გზაზე გადაუდგა, ქართულად მიესალმა და ოჯახში დაპატიჟა, რათა ერთად გადაეხადათ მოგზაურის მეუღლისთვის დაბადების დღე.

საინტერესო შეხვედრა ჰქონდა ნ. მაისურაძის ოჯახში, ამ ქალაქის ქართულ დიასპორასთან.

ორი თვე ვარჯიშობდა სიდნეის ახალი ოლიმპიური სტადიონის ტერიტორიაზე. დაუახლოვდა ცნობილ ქართველი სპორტსმენისა და იურისტის — შოთა კოზმანაშვილის ოჯახს.

ვანუატუელთა სიმღერებით რომ ტკბებოდა, მსგავსებას პოულობდა მეგრულ სიმღერებთან.

ჯონ ესტგეითი ტონგოელი სიოსაიას გაცნობას რომ დაჰპირდა, იმაზე ფიქრობდა, იქნებ მეგრელი გამოდგესო.

საერთაშორისო კავშირგაბმულობის სამსახურის მუშაკთა შეთქმულებაზე ეჭვობდა, როცა ახალი გვინეადან ვერაფრით უკავშირდებოდა თბილისს.

მოგზაურის თბილისელ ხელმძღვანელებს მოლაპარაკებები ჰქონიათ ჩინეთის მხარესთან მისი ჩინეთში მოგზაურობის თაობაზე. გაზეთებში (საქართველოში) და ჩინეთის რადიოში ყოფილა გადაცემები "დიდ მოგზაურს დიდი ჩინეთი ელოდება".

ჩინეთში საოცარი ინციდენტი ჰქონდა შანხაელ თამარ ლეჟავასთან (გვ. 47).

პეკინში მოგზაურის მასპინძელი იყო საქართველოს სავაჭრო წარმომადგენელი ჩინეთში კოლია გულიაშვილი.

რატომღაც მისთვის გამოგზავნილი ქართული პასპორტი რუსეთის საელჩოში მოხვდა.

პეკინიდან წასვლისას სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა მოგზაურის გამცილებლები დააკავეს. ამის გამო, პროტესტის ნიშნად დახია კომპანია "ნისანთან" დადებული ხელშეკრულება, რომელთაგან მილიონების მიღება და უზრუნველი სიბერე ელოდა.

მონღოლეთში ქართველმა მასპინძლებმა უღალატეს.

ულანუდეში (აღმოსავლეთ რუსეთში) 15 წლით გადასახლებულ ქართველთან სტუმრობდა. აქ ისევ ღალატი იწვნია ქართველთან (იქვე, გვ. 48).

სან-ფრანცისკოში მასპინძელი იყო შესანიშნავი ქართული ოჯახი გიორგი ერისთავისა.

ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში მოგზაურის მასპინძლები იყვნენ იაშა და ზურაბ ლეჟავები. 23 ივლისს დაბადების დღე ამ ოჯახში გადაუხადეს. იქვე იყვნენ ოლიმპიური კომიტეტის (ქ-ნი ნონა გაფრინდაშვილი), სპორტის სამინისტროს (ბ-ნი კახი ასათიანი) და შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს თითქმის სრული შემადგენლობა (ელჩი, ბატონი თედო ჯაფარიძე). ქართული სუფრა, ქართული განწყობა და ქართული სიმღერები დიდი სტიმულის მომცემი იყო.

ნონა გაფრინდაშვილმა და კახი ასათიანმა 3000 დოლარი გადასცეს საჩუქრად.

1996 წ. 30 დეკემბერს დაბრუნდა ჯორჯიის შტატში, ქ. ატლანტაში, სადაც ისევ იაშა და ზურაბ ლეჟავები იყვნენ გულთბილი დამხვედრნი.

ნიუ-იორკში, გაეროში ბრიფინგზე გამოვიდა დიდი მოგზაური. აშშ-სა და კანადაში 60-ზე მეტ გაზეთსა და ჟურნალს მისცა ინტერვიუ, 20-მდე ტელევიზიაში ჰქონდა გამოსვლა (იქვე, გვ. 51).

საქართველოს საელჩომ, ბ-ნმა თედო ჯაფარიძემ სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების 20-მდე ვიზით შევსებული ახალი ქართული პასპორტი გადასცა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი ელჩის, ბ-ნ პეტრე ჩხეიძის მეცადინეობით ყველა ქვეყანაში დაიგზავნა გაეროს წერილები, რათა მოგზაურისთვის სათანადო დახმარება გაეწიათ.

ბ-ნმა პეტრე ჩხეიძემ თავად დააპროექტა და გააკეთა ველოსიპედისათვის ბარგის ჩასალაგებელი ყუთები, რომლებიც ბევრად უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა ბრეზენტისაზე.

ბერმუდის კუნძულებზე (200-მდე კუნძულია) მოგზაურის გვარი დაფიქსირდა ამ სახელმწიფოს ოქროს წიგნში.

"...ვიცი, რომ მეტყვიან — შენ ხომ სამშობლოს სახელისთვის იარე? სწორი ბრძანდებით ...პასუხი სამშობლოში დაბრუნებით ჩანს.

...ჩემს სამშობლოს ერთგულად ვემსახურე: სკოლასა და ინსტიტუტში კარგი სწავლით, გამოქვეყნებული და დანერგილი სამეცნიერო შრომებით, რისთვისაც სახელმწიფო პრემია დავიმსახურე. თანამდებობეზე პატიოსანი, წარმატებული შრომით, მსოფლიო რეკორდებით, სამი უნიკალური მსოფლიო მოგზაურობით, შემოთავაზებებზე უარის თქმით; ადგილ-მამულები, ბინა-სამსახურებით, მდიდარი ცოლი (მრავალჯერ), ნისანის ხელშეკრულება, აშშ-ის ხელშეკრულება, კანადის პირობა და მრავალი სხვ.

მინდოდა... საქართველოს მოქალაქეებისთვის მეკარნახა ჯანმრთელი ცხოვრების წესი, მინდა ჩემმა ერმა დაიბრუნოს ხანგრძლივი, ჯანმრთელი ცხოვრება, მინდა, რომ იგი ჩემი 238 ქვეყანაში მოგზაურობის დღიურების გაცნობით ეზიაროს მოგზაურობის ანბანს მაინც, რაც ასევე არის ჯანმრთელი ცხოვრების წესის დაცვის ერთ-ერთი სახე (იქვე, გვ. 6).

ჯუმბერ ლეჟავა განსაცდელს, ხიფათს კი არ ერიდებოდა, სპეციალურად ეძებდა.

გიორგი გურჯიევი წერდა: "...თქვენს წინაშეა ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა. მოგზაურობის მიზანია თქვენთვის უჩვეულო, უცნობი მიწა. გზა უძნელესი და უსასრულობაა.

...გაზომეთ თქვენი ძალები. გასწვდებიან კი ისინი მთელ მოგზაურობას? ...წინ დიდი გზა გიდევთ, ეს თქვენგან ითხოვს პროპორციულად დიდ მარაგს — ეს მარაგი კი წინააღმდეგობაა, როგორც მოგზაურობის დროს, ასევე ამ მოგზაურობისთვის მზადებისას.

...ვაი თქვენ, თუ დასუსტდით და სახლის გზა დაგავიწყდათ. თქვენ ვერასოდეს ვერ შეძლებთ დაბრუნებას. მრავალი უსიამოვნება ელოდება მარტოხელა მგზავრს, რომელმაც არ იცის გზა და ის მოულოდნელობები, რაც ახლავს თან ამ გზას... გახსოვდეთ, თქვენს ხედვას გააჩნია თვისება, ისე

წარმოიდგინოს შორეული საგნები, თითქოს ისინი ახლოს იმყოფებიან. მოტყუებულნი თქვენს მიზანთა ცრუ სიახლოვით, მათი სილამაზით დაბრმავებულნი... თქვენს ძალთა შეუფასებლობით გათამამებულნი, ვერ შეამჩნევთ წინააღმდეგობებს... მწვანე ბალახით, ყვავილებით მორთულ მინდორში უღრმესი უფსკრულები ილანდებიან. ძალზე ადვილია წაბორძიკება და უფსკრულში ჩავარდნა, თუ თქვენი თვალები ვერ შესძლებენ თითოეული ნაბიჯის გაცნობიერებას.

თავი მოუყარეთ მთელ თქვენს ყურადღებას...

ნუ დაივიწყებთ მიზანს, არ დაკარგოთ სწორი მიმართულება...

გაიხსენეთ, რატომ, რისთვის ხართ აქ.

და გახსოვდეთ, რომ არც ერთი მცდელობა არ იკარგება უქმად.

ახლა კი გზას გაუდექით" (გიორგი გურჯიევი, სიყვარულის ორი სახე", თარგმანი მერაბ ხერგიანის, თბ. 1992, გვ. 103-104).

ამ და სხვა ბრძენთა შეგონებით, საკუთარი უტყუარი ინტელექტუალური და გრძნობისეული ინტუიციით განჭვრიტა მოსალოდნელი თუ მოულოდნელი სირთულეები დიდმა ქართველმა მოგზაურმა, სულ გამარჯვებით იარა ახალ, უცნობ ადგილებში, რათა დიდი წინასწარმეტყველებივით ეხილა "ახალი მიწა, ახალი ზეცა".

მრავალი წინააღმდეგობა ხვდა (უცხოეთის აგენტად მიჩნევა, მოწამვლა, ვიზის დაყოვნება, ომის გამო გადაადგილების აკრძალვა, ბანდიტების თავდასხმა, ავადმყოფობა, ფეხების მოყინვა, კლინიკური სიკვდილი), მაგრამ განსაკუთრებული, ზეკაცური შესაძლებლობებით აღჭურვა ღმერთმა, რათა ახლებურად წარმოეჩინა ადამიანის განუსაზღვრელი პოტენციალი, მსოფლიო და ეროვნული კატაკლიზმების ჟამს განემტკიცებინა ჩვენი რწმენა...

არა გაქცევა, არამედ ბედთან შერკინება დაებედა, რადგან იწამა ადამიანთა "გადარჩენის წინამძღვარი" — ღმერთი.

გადარჩენის საწინდარი კი გახდა "მადლი, რწმენა", რაც "ღვთის ნიჭია" (პავლე მოციქული, "ეფესელთა მიმართ", 2,8).

უზენაესმა მისცა დიდ მოგზაურს "სიბრძნისა და გამოცხადების სული", გაუნათა "გონების თვალი" სულიწმინდის ქნარად წოდებულ პავლე მოციქულს რომ დავესესხოთ (ეფესელთა, 17,18).

წმინდა წერილის მიხედვით, "ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ" (იაკობ მოციქული, 1,2).

მოგზაურობა სიძნელით სავსე

ჭეშმარიტი ცხოვრება სიძნელეებთან, წინააღმდეგობებთან ჭიდილში გამარჯვებაა. განგება ადამიანს ათასნაირ განსაცდელს უმზადებს, მრავალნაირ გამოცდას უწყობს, ჭირთათმენის მაგალითებით აძლიერებს, "რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი " (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12.6).

დიდი უბედურების გადატანაში ვლინდება მორწმუნე ადამიანში დაფარული სათნოება: "ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორწმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორწმუნეებში დაფარული სათნოება" (იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ.2000, გვ, 32).

მხოლოდ განსაცდელის გადამტანი ადამიანი ესათნოება ღმერთს: "ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ" (იაკობი, 1, 12,)

უფლის მიერ მოვლენილი განსაცდელი არასოდეს აღემატება ადამიანურ შესაძლებლობებს, და უფალი იძლევა განსაცდელიდან გამოსვლის საშუალებას : "არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა და სარწმუნო ღმერთი, არ დაუშვებს , რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ გადატანა" (პავლე მოციქული, Iკორინთელთა, 10,13).

ჭირთათმენის, გადარჩენის მაგალითი ჯვარცმულმა ქრისტემ მოგვცა, რომელიც ცოდვილი ადამიანების გამოსახსნელად ეცვა ჯვარს: "იესომ ღვთის მადლით იგემა სიკვდილი ყველას გულისთვის, ვინაიდან ... ის არის მათი გადარჩენის წინამძღვარი" (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3,10).

მხოლოდ უფლის რწმენა გადაარჩენს ადამიანს ტანჯვისგან: "ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება" (პავლე მოციქული, რომაელთა, 10,3).

დიდი მოგზაური აცხადებს: "ბრძენთაგან თქმულა: ნუ აიძულებ საკუთარ თავს შეუძლებლის საკეთებლადო , მაგრამ მე ხომ არაორდინალური ინდივიდი ვარ? პიროვნება, რომელმაც გაბედა და ნებადაურთველში გადადგა ნაბიჯი? კაცმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა შეძლოს საკუთარი თავიდან გასვლა და საკუთარ ზებუნებრივში ჩახედვა, მოუწყოს უდიდესი გამოცდა თავის თავს, თუნდაც უდიდესი რისკის ფასად"(მოგზაურის დღიური (გვ 45).

ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც 3-ჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი და ჰქონდა ღვთისგან მოვლენილი მომავალზე მომნიშნებელი ხილვა, რაც დიდი მისიისთვის მისი შემამზადებელი იყო, აღნიშნავს, რომ "კლინიკურმა სიკვდილმა დიდ საიდუმლოს აზიარა, ასწავლა "სამყაროს ღვთაებრივი და საიდუმლო ანბანი", "ცხოვრების წიგნის მართებული კითხვა", "სიკვდილმა სიცოცხლე მასწავლა, მაპოვნინა გზა კოსმიური ენერგიებისკენ, გზა ვიტალურისა და ვიტალური ძალების დაუფლებისა, რომელიც სიკეთეში და სიყვარულში უნდა გამელია".

არა მექანიკური მობრუნების, არამედ „შემობრუნების" შედეგი იყო ექვს წელიწადში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებში 11 მსოფლიო რეკორდის დამყარება, რომელთაგან უმეტესობა "გინესის" და "დივოს" არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში შევიდა.

ჟუმბერ ლეჟავას უკვე ჩაბარებული ჰქონდა პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმის, ინტელექტუალობის, უპირველესი სპორტსმენობის, ქართველობის, სიყვარულის, გამოცდა, შემუშავებული ჰქონდა საკუთარი ჯანმრთელობის და სიცოცხლის გონივრული მართვის მეთოდები, გადატანილი ჰქონდა მრავალი განსაცდელი, და მაინც არ ცხრებოდა მისი დაუდეგარი, მარადისობას ადევნებული სული. მან მიზნად დაისახა ისევ ექსტრემალურ პირობებში გამოეცადა საკუთარი ძალა და შესაძლებლობები. არჩევანი ურთულესი და უძნელესი იყო: გადაწყვიტა მსოფლიოს შვიდივე კონტინენტის ყველა ქვეყანაში მარტოდმარტო მოგზაურობა ველოსიპედით. იდეა თენგიზ კიკაჩეიშვილის ვაჟს, რატი კიკაჩეიშვილს ეკუთვნოდა, ეს მოგზაურობა მიუძღვნა ნაადრევად გარდაცვლილ მეუღლეს – ლიანა ალიბეგაშვილს და აფხაზეთში 1992 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ რატი კიკაჩეიშვილს.

პროგრამული გეგმით, ველოსიპედით უნდა დაეძლია დედამიწის ყველა სარტყელი, გადაელახა ჯუნგლები, სავანეები, მთათა სისტემები, ვაკეები, ვულკანები, ტუნდრები, ტაიგები, არქიპელაგები, კუნძულები და ნახევარკუნძულები, გადაესერა ოკეანეები, ზღვები, ყურეები, სრუტეები, ტბები, მდინარეები, მაღალი მოქცევის ადგილები ... გამოეცადა ზღვაოსნის ბედი (დღიური, 21)

პროგრამის მიზანი ასეთი იყო:

1). დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს გაცნობა მსოფლიოს ხალხებისთვის;

2). მოგზაურობის პერიოდში მრავალი ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება.

3). პლანეტის მოსახლეობაში მასობრივი გამაჯანსაღებელი უმარტივესი ვარჯიშის- წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების დანერგვა.

4).მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეკოლოგიურ პრობლემებზე ზრუნვის უმარტივესი ფორმა-ლოკალური ტერიტორიებზე გადაადგილების საშუალებად ველოსიპედის გამოყენება.

5).მოგზაურობის პერიოდში დღიურების სახით ინფორმაციული ფოტო და ვიდეომასალების შექმნა; სამომავლოდ „მოგზაურის მოგონებები"-ს მრავალტომეულის გამოცემა, დოკუმენტური ვიდეო და მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნა, სხვადასხვა თემაზე ფოტოგამოფენების მოწყობა.

საქართველოსთვის მრავალი ახალი მეგობრის მოძიება (ეს აზრი ხომ ერთ-ერთ უძირითადეს მცნებად, აფორიზმებად დაგვიტოვა დიდმა რუსთველმა).

პროგრამაში, რომელიც სამი თვე იწერებოდა, გამოკვეთილად ჩანდა, რომ მოგზაურობაში ძირითადი ყურადღება მიექცეოდა ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოცდას ექსტრემალურ პირობებში (გვ.21).

სტარტის დღე იყო 1993წლის 13 აგვისტო.

სპეციალურად 13 რიცხვის შერჩევა მოგზაურის უშიშარ ბუნებაზე, არსებულ ცრურწმენებთან დაპირისპირებაზე მიგვანიშნებს, რადგან ხალხში 13 რიცხვი თარს, უკუღმართ რიცხვადაა მიჩნეული, იგი ქრისტიანიზმში საიდუმლო სერობის 13 მონაწილესთან ასოცირდება, რომელთა შორის იესოს გამცემი იუდა იმყოფებოდა.

თუმცა ჯუმბერ ლეჟავა ამ რიცხვის პოზიტიურ ასპექტს ითვალისწინებს, 13-ეს არის სიმბოლო მარადისობის, ესაა ქრისტე 12 მოციქულთან ერთად... გაზაფხულის, ჯვრისა და ვერძის ზოდიაქოს ნიშანი, მზის ახალ ციკლში შესვლაა... დიდ არკანში ეს ნომერი ნიშნავს მუდმივ მოძრაობასა და ენერგიის განახლებას...

“მაგრამ... 13 ნეგატიურ სპექტრში ერთობ საშიში ნიშანია, როცა დახვეწილი, წმინდა ენერგიები გამოიყენება ბოროტი მიზნებით, მე კი, ჩემი კლინიკური სიკვდილის მომენტიდან კარგად მახსოვდა სამი უხუცესის პირობა- წინასწარმეტყველება: შევიძენდი უდიდეს, წმინდა ენერგიებს და იგი სასიკეთოდ უნდა მომეხმარა. ამიტომ გერმანული მოარული თქმა და ფრთიანი სიტყვები – “დარეკა 13-მა” ჩემთვის ნიშნავდა რაღაც ნებადაურთველის ზღვარზე გადაბიჯებას. ჩემი ზღვარდაუდები წადილი-პლანეტის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა, - მართლაც, ნებადაურთველში გადასვლას ნიშნავდა...

1993 წლის 13 აგვისტოს ერთდროულად დავდექი ნებადართულის ფინიშთან და ნებადაურთველის სტარტთან-მოგზაურობას ვიწყებ ქ.რუსთავის მერაბ კოსტავას სახელობის მოედნიდან.

“ზუსტად 8საათსა და 13 წუთზე მოედანს 3 წრე დავარტყი და გამოვემგზავრე თბილისისაკენ, ხალხი შეძახილებით და ტაშით მაცილებდა, რამდენიმე ათეული მანქანა კი უკან სიგნალებით მომყვა”(გვ.33).

სიონში სანთელი აუნთო საქართველოსთვის დაღუპულ გმირებს, მეუღლეს, ამ მოგზაურობის იდეის ავტორს, რატი კიკაჩეიშვილს, უფალს შეავედრა საქართველო, ქართველი ხალხი, ქვეყნის თავისუფლება და სახელმწიფოებრივი მომავალი. თან მიჰყვებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევა.

მცხეთაში სვეტიცხოვლის წინამძღვარმა, ლოცვას-თან ერთად, წმინდა ნინოს ჯვარი და ნაკურთხი ქართული მიწა გაატანა ნათლის, ჭეშმარიტების, სიყვარულის გზად დამდგარს (გვ 24).

ეს იყო სტიმული იმისა, რომ დაგვეარსებინა ბატონ ჯუმბერის სახელობის სამეცნიერო საერთაშორისო აკადემია, რომლის პირველი გვერდი წმინდა ნინოს ხატით იქნებოდა მადლფენილი.

გაეცნო თურქეთის, ისრაელის ღირსშესანიშნაობებს. ისრაელში გატარებული ოცი დღიდან მხოლოდ ორი ღამე ეძინა სასტუმროში, დანარჩენი ბულვარზე გაათენა..

იერუსალიმში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების 24 სათიანი ახალი რეკორდის დამყარება დაგეგმა, მაგრამ მიზანი ვერ აისრულა ოფიციოზისა და ადგილობრივ ქართველ ებრაელთა პასიურობის გამო.

1993 წლის 19 ოქტომბერს თელავივში შეიტყო თავისი მეგობრისა და მოგზაურის ხელმძღვანელის- ბატონ ჟიული შარტავას აფხაზეთში გმირულად დაღუპვის ამბავი, რაც იყო ასრულება იმ გამაფრთხილებელი ხილვისა, რაც ჰქონდა მოგზაურს ორი კვირის წინ. 21 ოქტომბერს დროებით შეწყვიტა მოგზაურობა და დაბრუნდა საქართველოში გმირულად დაღუპული ეროვნული გმირისა და ძვირფასი მეგობრის პატივის მისაგებად.

ჟიული შარტავას დაღუპვის შემდეგ რუსთავის მერიამ და განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშემწყობმა ცენტრმა უარი განაცხადეს სპონსორობაზე. მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, ვისაც ესმოდა ამ მოგზაურობის მნიშვნელობა საქართველოსთვის. ეს იყო ჟიულისა და ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი ბატონი თემურ მაისურაძე, რომელმაც მოგზაურობის ხელმძღვანელობა და სპონსორობა თავის თავზე აიღო.

თუ როგორ ხვდებოდა წინააღმდეგობებს, ხელისშემშლელ სერიოზულ მიზეზებს ჯუმბერ ლეჟავა, ამაზე თვითონ საუბრობს თავის დღიურებში:

“ამგვარმა ტრაგიკულმა დასაწყისმა უფრო მეტად განმამტკიცა, უფრო განმაწყო საბრძოლველად. მზად ვიყავი მსოფლიოს დასაპყრობად, რათა ბატონი ჟიულის მიერ დაწყებული საქმისათვის ჩრდილი არ მიმეყენებინა, მოგზაურობის ხელმძღვანელის, ბატონ თემურ მაისურაძის წინადადებით მოგზაურობას “ჟიული შარტავას სახელობის მსოფლიო ველომოგზაურობა” დავარქვი და 1993 წლის 25 ნოემბერს განვაახლე ჩემი “ოდისეადა” (გვ.28).

სირიის არაბეთის რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობების გაცნობის შემდეგ ლიბანის რესპუბლიკიდან გადავიდა, გეზი იორდანიის ხოშიმიტის სამეფოსკენ აიღო, იქ კი საუდის არაბეთის ვიზას ელოდებოდა, მაგრამ მათი საელჩოს თანამშრომელთან მომხდარი ინციდენტის გამო ვიზაზე უარი მიიღო.

იორდანიის ხოშიმიტის სამეფოს გავლის შემდეგ 1993წ 24 დეკემბერს აკაბადან სინაის ნახევარკუნძულამდე გადავიდა. უდაბნოს ურთულესი გზა საინტერესოდ ეჩვენებოდა და იქიდან ეგვიპტის არაბეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ქაიროში ჩავიდა. ქაიროს გზაზე ორჯერ დაიჭირეს ეგვიპტელმა ფუნდამენტალისტებმა (გვ.29).

ეგვიპტეში სისტემატიურად გადაიცემოდა ინფორმაციები ქართველ მოგზაურზე პრესითა და ტელევიზიით.

1994წ 31 იანვარს ქაიროდან ჩრდილოეთ იემენის რესპუბლიკის პორტ ხოდეიდში გადაფრინდა, საიდანაც ველოსიპედით გააგრძელა მოგზაურობა დედაქალაქ სანასკენ, იქ კი ოთხმა ახალგაზრდამ წრეში მოაქცია. მათ ხელში იემენური რკალისებური ბებუთი ეკავათ და დოლარებს სთხოვდნენ, სანაში სხვა დროსაც ჰქონდა საშიში ინციდენტები, სუფრაზე ერთ რუს პასუხისმგებელ პირთან მოუხდა დაპირისპირება (გვ. 30).

მიუხედავად იმისა, რომ იემენელი ბედუინები მანის სასულთანოდან იემენში გადმოსულ უცხოელ ტურისტებს იტაცებდნენ და მკვლელობასაც არ ერიდებოდნენ, ჯუმბერ ლეჟავამ 1994 წლის 2 მარტს მაინც მოახერხა გადასვლა ომანის სასულთნოში.

ომანის სასულთნოს დედაქალაქ მასკატში ღამე რიტუალების სასახლეში გაათია, საშუალო სიმაღლის მკვდრებისთვის გამზადებულ ტახტზე (გვ. 31).

თეირანის მუზეუმში სტალინის სავარძელში ჩაჯდომა და გოგოლის ძეგლის ფონზე სურათების გადაღება იყო ღირსშესანიშნავი.

ურთულესი იყო ლუტის უდაბნოს ცხელი გზები.

ქ.რავსაჯანში სასტუმროდან ღამის პირველ საათზე გამოაგდეს.

პაკისტანში ყარაჩიდან ურთულესი 1500 კილომეტრიანი უდაბნოს გზა გაიარა. ჰაერის ტემპერატურა ხშირად +50° აჭარბებდა.

ინდოეთში თარის უდაბნოს სისასტიკეს გაუძლო, 1994წლის 12 ივნისს ჰეიდარაბადის მიდამოებში +51° ტემპერატურა იყო.

ისლამაბადისკენ მიმავალს ავარია შეემთხვა და ძლივს გადარჩა.

მუსონური წვიმის პერიოდში დელი-ტრივანდრუმის 3500 კილომეტრიანი გზა გაიარა 25 დღეში.

მალდივის რესპუბლიკის კუნძულებზე ველოკროსში გაიმარჯვა და პრიზიც დაიმსახურა, შრი-ლანკის რესპუბლიკაში ციკლონში მოყვა, რამდენჯერმე გამოსცადა ადამიანთა თავდასხმა.

თავი დააღწია მაიმუნებს და ტროპიკულ ჯუნგლებს, სადაც დაეძებდა სპილოებს, რადგან აინტერესებდა ”სპილოების ქცევა თავისუფლების სამყაროში” (გვ. 35)

შრი-ლანკის მწვანეთა პარტიის წარმომადგენლებს განზრახული ჰქონდათ, მოგზაურისთვის ტერორისტული აქტი მოეწყოთ.

შრი-ლანკიდან პირდაპირ მადრიდის თვალის კლინიკაში მოხვდა.

პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის არჩევნებზე პროგნოზი გააკეთა.

ნეპალის მთიანეთის მდინარეთა აუზები და იქაური მთები გაიარა, რომელიც სავსეა ნიანგებით, მარტორქებით და მთის ვეფხვებით.

მოუხდა უმკაცრეს ნეპალელებთან შეხვედრა.

მიანმაში, რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რუსეთის ფედერაციის საელჩოს თანამშრომლები ურჩევდნენ, ქალაქს არ გაშორებოდა. მოგზაურმა კი გაფრთხილება ყურად არ იღო და მთელი მიანმა მოიარა, ამიტომაც სპეცსამსახურები კვალდაკვალ დასდევდნენ. პოლიციელებს შეგზავნილი ჯაშუში ეგონათ და ამის გამო არასასიამოვნო შეხვედრები ვერ აიცილა, თუმცა ვერაფერი დაუმტკიცეს და უვნებლად გადარჩა, ჰქონია შეხვედრები ფუნდამენტალისტებთან, ნარკოტიკების მწარმოებლებთან.

ფათერაკების ძიების სურვილი თან სდევდა ვიეტნამშიც. რუსეთის ფედერაციის სპეციალისტების რჩევით, ვიეტნამის დედაქალაქში ჰანოისა და ხოშიმინში თვითმფრინავით უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ, მათი რჩევის მიუხედავად, ლაოსის ყოველმხრივ საშიში ჯუნგლები მაინც ველოსიპედით გაიარა. ეს გაუმართლებელი რისკი იყო, რადგან გზა გაუვალად ითვლებოდა. არსებობდა არათუ მწერების, ქვეწარმავლების, მხეცების თავდასხმის საშიშროება, მოსალოდნელი იყო ხიფათი მთავრობის წინააღმდეგ განწყობილი ნარკომაფიის სამხედრო დაჯგუფების მხრიდანაც.

ჰანოი-ხოშიმინის გზაზე ვერ ასცდა თავდასხმებს. გამკლავება უწევდა თავდამსხმელებთან, ქურდებთან, ხულიგან მძღოლებთან, რომლებიც ცდილობდნენ მის დაშინებას ავტობუსებისა და ავტომობილების დაჯახებით.

ერთხელ ხუთ პოლიციელთან მოუწია ჩხუბი, მაგრამ თვითონ ისინი აღმოჩნდნენ დასჯილი.

სამი კვირა უძლიერეს პირქარებს უმკლავდებოდა.

მოძრავი ტრანსპორტიდან ხელი, წიხლი, კეტი და ქვა ხვდებოდა ზოგჯერ.

კამბოჯის სამეფოში ამბოხებულთა თავდასხმა იწვნია.

გადაურჩა ჭაობს.

სინგაპურში, ჯუნგლებში პოლიციელებმა გააფრთხილეს: სნაიპერები ამა და ამ ადგილას ელოდებიან შენ გავლასო.

ტაილანდის სამეფოსა და მალაიზიის ჯუნგლებში 1500 კილომეტრიანი მანძილი დაფარა.

კუნძულ პინანგზე, ჯორჯთაუნში გადასვლისას 13კმ სიგრძის ხიდი გაიარა კუნძულამდე, სადაც პოლიცია კრძალავდა ველოსიპედით გავლას.

კუალა-ლუმპურში, ქართულ ოჯახში გატარებული დრო სანანებლად გაუხდა, რადგან ჩვენი ერის შვილმა ადგილობრივ ხელისუფლებაში უჩივლა, რომ გაესახლებინათ მალაიზიიდან, რასაც სისრულეში მოყვანა არ ეწერა, რადგან გამოესარჩლა ცნობილი რუსი კალათბურთელი ა.პეტროვი.

ჯუმბერ ლეჟავა გვამცნობს: ”ჩემი ცხოვრების წესი ქრისტიანულია და ჩემი ფიქრი-ყოველივეს მომთვინიერებელი თვინიერებაა-ჩემი ცხოვრების კრედო და ფორმულაა” (გვ. 39).

ინდონეზიის რესპუბლიკის კუნძულ სუმატრის ქ.მეიდანში რუსეთის ფედერაციის საკონსულო არ ღებულობდა, მაგრამ მაინც დააფიქსირა იქ მისვლა.

ამ კუნძულზე ძლივს გადაურჩა ადიდებულ მდინარეს.

სურაბაიაში კომპანია “პიონერის” ოფისში შესვლისას ცერა თითი მოიტეხა.

მწვანე კონტინენტზე პორტ დარკინის საბაჟოში შემოწმებისას მებაჟეებმა ერთი პატარა თავი ნიორი აღმოუჩინეს და მისი ექსპერტიზა ჩაატარეს. ნიორი კბილებად დაშალეს. როცა გაზეთ ”დარვინ ნიუსის” კორესპოდენტმა ინტერვიუს მიცემა სთხოვა, პროტესტის ნიშნად უარით გაისტუმრა, ნიორთან დაკავშირებით იგივე განმეორდა პორტ დარვინის სუპერმარკეტში, რისთვისაც, მოგზაურის თხოვნით, პოლიციელის გამოძახება გახდა საჭირო.

პორტ დარკინიდან ფრინ-კრიკის და კატერინის შემდეგ გზა დასავლეთით უხვევდა, ჯერ ქვიშის დიდ უდაბნოში, შემდეგ ნახევრად უდაბნოში.

ეს ადგილები მსოფლიოში ცნობილია ყველაზე დიდი ნიანგებით და ქვეწარმავლებით. ამ ადგილებში კენგურუების ჯგუფები დაძრწოდნენ, ღამით საშიში იყო აბორიგენებთან შეხვედრაც, მაგრამ ეს მაინც ვერ ასცდა.

თითქოს საგანგებოდ ახდენდა საინტერესო ექსპერიმენტებს და გამოცდებს... სილის უდაბნოში, დიდ უდაბნოში, ციკლონების მძვინვარებისას... მოგზაურის სიცოცხლე საფრთხეში იყო, მაგრამ იგი იპოვნეს და მოახდინეს მისი ევაკუაცია ქ.კარაემში.

ორი დღის შემდეგ ურთულესი, წყალწაღებული და დაშლილი გზით პერტისკენ გააგრძელა გზა. 2500კმ. გზის გავლას ართულებდა მუსონური წვიმები და ქარები, გზისპირა სასტუმროების კურიოზები.

ორი კვირა იმუშავა ავსტრალიის ფერმერ მეყვავილესთან.

ევროპის ჩემპიონი საგზატკეცილო ველორბოლაში გერმანელი ჰაინც ვოლფი გაოცებული იყო, არ მეგონა, თუ ადამიანი 70კგ-იანი ტვირთით 200ზე მეტ კილომეტრს გაივლიდა დღეშიო (გვ.41).

კანბერაში ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი "კოსკიუკო" დაიპყრო.

ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონიდან ოკლენდისაკენ თოვლით დაფარულ მაღალ მთებში უწევდა სვლა, სადაც 200 მწვერვალზე მეტი 2280-ზე მაღალია. მათ შორის, 3 აქტიური ვულკანი. გზა საკმაოდ რიყიანი იყო, ხშირად ღამით გარეთ მყოფს, გადარჩენის გარანტია არ ჰქონდა.

ოკლენდიდან ახალ კალედონიაში გაემგზავრა და სპონსორად ფრანგი ჟაკ ალენი გამოუჩნდა. კუნძული ჯერ ველოსიპედით მოიარა, შემდეგ ალენის დელტაპლანითაც შემოუფრინეს. ეს მოგზაურის მხრით დიდი რისკი იყო. ერთადგილიანი დელტაპლანით ფეხზე მდგარმა, დაუბმელად იფრინა.

ეკონომიკურად გამოუვალ მდგომარეობაში იყო. როგორ უნდა გაფრენილიყო ვანუატუში უფულოდ და უბილეთოდ? აქაც უზენაესი მოევლინა მხსნელად და ნუმეადან პორტ-ვილამდე "უბილეთო მგზავრი" "ბოინგ 747"-ის კაპიტნის სავარძელში იმყოფებოდა და ორი საათით მართავდა თვითმფრინავს.

ვანუატუს აეროპორტში დაფრენისას უკვე ბორტის ინჟინრის სავარძელში იჯდა.

ფიჯის კუნძულებზე რამდენჯერ სცადეს მოგზაურის გაქურდვა, რაც აიძულებდა სიფრთხილის გამოჩენას.

იქვე მიტინგში მიიღო მონაწილეობა.

ფიჯის კუნძულებზე პირველად ითამაშა გოლფი შერატონის სასტუმროში ერთ-ერთ დამსვენებელთან.

ვალესსა და ფუტუნაში გემის დამოუკიდებელი მართვა გარისკა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვდა. გემის მართვით აისრულა მოგზაურმა ბავშვობის ოცნება, რადგან გემის კაპიტნები იმთვითვე გმირებად და ზეადამიანებად ესახებოდა.

მარშალის კუნძულებზე მრავალი სახეობის თევზი დაიჭირა, გაიცნო მეზღვაური კანიბალები. აქვე ბრისმენელი როლფ ანდერდალი დაუმეგობრდა, რომელსაც გოლფი ეთამაშა, ის კი არაფრით იჯერებდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ფიჯის კუნძულებზე სცადა ამაში ბედი.

ნაურუს რესპუბლიკაში საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო შეჯიბრი 1500 დოლარიანი პრიზით. ეს იყო ძვირფასი ფერწერული ნამუშევარი.

პაპუა ახალ გვინეაში ჭეშმარიტ პირველყოფილ პაპუასებს დაეკონტაქტა, აქვე მოწმე გახდა პაპუასების მიერ ოთხი ავსტრალიელი სტუდენტის "შეხრამუნების".

უძილო ღამეები პორტუგალიელთაგან აშენებულ ეკლესიაში გაატარა.

საერთაშორისო კავშირგაბმულობის მუშათა შეთქმულების გამო ვერაფრით უკავშირდებოდა თბილისს.

ჩინეთში შანხაელ თამარ ლეჟავასთან ჰქონდა ინციდენტი.

პეკინამდე წვიმაში, ყინვაში, თოვლში, მოლიპულ გზებზე არსებულ საფრთხეებს ჩვეულებრივი ადამიანი ვერ გაუძლებდა. ხიფათს უმზადებდნენ ჩინელი მძღოლები, აუტანელი იყო სპეცსამსახურების თანამშრომლების დაკითხვები.

პეკინიდან წასვლისას სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა მოგზაურის გამცილებლები დააკავეს, ამის გამო პროტესტის ნიშნად დახია კომპანია "ნისანთან" დადებული ხელშეკრულება, რომელთაგან მილიონების მიღება და უზრუნველი სიბერე ელოდებოდა.

ყინვაში, დანგრეულ გზებზე აგრძელებდა გზას მონღოლეთის საზღვრისკენ, ჩინელი მესაზღვრეების კონდახების მოხვედრის მიუხედავად, საზღვარზე მაინც გადავიდა. ქარბუქში, 24 გრადუს ყინვაში უხდებოდა

სვლა. მონღოლებმა იპოვეს და დახმარება გაუწიეს. ულან-ბატორში ჩააღწია და გადაურჩა ხელის თითების მოკვეთას.

ქართველი მასპინძლების ღალატიც გამოსცადა, რუსეთის საელჩოსთან კონფლიქტიც.

მონღოლეთ-რუსეთის საზღვარზე გადავიდა და ულან-უდეში 15წლის გადასახლებულ ქართველთან ჰქონდა შეხვედრა. იქ ისევ იწვნია ქართველის ღალატი.

თოვლში, უგზოობაში აგრძელებდა სვლას, ასე მოხვდა დასახლებულ პუნქტ პეტროვკაში რეციდივისტ ქალთა კოლონიაში. ყინულზე მოცურებული ძლივს გადაურჩა მდინარეში ჩავარდნას.

ხაბაროვსკის გზებზე ხშირად იყო საფრთხე. გადაურჩა ვლადივოსტოკისა და ხაბაროვსკის გზას და კორეისკენ მიმავალს აცილებდნენ და ლოცავდნენ რუსი გოგონები და მამაკაცები.

ჩრდილოეთ კორეამ ვიზა არ მისცა და სამხრეთ კორეაში გადაფრინდა.

არასასიამოვნო სიტუაციების განმუხტვაში შველოდა გონიერება.

ოსაკაში შეიტყო, რომ აფრიკაში დაიკარგა ცნობილი რუსი ველომოგზაური ვადიმ კეტოვი და ამ სამწუხარო ფაქტმა ისე მძიმედ იმოქმედა ჯუმბერ ლეჟავაზე, რომ გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: "მე ვადიმისთვის შურს ვიძიებ აფრიკაზე" (გვ.48).

რაკი იაპონიის ვიზა ვერ მიიღო, ჰავაის კუნძულების ბილეთი აიღო და ოსაკაში ითხოვა 3 დღიანი ვიზა, შესთავაზეს მხოლოდ 48 საათიანი ტრანზიტული ვიზა. მათი კანონით უახლოესი რეისით უნდა გადაფრენილიყო იაპონიიდან. ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ჰავაის კუნძულებზე გასაფრენად დროზე დარეგისტრირებულიყო აეროპორტში, წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის დააპატიმრებდნენ.

შეუძლებლის შეძლებას მოწმობს ის, რომ ერთი დღისა და ორი ღამის(37სთ.) განმავლობაში ველოსიპედით 347კმ. მოიარა და ასე მოხვდა ოთხ უდიდეს ქალაქში-ოსაკას, კიოტოს (იაპონიის ძველ დედაქალაქი), ნარას, კომეს და დაბრუნდა ოსაკას კანზეის საერთაშორისო აეროპორტში. გაოცებულმა აეროპორტის თანამშრომლებმა პრიზად ორი ლამაზი იაპონელი გოგონას კოცნა არგუნეს.

მოგზაური აღნიშნავს: "ამით კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი ჩავწერე, ჩემს სამოგზაურო ისტორიაში, რადგანაც ჩემი ჯიუტი ხასიათით იაპონია ყველაფერში (ჩემთან დამოკიდებულებაში) დავამარცხე. გარდა ამისა, ამით ერთგვარად, შურიც კი ვიძიე ქართველი თავადის, რუსეთის არმიის კავალერიის პოლკოვნიკის პიპინია ერისთავის გამო, რომელმაც, იაპონელთაგან ოტებულმა, საკუთარ ცხენს ფეხით გამოასწრო" (გვ 49).

ჰავაის კუნძულებიდან სან-ფრანცისკოში ჩაფრინდა, სადაც მისი მასპინძელი იყო შესანიშნავი ქართული ოჯახი გიორგი ერისთავისა.

ოკლენდსა და სან-ფრანცისკოს შორის 6.5კმ სიგრძის ხიდზე და სან-ფრანცისკოს ორკილომეტრიან ხიდზე –"ოქროს კარიბჭეზე" ველოსიპედით გაიარა.

კალიფორნიის შტატის შემდეგ ძნელი და ხიფათიანი გზებით ჩააღწია არიზონას, ნიუ-მექსიკას, ტეხასის, ლუიზიანას, მისისიპის, ალაბამას, ჯორჯიას შტატებში. იგი გადარჩენას უმადლოდა ღმერთს. ჟორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში უმასპინძლეს იაშა და ზურაბ ლეჟავებმა.

ურთულესი იყო ალიასკის გზები ზამთარში.

ნიუ-იორკში, გაეროში, ბრიფინგზე გამოვიდა.

ბერმუდის სამკუთხედის კუნძულების ირგვლივ შექმნილია უცნაური, დაუჯერებელი ვერსიები. აქაც წარმატებით იმოგზაურა, ჯუმბერ ლეჟავას გვარი დაფიქსირდა ამ სახელმწიფოს ოქროს წიგნში.

ბერმუდის სამკუთხედის კუნძულებიდან ბაჰამის თანამეგობრობის კუნძულების დედაქალაქ ნასაუში გაფრინდა.

სიყვარულის სასწაულები

XXI საუკუნეში, როგორც არასდროს, განსაკუთრებული გამბედაობა სჭირდება მწერალს, მეცნიერს, ვისაც გაუჩნდება პრეტენზია ჭეშმარიტების თუნდაც მილიგრამი მარცვლის მოხელთების.მაგრამ ჩვენი კულტურის თვალუწვდენი მწვერვალები მაინც ხდება ბიძგი ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვისთვის, რადგან დიად საქმეებს, დიად ქმნილებებს აქვთ საოცარი თვისება, ზეგავლენის სფეროში მოიყოლიონ თაობები.

ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავა ბედისწერამ მოავლინა ისეთი დიდი მისიით, რომელიც გულისხმობს მსოფლიოს ხედვის არეალში მოქცევას მრავალნაირი პარამეტრებით. მას წილად ხვდა ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ყოფნის პერიოდში საერთაშორისო არენაზე გაეტანა ქართული ეროვნული ფენომენი, გაეკეთებინა განაცხადი, როგორც მეცნიერს, მოგზაურს, სპორტსმენს, ეჩვენებინა იგავმიუწვდომელი მაგალითი ადამიანის შესაძლებლობების განუსაზღვრელობის, მისი ზეკაცური პოტენციის.

ჯუმბერ ლეჟავა არა მარტო გამოჩენილი მოგზაური, 11 გზის მსოფლიო ჩემპიონი, პრემირებული მეცნიერია, არამედ, ამავე დროს, პირველხარისხოვანი მწერალი, მხატვარი, კიბერნეტიკოსი, ფსიქოლოგი, საღვთო ზნეობის პიროვნება.

ჩვენ, ყველანი, განსაცდელში მყოფი საქართველოს შვილები, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ახალგორის, ლიახვის ხეობების, კოდორის გამო მგლოვიარენი, ისევ და ისევ ვეძებთ პასუხს კითხვაზე, როგორ გადაურჩება ეს ქვეყანა გლობალურ კატაკლიზმებს და “ხმათა ხავერდების ენაში”, რწმენაში, სულიერებაში, ეროვნულ იდეოლოგიაში ვეძებთ ნუგეშს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თავზე ისევ ჰკიდია დამოკლეს მახვილი, გვეიმედებიან ეპოქის ნიშანსვეტებად ქცეული ერისკაცები.

ქართველი მწერლები ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დონეზე აზროვნებენ, ამიტომ ვეძებთ ამ რჩეული ერის ენაში, ქართველის გენეტიკურ კოდებში გადარჩენის პოტენციას.

გადარჩენის ერთ-ერთი დიდი გარანტიაა ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავას პიროვნება, მისი საქმეები და სიტყვა, სიტყვა მწერლისა, პუბლიცისტისა.

ცნობილია, ადამიანი იბადება სახედ და ხატად ღვთისა, ანუ განუსაზღვრელი სულით და უნარით, ხოლო რამდენად ინარჩუნებს იგი სახიერებას, დამოკიდებულია მისი საუფლო გულის სიწმინდეზე, რადგან სიბრძნეს, სულიერ წვდომას არსთაგანმრიგე მხოლოდ სულით უბიწოთ მიჰმადლებს.

ბიბლიამ გვიანდერძა სამი უმთავრესი ფენომენის ერთგულება, ესენია “რწმენა, სასოება, სიყვარული”, ხოლო მათ შორის “სიყვარულია უმეტესი” (პავლე მოციქული).

“...ღმერთი სიყვარულია” (I იოანე, 4,8), თავად სიბრძნე.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში განასხვავებდნენ სხვადასხვაგვარ სიყვარულს, გამოიყოფოდა მიწიერი და ციური ეროსი და ადამიანის არსებობის მიზნად ითვლებოდა ამაღლება სიყვარულის უმაღლეს, ეპოპტიკურ სტატიამდე, ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებამდე, აბსოლუტურ, მარადიულ მშვენიერებამდე, რომელიც მხოლოდ ღვთის საუფლოში არსებობს (პლატონი, “ნადიმი”, თბ. 1964, გვ.17).

ღმერთი არის “დიადი სიყვარული, რომლითაც სამყარო ბრწყვინავს, ვითარცა მარადიული შუვა დღე” (ნეტარი ავგუსტინე, “აღსარება”).

“სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ, ციურ ცდომილებს” (დანტე, “ღვთაებრივი კომედია”).

ღმერთი — სიყვარული განაპირობებს მზის სუფევას ცაზე, სამყაროს არსებობას, “უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ” (გალაკტიონი, “უსიყვარულოდ”).

ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავას წინამძღვარი იყო ორი სიყვარული — მიწიერი და ციური.

მსოფლიო გზებზე გასვლამდე და შემდგომშიც მის მარადიულ თანამდევად იქცა ქართული ბიბლია — “ვეფხისტყაოსანი” და სამება, ხატი უზენაესისა.

სულიწმიდით გაბრძნობილი, მიწიერ ეროსსაც მიაგებდა პატივს, რადგანაც მოციქულებრივი სიყვარულის მიბაძვაა (მაღალი გაგებით) მიწიერი მიჯნურობაც, როცა იგი ვლინდება მაღალი ზნეობით, გვასწავლის დიდი რუსთაველი.

მხოლოდ ეს სულიერი ძალები ანიჭებს ადამიანს სრულყოფილებას.

"სიყვარულის და სიბრძნის ნიჭს" შესთხოვენ უზენაესს მაღალი იდეალებისთვის მოწოდებულნი, როგორც დანტეს "ღვთაებრივ კომედიაში".

ამ ორი სიყვარულით, ორი ნიჭით გამოარჩია უზენაესმა ჯუმბერ ლეჟავა. მისი ფენომენალური მსოფლიო რეკორდები და მსოფლიო მოგზაურობა ადამიანის შესაძლებლობათა განუსაზღვრელობის დასტურია. იგი მსოფლიო კაცია, კოსმიური პიროვნებაა, კაცობრიობის მარადიული მიზნის ხორცშესხმა და ალბათ ამიტომაც, განსაკუთრებულია მისი სულიერი სამყარო.

238 სახელმწიფოში ყარიბობა-ხეტიალი იყო მისი იდეა-ფიქსი, რათა ანტიკური და შუასაუკუნეობრივი პოემების რაინდი პერსონაჟების (იაზონის, ოდისევსის, ენეასის, ტარიელის, ავთანდილის) მსგავსად გაეფართოებინა თვალსაწიერი, ზიარებოდა მარადიულ სიბრძნეს და ქართული ეროვნული ბუნება გაეცნო მსოფლიოსთვის.

მართლაც, ინიციაციაქმნილი დაბრუნდა დიდი მოგზაური თავისი უმაგალითო, იგავმიუწვდომელი ოდისეიდან და შეიმეცნა დიდიეზოტერულისიბრძნე, რაც დღესდღეობით მხოლოდ მის დღიურებშია გამჟღავნებული და ქვეყნის მესვეურთა უყურადღებობა-გულგრილობის გამო ვერ ეღირსა დღის სინათლეს.

თავიანთი ფიზიკური თუ სულიერ-ასტრალური გზებით სვლისას გამოჩენილ პიროვნებებს ჰყავდათ წარმოსახული, ნამდვილი თუ მზეგადასულთა სულები — დანტეს —ბეატრიჩე, პეტრარკას — ლაურა, ბაირონს — მერი, ფაუსტს — გრეტხენი, ბლოკს — მერი, რუსთაველს — თამარი, გალაკტიონს — მერი... საყოველთაოდ ცნობილია მათთვის აგებული სულიერი ტაძრები.

ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავასთვის ჯერ გაუკვალავი ჰორიზონტების გზამკვლევები იყვნენ ქრისტიანული სამება, ჩვენი სახარება, "ვეფხისტყაოსანი" და მეუღლის — ლიანა ალიბეგაშვილის ლამაზი სული, მეგობრის, დის, დედის სათნოებათა შემკრების სახით მოვლენილი მის ცხოვრებაში.

ყოველთვის სიყვარული ყოფილა ზეკაცთა, აღმატებულ პიროვნებათა დიადი საქმეების სტიმული.

დიადი ტაჯ-მაჰალის ნაკვალევზე მავალი ჩვენი თანამედროვე ქართველი თავის დღიურებში, მოგონებებში მრავალგზის გვესაუბრება ლიანა ალიბეგაშვილის შესახებ, მის კეთილისმყოფელ გავლენაზე, წარმატებებში სტიმულისმომცემ იმპულსებზე.

თავისი ცხოვრების მარადიულ თანამგზავრს "ანგელოზს" უწოდებდა მსოფლიო ადამიანი და ცდილობდა "მის მშვენებას თავისი პოპულარობით მიახლებოდა" (დღიური, გვ. 26).

მათი შვილები სიყვარულის ნაშიერები იყვნენ და ამიტომაც ლიკას და მაიკოს "სიცოცხლეს" ეძახდა, უფროს შვილს — ხათუნას — "სიყვარულს".

მოგზაურის სამსახურში, მის სამუშაო კაბინეტში შესვლისთანავე შემოგანათებთ სახეგაცისკროვნებული მშვენიერების თითქმის ხორცშესხმული ხატება — ლიანა ალიბეგაშვილის ფერადი პორტრეტი, რომელიც შექმნილია ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავას ფუნჯით და... სულით...

აქვე გვინდა განსაკუთრებით შევახსენოთ მკითხველს, რომ დიდი მოგზაური პროფესიონალი მხატვრის დონეზე აცოცხლებს სამყაროს, ბუნებას, ადამიანებს და დროა, ამ ასპექტითაც მივაპყროთ მის ძალზე ფასეულ შემოქმედებით მემკვიდრეობას ყურადღება.

სამწუხაროდ, შეუცნობელმა ბედისწერამ თუ უბედურმა შემთხვევითობამ ძალიან ადრე ჩამოაცილა ბ-ნ ჯუმბერს თავისი უერთგულესი თანამგზავრი, მაგრამ ამით არ შეწყვეტილა მათი სულიერი თანაცხოვრება, ყოფის ყოველ მომენტში, შინ თუ გარეთ, დიდ გზებზე, გზაჯვარედინებზე თუ სულიერ აღმართებზე, ყველგან, ყოველთვის სდევდა და სდევს ქართველ ოდისევსს, ეცხადება მისი სული, აფრთხილებს მოსალოდნელ საფრთხეებზე...

ამ გასაოცარი ფაქტის გამო დაუწერა პოეტმა გულნაზ ხარაიშვილმა ასეთი სტრიქონები: "...ცოლის სულმა გზებზე სანამ გდიოს, სურს მას გახდეს ტკივილების მოზიარე, სატრფიალო გრძნობის უწყვეტ სუნთქვად... სიყვარული შეინახა ვარდმა, სურნელებას ალბათ გზაში მისდევ" (დიდ მოგზაურს).

სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებათა პრობლემით დაინტერესებული მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამ სოფელსა და ზესთასოფელს შორის არ არის გადაულახავი კედელი, მიცვალებულები ევლინებიან ცოცხლებს და პირიქით, ხორცშესხმულთ ხელეწიფებათ განჭვრიტონ სულეთის სიღრმე, შავეთის ველი, ხოლო სიცოცხლეშივე სიკვდილის განცდა, სიმბოლური სიკვდილის გაცნობიერება ხაზს უსვამს ამქვეყნიური არსებობის წამიერებას, ტრანსცენდენტური ყოფის მშვენიერებას, ყოველივე ეს ხელს უწყობს სულიერ განახლებას, ზნეობრივ ამაღლებას, ახალი ჭეშმარიტების მიგნებას, ჩვენთვის მიწაზე განკუთვნილი დროის გონივრულად გამოყენების იმპულსია.

გოეთე ბრძანებდა: "სულთა სამეუფო არ არის კარდახშული".

ბიბლიაში მეფე საულმა მესულთანე ქალის მეშვეობით საფლავიდან გამოიხმო სამეულის სული, რომელმაც მომავალი უწინასწარმეტყველა.

"გილგამეშიანში" გილგამეში ენქიდუს სულთან ამყარებს კავშირს და მისგან ისმენს აჩრდილთა სამეფოს საიდუმლოებებს.

მერაბ კოსტავას ეწადა თავის სიცოცხლეშივე შეხვედროდა ნაადრევად დაღუპულ შვილს (ირაკლის). როგორც სულის უკვდავების რწმენას ნაზიარები ადამიანისთვის, მისთვის "გარდაცვლილები არ არსებობენ".

მიცვალებულთა სულებს ხშირად საგმირო საქმეები ჩაუგონებიათ ცოცხლებისთვის და განსაცდელის დროს ფარად მოვლენიან.

ომისქარცეცხლში მტრის სამიზნედ ქცეულ აშოტ კურაპალატს თან სდევდა მიჯნურის — შუქიას სული და იფარავდა (ვასილ ბარნოვი, "ტრფობა წამებული").

ორ სამყაროს შორის გამუდმებული კონტაქტია ვ. ბარნოვის ნაწერებში ("აჩრდილი სიკვდილისა").

იტალიელი გენიოსი დანტე საიქიოდან მოევლინა შვილს სიზმარში და აცნობა თავისი "ღვთაებრივი კომედიის" მეცამეტე თავის ადგილსამყოფელი.

ღალატით განწირულთა აჩრდილებს შურისძიებაც ახასიათებთ.ამის მაგალითია იულიუს კეისრის გამოცხადება მუხანათი ბრუტუსისთვის და იმ დამარცხების წინასწარმეტყველება, რაც მოღალატე სარდალს და მის მომხრეებს ხვდათ წილად.

ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავასა და ლიანა ალიბეგაშვილის ურთიერთობა დიდი სიყვარულის შიშითაც იყო მოცული, რასაც განსაკუთრებული ინტუიცია და მომავლის წინასწარი ხილვა მოსდევდა ხოლმე. თითქოს მომავალზე მიმანიშნებელი იყო ლიანას განაცხადი: "ჯუბა, შენ რაც უფრო პოპულარული ხდები, ჩვენ მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს" (დღიური, გვ. 26).

1990 წლის 9 თებერვალი და მოსკოვი ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრებაში პირველი მსოფლიო რეკორდით იქცა ღირსსახსოვრად, ერთსაათიან მკლავებზე აზიდვებში გაუგონარ შედეგებს მიაღწია.

გამარჯვებულ სპორტსმენს თბილისში თვითმფრინავით დაბრუნებისას ჰქონდა საოცარი ხილვა, რომელსაც ასე იხსენებს: "ჩაფიქრებული დავცქეროდი იატაკს, უეცრად ჩემს წინ წარმოსახვაში დაინთო ცეცხლი და მის ალს ამოჰყვა ჩემი მეუღლე ლიკა, რომელიც გაფრინდა ჩემგან მარცხნივ მფრინავი ფრინველივით გაწელილ მდგომარეობაში და გაქრა".

სახლში აეროპორტიდანვე დარეკა და ლიკას ჯანმრთელობა იკითხა. პასუხი დამამშვიდებელი იყო.

ბედნიერი ოჯახი ხარობდა სიყვარულით, უჩვეულო წარმატებებით, მომავლის გეგმებს ადგენდა.

მაგრამ სულ მალე ლიანა ალიბეგაშვილი ტვინში სისხლის ჩაქცევამ შეიწირა. საბედისწერო თარიღი იყო 1990 წლის 3 ივნისი.

"თავი ცოცხალი ლეში მეგონა, რადგან თავის მოკვლა ვერ გავბედე", წერს ბ-ნი ჯუმბერი.

მაგრამ ამ ტრაგედიამ სიცოცხლის სურვილი და მაღალი მიზნების აღსრულების განზრახვა ვერ ჩაუკლა, გადაწყვიტა, ეცოცხლა ლიკას სახელის უკვდავყოფისათვის: "გადავწყვიტე რეკორდების დამყარება, რომლებსაც მივუძღვნიდი ლიკას, რითაც გავიხანგძლივებდი მისი ჩემთან არსებობის დროს".

უფლისგან ხელდასხმულმა პიროვნებამ ამჯერადაც ვაჟკაცურად გაუძლო მისთვის მოვლენილ განსაცდელ-გამოცდას, სიკვდილის პირისპირ დგომამ კიდევ უფრო გაუღვიძა წინსვლის, მისთვის განკუთვნილი დროის გონივრულად გამოყენების წყურვილი.

თავის მარადიულ სიყვარულს განშორებული ვარჯიშობდა, ხატავდა, მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში.

თავის დაბადების დღეზეც ლიკას სასაფლაოზე დადიოდა, უხმო აღსარებას ეუბნებოდა და ცრემლიანი დუმილით შორდებოდა.

"ლიკას გარდაცვალების შემდეგ მას მივუძღვენი I რეკორდი 1990 წ. 29-30 სექტემბერს. მიხარია, რომ იგი ჩემთან ერთად ცოცხლობს. ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავაოცებთ სამყაროს", წერს რეკორდსმენი (დღიური, გვ. 30).

გამარჯვების შემდეგ, მოსკოვის სატუმროს ნომერში მარტოდ დარჩენილს, არც უვახშმია, უპირველესად, მეუღლის სურათთან მივიდა, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა, ამჯერად კი საწოლზე ედო, პირჯვარი გადაიწერა და მიმართა: "კიდევ მრავალ გამარჯვებას მოგიძღვნი, ჩემო ლიკა" (გვ. 31).

ეს იყო შემთხვევა, როცა ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ.

ინდოეთში ინდური ხუროთმოძღვრების უშესანიშნავესი ძეგლი ტაჯ-მაჰალი რომ იხილა, მისი შექმნის ისტორია მოიგონა, რასაც საკუთარი მუზის ასოცირება მოჰყვა და გულისტკივილი ვერ დამალა: "ხუროთმოძღვრების ეს შედევრი დიდი სიყვარულით არის შექმნილი, იგი მეუღლის ხსოვნისადმი პატივისცემის დადასტურებაა. ჩემი ლიანა გამახსენდა და თვალები ცრემლით ამევსო.სულთან შაჰ-ჯაჰანს ჰყოლია ახალგაზრდა უმშვენიერესი მეუღლე მუმთაზ მაჰალი, რომელიც ახალგაზრდა გარდაცვლილა. დიდხანს უგლოვია სულთანს საყვარელი მეუღლე და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ეს დიდებული მავზოლეუმი აუგია. ცოლ-ქმარი ერთად განისვენებს ამ მავზოლეუმში.

"ეს ამბავი რიქშამ მომიყვა: სულთანმა პირველად რომ დაინახა ხელოვნების და სიყვარულის უკვდავი ქმნილება, მშენებლებს ხელები დააჭრა, არქიტექტორი კი სიკვდილით დასაჯა, რათა სხვაგან ასეთი ტაძარი არ აეშენებინა".

"საღმრთო წერილი ხომ ჩემი მეგზურია, მუდამ ჯიბით დავატარებ და ვლოცულობ, არ ვიცი, შეუნდობს თუ არა ღმერთი სულთან შაჰ-ჯაჰანს დიდ ცოდვას, რომელიც დიდმა სიყვარულმა ჩაადენინა. არადა, პირიქით არ უნდა მოქცეულიყო? დიდმა სიყვარულმა დიდი სიკეთე უნდა გაკეთებინოს" (ჯუმბერ ლეჟავას ჟურნალი, 2004 წ. 1, ივლისი).

მოგზაურს ინდოეთში, უასფალტო, ღორღიან, გუბურებიან გზაზე ნადირების, ქვეწარმავლების, მწერების გარემოცვაში ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა შინაურ სპილოზე ამხედრებული ადამიანები, ის კი გარეულ სპილოს ეძებდა ტყეში.

ღამით უღელტეხილზე ასული პატარა თივის სხვენზე ათევდა ღამეს.ტყიდან ნადირის კივილის მსგავსი ხმები ესმოდა. როგორც იქნა, ჩაეძინა. სიზმარში ლიანას ხმამ გამოაღვიძა. იგი მაშინ ესიზმრებოდა, როცა უჭირდა. "ფრთხილად იყავი, ჯუმბერ", ჩაესმა მისი სევდიანი ხმა.

ამასობაში თავლასთან ორი ახალგაზრდა შეამჩნია და კითხვაზე, ვის ელოდებიო, სპილოსო, უპასუხა, რაზედაც უცნობებს გაეღიმათ. მათ თავიანთ სახლში დაჰპატიჟეს, რაც ბედის წყალობად მოეჩვენა, გადააფიქრებინა ტყეში სპილოს ძიება და ცოლის გაფრთხილებაც გაახსენდა. უცნობების კარგი მიღების გამო დააფიქსირა: "უვას პროვინციის შუა ჯუნგლში სოფელ მორეტოტაში ცხოვრობს ერთი კეთილი მრავალშვილიანი მშრომელი ოჯახი, რომელთაც უცხო სტუმრის პატივისცემა იციან". მასპინძლებმა დილაუთენია გამოაცილეს, გზა ასწავლეს და თავიანთ ეზოში მოწეული ხილი და ბოსტნეული გამოატანეს (ჟ. მსოფლიო მოგზაური, 2004 წ. 1, გვ. 17).

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესა ეხმაურებოდა ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობას, რადიო და ტელევიზიები იწვევდნენ, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი მისი სურათები პატივით ეკიდათ კედელზე, უცნობი მანდილოსნები სიყვარულით, ქორწინებით, ბინით, ბიზნეს-სამსახურებით ცდილობდნენ მის მოხიბლვას, მაგრამ შეუვალი, უცვლელი იყო მისი გადაწყვეტილება, ლიანა ალიბეგაშვილის შემდეგ არავისთვის დაეკავშირებინა სიცოცხლე, არც ამურული თავგადასავლები დაეყენებინა წინა პლანზე, არ გამოეყენებინა მრავალჯერ გაჩენილი შანსები, არ აჰყოლოდა ცდუნებებს...

ახალ წელს რეკორდსმენი ლიკას სურათთან და ხატებთან ერთად შეხვდა.

"ჩემი და ლიკას ურთიერთობით დავრწმუნდი, რომ სიყვარული რეალურია.მე და ლიკამ დავლოცეთ მაკას და ხათუნას ოჯახები, სიძეები და ლაშა, ბექა, გვანცა და ლიკა. ჩვენ ხომ ესენი გვაცოცხლებენ, ამათი ბედნიერებით თუ გავივლებთ ჩვენს გონებაში ხანდახან აზრს, რომ ჩვენც ბედნიერები ვართ, თორემ რა ბედნიერებაა, როდესაც მე და შენ სამუდამოდ დავცილდით ერთმანეთს. ჩვენ ხომ უერთმანეთოდ არ შეგვეძლო ყოფნა.ამიტომაც ვფიქრობ, რომ ბედნიერება როგორც მოდის, ისე მიდის, იგი ხომ დროებითი მოვლენაა" (გვ. 32).

...პირობითად (რადგანაც არ ვსვამ) დავლოცე... სამშობლო, ჩემიანები და სხვისიანები...(გვ. 32).

შემდეგი მესამე და მეოთხე რეკორდებიც ლიკას შთაგონებული იყო.ფენომენალური წარმატების დროსაც ლიკაზე ფიქრობდა: "ნეტავი ლიკას ენახა გუშინ ტელევიზორში "ვრემია" რას ამბობდა ჩემზე. ჩემო ლიკა, კიდევ ბევრჯერ გასახელებ.სხვა აღარაფერი დანიშნულება აღარ მაქვს".

მეუღლის სურათს ასეთ რამეს უყვება მსოფლიო რეკორდსმენი: "ლიკა, მინდა ერთი შემთხვევა მოგიყვე, რადგანაც შვილიშვილზე ჩამოვარდა საუბარი. ვაკეში მე, ბარდღუ, გვანცა და ზაირა მივდიოდით ჩვენი მანქანით. შენს სამსახურს რომ ჩავუარეთ, გვანცა შეცბა, მან ყველას გადახედა, არაფერი არ უთქვამს, წამოუვიდა ცრემლები და თავი დახარა ისე, რომ არავის შეემჩნია მისთვის ეს ცრემლები... მის დანახვაზე მეც მომადგა ცრემლები, მაგრამ ხმამაღლა ვერ გამოვხატე ჩემი დარდი. აი, ასე დადარდიანებული დატოვე ყველა,

ჩემო ლიკა, ვინც შენ გიცნობდა. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია, ნუთუ დადგება ისეთი ჟამი, როდესაც შენ ჩემთვის სულერთი იქნები? მე მგონი, არა!" (გვ. 37).

შემდეგ ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

1991 წ. 2 ივნისს, მეუღლის დაბადების დღეს გაიმარჯვა: "მე ჩემს ლიკას მივუძღვენი ეს რეკორდი საჩუქრად მის დაბადების დღეზე".

ორი მანქანით ახლო ნათესავები და რამდენიმე მეგობარი ლიკას საფლავზე ავიდნენ. "უხმოდ ვიდექით მის ლამაზ სულთან. ვგრძნობდი მიწის ბორგვას, თითქოს აგერ ახლა ვულკანივით ამოიფრქვევა და ლიანა მას ამოჰყვება, რომ მომილოცოს ეს გამარჯვებაც. მას ხომ ყველაზე მეტად უხაროდა ჩემი წარმატებები. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი და თვალცრემლიანებმა დავტოვეთ სასაფლაო. გამარჯვებით გახარებულები უფრო მეტად დაღონებულები დავბრუნდით სახლში და არც კი ვიცი, გამარჯვების პატარა სუფრას ავღნიშნავდით, თუ ჩემი ლიკას დაბადებისა და გარდაცვალების დღეს" (გვ. 39).

"ლიკას დაბადების დღეა 2 ივნისი. იგი დღეს გახდებოდა 46 წლის. მე მის კიდევ ერთხელ აღიარებისთვის ვიწყებ უჩვეულო მარათონს, რადგანაც ასეთი სირთულის გზა ჯერ არავის გაუვლია" (გვ. 40).

შეჯიბრება დაიწყო 2 ივნისს და დამთავრდა 9 სექტემბერს, 100 დღეში.რეკორდი ემთხვეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. 100 დღის განმავლობაში აიზიდა 1730000-ჯერ.

ამჯერადაც ისევ და ისევ მეუღლის სული სდევდა სტიმულის მიმცემად, გამარჯვების რწმენის შთამაგონებლად.

1993 წელს ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიო რეკორდების დამყარების შემდეგ გადაწყვიტა სხვა სახის ექსტრემალურ პირობებშიც გამოეცადა საკუთარი ძალა. ამისთვის მოიფიქრა ურთულესი მოგზაურობა მსოფლიოში ველოსიპედით ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაში მარტოდმარტო.

ეს მოგზაურობა მიუძღვნა თავის გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და აფხაზეთში 1992 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისთავის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ რატი კიკაჩეიშვილს.

ცხრაწლიან მოგზაურობაში გამგზავრების წინ სიონის ეკლესიაში სანთლები დაუნთო საქართველოს ყველა დაღუპულ გმირს, მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და მოგზაურობის იდეის ავტორს — რატი კიკაჩეიშვილს, საერთოდ ყველა გარდაცვლილს, ქართველ ხალხს და მის სახელმწიფოებრივ მომავალს.

მეუღლის კეთილი სული გამუდმებით დიდი წარმატებებისკენ მოუწოდებდა. ავსტრალიაში მოგზაურობისას კანბერაში ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი "კოსკიუსკო" დაიპყრო, რაც მეუღლის ხსოვნის პატივისცემით იყო შთაგონებული.

კანბერა-სიდნეის გზა მიუძღვნა ლიანა ალიბეგაშვილს, რომელიც 2 ივნისს დაიბადა და გარდაიცვალა 3 ივნისს. სიცოცხლესა და გარდაცვალებას შორის სხვაობა ორი საათია. სიცოცხლის ეს დრო ჩემს ლიკას აჩუქა ჩემმა მაიკომ. ჩემს ლიკას მხოლოდ ჩვენი უფროსი ქალიშვილის — მაიკოს სისხლი ესხმებოდა, წერს მოგზაური.

სიდნეიში ნ. მაისურაძის ოჯახში გადაუხადა მეუღლეს დაბადების დღე.

იმთავითვედა ამიერიდანმისი ყველა მიღწევის სტიმული ლიანა ალიბეგაშვილის მფარველი სული იყო.

1991 წ. 26 ივნისს მსოფლიო რეკორდი დაამყარა მკლავებზე აზიდვებში (5011 აზიდვა საათში).

ამავე წლის 27 იანვარს მიაღწია ერთსაათიან რეკორდს მუცლის პრესის ვარჯიშში (2806 აზიდვით).

ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი ფენომენალური იყო, მაგრამ წუხდა, რომ ლიანა ვერ გაიგებდა, როგორ აფასებდა "ვრემია" მის გასაოცარ შედეგებს.

ნაურუს რესპუბლიკაში მოიგო შეჯიბრი 1500 დოლარიანი პრიზით, გადაეცა ძვირფასი ფერწერული ნამუშევარი.

იმოგზაურა ბერმუდის სამკუთხედის კუნძულებზე, რომელთა რიცხვი 200-ია, დასახლებული კი მხოლოდ 20-ია. 10 ხიდი გადაიარა.იქ მოგზაურის გვარი დაფიქსირდა ოქროს წიგნში.

ღმერთი და სიყვარული იფარავდა იმ საშიშარ ადგილებში, სადაც ადამიანები უკვალოდ ქრებიან.

გადარჩენას მუდამ ამ ორ ძალას უმადლოდა და მათ სადიდებელს აღავლენდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პოეზია

მთავარეპისკოპოსი თადეოზი მირიან იორამაშვილი 6-7
ვაჟა აქიმიშვილი 8-9
მაყვალა გონაშვილი 10-11
ნუნუკა გურალია 12-13
მანანა დანგაძე 14-15
ვაჟა ეგრისელი 16-17
სიმონ ზაქარაია 18-19
ზაურ ნოზაძე 20-21
ქეთევან ნათელაძე 22-23
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე 24-25
ელგუჯა სხირტლაძე 26-27
დავით ტიგინაშვილი 28-29
ვაჟა ყოჩიაშვილი 30-31
ლამზირა შეყილაძე 32-33
ტარიელ ხარხელაური 34-35
ბეჟან ხარაიშვილი 36-37
გულნაზი ხარაიშვილი 38-39
ციური ხეთერელი 40-41
თინათინ ხაბურზანია 42-43
თამარ ჯაჭვაძე 44-45

პოემა

ირეალური მეფე 46-52

მხატვრული განყოფილება

რევაზ მიშველაძე 52-60
რაფიელ გელანტია 61-65
მაია ბუიღლიშვილი 65-68
გულნაზ ხარაიშვილი 69-86
ნანა პაიაშვილი 87

წერილები

ტიტე მოსია 88-94
ლუარა სორდია 95-98
სიმონ ზაქარაია 99-105
ნანი ჭანიშვილი 105-107
ლიანა წურწუმია 108-113
ნიკო ხერკელაძე 114-116
ლალი რატიანი 117-119
ზალიკო გამყრელიძე 120-121
ვანო შუშტაკაშვილი 121-127
თინათინ ხოხობაშვილი 128-130

ირა დანელია 131-134
მანანა კვატაია 135-144
ლამარა გერგედავა 145-152

მედიცინა

ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელი 153-156

ისტორია

ვახტანგ თორაძე 157-163
გიორგი ბეჟიტაშვილი 163-165
ანა ხუნაშვილი (ბოდბელი) 166-169
ჯულიეტა ალავიძე 170-173
ნაილი ხარაიშვილი 174-177

ხელოვნება

თამარ ჯაჭვაძე 178-189
რეზო ადამია 184-185
მანონ ყუბანეიშვილი 186-187

ეკონომიკა

ნუგზარ ნადარაია 187-188

თარგმანები

ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი 189-196
მარინა ილიას-ას. სხირტლაძე 196-198
ლუარა სორდია 199-228

ტექნიკური რედაქტორი — **ლუარა სორდია**

კორექტორი— **თამარ ჯაჭვაძე**
ციური ხეთერელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ნანა სხირტლაძე**

მხატვარი — **ნიკო ჯაბუა**

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge